ზაქარია ჭიჭინაძე

მუსულმან ქართველობა
და მათი სოფლები საქართველოში

გამოცემული
იაკობ ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილის საფასით

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2013

ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომი „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოცულობისაა ღვანლმოსილი მწიგნობრის წიგნებს შორის. იგი 1913 წელს გამოვიდა თბილისში ცნობილი საზოგადო მოღვაწის „იაკობ მანსვეტაშვილის საფასით. აღწერილი ზაქ. ჭიჭინაძისაგან“.

წიგნში დანვრილებითაა აღწერილი ე. წ. სამუსლიმანო საქართველოს ყველა მხარე, ცალკეული სოფლები, მოცემულია კომლთა რიცხვი, მოსახლეობის აღმსარებლობა, ქართული ენის შენარჩუნების დონე.

განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია მატერიალური კულტურის ძეგლებზე (ხიდები, ციხე-სიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები) და მათს იმჟამინდელ მდგომარეობაზე.

ვფიქრობთ, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობათ ქცეული წიგნი, მეორედ გამოცემით ყველასათვის მისაწვდომი გახდება და გარკვეულ სამსახურს გაუწევს საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირებს, მეცნიერებს და მკითხველთა ფართო წრეს.

წიგნი საინტერესოა იმითაც, რომ მას თან ერთვის ზაქარია ჭიჭინაძის ბიბლიოგრაფია, გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა საძიებელი.

„მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“ ხელახლა გამოსაცემად მომზადდა ამ წიგნის პირველი გამოცემის 100 წლისთავზე და ზაქარია ჭიჭინაძის საიუბილეო თარიღის 160 წლის აღსანიშნავად.

©წიგნის შესავალი ნაწილის, ბიბლიოგრაფიის, გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა საძიებლის შედგენის ავტორი
ეთერ ბერიძე
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ზაქარია ჭიჭინაძე, „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბ., 2013

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013
თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19. ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-054-8

შესავალი

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნი — „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“[1] გამოიცა 1913 წელს ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ავტორის მოგზაურობის შთაბეჭდილებების შედეგად, როდესაც ეს მხარე, რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების უკანასკნელი ომის შემდეგ გათავისუფლდა ოსმალეთის იმპერიის საუკუნოვანი ბატონობისაგან და შევიდა ისტორიული საქართველოს საზღვრებში. საქართველო ამ დროს მეფის რუსეთის შემადგენლობაშია, ერთი სიტყვით, „რუსეთმა დაიჭირა თურქეთის საქართველოც“.

ცნობილი მკვლევრების გიორგი ყაზბეგის (იმოგზაურა 1874 წელს), დიმიტრი ბაქრაძის (იმოგზაურა 1873 წელს) და სხვათა შემდეგ, სწორედ ამ პერიოდში მიეცათ შესაძლებლობა სხვა ქართველ მოღვაწეებს, ემოგზაურათ ისტორიულ საქართველოში, დაკვირვებოდნენ მას, მიახლოებოდნენ მშობლიურ გარემოს მოწყვეტილ ქართულ მოსახლეობას გულღია და უშუალო შეხვედრებითა და თბილი საუბრებით, დაენახათ და აღექვათ სატკივარი სატკივარად, გასახარი გასახარად და თავიანთი ნაფიქრნაღვაწი გადაეტანათ გაზეთისა და წიგნის ფურცლებზე.

ზ. ჭიჭინაძის მრავალრიცხოვანი ნაშრომებიდან წინამდებარე წიგნი უკვე უნიკალურ იშვიათობად ქცეული, მისი მდიდარი ბიბლიოგრაფიული მემკვიდრეობის ერთერთი ვრცელი და მნიშვნელოვანი ნაწილია.

ქართველ თუ უცხოელ მეცნიერთა და მკვლევარმოგზაურთა ნაშრომები 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ამ მხარის ბოლო სამასწლოვანი ისტორი-

[1] ზ. ჭიჭინაძე, „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში", 1913.

ის მნიშვნელოვან მატიანეს ქართველი ხალხისა და ქართული სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული სამეცნიერო საზოგადოება არ დარჩენილა ვალში წინაპართა ღვაწლის წინაშე და აქტიურად მისდევს მათ მიერ გაწეული მუშაობის პოპულარიზაციას. ეწევა ერთი მხრივ — მათი ნაშრომების როგორც მთარგმნელობით, ისე საგამომცემლო საქმიანობას, მეორე მხრივ, 1990-იანი წლებიდან, როცა ამის პირობები შეიქმნა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის საფუძველზე, აგრძელებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას მათ ნაკვალევზე, მათზე დაყრდნობით, მათი ნაშრომების, როგორც წყაროების, გამოყენებითა და მითითებით.

1995 წელს პროფესორმა რამაზ სურმანიძემ თარგმნა, გამოკვლევები, შენიშვნები და საძიებლები დაურთო და გამოსცა გიორგი ყაზბეგის „სამი თვე თურქეთის საქართველოში",[2] იმავე წელს გამოსცა — უილიამ ჯიფორდ პალგრევის „აჭარა და ლაზეთი".[3] ასევე 2012 წელს გამოიცა ალ.ფრენკელის „ჩურუქ-სუს და ბათუმის ნარკვევების" აზიზ ახვლედიანისეული თარგმანი [4],

2012 წელს ითარგმნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, რევაზ დიასამიძის მიერ ნიკო მარის „შავშეთისა და კლარჯეთის დღიურები"[5] და გამოიცა ამავე წელს უნივერსიტეტის მეცნიერთა

---

[2] გ. ყაზბეგის "სამი თვე თურქეთის საქართველოში". ბათუმი, 1995. ნაშრომი თარგმნეს,შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს რამაზ სურმანიძემ და მამია ხარაზმა.

[3] უ. ჯიფორდ პალგრევის "აჭარა და ლაზეთი". ბათუმი, 1912. წიგნი თარგმნა და კომენტარები დაურთო რამაზ სურმანიძემ.

[4] ალ. ფრენკელი "ჩურუქსუსა და ბათუმის ნარკვევების"აზიზ ახვლედიანისეული თარგმანი. ბათუმი. 2012.

[5] ნიკო მარის "შავშეთისა და კლარჯეთის დღიურები, ბათუმი, 2012. პროფესორ მამია ფაღავას საერთო რედაქციით.

ჯგუფის საერთო რედაქციით, პროფესორ მამია ფაღავას გამოკვლევები და შენიშვნებით.

ზაქარია ჭიჭინაძის მრავალრიცხოვანი შრომებიდან — „ქართველთა გამუსლიმება“, 2004 წელს გამოსცა გამომცემლობა „არტანუჯმა“, 2005 წელს კი იგივე წიგნი დაიბეჭდა ბოლნელი ეპისკოპოსის, ეფრემის, ლოცვა-კურთხევით.“[6] მათ რიცხვს შეუერთდება ეს ნაშრომიც — „მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, რომელსაც თან ერთვის ავტორის მდიდარი ბიბლიოგრაფიული მემკვიდრეობის სრული ნუსხა.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ნიკო მარის, შემდეგ ისტორიულ ტაო-კლარჯეთს ეწვია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი შუშანა ფუტკარაძე, რომელმაც „ოპიზარებისა და ოშკელების ბაგეებზე დაკრეფილი ქართული მარგალიტები“ გააცოცხლა სქელტანიან წიგნში — **„ჩვენებურები“**.[7]

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, დღევანდელი ყოფისა და კულტურის, აქ გადარჩენილი ქართული სიტყვის, ტოპონიმიისა თუ ფოლკლორის მეცნიერული შესწავლისათვის უდავოდ დიდია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის წვლილი. გამოიცა აკადემიური ნაშრომები: ნუგზარ ცეცხლაძის „ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან“[8] — 2004 წელს. როინ მალაყმაძის „ლიგანი“[9] — 2008 წელს, ეთერ ბერიძის **„ნიგალი“**,[10] (ისტორიულ-ეთნოგ-

---

[6] ზ. ჭიჭინაძე, „ქართველთა გამუსლიმება“. დაიბეჭდა გამომცემლობა არტანუჯის მიერ 2004 წელს, ხოლო 2005 წელს ბოლნელი ეპისკოპოსის ეფრემის ლოცვა-კურთხევით.

[7] შ. ფუტკარაძე, „ჩვენებურები“, ბათუმი, 1993.

[8] ნ. ცეცხლაძე, „ ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან“, ბათუმი, 2004.

[9] რ. მალაყმაძე “ლიგანი”, ბათუმი, 2008.

[10] ე. ბერიძე, „ნიგალი“. თბ., 2009.

რაფიულ-ტოპონიმიკურ-ლინგვისტური ასპექტები) — 2009 წელს. ქართველოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჯგუფის შრომა - **„შავშეთი"**[11] — 2011 წელს.

საგულისხმოა, ამ მიმართულებით ცნობილი მეცნიერების: დავით ხოშტარიას „კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები[12]", ვალერი სილოგავას "ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები"[13], ვახტანგ ჯობაძის[14] „ ადრეული შუასაუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში", ი. გივიაშვილისა და ი. კოპლატაძის „ტაო-კლარჯეთი[15]", ტარიელ ფუტკარაძის "იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი"[16], სიმონ გოგიტიძის "სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია[17]", ავთანდილ ნიკოლეიშვილის „თურქული დღიურები"[18], როზეტა გუჯეჯიანის, გივი კალანდიას, ოთარ ფუტკარაძისა და სხვათა, როგორც სამეცნიერო და ჟურნალისტური, ისე მთარგმნელობითი და საგამომცემლო საქმიანობა.

ზ. ჭიჭინაძეს, სამშობლოსა და მშობელ ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებულ კაცს, განსაკუთრებული ამაგი მიუძღვის აჭარისა და ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის დედა-საქართველოს მოსახლეობასთან დაახლოებისა და ურთიერთობის აღდგენის რთული პროცესის დაძლევაში.ეს

---

[11]შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ჯგუფი, „შავშეთი", თბ., 2011.

[12]დ. ხოშტარია. კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები. თბილისი, 2005.

[13]ვალერი სილოგავა. ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრები. თბ., 2006/2007

[14] ვ. ჯობაძე, ადრეული შუასაუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთიში თბ., 2007.

[15] ი.გივიაშვილი, ი.კოპლატაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ., 2004.

[16] ტ. ფუტკარაძე. იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი. თბილისი, 2007.

[17] ს. გოგიტიძე. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია. ბათუმი, 2002.

[18] ა. ნიკოლეიშვილი, „თურქული დღიურები", ქუთაისი. 2010.

ის დრო და ის პროცესია, როდესაც დამხვდურს უნდა მასთან იყო, მაგრამ უჭირს მიღება და შენ გინდა მასთან მიხვიდე, მაგრამ გიჭირს მიახლოება, თითქოს ერთიც ხართ და არც ხართ ერთი, გაუცხოებულხართ, ესენიც გაუცხოებულან, თითქოს გენატრება, უნდა ჩაეხვიო, ენატრები და უნდა ჩაგეხვიოს, მაგრამ, თქვენ შორის არსებულ ჰაერს სიმყარე შეჰპარვია. სწორედ ეს დაინახა და ეს იგრძნო ზაქარია ჭიჭინაძემ, ორივე მხარის გულში ჩაიხედა და კალმით, სიტყვითა და საქმით ხელი შეუწყო, რომ ერთსისხლხორც მოსახლეობას შორის ჰაერი გამთბარიყო და გამსუბუქებულიყო.

ნაშრომში (322 გვერდი) ავტორმა შეძლო აესახა იმდროინდელი სამუსლიმანო საქართველოს თითქმის ყველა სოფლის მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა სფერო. წიგნი დაიწერა 1891-1892 წლებში, მაშინ, როცა ქართული ენა გარკვეულად, ისევ არის დაცული ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში:

ლივანაში — 42 სოფელში; მურღულში — 32 სოფელში; ართვინის ახლომახლო — 20 სოფელში; პარხალში (ტაოსკარი) — 20 სოფელში (285), ოლთისში — 10 სოფელში — მორტალი, სალაჩური, ტაოსკარი, ნარიიანი, ფენიაკი, ოლთისი, კოსორი, ყარაფაფახი, შარდუსი, აგუნდარა (290); კლარჯეთში – 9 სოფელში:

აჩქარი, ანჩა, ანაკერტი, ჩარდილი, კარსნია, სამესხო, უსტასკელი, ქონთობანი, ზალიაანთ (357); „იმერხევი ქართულად ლაპარაკობს" (342).

დღეს ტაო-კლაჯეთში ქართული ენა შემორჩენილია ლივანაში — ჭოროხის, დევესქელისა და მურღულის ხეობებში, 33 სოფელში, რა თქმა უნდა, თვით დაბა ბორჩხაში[19]. ოლთისსა და კლარჯეთში ქართული ენა აღარ არის, თით-

[19] ე. ბერიძე, ნიგალი, 2009, გვ. 88-89, 177,180.

ქმის აღარ გვხვდება იგი ართვინის ახლომახლო. პარხალის ხეობაში, ქართული ენა შემორჩენილია სამ სოფელში (ბალხი, ბარი, ქობაგი), ხოლო იმერხევში - თითქმის ყველა სოფელში.

ქართველთა გარკვეული ნაწილი რელიგიის შენარჩუნების მოტივით გაკათოლიკდა, "გაფრანგდა" და ბოლოს გასომხდა.

დღეს, XXI საუკუნის პირველ ათეულში, ცივილიზაციისა და გლობალური ინფორმაციის ეპოქაში, შეიძლება გადაიკითხო ეს წიგნი და გაკვირვებით თქვა, ნუთუ, მართლა ეს არის ჩვენი ახლო წარსული?! დიახ, ეს იყო სამწუხარო რეალობა, როცა ოსმალურმა დამპყრობლურმა პოლიტიკამ მის მიერვე შექმნილი რელიგიური აღმსარებლობის სხვადასხვაობით ისარგებლა და ძმათა შორის უნდობლობა ჩამოაგდო; როდესაც გზააბნეული ხალხი ტოვებდა საკუთარ კარ-მიდამოს, რუსეთისაგან გათავისუფლებულ ქართულ ტერიტორიებს და თურქეთის შიდა პროვინციებში სახლდებოდა. სწორედ მაშინ შემოიარა ზაქარია ჭიჭინაძემ ეს მხარე და შეძლო, დაერწმუნებინა მოსახლეობა ქართული წერა-კითხვის შესწავლის აუცილებლობაში, შთაენერგა მისთვის დედაენის სიყვარული და გაევრცელებინა ქართული წიგნი, ხელი შეეწყო ქართველ მაჰმადიანთათვის,გამოექვეყნებინათ ლექსები თუ წერილები ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. მას ამ დამსახურებებისათვის უწოდეს აჭარაში "ქართული წიგნის რაინდი", ,,ჩვენი კუთხის მამა-მოძღვარი",[20] "აჭარის დიდი გულშემატკივარი".[21]

,,როცა კაცი კარჩხალის მთიდან შეხედავს მთელ დასავლეთ-საქართველოს და წარმოიდგენს მის სივრცეს, სი-

---

[20] ი. კოშორიძე, ზაქარია ჭიჭინაძე, ბათუმი, 1901.
[21] ი. ფუტკარაძე, გაზეთი აჭარა, ბათუმი, 1978.

ლამაზეს, მოხდენილობას და აგრეთვე იმას, თუ ამოდენა ადგილებში ამდენი ქართველობა უნდა ყოფილიყო ძველათ დასახლებული, უნებლიეთ გული შეუწუხდება. სწორედ ასე მომივიდა მე, როცა **მირატის** (შუახევი - **ე. ბ.**) ხეობიდან დასავლეთ საქართველო დავინახე, როცა ჩემ თვალწინ გადიშალა ჩვენი დიდებული სამშობლო — თვალუწვდენელი სივრცის მექონი საქართველო, რომლის საზღვრები საბერძნეთს და არმენიამდის მიდის (312-313)", — წერს ავტორი.

წიგნი ,,მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში" მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში წარმოდგენილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხე, მისი თანდათანობითი და საბოლოო დაპყრობის პროცესი და მოსახლეობის **სულიერი** მდგომარეობა(რელიგიური შეხედულებები და შესაბამისად, მათი დამოკიდებულებები ამ საკითხებთან) **და ყოფითი** პირობები (ცხოვრება, მეურნეობა, ვაჭრობა, მშენებლობა და სხვ.) XIX საუკუნის დასასრულისთვის. აღწერილია სოფლები ხეობების მიხედვით (ქობულეთი, ჩაქვი, ლივანა-მარადიდი, მაჭახელი, მურღული), აგრეთვე, ცალკეული მხარეები: მესხეთ-ჯავახეთი, ჩილდირი, ფოცხოვი, ოლთისი ანუ ზემო ქართლი, ზეგანი ანუ ზემო აჭარა, ლაზისტან-ჭანეთი, შავშეთი, იმერხევი, კლარჯეთი და სხვა. ავტორი ცდილობს, აგრეთვე, მაქსიმალური სიზუსტით წარმოადგინოს ამ გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობა, საზღვრები.

მაგალითისათვის — ლივანის შესახებ იგი წერს: "ლივანა იწყება მარადიდის ხეობიდამ და თავდება კლარჯეთის მიჯნაზე"(183). ლივანას დასავლით **ჭანეთი** უძევს, ანუ **ლაზისტანი.** ლაზისტანი ბორჩხიდან (ლივანის მთავარი რაიონი - **ე.ბ.)** 10 ვერსის სიშორით იწყება (258). კლარჯეთი უნდა იყოს არდანუჯის გასწვრივ ართვინამდე, სადაც თავდება ლივანი, ანუ ლივანის ხევი"(356), ლივანას დასავლეთით ჭა-

ნეთი, ანუ ლაზისტანი უძევს, ლაზისტანის რამდენიმე სოფელი ლივანის ნაწილს წარმოადგენს[22].

ნიგალის ხეობის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის XVIII საუკუნის ქართველი მეცნიერი, ვახუშტი ბაგრატიონი[23]. იგი წერს: ,,ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ არს ართვანი, ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან ვაჭარნი და ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ხეობის იმიერ და ამიერ იწოდების ლიგანის ხეობად და არს ეს ლიგანის ხეობა"[24].

ნიგალისხევის ვახუშტისეულ საზღვრებს მეტ-ნაკლებად იმოწმებენ და ადასტურებენ ცნობილი მეცნიერები და მოგზაურები: დიმიტრი ბაქრაძე, გიორგი ყაზბეგი, ექვთიმე თაყაიშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, იური სიხარულიძე და სხვები.

,,ნიგალის ხევი ხარხანის ალპურ მდელოებამდე ადის....., მას სურდა თავისი ბედი აღმოსავლეთით ბერთას ხევისთვისაც დაეკავშირებინა".[25]

გიორგი ყაზბეგი პონტოს ქედზე მიუთითებს, როგორც ლივანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე, ხოლო ლაზეთისა და ლივანას გამყოფ საზღვრად ჩხალისწყლის ხეობას და სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრად არტანუჯისწყლისა და იმერხევისწყლის შესართავს ასახელებს". [26]

ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ხშირად იცვლებოდა ამა თუ იმ მხარისა და კუთხის პოლიტიკურ-გეოგრაფიული საზღვრები, ხშირად ექცეოდა მეზობელი პროვინციების საზღვრები ერთიმეორის შემადგენლობაში, ან იკარგებოდა

---

[22] ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა გათათრება, თბილისი, 1914 — 50.
[23] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.
[24] იქვე, გვ. 136.
[25] ი. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 3-4.
[26] გ.ყაზბეგი, დასახ. ნაშრ., გვ.106,121, 180.

ერთი მხარის კონტროლი მეორეზე, აქედან გამომდინარე, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ტერმინები — ნიგალის ხეობა და ნიგალის (ლივანის) "ქვეყანა", რაც განაპირობებდა მკვლევართა ჩანაწერებში რეგიონის საზღვრების აღწერილობის სხვადასხვაობას.

ავტორი არაერთხელ მიუთითებს აჭარის საზღვრებზე. მისი აღწერის მიხედვით, აჭარა აჭარისწყლის ხეობაა ჭოროხის შესართავიდან სოფელ დანდალოს ჩათვლით (ქედის რ.). ვახუშტის თქმით, ტერიტორია დანდალომდის ტბეთის ეპისკოპოსის სამწყსოდ ითვლებოდა და დანდალოს ქვემოთ – ქუთათლისა. ზაქარია ჭიჭინაძეც სწორედ ამის საფუძველზე დებს საზღვარს ზეგანსა და აჭარას შორის, ზეგანი კი მიეკუთვნებოდა მესხეთს, სამცხე-საათაბაგოს, ზემო ქართლს. დღეს ზემო და ქვემო აჭარის გამყოფს ისევ დანდალო წარმოადგენს, ხოლო თვით აჭარა იწყება ჩოლოქიდან და მესხეთის ქედამდე ვრცელდება.

მეცნიერი წარმოგვიდგენს როგორც მთქმელთა ნაამბობს, ისე თავის დაკვირვებებსა და შეხედულებებს. ახერხებს და ასობით სახელზე გვაძლევს ეტიმოლოგიურ განმარტებებს. ზოგჯერ ავტორი ერთსა და იმავე მხარეს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებს, მაგრამ ეს არ ახდენს ნაშრომზე უარყოფით გავლენას, მთავარია, წიგნში მხარეების, ხეობებისა და სოფლების მიხედვით მოცემულია მაშინდელი მოსახლეობის ცხოვრების ძირითადი მომენტები. აღნუსხულია ცოცხალი ფაქტები; დართულია კომენტარები; ჩაწერილია ისტორიული ამბები. ამ მხრივ, იგი საყურადღებო წყაროა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა მკვლევრების იმ პერიოდისა თუ უფრო ადრინდელ ავტორთა ნაშრომებთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი განსაკუთრებული მოწიწებით იხსენიებს წარსულში ამ მხარეების დიდ კულტუ-

რულ წინსვლას, მწიგნობრობას, ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულებას, სარწმუნეობისა, რომელიც განსაკუთრებით დაზარალდა ოსმალთა შემოსევის შემდეგ ფანატიკოსობამდე მისული რელიგიური დოგმების დანერგვისა და მშობლიური, ეროვნული და სარწმუნეობრივი ღირებულებების ყოველი ხერხით წინააღმდეგობისა და გაუფასურების მეოხებით, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ ცნობიერებას.

წიგნში მოცემულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მდიდარი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-ტოპონიმიკური მასალა. მკვლევარი ძალზე საინტერესოდ გადმოგვცემს, ასურათხატებს მატერიალური კულტურის ძეგლებს —სხალთის ეკლესიას (217-218), ტბეთის ტაძარს (329-330), ბანას (277) და სხვა მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრებს და გვაწვდის ინფორმაციას ამ ცენტრების წარმმართველ და მათში აღზრდილ სწავლულთა შესახებ.

ოსმალების მიერ თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ქრისტიანობის აკრძალვის, იძულებითი უარყოფის, სადამსჯელო ოპერაციების ჩატარების, საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენლის მოსყიდვის, გადაბირებისა და სხვა ფორმების გამოყენებით, მოსახლეობა აიყარა მამაპაპისეული ადგილებიდან და ხიზნად იქცა საქართველოს ტერიტორიაზე. ბევრი მტერთან ბრძოლასა და რელიგიის იძულებითი შეცვლის წინააღმდეგობას შეეწირა, ბევრმაც შეიცვალა სარწმუნოება და ფარულად მისდევდა ქრისტიანობას, საბოლოოდ კი აღიარა ისლამი.

როდესაც ოსმალეთის ხელისუფლებამ შენიშნა, რომ ერის სამი მთავარი საუნჯიდან "მამული, ენა, სარწმუნოება", ოდენ, სარწმუნოების დაკარგვა-შეცვლა არ აღმოჩნდა საკმარისი, ადამიანთა გონებაში ოსმალური ორიენტაციის ჩანერგვისათვის, დაიწყო რელიგიური აღმსარებლობის ეროვ-

ნულობასთან გაიგივების პოლიტიკა და ადგილობრივ მცხოვრებთა გადასახლება მშობლიური, ქართული ტერიტორიებიდან თურქეთის შიდა პროვინციებში, ქართულ ტერიტორიაზე კი თურქები, ქურთები, სომხები და სხვა ხალხი ჩამოასახლა, ხელი შეუწყო მუჰაჯირობას, რათა სამშობლოწართმეულ მოსახლეობას იდენტობის მთავარი მახასიათებელი — ენაც დაეკარგა.

მიუხედავად ამისა, ზაქარია ჭიჭინაძეს ნამდვილად დახვდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში იმედის მომცემი მდგომარეობა. ბევრ სოფელში, ხეობასა თუ მხარეში ქართული ენა პირველ-ყოფილი სიწმინდით იყო შენახული, რომელიც მომავალში ქართული ცნობიერების აღდგენის მთავარი საფუძველი უნდა გამხდარიყო.

მოგვაქვს წიგნიდან იმდროინდელი აჭარის ერთ-ერთი მოწინავე წარმომადგენლის, ჰაიდარ აბაშიძის, წერილი "ბათუმის ქართულ გაზეთში" გამოქვეყნებული, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა.

,,ჩვენ ქართველ მაჰმადიანებს კი ნუ გვიწოდებთ, რაც ჟამთა ვითარების და ოსმალოს მახვილის წყალობით გვეწოდა, არამედ ჩვენც ისე გვიწოდეთ, როგორც თქვენ იწოდებით, **ქართველი**. თუკი თქვენ არ იტყვით კითხვის დროს, მე ქართველ ქრისტიანი ვარო, მაშასადამე, ჩვენ რაღა ძალა გვადგა, რომ ქართველ მაჰმადიანი ვიძახოთ. მოკლედ ვსთქვათ **ქართველი** და ესეც კმარა. ეს ჩვენმა თანამემამულე მუსულმან ქართველობამაც უნდა შეიგნოს". თხოვნა მიმართულია როგორც ქრისტიანი, ისე მუსულმანი ქართველებისადმი .

მიგვაჩნია, რომ საჭიროა დაკვირვებული და მოზომილი სიტყვა,; რომ მოფერება და გაფრთხილება სჭირდება დღეს აღდგენილ ურთიერთობებს ტაო-კლარჯეთისა და ფერეიდნის და საერთოდ, თურქეთისა და ირანის ქართველ მო-

სახლეობასთან, რათა გაღრმავდეს და განმტკიცდეს ეს ურთიერთობები, რომ ხელი შეეწყოს მათი ქართველობის იდენტობას.

უნდა შევნიშნოთ, რომ ჭიჭინაძის ნაშრომში ბევრი რამ საკამათოა. მას გადაჭარბებული შეფასება აქვს გამუსლიმანებული მოსახლეობის ქრისტიან ქართველთა მიმართ დამოკიდებულებებისა და სხვა საკითხებისადმი, რამდენიმე სოფლის სახელიც არ უნდა იყოს სწორად ჩაწერილი (შესაძლოა, მსგავსი შეცდომა ბეჭდური ხარვეზიც იყოს), მაგრამ ამ ნაშრომში ბევრი მნიშვნელოვანი წყაროა ჩვენი წარსულისა; წიგნი შეიცავს ბევრ საინტერესო ცნობას და როგორც წყაროს აქვს ღირებულია მნიშვნელობა.

სოფლები და კომლები

ზაქარია ჭიჭინაძე ჩამოთვლის ზემო და ქვემო ქართლის ყველა კუთხის სოფლებს, რომელთაგან დღეს რამდენიმე ნასოფლარია, ერთი მხრივ, მოსახლეობის შიგა რაიონებში გადასახლებისა და მეორე მხრივ, ჭოროხზე დემირელის გიგანტური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გამო. ბევრი სოფელიც უბნად ქცეულა და თურქული სახელწოდებით შესულა დიდ სოფელთა შემადგენლობაში..

ავტორის მიერ ყველა სოფლის დასახელებას თან ახლავს კომლთა რიცხვი, რაც ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის იმ დროს არსებულ დემოგრაფიულ სიტუაციაზე.

ავტორი გვიყვება ქობულეთსა და ბათუმში ქართული სკოლების გახსნისა და ქართული მწიგნობრობის განვითარების შესახებ, გვიყვება სახალხო მელექსეების — ბუჰანა ბაირახტარ შავიშვილის (სოფ. ვაიო, ქედის რ.) ჰუსეინ მჟავანაძის (ქობულეთელი), ჰუსეინ ხაბაზ ქამჯარაძის (სოფ აჭყვისთავი, ქობულეთის რაიონი) და სხვათა შესახებ.

მკვლევარი ჩამოთვლის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ მო-

სახლეობის გამოღვიძების, მასში ეროვნული ცნობიერების, ეროვნული სულიერების აღორძინების მნიშვნელოვან საქმეში, ჩურუქ-სუში (ქობულეთი) — ხუსეინ-ბეგ და იბრაიმ-ბეგ აბაშიძეებს, გულო კაიკაციშვილს, სულეიმან ბეჟანიძეს, დედი-აღა ნიჟარაძეს, კობალაძეს და აღწერს მათთან შეხვედრის ეპიზოდებს.

მოგზაური ქობულეთში შეხვედრია ხახუტოღლის (კომახიძეს), რომელსაც „მათებური წერა-კითხვა სცოდნიყო". ავტორი შენიშნავს — კინტრიშისა და ჩაქვის ხეობის მოლები სწერენ გაურკვეველი ხელით, ასეთ ნაწერს ისინი **"ჩვენებურს"** ეძახიანო (58).

ავტორი აფიქსირებს, რომ კომახიძეებისათვის ხახუტოღლი შეურქმევიათ, სინამდვილეში ხახუტაშვილები ტაოკლარჯეთიდან, ხახულის ხეობიდან არიან მოსულიო (354).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქობულეთში, შუშანეთის წმინდა გიორგის ნაეკლესიარში, ხალხი იმ დროშიც ახერხებდა თურმე დაეცვა ტრადიცია და პატივი ეცა მისთვის. „მე მაჩვენეს შუშანეთის ნაეკლესიარი, სადაც ერთი ქვის გვერდით ორ კოშტი წმინდა სანთლის ნაჭერი ვიპოვნე, ერთზე 3 კაპ. იყო მიკრული, ხოლო მეორეზე 2 კაპ. ერთი კვირის წინედ შეეწირათ ეს ფული ერთი ოჯახიდამ, რადგანაც მათ ერთი ბავშვი გახდომოდათ ავად აქვე და სხვა და სხვა ეკლესიის ნაშთებს სწირავენ ხოლმე ფულს, წმიდა სანთელს, ბამბას, თაფლს, საჭმელს და მამლებს, რომლებსაც ნაშთების გვერდით სტოვებენ და მას არც ერთი ქართველი მაჰმადიანი ხელს არ ახლებს" (59-60), ჭახათში კი ზოგი ქრისტიანებიც არიანო (63).

ჭიჭინაძის დიდი დამსახურებაა, რომ მისი ყურადღების გარეშე არ დარჩნენ ის ქართველები, რომლებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, უცხოეთში გადაიხვეწნენ, თუმცა თავიანთი ნიჭის წყალობით უმაღლეს სამსახურებრივ იერარქიას მიაღ-

წიეს და შეძლებისდაგვარად თანამემამულეებსაც გაუწოდეს დახმარების ხელი. ზ.ჭიჭინაძეს შეუდგენია მათი სია, რომელთა რიცხვიც 21-ს აღწევს. მათ შორის არიან: ოსმან (სამან-ფაშა) და ხასან ბეგ თავდგირიძეები, რამიზ, ხემიდ, რეშიდ და ვასიფ-ფაშა დუმბაძეები, ფარხად-ფაშა მაჭავარიანი, მეჰმედ-ფაშა შავიძე, ჯემილ, მეჰმედ-ფაშა და ხოსროვ ფაშა ერისთავი ,,ოსმალოს დიდი მინისტერი, ინგლისის კონსული", შაქირ ფაშა ხიმშიაშვილი, სელიმ ფაშა ცეცხლაძე, მეჰმედ-ფაშა გუჯაბიძე, მუსა-ფაშა ხუნდაძე და მეჰმედ ფაშა ვახვახიშვილი, ბერი ფაშა თავდგირიძე, მაკედონიისა და ალბანიის მთავარსარდალი (81-82). ბევრი მათგანის ბიოგრაფია ცნობილია, ხოლო ზოგიერთის ცხოვრების **შესწავლა თანამედროვთა ვალია.**

აქვე აღსანიშნავია, რომ ნაშრომში გადმოცემულია ალი-ფაშა თავდგირიძის მიერ ჩადენილი მრავალი ცოდვა და ამის გამო გამოთქმულია უამრავი საყვედური მის მიმართ, შეიძლება ზოგი საკითხი ამ მიმართებით სადავოც იყოს. ვთვლით, რომ საჭიროა ამ პიროვნების ბიოგრაფიის სიღრმისეული შესწავლა და დადგენა იმისა, ჩაიდინა თუ არა მან ღალატი და ვის მიმართ.

ჩურუქსუში, ქართული წერა-კითხვას გარდა, გავრცელებული ყოფილა ქართული „ავგაროზები". გარდა ამისა, აქა-იქ ძველებური ქართული ექიმობაც სცოდნიათ.

ერთს ოჯახში ძველი „კარაბადინებიცა" ჰქონიათ და ამ კარაბადინების საშუალებით ექიმობდნენ, "ბალახი ყაბზობის — აღმათით იხმარებაო "(105). ბევრი შელოცვაც სცოდნიათ, რომელთა უმეტესი ნაწილი ქრისტიანულ მოძღვრებაზე ყოფილა დაფუძნებული.

სოფელ ჭახათის (ტექსტშია ქოხათის - **ე.ბ.**) ტყეში არსებულ თლილ ქვაზე გამობმული კავი და ჯაჭვი ავტორს სახრჩობელად აქვს მიჩნეული (88). არ არის გამორიცხული, ეს

ჯაჭვი, რომელსაც ზოგან შეცდომით "გემის საბმურს" უწოდებენ (161), იყოს განდეგილი ბერების გამოქვაბულში ასასვლელი კავი.

სულეიმან ბეჟანიძისგანავე გაუგია ზაქარია ჭიჭინაძეს, რომ ადგილობრივი ქართველი ბეგები აპირებდნენ თავიანთი თავადაზნაურული ტიტულების დაბრუნებას და რომ ამ საქმეში ქართველი მოწინავე წარმომადგენლების იმედი ჰქონდათ: "ახლა გვინდა თავადაზნაურობის შესახებ დავა დავიწყოთ და არ ვიცით, როგორ მოვახერხოთ, იმედია, რომ ამ საქმეში თავადაზნაურობაც დაგვეხმარება" (73). ხუსეინ ბეგ ბეჟანიძე "გრ. გურიელს ნათესავად მოხვდება" (70) ძველად ბეჟანიძეები პირმსახურისშვილებად წოდებული გვარი (თამარ მეფის პირისფარეშებად ყოფილან, თვითონ ამ ბეგს, ახალგაზრდა თულუმბა ზადეს, რუსების შემოსვლის შემდეგ ქართული და რუსული ენა და წერა-კითხვაც შეუსწავლია. მწიგნობრისათვის მას ადგილობრივი გასაჭირიც შეუჩივლია, ქართული წიგნებიც უთხოვია და წიგნების დარიგებაში დახმარებაც შეუთავაზებია (70).

ბათუმში არსებული ჯამეების შესახებ ზ. ჭიჭინაძე წერს, რომ ბათუმის ქართველ მაჰმადიანებს სამი ჯამე აქვთ, ერთში ოსმალოს თათრები დაიარებიან, და ორში კი - ქართველი მაჰმადიანები. ერთი ჯამე ეხლა გადააკეთეს და განაახლეს. ეს ჯამე ზომიერია და ბევრის თათრულის წარწერებით არის შემკული. ჯამე გაუახლებიათ ხუსეინ-ბეგ და იბრაიმ-ბეგ ბორჩხელი აბაშიძეების დახმარებითა და თაოსნობით"(65).

ამ ციტატაში ყურადღებას იქცევს ის, რომ ოსმალებსა და მუსლიმანებს ცალ-ცალკე სალოცავი ჰქონიათ. ქართველების ჯამე ხუსეინ-ბეგ და იბრაიმ-ბეგ აბაშიძეებს განუახლებიათ. ამ ღირსეული პიროვნებების ქველმოქმედებაზე

მრავალგზის დაწერილა და თქმულა და ეს აქ აღსანიშნავად აღარ გამოგვაქვს, მაგრამ ციტატა ყურადღებას იქცევს იმ კუთხით, რომ ბათუმელი სანჯაყ ბეგების შთამომავლები ბორჩხიდან იყვნენო, რაც საეჭვოა, რადგან სხვაგან მსგავსი ცნობა არსად ფიქსირდება...

ზ.ჭიჭინაძე იბრაიმ-ბეგ აბაშიძის შვილსაც კი შეხვედრია, მაგრამ მას სახელით არ მოიხსენიებს. ჩვენი აზრით, ის მემედ-ბეგი უნდა იყოს. იგი ტრაპიზონის სამხედრო სასწავლებელში სწავლობს, ადრე კი ბათუმის ქართულ სკოლაშია ნამყოფი. ქართული წერა-კითხვა არ დავიწყებია, ამიტომაც ამბობს ავტორი: "მე გადავეცი მას რამდენიმე ქართული წიგნი... მთხოვეს, რომ კარგი იქნება თფილისიდან ქართული წიგნები გამოგვიგზავნოთ ხოლმეო, იქ ქართულ კითხვას არ გვიშლიანო"(70).

ზ.ჭიჭინაძემ აჭარაში პირველი ჩამოსვლისთანავე აშკარად იგრძნო, თუ როგორ ისწრაფოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები ქართული სკოლების გახსნის, წერა-კითხვის შესწავლის და ძველი ქართული ტრადიციების აღდგენისათვის. ამ საქმეში აქტიურობდნენ ყველა სფეროს ადამიანები, მათ შორის ვაჭრებიც — "ბათუმში სავაჭრო საქმეების მწარმოებელმა ქართველ მაჰმადიანმა ბატონმა მჟავანაძემ გადმომცა, რომ ბათუმის ვაჭარ ქართველ მაჰმადიანებთან ქობულეთის სკოლის დაარსების შესახებ საუბარი გვქონდა და გადავწყვიტეთ, რომ ამ თავითვე 200 მანეთი შევწიროთ და შემდეგ არ მოვაკლოთ ჩვენი ზრუნვა, ოღონდ კი ჩვენს ბავშვებს ქართულსა და რუსულს ქართველები ასწავლიდნენო" (73-74).

(1880) 1881 წელს ქართული სკოლა გაიხსნა ბათუმში, სკოლის დაარსების ამბავი მალე მოიფინა ქართველებში. (95). ამას მალე შედეგიც მოჰყვა და ქობულეთში ქართული სკოლა გაიხსნა.

ზ.ჭიჭინაძე მოწინავე ქართველ მოლებსაც გასცნობია, მათგან მოისმინა, რომ ქართულ სკოლაში ნასწავლ ახალგაზრდებს დასაქმება უჭირდათ და აუცილებელია იყო, რომ მათ ხელოსნობა, ფერშლობა და სხვა რამეც შეესწავლათ(100).

როგორც ცნობილია, ზაქარია არ ერიდებოდა მომლოცველებთან მეჩეთში შესვლას და ზოგჯერ ლოცულობდა კიდეც. მისი თქმით, ეს აუცილებელი იყო ნდობის მოსაპოვებლად. სწორედ ასე გაიცნო მან სწავლული ხოჯები: ჰაფიზ-ეფენდი აჭარელი მურვანიძე, უსეინ-ეფენდი შარაშიძე, ემინ-ეფენდი ქობულაძე, ახალგაზრდა ხოჯა, გვარად აბაშიმოხვდება" (24) , და სხვა., რომლებიც მეტ-ნაკლებად ცდილობდნენ ქართულ წერა-კითხვას და თავის მრევლსაც ასე ასწავლიდნენ.

ბათუმში დაარსდა სტამბები და წიგნის მაღაზიები, სადაც იბეჭდებოდა და იყიდებოდა ილიას, აკაკის, ყაზბეგის ნაწარმოებები. წერა-კითხვის მცოდნე პირები ამ ნაწარმოებებს დიდი კმაყოფილებით კითხულობდნენ, ხოლო სხვები წერა-კითხვის შესწავლით ინტერესდებოდნენ ამბობს ზაქარია.

ქობულეთის აღწერის შემდეგ ზ.ჭიჭინაძე ვრცლად ეხება **აჭარის ხეობას**, განიხილავს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფასა და კულტურას, აღწერს "ნიადაგის ძირითად პროდუქტებს": სიმინდს, ლობიოს, ხეხილს, ცხოველურ პროდუქტებს: ყველს, კარაქს, თაფლს, აგრეთვე მეთევზეობას. "ერთ დიდს ნაძვის ხის მუგუზალს აანთებს აჭარელი და ცალ ხელში დაიჭერს, ცალ ხელში რკინის ჯოხს და შევა წყალში; სინათლეზე თევზები მოგროვდებიან და მეთევზეც ჰხოცავს თევზს". მაჰმადიანობამ შეამცირა ჭერა თევზისა. თევზს თავზე ჯვარი აქვს გამოხატულიო (119-120).. ქობულეთის

წყლებში თევზი ბლომად არის, "ქობულეთში წყაროებს "საცივს" ეძახიან" (87-88), – წერს ავტორი.

ზ. ჭიჭინაძე დიდ ყურადღებას უთმობდა აჭარაში სასწაულებრივად გადარჩენილ ხელნაწერებს, კერძოდ, კარაბადინების, ავგაროზების, კალენდრების და სხვათა არსებობას. ეს დოკუმენტები მას სამართლიანად მიაჩნდა ადგილობრივ მოსახლეობაში ქართული ცნობიერებისა და ზნეჩვეულებების აღდგენის საწყის საშუალებად.

საინტერესოა ზ. ჭიჭინაძის დაკვირვება აჭარაში არსებულ გვარებზე. ის წერს: — "აჭარის მცხოვრებთა გვარები უფრო ძეებით თავდება და ზეგნისა კი — შვილებითო. თვით ძველთ აზნაურთა და თავადთა გვარებიც კი ასე განირჩევა აჭარაში: პირფარეშის-ძენი ანუ დღეს ბეჟანიძეები, შარუაშიძეები, დიასამიძეები, თურმანიძეები, ბერიძეები, მიქელაძეები, თავდგირიძეები, ნაკაშიძეები, ნიჟარაძეები და სხვანი. ზეგანში: ხიმშიაშვილი, შალიკაშვილი, ავალიშვილი, ავალიანი, ბარათაშვილი, ბაგრატოვანი, ჯაყელი, ორბელიანი, ერისთავი და სხვ. (120).

ამჟამად შალიკაშვილი, ავალიშვილი, ორბელიანი, ბაგრატოვანი, ერისთავი ზემოაჭარაში არ დასტურდება; რაც შეეხება ბარათაშვილებს, ისინი ცხოვრობენ მხოლოდ სოფელ რაქვთაში და ისინიც ფურტიოდან წასული ბერიძეები არიან[27]. "შვილზე" დაბოლოებული გვარები უფრო ქვემო აჭარაში გვხვდება.

ავტორი ზემოაჭარულისა და ქვემოაჭარულის კილოკავურ სხვაობაზეც შენიშნავს (120). დღევანდელი დაყოფით აჭარული დიალექტი ასე იყოფა — ხულოსა და შუახევის რაიონების მეტყველება, ქედისა და ხელვაჩაურის რაიონების მეტყველება კირნათ-მარადიდის მეტყველების გამოკლებით

[27] ე.ბერიძე, ბერიძეები, ბათუმი, 2002, გვ. 207.

(რომელიც შედის ლივანურ კილოში) და ჩაქვისწყლის ხეობის მეტყველებითურთ, ქობულეთური კილოკავით[28].

წიგნში ავტორი მოგვითხრობს მოწინავე ადამიანის, აჭარის მუფთის (სამზიარელი, ქედის რ.) ახმედ ხალიფაშვილისა ("აჭარიდგან რომ ისე ცოტა ხალხი გადასახლდა მაშინ ოსმალეთში, ეს სულ ამ მუფტის საქმე იყო და ამის ოსტატური ქადაგებისა") და ისმაილ ხოჯას შესახებ (ეს უკანასკნელი სულთან მამუდის კარზე დარჩენილა).

ახმედ ხალიფაშვილს სულთან მამუდისათვის უცნობებია, რომ ჩვენ ქართველები ვართ და ქართულ ენაზე გვინდა არაბული სწავლა-განათლების მიღებაო, რაზედაც დასტური მიუღია ოსმალეთის შეიხულ ისლამისაგან. ყურანი უთარგმნის ისმაილ ხოჯას და დაუწყიათ მისი სწავლება სასულიერო სასწავლებლებში ქართული ანბანით, რითაც ხელი ეწყობოდა ქართული წერა-კითხვის გავრცელებას. ამ მეთოდით სწავლება 1855 წლამდე გაგრძელებულა, შემდეგ აუკრძალავთ (153-154).

ზ. ჭიჭინიძე ოჯახურ ყოფასაც ეხება და განსხვავებით დ. ბაქრაძისა და გ. ყაზბეგისაგან, ამბობს, რომ ,,აჭარაში უფრო კარგად მღერიან, ვიდრე მაჰმადიან ქართველთ სხვა მხარეებში. ყველგან იციან ქართული შეწყობილი ხმები და ყველგან მღერიან ქართულად, მაგრამ უფრო უკეთესად აჭარაში მღერიან, ყველგან "ოდელიას" გაიგონებთო.

ავტორი აღგვიწერს ქობულეთურ შეწყობილ ,,ნადურს" (89).

ზ. ჭიჭინაძე განსაკუთრებულად აფასებს აჭარელი ქალების დამსახურებას, რომელთაც ,,ოსმალური ენა სრულიად არ იციან... ჩვეულება და ადათი ამათში სულ ისევ ქარ-

[28] ენობრივი სიტუაცია სამხრეთ-საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტების შედგენილობის საკითხი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, 2010

თულია დარჩენილი: "ნანას" ქართულად ეუბნებიან ყმაწვილებს" (122). შეჭირვებისას "ღმერთოს" ამბობენ და არა "ალა-ალაჰს". აჭარაში ისევ დედაკაცების იმედი უნდა გვქონდესო, ამბობს ზაქარია, რადგან ისინი უფრო კონსერვატორები და ძველის მიმდევარნი არიანო." ქალებს ზოგთ ახსოვთ ქართული ლოცვები და ბევრს ალაგას ქართული ქრისტიანული შელოცვებიც იციან; ზოგს სოფლებში, აღდგომისთვის წითელ კვერცხსაც ჰღებვენ. ეკლესიის ნანგრევები, ნასოფლარები და ნასაყდრალები მრავალია. ნასოფლარ ადგილებთან და ნამეტურ ეკლესიების ნანგრევებთან მრავლად არის ქვევრები". ღვინის დასაწურ, დიდრონ ქვებსაც ხშირად ნახავთო.

ქართული წერა-კითხვის მცოდნეთაგან ზ. ჭიჭინაძე, ქობულეთის მკვიდრთა შემდეგ ასახელებს ქედის მცხოვრებლებ , ზენდიდელ ბეჟანიძეებს, რომლებიც გასაკუთრებული სიყვარულითა და სისათუთით ეპყრობოდნენ ქართულ ენას, ცდილობდნენ ზედმიწევნით კარგად სცოდნოდათ წერა-კითხვა და ამ მისწრაფებას სხვებსაც გადასცემდნენ. ამის მაგალითად ზაქარიას მოყავს ერთი მანდილოსანი ბეჟანიძეთა ოჯახიდან, რომელსაც შვილიშვილები სასწავლებლად სტამბოლში ჰყოლია, ბებიამ უცხო ქვეყანაში მათი ნახვა ისურვა, თანაც ეშინოდა ენა ხომ არ დაივიწყესო.. დაბრუნებისთანავე ბებიამ მათ დედა-ენა და რამდენიმე სხვა წიგნი გაუგზავნა".

ქობულეთის მსგავსად, ზ. ჭიჭინაძე ქვემო აჭარის სოფლების სახელებსაც გვაწვდის კომლთა რაოდენობის მითითებით. ეს მაჩვენებლები შეიძლება შედარებით მეტად სარწმუნოდ მივიჩნიოთ, რადგან არა გვაქვს მრგვალი ციფრები; სოფელთა სახელების ძველი და ახალი აღწერილობა არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგალითად: წყავრუკა//წყავროკა, სკურე//სკურდა, ჩახედენი//ჩახედანა,

ტყემაკრავა//ტყემაკარავი, ხალვაშენეები//სახალვაშო, (57,64), რაც **ცალკე კვლევის საგანია** ამავე პერიოდის სხვა მკვლევართა ჩანაწერებთან თუ ოფიციალურად შედგენილ სახელებთან შედარების გზით.

ბევრ სახელშიც მომხდარია ფონეტიკურ-მორფოლოგიური ცვლილება, მაგალითად: ზენათი//ზენითში (58) გვაქვს ა-ი ხმოვანმონაცვლეობა, კოკიტაური//კოკოტაურთან და ბზუბზო//ბზუბზუსთან (143-157) სრული ასიმილაცია, ჩახედენი//ჩახედანთან (57) კი დისიმილაცია, აბუჩაშვილები//ბაბუჩაშვილებითან (143) ბგერის გაჩენა, ხოლო – გობურნეთი//გობრონეთში (147) ნაკლებადაა სავარაუდო, რომ გობურნეთი წარმოშობილი იყოს სახელისაგან- გობი მასზე -ურ სუფიქსისა და შემდეგ ტოპონიმის მაწარმოებელ -ეთ სუფიქსის დართვით. დღევანდელი ადმინისტრაციული სახელი -გობრონეთი გვაფიქრებინებს, რომ ეს ტოპონიმი ნაწარმოებია საკუთარი სახელისაგან "გობრონა". საქართველოში გვხვდება მსგავსი ტიპის ტოპონიმები: ვარდენ-ეთ-ი,[29] აკვანეთ-ი,[30] სარკინ-ეთ-ი, კვერნ-ეთ-ი[31].

ქართულში რამდენიმე ბგერა წარმოთქმისას წარმოების ადგილის მიხედვით ემსგავსება მომიჯნავე ბგერას, ამით უნდა იყოს ნაკარნახევი თუ ჩაწერილი ჭიჭინაძისეული"ზეზოფელი"(158) ზესოფლის ნაცვლად .

ავტორის ენა საუკეთესო მასალაა 100 წლის წინანდელი სალიტერატურო ქართულის ზოგიერთი ლექსიკური ერთეულისა და, უფრო მეტად, გრამატიკული ფორმების ანალიზისა და შედარებისთვის დღევანდელ სალიტერატურო ქართულთან.

---

[29] ე.ბერიძე, ნიგალი, თბილისი 2009, გვ. 271.

[30] მიხეილ ქამადაძე, ძემო აჭარის ტოპონიმია. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ბათუმი, 1992.

[31] გ. ბედოშვილი, ერნო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980, გვ. 19.

ქედის მთავარ გვარებად ავტორს მიაჩნია თავდგირიძე და ბეჟანიძე, ანუ ძველად პირმსახურისძენი, "ბეჟანიძეებს და თავდგირიძეებს შორის ერთ დროს ომი და ოდიგარიც ასტყდა"- ამბობს ზ.ჭიჭინაძე.

ბათუმის გარეუბნების აღწერისას ზ.ჭიჭინაძე ასახელებს ერთ სოფელს, რომელსაც ჰქვია დედა-ბერა, "აქაც სახლობენ აფხაზნი, ამ სოფელს დღეს სახელი გამოუცვალეს და სტეფანოვკა ჰქვიან, ადრინდელი ბათუმის ოკრუგის უფროსის გვარია". საინტერესო მიგნებაა, ჩვენ უკვე ვიცით ბათუმის ერთ-ერთი გარეუბნის სტეფანოვკის ძველი სახელი - დედაბერა. ასევე ცნობილია, ე.წ ,, ხოლოდნაია სლობოდას", იმავე გოროდოკის ძველი სახელი გრილუბანი. სასურველია ამ დასახლებებს დაუბრუნდეთ თავიანთი ძველი სახელები.

ზ.ჭიჭინაძე ყურადღებას ამახვილებს თუშ-ფშავ-ხევსურებზე, რომელთაც ამ ბოლო დროს დაიწყეს მოგზაურობა აჭარაში, მიერეკებიან დიდძალ ცხვარსა და ძროხას და კვალში ჩაუდგნენ ქურთებს, რომლებიც აქაურობას მძიმე დღეში აგდებენო. ჭიჭინაძეს იმდენად სასარგებლოდ მიაჩნია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მწყემსთა აჭარის იალაღებზე გადმოსვლა, რომ ,,სანატრელი იქნებოდა, მასთანვე ყველასთვის სასარგებლოც, რომ თუშების ერთი ნაწილი ბარემ აქეთვე გადმოსახლებულიყო და დაბინავებულიყოო"- ამბობს იგი. აქ მთავარი სურვილი ისაა, რომ თუშ-ფშავ-ხევსურები დაიკავებდნენ ქურთების ადგილს, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ამ "მტაცებლებისგან" გაათავისუფლებდა (209). თუშ-ფშავ-ხევსურების საქონლით ჩამოსვლას აჭარაში თავისი მიზეზი, ისტორიული საბაბი ჰქონდა. აჭარელი ხიმშიაშვილები ნათესაობდნენ არაგვისპირელ თანამოგვარეებთან, რომელთაც აჭარაში თავიანთი საძოვრებიც გააჩნდათ, ამიტომ მათი პირუტყვი აქ ყოველთვის დაცული იყო.

ავტორი ასახელებს სოფლებს, მცხოვრებთა გვარებს და მათ მდგომარეობას.

დანდალო 50 კომლი, ცხოვრობენ ძველი აზნაურები - ავალიანები. ახლომახლო სოფლებში კი მათი ძველი ყმები - ჯალაბაშვილები, გოგიაშვილები, არზანაძეები, გორგაძეები, კოკიტაშვილები და სხვები.

საფარა 20 კომლი, ცხოვრობენ საფარიძეები, რომლებიც მაჭახლიდან დოლოგანში ასულან და შემდეგ საფარაში დასახლებულან, ქრისტიანული საყდარი აქ 1850 წელს დაუნგრევიათ.

აგარა 60 კომლი (ქედა), აქ მცხოვრებნი დევაძეები საუკუნის წინ გურიიდან მოსული აზნაურები ყოფილან.

სოფელი ზაქარიაძეები — 40 კომლი. ესენი გლეხები არიან. ძველი ზაქარიაძეები მაჭახლიდან ყოფილან, აზნაურები. ბევრი მათგანი გაფრანგებულა, (კათოლიკობა მიუღია – **ე.ბ.)** გაფრანგებულთაგანი ზოგი ართვინში ცხოვრობდა, ზოგიც - სხვაგან. რუსების შესვლის დროს ართვინის კათოლიკების ეპისკოპოსად ზაქარიანი ყოფილა, რომელიც თავს ქართველთ შთამომავლად აღიარებდა თურმე (142).

ვინც მტერს წინააღმდეგობას უწევდა, მათ ხოცავდნენ და ამ ადგილებზე საქართველოდან გამოქცეულ გამუსლიმანებულ ქართველებს ასახლებდნენო (147), ხოლო, ვინც ხვდებოდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, თუ შეძლებდა და მოახერხებდა საქართველოს შიდა რეგიონებში გურიაში, იმერეთსა და ქართლში გარბოდა (88), (170), (173).

მეძიბნას (ქედა) მცხოვრებნი აქა-იქ გაქცეულან ოსმალოს გამო, ხოლო აქ არდანუჯისა და ართვინის ქართველი მაჰმადიანები დასახლებულან (152)

ყომბალოდან 1830 წელს (ომბალო, ხელვაჩაური, სოფელი თხილნარი) სხვებთან ერთად ოსმალების წინააღმდეგ აჯანყებული მოსახლეობა აფრიკაში გაუსახლებიათ (171).

სამზიარი (ქედა) მშვენიერი სამზერალი სოფელია. აქ ცხოვრობენ აბულაძეები, რომლებიც არტაანიდან (არდაგანი) გამოქცეულან ამ კუთხის გათათრების გამო და სამზიარში დასახლებულან, რადგან აჭარაში ქრისტიანობა აქა-იქ კიდევ ბრწყინავდაო. ამავე სოფელში მოიხსენიება გვარი ხალიფაშვილი, რომელიც აჭარაში ამჟამად აღარ გვხვდება. სავარაუდოდ, სოფლის სახელი წარმომდგარი უნდა იყოს არა სამზერალიდან, არამედ სამზიარიდან.[32].

საინტერესო აზრს გვთავაზობს ავტორი გულების, შავაბურის, ზენდიდის და სხვა მრავალი ტოპონიმის წარმომავლობის შესახებ.

კეჟერაძეები, რომლებიც ამჟამად შუახევის რაიონის სოფელ სამოლეთში ცხოვრობენ, მაჭახლიდან ასულან. მაჭახლიდან ასულან საფარიშვილები დოლოგანში.

სურმანიძეები კი საბერძნეთიდან, სურმანიდან მოსულან წინათ.ეს მოგზაურს სურმანიძეთა წარმომადგენელმა უამბო..

დამკვიდრდა ოსმალური გადასახადები, ოსმალური ,,სალდათი", ოსმალური დაწყებითი განათლება ადგილებზე მედრესეებში და შემდეგ - რუსტიაში, რა თქმა უნდა, თუკი ვინმე შეძლებდა გონებითა და საშუალებით, წასულიყო ამ უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში. ქართველი ახალგაზრდებიც შეძლებისგვარად მიდიოდნენ და ღებულობდნენ განათლებას ორდუს, ტრაპიზონის, სტამბულისა და ერზრუმის სასულიერო სასწავლებლებში, მაგრამ საკუთარ სამშობლო-

[32] ე. ბერიძე, სამხრეთ-დასვლეთ საქართველოს ონომასტიკა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ და უცხოელ მკვლევართა შრომებში, ბათუმი, 2006, გვ. 73.

ში მათ არ ან ნაკლებად ნიშნავდნენ სამსახურებში (68-69). ისინი ხშირ შემთხვევაში ახერხებდნენ, გამხდარიყვნენ ცნობილი ადამიანები, რომელთაგანაც ბევრი ქართული ორიენტაციისა იყო. მიუხედავად რელიგიური მრწამსისა, მათ ჰქონდათ ქართველებად ყოფნის, სამშობლოში ყოფნის სურვილი. ასეთ პიროვნებებს მიეკუთვნებიან: ლომან ბერიძე, ლომან ქარცივაძე და სხვები.

ქართველებს უკვე გამუსლიმანებულიყვნენ, მაგრამ მათ ჰქონდათ ანტიოსმალური განწყობილებები, სწრაფვა ეროვნული თავისუფლებისაკენ. აჭარის მოსახლეობამ ეს დამოკიდებულება დაადასტურა 1815, 1830, 1845 და 1852 წლების ანტიოსმალური აჯანყებებით (135). ავტორი მოგვითხრობს ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლ აჭარელთა წინამძღოლების - ზენდიდელი ჰაჯი ასან ბეგ ბეჟანიძის, აგარელი - დევაძეების, ორცველი –(ტექსტში – ორცო, ობგერის რედუქცია ქართულში გვაძლევს ვ ბგერას) ალიქოლლი შერვაშიძის (135) შესახებ.

ზემო აჭარაში მოგზაურობისას ზაქარია ჭიჭინაძის ერთ-ერთი მეგზური და საიმედო ინფორმატორი, რომელიც ,,სოფლების ანუსხვისთვის დიდს ხელმძღვანელობას უწევდა, იყო ნური -ეფენდი ბერიძე, პატივცემული ხოჯა მთელ ზეგანში და დაბა ხულოს მეჯლისის ყადი, დიდად პატივცემული და გონიერი პირი" (სოფელ ფურტიოდან - **ე.ბ.**) (221). **ნური ბერიძეს** ავტორი სხვა წიგნებშიც იხსენიებს. ამ ყადთან საინტერესო შეხვედრების შესახებ გვიყვებიან თედო სახოკია და სხვა მკვლევარ-მოგზაურები.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს სხვადასხვა პერიოდში აჭარაში მოგზაურობისას, სხვადასხვა პირთაგან ჩაწერილი აქვს და შესაბამისად, სხვადასხვა დროს გამოცემულ ნაშრომებშში (1912, 1914წწ.) შეტანილი აქვს ცნობები **ლომან ეფენდი ბერიძეზე**, როგორც, სულ-

თან აზიზის აღმზრდელსა და ოსმალეთის იმპერიის შეიხულ-ისლამზე.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ " ამ ხოჯის (ნური ყადის) წინაპარნი იყვნენ სულ გონიერნი კაცნი და ერთი მათგანი გახლდათ ჰაჯი ლომან ეფენდი ბერიძე. ეს პირი სტამბოლში ცხოვრობდა, იგი ალოცებდა სულთან აზიზს. ამავე სულთნის დროს იგი სტამბოლში დადგენილ იქნა მთელი ოსმალეთის შეიხულ-ისლამად. ამ პირს დიდი ხმა და გავლენა ჰქონია ოსმალეთის მთავრობაზედ. მის დროს ქართველ მაჰმადიანებს იქ ვერავინ დასჩაგრავდაო". [33]

1830 წელს ოსმალეთის კარზე შეიხულ ისლამად გახლდათ ღირსეული კაცი ჰაჯი ლომან ეფენდი ბერიძე-ზეგნელი, რომელმაც განათლება სტამბულში მიიღო. იგი იყო დიდად მახვილგონიერი და მომზადებული ისლამის სწავლაში, წარმოსადეგი ვაჟკაცი და კარგი ხმის პატრონი. მან ისე გაივრცელა სახელი სტამბოლში, რომ მისი ქება შეიტყო თვით **სულთან აზიზმაც**. აქედან მიაღწია მან შეიხულ ისლამის ხარისხს, ამან ქართული ენაც კარგად იცოდა [34].

სამწუხაროდ, ეს გვარი არ ფიქსირდება 2012 წელს გამოცემულ წიგნში "ოსმალეთის ქართველები"[35], რის გამოც, ვფიქრობთ, ეს **საკითხი თურქული და სხვა წყაროების მიხედვით უფრო ვრცლადაა შესასწავლი და განსახილველი;**

წიგნში ავტორი ასევე გვიყვება გურჯი ჰაჯი ლომან ეფენდი ქარციევაძის შესახებაც, (რომელიც გახლდათ, უკვე ხსენებული ნური ბერიძის სიმამრი).

ჟამთა ვითარების გამო ქართველნი სხვა შეხედულებისა და მიმართულებისანი გამხდარიყვნენ, მიუხედავად ამისა, მათში მაინც იყო თითო-ოროლა ისეთი, "რომელთაც

---

[33] ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში", 1912, გვ.142.
[34] ქართველთა გათათრება, 1914, გვ. 209.
[35] მ. ქასაბი, ოსმალეთის ქართველები, სტამბოლი, 2012.

შეგნება აქვნდათ მის, რომ თუმცა იგინი სჯულით მუსლიმანები არიან, არამედ ტომით და ენით იყვნენ გურჯები და გურჯისტანელნი. თავის დროს, ერთი ასეთი პირთაგანი იყო ხოჯა **გურჯი ლომან ეფენდი ქარცივაძე,** რომელიც მოკლედ მაინც გავიცნოთ, –გვეუბნება ზაქარია ჭიჭინაძე (359).

ლომან ეფენდი ქარცივაძის დაბადება ეკუთვნის XIX საუკუნის 20-იან წლებს, ქართული ტერიტორიების თურქეთისაგან გათავისუფლების შემდეგ რუსთაგანაც პატივით ყოფილა მიღებული და პენსიაც დაუნიშნავთ მისთვის, თვეში 100 მან. იგი პეტერბურგშიც ყოფილა მიწვეული ალექსანდრე მესამის მეფედ კურთხევაზე. Ილომან ქარცივაძე გარდაცვლილა 1889 წელს. "იგი ზეგნელი გახლდათ, გაზდილი საქართველოში, სწავლა მიიღო აჭარის მუფთის სკოლაში, მერე კონსტატინეპოლს იქნა წასული იქ მიიღო ამან საღმრთო სწავლა, კარგად შეისწავლა არაბული, ოსმალური ენები, ქართული ენაც კარგად იცოდა, გარდა წერა-კითხვისა. ესეც მიტომ, ვინაიდგან მის დროს, ქართველ მაჰმადიანები მოიძულებდნენ ქრისტიან ქართულ ენას, როგორც არამუსულმან ენას. ლომან ეფენდი ამის წინააღმდეგი იყო და იგი არათუ მოიძულებდა საქართველოს და ქართულ ენას, არამედ თანამემამულე ხოჯებს და მოლებს აუწყებდა ასე: ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ნათესავები აგერ, იქით არიან. ჩვენი და იმათებური ენა და წიგნიც ერთი არისო"(225).

18 წლის განმავლობაში ლომან ქარცივაძე ყოფილა უფროსი მასწავლებელი სტამბოლის სასულიერო სასწავლებლისა, ამასთანავე სულთან მამუდის მლოცველიც. "სულთნისაგან მას ნიშნები და ულუფაც (10 ოქროს პენსია) ჰქონდა დანიშნული. საქართველოში ყოფნის დროს, ხალხში ყოველთვის ქართულ ენას ხმარობდა, ამ ენითვე ქადაგებდა ჯამეში. ყველას ეუბნებოდა, რომ ჩვენ გურჯები ქართველე-

ბი ვართ, ჩვენი სამშობლო ქვეყანაც ეს არის და ჩვენი ენის წიგნიც უნდა ვისწავლოთო. ხანში შესვლის შემდეგ ის თავის სამშობლოში დაბრუნდა და ხულაში სასულიერო სკოლა გამართა, სადაც 100-მდე ქართველ ახალგაზრდას ასწავლიდა. ამისთანა ქადაგებით მოხუცდა ეს პირი" (321).

ზაქარია ჭიჭინაძე სწვევია ჰაჯი ლომან ეფენდი ქარციევაძის ოჯახს (359-360).

ლომან ეფენდი, როგორც ულემი (ღვთისმეტყველი და სამართალმცოდნე), შეტანილია წიგნში "ოსმალეთის ქართველები."[36]

ქვემო აჭარის მსგავსად, ავტორი აღწერს ზემო აჭარის სოფლებს და მიუთითებს კომლთა რაოდენობას სახელთა მაშინდელ აღწერილობასა და დღევანდელ ფორმებში აქაც შესამჩნევი სხვაობაა. ასე მაგალითად: მჭედრული//მჭედლური, თათერული//ფოთელური, გუნდარა//გუნდაური, ოქროპარულა// ოქროპირაული, დაკლაკიძე // ლაკლაკეთი, ჯაბანიძე// ჯაბნიძეები, ღვანი // დღვანი, კვირიხიძე// კვიახიძეები, გადასახვევი // გუდასახო. ზაქარია ჭიჭინაძეს ხშირად საყვედურობენ, რომ ტოპონიმები არასწორად აქვს ჩაწერილიო, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ცვლილებები, ძირითადად, ენის განვითარების შედეგია და არა ჭიჭინაძისეული ჩაწერისა. ტოპონიმებში აქაც მნიშვნელოვანი ცვლილებებია მომხდარი, მაგალითად: მჭედლურს დიალექტში დღესაც მჭედრულს ან, უბრალოდ, ჭედრულს უწოდებენ, რა თქმა უნდა, ასე ჩააწერინეს მკვლევარსაც; თათერული//ფოთელური- დიალექტში უწოდებენ ფეთერულს. თუ დიალექტურ ფორმას (ფეთერულს) მივიჩნევთ ამოსავლად, მაშინ შეიძლება ვთქვათ, სახელში მომხდარია თ-ს დისიმილაცია და ა-ს ასიმილაცია, ხოლო თუ ამოსავლად მივიჩნევთ დღევანდელ ადმინისტრაციულ

[36]მ. ქასაბი, დასახ. ნაშრომი, გვ. , 219.

სახელს(ფოთელურს),მაშინსახეზეა ნაწილობრივი,რეგრესულიასიმილაცია(თათერული//ფოთელური). ღვანი/დღვანის სახელში კი - ბგერის გაჩენასთან გვაქვს საქმე. დაკლაკიძე, ჯაბანიძე, კვირიხიძე ტოპონიმები მხოლობითი რიცხვის -ძე დაბოლოებით, ასევე სწორადაა ჩაწერილი. ამ ფორმითვე გვხვდება სახელით ნაწარმოები ტოპონიმები იმ პერიოდში და უფრო ადრეც, ანთროპოტოპონიმების –-ებ- სუფიქსით (მრავლობითი რიცხვით) გაფორმება კი შემდეგი პერიოდის მოვლენაა. რაც შეეხება დაკლაკიძე/ლაკლაკეთს, არ არის გამორიცხული -დ ადგილზე –ლ მიღებული იყოს ასიმილაციის შედეგად, არც –ძე- სუფიქსის –ეთ-ით შეცვლაა ენისთვის უცხო. –ეთ- და –თი- სუფიქსები ტოპონიმების ისეთივე მაწარმოებელია ქართულში, როგორც –ებ- სუფიქსი; ჯაბნიძე-ჯაბანიძის კუმშვის შედეგი უნდა იყოს, ხოლო გუნდარა –ა- სუფიქსით გაფორმებული სახელი. –ა- სუფიქსით გაფორმებული სახელი მრავლად გვაქვს საქართველოს ყველა კუთხეში. რაც შეეხება ოქროპარულას, იგი ან არასწორად ნაკარნახევია (მაგალითად, ხელვაჩაურს დიალექტში უწოდებენ ხელვეჩავრს, ბუთურაულს— ბუთრავლს, შუახევს — შვახევს) ან -მცდარად ჩაწერილი. ოქროპარულა, ამჟამად ოქროპილაური, უნდა იყოს მიღებული ოქროპირაულისაგან. დამაფიქრებელია სახელი **ოქროპარულა,** ხულოში არის სოფელი დანისპარაული, თუ ასე განვიხილავთ სახელს, მაშინ მოსალოდნელი იყო ოქროპარაული, თუმცა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვაქვს ურ-ა, ულ-ა რთული სუფიქსით ნაწარმოები სახელებიც: დამასტურა, ჭურულა, კოლხურა.[37]

ავტორს თავში — "ზეგანი, ანუ ზემო აჭარა," ციხესიმაგრეები, ეკლესიებისა და სხვა აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები, თვით ტოპონიმები და მათი წარმომავლობა ნში

[37] გ. ბედოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. ,25.

დაწვრილებით შეუტანია, რაც, როგორც თვითონ ამბობს, მისი თანამგზავრის — ნური ეფენდის განსწავლულობის დამსახურებაა. საინტერესოა ნური-ეფენდის ნაამბობი ხულოს შესახებ, კერძოდ, ახმედ-ფაშის სასახლისა, რომელიც მის პატრონს ციხესიმაგრის ნანგრევებზე (და არა ეკლესიის, როგორც ამას წერდნენ) აუშენებია. „ეს სახლი დაქცეულ-დანგრეულია, ამ სახლის აბანოში ერთი მეტად ძველი, ზორბა ზარბაზანიც გდია, ხალხმა ამ ზარბაზნის არაფერი იცის, თუ როდის და ვის მოუტანია. ნური ეფენდის ამის შესახებ უთქვამს: „ახმედ -ფაშის ძმა ქორ- ხუსეინ ბეგ ხიმშიაშვილი ძლიერ წინააღმდეგი იყო ოსმალეთის მთავრობისა, იმასა სურდა, რომ ეს მხარე ოსმალებისა არ ყოფილიყო. 1844 წელს 3000 აჭარელით ოსმალთ ომი აუტეხა, ოსმალომ ჯარი გაგზავნა, ათი ათასი კაცი. ქორ-ხუსეინი ამ ციხეში იყო და აქედან შეება მათ. საქმე გაუჭირდა ოსმალთ, ბოლოს აჯანყებულები სადაცაა მოძალადეებს გარეკავდნენ თავისი მიწა-წყლიდან, მაგრამ თავი იჩინა ღალატმა. ხეირულა-ბეგ ჯაყელმა გასცა აჭარელთა გეგმები და აჯანყებულები დამარცხდნენ, ქორ-ხუსეინიც დაიჭირეს, სტამბოლში წაიყვანეს, სადაც მოჭრეს თავი. ეს ციხე და სასახლე მაშინ დაანგრიეს“ (230).

მართლაც სავალალო და საინტერესო ისტორიაა. დავამატებთ, რომ სასახლეში არსებული ზარბაზანი ახმედ-ფაშის ნადავლი იყო, რომელიც გენერალ ოსტენსაკენის ავანტიურისტული გამოხტომის შემდეგ ჩაიგდო ხელთ.

ზ. ჭიჭინაძე საკმაოდ დეტალურად აღწერს მაჭახლის ხეობის სოფლებსაც, მაგრამ ამჯერად რატომღაც არ ასახელებს კომლთა რაოდენობას. ის საკმაოდ კრიტიკულია მაჭახლის უბნის უფროსის (1878-1881წ.წ.) დავით წერეთლის მიმართ, რადგანაც იგი „დროებაში“ წერდა, რომ „მაჭახლელები სცხოვრობდნენ მტაცებლობითო, ესენი ხალხს სცარცვა-

ვენ, მარადიდელებს ჭოროხში სამგზავრო ნავებსაც აჩერებინებენ, თორემ თოფს გესვრითო და ამათაც სცარცვავენო... მაჭახელი არის ბუდე ავაზაკებისაო; აქ ისეთი ბეგი არ იქნება, რომ გამოქცეული რუსი სალდათების, ქართველების და გურულების შეფარებულები არა ჰყავდეთო. აქ კაცის მოკვლა ქება არის, ძაღლის სიკვდილი კი - ცოდვაო“ (245). სხვათა შორის, მაჭახლის ხეობიდან ოსმალეთში მუჰაჯირად წასვლის მიზეზადაც ზ. ჭიჭინაძე დ. წერეთლის მმართველობას ასახელებს.

ნაშრომში მოცემულია მურღულის სოფელთა სახელები და დემოგრაფიული მონაცემები. ავტორი ზოგადად ახასიათებს ხეობას, როგორც უძველეს ქართულ მხარეს, თავისი ისტორიული ძეგლებით, ციხესიმაგრეებით, ხიდებით, და რაც მთავარია, ქართული ტრადიციებითა და შენახული წეს-ჩვეულებებით. მურღულში მშვენიერი ჰაერი და ცივი წყაროებია, ავადმყოფობა იშვიათია, - წერს ავტორი.

მურღულის ხეობაში ქრისტეს წინად ქართველთ და ელინთა სამადნო ქარხნები ჰქონდათ დახსნილი და რკინა, თითბერი და სპილენძი გამოჰქონდათ. ბერძნებმა იცოდნენ ეს და ამიტომ ქართველთ გადასახლების დროს აქაური ადგილების უმეტესი მადნის მთები მათ იყიდეს. ბევრი გამოძიების შემდეგ ყველა ეს ადგილი ინგლისის მდიდარ სამადნო საქარხნო წრეებს მიჰყიდეს და დღეს ნახევარი მურღული მდიდარი ინგლისელების საკუთრებას შეადგენს – მოგვითხრობ მწიგნობარი.

ზ. ჭიჭინაძის ნაშრომში ჩამოთვლილი მურღულის სოფელთა სახელები, მათი დემოგრაფიული მონაცემებით შედარებულია ამ რაიონის 2008 წლის მდგომარეობით არსე-

ბულ სოფელთა სახელებთან და დემოგრაფიულ მონაცემებთან.[38]

ზ. ჭიჭინაძეს სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ზემო და ქვემო ქართლის ისტორია, ეთნოგრაფია თავისი უძველესი კულტურით, ძეგლებითა და ენის, ზნე-ჩვეულებების შენარჩუნებით აღუწერია ისე, როგორც ჭეშმარიტ მეცნიერს, ისტორიკოსს, დაკვირვებულ მწერალსა და მოგზაურს შეეფერება; მკვლევარი თითქმის ყველა საკითხზე გვაწვდის თავის მოსაზრებას.

ავტორი აღწერს საქართველოს ისეთ უძველეს და სახელოვან მხარეებს, როგორიცაა **მესხეთი** და ჯავახეთი. მესხეთში ჩამოთვლილი სოფლები და კომლთა დასახელებული ციფრები, ჩვენი აზრით, ყველაზე ზუსტი და ობიექტური უნდა იყოს. რაც მთავარია, სოფლებს, რომელთა რაოდენობა 23-ს აღწევს, ხოლო კომლთა რიცხვი 590-ია (დაახლოებით 3000 სული), აქვს მინაწერი — ,,ქართულად მოლაპარაკენი" (261). ამას კი ჩვენს დროში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ თანამედროვეობა დაფიქრდეს ამ სოფლებიდან 1944 წელს იძულებით აყრილი და გადასახლებული მოსახლეობის ხალხის (მტრების მიერ შემოგდებული და დამკვიდრებული) ტერმინით - "თურქ მესხად" მოხსენიებაზე.

ზ. ჭიჭინაძე ხაზს უსვამს მესხეთში ქართველ ურიათა და ქართული ენის მცოდნე კათოლიკეთა წვლილს ქართული ენის შენარჩუნებაში.

კიდევ უფრო საოცარია **ჯავახეთის** აღწერა. აქ ჩამოთვლილია 19 სოფელი 976 კომლით, რაც ჩვენი ვარაუდით 25000 სულს უნდა უდრიდეს, ყველანი ქართულად მოლაპარაკენი არიან.

როგორც ცნობილია, მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე ჯავახეთში ქართველთა რაოდენობა ერთ პროცენტსაც

[38] ე. ბერიძე, ნიგალი, 2001, გვ. 271, 221.

არ შეადგენდა. დემოგრაფიული სურათი ოდნავ შეიცვალა ჯავახეთის სოფლებში (კოთელია, ბარალეთი, ჩუნჩხა, გოგაშენი, აფნია და სხვა), აჭარიდან ჩასახლებული ქართველი ეკომიგრანტების ხარჯზე, მაგრამ მათი შემადგენლობა მოსახლეობის საერთო რაოდენობაში 6%-საც არ აღემატება, ამდენად, ზ. ჭიჭინაძის მიერ გაკეთებული ჩანაწერი პასუხია ჯავახეთში ჩამოსახლებული ზოგიერთი არაქართველისთვის, ვინც თავის თავს აბორიგენად თვლის და ლამის ავტონომია მოითხოვოს.

სხვათა შორის, იმ დროისთვის ზ. ჭიჭინაძეს რამდენიმე სოფელი ჩაუწერია (კარტიკამი, ხულგუმო, ბავრია, ეშტია, ტურცხა), სადაც კომლთა რიცხვი 50-ს აღწევს (დაახლოებით 2500 მცხოვრები), რომელთაც ქართველ კათოლიკეებს მიაკუთვნებს. მათ ქართული ენა დაკარგეს, შესაძლოა, ეთნიკურადაც სომხებს მიაკუთვნეს, მაგრამ ისინი ხომ ძირძველ ქართულ ტომს წარმოადგენენ? ამაზედაც უნდა დაგვაფიქროს ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერებმა.

ქართული ენა ხომ გმობილი იყო და ამის გარდა ქართველ კათოლიკეთა სჯულის ენადაც სომხური ითვლებოდა, "XVII საუკ. ანუ 1635 წლებში მესხეთ-ჯავახეთში ერთი მილიონი ქართველი ესახლა, ჯავახეთის ნახევარი მილიონი იქნებოდა, ყველა ეს ქართველი ტომის ერი იყო, ქართულად მოლაპარაკენი. დღეს რაღა არის ჯავახეთი?---აღარაფერი, ძლიერ ცოტა, აღარც მეათედი მის, რაც 1635 წ. იყო. - მაშ, რა იქმნა ეს ამდენა ქართველი ერი? — იკითხავს მკითხველი: — ოსმალეთის მთავრობამ და მათმა მახვილმა შეჭამა"(264).

ბევრიც მუჰაჯირად წავიდა, მათ ადგილას არზრუმელი სომხები ამოვიდნენ და დასახლდნენ.

შავშეთ-იმერხევში 450 კომლი სომეხი იქნება. მათ აქვთ ოთხი ეკლესია", ზოგიერთ ქართველებს, რომლებსაც სურდათ მაჰმადიანობისაგან თავი გადაერჩინათ, თავის-თა-

ვი კათოლიკეთ აღიარეს და კათოლიკე სარწმუნოებას შეუერთდნენ. შემდეგ ამ ქართველ კათოლიკებისათვის საეკლესიო ენათ სომხური ენა იქნა შემოღებული. რაკი საქმე ასე მოხერხდა და ქართველ კათოლიკების საეკლესიო ენათ სომხური ენა გადაიქცა, მას შემდეგ ქართველებმა იწყეს სომხურად ლაპარაკი, მათი სამშობლო ენა სომხური გახდა. აი, ასეთ კათოლიკების რიცხვს ეკუთვნიან არდანუჯის, შავშეთის, ართვინის და ბევრი კიდევ სხვა ადგილების კათოლიკები, რომლებიც დღეს თავის ვინაობას სომხობით ხატავენო. ამ აზრის დასამტკიცებლად კმარა ისიც, რომ ჯერაც კიდევ მათში ქართული ენის სიტყვები არ აღმოფხვრილა და ლაპარაკის დროს ესენი ძალიან ბევრ ქართულ სიტყვებს ხმარობენ, ისეთ სიტყვებს, რომლებსაც არავითარი მსგავსება და ნათესავობა არ აქვთ სომხურთან. გრიგორიანებიც ასევე არიან, ქართველობიდამ გასულნი" (326).

„სამწუხაროდ, ძველი დიდების მქონე, ტბეთის ტაძრის მქონე (329-330,) (351) შავშელები, მაჰმადიანებსავით, სწავლა-განათლებას ისე უმზერენ, როგორც იარაღს, ცხოვრების და სიმდიდრის მოპოვებისთვის (მაჰმადიანთაგან დაპყრობილ სხვა კუთხეშიც. — **ე.ბ.**) და არა ისე, როგორც ძალას და სახსარს კაცის გონების გასანათლავათ, გასასპეტაკებლათ და გასამშვენებლათ. ასეთ იარაღათ ამათ უფრო ჩვენებურის სწავლა მიაჩნიათ, თვარა თათრულს სხვაფერ უმზერენ. თათრული სკოლები, მათი აზრით, ღვთისა და მაჰმადის სახლია" (326).

სამართლის საკითხებს ყადები განიხილავენ, მაგრამ სიმართლე ხშირად იმის მხარეზეა, ვინც მეტ ქრთამს გადაიხდის —წერს ზაქარია ჭიჭინაძე.

შავშელებს არ სძულთ სიტყვა ქართველი. ისინი არც მუჰაჯირად წასულან, ყველაზე დიდი ფანატიზმით გატაცებული მაჭახელი და ქობულეთი აღმოჩნდა. შავშელებს ხმა არ

ამოუღიათ, მთელი მაჭახელი გადასახლდა ოსმალეთში; მურღული მთლად დაიცალა, ლივანა, ქობულეთი, აჭარიდანაც საკმარისი მოსახლეობა წავიდა. შავშეთიდან კი — მხოლოდ 20-მდე კომლი, მაგრამ შავშელებმა ადრე დაკარგეს ენა. ქართულად ლაპარაკობენ მხოლოდ ახალდაბაში და ნაწილობრივ გარყილოფსა და ჯვარში, ეს იმიტომ რომ, მათი გამამჰმადიანება 100 წლით ადრე მოხდა, ვიდრე იმერხევისა და მირატის ხევის, (343) - ასკვნის ავტორი. უმრავლესობამ იცის თავისი ქართული გვარი: ათაბაგი (ჯაყელი), ლასურიძე, თურმანიძე, ფენჩიძე, ფუტკარაძე, გორდაძე, ცეცხლაძე, ხიმშიაშვილი, კოკობინაძე, ზაქარაძე, ლომინაძე, ლეონიძე, სავარსამიძე და სხვა, რასაც ქართული ცნობიერების შენარჩუნებაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ავტორი აღწერს, რომ ოსმალეთში კაცი ისეთ მშვენიერ ხის ოდებს და ქვითკირის სახლებს ვერსად ნახავს, როგორც დასავლეთ საქართველოში ქართველ-მაჰმადიანებს აქვთო. შავშელი გლეხების სახლის ახლოს დგას საბძელი. საბძელს ესენი აკეთებენ მთელ-მთელი მრგვალი ნაძვის ხეებისაგან. აქაური საბძელი ჩვენს გლეხკაცობას სადგომ ბინათაც კი დაეინატრება. საბძლის ახლოს შავშელის კარ-მიდამოს ამშვენებს კალო.

ძველად რომ შავშელები განთქმული იყვნენ ხელსაქმის ცოდნით, ამას ცხადად ამტკიცებს ჩვენი ისტორია, რადგანაც შავშეთში შეკრებილმა და მოქარგულმა საეკლესიო ნივთებმა ჩვენს დრომდე მოაღწიესო –გვიყვება ავტორი.

„შავშელებს ძველათ სხვა-და-სხვა ხელოსნობა სცოდნიათ, მაგალითად, ხუროობა, კალატოზობა და უფრო მეტად ქვის მჭრელობა, მიწის მზომელობა და გამოქანდაკება. სცოდნიათ, აგრეთვე, ხმალ-ხანჯლების და თოფ-დამბაჩების კეთებაც.

მისდევენ ფუტკრის მოშენებას, ყაჭის ჭიის მოყვანას და ა.შ. იშვიათად, ვინმეს ჰყავდეს შინაური ფრინველი".

ავტორი ასევე საინტერესოდ აღწერს **იმერხეველთა** ყოფა-ცხოვრებას, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ავტორს მოუნახულებია 36 სოფლის მოსახლეობა, ყველა ქართულად მოლაპარაკე.

ქვაბლიანში ქართული ენა აკრძალული ყოფილა. ქვაბლიანის ქართველთ ქართული ენის კლიტე სდებიათ. ამ ვითარებაში ხუთ სოფელში: უდე, ვალე, არალი, ბალაჟორი, აბასთუმანი მაინც შენარჩუნებულა ქართული ენა. ავტორი იტოვებს მცირედ იმედს, რომ ამ მხარის მოსახლეობასთან ზემოაჭარელთა და ქართველ ურიათა შორის არსებული ურთიერთობა დადებით გავლენას იქონიებს მშობლიური ენის შენარჩუნებაზე. ზ. ჭიჭინაძე ძლიერ საყვედურობს ფოცხოველებს "ქართველი ტომის საბინადროში, ქართველი ერის შთამომავლობითვე დასახლებულ სამფლობელოში, ქართველობის ყველა ნიშნის გაქრობის გამო და წარმოგვიდგენს XVII საუკუნის ბოლოს ჩაწერილ ქვაბლიანის სოფელთა სახელებს მის მიერ მოპოვებული "მისიონერულის" დღიურებიდან.

საქართველოს შესამჩნევი კუთხე ძველთაგანვე **არტაანი** გახლდათ. იქაური ქართველები ქართველთა სიბრძნის წყაროს გასაღები იყვნენ. ერუშეთელთა ასეთ სიდიადის მიზეზად მკვლევარი საბერძნეთის სიახლოვეს ასახელებს და აღნიშნავს, რომ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობისთვის გამოწვდილი მახვილი 1520-1580 პირველად ოლთისს, კარს და არტაანს (1680-1725) ხვდა. ამ მხარის მოსახლეობა დადგა გამოცდის წინაშე: ან ქრისტიანობა უნდა შეეცვალა ისლამით, ან გამხდარიყო სომეხი კათოლიკოსი, ან ბრძოლაში დაღუპულიყო. ვინც მოახერხა, ქართლსა და იმერეთში გადაიხვეწა, ვინც არა და - პირველი სამი პირობიდან ერთ-ერ-

თი ხვდა წილად. 1690 წელს აქ გადმოასახლეს ქურთები. ქართველებს აუკრძალეს ქართული ენით საუბარი,ადგილებსაც სახელები შეუცვალეს, მტკვარს ქურუმსუ უწოდეს.

ოლთისი, ოლთისელნი, მწიგნობარნი, ხელოვანნი, სახე ბიზანტიის ძლიერებისა და განათლებისა, სრულიად შეცვლილან, ისლამი გაბატონებულა, - წუხს ავტორი, მიუხედავად ამისა, ქართული ენა მაინც "ნატამალობს" მორტალს სალაჩურს, თაოსკარს, ნარიიანს, ფენიაკს, ოლთის, კოსორს, ყარაფაფახს, შარდუს, აგუნდარას და სხვაგანა.

ზ. ჭიჭინაძე ვრცლად აღწერს **ლაზეთის** ისტორიას და თანამედროვეობას. უხსოვარი დროიდან ლაზისტანი და ჭანეთი გადაბმულ-გადაქსოვილი იყო ქართლზედ. აქ დაუსახლებიათ ქართულად მოლაპარაკე ურიები, რათა ამათი საშუალებით სამეგრელოსა და ლაზისტანში საერთო ბარის ქართული ენა და მოსახლეობა გაევრცელებინათ, — ამბობს იგი.

ლაზებსაც იგივე ბედი ეწიათ, რაც ქართველებს...

1854 წლამდე ლივანა-გონიოს ფაშები ლაზისტანის ფაშათაც ირიცხებოდნენ, მაგალითად, 1830 წელს, მუსა ფაშა ჭყონია თავის წერილებში ქართულად აწერს ხელს: — „გონიო, ლივანა ლაზისტანის სანჯაყის მფლობელი მუსა ფაშა ჭყონია.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ოსმალეთის იმპერია ლაზებს უფრო ენდობოდა და მათ უფრო ნიშნავდა ისლამის

გამავრცელებლებად დაპყრობილ ქართულ ტერიტორიებზე, რადგან მათთან საუკუნით ადრე გავრცელდა ეს რელიგია. ხალხი, რომელიც სხვებმა ვერ დაიმორჩილეს ბოლომდე, დაიმორჩილეს თურქებმა 1629 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ ლაზები ხასიათდებიან, როგორც კარგი ნავოსანნი და კარგი კირით-ხურონი. ნაშრომში მრავლადაა მოთხრობილი მათი სამშენებლო საქმიანობის შესახებ სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის აჭარაში. ლაზების მიერ 1895-1905 წლებში


აგებულია იუნუს ბერიძის სახლი სოფელ ფურტიოში (შუახევი, იხ. სურათი).[39]

ზაქარია ჭიჭინაძემ თავისი სიცოცხლის ნახევარი საუკუნე რუსეთის იმპერიის პირობებში იცხოვრა. შემოქმედებითი საქმიანობა ჟურნალისტობით დაიწყო, მის ნაწერებში იშვიათად შეხვდებით ხელისუფლების მიმართ გამოთქმულ უკმაყოფილებასა და პროტესტს. იგი ძირითადად საქართველოს ისტორიით, კულტურითა და მწიგნობრობით იყო გატაცებული. მან მოიარა და აღწერა ოსმალოს მიერ დაპყრობილი თითქმის ყველა კუთხე დაასე ,,დააბოლავა": " ქართველ მაჰმადიანებს რაც გინდა ნაკლი ჰქონდეთ, იგინი ძალიან გამოირჩევიან სისწორით და პატიოსნებით. მათში ტყუილი, შური და ყოველივე ის, რაც ჩვენში არსებობს, შეუძლებელია და წარმოუდგენელი.



სახლის უკანა და გვერდითი ხედი, რესტავრირებული

[39] ე.ბერიძე, ბერიძეები, გვ. 55-56.



სახლის მეორე სართული, წინახედი

ამით მისაბაძნი არიან იგინი. მთელი წლობით რომ იაროთ მათ შორის, თქვენ ვერ გაიგონებთ ერთ სალანძღავ სიტყვას, ან სხვა რამ ამგვარს, რაც ჩვენ შორის ხშირია. ქართველ მაჰმადიანთ ზრდილობა არის სამაგალითო და მისაბაძი, ერთად ერთი მათი სნავლით არის დაწინაურება სანატრი" (371). აი, ასეთია ცნობილი მოღვაწის დაკვირვებისა და შთაბეჭდილების შედეგი.

მხცოვან ბიბლიოგრაფს საბჭოთა ხელისუფლების დროსაც (იცოცხლა 10 წელი) თავისი მოღვაწეობის გზა და მრწამსი არ შეუცვლია, კანონმორჩილი და თავისი საქმით ყელამდე დატვირთული მოღვაწე არასოდეს ჩარეულა პოლიტიკურ ცხოვრებაში; კმაყოფილებას იწვევდა საქართველოს წარმატება განათლების, კულტურის, მწერლობისა და მწიგნობრობის სფეროში, რასაც ნაწილობრივ მოესწრო კიდეც; იგი მოესწრო იმასაც, თუ როგორ ანგრევდა სალოცავებს, განურჩევლად იქ არსებული აღმსარებლობისა, საბჭო-

თა ხელისუფლება, როგორც თავად უწოდებდა "კომუნალური მთავრობა"; მოესწრო „ჯვაროსნულ ომს", რომელიც ათეისტებმა გამოუცხადეს სარწმუნოებას, როცა შეწყდა ეკლესიებში წირვა-ლოცვა და მრევლის რიცხვიც ნულამდე დავიდა.

70 წელიწადს გრძელდებოდა სამღვდელოების დევნა, რეპრესიები და ტერორი, მაგრამ ხალხის გულში მაინც ცოცხლობდა სულიერება, ღვთისმოშიშობა, სარწმუნოებისადმი პატივისცემა და მოკრძალება, ენისა და მამულის სიყვარული, ეროვნული ცნობიერება, რასაც თანდათანობით მოჰყვა ეროვნული მოძრაობის გაძლიერება და აღმავლობა. რელიგიისადმი პატივისცემა და ღვთისმოსაობა კიდევ უფრო გაღვივდა და განმტკიცდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. აღსრულდა მთაწმინდაზე დაკრძალული მოღვაწის ოცნება — თურქეთის სახელმწიფოსაგან თავისუფალი მისი სათაყვანებელი აჭარა აივსო სკოლებითა) და უმაღლესი სასწავლებლებით). თეატრებითა და სხვა კულტურული ცენტრებით მოიფინა ქალაქები და დაბა-სოფლები, აშენდა ახალი ეკლესიები. მოსახლეობამ ზურგი შეაქცია მისთვის უცხო რელიგიას და პირი იბრუნა ქრისტიანობისკენ და ეს ყველაფერი ხდება თავისუფლად, ძალდაუტანებლად.

წარმოდგენილ წიგნში ზაქარია ჭიჭინაძე წერს: **„ხულა**, ძველადგანვე 25 კომლით. აქ ძველათ მშვენიერი ეკლესია იყო; დღეს ამ ეკლესიის საძირკველზე, სწორედ ეკლესიის ზომაზე ლამაზი ჯამე დაუდგამთ. ხულას ეკლესიის ჩუქურთმიანს ქვებს კაცი აქა-იქ შეხვდება. ჯამეს ქვეშ ორის არშინის ტოლა ეკლესიის კედლებია დატოვებული"

ჩვენდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ **2013 წელს,** დაბა ხულოში, ამავე ადგილზე ამოქმედდა წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია (იხ.ქვემოთ), სადაც ამავე წლის 17 ივნისს საქართველოს

პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მონათლა 1200 ადამიანი, უფრო ადრიდან (2009 წელი), ხულოში მოქმედებდა ორნავიანი ბაზილიკური ტაძარი.

2008 წელს შუახევის რაიონში, ხიჭაურის ტერიტორიაზე საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით, მოქმედებს ტბელ აბუსერისძის სახელობის უმაღლესი სასწავლებელი. აბუსერისძის უნივერსიტეტს ხელმძღვანელობს და სხალთის ეპარქიის ტერიტორიაზე საეკლესიო მშენებლობას წარმართავს სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი, მეუფე სპირიდონი.



ფოტო ოთარ ცინარიძისა, 2013 წელი

აღდგა მიმოსვლა ისტორიული ტაო-კლარჯეთის მიწაზე, ეწყობა სამეცნიერო ექსპედიციები, ექსკურსიები, შეხვედრები და სხვა კულტურული ღონისძიებები; მიმდინარეობს ქართული ტაძრების — იშხნის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია და მზადდება ოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი.

ვფიქრობთ, რომ თურქეთისა და საქართველოს დღევანდელი საქმიანი, კულტურული და სხვა დამოკიდებულებებით ახალი, კეთილი ნების ურთიერთობებს ეყრება საფუძველი.

მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში

ქართველ მაჰმადანები ქობულეთის ხეობაზედ

ვინც საქართველოს ისტორია იცის, იმას ისიც ეცოდინება, რომ ძველად, ვიდრე საქართველო მტერთაგან დაეცემოდა, მანამდის საქართველოს ერთ უმთავრეს ძალას დასავლეთ საქართველო შეადგენდა. ვიდრე ქართველებს აქ ფეხი ჰქონდათ გამაგრებული, მანამ მათ მტერი ვერას აკლებდა. ეს იყო ერთად-ერთი უმთავრესი სამხედრო ძალა. ჩვენმა მტრებმაც კარგად იცოდნენ ეს და ამიტომ მათ უმთავრეს ნატვრას ის შეადგენდა, რომ საქართველოსთვის ეს მოხდენილი მხარე ჩამოეგლიჯათ და მის შემდეგ ესენი სხვასაც ადვილად დაიპყრობდნენ და ფეხს გაიმაგრებდნენ. ოსმალებმა წადილი აღისრულეს: აუარებლის სისხლის ღვრით და დევნა-ოხრებით დაიმორჩილეს საქართველოს ის დასავლეთ ნაწილი, რომელიც ცნობილია და ქებული ძველის ძველად არამც თუ მარტოთ საქართველოს ისტორიულ წიგნებში, არამედ უცხო ტომთა მწერალთ ნაწერებშიაც.

საქართველოს აღორძინებიდამ ჩვენის მწერლების, გამოჩენილის პოეტების, მთარგმნელების თუ მხედარ-მთავრების სავანე-გმირთა ეს დასავლეთ საქართველოს მხარეა მიღებული ანუ სამცხე-სათაბაგო.

თუ ოდესმე საქართველო იდიდებოდა და სახელოვნებდა, ვიტყვით თამამად, რომ ყველა ამ დიდების და სახელოვნების მიმნიჭებელნი და მწარმოებელნი აქაური პირები იყვნენ. მეხუთმეტე საუკუნის გასვლამდის, ჩვენ ვერ ვნახავთ ვერც ერთს ნაშთს ჩვენის ძველის ცხოვრებისას, რომ მას ამ მხრის ბეჭედი არ აჩნდეს. ვერ ვნახავთ ვერც ერთ ძველ ქართულს ხელთნაწერს, რომ ეს წიგნი ან ამ მხარეში არ იყოს დაწერილი და ან, თუ სხვაგან დაწერილია, ამასაც-კი ეს ხსენებული მხარე არ მიმოევლოს. საბერძნეთის სიახლოვის გამო,

აქ აღორძინდა ყველაფერი, აქ აღორძინდა ძველის-ძველად სხვა-და-სხვა ხელოვნება: ქვის მჭრელობა, ჩუქურთმის, მიწათმ-ზომელობა, ვაჭრობა* ექიმობა და სხვანი.

აქვე აღორძინდა ქართული მწიგნობრობა, ტაძრების შენება, მათი ხელოვნება, მხატვრობა; შემდეგ დროში ქართველთ მწერლები, მთარგმნელობა, სასწავლებლები და სხვანი. აქედამ გამოვიდნენ თითქმისყველა ჩვენი დიდებული პირები: **შოთა რუსთაველი, დავით საათაბაგოელი, შავთელი, იოვ. პეტრიძე, გიორგი მთაწმინდელი** და სხვანიც მრავალნი, რომელთა მოთვლა აქ საჭირო არ არის. ამ მხრის ტაძრების სიმრავლეც ხომ ყველასთვის ჭეშმარიტია; აქ ძველათ აღორძინებული სასწავლებლების ისტორიაც ხომ ცნობილია, კმარა მარტო ერთი ხახულის სასწავლებელი აღვნიშნოთ. მოკლეთ რომ ვსთქვათ, ეს მხარე კერა იყო იმ დიდებისა და სახელოვნებისა, რაც-კი საქართველოს მიენიჭა და აღმობრწყინდა ოდესმე. ყველაფრის დასაწყისს აქ ეძლეოდა აღორძინება და ამის შემდეგ იგი იფინებოდა და ვრცელდებოდა მთელს საქართველოს კუთხეებში. ასე და ამ გვარათ, დასავლეთ საქართველოს ქართველებს დიდი სამსახური მიუძღვით მთელ ქართველთ წინაშე და ამათ სამსახურს დღესაც-კი მოჰყავს კაცი განცვიფრებაში. ამიტომაც იყო, რომ, ვიდრე საქართველო დაეცემოდა, მანამდის ქართველ მეფეებს პატივსადებელ და საქებელ მხარეთ ეს ნაწილი ითვლებოდა. თვითაც უმეტეს ნაწილ აქეთ სცხოვრებდნენ. თითქმის აქ გაძლიერდენ ბაგრატოვანთ გვარის წარმომადგენელნი.

ის და სახელოვნების, ოსმალთა მიერ dapyrobis და დევნილების მეოხებით დავარდნილია ძირს, აქ ყველაფერი დაქვეითებულია და ჩვენი ძველი ქართველები, ჩვენი გამოჩენი-

---

* არხეოლოგიური მოგზაურობა გურია-აჭარაში, დ. ბაქრაძისა. პეტერბურგი.1879 წ.

ლი მესხნი იმ დროისანი აღარ არიან, რაც ოდესმე ყოფილან. აქ ყველაფერი ქართველობისა ფერფლად ქცეულა, აქ მხოლოდ ერთად ერთი ქართული ენა არსებობს, ისიც ზოგი ერთ ალაგას, ყველგან არა, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში ათასის წვითა და დაგვით შეუნახავთ მაჰმადიანთ ქართველთა. მადლობა ღმერთს, რომ ამათ, ამდენის ხნის განმავლობაში, თავიანთი დედა-ენა მაინც დაიცვეს, სხვას ვინ რაღასა სთხოვს. რაკი აქამდის მოაღწიეს ამათ, რაკი ამათ დაიცვეს თავიანთ დედა-ენა და მწიგნობრობაც-კი, ეხლა ჩვენი ვალია, რომ ამ ძველად აღორძინებულ ერის შთამომავალთ შვილებს ყურადღება მივაქციოთ და მათის განვითარებისათვის რამე ვიზრუნოთ. ეს იყო თითქმის ჩვენი მამა-პაპების ნატვრა, წადილი და ანდერძი.

ასპინძის ომამდის ქართველებს კიდევ ჰქონდათ იმედი, რომ ამ მხარეს მეორედ შემოვიერთებთო, მაგრამ ეს ვერ მოხდა და ასპინძის ომის შემდეგ-კი ქართველთ სამუდამოდ გადასწყვიტეს იმედი. ამ ხანამდის კი აქ რამდენი პატიოსანი ქართველი პირი დაკუწულა ოსმალთ ფაშებისა და ბეგებისაგან, რამდენ ქართველს-მქადაგებელს და ქართველობის მეძიებელს მოჰღებია ბოლო, ამას კაცი ვერ მოსთვლის, ვინ აღნუსხავს! დღეს-კი ჩვენს მამა-პაპებს თავიანთი წადილი და ნატვრა აუსრულდათ: — ეს ძველათ ქებული საქართველოს ნაწილი და ოსმალთაგან უწყალოდ დაცემული ქართველობა შემოერთებულია თვის მეგვარტომე ქართველებთან და ესენი დღეს ჩვენგან დიდს დახმარებას და შველას საჭიროებენ, მით უფრო, რომ მის მეოხებით გაიგონ თავიანთ წინაპართ თავსგადასავალი, ისტორია, ვინაობა, შთამომავლობა, გაგვიცნან ჩვენ, გაიცნან ქართული ენა, მწიგნობრობა და ბოლოს შემოგვიერთდნენ ისე, როგორც რიგი და წესია. აქ ისლამი არავინ იქონიოს სახლში. ჩვენ გვსურს, რომ ქართველ

მუსულმანი მტკიცე იყოს ისლამზედ მხოლოდ, განვითარდეს.

ყველა აღორძინების და გავრცელების საქმე ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენ თუ მოვინდომებთ რამეს, მაშინ აქ ყველაფერი გაკეთდება, თუ არა და, ისიც დაეცემა, რაც აქამდის შეუნახავთ მათ ოსმალთ მფლობელობის ქვეშ; ამის მოვალეები ვართ ჩვენ, ეს უნდა იყოს ჩვენს საღმთო ვალათ. თუ ჩვენ გვინდა, რომ წინ წავიდეთ, ქართული ენა არ დაგვეკარგოს, და რამეს დავემგზავსოთ, მაშინ ამ ერის ნაწილს დიდი სამსახური და შემწეობა უნდა აღმოვუჩინოთ. აქ უნდა გაიხსნას სკოლები, აქ უნდა გავავრცელოთ ქართული წიგნები, ჩვენ უნდა გავიცნოთ იგინი და მათ უნდა გავაცნათ ჩვენი წადილიც. იმედია, რომ ესენიც პატივით მოგვეგებებიან, რადგანაც ყველა მათ მოწინავე პირთაგან დახმარების თხოვნის მეტი სხვა არა ისმის-რა.

უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს დაკარგულ და დიდის ხნით დაშორებულ ძმებში პირველად **გ. ყაზბეგმა** იმოგზაურა და აღწერა. პირველად ამან გვამცნო ამ ერის ვითარება და საქმენი. ამ დრომდის-კი ჩვენ მათი სულ არაფერი ამბები ვიცოდით; სამი საუკუნის განმავლობაში ისე დავშორდით ერთმანეთსა, ისე მიგვავიწყდა ერთმანეთი, რომ ერთმანეთის არსებობაც-კი აღარ ვიცოდით! ამ ოცი წლის წინეთ ქართველი კაცისთვის რომ გეთქო: ქართველი მაჰმადიან ვარო, ის გაოცებით შემოგხედავდა. დღეს-კი ეს ცოტათი ყველასათვის ცხადი შეიქნა. ცოტათი ჩვენც გავიცანით იგინი და იმათაც გაგვიცნეს ჩვენ. იმედია, რომ დღეის შემდეგ უფრო გავიცნობთ ერთმანეთს, რადგანაც წადილი ორსავ მხრის ქართველებში სჩანს. ამ იმედებით გატაცებული, მეც წაველ ჩვენს მოძმე მაჰმადიანებში და მოვინდომე მათი გაცნობა და აღწერა. მე გავიცანი ქართველ მაჰმადიანთ მხოლოდ ერთი ნაწილი და ამის აღწერას ახლა აქ წარმოვადგენ.

ქართველთ მაჰმადიანთ შემავალ საზღვარზე მდებარე პირველ კარის ბჭედ დაბა **ჩურუქსუ** ითვლება, ანუ როგორც ახლა უწოდებენ, **ახალ-ქობულეთს.** რკინის გზით ბათუმში მიმავალი აქ უნდა გადმოხტეს პირველად და მერე ამ ქობულეთიდან მოუხდება ფეხით და ცხენით მგზავრობა მთელს ქართველთ მაჰმადიანებში.

ქობულეთი მდებარეობს სართველოს დასავლეთ ნაწილში, ბათუმის სიახლოვეს, ზღვის პირას. ქობულეთში მცხოვრებთ რიცხვი 200 კომლზე მეტია და მთლად ამ საზოგადოების ნაწილში-კი 1 000 კომლამდე იქნება, ორივე სქესის 11 000 სულამდის. ამავე ქობულეთში დასახლებულია 130 კომლი რუსები; დღეს ამათგან მხოლოდ 73 სული დარჩენილა, დანარჩენი-კი დახოცილან. ვინც დარჩენილა, არც ისინი არიან კარგ დღეში: უმეტესი ნაწილი იმათგანი ავადმყოფები არიან. **ყველა ქართველი აქ სარწმუნოებით მაჰმადიანია, შთამომავლობით, ენით, ზნეჩვეულებით კი ქართველნი, საყოველთაოდ-კი შინა თუ გარედ ქართულ ენას ხმარობენ.** ამათში ქართული წერა-კითხვაც ბევრმა იცის. ქობულეთი არის პატარა ქალაქი, რომელიც კინტრიშის საბოქაულოში შუაგულ ქალაქად ირიცხება. ამიტომ აქაურ მაჰმადიანთ ქართველები მეურნეობას გარდა ვაჭრობასაც მისდევენ, მაგალითად: აქ ქართველს მაჰმადიანებს აქვთ ფარჩის სავაჭრონი, მეწვრიმლის, სხვა და სხვა ავეჯეულისა და ჭურჭლის, ამათ ვაჭრობავე გამართული აქვთ ბათუმს, ტრაპიზონს და სტამბოლში. ამაებს გარდა, აქვე არის საჭმელების დუქანი, ოსმალურ წესებზე გაწყობილი და ყავახანები, სადაც საღამ-საღამოობით წითელ ფეს დახურული ქართველ მაჰმადიანები იკრიბებიან, ყავასა სვამენ, ჩიბუხს სწევენ, ნარდსა თამაშობენ და ამით დროს ატარებენ. აქაურს ყავახანებში ყველგან ქართული ენა არის სახალხო ენად; იშვიათად რომ ისლამურად ხმა ამოიღონ. თუ იტყვიან რასმე, იმასაც იმ შემთხვე-

ვაში, თუ ვინმე სტამბოლელი, თუ როგორც ესენი ამბობენ, „გრანიცის“ კაცი შეხვდათ. აქ ქართულის ენის ასე მეოხებით საქმე ისეა დაყენებული, რომ ერთ ყავახანას პატრონს, რომელიც ოსმალელი თათარია, ქართველ მაჰმადიანებს ქართულად ელაპარაკება. ასევე სხვა სავაჭრო ადგილებში. აქ მყოფი სხვა ქვეყნის ოსმალოები და ბერძნები მთელს დღეს ქართულს ენაზედ საუბარს არიან იძულებულნი.

აქაურ ქართველ მაჰმადიანთ ქალებმა ხომ ქართულ ენას გარდა სხვა ენა არ იციან, თავიანთის დამწყვდეულის ცხოვრებამდე, ტანსაცმელი-კი წმინდა ოსმალური აქვთ. აქ ქალი, კაცი, თუ პატარა ბავშვი ყველა ქართულად მღერის. ამ დღეებში მოვისმინე იმათი სიმღერა, რომელსაც „ნადურს“ ეძახიან. ზოგიერთს ჩვენებურს უქმე დღეებს ინახავენ, მაგალითად 20 ივლისს, ამათ წმინდა ელიობა შეინახეს. ერთ ალაგს აქაური ხოჯა იყო, გვარად **კობალაძე** და ამან სთქვა: ვინც დღეს იმუშავებს ყანაში, იმას ყანა გაუხმებაო. ამაებს გარდა სხვა წმინდა დღესასწაულებსაც უქმობენ და ხშირად სამღვთო და შეწირულობაც იციან. აქაურ ვაჭრების უმეტეს ნაწილსაც დავთრები ქართულად აქვთ ნაწერ-შედგენილი. ძნელად თითო ოროლა ვაჭარი მაინც მოიძებნოს მათ შორის, რომელთაც თათრულადა ჰქონდეს ნაწერი; ესეც ახალგაზრდებში, რადგანაც ბათუმის მუფთის ერთგულის მოქმედების მეოხებით, აქ ამ ბოლოს დროს, ქართველ მაჰმადიანთ პატარა ბავშვებში თათრული წერა-კითხვა საკმარისად გავრცელებულა და 7-8 წლის ბავშვებსაც კი აქაური მოლა და ხოჯები არაბულ ოსმალურს წიგნებს აკითხებენ, თუმცა ყმაწვილებს ამ წანაკითხის სულ არაფერი ესმით-რა. ეს უცოდნელობა ზოგიერთს ქართველს მოლას და ხოჯასაც ეტყობა. ზოგიერთს ლოცვები ვათქმევინე და დავსწერე, ბოლოს ამისი თარგმანი ვსთხოვე, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მითარგმნა. ბევრს სულ უბრალოდ თარგმნის შნოც არა აქვსთ,

თუმცა ქართულს თათრულზე გაცილებით კარგად ლაპარაკობენ და ამათი დედა-ენა ქართული ენა არის.

ამ დღეებში, აქაურს მაჰმადიანს ქართველს ვაჭრებსა და მოხელეებს სიტყვა გავუკარ, რომ კარგი იქნება თქვენს შვილებს ოსმალურს გარდა, ქართულსაც ასწავლიდეთ მეთქი. — რა ვქნათ, ბატონო, ჩვენ დიდი სურვილი გვაქვს და ეს ბლომად დასახლებულს ქართველს თათრებში საჭიროც არის, რომ ქართულსაც ვასწავლიდეთო, მაგრამ კაცი არა გვყავს, რომ ამ საქმეში გვიპატრონოს და როგორმე სკოლა გაგვიმართოსო. ერთმა სთქვა: ჩემს შვილს რომ ვინმემ ქართული და რუსული ასწავლოს, მის სამაგიეროს წელიწადში 40 მანეთს გადავიხდი, მაგრამ ბათუმში კი ვერ გავგზავნი, რადგან იქ თვეში თითო ბავშვს 15 მან. მოუნდება და მე სად მაქვს იმდენი შეძლება, რომ იქ გადავიყვანო ბავშვებიო. ასევე ემართებათ სხვა მაჰმადიან ქართველებსაც. შეუძლებლობის გამო თავიანთი შვილები სულ ვერ მიჰყავთ ბათუმის ქართველების სკოლაშიო. აქ, ქობულეთში, რომ გაიმართოს სკოლა, ერთს წელიწადში ოთხმოცს ყმაწვილზე მეტი მოგროვდებაო. ამ საქმეს რომ ჩვენმა წერა-კითხვის საზოგადოებამ მოჰკიდოს ხელი და სკოლა დაგვიარსოს აქა, ამ საქმეში ჩვენც მივიღებთ მონაწილეობასაო; ჩვენის შვილებისთვის ხოჯას თუ ვიყოლიებთ, რომ თათრული ასწავლოს, იმას ჩვენს ფულს მივცემთო. აქა გვაქვს ჩვენ შეკრებილი 500 მან. რომელიც ჩვენს ბოქაულს აბარია, ამასაც ამ სკოლის სასარგებლოდ გადავდებთ და იმისს სახლს მოხმარდესო. ამას გარდა, არც სხვა ხარჯის გადახდას ავარიდებთ პირს, თუ-კი ასეთს ვალს დაგვდებს ვინმე და ქობულეთში სკოლას მოგვიხერხებსო. ასეთივე ნატერა განაცხადა ქობულეთის ქართველმა ხოჯამ გვარად **კობალაძემ**. ეს კობალაძე ოცდაჩვიდმეტი წელიწადია რაც ხოჯათ არის. არაბული წერა-კითხვა კი ვიციო, სთქვა, მაგრამ საუბედუროდ, ქართული-კი

არა, თუმცა ამ ათის წლის წინადაც კი მსურდა, რომ ქართული შემესწავლაო; მე მაქვს არაბულს ენაზე ჩვენებური სახარება, დავითნი და სამოციქულო, ვკითხულობ, ხოლო მსურდა, რომ ესენი ქართულს ენაზე წამეკითხა და გამეგო რამე, მაგრამ ერთი კაცი ვერ ვნახე, რომ ან კითხვა ესწავლებინოს ჩემთვის და ან ერთი პატარა ალიფაბეი (ანბანი) მოეცაო.

მე გადავეცი ქართული ანბანი, იმან მიიღო კი, მაგრამ სთქვა, ახლა მე აღარ შემეფერება ამის სწავლაო. პატარა ყმაწვილებისათვის-კი დიდი საღმთო საქმე იქნება, თუ აქ სასწავლებელი დაარსდაო. ამავე ხოჯას ქობულეთში, ანუ, როგორც ძველად უწოდებენ, ჩურუქსუს პატარა სკოლა აქვს და ქართველ მაჰმადიანთ პატარა შვილებს არაბულს წერა-კითხვას და ლოცვებს ასწავლის. ეს ხოჯა ქობულეთში **გრ. გურიელს** შეხვდა, ლაპარაკი ჩამოაგდეს და გამოჩნდა, რომ ჩვენ ჩვენი საგვარეულო ეკკლესია გვაქვსო. ამაზე გურიელმა მიუგო: ხოჯა! ეგ სულ ერთია, როგორც გინდათ ისე ილოცეთ, ოღონდ თქვენს სამშობლო ენას კი ნუ დაივიწყებთო. ეს ხოჯა საკმარისად ფანატიკიც კი ყოფილა. ერთ დღეს იმან იქადაგა: საქმე ის კი არ არის, რომ თათრის სჯული თათრის სახელმწიფოში შეინახოთო, საქმე ის არის, რომ აქ, ქრისტიანეთ ახლო მდებარე სოფლებში შეინახოთ მტკიცეთო.

სკოლას სხვათა შორის, რომელნიც მუდმივ მფარველობასა და თანაგრძნობას აღმოუჩენენ. ამათის თხოვნით და დავალებით ვიტყვით, რომ საერთოდ ესენი დიდს ნატვრას, დიდს სურვილს და თანაგრძნობას აცხადებენ, თუ აქ ქობულეთში ქართველ მაჰმადიანებისთვის სკოლა დაარსდა. ამის შესახებ „წერა-კითხვის საზოგადოებასაც“ მიუვა თხოვნა და იმედი აქვთ, რომ უყურადღებოდ არ დასტოვებენ ჩვენს თხოვნას და ქართველ მაჰმადიანთ პატარა ყმაწვილების განათლების საქმეს ჯეროვანს თანაგრძნობას აღმოუჩენენო.

ქობულეთში მე ქართველ მაჰმადიან **გულ-აღა-კაკაცოლლისთან** ვიყავი ჩამომხტარი. აქ ქართველი მაჰმადიანები ჩემს წიგნებს ახლოს არ ეკარებოდნენ, შემდეგ კი რაკი ნახეს მათ რომ მასში ჩვენებური ლექსებია დაბეჭდილიო, მაშინ კი თხოვნაც კი დამიწყეს. ბევრს ალაგას ყმაწვილს, დიდს, თუ სხვას ვისმეს თხოვნით, თუ ისე ვურიგებდი; ბევრს ამათგანს ძრიელ მოსწონდათ; ზოგნი კი ეჭვს აცხადებდნენ: ეგ წიგნები, ძმობილო, თქვენებურია, ქართულიო, ჩვენ არ გამოგვადგებაო. პირველ დღეს ხოჯას ლაპარაკი და ჯავრობა დაეწყო. ჩემი სოფლად წასვლა რომ გაეგო, უფრო სჯავრობდა, — რათ მოსულა აქაო, აქ რა ხელი აქვს მაგის წიგნებსაო? მე გავიცანი ხოჯა და დავარწმუნე, რომ ჩვენ ქართველები თქვენი ძმები ვართ, ენა ჩვენი ქართულია, ორივე ქართულად ვლაპარაკობთ, ამიტომ მოვალენი ვართ, რომ ერთმანეთს ძმურად მოვეპყრათ და ერთმანეთი შევიყვაროთ. დიახო, სთქვა მან. მე დავიწყე მისი მეგობრობა, ჯამეში სიარული, ზოგიერთი ლოცვები დავიწერე და ამის შემდეგ კი ხოჯა ეჭვის თვალით აღარ მიყურებდა.

კინტრიშის ხეობა ბათუმის ოლქის პირველ ნაწილს შეადგენს. ეს მხარე უკანასკნელ ომის დროს იქმნა შემოერთებული საქართველოსთან და ჩვენთვის ბევრნაირ მხრით არის საყურადღებო. ქართველს საზოგადოებას, თუ რამ სწადიან ქართველთ მაჰმადიანთ სასარგებლოდ, ამ ხეობის ერთ შუაგულ ადგილს ქართული სკოლა უნდა დააარსოს. ეს შუა გული არის ამ ხეობის პატარა ქალაქი ჩურუქსუ, ანუ როგორც დღეს უწოდებენ, ახალ-ქობულეთი. ძველი ქობულეთი სოფელია და ამ ხეობაზე მდებარეობს, ესეც მეტად მოხდენილს ადგილზეა.

თუ ჩვენს ქართველობაში მცირედ მაინც დარჩენილა სიყვარული აქაურ ქართველებისა, რომელთა რიცხვი დღეს ასორმოც-და-ათი ათასამდეა, ათასამდე სოფელი და რამდე-

ნიმე დაბა და ქალაქი უჭირავთ, უნდა ვეცადოთ, რაიმე ღონისძიება მოვიპოვოთ და ამ კინტრიშის ხეობის შუა გულს მდებარე ქალაქ ქობულეთში (ჩურუქსუ) ქართული სკოლა გავმართოთ. ამ ქალაქში სკოლის გამართვა ბევრს ქართველს ესიამოვნება. სხვათა შორის, ამ ჟამად ქობულეთში (ჩურუქსუში) იმყოფება ყველასაგან პატივსაცემი **გრიგოლ დავითის-ძე გურიელი,** კაცი მოხუცებული და ნამდვილი მოქალაქე, რომელიც თავის მხრით დახმარების აღმოჩენას დაჰპირდა. აქ, ამას გარდა, სხვა მაჰმადიანებიც აპირებენ ფულის შეწირვას და იმდენის მოგროვებას, რომ თავისუფლად შეეძლოთ სკოლის შენობის შეძენა. ქობულეთში დაარსებულ ქართული სკოლის საშუალებით იმედია, რომ ქართველ მაჰმადიანებში აღიზრდებიან ნამდვილ და პატიოსან ნასწავლ ქართველ კაცები, რომელთა მეოხებითაც მთელს ამ ხეობის ერში სულ რამდენიმე წელს მოიკიდებს ფეხს და გავრცელდება ქართული ენა და განათლების სიყვარული.

ამავე სკოლის საშუალებით და ამათის ხოჯების დახმარებით შესაძლოა მომზადნენ სასულიერო კაცნიც, რომელთაც ქართველ მაჰმადიანები „მოლიებს" ეძახიან. ასეთ სასულიერო კაცთა მომზადებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც დღეს აქეთ უმეტესი ნაწილი სულ საზღვარ-გარეთიდამ მოსული ხოჯები არიან. ესენი ჰქადაგებენ: აქ ცხოვრებას ოსმალთ სათათრეთში გადასახლება გირჩევნიათო. ეს ყოველივე ამ დღეებში მიამბო ერთმა აქაურ ქართველ მაჰმადიანმა და დაუმატა, რომ მთელს კინტრიშის ხეობაში სულ სამი ან ოთხი ხოჯა იქნება ქართველიო, დანარჩენი ჭანები და ოსმალები არიან, რომლებიც ხალხს აქეზებენ გადასახლებისათვის და ქართველების სიძულვილს უნერგავენ გულშიო. მაგათის მეოხებით მომშორდნენ მე ჩემი ნათესავები და ოსმალეთში გადავიდნენო; ეგენი ბევრს ნავნევს იზამენო. ამ საქმეს მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და დღეს სურს,

რომ ქართველ მაჰმადიანებს თავიანთ ქვეყნის კაცები ჰყავდესთ ხოჯათაო.

აი, ამიტომ, ჩვენ ქართველებს დიდი ვალი გვაწევს კისრად, სახელდობრ ის, რომ ამოდენა ხალხის საქმეს ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ და რიგიანი წინამძღოლობა გავუწიოთ. დავუმტკიცოთ ძმობა და ყოველ გაჭირებაში დავეხმაროთ ძმებივით. დღეს უჭირს ამ ქვეყანას ჩვენი შველა და დახმარება. სწავლა აქ ნაკლებად არის. მცოდნე კაცს იშვიათად თუ ჰნახავ. აქ არ იციან არც ისტორია საქართველოსი და თავიანთ ქვეყნისა, არც მწერლობა ქართული და მისი თავგადასავალი. სკოლამ უნდა შეავსოს ეს ნაკლი, სკოლამვე უნდა გააჩინოს აქ მრავლადვე მოლიები თავიანთ სჯულის ზედმიწევნით მცოდნე, რომელთაც ამასთანავე კარგად უნდა იცოდნენ ქართული ისტორია და მწერლობა საქართველოსი. თუ ასე მოვიქცევით, ვნახავთ, რომ 10-15 წელიწადში ეს ქვეყანა სრულიად ფერს იცვლის, სამოთხედ გადაიქცევა და, თუ დღეს ჩვენი შველა ეჭირვება, მერე თვითონ იგი გვიშველის ვინც დაუფიქრდება ამ საგანს, ადვილად მიხვდება, რომ ამ შავი-ზღვის პირად მყოფ ქვეყანას, ამ ტომით და ჩამომავლობით ქართველს და სჯულით მაჰმადიანს ხალხს, რა დიდი შემწეობა შეუძლიან აღმოგვიჩინოს შემდეგში.

კინტრიშის ხეობაზე აი რა სოფლებია, რომლებიც მე დავიარე და 2000 ეგზ. მათებური ლექსები დავარიგე, ანბანით და რომელ სოფლებშიაც ქართველ ტომის მაჰმადიანები სცხოვრობენ.

სოფ. **ქაქუთი,** 50 კომლი, ჯამე (სამლოცველო) აქვთ და საკუთარი ხოჯა ჰყავთ. აქედამ მრავალნი ოსმალეთში გადასახლებულან.

ლელვა, 70 კომლია; ახალი ორსართულიანი ჯამე აქვთ და ხოჯათ ჭანი ჰყავთ, რომელსაც ორი ცოლი ჰყავს, ერთი ოსმალეთში და მეორე აქა. ამ სოფლის მამასახლისმა შემომ-

ჩივლა, რომ სკოლის გამართვა ჩვენც გვინდაო. თუმცა ჩვენი ხოჯაც ასწავლის, მაგრამ იმის სწავლება არ ვარგაო. წინად ჩვენს უფროსსაც მივმართეთ და ვსთხოვეთ, რომ ჩვენი თხოვნისათვის ყურადღება მიექცია, მაგრამ არ დასთანხმდა. ეხლა გეხვეწებით შენ, რომ ამის შესახებ ეგები „ხაზეთაში“ რამე ჩასწეროვო. მე იმედი მივეცი. ამ მამასახლისს ისლამი ამ ოცის წლის წინად მიუღია; ცოლ-შვილიანი კაცია. ომიანობის დროს ბევრი მამაცობა გამოუჩენია და ამისთვის ბევრი სამახსოვრო ნიშნები აქვს მთავრობისაგან; ცოტათ რუსულიც იცის. ამის თავოსნობით გაუკეთებიათ ამ სოფელში ახალი ჯამე.

წყავრუკა, 70 კომლია, აქვთ ჯამე და მედრესე.

სკურე, 65 კომლია, აქვთ ჯამე და მედრესე.

ჩეხედენი, 60 კომლია, აქვთ ჯამე და მედრესე.

აჭყვის-თავი, 130 კომლია, ჯამე აქვთ და ჯამეს გვერდით მედრესე, ხოჯა ჭანია, მცირედ ქართულიც იცის, — საჭიროების გამო უსწავლია; თუმცა თვითონაც სთქვა, რომ ქართული ენა ჭანეთშიაც არის საჭიროვო. ეს ხოჯა არის მასწავლებლად აქ, 60 ქართველთ მაჰმადიანი ყმაწვილები ჰყავთ. ყმაწვილებს — მოსწავლეებს არაბული და ოსმალური წიგნები უჭირავთ ხელში, თუმცა ამ ენის ერთი სიტყვაც არ ესმით. სკოლაში ყმაწვილები დაჩოქილი და ზოგი დამჯდარი კითხულობს ანბანს და ლოცვებს. ამ სასწავლებელში ორი ახალგაზრდა მოლიები იზრდებიან, ქართველები, ერთი **ალი ქათამაძე** და მეორე **ახმედ ჯინჭარაძე**. ასე 18 წლისანი იქნებიან. ამათ თათრული ანბანი შეუსწავლიათ, ვკითხე წერა-კითხვა თუ იცით მეთქი, მაგრამ დამალეს, არ ვიცითო. მე ყმაწილებს წიგნები შევაძლიე, მაგრამ ხოჯასი შეეშინდათ, მომერიდნენ, არ გამომართვეს; ხოჯას ვუთხარ, რომ აქ საფიქრი და საშიში არაფერია. მე წავუკითხე ზოგიერთი ლექსები, აქ მდგომი ორი მოხუცი აღტაცებაში მოვიდნენ, სკო-

ლაში ყმაწვილებმაც სული განაბეს, თათრული წიგნის კითხვა შეაჩერეს და ჩემს კითხვას დაუგდეს ყური. წამოსვლისას ერთმა მოხუცმა მთხოვა, თუ შეგიძლია, ორი წიგნი მოგვეცით და საღამოზედ აქ მოვლენ ისეთი კაცები, რომლებიც მაგეებს წაიკითხავენო. ამ დროს სკოლიდამ ყმაწვილები გამოცვივდნენ და დაიწყეს თხოვნა, რომ ჩვენც მოგვეცითო, მე დავურიგე წიგნები, მოლიებიც მომიახლოვდნენ და იმათაც მთხოვეს. გამოსჩნდა, რომ ამათ ქართული კითხვაც სცოდნიათ. მე ვუთხარ: ყმაწვილებო, თქვენ ხვალ თუ ზეგ მოლებად გახდებით და როგორ შეიძლება, რომ ქართული არ იცით, ქართული თუ არ გეცოდინებათ, ხალხს როგორ უნდა უქადაგოთ მეთქი, ხომ ხედავთ, რომ თქვენში თათრული თითქმის არავის ესმის. ამათ პირობა მომცეს — ქართულს შევისწავლითო. მე დავურიგე მათ წიგნები — ქართული. ამავე სოფელში ცხოვრობს ერთი ქართველი მაჰმადიანი, სახალხო მელექსე, **ხუსეინ ხაბაზი**, კაცი ხნიერი. ქართველ მაჰმადიანებში ბევრნი არიან მელექსენი, მაგრამ ამისთანა იშვიათია. ამის სახელი ბევრმა იციან და ლექსებიც გავრცელებულია. ერთი ამის ლექსი „დაკარგული ბაჩა“ ყველა მაჰმადიანთ ბავშვებმა იციან ზეპირად. ვისმეს ბოვშვს რომ ჰკითხო, თუ ხუსეინ ხაბაზი ვინ არის? — ის მაშინვე გეტყვის: მეშაირეაო; — იმის შაირი იცი რამე? — მოგიგებს: კი, ბატონო, „დაკარგული ბაჩა“-აო და სხვანი.

ზენათი, 55 კომლია, აქვთ ჯამე და მედრესე.

ალამბარი, 90 კომლია, ჯამე აქვთ, ხოჯათ ქართველი კაცი ჰყავთ **მაჰმუდ ეფენდი ხახუტოღლი (კომახიძე);** აქედან გადასახლებულა 100 კომლი და ოთხი ქართვლი ხოჯა. მაჰმუდ ეფენდი ხახუტოღლი, მე ხახუტაშვილი მეგონა, მაგრამ არაო, სთქვა მან, ხახუტა გათათრების შემდეგ უწოდებიათ ჩვენთვის, რადგანაც ეს ხახუტა სახელი ყოფილა ერთი ჩვენი წინაპრის, თორემ ჩვენ კომახიძეები გახლავართო. ეს

ხოჯა გავიცანი; საუბარი გავმართეთ, აღმოჩნდა, რომ მას ქართული წერა-კითხვაც სცოდნიყო, მხოლოდ ჩვენებურიო. „ჩვენებურს" ესენი მათებურ ქართულს უწოდებენ, რომლის ნიმუშად **დ. ბაქრაძის** ისტორიულს და არხეოლოგიურს მოგზაურობაშიც არის მოყვანილი. მე ამ ხოჯას გადავეცი რამდენიმე ქართული წიგნები; ამას ძლიერ გაეხარდა. წამოსვლისას დიდი მადლობა მითხრა და თან დაატანა: იცოცხლეთ, რომ ჩვენში ხშირად მოსულიყოთ და წიგნები მოგეტანოთო, ჯერეთ ჩვენში თქვენებური წიგნი კაცს თვალით არ უნახავსო; ჩვენ ქართველები ვართ და თათრებიც ისე გვეძახიან, რომ გურჯები ხართ თქვენაო. ამავე სოფელში ცხოვრობს მემამულე **დედი-აღა ბასილოღლი ნიჟარაძე,** ძველი ქართველთ თავადიშვილთაგანი, ქართული ენისა და ჩვეულების დამცველი, ამას ძლიერ გაეხარდა ჩემი მისვლა, გზაში მომეგება: „ოჰ, შენი ჭირიმე, შენიო, როდის მობრძანდით, როდის წახვალთ და სხვანი. ნურას უკაცრავად, ჩვენ ორნივე ერთნი ვართ, ჩვენი სამამულო ენა ქართულია, ჩვენც ქართველები ვართ, მხოლოდ თქვენ ქრისტიანი და ჩვენ-კი მუსლიმანიო".

ამათ სახლში ყველა ქართულად ლაპარაკობს და ქართული წერა-კითხვაც იციან. ამათთან რამდენიმე დღე დავყავი და დიდი პატივი მცეს. ამათი პირველი და უკანასკნელი თხოვნა ის იყო, ეგები აქ, ქობულეთში სკოლა მოვახერხოთო, თორემ ბათუმში შვილების გაზრდა გვიჭირდებაო, შეძლება არ გვაქვსო. ბათუმში ქართველების სკოლა უბრალოდ არსებობს. იქაური ბეგის შვილებს თავიანთი შვილები ოსმალეთში მიჰყავთ სასწავლებლათო. იმათ აქ გული არ აქვთ, სკოლა ცარიელია და ფული-კი იხარჯებაო. აქ-კი ორ თვეში სკოლა გაივსება მოწაფეებითაო. ამავე სოფელში, ერთ ალაგას ეკკლესიის ქვები ჰყრია, ამ ეკკლესიას წმინდა გიორგი შუშანეთისას უწოდებენ. ამას ხალხი დღესაც სცემს პატივს. მე მაჩ-

ვენეს ეს ადგილი და ერთი ქვის გვერდით ორ კოშტი წმინდა სანთლის ნაჭერი ვიპოვნე, ერთზე 3 კაპ. იყო მიკრული, ხოლო მეორეზე 2 კაპ. ერთი კვირის წინედ შეეწირათ ეს ფული ერთი ოჯახიდამ, რადგანაც მათ ერთი ბავშვი გახდომოდათ ავად. აქვე და სხვა და სხვა ეკკლესიის ნაშთებს სწირავენ ხოლმე ფულს, წმიდა სანთელს, ბამბას, თაფლს, საჭმელს და მამლებს, რომლებსაც ნაშთების გვერდით სტოვებენ და მას არც ერთი ქართველი მაჰმადიანი ხელს არ ახლებს.

გვარა, 8 კომლია, აქედამ გადასახლებულან 30 კომლი.

ხუც-უბანი, ეს ის ხუც-უბანია, რომელიც უკანასკნელს დროს რუს-ოსმალთა ომის ასპარეზად იყო. აქ ერთობ დიდი სისხლი დაღვარეს ქართველ მაჰმადიანებმა თავიანთისავე მოძმე ქართველებისა. არ იყო კარგი, რომ ეს ერთი ტომისა და ენის ხალხი, ერთი გვარისა და ერთი ქვეყნისა, ასე უწყალოდ ჟლეტენ ჩვენ კახელ-გურულებს, ეს უბედურება ბევრს ქართველ მაჰმადიანს სწყინდა თურმე და ესენი ამბობდნენ, რომ ეს შემთხვევები დიდი უბედურებად უნდა ჩაითვალოსო, ვაი ჩვენს თავსაო. ჩვენ ერთმანეთის დაახლოვებას ვცდილობდით და ეხლა-კი ისეთი რამეები ხდება, რომ დაახლოვების მაგიერ ერთმანეთს შეგვაძულებსო. ეს ცოდვა **ალი-ფაშა თავდგერიძემ** და სხვებმა ზიდონო, ხუც-უბნიდგან 50 კომლი გადასახლებულა.

ძველი ქობულეთი, 110 კომლია, კარგი ჯამე აქვთ, ხოჯა ჭანია, გადასახლებულა 40 კომლი, მდებარეობს კინტრიშის ნაპირას, დიდს მთიანს ხეობაზე, ქობულეთი ამ სოფელს რქმევია ძველად და არა დღევანდელ დაბა ქობულეთს, დღევანდელ ქობულეთს დაბა ჩურუქ-სუს უწოდებდნენ, მშვენიერი ქვიტკირის ჯამე აქვთ, ახალი მხატვრობით. ჯამეს სახლი ერთი ბეგის ყოფილა, იგი ომის შემდეგ ოსმალეთში გადასახლებულა, ეს სახლი უპატრონოდ დარჩენილა და დღეს ქართველ მაჰმადიანებს ჯამეთ გადაუკეთებიათ. ხოჯათ ოსმა-

ლელი თათარი ჰყავთ, მოხუცებული კაცი. მე სულ არაფერი ყურადღება მომაქცია. ლოცვის შემდეგ ხალხი გამოვიდა, გალავანში მოგროვდნენ; მე დავიწყე ლექსების კითხვა: ბევრს მოეწონა, 100 წიგნი დავურიგე და შიგ ვუჩვენე ანბანიც. ბოლოს წავუკითხე „ქალ-ვაჟიანის" ის ადგილები, სადაც ქალი და ვაჟის საუბარია; როცა ამ კითხვებს ვათავებდი, მოხუცებული ქართველი მაჰმადიანები სულ **„ალააას"** გაიძახოდნენ და თანაც ამბობდნენ, რომ ეს **მოსე ფეღამბარიაო, დანიელ ფეღამბარიო.** ყმაწვილი კაცები სულ-განაბული იდგნენ. ერთმა ამათგანმა მე მთხოვა. ძმობილო! თამაშობის წიგნი არ გაქვს, ფასით ვიყიდიო. მე გადავეცი ერთი პატარა კომედია, რომელიც სიამოვნებით მიიღო. ამას ქართული წარმოდგენა უნახავს სადღაც. სკოლა არა აქვთ. აქ რომ სკოლა გაიხსნას, დიდ სარგებლობას მოიტანს. ამის შესახებ იქაურებს მე სიტყვა ვუთხარ, დიდად ესიამოვნათ. ამიტომ ვსთხოვთ და ვავალებთ ჩვენ ქართველებს, რომ ამ ბედკრულ ერს რამე ნაირად პატრონობა აღმოუჩინონ და სკოლა გაუმართონ, მეტის მეტი მშვენიერი სოფელია, ხის სახლები, კოხტა ბალკონები სიამოვნებას უხატავს კაცს თვალთ წინ.

კონდიდი, 50 კომლია, ჯამე აქვთ.

კოხი, 60 კომლია, ჯამე აქვთ.

კვირიკე, აქ ყოფილა 100 კომლი, ამ სოფლის ხოჯა ქართველი მაჰმადიანია, **ჰუსეინ ეფენდი წითლანაძე** ს. ვანათიდამ. სწავლა სტამბო-ლის **რუშტიაშს** მიუღია. ჩემი გაცნობა ჯერეთ არ ეჭაშნიკა, შეეშინდა. მერე ვკითხე, ქართული კითხვა თუ იცი, მან მომიგო, არ ვიცი, ძმობილოვო. ხოჯას გვერდით სხვები იდგნენ, იმათ მთხოვეს ლექსების წაკითხვა, მე წავუკითხე, ხოჯას ძრიელ მოეწონა, წიგნები დავურიგე, მანაც მთხოვა და მივეცი 20-მდე. მე ხოჯას ბევრი რამ ვუამბე, ვუთხარი: რომ მე ეს და ეს თქვენებური ხოჯები გავიცანი, სახელები და ცნობებიც მოვუყევი. ის დაფიქრდა და მითხრა:

ძმობილო, ეხლა-კი გეტყვი, რომ მეც ქართველი ვარ, რაკი ეს ხოჯები გაგიცვნია, ესენი სულ ქართველები არიან, თუ ისინი დაიღუპებიან, დაე, მეც იქ ვიყვეო, აღარ მეფიქრებაო, ქართული წერა-კითხვაც ვიციო. მშვენივრად წაიკითხა ქართული წიგნი. მთელი თავის ამბავი მიამბო; მეტად ჩინებული პირია, ხათრიანი, ზრდილობიანი ყოფა-ქცევის და სიტყვა-პასუხის. ღარიბად-კი სცხოვრობს, 23 კომლი მრევლი ჰყავს. ამათგან აბა რა უნდა აიღოს. ჩვენი კარგი სოფლები სულ უცხო და ოსმალელ ხოჯებს უკავიათო. ჩვენ-კი ასეთ სოფლებში ვართ დატოვებულნი. ეგენი ყვლეფენ ჩვენს ხალხს და ბოლოს თავიანთ ქვეყანაში მიდიან და თან მიაქვსთო. მინამ წავლენ, თავიანთ მოადგილეთ თავიანთის ქვეყნიდამ მოჰყავთო და ჩვენ კი სიტყვასაც არ გვეუბნებიანო. მაგათ ჩვენი ენა არ იციან, ხალხის ზნე, ჩვეულებაო. სიტყვასაც ვერავის აგებინებენ და საქმესაო, მაგრამ რას იზამს კაცი, საქმე ასეა დაყენებული ბათუმის მუფთისაგანო! იმან რომ მოინდომოს, მაშინ აქ ჩვენში არც ერთი უცხო ხოჯა ფეხსაც ვერ შემოდგამსო. ამასთან კიდევ გაიმეორა, რომ ჩვენ ქართველნი ვართ, ქართველების ჩამომავალნიო. ჩვენი ენა ქართული არისო. მე რომ წამოველ დიდ მანძილზე გამომაცილა, ადრესი მკითხა. მეც ვუთხარი.

დაგვა, 80 კომლია; ჯამე აქვთ.

სამება, ამ სოფელში აქვთ მშვენიერი ჯამე, ძველის ეკლესიის საძირკველზე დამდგარი, ხოჯა ჭანია, ჯამეს გვერდით მედრესე აქვთ გამართული. ამ სოფლის მემამულეა **გულაღა კაკაცოღლი,** კაცი ქართული მწიგნობრობის მოყვარე, ერთ დროს ეს „დროებაში“ წვრილ ამბებსაც იწერებოდა. ამისი ერთი შვილი თფილისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობს. ესენი სხვა ქართველ მაჰმადიანებსავით არ ფანატიკობენ. თავიანთი თავი ქართველებად მიაჩნიათ. ესენი ამ აზრებს სხვა მაჰმადიანებსაც ასმენენ. პარასკევი დღე იყო, წვი-

მიანი, სოფ. კვირიკედამ წავედი და ტყე-ტყე სიარულით ჩავახწიე წვიმისაგან დასველებულმა ამ სოფლის ჯამემდის და აქ ხოჯა გავიცანი. ამან ჩემი მისვლა ძრიელ იუცხოვა და მითხრა: ნეტავი, რისთვის მოსულხარ აქ, ამ წვიმაში, რას გაწუწულხარ, მე არა მგონია, რომ თქვენ ამ წვიმაში და ამ ტყე-ღრეში უაზროთ წამოსულიყავით. თქვენ რაღაც ჰაზრები გექნებათ, მაგრამ გეტყვით, რომ საიდამაც მოსულხართ, იქითვე წახვიდეთ და ეგ თქვენი წიგნებიც თან წაიღოთ. აქ ამ დროს ერთი მის მოწაფეთაგანი იდგა, ქართველი მაჰმადიანი; მას მიუბრუნდა ხოჯა და უთხრა: „პაწა, წადი შინ და პატარა წიგნი გამოიტა“, პატარამ წიგნი მიუტანა, ეს წიგნი იყო თათრული კალენდარი. ხოჯამ მითხრა: აი ჩვენი წიგნი, თქვენი წიგნები თქვენთვის იყოსო. საქმე ძალაზე მივიდა. მე მაინც სად წავიდოდი წვიმაში და ისიც ტყეში. პატარა ხანს უკან ხოჯა დაშოშმინდა. მე დავარწმუნე, რომ კარგის მეტი ჩვენ არაფერი განძრახვა გვაქვს მეთქი. მერე წავუკითხე ლექსები, ხოჯამ ორი წიგნი გამომართვა; მერე ხალხი მოგროვდა, იმათაც წავუკითხე ლექსები და ბოლოს დავურიგე კიდეც, ხოჯას ჯავრი მოუვიდა და თავისაგან წაღებული წიგნები ისევ უკან გადმომიყარა. ხალხმა კი დამიწყო თხოვნა: — „ჩვენ მოგვეციო“. ბოლოს ხოჯამაც იბრუნა გული და მითხრა: — „მეც მომეცი და აქვე დავურიგებ ხალხსაო“. მე გადავეცი. ამ დროს ერთმა ქართველ მაჰმადიანმა მითხრა: — „მაგას ყურს ნუ ათხოვებ, ჭანიაო, ჩვენ წელიწადში თითო ხოჯას ვსცვლითო, ეგეც წაბრძანდება მერმისაო. ეს ხოჯა დიდი ფანატიკია და რაღა ფიქრი უნდა, რომ ქართველ მაჰმადიან პატარა შვილებსაც სასტიკად აფანატიკებს და ქართველებს ქართველების წინააღმდეგ რაზმავს“.

ჭახათი, 60 კომლია, ჯამე აქვთ. აქ ზოგი ქრისტიანებიც არიან. ადვილად შეიძლება, აქ სკოლა გახსნას პატივცემულმა მამა **ლეონიდე ოქროპირიძემ.**

კეჭიეთი, 20 კომლია.

ვარჯანული, 30 კომლია.

ტყე-მაკრავა, 40 კომლია, ორ სოფელს ერთი ჯამე აქვს და ერთი ხოჯა ჰყავთ, ჭანი.

ცხემუანი, 40 კომლია.

კობალაური, 60 კომლია.

ზარა-ბოსელი, 65 კომლია, ჯამე აქვთ.

დიდი ვაკე, 70 კომლია, ჯამე აქვთ.

ზემო ხინო, 70 კომლია, ჯამე აქვთ, აქ ძველად საეპისკოპოსო ტაძარი ყოფილა და ყოველთვის ეპისკოპოსი იჯდა, რომელსაც ხინო წმინდელს უწოდებდნენ. ეს სოფელი ცნობილი ადგილია საქართველოს ისტორიულს წიგნებში.

ჩაქვა, 100 კომლია, ჯამე აქვთ.

ხალა, 150 კომლია, ჯამე აქვთ.

ჩაქვის თავი, 70 კომლია, ჯამე აქვთ.

გორგაძნეები, 30 კომლია, ჯამე აქვთ.

მახინჯაური, 70 კომლია, ჯამე აქვთ.

ორთო-ბათუმი, 60 კომლია, ჯამე აქვთ.

ყოროლის-თავი, 40 კომლია, ჯამე აქვთ.

აგარა, 60 კომლი, ჯამე აქვთ.

ახალშენი, 50 კომლია, ჯამე აქვთ.

ხალვაშენეები, 55 კომლია, ჯამე აქვთ*.

ეს სოფლები არის მხოლოდ მეათასე ნაწილი იმ ძველის საქართველოსი, რომელიც რუსეთმა შემოიერთა. ყველა ამ სოფლებში, შინა თუ გარედ, კა ცი, ქალი და ბავშვი სულ ქართულს ენაზე ლაპარაკობენ. მთელი ეს ხეობა დავიარე, ვიყავი ისეთ მთებში და ტყეებში, სადაც დღემდის ქართველი კაცი თვალითაც არ უნახავთ. **ქართული ენა ამათ ისე შეუნა-**

---

* ეს რიცხვი 1879 წ. იყო, მერე ამ სოფლებიდამ ბევრი გადასახლდა ოსმალში.

ხავთ, როგორც თუშ-ფშავ-ხევსურეთში. ვინც ამ ხალხის ყოფა ცხოვრებას გაიცნობს, იმას მაშინვე ჩვენებური მთიელთ ცხოვრება წარმოუდგება თვალ-წინ. ამათი სახალხო ენა, დედა ენა ქართული ენა არის და აქ, ამ დაშორებულს მხარეში, ოცში ერთმაც არ იცის ოსმალური ენა, ქალებმა ხომ სულ არ იციან. თუმცა აქა-იქ არაბული კითხვა დაუსწავლიათ და პარასკევ დღეობით ორის საათის განმავლობაში დაჩოქილები კითხულობენ, მაგრამ გაგებით-კი არავის არაფერი ესმის. **აქ ყოველ დღესასწაულის ლხინებს, სიმღერებს, ტირილს და სხვა ასეთებს ქართულს ენაზე ასრულებენ.** აქ ამბობენ, რომ ჩვენი ენა ქართული ენა არისო, თათრებიც ასევე გვეაძახიან ჩვენ, რომ თქვენ გურჯები ხართო.

ასე და ამგვარად, მაჰმადიან ქართველებმა მთელი სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის ხელში, ქართული ენა ათასის წვითა და დაგვით შეინახეს და, როგორც აქ ერთმა ნასწავლმა მაჰმადიანმა წარმოსთქვა (აწ გარდაცვალებული **დედი-აღა ნიჟარაძე**), ახლა, ამ ბოლოს დროს, ეს ენა და ერი თქვენ ჩაგაბარეთ და იმედია რომ დღეის შემდეგ ჩვენი მოძმე ქართველები ჩვენს ენასა და ყოფა ცხოვრებას თავიანთ მზრუნველობას არ მოაკლებენო. ზოგს თავიანთის და ზოგს ჩვენი დახმარებით სკოლებს დაგვიარსებენ და ჩვენს ერში ქართულს წიგნებს და განათლებას გაავრცელებენო.

ბათომში ქართველი მაჰმადიანები კარგა ბლომად სცხოვრობენ. ბათომის ქართველს მაჰმადიანებს ბათომში სამი ჯამე აქვთ. ერთში კერძოდ ოსმალოს თათრები დაიარებიან და ორში-კი ქართველ მაჰმადიანები. ერთი ჯამე ახლა გადააკეთეს და გააახლეს. ეს ჯამე ზომიერია და ბევრის თათრულის წარწერებით არის შემკული. ჯამე გაუახლებიათ **ხუსეინ-ბეგ და იბრაიმ-ბეგ ბორჩხელის აბაშიძეების** დახმარებით და თაოსნობით. ესენი სჩივიან, რომ ჩვენი პირველი ძველი ჯამე, რომელიც სულთანის დედისაგან არის გაკეთე-

ბული, დღეს მეტის-მეტი ცუდს მდგომარეობაშია ჩავარდნილი და მის დუქნების-გაცემის ნებას აღარ გვაძლევენ იჯარითო. მესამე ჯამე ფიცრულისაა, მაგრამ შიგ კარგა არის შეკრული. (ეს ჯამე 1892 წელს დააქციეს, მოსპეს). ამ ჯამეების მზრუნველად ზემო ხსენებული აბაშიძეები არიან, ჰუსეინ-ბეგი და იბრაიმ-ბეგი, ქართულად ლაპარაკობენ, თავიანთ სამშობლო ენად ქართულს ენას სთვლიან, თუმცა თათრულადაც-კი სწერენ და კითხულობენ. ქართული ნაკლებად სცოდნიათ და დღეის შემდეგ-კი ჩვენ უკედ შევისწავლითო. ჰუსეინ-ბეგს რამოდენიმე ქართული წიგნი გადავეცი, მან დიდი სიამოვნებით მიიღო, იქ მაჰმადიანებს გადავცემო, ამ პირებმა აღიარეს, რომ ქართველების შთამომავალნი ვართ, ამას რაღა ფიქრი უნდაო, ამასვე ამტკიცებს ჩვენი გვარები, სოფლის სახელები, მთისა და ბარისაო, ჩვენს დედა ენად ქართულ ენას ვსთვლით. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენშიაც წავიდეს განათლებაო.

ამ ჯამეების მოლები, ხოჯები და უფროსები ქართველები არიან, ერთს გარდა; ერთი ჭანია, მაგრამ ქართული ენაც იცის. **აბაშიძეებმა მიიწვიეს ახალს ჯამეზე.** მე მივედი, ლოცვა დადგა და ლოცვის შემდეგ აბაშიძეებს რამოდენიმე ლექსი წავუკითხე, მოლები ყურს გვიგდებდნენ. რა კი გაიგეს თავიანთებური ლექსები, მაშინვე აღტაცებაში მოვიდნენ და ქართულად დაიწყეს ლაპარაკი, ძალიან გაკვირდნენ აგრეთვე, როცა, იმათ ქართული ასოებით დაწერილი არაბული ლოცვები წავუკითხე, ის ლოცვები, რომლებსაც ესენი ყოველდღე აკითხებენ ხალხსა და ბავშვებს. ყველა ესენი აჭარელ მუსულმან ქართველები არიან. ამათი მუფთი და მუდერისიც ქართველები არიან. ქართველი დედის გაზრდილნი, ქართულად ლაპარაკობენ, თუმცა საუბედუროდ ქართული წერა-კითხვა-კი არ იციან და ცოტა ქართული ენაც სძულთ. ფანატიკობენ: „ჩვენ ქართველები არა ვართო"

ერთის ჯამეს გვერდით ამათ სკოლაც აქვთ, სადაც ქართველ მაჰმადიანთ შვილები სწავლობენ, თათრულს გარდა აქ სხვა არაფერს ასწავლიან. ამ საქმის მოვალეობა უფრო ბათუმის მოლებს და მუფთს ედებათ. ესენი აჭარელნი არიან, ქართველ მუსულმანები, ქართველ დედის გაზრდილნი, მათი ენაც ქართულია, მაგრამ ესენი ამ ქართულს არ პატრონობენ. ყველგან იმას გაიძახიან: რომ ქართველი არ ვართო! საკვირველია ამათი საქციელი. ნეტა რამ შეუცვალათ ასე გული და სული. ამათთვის სულ ერთია თავიანთ ქვეყანას ქართველნი და ოსმალეთიდამ მოსული თათარი, ამიტომაც არის, რომ ამ მხარეზე სულ თათარ ხოჯები არიან მოფენილნი. საუკეთესო სოფლები ამ უცხო ხოჯებს უკავიათ, ესენი სარგებლობენ ამით და საწყალი ქართველ ხოჯები საღაცა პატარ-პატარა სოფლებში არიან მიყრილნი, სადაც ესენი შიმშილით იხოცებიან. მიზეზი ცნობილ იქნა, რომ აქ თათარ ხოჯებს უფრო მიტომ გზავნიან, რადგანაც ესენი უფრო ადვილად უქადაგებენ ქართველების სიძულვილს და ოსმალეთში გადასახლებას. ეხლა ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ქართველ მაჰმადიანთ სასულიერო პირი ბათუმის მუფთი ამას ყურადღებას მიაქცევს და ქართველ მაჰმადიანებში ქართველ მოლებისა და ხოჯების რიცხვსაც გაამართლებს. ეს დაპირება მან პირადად სთქვა.

საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ უფროსის სასულიერო წოდების კაცნი უფრო ფანატიკოსები არიან, ვიდრე სოფლის უბრალო ხოჯები. ფანატიკები არიან ნამეტური ის ქართველთ მოლები და ხოჯები, რომლებიც ოდესმე სტამბოლში ყოფილან, ეს ფანატიკი მოლები თავიანთ დედა ენად ქართულს ენას არა სთვლიან, თუმცა არც არაბული იციან რიგიანად. ამ მოლების საშუალებით აქაურს ქართველებში ქართული წიგნებიც გავრცელებულა, რომ ახალ ჯამეს გვერდით, თათრული წიგნის მაღაზიაც გაუმართავთ, აქ ვაჭრობს

ერთი ოსმალი თათარი, რომელსაც ეფენდის ეძახიან. ამ ეფენდიმ რომ დაინახა ქართული წიგნებით არაფრით ესიამოვნა და ლანძღვა დამიწყო. ამ დროს აქ იყვნენ ქართველთ მაჰმადინები და მათ უსაყვედურეს და გააჩუმეს. მე ვერა გავიგე რა მიზეზი ლანძღვისა. ამ დროს მე მას ერთი თათრულის ანბანის ფასი ვკითხე, თათრულს ენაზე ასე: „უსტა! ბუ ბიჩიკ კითაბ ნექადარ?“ ე. ი. ოსტატო, ეს პატარა წიგნი რა ღირს? „მე განა უსტა ვარ, აი შე ქართველო, აი შე ასეთო და ისეთოვო“. აქვე ისხდნენ ქართველი ხოჯები, რომლებიც აჰყვნენ მას და ჩემი გალანძღვა ისე ესიამოვნათ, რომ თითქოს ოსმალებმა ხელ-მეორედ აიკლო საქართველო, როგორც ოდესმე თვით მათი მამა-პაპაც. აქ დიდი უსიამოვნება გაიმართა, მე ვაშოშმინებდი, მაგრამ არ იქმნა. აქ მოგროვდნენ ქართველ მაჰმადიანები. იმათ შორის გამოჩნდა ისეთიც, რომელმაც ეს ეფენდი გააჩუმა, გაკიცხა და შეარცხვინა, ეს უცხო კაცია და რად ეჩხუბებიო. ყველგან ცხადად შენიშნავს კაცი, რომ აქაურს ქართველებს სულ საზღვარგარეთელი თათრის მოლები, ხოჯები და სხვა უფროსი პირები აფანატიკებენ. მაგალითად: ამას წინათ, პარასკევს, აქ ერთ მოლამ აი რა წარმოსთქვა ჯამეში, ქართველ მაჰმადიანთ წინაშე: ის თათარი კაცი, რომელიც ქართველების გვერდით ცხოვრებას ირჩევს, ეს იმას გავს, რომ სიკვდილის შემდეგ იმას ჯეენეთში წასვლა არ უნდოდესო, ჯეენეთს უარ ჰყოფსო. (ასე ქადაგებდენ მაშინ, 1877 წლიდამ).

ასეთს ქადაგებას ქართველ მაჰმადიანნი ყურადღებას აქცევენ, მაგრამ გადასახლებას კი ვერ ეწყობიან, რადგანაც იმათის რჩევით, ვინც გადასახლდა ოსმალეთში, ისინიც დაიღუპნენო. თავიანთის შვილებისთვის კი მეცადინეობენ ესენი და უმეტეს ნაწილს თავიანთ ყმაწვილობისას ტრაპიზონი, ორდის და სტამბოლის თათრულს სკოლებში ჰგზავნიან სასწავლებლად. ქართველ მაჰმადიანები ეხლა ცხადად დარ-

წმუნდნენ იმაში, რომ ოსმალეთში გადასახლებულნი მოტყუვდნენ, დაიღუპნენ და სხვანი. ჩვენი გადასახლება აქედამ არ შეიძლება, ეს ჩვენი მხარე ბევრად მდიდარია ოსმალეთზეო. ეს ცხადად იქიდამაც მტკიცდება, რომ სიმინდს ერთთავად აქედან ეზიდებიან აფხაზეთიდან და ჩვენიდამ ყიდულობენ ფუთს მანეთად და იქ მიაქვთ. იქ ფუთს შვიდ-რვა აბაზად ჰყიდიან, სიმინდით დატვირთული ნავები და გემები ყოველთვის მიემგზავრება ოსმალეთშიო. თუ კი ასეა, რომ იქ წავალთ და სიმინდს იქედამ დაუწყებენ ზიდვას, რაღაზე წავიდეთ აქედამ, ჩვენ აქ ვინ რას გვიშლის და გვიფუჭებს, რუსებმა ჩვენთვის რა წაახდინეს, არაფერი, ერთი კაციც არ გაუქრისტიანებიათ. ბათუმი დამპალი იყო ჭაობებისაგან და დღეს-კი მშვენიერი სანახავია. მაშინ კაცი თვეში ვერაფერს იშოვიდა და დღეს კი მანათას შოულობს დღეში. ჩვენში რაები არ გაკეთდა: გზები, ხიდები, რკინის გზა, ათასი სხვანი. ეს მხარე ოსმალების დროს ციმბირად იყო გადაქცეული, ვინც იქ დააშავებდა რამეს იმას დაიჭერდნენ და აქ, ჩვენში გზავნიდნენო. აქ რჩებოდნენ, ეს ყაჩაღები სცხოვრობდნენ და ყაჩაღობით ხალხს იკლებდნენო. ერთი სიტყვით მუდმივ შიშში ვიყავით, კაცი ოც ნაბიჯს ვერ გადადგავდა უშიშრადო. დღეს კი მადლობა ღმერთს, ეს ასე აღარ არისო, ერთმა სთქვა: ჩვენი წასული ძმები რა უყურებენ ჩვენს ასეთ მდგომარეობას და ასეთ მშვიდობიან მხარეს, ისინი უკანვე მოსტირიან თავიანთ მამა-პაპის მამულს და ყოველთვის კიცხვას უძღვნიან იმ პირებს, ვინც ესენი შეაგულიანეს და საქართველოდამ ოსმალეთში გადაასახლეს.

ამ დღეებში შევხვდი ერთს ქართველ მაჰმადიანს, ახალგაზრდა ყმაწვილს, გვარად **აბაშიძეს.** ეს ყმაწვილი ბათუმელ **იბრაიმ-ბეგ აბაშიძის** შვილია და დღეს ტრაპზონის თათრების სამხედრო სასწავლებელში სწავლობს. ამ სასწავლებელში ბევრი მაჰმადიანი ქართველები სწავლობენ თურმე

და იმათ შორის თხუთმეტი ყმაწვილი ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოების სასწავლებელში ნამყოფია. ამ სკოლის მოწმობით მიუღიათ ეს ბავშვები, ამათ სკოლის ფორმის ტანისამოსი აცვიათ და ქართული წერა-კითხვაც არ აქვთ დავიწყებული. მე გადავეცი რამოდენიმე ქართული წიგნი, მიიღეს. თავიანთი ადრესიც მომცეს და მთხოვეს, რომ კარგი იქნება თფილისიდგან ქართული წიგნები გამოგიგზავნოთ ხოლმეო, იქ ძალიან ვკითხულობთ წიგნებს, ქართულის კითხვას არ გვიშლიანო, ერთი ჩვენთაგანი რუსულ-თათრულის მთარგმნელად დაჰნიშნესო, ამ სკოლის ზოგი მოწაფე სტამბოლის სამხედრო ლიცეიშიც ყოფილა. ამას გარდა ამათ მითხრეს, რომ ჩვენ იქ ქართული წიგნები გვაქვს „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“-ო და იქ დაბეჭდილი ლექსები ზეპირად ვიცითო. ეხლა აქ ვართ, ერთი თვით დაგვითხოვეს და ჩვენ შინ წამოველითო. ენკენის თვეში დავბრუნდებითო. მთხოვეს არ დავიწყება, ჩვენ ქართველნი ვართ და ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ ჩვენი ენა სადმე დავივიწყოთო.

ამ დღეებში გავიცანი ერთი აჭარელი, **სულეიმან-ბეგ თულუმბა-ზადე ბეჟანიძე,** ანუ ძველად პირმსახურისშვილები, ესენი თამარ მეფის პირფარეშებად ყოფილან, თვითონ ეს ბეგი ახალგაზრდა კაცია, რუსობის შემდეგ ქართული და რუსული ენა და წერა-კითხვაც შეუსწავლია, **გრ. გურიელს** ნათესავად მოხვდება. აქა იქ იჯარებს იღებს, ამის ორი ძმა სტამბოლის ლიცეიში სწავლობს. ლაპარაკი ჩამოვუგდე, კარგი იქნება, რომ ქართული არ დაივიწყოთ მეთქი, რა ბრძანებააო, მიპასუხა: თათრების ხელში სამასი წელიწადი ვიყავით, ჩვენი ენა არ დავივიწყეთ და ნუთუ ეხლა დავივიწყებთ როცა ჩვენ დაგვიახლოვდითო. დავიწყება კი არა, უფრო კარგად ვსწავლობთ და მოლებსა და ხოჯებს ყურს არავინ უგდებსო. შემდეგ სიამოვნებით წაიკითხა თავიანთური ლექსები და დამპირდა, რომ მომავალს წელს თუ აჭარაში მოხვალ და წიგ-

ნებს მოიტანთ, დიდს დახმარებას აღმოგიჩენ და მთელს ქართულ მაჰმადიანთ სოლებში დაგატარებთო, ჩვენს ბეგებს ძლიერ სურთ აჭარაში საბაღოსნო სკოლა დავაარსოთ. ჩვენთვის ასეთი სასწავლებელი დიდად საჭიროა, რადგანაც აქეთ ხილი ძალიან მრავლობს, ქართველი მეფეების დროს აჭარაში ბევრი ხილი მოდიოდა, ვაზიც კაი სცოდნია.

ამ პატივცემულმა **სულემან ბეგმა** თათრული კითხვაც იცის, სტამბოლიდგან ამას თათრული გაზეთებიც მოსდის, პატარა ხანს უკან მითხრა: „ძმობილო, ჩვენი შეერთება სიტყვით იქმნა და არა საქმით, ვითომც ჩვენ გავიცანით ერთმანერთი, მაგრამ მე თქვენ არ გიცნობთ დაახლოებით და თქვენ მე". თქვენ თუ რამე რჯულის საქმეზე მოსულხართ, გიჯობთ, რომ ჩუმად იყოთ და არსად არაფერი სთქვათ, თორემ რაც დარჩენ ისინიც აიშლებიან. ჩვენში დარჩენილია ძველად, რომ აჭარა ასი წელიწადი ებრძოდა თათარს გათათრებაზე. ვიდრე ჩვენი მამა-პაპები გაუთათრებიათ და თქვენ აბა ათ წელიწადში რას გახდებითო, გარდა ამისა ნათქვამია, რომ ქობულეთი ძალით არის გათათრებული და ძალითვე გაქრისტიანდებაო და აჭარა ნებით არის გათათრებული და ნებითვე გაქრისტიანდებაო, ჯერეთ წიგნი გვასწავლეთ, გავიცნათ, და მერე სხვაფრივ იქნება საქმეო. მე ვუთხარი: დაგარწმუნებთ და გეფიცებით პატიოსნებას, რომ ჩვენ სახეში სულაც არ გვაქვს ესენი, ჩვენს ზრუნვას მარტო თქვენი გვარტომობა შეადგენს.

ჩვენ თქვენს ისლამთან საქმე არ გვაქვს. ჩვენ ყველა სჯულს პატივს ვსცემთ, თქვენ იყავით მტკიცედ თქვენს სჯულს ისლამზედ. თქვენი სამამულო ენა, რომელიც სამი საუკუნის განმავლობაში ათასი წვითა და დაგვით შეინახეთ, ჩვენ მარტოდ ის გვსურს, რომ თქვენში აქამდე მკვდრად დამარხული ენა აღსდგეს და ისეთი ბრწყინვა მიიღოს, როგორც შოთა რუსთაველის დროს იყო დასავლეთ საქართველოს ნა-

წილში. მან სთქვა: ბატონო! თქვენ ამის ფიქრი ნუ გაქვთ, ჩვენ ქართულ ენას თქვენზე უკეთ შევინახავთ. თქვენ ერთი ის ბრძანეთ, რუსულს თქვენში უფრო ბევრნი ლაპარაკობენ, თუ ჩვენში თათრულსაო? ჩვენი უმეტეს ნაწილმა ბეგებისამ და მოლებისამ არც თათრული ენა იციან და არც წერა-კითხვაო, მაგრამ თქვენში კი ყველა უცხო ენაზე ლაპარაკობენო; ნამეტურ ქალები, ჩვენში-კი ერთ ქალსაც ვერ ნახავთ, რომ ის თათრულად ლაპარაკობდესო. საზოგადოდ ამან ბევრი რამ მართლა სთქვა და თავის თავი ნამდვილ ქართველ მაჰმადიანად აღიარა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს პატივცემული პირი მომავალ წელს საკმარისს მფარველობას აღმოგვიჩენს. ერთად ერთი საფიქრელი და სადარდელი ახლა ამ პირებისა ის გამხდარა, რომ თავიანთ წოდების შესახებ რამე გააწყონ, ამ ღირსებით დაშთენა დღეს ჩვენ აღარ გამოგვადგებაო, ჩვენ უნდა ვეძიოთ ის გვარიშვილობა, რაც ჩვენი მეფეების დროს გვქონდაო, დღეს-კი ჩვენ არაფერი ღირსება გვაქვს, ჩვენი ძველი წერილები და საბუთები სტამბოლში წაღებული, ჩვენ არ ვიცით ესენი სად ინახება, ახლა გვინდა თავად-აზნაურობის შესახებ დავიწყოთ და არ ვიცით, როგორ მოვახერხოთ, იმედია, რომ ამ საქმეში საქართველოს თავად-აზნაურობაც დაგვეხმარება და იმეცადინებენ, რომ ჩვენც მოგვენიჭოს უფლება და იმათთან შევერთდეთ სამუდამოდ. ყველა ბეგებს თურმე ეს აქვთ სადარდელად და ყველა ამას ნატრობს, თუ როდის რა გვეღირსება და რა იქნება ჩვენს თავზეო. მიწების გამიჯნვას და განსაზღვრის საქმეებსაც ესენი ძლიერ შეუფიქრიანებია. ჩვენ გვეუბნებიან, რომ მიწა ოსმალეთში არავის ეკუთვნის, იგი სახელმწიფოა, ამიტომ თქვენი მამულები სახელმწიფოდ უნდა წავიდესო. ჩვენ დავუმტკიცედ, რომ ეს ჩვენი მხარე არც სათათრეა და არც ჩვენა ვართ თათრებიო.

ჩვენ ქართველები ვართ, მხოლოდ რჯული ოსმალური გვაქვსო.

ერთმა მათგანმა მითხრა: ბათუმის სუდში მკითხეს: ვინა ხარო! მე ვუთხარი: რომ ქართველი ვარ, ძალა დამატანეს, რომ თათარი ხარო. მე ვუთხარ: ქართველი! იმათ თათარიო. ბოლოს მთარგმნელი მოიყვანეს და იმან მკითხა, მასაც ასე ვუთხარი. არაო, მაინც მითხრა: შენ თათარი ხარ და რჯულიც თათრული გაქვსო, მე მაინც ჩემი უთხარი; მე ქართველი ვარ და ქართული ზნე-ჩვეულება მაქვსო, ჩემს რჯულთან რა ხელი გაქვთ, როგორც გინდა ისე ვილოცებო. ამავე პირმა აღიარა: ფანატიკების ბრალია, რომ ჩვენს წერა-კითხვის საზოგადოების სასწავლებელში 10 ყმაწვილზე მეტი არ სწავლობს ქართულ მაჰმადიანი, თუმცა ეს სასწავლებელი მათთვის არის დაარსებული და 10 ყმაწვილი-კი არა 60-70 ყმაწვილი უნდა იყოს მოსწავლე. მოლები ეუბნებიან ხალხს: რომ თქვენს შვილებს ქართველების სასწავლებელში ნუ მიაბარებთ, თორემ სულითაც და ხორცითაც წაწყდებითო. ხალხიც ყურს უგდებს, შვილებს ისე უსწავლელად სტოვებენ და ან თუ ასწავლიან, მოლასთან მიჰყავთ ყმაწვილები, ამის წყალობით ქართველი მაჰმადიანები სწავლა-განათლების მხრივ ძალიან უკან არიან ჩამორჩენილნი. საზღვარგარედ ნასწავლი ქართველი მაჰმადიანები-კი ამათ არ ადგებათ, რადგანაც სამშობლო ენისა და ერის სიყვარულიც უქრებათ, ამათ ქართველ მაჰმადიანთ უსწავლელობა სულ არ აფიქრებს. ამათ ქართული ენა და უსწავლელი ხალხი აინუნშიაც არ მოსდით.

ბათუმში სავაჭრო საქმეების მწარმოებელმა ქართველ მაჰმადიანმა ბატონმა **მჟავანაძემ** გადმომცა, რომ ბათუმის ვაჭარ ქართველ მაჰმადიანებთან ქობულეთის სკოლის დაარსების შესახებ საუბარი მქონდა და გადავსწყვიტეთ, რომ ამ თავითვე 200 მანეთი შევწიროთ და შემდეგაც არ მოვაკ-

ლოთ ჩვენი ზრუნვა, ოლონდ-კი ჩვენ ბავშვებს ქართულსა და რუსულს ასწავლიდნენო.

ამ პატივცემულმა ქართველ მაჰმადიანმა დიდი გულისმოდგინება გამოიჩინა. ეს დიდად მოწადინეა ქართულ მაჰმადიანებში სკოლების დაარსების. თვითონ მეტად ზრდილობიანი კაცია, კარგად მოსაუბრე. ამას ერთობ მჭიდრო კავშირი აქვს ბათუმში მყოფ ქართველ მაჰმადიან მოწინავე პირებთან და ყველას ეუბნება და ავალებს, რომ განვითარების გზას შევუდგეთ და ჩვენი შვილებისთვის რამე ვიზრუნოთო. სწორედ საქები არიან ასეთი ქართველ მაჰმადიანები; ღმერთმა ქნას, რომ ასეთი კაცები გამრავლდეს და ამათი საშვალებით და გამრავლებით მათში სწავლა განათლების სიყვარულმაც აიდგას ფეხი. ეს იყო ჩვენი მამა პაპის ნატვრა, წადილი და ანდერძი და ასევე შეადგენს ჩვენს დიდს ნატვრას, სიხარულს და მისწრაფებას. ამიტომ ვისურვებთ და ვინატრებთ, რომ ქართველ მაჰმადიანებში სწავლა-განათლებას ფართო აღორძინება მიეცეს და ამ აღორძინების საშუალებით მათში სწავლა-განათლება და მეცნიერების სიყვარულიც დამკვიდრდეს, ცხადი საქმეა, რომ ესენი მაშინ ადვილად გაარჩევენ იმას, თუ სარწმუნოება არ არის და გვარი არ არის. იმედია, რომ მაშინ ისინი გვარსა და სარწმუნოებას ერთად აღარ არევენ. გაიგებენ, რომ სარწმუნოება სხვა არის და ქართველობა სხვა. რომ თავის დღეში მათ სარწმუნოებას ქართველობის უარის ყოფით არაფერი მიემატება. ამის ნიშნები უკვე მათში სჩანს, მხოლოდ ამას პატრონები უნდა, გულშემატკივარი კაცები. აქეთ ქართველ მაჰმადიანები ჯერედ ისე გაფანატიკებულები არ არიან, როგორც ჯავახეთში. ჯავახეთში თუმცა სკოლებიც დაიმართა ამ 15 წლის წინედ, მაგრამ უხეირო მღვდელებისა და მასწავლებლების მეოხებით ფანატიკობა უფრო წინ წავიდა, აქ თათრულმა ენამ ფეხი აიდგა და ჯავახეთის ბევრს სოფელში მცხოვრებთ დღეს ქართული ენაც

დაავიწყდათ, აქაურ ბეგებსაც კი არ სწამთ ის, რომ ოდესმე ქართველთ შთამომავალნი ყოფილან, პირში-კი გეტყვიან, რომ დიახ, ადრე ქართველნი ვყოფილვართო, მაგრამ პირსუკან კი გულში ხელს ჩაიკრავს. ამას ბეგები შვრებიან აქედ და უბრალო ხალხზე რაღა ვსთქვათ. ეს რასაკვირველია პირველი ჩვენი უხეირობის ბრალია და მეორე იმის, რომ რაკი ეს მხარე 1828 წლებში საქართველოსთან შემოერთდა, მას შემდეგ ოსმალეთის ხოჯებმა ამ მხარეს დიდი ყურადღება მიაქციეს, აქ ოსმალოს მოლები ჩუმად შემოდიოდნენ და ხალხს ქართული ენის ზიზღს და ფანატიკოსობასაც უნერგავდნენ. შიში ჰქონდათ ამათ, რომ არავინ გააქრისტიანონო. გაქრისტიანებით-კი არავინ გაუქრისტიანებიათ და ამათ-კი თავიანთ სამშობლო ენა დაკარგეს! დაკარგეს იმ მხარეში, რომელიც ჩვენთან კარგა ხნის წინედ შემოკავშირდა. რას იტყვის ამაზე ჩვენი ქართველობა? ის ქართველობა, რომელსაც შეძლება და ძალაც აქვთ და ამის ზრუნვა და მოვალეობაც აწევთ კისერზე. ახალ შემოერთებულ მაჰმადიანებზე-კი ჩვენ ამას ვერ ვიტყვით, აქეთ უფრო შეუნახავთ ქართული ენა და ჩვეულება. ამათში ყველა ქართულად ლაპარაკობს, ზოგმა წერა-კითხვაც იცის, ბეგების ზოგიერთნი ქართველობენ და პირდაპირ ამბობენ, რომ ჩვენ ქართველები ვართო, ამავე ჰაზრის არიან ხან და ხან მათი სასულიერო პირიც და ზოგ მათგანმა ქართულად წერა-კითხვაც იცის.

ამ მხრის ქართველების გულის სატკენი ერთი მხოლოდ ის არის, რომ საერთოდ ყველა ქართველ მაჰმადიანებს თავიანთი თავი დიდად ობლად მიაჩნიათ და სულ იმას დარდობენ, რომ ჩვენი დიდ-კაცები ომის შემდეგ ოსმალეთში გადასახლდნენ და ჩვენ-კი აქ ობლად დაგვტოვეს, თუმცა ამ ობლობით ჩვენ არაფერი წაგვერთო და ბევრადაც წინ წაველითო, ოსმალეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიან დიდ-კაცების და ფაშების შესახებაც ხშირად საუბრობენ. სა-

დაც-კი შეხვდებით, ყავახანაში, სადმე სავაჭროში, ჯამეში, მედრესეში თუ სხვაგან. ყველგან ამას ამბობენ: ეჰ, ჯანუმ, ჩვენი დიდი კაცები სხვაგან ცხოვრობენ და გინდ რომ აქ იყვნენ, მაინც დღეს ისინი ჩვენ ველარ გამოგვადგებოდნენ, იმიტომ რომ, დღეს აქ რუსული ენა არის საჭირო და იმათ-კი რუსულის ლაპარაკის სიტყვაც არ იციან. ამით იმედოვნებენ ესენი თორემ ეს რომ არ იყოს, მაშინ სულ მათ წუხილში იქნებოდენ. მე ბევრ ალაგას და ბევრს პირს უთხარი, რომ ნუ დარდობთ, ჩვენ ყველა ქართველები ვართ, ჩვენი დიდი კაცები თქვენი დიდი კაცებიც არიან და თქვენი ჩვენი მეთქი. ეს სულ ერთია, ჩვენი დიდი კაცები ისინი არიან, ვინც ჩვენთან არიან და ჩვენს ჭირსა და ლხინში მონაწილეობას იღებენ მეთქი, მაგალითად: მე მათ **შოთა რუსთაველი** უხსენე, **დავით აღმაშენებელი** და **თამარი.** თამარზე ყველამ მოწიწება განაცხადა. ამის ამბები ერთ ალაგას მკითხეს, როცა ვეუბნებოდი, იმ დროს სულ სმენად გარდიქცნენ. ამათშიაც მოფენილა ძველი ქართული სახალხო ლექსი:

„ათასი კაბა ყმა მყვანდა,
ყველანი ოქროს ღილითა,
ვაჭმევდი დედალ ხოხობსა,
ვასომდი ბროლის ჭიქითა,
ვინც რომ შემება — შევები,
ალალითა და ჯიქითა,
აწი თქვენ იცით მეფენო,
ვინც დარჩეთ ამას იქითა.“

ეს ლექსი მახინჯაურელ **უსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლის** გაგონილი არის ძველიდგან.

ბევრ ალაგას **ერეკლეს** სახელსაც ახსენებენ. ერთმა ხოჯამ მკითხა: ერთი დიდი ერეკლე ხანი რომ იყო, იმის შთამომავალი დღეს ვინ მეფობს თფილისშიო. მე მიუგე რომ აღარავინ, მაშ რა იქნენო? რუსეთში გადასახლდნენ და იქ დაი-

ხოცნენ. ამან შუბლზე დაიკრა ხელი, ჰაი გიდი, ჰაიო! მეორემ მითხრა: საქართველოს რა აკლდა, ბატონოვო, ყველაფრით მდიდარი იყოვო, მხოლოდ ერთი ერთობა აკლდაო, ჩვენ რომ ერთობა გვქონიყო, მაშინ ვერც ოსმალი გაგვტეხდა და ვერც სპარსნიო, მაგრამ ჩვენი ცოდვები ზიდონ ჩვენმა მტრებმაო. ერთმა სთქვა: ჩვენს ქართველობაზე თქვენ დაგარწმუნებთ, რომ ჩვენ ნამდვილი ქართველები ვართ, ვიდრე რუსეთი მიგვიღებდა, მანამდის ჩვენ ჩვენს თავებს ქართველებად ვაღიარებდით. 1850 წლებამდის თათარს ჯარიც არ მივეცით, აუჯანყდით, ჩვენ შევუთვალეთ, რომ ჩვენ ქართველები ვართ, თქვენთვის ჯარის კაცი არც გვიძლევია და არც მოგცემთო. გარდა ამისა, ბერლინის კონგრესზე ჩვენ კაცები გავაგზავნეთ და ვსთხოვდით, რომ ეს ჩვენი მხარეც გაენთავისუფლებინათ ისე, როგორც ბოლღარელების და სხვების. ამისთვის დიდი დახმარება მოგვცა ინგლისის სამართველომ — სამი ათასი სტერლინგი. ამავე თხოვნით ჩვენ უნდა მიგვემართა რუსეთისთვის და ამ საქმეში დახმარება და მფარველობა გვეთხოვნა, გვეთქვა, რომ ჩვენ როგორც ქართველთ შთამომავალი და ოსმალოს ხელში მყოფნი ეგები გვიპატრონოთ და გაგვანთავისუფლოთო. ეს განძრახვა ოსმალეთმა შეგვიტყო, კაცები გამოგზავნეს, სუყველა მოთავეები დაიჭირეს და წაიყვანეს ოსმალეთში, დღევანდლამდის კაცმა არ იცის მათი საქმეო, ეს სულ ყველა-კი იმან გამოიწვია, რომ ჩვენკენ ოსმალებმა სალდათის თხოვნა დაიწყესო. სალდათი მაინც წაიყვანეს და ამ საშუალებით შეისწავლეს ჩვენებმა თათრული ენაო, თორემ ჩვენში სულ არ იცოდნენ თათრულიო.

აი რამდენიმე ცნობა იმ მაჰმადიან ფაშების შესახებ, რომელნიც დღევანდლამე ოსმალეთში ცხოვრობენ და იქ ამათ კარგი საპატიო თანამდებობაც უჭირავთ, იქ ბევრმა მათგანმა ქართული წერა-კითხვაც იცის და ოსმსლეთიდამ საქართველოში თავის ნათესავებს ქართულად წერს წერი-

ლებს, ასეთ ფაშებისაგან მოწერილ წერილებს კაცი ხშირად შეხვდება სხვა და სხვა ოჯახებში. 1.**სამან-ფაშა,** გვარად **თავდგირიძე,** ძველი ქართველ თავადის შვილის თავდგერიძიანთ შთამომავალი, ქართული ენის კარგად მცოდნე, ამან ქართული წერა-კითხვაც იცის, და ნათესავად მოხვდება პატივსაცემ თავად **გრ. გურიელს. დღეს ეს ფაშა ტრაპიზონის გუბერნატორია,** ომის გათავების შემდეგ ეს ფაშა ტრაპიზონიდამ წერილებს წერდა ქართველ მაჰმადიანებს და ურჩევდა, რომ საქართველოდამ ნუ აიყრებითო, ეგ ქვეყანა ძვირფასი ქვეყანაა, თქვენი მამა-პაპის სამშობლოა. ნუ გადმოსახლდებით აქედ, თორემ ბოლოს ინანებთო. ჩვენ ნუ გვიყურებთ, ჩვენ ფაშები ვართ, ჩვენ დიდ ჯამაგირებს გვაძლევენ და ამიტომ წამოველით აქეთ, თორემ თქვენსავით რომ ვიყოთ, მაშინ ფეხს არ მოვიცვლიდით აქედამაო, ყოველთვის ამ აზრის ყოფილა ეს ფაშა, მაგრამ ბევრ ამ ფაშის სიტყვები არ დაიჯერეს, დაიწყეს ოსმალეთში გადასახლება და ბოლო ამ ფაშის სიტყვაც გაუმართლდათ, მაგრამ რაღას იზამდნენე, გვიან-ღა იყო, **ოსმან ფაშას-კი** სადაც უნახავს ეს გადასახლებულნი ყელგან და ყოველთვის დიდი საყვედურები უთქვამს, რად გადახველით ჩემ სიტყვასო?

ოსმან ფაშა წინედ სხვა აზრის ყოფილა, ვიდრე იგი ოსმალეთში გადასახლდებოდა, მანამ ესეც ურჩევდა თურმე ხალხს გადასახლებას, მერე-კი როცა თვით გადასახლდა და ნახა იქ მოჰაჯირის საცოდავობა, მაშინ სისნანულში შევიდა თურმე და ყველას ეხვეწებოდა და არიგებდა, რომ ნუ მიდიხართ აქეთო. 2.ამათი ცოდვა ზიდოს **ალი ფაშა თავდგირიძემ,** იყოს პასუხისმგებელი საქართველოს ისტორიაში, რადგანაც ერთი მათივე პირთაგან ესეც არის ქართველების გადასახლებაში. ,,ალი ფაშა თავდგირიძემ ქართული ლაპარაკი და წერა-კითხვაც იცის, ამისაგან მოწერილი წერილები აქეთ ბევრს აქვს, სხვათა შორის **გრ. გურიელსაც,** რადგანაც გრ.

გურიელს ეს ნათესავად მოხვდება. ოსმანობის დროს ამ ფაშას ღალატს სწამებდნენ, ამიტომ ალი ფაშას და იმ დროის ბათუმში მყოფს ოსმალოეთის უფროსს სამხედრო **დერვიშ ფაშას** ჩხუბი მოუვიდათ და საჩივარიც ასტეხეს, გამოჩენილს და დიდად ცნობილს ალი ფაშას ვითომც და ღალატის გამო ხალხმა შემდეგი ლექსი გამოუთქვა, რომელსაც კარგად მღერიან ქართველ მაჰმადიანები. ალი ფაშა დღეს მთელს ოსმალეთსა და მაჰმადიან ქართველებში დიდად ცნობილი კაცია. აი ლექსიც:

„ხვანთქარი და რუსი ჩხუბობს, იგი არის ორივ ეში.
ალი ფაშამ გვიღალატა, აგვიყვანა კვირიკეში.
ხან რომ ფულები აიღო, ჩვენ დაგვტია სხვისა ხელში,
კაი არც მას დამართვია, ბაწრით ჩაათრიეს გემში,
მისი ყვირილი გვესმოდა, სუფსას ჩაათრიეს გემში,
მისი ყვირილი გვესმოდა, სუფსას გაღმა ბაილეთში."

დერვიშ ფაშა ალი ფაშას ეუბნებოდა: რომ თქვენ ქართველები ხართ და ჩვენ ღალატი გინდათო, რუსებისაკენ გადახვალთ და გვიღალატებთო. მაგრამ მე კაი დროს მოგასწარითო. ალი ფაშა, რასაკვირველია წინააღმდეგს ამბობდა. ეს მართალიც იყო, რადგანაც ქართველ მაჰმადიანები დიდი ერთგულნი იყვნენ იმ ოსმალეთის სამეფოისა, რომელმაც ოდესმე მათი ქვეყანა აიკლო, ყველაფერი აქციე-ანგრია და ბოლოს-კი მაინც ყველა თვის მორჩილად გახადა. ომის გათავების შემდეგ **დერვიშ ფაშას** საწინააღმდეგოდ და დასამტკიცებლად სულთნის წინაშე, **ალი ფაშა** გადასახლდა ოსმალეთში და ნიშნად ერთგულების თან გადაასახლა ათი ათასი კომლი, რომლებიც აფრიკისაკენ იყვნენ გადაკარგულნი და იქ დასახლებულნი. ალი ფაშა, როგორც **თავდგირიძის** გვართაგანი ნათესავი იყო **გრ. გურიელისა,** ამიტომ გრ. გურიელი ბევრს ეხვეწებოდა თავის ნათესავს:

– ალი-ფაშავ! შენ თუ მიხვალ წადი ოსმალეთში და ამ ხალხს ნუ აგულიანებ. მაგრამ ალი ფაშა უარს ეუბნებოდა.

– არ შემიძლიან, მე რუსების ახლოს ვერ დავრჩები, მე თათარი ვარ, არ შემიძლიან აქ ყოფნა. ასე და ამ გვარად ალი ფაშა გადასახლდა ოსმალეთში და თან გადაასახლა კარგა ბევრი ქართველები. ამ გადასახლებულთა უმეტესი ნაწილი იქვე გაწყდა, სადაც დაასახლეს, ალი ფაშას კი ღირსებია თავის გულის წადილი, სულთნისაგან მადლობა მიუღია და დიდი საჩუქრები.

ანგარების მოყვარე და შურის მაძიებელი ალი ფაშა დღეს სტამბოლში ცხოვრობს, აქ მას ულუფას აძლევენ და არსად უშვებენ სხვა და სხვა მიზეზების გამო. ამ ფაშასაგან ქართულად მოწერილი წერილი გრიგოლ გურიელთან ვნახე. ალი ფაშა ომის გათავების შემდეგ ბევრს მეცადინეობდა, რომ გრ. გურიელისათვის რამე ბრალდება დაედო, მაგრამ ვერც ეს მოუხერხდა, ოსმალეთში ამისაგან გადაყვანილ ქართველნი-კი ნათლად დარწმუნდნენ ალი ფაშის ღალატსა და მოტყუებაში. 3, **რამიზ ფაშა დუმბაძე,** მოხუცებული კაცია. 1855 წ. ომებში განითქვა სახელი. ქართული წერა-კითხვაც იცის. 4, **ფერხად ფაშა მაჭავარიანი,** ქართული ენის და წიგნის მცოდნე. 5, **მეჰმედ ფაშა შავაძე,** ქართული ენისა და წიგნის მცოდნე. 6, **ჰასან ფაშა თავდგირიძე,** ქართული ენისა და წერა-კითხვის მცოდნე. 1855 წლებში განითქვა ამ ჰასან ბეგმა სახელი და ფაშობაც მიიღო. ამან აიღო ოზურგეთი და ორპირში აპირებდა ჩასვლას. იმედოვნებდა, რომ თფილისის ფაშად მე დავჯდებიო. მაშინ ამას გამოუთქვეს შემდეგი ლექსი.

ჰასან ბეგი თავდგირიძე, გარისხული ღვთისგან მეტი,თათრის ფაშობა იშოვა, სულ მთლად დაავიწყდა ღმერ-

თი,შეკვეთილში შემოვიდა, იძახოდა: — „ოლან-გეთი", ღენერალმა უოსტატა, დაუტოვა ოზურგეთი.

ლანჩხუთამდის მას ვაცალოთ, მერე ჩვენ გვიყუროს ერთი, კულურღულებ დავუძახოთ, და აღარ გაუშვათ ერთი, გზაზედ ვიყავთ მილიცია, რუსის ჯარი მეტად ცოტა, ცხრა ათასი თათრის ჯარი, წინ დაგვიხვდა, გვებოროტა.

პოლკოვნიკმა **ერისთავმა,** წინ გაუშვა ერთი როტა, გაექცენ და ჩაერივნენ, მიჭირები აიშალა, ვინც არ მოჰკლეს, დაიჭირეს, ყელს მოაბა დიდი ფშალა, ცხრა ათასი კაცის რიცხვში; შვიდასმა ძლივს გაიმშრალა.

ჰასან ფაშა ჩემი ძმაი თავ-მოჭრილი დავინახე, წინ დღეებში მან გადამწვა, მით მომიგო იმან მახე, რადგან ჩემი ძმაი იყო, ბოლოს მაინც მე დავმარხე.

ამ ფაშას შესახებ ბევრი ამბებია დარჩენილი. 7, **ჯეშილ ფაშა ყანთელიძე,** ქართული ენისა და წერა-კითხვის მცოდნე. 8, **რამაზ ფაშა.** 9, **ხამიდ ფაშა.** 10, **რაშიდ ფაშა,** ძმანაები **დუმბაძეები.** 11, **ვასილი ფაშა დუმბაძე,** შვილი რაშიდ ფაშასი. ქრისტიანული სახელი უწოდებიათ მისთვის, რადგანაც მისი პაპა ქრისტიანი ყოფილა და სახელად ვასილი რქმევია. 12, **ხოსროვ ფაშა, ერისთავი,** დიდი მინისტრი, ეს ფაშა ერთს დროს ინგლისში ოსმალეთის ელჩადაც ყოფილა, იცის ქართული ენა და წერა-კითხვა. ამას გარდა იცის ინგლისური, ფრანგული და სხვანი. ევროპულად არის განათლებულიო. 13, **მაჰმედ ფაშა ანთელიძე.** 14, **ხასან ბერი ფაშა აჭარელი,** სოფელ ბორჩხელი, ევროპიის ბევრს სახელმწი-ფოებში ელჩად ნამყოფი, იცის სხვა და სხვა ენები. 15, **დედე ფაშა აჭარელი,** სოფელ ქედელი, ქართული ენის და წერა-კითხვის მცოდნე. 16, **შაქირ ფაშა ხიმშიაშვილი,** მცოდნე ქართული ენისა და წერა-კითხვისა. 17, **სელიმ ფაშა ცეცხლაძე,** ქართული ენის მცოდნე. 18, **მეჰმედ ფაშა გუჯაბიძე,** ქართული ენის და წერა-კითხვის მცოდნე. აფრიკის მთავარ სარ-

დალი. 19, **მუსა ფაშა ხუნდაძე.** 20, **მეჰმედ ფაშა ვახვახიშვილი,** ადროინოპოლის გენერალ გუბერნატორი. ამ ფაშის დიდი მოყვარეა ადრიანოპოლში მცხოვრები ქართველთ კათოლიკე მოძღვარი პატივცემული **ათანასე ნასყიდოვი,** საფრანგეთის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში გაზრდილი, კარგად მცოდნე ქართულის ენისა, მქადაგებელი და დიდად მოყვარე ქართულის მწიგნობრობისა, ეს პატივცემული პატრი ბედმა ადრიანოპოლში გადახვეწა, იქ ეს იმყოფება კათოლიკეების ეპისკოპოზის თანაშემწედ და სკოლების უფროსად. ამ პირს მისვლა-მოსვლა აქვს ვახვახიშვილთან. ვახვახიშვილი დიდად სწუხს საქართველოს გამო. ამ პატრმა მისთვის წიგნებიც გაიწერა და ერთ დროს მე ამისაგან დიდი თანაგრძნობის წერილიც მივიღე. ამის შესახებ ორჯერ სამჯერ აქაურს გაზეთებშიაც იყო ცნობები დაბეჭდილი, რომელიც ეკუთვნის საქართველოს მოყვარე პატრს ათანასე ნასყიდოვს. 21.**ბერი ფაშა თავდგირიძე,** მაკედონიისა და ალბანიის მთავარ სარდალი; ქართულის ენის და წერა-კითხვის მცოდნე.

ამ ფაშებს გარდა სხვებიც სცხოვრობენ და იქ ამათ დიდი ადგილებიც უჭირავთ. მათი მნახველ ქართველი მაჰმადიანები ამბობენ, რომ ამ ფაშებს საქართველო დიდად უყვართო. ჩვენ კაცს რომ ნახვენ ოსმალეთში, აღარ იციან რა ჰქნანო და ყველას იმას გვეკითხებიან, თუ რუსის ხელში როგორ ცხოვრობთო? ჩვენს კაცს დიდს პატივს სცემენ და ზოგიერთი სულ იმ რჩევას იძლევიან, რომ მაჰმადიანთ ხოჯებს და მოლებს ნურაფერს დაუჯერებთო და აქეთ ნუ გადმოსახლდებითო. თქვენი ქვეყანა მეტად სჯობია ოსმალეთსაო. ამასაც დღეს თუ ხვა და სხვა სახელმწიფოები აიღებენ და თქვენ უარეს მდგომარეობაში ჩავარდებითო, ისევ შეჩვეული ჭირი სჯობია შეუჩვეველს ლხინსაო. გარდა ამის, ეგ თქვენი სამამულო მხარეა, მანდ უცხოვრიათ თქვენს მამა პაპას, თქვენს

წინაპრებს, მათი საფლავებიც მანდ არის და მათი სალოცავებიცო, ჰაერიც მანდაური სჯობს, წყალიცა და მოსავალიცო. ოსმალეთი რომ აიღოს ვინმემ, მაშინ ჩვენც აქედამ მანდ გადმოვალთო, ჩვენ მანდ უფრო მოგვერჩის გულიო.

ჩვენდა სასიამოვნოდ, ჩვენ მოძმე ქართველ მაჰმადიანებმა კარგად მიხვდენ, რომ აქედამ მათი გადასახლება უბრალო იქნება და ამიტომ ახლა ისე აღარ ლაპარაკობენ ამაზე. თუმცა ცოტა-ცოტა კიდევ მიდიან ხოლმე, ამის სენი უფრო ახალციხის ქართველ მაჰმადიანებს აქვთ მოდებული. როგორც იწერებოდენ, „ივერია"-ში ესენი ეხლაც გადიან აქედამ. მაგრამ სცდებიან, სცდებიან იმიტომ, რადგანაც ვინცკი აჭარა-ქობულეთიდამ გადასახლდენ, ისინიც-კი ცხარეს ცრემლით მოსტირიან თავიანთ საყვარელ საქართველოს. ესენი გადასახლდენ, თავიანთ მამულები ოხრად დასტოვეს, ესენი აქ სხვებმა დაიჩემეს, მასზე გააკეთეს მშვენიერი სახლები, ქარხნები გაიმართა, ვაჭრობა, მუშაობა და სხვანი. წინად-კი რას გავდა აქ, არაფერს, ჭაობის მეტი სხვა არა იყო რა. ქართველ მაჰმადიანებმა-კი რა გააკეთეს ოსმალეთში და რა მიიღეს ოსმალეთის მთავრობისაგან? არაფერი სიკეთე, გაჭირვება, სიღატაკე, სიშიშვლე და შიმშილი. ამათ სამშობლოში ამათი მოადგილენი დაწინაურდნენ და დღეს ქართველთ მაჰმადიანები შურით უცქერიან ამ ახალ პატრონებს და დანანებით ამბობენ, რომ ეს რა მოგვივიდა, რად გადმოვსახლდით აქეთა, რატომ იქ არ დავრჩით და ჩვენს მამულში ჩვენ არ წავდგით წინ ფეხიო. მაგრამ რაღა დროს, ერთობ გვიან, მიტომ მგონი ქართველ მაჰმადიანებმა უნდა ადვილად მიხვდენ ამას, რომ მათი აქედამ გადასახლება იქნება მათი უბედურება, სიღატაკე, შიმშილი, სიტიტვლე, ათასნაირი სატკივრები და ბოლოს უსიხარულოდ დახოცვა.

ქობულეთისა და ჩაქვის ხეობის მოლეები და ხოჯები

კინტრიშისა და ჩაქვის ხეობის სოფლები სავსეა ქართველ მოლებით; ისე სოფელს ვერ ნახავთ ამ მხარეს, რომ იქ, ორი თუ არა, ერთი ქართველი მოლა მაინც არა სცხოვრობდეს. ზენეთსა და ძველ ქობულეთში შვიდი სასულიერო კაცი ცხოვრობს. ეს ორი სოფელი ერთ საზოგადოებას შეადგენს და ერთი ჯამე აქვთ. ამ სასულიერო კაცთა შორის ორი ხოჯა არის, ჭანები, და ხუთი მოლა; მოლები ქართველები არიან. ოთხმა მოლამ ქართული წერა-კითხაც იცის, მხოლოდ ერთმა არ იცის. ესეც დაისწავლის მალე, რადგანაც ახლა ამათში ქართული მოიპოვება. აქ მოლები ქართულადაც სწერენ, მხოლოდ მეტად გაურკვეველის ხელით, ასეთ წერას ისინი „ჩვენებურს,, ეძახიან, ე.ი. მათებურს. ამ მოლებს ძალიან მოსწონთ ჩვენებურის მძიმე ენით დაწერილი წიგნები. ამბობენ, ძველი ქართული სჯობია ახალს, რადგანაც ძველი უფრო დამუშავებულიაო. ჩვენებურს ქართულს „ხოშორ,, ქართულს უწოდებენ, ე.ი. უფრო კარგს.

ეს მოლები და ზოგი ქართველი და ხოჯები გაჭირებულს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი, მოლობაში დავაჟკაცებულან და ასრულებენ იმ მოვალეობას, რაც იმათ ხნის კაცს აღარ შეჰფერის. თითო-ოროლანი არიან ისეთი ქართველი ხოჯებიც, რომელთაც შესამჩნევი ადგილი უკავიათ. უმეტესი ნაცილი-კი სამწუხარ მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ესენი ოსმალეთიდგან მოსულ ხოჯებსა და მოლებს არაფრით ჩამოუვარდებიან, არც „ყურანის,, კითხვით, არც ლოცვით, არც გალობით და არც სხვაფრივ, ხალხისთვისაც სასარგებლონი არიან, რადგანაც ესენი აქაურ ყოველ მოსახლეს იცნობენ, იციან ამათი შინაური ცხოვრება, შეძლება, ოჯახის წევრთა რიცხვი, ამათი ხასიათი, ზნე, ჩვეულება.

ჭირშიაც თავიანთ თანამემამულე ქართველ მაჰმადიანთან არიან და ლხინშიაც, მაგრამ, საუბედუროდ, ხალხს-კი მათი არავითარი პატივისცემა არ აქვს. ესენი აქა-იქ ცუდად იმყოფებიან და სიმინდში მუშაობენ, ამითი სცხოვრობენ და ამათი თანამდებობა კი ოსმალეთიდგან მოსულ ხოჯებსა და მოლებს უკავიათ!

ესენი ამბობენ, რომ ჩვენის ხალხის აყრისა და გადასახლების მიზეზი სულ ოსმალეთიდგან მოსული ხოჯები არიან, ისინი ეუბნებოდნენ ხალხს, რომ წამოდით თორემ რუსები გაგაქრისტიანებენ, ოჯახს წაგიხდენენო, მათ არც წესი აქვთ და არც კანონიო. მოვიდნენ რუსები, მაგრამ ჩვენში არც არავინ მოაქრისტიანეს და წესიც კაი ჰქონებიათ და კანონიც. დღეს ჩვენი ძმები ოსმალეთიდგან შურით უყურებენ ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას და აქ გადმოსვლაც ენატრებათ, მაგრამ იმათ ამის ნებას აღარავინ აძლევს.

ეს ხოჯები არც დღეს ისვენებენ და უმეტეს ნაწილს თავიანთ ქადაგებაში ხალხს სულ აქედგან აყრასა და გადასახლებას ეჩიჩინებიან. ჭანელ, ლაზელ და ოსმალეთიდგან მოსულ ხოჯებს რუსის მთავრობის სიძულვილის მეტი სხვა არაფერი აქვთ გულში. ხალხს ეუბნებიან: აბა ეცადეთ, რომ თუ ვინიცობაა ომი მოხდა, ეს გიაურები გასწყვიტოთ და გარეკოთ აქედგანაო, რადგანაც იმათის აქ დარჩენით თქვენ სამუდამოდ წაწყდებათ და სამოთხეში ვერ შეხვალთო. ოსმალეთს რუსთან ომი ოც-და-ხუთის წლის შემდეგ მოუხდებაო. ამ ოც-და-ხუთ წელიწადს უკანასკნელის ომის შემდეგ სთვლიან, ასე რომ, ამათის ფიქრით, ამ ათის წლის შემდეგ მოუხდება ოსმალეთს რუსეთთან ომი და ესენი რუსებს ისე მოერევიან, რომ ტფილისში თავიანთ ფაშას დასმენ!

მთავრობამ რომ ამათ მაგიერ ადგილობრივი სასულიერო კაცები დანიშნოს, მაშინ-კი ყოველსავე ამას ბოლო მოეღება. ადგილობრივე მოამზადებენ თავიანთთვის მოადგილე-

ებსა და მაშინ ამათთვის აღარც სტამბულის „რუშტია" იქნება საჭირო და არც ტრაპზონისა.

აჭარისა და ბათუმის მუფთებს რომ მოენდომებინათო, მითხრეს ქართველთ მოლებმა; მაშინ ვერც ერთი იმათთაგანი აქ ვერ შემოვიდოდაო და ჩვენ წაგვწევდნენ წინაო, მაგრამ ამ მუფთებს ჩვენი კაცი სძულთ, ნამეტნავად ქართველობა, თუმცა თითონაც ქართველები არიან. ისინი კაი ჯამაგირებს იღებენ და თქვენთან რა საქმე აქვთო. იმათის ფიქრით, აქეთ ოსმალოს ხოჯები და მოლები იმიტომ უფრო არიან საჭირო, რომ აქ ხალხი ჯერაც ისევ ქართულს ენაზე ლაპარაკობს და უნდათ ოსმალური ენა განავრცელონ, ქართული ამოაგდონო, ქართველების შესახებ ქართველთ მაჰმადიანთ გულში სიძულვილი დათესონ და ამასთანვე თათრული განამტკიცონ.

ისინი ქართველ მოლებს და ხოჯებს იმ წუნსა სდებენ, რომ თათრული წერა-კითხვა და ლაპარაკი კარგად არ იციან და, გარდა ამისა, ყველგან ქართულად ლაპარაკობენო. ქართველი ხოჯები და მოლები რომ იყვნენ აქა, მაშინ აქ ქართული ენა და წიგნი, ამოვარდნის მაგიერ, გავრცელებას მიეცემაო.

ამ ათის ქლის წინად ქართველ მოლებსა და ხოჯებს თავინთის მდგომარეობისთვის ყურადღება მიუქცევიათ, მთავრობისათვის უთხოვიათ ჩვენს ქვეყანაში ჩვენ ვიქმნეთ სასულიერო კაცებად დაყენებული და არა ოსმალეთიდა მოსულნიო. მთავრობას ამით თხოვნა კანონიერად დაუნახავს და ადგილობრივ გამგეობისათვის ბრძანებაც მოუწერიათ განკარგულების მოსახდენად და საქმესაც შესდგომიან, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ საქმე ისევ ისე გაჩერებულა და ოსმალეთიდგან მოსულნი აქვე დარჩენილან. ამ დღეებში მე ვნახე რამდენიმე ქართველი მოლა და დიდად სამწუხარო ცნობები გადმოსცეს თავიანთ მდგომარეობის შესახებ, ბოლოს სთქვა

ერთმა: ეხლა გვინდა საჩივარი მივცეთ, სადაც ჯერ არს და ვითხოვთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩვენ ვიქმნეთ დანიშნული და ეს უცხონიც სამუდამოდ განდევნონ საქართველოდგანო. საჭიროა, რომ ჩვენს უმაღლესს სასულიერო კაცებსაც დარიგება მიეცეს და სტამბოლის მაგიერ, აქ, ბათუმში, დაფუძნდეს ჩვენი სასწავლებელიო, ეს ამბავი ბევრს შეგნებულს მაჰმადიანს გავაგებინე და ძალიან ესიამოვნათ. ერთმა ქართველ მაჰმადიანმა, რომელიც სტამბოლში გაზრდილა და მცოდნეა ოსმალური ენის და წერწ-კითხვისა, რომელსაც ძალიან ენატრება ამ საქმის განხორციელება, ამბობს და სხვასაც ეუბნება: ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი სამშობლო ენა ქართული ენაა, ეს მხარე საქართველოს ეკუთვნოდა, იგი საქართველო იყო, დღეს ღვთის განგებით ეს მხარე ისევ საქართველოს შეუერთდა და დღეის შემდეგ აღარც ჩვენ შეგვფერის ყვირილი, რომ თათრები ვართო. რის თათრები ვართ, გვარი არა გვაქვს თათრისა, ენა, ზნე და ჩვეულებაო. ჩვენში რომ ორი ან სამი ქართული სკოლა გაიმართოს, მაშინ ამ სკოლების საშუალებით ჩვენი შვილები უფრო მტკიცედ დაუბრუნდებიან თავიავნთ მშობელს ქვეყანას. ჩვენა ვართ ბეჩავები, თორემ ოსმალეთში ბერძნებიც არიან, რომელნიც მაჰმადის სჯულს ეკუთვნიან, მაგრამ არავის ეტყვიან, რომ ბერძნები არა ვართო. იმათი დედა-ენა ბერძნულია და თვითონაც ბერძნებად აღიარებენ თავიანთ თავსაო.

დაბა ჩურუქსუდამ სოფ. ვარჯანულამდის 30 ვერსზე მეტი იქნება: გზა მიემართება მრავალს მეტად მაღალს მთებს შუა, რომელიც დაბურულია მაღალი ხეებით, ამ ხეებისგან მთლად ამ სოფლის გზა და ხეობა დაბნელებულია; აქა-იქ კაცი ხშირად ჰხედავს მარტო ბზის და კაკლის ტყეებს; კაკლის ტყეებში-ეკკლესიის ნაშთებს. აქ ისეთი ხეებიც მოიპოვება, რომლებიც საქართველოში იშვიათი უნდა იყოს. ამ ტყეებს შუაში ჩამოუდის კინტრიშის წყალი, რომელიც შავ

ზღვას ერთვის. მთლად ამ კინტრიშის ხეობის სოფლებს ეს წყალი შველის. შიგ თევზიც ბევრი იცის. აქა-იქ ცივი წყაროებიც მრავალია. სოფლებში ყველგან ქართველი თათრები წყაროს „საცივს" ეძახიან, წყარო რომ უთხრათ, ვერ მიხვდებიან.

რამდენიც კაცი უფრო შორდება შავ ზღის ნაპირებს და შორს მიდის, რამდენიც უფრო შორს, შეუვალს უდაბურს ტყეებში მდებარე ქართველთ მაჰმადიანთ სოფლებში შეხვალ, იმდენად უფრო სუფთად არის დაცული და შენახული ქართული ენა. აქა-იქ მხოლოდ თითო-ოროლა სიტყვას გაიგონებ ოსმალურს მაგალითად: კონახი (სასახლე), იაღი (ერბო), ხოჯა, მოლა, ჯამე, იმამი, მუხთარი (მამასახლისი), ნიზამი (ჯარისკაცი), ფადიშახი (ხელმწიფე), ასკერი (ლაშქარი) და რამდენიმე სხვა სიტყვას, დანრჩენი სულ ქართულია. ყველგან ქართული ლაპარაკი, ქართული ხმაურობა, ქართული სიმღერები, ქართული ღიღინია. ამ ბნელის ტყეებით დაბურულს სოფლის ხალხს თქვენ ვერას გზით ვერ შეატყობთ, თუ თათრები არიან, ხილო როცა მოლა ჯამეს მინარიდამ გადმოდგება და „ლა ილაჰეს" დაიწყებს, მაშინ-კი იგრძნობთ, რომ მაჰმადიანებში ხართ. მოხუცებულთ მითხრეს, რომ ოსმალოს დროსაც ჩვენში მოლებისა და ხოჯების გარდა ოსმალოდამ ერთი კაციც არ გვინახავს აქ ოსმალური ენის მცოდნეო.

სოფ. ვარჯანულს დიდ-ძალი სოფლები აკრავს გარსა და ეს სოფლებიც ისეა ბუნებისგან შემკულ-დამშვენებული, როგორც ვარჯანული. სხვათა შორის ვარჯანულს გვერდით არის სოფ. ქოხათი; ქოხათის მაღალს მთაზედ, რომელიც ტყით არის დაბურული, ერთს ალაგას, აღმართულია ოთხ არშინიანი თლილი ქვის **სარჩობელა**, რომელსაც თავზე სარჩობელას გამოსაბანი რკინის კავის ადგილი აქვს, რკინა გამოვარდნილია. შუაში გამობმული აქვს ჯაჭვი. ეს თლილი

ქვის სარჩობელა ოსმალეთის მთავრობას იმ დროს აღუმართავს, როცა კინტრიშის ხეობის ქართველობას გათათრება დაუწყს. **ვინც არა თათრდებოდა, იმას ან დარჩობა ელოდა და ან იმერეთსა და ქართლში გადმოვარდნა.** ბევრნი თავიანთ ძვირფასს მამულებს ვერ ეთხოვებოდნენ, იმერეთსა და ქართლისკენ ვერ მირბოდნენ, რჩებოდნენ აქ, მაგრამ საცოდავნი ვერც ისლამს ეთვისებოდნენ ადვილად; მათი გათათრება ხან დღეს იყო დანიშნული და ხან ხვალ, მაგრამ საბოლოოდ-კი საქმის გადაწყვეტა ძლიერ აშინებდათ;

ჩაქვის ხეობის სოფლების მეორე დიდს ჯამმედ სოფ. ჩაქვის თავის ჯამე ითვლება. როგორც სოფელს ხალის ჯამეზედ, ისევე ამ ჯამეზედაც ძალიან ბევრი ქართველ ხალხი მოდის. ხოჯა აჭარელია, გვარად **იმედაშვილი,** თათრულად **იმამიშვილს,** უწოდებენ. ამ ხოჯამ ქართული კითხვაც იცის და რამდენიმე ქართული წიგნი სიამოვნებით გამომართვა, ხალხსაც ურჩია მიღება. ამ ხოჯას „ნადი" ჰქონდა და ლოცვა ადრე გაათავა. ლოცვის შემდეგ გლეხებმა დაიწყეს ყანაში მუშაობა და ქართული სიმღერები. ოც-და-ათი კაცი იყო და ყვლა ესენი რიგიანის შეწყობილის ქართულის ხმით **„ნადურს"** მღეროდნენ.

ამ მომუშავე ხალხში რამდენიმე **ჩიჯავაძეც** ერია, მეფეების დროის აზნაურები, ოსმალის ხელში აღიებად ცნობილნი. ერთი ამათგანი, მოხუცი **ჩიჯავაძე,** ოსმალოს მთავრობისაგან ვარსკვლავით არის დაჯილდოებული და დღეს ბათუმის მაჰმადიანთ მეჯლისის წევრია, ანუ ყადი. ამის შვილებმა ქართული კითხვა იციან და შემდეგისთვის უფრო უკედ დავისწავლიდით რომ აქამდის წიგნები გქონდათო. სთქვეს: ჩვენ ქართული წიგნები ნახვით-კი არა და გაგონებითაც არ გაგვიგონია, თუ ქართული წიგნები იბეჭდებაო! დიდად მოხარულნი დარჩნენ.

ამ დღეებში მე ვნახე ერთი მეტად ზრდილობიანი მოხუცი მაჰმადიანი, რომელიც სტამბოლში გაზრდილა, ოსმალოს სამსახურშიაც უმსახურნია და ოსმალოს მთავრობისაგან დაჯილდოებულია. ქართული წერა-კითხვაც კარგად იცის და ქართველობს კიდეც. ეს კაცი სცხოვრობს სოფ. ზენითში და გვარად **მჟავანაძე** გახლავთ. სოფ. ჩაქვში შემხვდა და მთხოვა, რომ ოსმალოს ქალაქ გონიოში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებისაგან წერილი მივიღე, ქართულს წიგნებს ითხოვენ და თუ ნებას მომცემთ, თქვენ წიგნებს ზოგს იქ გავგზავნიო. ესევე მთხოვა სოფ. ლეღვის მამასახლისმა, რომ რამდენიმე წიგნი ოსმალეთში მინდა გავგზავნოო.

სოფ. მახინჯაურში-კი არავინ აღმოჩნდა ქართულის წიგნის მცოდნე. აქ არც თათრული იციან. ისევ ქართულს უფრო წააკითხებენ ვისმეს, ვიდრე თათრულს.

ჩაქვის ხეობის სხვა სოფლებში ოსმალეთიდგან მოსული მოლები და ხოჯები ისე არ არიან მოდებულნი, როგორც კინტრიშის ხეობაზედ. აქ ყველგან აჭარელი ქართველები არიან, ამათშიაც-კი აქა-იქ მოიპოვება ისეთი ქართველ მოლები და ხოჯები, რომლებიც ოსმალეთიდგან მოსულს ფანატიკოსს ხოჯებს არაფრით ჩამოურჩებიან, მაგრამ ესენი გადასახლებისას მაინც არას ეუბნებიან.

როგორც კინტრიშის ხეობიდგან გადასახლდნენ ოსმალეთში ქართველთ მაჰმადიანები, ისევე ამ ჩაქვის ხეობიდგანაც. ზოგიერთი სოფელი მთლად დაიცალა, მაგალითად, როგორც სოფ. ხალვაშენში, სადაც 20 კომლზედ მეტი **ხალვაშენები** სცხოვრობდნენ და დანარჩენი სხვები. მაინც ამ ხეობაზედ მოფენილია ქართველთ მაჰმადიანთ სოფლები და ზოგში საკმარისი რიცხვიც სცხოვრობს ქართვლ მაჰმადიანებისა.

ამ ხეობაზედ ორი ოჯახი-ღა სცხოვრობს ქართველ ბეგების, **ბეჟანიძეების,** ანუ **ბეჟანიშვილებისა.** თათრულად

ბეჟან-ოღლებს უწოდებენ. აქაურ მცხოვრებთაგან შევიტყვე, რომ ჩვენი მოძმეები ოსმალეთიდგან მწარედ მოსტირიან ჩვენს ქვეყანასო და აღარ იციან რა ქნანო. ოსმალეთში ძალიან მაგრად უჭერენ მათ ხელსაო, თორემ ჩუმ-ჩუმად სულ გადმოიხვეწებიან აქეთ, აქ როგორმე ტყეებში დასახლდებიან და სახელმწიფოდ შერაცხავენ თავსაო. ძალიან სცდებიანო, ამან სთქვა, რომ იქით მიდიან, იქ შიმშილის მეტი სხვა არაფერი ელოდა. ეს კაცი იქ ნამყოფია, იქ მყოფთ ქართველთ მდგომარეობა თავის თვალით უნახავს, მაგრამ ბევრნი აქაურნი მაინც არ იშლიან თავიანთ კერპობას და ერთთავად გადასახლებას ჰფიქრობენ. ამ მოკლეს დროში, ერთს ქართველმა მაჰმადიანს ცოლ-შვილი გაუპარებია და აქამდის თითონაც გაიპარებოდა. მაგრამ რაღაცა შემთხვევით საპატიმროში ჩავარდნილა. ახლა ეს განთავისუფლებას ელის და როგორც გამოვა ციხიდან, მაშინვე ოსმალეთში გადავარდება.

ამ მოკლე დროში, სოფ. ალამბრის ფანატიკს და ქართულის ენის მოძულე ხოჯას, **ჰაჯი-უსუფ მამულაიშვილს,** სოფლის ხალხისთვის თუთუნის წევა აუკრძალავს. ვინც არ დასტოვებს წევას, იმას ჯამეში ალაგი არა აქვს, ის სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებსო. ეს ხალხს დიდად სწყენია, სასტიკად ეწინააღმდეგებიან და უთქვამთ, რომ ეგ შენი საქმე არ არისო. ეს ხოჯა ბევრს ქართველ მაჰმადინს უნერგავს ქართულის ენის სიძულვილს, ნამეტნავად იმ ბავშვებს, ვისაც ასწავლის თვის მედრესეში. ეს ხოჯა არაბულის წიგნების კითხვით ქართველ მაჰმადიანთა შვილებს სასტიკად სტანჯავს.

ქობულეთის და ბათუმის სკოლის ამბები 1891 წ.

დიდის სიამოვნებით უნდა ვაუწყოთ ქართველ საზოგადოებას შემდეგი სასიამოვნო ამბავი: ამ ზაფხულს ქობულეთის უფროსს თხოვნა მიართვეს მკვიდრ ქართველ მაჰმადიანთ საპატიო კაცებმა: **გულო-აღა კაიკაციშვილმა და დედი-აღა ნიჟარაძემ** და სთხოვეს, გვიშუამდგომლეთ მთავრობის წინაშე, რომ მისის დახმარებით ქობულეთში ისეთი სკოლა დაგვიარსოს, რომელიც უფრო გამოსადეგი იქნება ჩვენთვისაო. ქობულეთის უფროსი ამ საქმეს დიდის თანაგრძნობით მიეგება და ზემოხსენებული თხოვნა მალე გარდასცა, ბათუმის „ოკრუგის" უფროსს.

ბათუმიდამ უფროსი საჩქაროდ ავიდა ქობულეთში და მთხოვნელთ მადლობა გადაუხადა კეთილის საქმის თაოსნობისათვის. მეორე დღესვე, უფროსის ბრძანებით, დაიბარეს მამასახლისები და მოთავე კაცნი ქობულეთის ხეობისა.

დანიშნულს დღეს მოვიდნენ ყველა დაბარებულნი და გამოეცხადნენ უფროსს. უფროსმა აუწყა სკოლის გამართვის ამბავი და მადლობა გადაუხადა ამ საქმის დამწყებთ. ხალხმა ჩოჩქოლი დაიწყო და უარჰყოფდა სკოლა არ გვინდა ჩვენაო. ბატონო, ამბობდნენ თავი კაცები, ჯამეები ვერ გაგვიკეთებია და სკოლების გამართვა სად შეგვიძლიანო. დიდი ალიაქოთი ასტყდა; ხალხი ორ ნაწილად გაიყო და საქმე მაინც სკოლის დაარსებით გადაწყდა. ბოლის სკოლის დაარსების თანახმა გახდნენ თვით ისინიც, ვინც პირველად წინააღმდეგნი იყვნენ ამ საქმისა. ამ საქმისთვის ბევრი შრომა და მეცადინეობა გასწიეს ზემოხსენებულმა ქართველ მაჰმადიანებმა გულო-აღა კაიკაციშვილმა და დედი აღა ნიჟარაძემ.

ხალხს ამათ ურჩიეს, ამათ ჩააგონეს სკოლის სიკეთე და ბევრი საგრძნობელი სიტყვა უთხრეს.

— არაო, დაიგრიალა ხალხმა: თქვენ ჩვენი გარუსება გინდათ, გვატყუებთო. თქვენი შვილები რუსის სკოლებში გყავთ, იმათთვის რუსული ქუდები დაგიხურნიათ და არუსებთ და ახლა გინდათ ჩვენც წაგვიტყუოთო.

საღამოს მაინც ხალხი დაშოშმინდა და დაჰყვა ნებას თავის გაგებულ წარმომადგენლებს. უფრო იმიტომ დაჰყვნენ ნებას, რომ პატივცემულმა **გულო-აღა კაიკაციშვილმა** ამ ჩინებულის საქმისთვის საკმარისად დიდი ალაგი შესწირა, ღირებული 500 მანეთად. ეს ადგილი სძევს ქობულეთის მისავალში, ზღვის პირას, სადაც წინად სცხოვრობდა **ალი ფაშა თავდგირიძე**. ამ ადგილის შეწირვა დიდის სიამოვნებით იქმნა ადგილობრივ მთავრობისაგან მიღებული. შეწირვის ამბავმა აქაური მაჰმადიანები ძლიერ გააკვირვა და ყველა გაოცებული იყო, რომ გ. კაიკაციშვილმა ამოდენა ადგილი შესწირაო. ამ მაგალითმა დიდად წაახალისა სოფლის ხალხი. შემწირველმა ადგილი ჩააბარა მთავრობას; მთავრობამ მზრუნველნი ამოარჩევინა და შემოსაზღვრული. შეწირულ ადგილის გვერდით დღეს მშვენიერს ბარს აკეთებენ და ხალხს ჰსურს, რომ მომავალი სკოლაც საბაღოსნო სკოლა იყოს.

სკოლის შენობისთვის სოფლებს მასალა შეეწირათ. ჯერჯერობით ქვასა და კირს უკვე ზიდავენ. შემდეგ ხე-ტყის მოტანას დაიწყებენ და მერე საძირკველს ჩაჰყრიან. შენობა საკმარისად ვრცელი იქნება; ბავშვებისთვის დასაძინებელ ოთახებსაც აპირობენ სკოლასთან, რადგანაც სოფლის ყმაწვილებისთვის ყოველ დღე აქ სიარული ერთობ ძნელია, იმიტომ, რომ ზოგიერთი სოფელი ქობულეთზე 20-30 ვერსის მოშორებით სძევს.

მთავრობის მხრით ბათუმის უფროსი ქართველ მაჰმადიანებს დიდს დახმარებას დაჰპირდა. თქვენ შენობა გააკეთეთ და სწავლის ხარჯი მთავრობისა იქნებაო.

კრებაზედ ორიოდე სიტყვა ითქვა ქართულ ენის შესახებაც. რადგანაც ჩვენ ქართველები ვართ და არა თურქები და თათრები, როგორც სხვები გვიწოდებენ, ამიტომ ვითხოვთ, სკოლაში ქართულ ენასა ასწავლიდნენ ყმაწვილებსაო. უფროსი დაჰპირდა ამ სურვილის შესრულებასაც. სკოლაში ხოჯაც ეყოლებათ სჯულისა და თათრულის წერა-კითხვის სასწავლებლად. უმეტეს საგნების სწავლება რუსულს ენაზედ იქნება. მაჰმადიანებს სურთ რომ რუსული და ქართული ენა და წერა-კითხვა კარგად ისწავლებოდეს.

ქართველ მაჰმადიანები ჰფიქრობენ, რომ ამ საქმის გამო თხოვნით ჯერ მოწინავე ქართველ მაჰმადიანებს მიჰმართონ დახმარებისათვის და მერე ქრისტიან ქართველებს. ქობულეთის სკოლის სასარგებლოდ, როგორც ვიცით, „წერა-კითხვის საზოგადოებას“ აქვს 600 მან., სხვა და სხვა დროს შეწირული.

ქობულეთის სკოლაში სწავლა-მიღებულ ყმაწვილებს თავისუფლად შეეძლოთ შესვლა ახალციხის სატყეო სკოლაში, ტფილისის საბაღოსნო, სახელოსნო, სატეხნიკო, საშუალო სასწავლებლებში და სტავროპოლის გიმნაზიაში; ამ გიმნაზიაში აქაურებისთვის კარგა ხანია, ორი სტიპენდიანტის ადგილია დანიშნული. მაგრამ აქ აქამდის ამათგანი არავინ წასულა, მხოლოდ შარშან წავიდა ზემოხსენებულ ქართველ მაჰმადიანის **დედი-აღა ნიუარაძის** შვილი, რომელიც ტფილისის I კლასიკურს გიმნაზიაში სწავლობდა. ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაშივე სწავლობს შვილი დღეს პატივცემულ მაჰმადიან **გულო აღა კაიკაციშვილისა.** ამ ყმაწვილებს გარდა ერთი ბავშვი „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლაში სწავლობს და სამიყმაწვილის სამოქალაქო სკოლაში.

ქართულ წიგნების კითხვა მთელს ქობულეთში ვრცელდება ნელ-ნელა: ვაჭრებს დღეს დავთრები ქართულად აქვთ ნაწერი. ერთმანეში მიწერ-მოწერაც ქართულად უფრო ეხერხებათ. ეხლა საქმე მამასახლისებზეღაა დამოკიდებული. იმედია, რომ მამასახლისებშიაც დროით შემოვა ქართულად წერა, რადგანაც თათრულად მიწერ-მოწერის გამო დიდ გაჭირვებაშია ხალხი. ხშირად სოფელში ერთ კაცსაც ვერ პოულობენ თათრულის მცოდნეს, რომ „მეჯლიშებიდამ" თათრულად მოწერილი ქაღალდი წაიკითხოს.

ვიდრე ოსმალოს საქართველო შემოგვიერთდებოდა, ბევრს ქართველს სტკიოდა გული მისთვის, უნდოდა მისი ავკარგის გაგება, მისის ჭირისა და ლხინის გაზიარება. 1874-75 წლებში ტფილისიდან ბევრი ვაპირებდით ოსმალოს საქართველოში წასვლას და თან ქართულის წიგნების წაღებას, რისთვისაც ფულიც-კი შეკრიბეს, მაგრამ ჩვენ დიდად გვაშინებდა ის მაგალითი, რომ 1873 წ. განსვენებული **დ. ბაქრაძე** 12 დღით დაჭერილი იქმნა ბათუმის ფაშისაგან. ვიდრე ფაშას სტამბულიდან ბრძანება არ მოუვიდა, მანმადე დ. ბაქრაძე აჭარაში არ გაუშვეს; ნება არ მისცეს მოგზაურობისა მხოლოდ ქვედა აჭარის დაბა ხულომდე. კლრჯეთში, შავშეთში, ერუშეთში, ლივანაში, ართვინის და ბევრს კიდევ სხვაგან არ მისცეს ნება სიარულის და გამოკვლევის.

გავიდა რამდენიმე ხანი, მოხდა დიდი ამბავი და ოსმალოს საქათველო შემოუერთდა ჩვენს ქვეყანას. ქართველთ შეუსრულდა თავიანთი გულის წადილი. ქართველებმა მაშინათვე ყურადღება მიაქციეს თავიანთ ძმების მდგომარეობას. ქართველებმა ფულის მოგროვებაც დაიწყეს და ბარე 3 000 მანეთამდე მოაგროვეს. ეს ფული განსვენებულს **სერგეი მესხს** ჩააბარეს, რომელიც წავიდა ქართველ მაჰმადიანებში და ფული დაარიგა ისე, როგორც უფრო საჭიროდ დაინახა. ქართველებში დიდი გულმტკინველობა დაიბადა ქარ-

თველ მაჰმადიანების შესახებ და სწორედ ამის ბრალი იყო, რომ ქართველებში დაიბადა აზრი ბათუმში სკოლის დაარსებისა. იქ 1880 წელს ქართული სკოლა გაიმართა. ბათუმში სკოლის დაარსების ამბავი მალე მოიფინა ქართველებში. ქართველები ამ ამბავს დიდი სიამოვნებით მიეგებნენ და ვისაც-კი შეეძლო დახმარება, არაფერი დაიშურა და თავისი წვლილი სიამოვნებით გამოიღო და შესწირა მხოლოდ მისთვის, რომ ბათუმში, ჩვენს მოძმე მაჰმადიანთ შორის სკოლა გახსნილიყო. ეს ნატვრაც აგვისრულდა. პირველ წლებში სკოლის საქმეს მაჰმადიანები დიდის პატივის ცემით ეგებებოდნენ და, რაც ხანი გადიოდა, მით ამ ხალხში პატივის ცემა სკოლის მიმართ უფრო მატულობს. მაჰმადიანთ შვილების რიცხვიც მრავლდებოდა. მალე იმათ ყმაწვილების რიცხვმა საგრძნობლად იმატა. მაწვილებმაც ჩინებულად დაიწყეს სწავლა. ჩვენდა საბედნიეროდ მაშინ ამ სასწავლებელს ისეთი მასწავლებელიც შეხვდა, რომელიც დიდი გულ-შემატკივარი იყო ჩვენის ერის წარმატებისა. ქართველ მაჰმადიანების სიკეთისათვის ხომ არაფერს ჰზოგავდა. იქ ქართველ მაჰმადიანებთან ხშირად დაიარებოდა. მაჰმადიანებიც მიდიოდნენ მასთან. ასწავლებლის ოჯახში დაიარებოდნენ ქართველ მაჰმადიანთა ცოლები და ქალები. ნდა ითქვას, რომ მაჰმადიანებში დიდის პატივისცემის ნიშანია, რომ მაჰმადიანთ ქართველთ ქალები და ცოლები ქრისტიან ქართველთ ოჯახებში დაიარებოდნენ. ერთ დროს ისე იყო საქმე მომართული, რომ ბათუმის ქართველთ სკოლის მასწავლებელის ოჯახი ქართველს მაჰმადიანს თავის ოჯახათ მიაჩნდა და ამ გარემოებას დღესაც იგონებენ მაჰმადიანები. სკოლასაც დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდნენ, შვილებიც სიამოვნებით მოჰყვანდათ სკოლაში სასწავლებლად. ამ სკოლიდამ პირველ წლებში ისე მომზადებული ბავშვები გამოდიოდნენ ხოლმე, რომელნიც მისი მოწმობით თავისუფლად მიდიოდნენ ოსმა-

ლეთში და ტრაპიზონის სამხედრო სკოლაში შედიოდნენ სწავლის გასაგრძელებლად. თვით მე, ამ წერილის დამწერმა, ვნახე ტრაპიზონის სამხედრო სკოლის მოსწავლენი, რომელთაც პირველ დაწყებითი სწავლა ბათუმის ქართველთ წერაკითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სკოლაში მიუღიათ. ესენი დღეს ამ სკოლას დიდის პატივისცემით იხსენიებენ. მ სკოლიდამ გატანილის მოწმობით ჩვენ თავისუფლად შევედით ტრაპიზონის ოსმალთა სამხედრო სკოლაში და საქართველოდამ თან წაღებული „დედა ენა" და „ბუნების კარი" დღესაც-კი გვაქვს აქ შენახული და ხშირად ვკითხულობთ ხოლმეო.

სწორედ უმაღლეს სიამოვნებასა გრძნობს კაცი, როცა ოსმალეთში მოსწავლე ქართველ მაჰმადიანთ ნახავს, რომელნიც თავიანთ თავს ქართველებად აღიარებენ და რომელთაც საქართველოსთვის გული შესტკივაო. ყმაწვილი ჩვენის სკოლიდამ ტრაპიზონის სკოლაში ყოფილა მოსწავლეთ. იქ სწავლის დამთავრების შემდეგ ოსმალოს მთავრობას გერმანიაში გაუგზავნიათ სამხედრო სკოლაში სასწავლებლად. იქ სამხედრო სწავლა ჩინებულად დაუმთავრებიათ. ფრანგული ენა კარგად შეუსწავლიათ და თავიანთ სამშობლო ქვეყნის შესახებ თითქმის ყველა ფრანგული წიგნი შეუძენიათ. მაგალითად, ბროსსეს მიერ ნათარგმნი „ქართლის ცხოვრება" და ვახუშტის „გეოგრაფია" ამათ ყოველთვის თან დააქვთ და კითხულობენ. 1890 წ. ეს ყმაწვილნი კაცნი განზრახ გრიგოლ გურიელთან მოვიდნენ სიამოვნებით ინახულეს და დაავალეს ქართულს ენაზე „ქართლის ცხოვრების" და ვახუშტის „გეოგრაფიის" შოვნა. ს წიგნები ჩვენს ენაზე გვინდა წავიკითხოთო. პირდაპირა სთქვეს: ჩვენ ქართველები ვართ, ოსმალოს საქართველო დიდია, ჩვენ ჩვენის ისტორიის გაგება გვინდა, მაგრამ საუბედუროდ, ოსმალთ ამის შესახებ არაფერი უწერიათო. ჩვენი ხალხი, რაც უნდა ფანატიკოსი იყოს და

მოძულე ქართველთა, ბოლოს, განათლების მეოხებით, რაკი თავის ქვეყნის ისტორიას გაიცნობს და თავის შთამომავლობასა, უეჭველად მოყვარე გახდება საქართველოსი და ქართველთა. მას დიდი ლარი და ხაზი არ უნდაო. გერმანიაში ჩვენ ერთ დროს ქართულ ენაზე მოსაუბრე მოსწავლენი ვნახეთ და ამის გამო დიდ აღტაცებაში მოვედითო. ერთს რესტორანში ვიყავით, ველარ მოვითმინეთ, საჩქაროდ მივედით მათთან და უთხარით:

— თქვენი ჭირიმეთ, თქვენი, რომ ძლივს ქართველები ვნახეთ, ქართულს ენაზე მოლაპარაკენიო. იგინი საქართველოს სომხები აღმოჩდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც დიდად გვესიამოვნა მათი ნახვა, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთმანეთში ხშირად ლაპარაკობდნენ ქართულს ენაზე. იმათ ბევრი რამ გვიამბეს ქართველების შესახებ, ბევრი კარგი და ბევრი ცუდი, მაგრამ ჩვენ მაინც უსიამოვნო ამბავს ყურადღებას არ ვაქცევდით და კარგს-კი სიამოვნებით ვისმენდით. ჩვენთვის ისიც კმაროდა, რომ ეს ყმაწვილი კაცები გერმანიაში ქართულს ენაზე ლაპარაკობდნენ. ჩვენთანაც რამდენჯერ ვინატრეთ ნამდვილ ქართველთ ნახვა უცხოეთშიო.

ასე და ამ გვარად მიდიოდა წინად ბათუმის ქართველთა სკოლის საქმე. მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი, რომ სკოლის წარმატება ცოტა არ იყოს შეფერხდა და ქართველ მაჰმადიანის შვილებმაც უკლეს იქ სიარულს და სწავლას. სკოლის გამგეობა დიდად ცდილობდა, ეშველნა როგორმე ამ გარემოებისათვის, რომ უფრო გაემრავლებინათ სკოლაში რიცხვი მაჰმადიან ქართველთა მოსწავლეებისა, დანიშნეს ხოჯა, **ხაფიზ ეფენდი**, აჭარელი მაჰმადიანი, რომელსაც თვეში 20 მანეთს აძლევდნენ, მაგრამ ყმაწვილების რიცხვი მაინც 1888-89-90 წლებში 7, 8-9 ზევით არ ადიოდა და უკანასკნელ წელს კი იქამდე მივიდა, რომ მხოლოდ 4 ყმაწვილი-ღა იყო. ეს იყო მიზეზი, რომ გამგეობამ ხოჯა დაითხოვა, რადგანაც 4 ბავ-

შვისთვის მისი ყოლა აღარ ღირდა. ბათუმის ქართველთ სკოლაში ახლა მხოლოდ ერთი ყმაწვილი სწავლობს.

ამ ბოლოს დროს ასე წავიდა ჩვენი სკოლის საქმე, ასე წავიდა ამისი საქმე იმ დროს, როცა ჩვენის სკოლის მოშორებით, ერთს ჯამეს გვერდით, ქართველთ მაჰმადიანთ მოხუცებულს ხოჯას, გვარად **უსეინ ეფენდი შარაბიძეს,** 50 მეტი ქართველთ მაჰმადიანთ ყმაწვილები ჰყავთ მოსწავლეთ. უსეინ ეფენდი რასაკვირველია, ძველებურის ოსმალურის წესით ასწავლის ანბანს და არაბულს ლოცვებს დაბეჯითებით. ამ ხოჯასთან რამდენჯერმე ვიყავი და ბავშვების შესახებ საუბარი გვქონდა. უკანასკნელად უსეინ ეფენდიმ ეს აზრი გამოსთქვა: თვეში 10 მანათი მაძლიონ და ჩემს ბავშვებს იმ სასწავლებელში გადავიყვან და მეც იქ ვიქნები მასწავლებლადაო. ესეც იმ პირობით, რომ მომიხერხონ ბათუმის ვიცეგუბერნატორთან და ჩემი ჯამე არ დავკარგოთ, თორემ თუ ჯამე დავკარგე მაშინ ამას არც 100 მ. ვიკისრებო. აი რა სთქვა კიდევ **უსეინ ეფენდიმ**: — მე მოხუცებული ხოჯა ვარ. დიდი ხანია რაც აქ, ჯამესთან მექთე მაქვს. ეხლა მოვხუცდი, მექთეს შენახვის თავი აღარა მაქვს, ცოტა თვალებიც აღარ მიჭრის; თუ თქვენ არ უპატრონეთ ამ ბავშვებს, შეიძლება ყმაწვილები სულ დაიფანტნენ და მეც ჩემი მექთე გავაუქმო, რადგანაც სწავლება ისე არ მეძნელება, როგორც „მექთეს“ შენახვა. აი ეხლაც მე ჩემს სამშობლოში, აჭარას, სოფელს კაპნის თავში მივდივარ ორის თვით, რომ დავისვენო. მოგცემთ ფიცსა და აღთქმას ხოჯებისა და მოლების წინაშე, რომ მე 10 მანათად დიდი სიამოვნებით დავთანხმდები, თუ-კი მომცემენ, რომ ჩემი ბავშვები თლად იქ გადავიყვანოვო.

უსეინ ეფენდიმ მითხრა ისიცა, რომ სკოლის გამგეობას ტყუილად გადაუწყვეტია ბათუმის სამს ჯამეს, თითეულს წელიწადში 50 მ. აძლიოს იმ პირობით, თუე ს ჯამეები 5-5 ყმაწვილს წარმოადგენენო. ეს ფული უბრალოდ დაიკარგება,

რადგანაც ორს ჯამეს მექთეები არა აქვს. აი, აქ, მხოლოდ ამ მესამე ჯამეს გვერდით არის მექთე; ეს ჯამე მუფტის ჯამეაო. თუ ჩემსას არ დაიჯერებთ, ჰკითხეთ სხვებს, რომ ეს ასეა. როგორც შევიტყვე, ბათუმის ყველა მოლებსა და ხოჯებს დიდი უსიამოვნება ჰქონიათ ჩვენი სკოლის მასწავლებელ ხოჯა **ხაფიზ ეფენდი აჭარელთან.** სულ ამ უსიამოვნობის მიზეზია თურმე, რომ ბათუმის ქართველ სკოლაში ქართველთ მაჰმადიანთ შვილები ასე ცოტანი ყოფილან.

ამ დღეებში ვიყავ ჩვენის სკოლის მასწავლებელ ხოჯა **ხაფიზ ეფენდისთან,** რომელიც ტომით ქართველია, სტამბოლის სასულიერო რუშტიაში გაზრდილი აჭარელი. ჩვენს სკოლაში მოსწავლედ სიმცირის გამო ამასთან მოჰქონდა საუბარი და აი რა სთქვა:

— ჩემო ეფენდუმ, ჩვენი სკოლის საქმე იმიტომ წავიდა ცუდად, რომ ამ სკოლაში ვინც სწავლობდნენ და ვინც-კი სწავლა დაამთავრეს, თავიანთ მშობლებს არაფერში გამოადგნენ, ისევ მშობლებთან დაბრუნდნენ და იქ დაიწყეს ცხოვრება, როგორც სხვა უსწავლელ ბაუშვებმა. ამის გამო ყველამ ლაპარაკი დაიწყო, რომ ეს სკოლა რაიზე არსებობს, ან რა საჭიროა, თუ-კი იქ ნასწავლისაგან არაფერი გამოვაო. სწავლა დამთავრებულთა შორის ყოველ წელს რომ ერთი ან ორი წაეყვანთ აქედან სხვაგან და რამე საქმე ესწავლებიანთ, თუნდ ფერშლობა დახელოსნობა, ბოლოს ჰნახავდით, თუ ამათის მაგალითით წახალისებულ ქართველ მაჰმადიანები რამდენს ყმაწვილებს მოიყვანდნენ სკოლაში, თვით იწყებდნენ ხვეწნას ყმაწვილები მიიბარეთო. ფულსაც-კი მოგვცემდნენო, დაგარწმუნებთ, რომ ვიდრე ეს ასეა და ჩვენს ხალხს სკოლის სარგებლობას საქმით არ დაუმტკიცებთ, მანამდინ არავინ მოიყვანს შვილებს, ფოლიც უბრალოდ დაიხარჯებაო.

უნდა ვსთქვათ, რომ ესხოჯა დიდის გამოცდილებითა დუალ-შემატკივრობით ლაპარაკობს ამ სკოლის და ქარ-

თველთა შესახებ და სურს, რომ ჩვენის სკოლიდამ გამოსულ ბაუშვებში მართლა კარგი იყვნენ, მცოდნენი ზოგი ხელოსნობისა და ზოგი ვაჭრობისა. სწორედ ასევე ილაპარაკეს მაჰმადიანთ ქართველთა ბეგებმა და აღებმა, რომლებიც კი ბათუმში ცხოვრობენ და სწავლა-განათლებას თანაგრძნობენ.

ქართველ მაჰმადიანებში პირველად ქართული წიგნების მიტანისა და მათგან მიღების ამბები. ქობულეთი 1891 წელი

ქობულეთი (ბათუმის ოლქია). პარასკევი დღე ქართულ მაჰმადიანთა ჯუმა (კვირა) დღეა, ამ დღეს ისინი წმინდად ინახამენ, ყველანი ვინც-კი არიან დიდი თუ პატარა. ქალს გარდა ყველა ჯამეში მიდის სალოცავად. ქობულეთის ხეობის ყველა სოფელს თითოსართულიანი ჯამე აქვს. პარასკევს დღეს ჯამე ყოველთვის ხალხით ივსება. ნამეტნავად ბევრი ხალხი ჩამოდის ჩურუქსუში სავაჭროდ, ვაჭრობის შემდეგ ყველა ეს ხალხი თავს იყრის ჩურუქსუს ჯამეში, სულ ყველანი 400-ზედმეტნი იქნებიან, ყველანი ქართველ მაჰმადიანები არიან, მათში ოცში იქნება ერთმა იცოდეს თათრული ლაპარაკი და წერა-კითხვა კი, ხოჯებსა და მოლებს გარდა სხვამ არავინ იცის თთრული. უმეტესად ქართულად ლაპარაკობენ, შარშან რომ ვიყავ აქ და წიგნები მოვიტანე, ამ საქმეს ბევრმა ეჭვის თვალით შეხედა, ხოჯამ წინააღმდეგი ლაპარაკიც დაიწყო, მაგრამ მალე დარწმუნდნენ საქმის უვნებლობას და წიგნების შეძენა დაიწყო.

შარშან ამათში იშვიათად შეხვდებოდათ კითხვის მცოდნეს, წელს-კი ეს ასე არ არის, შარშანდელი 2,000 წიგნი ისე მოფენილა ქობულეთის ხეობაზედ, რომ დღეს ქობულეთ-

ში ყოველს ნაბიჯზედ შეხვდებით ქათულის მცოდნე ქართველ მაჰმადიანებს, ნამეტნავად ბავშვებს. ასე წარმოიდგინეთ, ქალებსაც-კი დაუსწავლიათ, მაინც ამათში ქალებმა უფრო იციან ქართული წერა-კითხვა ვიდრე კაცებმა. 5 ივლისს პარასკევს დღეს, მირჩიეს ჯამეზედ მისვლა და წიგნების მიტანა, წავედი და მოვისვინე იმათი დილის ლოცვა, ლოცვა არაბულს ენაზედ იყო, ხალხს სულ არ ესმის ამ ენაზედ ლოცვა, ლოცვის დათავებამდის ზოგნი გალავანში გამოვიდნენ და დამიწყეს წიგნების თხოვნა, მთელი აქ მყოფ ქართველ მაჰმადიანობა დიდად გახარებული იყო, აღარ იცოდნენ რა ექნათ. დიდის სასოებით მოისმინეს „მუჰამედის ცხოვრების“ წაკითხვა. ყველა ამას ამბობდა: რაფერ დაგიბასმავთ, ბატონო ესა და რაფერ დაგიბასმავთ! „მუჰამედის ცხოვრების“ კითხვა გათავდა. მერე იმათის ლოცვების კითხვა დავიწყე. ხალხი საოცარს მდგომარეობაში ჩავარდა: ღაღანი და სიხარული დაიწყეს. ჯამეში აღარავინ დარჩა და სულ კარში გამოვიდნენ, მოლებს-კი ძალიან ეჯავრება. ლოცვა გათავდა. მოლებიც გამოვიდნენ. ამათ საქმე რომ შეიტყეს, ყოველივე დიდად ესიამოვნათ.

აბა, ჩქარა წიგნები, „აბა, იშ ალა! შენი ჭირიმე“ ღონისძიება არ არის, 400 კაცი ერთად მეხვევა გარს, ყველა მთხოვს წიგნებს. დახმარება აღმომიჩინეს **დედი-აღა ნიჟარაძემ** და **გულ-აღა კაკაცოლლის**, აქაურ სამმართველოს გამგებლებმა. ამათ ხალხი დააყენეს ერთ მხრივ, ესენი წიგნებს იღებდნენ და მორეს მხრით მიდიოდნენ. წაიღეს ძალიან ბევრი წიგნი. ბოლოს ხოჯები მოვიდნენ და ისურვეს ლოცვების და მუჰამედის ცხოვრება. წიგნების მიღების შემდეგ მეგობრულად გამეცნო ერთი ახალგაზრდა ხოჯა გვარად **აბაშიძე,** რომელიც სტამბოლში გაზრდილა, სწავლა მიუღია სტამბოლის ოსმალთა სასულიერო სასწავლებელს რუშტიაში, ამ დღეს ესეც იყო ჯამეში მლოცველად. მეტად ესიამოვნა ჩემი

გაცნობა, მთხოვა ჩემთან ნამოდიო და მეც წავყევ, ქართულს კარგად ლაპარაკობს, ცოტა ქართული კითხვაც იცის, დამავალა ლოცვების და „მუჰმედის ცხოვრების“ წაკითხვა. მე წავუკითხე, სიხარულისაგან აღარა იცოდა რა ექნა. გადამეხვია და დამკოცნა „ოი ვოლა, ოი ვოლა“-ს ძახილს რიცხვი არა ჰქონდა. ასეთს საქმეს ჩვენ ვერ მოვიფიქრებდითო. ხოჯა არც ისე ფანატიკოსია, როგორც ჭანელი და ლაზელი ხოჯები. თვით სოფლად სცხოვრობს. აქ მხოლოდ პარასკეობით ჩამოდის სალოცავად. თავის სოფელში სკოლაც აქვს, 50 მეტს ქართველ თათრის ბავშვს ასწავლის თათრულს. ახლა რა-კი ქართული წიგნები მექნება, ჯერ მე შევეჩვევი და მერე ბავშვებს დავაწყებინებ კითხვასაო.

ქობულეთში ძალიან სწუხან უსკოლობის გამო, არ იციან საიდან რა მოახერხონ. ამათ აქამდის თავიანთი სკოლა მაინც ჰქონდათ და ახლა ესეც აღარა აქვთ. ამის მიზეზი აირ ა არის: ამათ ჰყავდათ ერთი მოხუცი ხოჯა, გვარად **ემინეფენდი კობალაძე.** 35 წელზედ მეტია, რაც ეს კაცი ხოჯად იმყოფებოდა და ამათს ბავშვებსაც ასწავლიდა თათრულს წერა-კითხვას. ეს ხოჯა ქართულს კარგად ლაპარაკობდა, მაგრამ ქართული წერა-კითხვა არ იცოდა. ეს მოხუცი ხოჯა, ამდენის ხნის ნამსახური ქობულეთის ქართველ მაჰმადიანებმა დაითხოვეს, რადგანაც იგი დაბერდა და ბავშვების სწავლება აღარ შეუძლიანო, ამის მაგიერ მიუღიათ ვიღაცა ჭანელი ხოჯა, რომელმაც ქართული ენაც იცის, მაგრამ სკოლა-კი მაინც არა აქვს და თუნდა რომ ჰქონდეს, ეს მაინც უარესს ფანატიკურის გრძნობებით გააფანატიკოსებს ქართველ პატარა ბავშვებს. ვიდრე კაცი თავის თვალით არა ნახავს, მინამდის ვერ დარწმუნდება ამ ჭანელ და ლაზელ ხოჯების ასეთს საშინელს ფანატიკოსობას, ესენი არიან მიზეზნი ქართველ მაჰმადიანთ ფანატიკოსობის და იმ სიძულვილი-

სა, რომელსაც ქართველ მაჰმადიანები იჩენენ ჩვენდა მიმართ.

ასეთი ხოჯები თავიანთს მოქმედებით ძლიერ იქებიან და იდიდებიან აქეთ და საწყალს შინაურს ქართველს ხოჯებს-კი გაკითხვა არა აქვთ. ამას ისიც ამტკიცებს, რომ რაც ეს ხოჯა იმყოფება აქ, მას შემდეგ ნახევარჯერაც არა ყოფილა აქ და დღესაც საცაღა იმყოფება ოსმალოში. თავის ალაგას ვილაც ერთი ჭანელი ხოჯა დაუსვამს და ეს განაგებს აქ. იმის შესახებ-კი არც ერთი ქართველი მაჰმადიანი სიტყვას არ ამბობს და ქართველ მაჰმადიანები ამას ყურადღებას მიაქცევდნენ, რომელნიც იმათ ჭირშიაცა და ლხინშიაცა მონაწილეობას მიიღებენ. ჭანელ-ლაზელ ხოჯებისაგან-კი რა გამოვა საბოლაოდ არაფერი, ესენი აქ დროებით იქნებიან, გაჰყვლეფენ ხალხს, ფულებს მოაგროვებენ, ჯიბეს გაიტენენ, გასძარცვენ საცოდავებს და ბოლოს წაბრძანდებიან იქითკენ, საიდგანაც მოვიდნენ. ამის მაგალითი ბევრი ყოფილა და ბევრიც იქნება. ერთმა ჭანელმა ხოჯამ ასე გამოაცხადა „ვინც ქვევით (ოსმალეთში) წავიდა, ის ცხონდა და ვინც აქ დარჩა ის წაწყდაო". ეს ხოჯები რომ მავნებელნი არიან და ქართველობის დიდი მტრები ამას ცხადად ამტკიცებს მათი მოქმედება.

ამას გარდა ბევრი ქართველი ხოჯაც ლაპარაკობს, რომ თათრული ენა და წიგნები თუ გავრცელდა აქ ეს ჭანელ და ლაზელ ხოჯებისაგან მოხდებაო. ეს ხოჯები აქა იქ სოფელ-სოფელ დაძვრებიან, ათასს მავნებელს რასმე უქადაგებენ ქართველ მაჰმადიანებსა. ორმა-სამმა ხნიერმა და მცოდნე ქართველ მაჰმადიანებმა კი მითხრეს, რომ ჭანელ-ლაზელ ხოჯების აქ ყოფნა დროებითია, ესენი აქ ველარაფერს გააწყობენ, რამდენიც უნდა იქადაგონ მაინც არაფერი იქნება, ოსმალური აქ დავრდომას მიეცა და არა გავრცელებასაო, აქ-კი არა და **გულ-აღა კაკაც-ოღლიმ** გადმომცა, რომ ქარ-

თულს წიგნებს ტრაპიზონში გადასული ქართველები ისე კითხულობენ, რომ წიგნები სულ უბეში უძევთო. ეს წიგნები შარშან გაიგზავნა იქაო. ასევე აღიარა ერთმა იქიდან მოსულმა მოხუცებულმა ხოჯამ. საწყლები იქიდან მწარედ მოსტირიან თურმე საქართველოს, მაგრამ რას იზამენ, ოსმალოს მთავრობა გადმოსვლის ნებას არ აძლევს. მაინც-კი აქ, ჩურუქ-სუში, ძალიან ხშირად შეხვდება კაცი ქვევიდამ მოსულებს. ჩურუქსუში, ქართულ წერა-კითხვას გარდა, გავრცელებულია კიდევ ქართული „ავგაროზები". ამას გარდა აქა-იქ ძველებური ქართული **ექიმობაც** სცოდნიათ.

ერთს ოჯახში **ძველი „კარაბადინებიცა"** აქვთ და ამ „კარაბადინების" საშუალებით ექიმობენ. სხვათა შორის აქედგან ქართველს თათარს გამოეწერა — ფაღარათობის წამალი, ბალახი დაღმათითა იხმარებაო და ყაბზობის — აღმათითაო. ამათში ბევრი შელოცვა იციან, რომელთა უმეტესი ნაწილი ქრისტიანობის მოძღვრებაზეა დაფუძნებული. სხვათა შორის, ქართველ მაჰმადიანთ ვაჭრებში აქა-იქ ქართულს კედლის „კალენდარსაც" შევხვდი, ბათუმში ვიშოვნეთო. მერმისს ქართველ მაჰმადიანთ ვაჭრები ძალიან ბევრს შეიძენენ ამ „კალენდრისასაო". წიგნაკმა „თამარ მეფემ" ბევრი ლაპარაკი გამოიწვია, აქა-იქ თამარ მეფის შესახებ საუბარი, ბევრს ზეპირ ამბებს ლაპარაკობენ იმის გამო. ამ მეფეს მეტად დიდს პატივს სცემენ, ერთ თავად წიგნებს უბით ატარებენ, წიგნებზედ დაბეჭდილს თამარ მეფის სურათს უცქერიან და სტკბებიან მისს მზერით. დღეს აქ ჩურუქსუს ჯამეზედ ვნახე ერთი ქართველი მაჰმადიანი, რომელსაც 120 წლის პაპა ჰყავს.

ამ მოხუცს კაცს თურმე კარგად ახსოვს ქობულეთის გათათრება, 120 წელიწადიაო. ამ მოხუცს ბევრი რამ საინტერესო ცნობა ახსოვს იმერეთის მეფის **სოლომონ პირველის, სოლომონ მეორის** და განსაკუთრებით **გურიელების** ცხოვ-

რებიდგან, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ ამათ ოსმალეთის მთავრობასთან და ან ოსმალეთს რა გვარის ოსტატობით წაურთმევია ეს მხარე იმერეთის სამეფოსათვის. ჩურუქსუში „ივერია“ ერთ ვაჭარს მოსდის და სხვა ქართველ მაჰმადიანებიც კითხულობენ. ერთი ქართველ მაჰმადიანთაგანი სწერს ისტორიას იმის შესახებ, თუ რა გვარს მდგომარეობაში იყვნენ ქართველ მაჰმადიანები ოსმალეთის ხელში, რა გვარის უფლებებით სარგებლობდნენ და ან რა წესები არსებობდა რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლამდე. ქობულეთში ახალ გადმოსახლებულ რუსებიც სცხოვრობენ და ამათ გარდა, ქართველთ ქრისტიანებიც. აქამდის ამათ აქ მღვდელად რუსის მღვდელი ჰყავდათ. ეხლა ეს აქედგან გადუყვანიათ და ამის მაგიერ დაუნიშნავთ ქართველი მოძღვარი, **ბენიამინე ღლონტი**. გურული, სემენარიელი, რომელმაც ამ ოთხის წლის წინად დაამთავრა სემინარიაში სწავლა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბენიამინე აქაურს ქართველ მაჰმადიანებსა და მოლებს და ხოჯებში სრულს თანაგრძნობას და სიყვარულს დაიმსახურებს. იქნება ქობულეთის სკოლის საქმე რითიმე გათავდეს, „წერა-კითხვის საზოგადოება“ თუ ვერ დაარსებს აქ სკოლას, მაშინ ამ საქმეს არქიმანდრიტ **ამბროსი კავკასიძემ** მაინც მოჰკიდოს ხელი. ამას წინად ვნახე ეს არხიმანდრიტი და მან დამავალა გარდაეცათ „წერა-კითხვის საზოგადოებასა“, რომ თუ თქვენ არ დაარსებთ ქობულეთში სკოლას, მაშინ მე გადმომეცით რაც-კი ამ სკოლისათვის მოგროვილი ფული გაქვთ, და მე დავაარსებ სკოლასაო. იმედია რომ ეს საქმე დროზედ დაბოლოვდება და სამუდამოდ გათავდება კინტრიშის ხეობის ქართველ მაჰმადიანთ ყმაწვილების საქმე. სწორედ გული ეტკინება კაცს, როცა ამ მხრის პატარა ბავშვებსა ნახავს, ესენი ქართულის პატარა წიგნებით დადიან, ეხვეწებიან, იმუდარებიან, ქართული ანბანი შეგვასწავლეთო. დიდსა და პატარას ქართული

წიგნები ყანებშიც კი უბით დააქვთ, დასვენების დროს შიგ ჩასციცინებენ და ანბანს სწავლობენ.

ქართული მწიგნობრობის საქმე ბათომში

მეტი არ იქნება, რომ მოკლედ მოგახსენოთ, თუ ბათომში რა მდგომარეობაშია ქართული მწიგნობრობის საქმე. ამის გაცნობა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს, რადგანაც იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო ადგილობრივ წევრთა უმეტეს ნაწილის გონებით და ზნეობით ზრდასთან, არამედ მთელს ქართლულ გამომცემლებთანაც და, უკეთ რომ ვსთქვათ, მთელ მწერლობასთანაც.

ბათომის შემოერთების შემდეგ, ქართველთ უმთავრეს ნატვრას შეადგენდა შემდეგი: ბათომში ქართული სასწავლებლის გახსნა, ქართული წერა-კითხვის გავრცელება, ქართული მწიგნობრობის მოფენა, ქართული წიგნის მაღაზიის გახსნა, ქართული მაჯის ცემიანი საზოგადოებრივი ძალის გაჩენა, დროთა მიმდინარეობის მეოხებით ბათუმში ქართველნი უკვე მოვესწარით ზოგ რამ სანუკვარ საქმეთა აღორძინებას. გაგვეხსნა სკოლა, გაჩაღთა იმერთ ვაჭრობა, მრეწველობა და სხვანი, რაც-კი კაცის თვალს ახარებს და ასიამოვნებს.

ქართველ ვაჭართა, ხელოსანთა და მუშათა სიმრავლემაც ცხადად დაგვანახვა ქართული წიგნების სავაჭროს დაარსება და მით წიგნების გავრცელება. ორმა ქართველმა, სახელდობრ **ბესარიონ** და **გერონტი კალანდაძეებმა,** ბათუმში ქართული წიგნების პავილიონ გააკეთეს, შეკრიბეს ყველა ქართული წიგნები და დროის შესაფერად ყველას წინ უძღვე-

ბოდნენ. წიგნებს ავრცელებდნენ ხელოსნებში, ქარხნის მუშებში, ვაჭრებში და მოხელეებშიაც.

ქართული მწიგნობრობის საქმე მეტად ჩინებულად მიჰყავდათ და მარტო ჩვენის წარჩინებულ მწერლების ნაწერებს ასობით და ორასობით ასაღებდნენ: **ყაზბეგის** ნაწერები, **აკაკის, ჭავჭავაძისა** და სხვათა მოკლე დროში რავდენრავდენიმე ასობით გავრცელდა. შესანიშნავად მიჰყავდათ საქმე და მათს პავილიონში თითქმის ყველა ქართულ წიგნს ნახავდით. ამათ უმთავრეს ღირსებას ერთი ისიც შეადგენდა, რომ იგინი ქართული წიგნების ფულს გამომცემლებს და მწერლებს მალე უსწორდებოდნენ, სუფთად, თავანკრად და მასთან ზომიერ სარგებელსაც იღებდნენ.

ასე სამაგალითოდ მიჰყავდათ ხსენებულ პირებს ქართული მწიგნობრობის საქმე. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ჩვენი ქართველების ბედი, ხსენებული **კალანდაძეები** საქარხნო მუშაობისაგან ძლიერ დასუსტდნენ, ჯანში სნეულება შეეპარათ და ორივე უდროვოდ გარდაიცვალნენ და მათის გარდაცვალებით მოისპო ქართული წიგნების ბინაც. მას შემდეგ ბათუმში, ქართული მწერლობის საქმეს თითქმის მზე დაუბნელდა, თითქმის მისწყდა მის ცხოველ-მყოფელ შუქის ხილვა, თუმცა, რაც დრო გადიოდა, მით ქართული წიგნების მომთხოვნელთა რიცხვი-კი ერთი ათად მატულობდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ბათუმში გადმოვიდა ჩვენი ცნობილი მესტამბე და გამომცემელი **კოწია თავართქილაძე** და ამან გახსნა წიგნის მაღაზია და სტამბა, უნდა ითქვას, რომ კ. თავართქილაძეც შესაფერად ასრულებდა თავის ვალს და ბათუმში ქართულ მწიგნობრობის აღორძინების საქმესაც დიდს ქომაგობას უწევდა. გარდა ამისა იგი სასიხარულო მოვლენა იყო მითაც, რადგანაც მისი სტამბა, როგორც ქართული სტამბა, პირველი მაგალითი იყო ბათუმში და მეორე, — ბათუმში, პირველად ქართული წიგნები ამ

სტამბაში გამოიცა. ბათუმში პირველად დაბეჭდილი წიგნი **ფ. ხუსკივაძის** მოთხრობა და თვით სტამბის საქმეც „კვალში“ გვქონდა ჯეროვნად აწერილი. ბათუმში დაბეჭდილი ქართული წიგნების ხილვა ყველას აძლიერებდა, ახარებდა, ყველას ემჩნეოდა სიამოვნება, რომ აქამდე თუ ქართველთ სტამბა გვქონდა თფილისსა და ქუთაისში, ახლა ბათუმშიაც დაგვიარსდაო. ეს უკანასკნელი ამბავი-კი მით იყო სანუკვარი, რომ აქაურ სტამბის შემწეობით მოველოდით რომ იგი დასავლეთ საქართველოშიაც შეიტანდა განათლებას, აქაურ ქართველობის ოჯახებშიაც შეაშუქებდა ნათელს სხივს; ცხოვრების გამაცისკროვნებელ ძალას, დიად მოქალაქეობის განმტკიცების ნიადაგს, ქართველების და საქართველოს ცნობას, მის მერმისის და ჭეშმარიტ სიყვარულის აღდგენას.

ასე იყო საქმე და ასე ვფიქრობთ ქართული სტამბის წარმატების მნიშვნელობაზე დღესაც. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ დროს **კალანდაძეების** მსგავსად, ხსენებულ **კ. თავართქილაძის** სტამბა და წიგნის მაღაზიაც მოიშალა და ტფილისში იქმნა გარდმოტანილი. მიზეზი გადმოტანისა ჩვენ არ ვიცით და იმას-კი დავსძენთ, რომ ბათუმში ქართული წიგნების საბეჭდავი სტამბის და წიგნის მაღაზიის მოშლაუნდა იქმნეს დიდად საგრძნობელი და მასთან საწუხაროც. განა შეიძლება ისეთი სტამბის დახურვის ატანა ადვილად, სადაც დაიბეჭდა **ტისანდიე, ანდერსენი, ნინოშვილი** და მრავალი სხვანი, მე-კი დიდ დასაკლისად მიმაჩნია და სხვებისა-კი რა მოგახსენოთ.

დღეს, მართალია ბათუმში რამდენიმე წიგნის მაღაზია არსებობს, მაგრამ ვერც ერთ მაღაზიაში თქვენ ვერ ნახავთ ქართულ რიგიან წიგნს, ჩვენი კარის მწერლების ხსენება ხომ აქ სულ არ არის; ერთის სიტყვით, მთელს ბათუმში, სადაც ქართველთ რიცხვი თითქმის ნახევარ ბათუმის მცხოვრებზედ მეტია, თქვენ ვერ ნახავთ ქართულ წიგნების საწყობს:

ქართულ წიგნს, მთელი კვირა რომ სძებნოთ, ერთს წიგნს ვერ იპოვნით, აქა-იქ შეხვდებით ზოგიერთ წვრილ, უწმაწურ გამოცემებს, მაგალითებრ **აივაზიანის** გამოცემებს, **ასპატელოვის, ფამბაკელოვის, ზაქროვის, ზარიძის** და სხვა ასეთ უმზგავსოებს.

ბათუმის ვაჭრებსა და ხელოსნებში აქა-იქ ყოფნა მომიხდა და ყველგან მწუხარებას აცხადებდნენ ქართული მწიგნობრობის ასეთ მდგომარეობაზედ. ყველგან მავალებენ, ეგები ესა და ეს ქართული წიგნები გვიშოვნო და ფას-დადებით გამოგვიგზავნოო. ნამეტურ ითხოვენ ჩვენს მოწინავე მწერლების ნაწერებს, თარგმანებს და ისტორიულ წიგნებს. ასეთ პირთა დავალებას კაცი თითქმის ყოველ კუთხის ქართველებში ნახავს. ცხადი საქმეა, რომ სადაც ასეთი მოთხოვნილება ისმის წიგნების, აქ მას გასავალიც ექმნება, თუ-კი, რასაკვირველია, გულშემატკივარი პატრონი გამოუჩნდება და ქართულ მწიგნობრობას და თვით საზოგადოებასაც სამსახურს გაუწევს, და ვარწმუნებთ, რომ იგინი არც თვით იზარალებენ.

დღევანდელ ერთის ქართველის მეწიგნის მაღაზიაში ფრანგულ, ნემეცურ, ინგლისურ და რუსულ წიგნებს გარდა ქართული წიგნები-კი არ არის. საჭიროა გვქონდეს ბათუმში წიგნის სავაჭრო და გვყავდეს დამტარებელი. აქაც, როგორც ტფილისსა და ქუთაისს, კიოსკი უნდა გაკეთდეს, და უსათუოდ ამაზედ ზრუნვა უნდა იკისროს ბათუმის ქართველ ინტელიგენციამ.

დღეის შემდეგ ბათომში, უმთავრესს ქართულ სტამბად **კ. თავართქილაძისა** დამ ის ამხანაგის სტამბა უნდა ჩაითვალოს, სადაც ქართული წიგნებიც იბეჭდებოდა, ხოლო დაიხურა და უდავოდ მოისპო ბათუმში, რაც სამწუხარო უნდა იყოს იმ დრომდე მაინც, ვიდრე ბათუმში სხვა ქართული სტამბა და წიგნის მაღაზია გაიხსნება.

ქართველ მაჰმადიანთ მელექსენი და მელექსეობა

I.

ქართველ მაჰმადიანებს, როგორც ვიცით, ოსმალნი უკრძალავდნენ არამც თუ მელექსეობას და ქართულ მწიგნობრობას, არამედ ქართულს ენაზედ ლაპარაკსაც. თვით ქართველ გვარის ხოჯები და მოლებიც-კი ისე სცდილობდნენ ამისთვის, რასაც არაფერი მტრობა არ შედარებია.

ქართველ მოლებისა და ხოჯების ფიქრით ქართული ენა ძაღლური ენა არის, ღორების, მურტალი, ფინთი და სულის წასაწყმენდი. ამათის ცდით ნახევარ ქართველ მაჰმადიანებმა დაჰკარგეს ქართული ენა, დაკარგვის გარდა ეს ენა ახალციხის, ახალქალაქის და არტაანის ქართველ მაჰმადიანებმა ისე შეიძულეს, ისე შეიჯავრეს ეს ენა, როგორც ძაღლური ენა და მურტალი.

მთელს ამ კუთხის ქართველ მაჰმადიანებს ქართული ენის სასარგებლოდ კრინტს, ხმას ვერ დააძრევინებთ. თუ საქმე ლაპარაკზედ მივიდა და ქართველი უთხარ მას, მაშინ მისგან დამბაჩის ტყვიაც მზათ არის. ასე მოსპო ოსმალეთის სასულიერო წოდებამ ქართველი ერის არსებობის საქმენი. ნახევარს ოსმალოს საქართველოში დაამხეს ყოველივე და ისე გააქრეს, ქართველები და ლაზები ისე გადააგვარეს, რომ მასზედ სასტიკი აღარაფერი არის. რომ საქმე იქმნეს, ესენი და ნამეტურ ლაზები ქართველ კაცის სისხლსაც-კი დალევენ.

თუმცა ასე უკუღმა წავიდა ქართველ მაჰმადიანთ საქმენი, თუმცა მათ ბევრი რამ დაკარგეს და მით ჩვენგანაც სამუდამოდ შორს წავიდნენ, მაგრამ მაინც ზოგი-ერთ ალაგას, მათ შორის შეინარჩუნეს დედა ენა, თუმცა ამისთვის ბევრი წვა და დაგვაც გამოიარეს, ბევრი აოხრება, მაგრამ მაინც დღემდე დაიცეს თავიანთი დედა ენა. ამის წინაშე დიდი ამაგი

მიუძღვით ქართველ მაჰმადიანთ დედაკაცობას. სადაც-კი დაშთა ეს ენა დაუვიწყარი, იქ ამ დედაკაცობას დიდი შრომა მიუძღვის.

თუმცა მცირედ, თუმც მახინჯად, მაგრამ ზოგიერთ ალაგებს, ქართველ მაჰმადიანებმა ქართულ ენას გარდა, თვით ქართულ მეშაირეობა და მელექსეობაც არ დაივიწყეს, მაგალითებრ ასეთი არის ქობულეთი და აჭარა, სადაც ქართველ მაჰმადიანთ შორის თითო ოროლა მელექსენიც-კი მოიპოვებიან. დღეს, აქ, მათ შორის, მელექსეთა რიცხვს მრავლად ნახავს კაცი, მათში არიან ისეთნიც, რომელთაც ქართული კითხვაც არ იცის. ერთ მელექსე მოლასაც-კი ქართული ლექსები არაბულის ასოებით უწერია, რადგანაც მან ქართული წერა-კითხვა არ იცის, ეს მოლა **დიასამიძე** არის გვარად.

სხვათა შორის ამათში განთქმულნი ყოფილან შემდეგი მელექსენი:

ბუჰანა ბაირახტარ შავიშვილი, სოფ. ვაიოს მცხოვრები 1880 წლებამდე. ამის გამოთქმულია სოლაღას ლექსი, ბათუმის ლექსი და მრავალიც სხვანი. ამის ლექსები აჭარაში დღემდე არის ზეპირად გავრცელებულნი.

ჰუსეინ მჟავანაძე, ქობულეთელი. ხელოვანი მელექსე. ამის ლექსები „ოლქობა" გოთაულობაზედ და სხვაც ბევრნი ესეთნი. ეს მელექსეც სცხოვრობდა 1880 წლებში.

ხუსეინ ხაბაზ ქამჯარაძე, სოფ. აჭყვის თაველი. სცხოვრებდა 1900 წლამდე, ვიყავ მასთან. ეს კაცი 30 წელს ქურთისტანში ყაჩაღათ იყო გავარდნილი. ოსმალოს მთავრობა სდევნიდა. რუსის მთავრობამ აპატივა, იგი 1878 წ. საქართველოში მობრუნდა. იყო გამოჩენილი მელექსე მთელს ქართველ მაჰმადიანებში. ამან ქართული კითხვაც იცოდა. ამის ლექსი „დაკარგული ბაჩა" მთელ ქართველ მაჰმადიანებში არის გავრცელებული.

ამ მელექსეს ბევრი რამ ლექსები აქვს, მათში ზოგი უაზროც არის, ზოგი აზრიანი, მიუხედავად ამისა, მე მაინც მისი ლექსები ცალკე წიგნად გამოვეცი, რათა მით წამეხალისებინა როგორც თვით ეს მელექსე, ისევე სხვა ქართველთ მაჰმადიანთ მელექსენიც. მე ეს საქმე მქონდა მიზნად, ამ გარემოებამ თავის საწადელს მიაღწია, ქართველ მაჰმადიანებში ეს წიგნი მალე გავრცელდა მით უფრო, რადგანაც წიგნს წინ წაუმძღვანე ქართული ყვავილებიანი ანბანიც.

ამ წიგნის გამოცემას ქართულ მწერლობაში უცხოს თვალით შეხედეს, ერთმა პირმა წერილიც დაბეჭდა ამაზედ და კითხვა მომცა მასზედ, თუ ასეთ უაზრო ლექსებს რად ბეჭდავ, მას რა მიზანი აქვსო, გთხოვთ ეს კითხვა ახსნათო. ამის ასახსნელად მეც მაშინდელ 1902 წ. გაზ. „ცნობის ფურცელში“ ეს წერილი დავბეჭდე, რასაც ეხლა აქ უცვლელად ვათავსებ.

მე აქ ზემოდ, ქართველ მაჰმადიანთაგან მარტოდ სამი სახალხო მელექსის სახელი დავასახელე, მეტი არ არის საჭირო, ესეც კმარა ჩვენი აზრის საფუძვლად. ვიტყვით-კი იმას, რომ ქართველ მაჰმადიანებში დღეს მრავლად არიან სახალხო მელექსენი, იგინი ჩინებულად მელექსეობენ და თავიანთ ცხოვრებაზედ ლექსებს სთხზავენ. რიგია რომ ამათ ლექსებს ყურადღება მიექცეს, შეიკრიბოს იგინი და მიუხედავად მათ აზროვნების, მაინც იგინი დაიბეჭდონ, ეს გარემოება მათში ქართული ანბანის გავრცელების საქმეს დიდად შეუწყობს ხელს.

ეს მაგალითით ვიცი. ეს იქნება ჩინებული ვალის გადახდა ქართველის საზოგადოებისაგან.

II.

უმორჩილესად გთხოვ ბ. რედაქტორო, რომ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ „ცნობის ფურცელში“ და დაბეჭდოთ. ამას

მე მით უფრო გავალებთ, რადგანაც **ბ. მგზავრი** ითხოვს, რომ **ქამჯარაძის** ლექსების დაბეჭდვის მიზეზი ჩვენ ვერ გაგვიგიაო. იქნებ მას რამე მიზეზები აქვსო.

მოგეხსენებათ კარგად, რომ ქართული ენა მდიდარია სამუსიკოს კილოთი და მთელს აზიის ერში სულ ორი ხალხის ენა მოიძებნება, რომელთ ენაზედაც მელექსეობა ძველადანვე დამკვიდრდა. ეს ორი ხალხის ენა გახლავთ ქართული და სპარსული. ვინც ქართული მწერლობის და სიტყვიერების ისტორია იცის, იმას, რასაკვირველია, ისიც კარგად ეცოდინება, რომ ქართული ენა და მწერლობა მდიდარია ხელოვნურის მწერლობით, სრულის მხატვრობით აღვსილი ლექსები და პოემები ჩვენ მრავლად მოგვეპოვება, მათი სინაზე, სიკეკლუცე და მაღალი ღირსება ყველასათვის ცხადია.

ამიტომ მე დიდ დანაშაულად მიმაჩნია, ქართულ მწერლობის ასპარეზზე რომ მდარე შინაარსის ლექსი დაიბეჭდოს. მე ამ ცნობას მკაცრად ვემორჩილები და ამიტომ არც ვბეჭდავ ასეთ ლექსებს. მე ვბეჭდე **ბარათაშვილის** ლექსები, **გრ. ორბელიანის, ვ. ორბელიანის, ბესიკის, ილ. ჭავჭავაძის** და სხვაც ასეთ ძველ თუ ახალ მწერლებისა. ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია მცირე რამ მოგახსენოთ **ქამჯარაძის** ლექსების გამოცემის შესახებ.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ 1626 წ. დასავლეთ საქართველო, ანუ სამცხე-საათაბაგო, ოსმალეთმა მკაცრად დაიკავშირა, ამ დრომდე ბოძებული მესხელთ ავტონომია სრულიად გააუქმა და ქართველებსაც გათათრება დაუწყეს. ორი საუკუნის განმავლობაშიმათ გაათათრეს იქაური ქართველობა და ამას გარდა ქართული ენაც დაამხეს: 24 ნაწილიდან, ანუ სანჯახიდან, დღეს მხოლოდ 4 ნაწილი-ღა ლაპარაკობს ქართულს.

ამას გარდა — ოსმალის მოლა-ხოჯებმა ქართველ მაჰმადიანებს შეაძულეს თვით ქართული ენა, მწიგნობრობა და

მათში ყოველივე ისე დაამხეს და ისე მოსპეს, რომ მეთვრამეტე საუკუნის შემდეგ მათში ქართული ენის მცოდნე პირთა რიცხვი სანთლით საძებარი შეიქმნა. ეს გარემოება ყველა ქართველს მწარედ ადარდებდა და ანაღვლებდა. უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომის შემდეგ, ხსენებულის რამოდენიმე ადგილები რუსეთის იმპერიასთან იქმნა დაკავშირებული. ამ ცვლილებით და მშვიდობიანის მდგომარეობით ვისარგებლეთ ჩვენ და მოვინდომეთ ქართველ მაჰმადიანებში ქართული ანბანის გავრცელება. პირველ წლებში ჩვენ ამ საქმისთვის ბევრი შრომაც დავკარგეთ და მასთან ფულიც დამეხარჯა. მაგრამ ყოველივე თითქმის უნაყოფოთ დაშთა და ფანატიც მოლა-ხოჯების მეოხებით ხალხი ქართულ ანბანს ახლოც არ ეკარებოდა. ქართული წიგნების ხელში აღება მათში ცოდვად არის აღიარებული, ამას ყველა ერიდება. ამაზე „ცნ. ფურ."-ში ხშირად ყოფილა ცნობები.

ქამჯარაძე-კი თავის მდაბიურის მდარე ლექსებით ცნობილი იყო მთელს ქობულეთს და აჭარაში, მის ლექსს „დაკარგულს ცხენს" ყველგან ზეპირად კითხულობდნენ. მხოლოდ ამ აზრით, რომ გვესარგებლნა და ქართველ მაჰმადიანებში ქართული ანბანის გავრცელების ნიადაგი მოგვემზადებინა, მიტომ ვარჩიეთ ხსენებულ პირის ლექსების დაბეჭდვა და ანბანიც თავში მიტომ ჩავურთეთ. ეს წიგნაკი თითქმის სულ მათშივე იქმნა გაგზავნილი, რაც ქობულეთის და აჭარის თვით ფანატიც მაჰმადიანებმაც-კი სიამოვნებით მიიღეს რაკი შეიტყეს, რომ ეს წიგნაკი ხუსეინისა არისო. რასაკვირველია, ჩვენ ამ წიგნებს მუქთად ვუთმობდით.

აი ეს გახლდათ, ბატონებო, ამ ლექსების დაბეჭდვის მიზეზი და მე სხვა აბა რაღა უნდა მოგახსენოთ. **ბ. მგზავრი** თუ კარგად იცნობს ქართველ მაჰმადიანების გარემოებას, იმისთვის ესეც საკმარისი გახლდებათ. სხვა რამ მიზეზები და ღირსება ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია. ისიც დიდი საქ-

მეა, რომ ოსმალოს მახვილის დროს და ფანატიც სასულიერო წოდების წინაშე ერთმა პირმა მელექსეობა იცოდა და ის თავის შეძლების და გვარად სთხზავდა კიდეც. მათგან ეს ჩვენ დიდ საქმედ მივიღეთ და მიტომაც დავსტამბეთ და მივუძღვენით მათვე. ამ წიგნაკმა იქ მნიშვნელობა იქონია და ჩვენთვის-კი სულ არაფერია.

აჭარის ქართველ მაჰმადიანთ სოფლები

„სამცხეში არა არს ციხე, ანუ დაბა, ანუ აგარა, რომელსა შინა არა იდგეს საყდარი ანუ ეკლესია, თლილის ქვით ნაშენნი, —ორი ანუ სამი, დიდი და მცირენი".

ვახუშტი

აჭარის აღმოსავლეთით სძევს ზეგანი, არდაგან ყარსის მიდამოებითურთ. დასავლეთით, სამხრეთით ლივანა და ჩრდილოეთით ბეთლემის ხეობა. აღმოსავლეთიდამ აჭარა იწყება შუახევის ქვემოდ და დასავლეთით მიემართება კახაბერის მინდვრებამდე: კახაბერი ბათუმიდამ ათას ვერსის მანძილზე სძევს. მთელი აჭარა სიგრძე-სიგანით მოფენილია მაღალის ტყიანის მთებით. მთების შუა მეტად დაბალი ვიწრო და ღრმა ხევ-ღელეებია, შემოსილი აგრეთვე დაბურულის ტყით. ხშირად ასეთი ხევ-ღელენი სრულიად ჩაბნელებულია და მზის სხივი ვერ სწვდება რიგიანად. ბევრს ალაგას ისეთი მაღალი მთებიც არის, რომ ხეები ვეღარ იზრდება და მხოლოდ მუდამ მოტიტვლებულია და ბალახით მოსილი. მრავალია კიდევ მეტად მაღალი და სალი კლდეები ლივანისკენ. ამათი დანახვა საშიშია მგზავრისათვის, რადგან ბევრგან ძა-

ლიან მაღლა აზიდულა და მორღვეულა ისეთი კლდეები და ქვეშ დაუტანია მგზავრი, მთელი ოჯახი და ხან რამდენიმე ოჯახიც დაუღუპნია ერთად. 1851 წ., მაგალითად, მაჭახელში „კლდე კრკვიკინა"-მ 25 კომლი ჩანთქა და ერთი ძველი ნაეკკლესიარი ჯამე. აჭარის ტყეებში იპოვება: კაკალი, წაბლი, თხილი, ბევრ ალაგას ხურმის ხეები, ლეღვი, ვაზი, რწყავი, მსხალი, ვაშლი და სხვა ხეხილი. ბევრია კატარი, აქა-იქ ნაძვი, წიფელა, რცხილა, ბზა და სხვანი. ბალახეული საკმარისად ბევრია, თუმცა ისე-კი არა, როგორც მურღულში, ბეთლემში და სხალტისკენ. აქაც ხილი უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე სხვაგან აქეთ ქვეყნებში. ტყეები და საბალახო ადგილები აქ მარტიდამ იწყებენ ამწვანებ-აყვავებას და ღვინობისთვის გასვლამდე მწვანით არის შემოსილი. ნაძვი, კატარი და ზოგიერთს მაღალ ბალახსა და დიდრონს ჯაგებსაც-კი ზამთარშიაც მწვანედ გააქვთ ღაღანი. უმეტესი ნაწილი აჭარისა და ნამეტურ მაღლის მთა-გორაკებისა სულ გაკაფულია ძველდაგანვე და საყანე ადგილებად არის გადაქცეული. ტყეებიკი ისეთია, რომ შიგ პირუტყვს თავისუფლად ვერ შეუძლიან სიარული. ჯერ გზების სივიწროვის გამო და მეორე ნადირის შიშით. ამიტომ აქეთკენ საქონელი ის ევერ მრავლობს, როგორც სხვაგან, რადგანაც აქ საბალახე ადგილები ერთობ ცოტაა, სოფლის საქონელს არტაანის, ყარსის და ზეგნის მთებზე მიერეკებიან საძოვრად.

აქაური ხალხი მისდევს ხვნა-თესვას, უმეტესად სიმინდს თესენ და აქა-იქ პურსაც; პურს ცოტას თესენ, ადგილები კი ერთია, რომ აქ უფრო პური მოვა, ვიდრე სიმინდი; სიმინდის მოყვანა უფრო ეადვილებათ. სიმინდი აქ ისე მაღალი არ იცის, როგორც იმერეთში, ან გურიაში. უფრო ქართლის სიმინდს ჰგავს. პური უფრო მამხობლიანია. ქრისტიანობის დროს აჭარაში ხალხი უფრო პურსა სჭამდაო. მაშინდელი თონეები დღესაც არის. დღეს სიმინდს, თუ პურს კე-

ცებში აცხობენ. ლობიოსაც სთესენ, სოფლებში სხვა რამ ზამთრის სარჩოს მოყვანა და შენახვა აქ არ იციან; ხილის გახმობა, ჩირად კეთება, ან ტყლაპების კეთება არ იციან. დანდური, ჭინჭარი და ღოლოც-კი იციან, მინდვრის სოკო, სვინტრი და სატაცურიც მოდის, მაგრამ არ სჭამენ; მაჰმადის სარწმუნოებას ამაების ჭამაც დაუვიწყებია. შერჩენიათ მარტო ლობიო და მხალი. ამასაც უხეიროდ ამზადებენ.

პირუტყვის მოშენებასაც მცირედ მისდევენ, რიგიანის ყველის კეთება აქედან აღარ იციან, ერბოს აკეთებენ. შინაურ ფრინველის მოშენებაც მცირედ არის გავრცელებული; თითო ოჯახს 5 ქათამზე მეტი არ ეყოლება, 10 ქათამი იშვიათია; ბატი, ინდოური იხვიც იშვიათია, თითქმის სულ არ არის. ხულაში და ქედაში მხოლოდ სამს კაცს გაუჩენიათ ბატები და ინდოურები. ბატი და იხვი-კი აქ ძალიან იმრავლებს, რადგანაც წყალი ბევრია.

აჭარის შუაზე ჩამოუდის ერთი მდინარე, რომელსაც „აჭარის წყალი" ეწოდება. ამის სათავე იწყება ხულის ხეობის ზემოდ, ღორჯომის მთებთან, მერე ამ წყალსერთვის სხალტის წყალი, ტბეთისა, ჭვანისა, მერისისა დას ხვ. აჭარ-წყალი სოფელ კიბესთან ჭოროხს ერთვის. ეს წყალი სასმელად შემრგოა და სხვაფრივ-კი ურგებია. ადრე თურმე ამ წყლით ვენახებს რწყავდნენ, რადგანაც ძველად ვენახები მის ნაპირებზედაც ჰქონიათ. დღეს ამ ადგილების უმეტეს ნაწილებში სიმინდს სთესავენ. ნათესების მორწყვა აქეთ არ იციან. დასთესვენ ყანებს, ან ჩარგვენ ხეებს და ისე გაუშვებენ, გათოხვნის მეტი სხვა არა სჭირდება, თავისით უნდა მოვიდეს ყველაფერი. მევენახეობა და ხეხილის გაშენება ამათში სრულიად დაცემულა. ამბობენ, რომ აქეთ ვაზი ძრიელ იხეირებსო. ტყეში და ნამეტურ ნავენახარის და ნასაყდრევის გვერდით შეხვდება კაცი ბებერ ვაზს, რომელსაც მშვენივრად ასხია ყურძენი, აქა-იქ დიდრონი ღვინის ქვევრებიც ჰყრია; მარნე-

ბით ხომ სავსეა სოფლები, უფრო ეკლესიების ახლო და ნასაყდრალ ადგილებთან.

აჭარელნი მუშაობით ძრიელ ცოტას მუშაობენ, როგორც სხვა მაჰმადიანები, წელიწადში 3-4 თვეს. აქაურის კაცის ხელები რომ ჰნახოთ, სულ ვერ შეამჩნევთ, რომ მუშა კაცის ხელებია. პირის პატივი საიმისოდ არ უყვართ და ცოტასაც სჭამენ. ამათი სადილი მჭადი და ლობიოა, ან მსხალი და მცირედ ყველი. ხორცს იშვიათად სჭამენ, ჩაისა და ყავის სმაკი უყვართ; თაფლიც დიდს პატივისცემაშია. ფუტკარი ბევრსა ჰყავს. ყაჭის ძაფსაც აკეთებენ, მაგრამ მცირედ. წყაროები საკმაოდ ბლომად არის. მადნეულსაც ხშირად პოულობენ. მადნეულები აღმოაჩინეს სოფ. ვაიოს, კაპნისთავს და კიბეში. ოხრა, უმრა და სხვა საღებავი წამალიც ხშირია.

სოფლები გაბნეულია აღმოსავლეთიდამ აჭარ-წყლის და ჭოროხის მარჯვნივ და მარცხვნივ კახაბრამდე. სადაც-კი პატარა სწორე ადგილიანი მთები და გორაკები და ტბებია, იქ სოფლებია გაშენებული. ამათი სოფლებიც ისეთივე მშვენიერებია, როგორც ზეგანსა, შავშეთსა და ლივანაში. ყველას ხის ოდები უდგათ, ოდებს ქვითკირის ბუხრები აქვთ დატანებული, ყავრულით დახურულებია, კრამიტსაც ხმარობენ, კრამიტის კეთება კეთება აქ ძველადგანვე სცოდნიათ. სახლების იატაკი ფიცრისაა, შიგ სამი ან ოთხი ოთახია და წინ მშვენიერი აივანი აქვს. აქაურ სახლების ნახვა სწორედ სასიამოვნოა. ძველი მშვენიერი სახლებიც ბევრია. სახლების მკეთებლებიც არიან ამათში, თუმცა მცირედ. აქაც ჭანები მისდევენ სახლების კეთებას. აჭარელნი არც ვაჭრობას არიან შეჩვეულნი. მთელს აჭარაში მხოლოდ ორი ვაჭარი ვნახე ქედაში. ბათუმშიაც არავინ არის აჭარელნი. ბათუმში ჰყიდიან სიმინდს, ხილს, თაფლს, ხანდისხან თევზს, რადგანაც აჭარის წყალში, ჭოროხში იჭერენ ხოლმე. როცა აჭარის წყალი ან ჭოროხი ძლიერ აიმღვრევა, თევზი ვეღარ სძლებს წყალში,

ნაპირას გამოდის და აქა-იქ ჰყიდიან. თევზის ჭერას ესენი მაინც და მაინც არ მისდევენ. თუმცა აჭარ-წყალში და სხვა ღელეებშიაც იცის. თევზის საჭერად ამათში ძველადგანვე მშვენიერი ბადეების ქსოვა დარჩენილა დღევანდლამდე. მას გარდა თევზს კაკლის წენგოთი სწამლავენ და ხანდისხან ღამეც თევზაობენ. ერთ დიდს ნაძვის ხის მუგუზალს აანთებს აჭარელი და ცალ ხელში დაიჭერს, ცალ ხელში რკინის ჯოხს და შევა წყალში; სინათლეზე თევზები მოგროვდებიან და მეთევზეც ჰხოცავს თევზს. მაჰმადიანობამ შეამცირა ჭერა თევზისა. ერთს დროს თევზის ჭერა ცოდვათაც თურმე მიაჩნდათ, თევზს თავზე ჯვარი აქვს გამოხატულიო.

ურმები და ურმით მუშაობა აქეთ არ იციან; კამეჩს თვალითაც ვერ დაინახავთ. მბობენ, ძველად იყო აჭარაში კამეჩიო. ახლა ნიადაგ ცხენებს ამუშავებენ. ყანის თესვა, მკა, ლეწვა და სხვანი აქ უფრო იმერულად იციან, ვიდრე ჯავახურად, ან ქართლურად. აჭარა ზეგნამდის უფრო იმერეთსა ჰგავს ყველაფრით. ზეგნის მკვიდრნი-კი ჯავახელებსა და ქართველებსა ჰგვანან; ლაპარაკის კილოც სხვანაირი აქვთ ზეგნელებს, ვიდრე აჭარლებს. აჭარის მცხოვრებთა გვარები უფრო ძეებით თავდება და ზეგნისა-კი — შვილებით. თვით ძველთ აზნაურთა და თავადთა გვარებიც-კი ასე განირჩევა აჭარაში: **პირფარეშის-ძენი** ანუ დღეს **ბეჟანიძეები, შარუაშიძეები, დიასამიძეები, თურმანიძეები, ბერიძეები, მიქელაძეები, თავდგირიძე, ნაკაშიძე, ნიჟარაძე** და სხვანი. ზეგანში: **ხიმშიაშვილი, შალიკაშვილი, ავალიშვილი, ავალიანი, ბარათაშვილი, ბაგრატოვანი, ჯაყელი, ორბელიანი, ერისთავი** და სხვ.

ქართული ზნე-ჩვეულება აქ არ გამქრალა. ბევრი რამ დარჩენილა და შენახულა აქ ძველებური. მაგალითად, აჭარაში უფრო კარგად მღერიან ქართულად, მაგრამ უფრო უკეთესად აჭარაში მღერიან. აჭარაში ბევრნი განთქმულ-

ნიც-კი არიან სიმღერაში. ხოჯების და მოლების ქადაგებას სხვა ქართველ მაჰმადიანებში სიმღერა სრულიად მოუსპია და ამათში-კი მოლებს ვერაფერი გაუწყვიათ, თუმცა აქაც ძლიერ ცდილან. ბეთლემის შეუვალ ტყეებისაკენ, სოფ. აგარასა და საღორეთს ზემოდ, ქელას-ყურის მთის ფერდოებზე, საცა ძლიერ ბევრია სიმინდის ყანები და საცა მრავლად იცის თეთრი ღორი, დათვი, გარეული თხა, ირემი და სხვა ნადირი. ღამ-ღამე დარაჯობენ სიმინდებს, აქა-იქ ნალიების ქვეშ ცეცხლი უნთიათ, თოფს ისვრიან და ქართულს სიმღერას ამბობენ. თათრული ენა აქ მაინც და მაინც ის ეარ არის გავრცელებული, როგორც შავშეთისკენ, ართვინისკენ და ქვაბლიან ფოცხის მიდამოში. მბობენ, ვითომც ქვაბლიან მაჰმადიანები ქართველები არ არიანო. აგრედვე შავშეთის ერთი ნაწილის მკვიდრნი. ოსმალოს ძველად აქაური ქართველები სჯულის ბრძოლის გამო ოსმალეთში გადაუსახლებია და მათ ალაგას ეს თათრები დაუსახლებიათ, იმათ დღევანდლამდისაც-კი შერჩენიათ თავიანთი ენა; ბევრ მათგანს ქართული ლაპარაკი უსწავლია, რადგანაც ქართველ მაჰმადიანთ ქალები შეირთეს და შვილებმა ქართულად დაიწყეს ლაპარაკიო. ძველად თათრების მთავრობამ და სასულიერო წოდებამ მხოლოდ ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანებს დაატანეს ძალა და გადაიბირეს, ხოლო აჭარაში ოსმალნი ისე არა მძვინვარებენო.

აჭარაში საიმისოდ ვერ მოუკიდნია ფეხი ოსმალურს ენას. ძალიან ნაკლებად იციან აქეთ ეს ენა. მაჰმადიანობა-კი მიუღიათ, მაგრამ ენა ოსმალური ვერ შეუთავსებიათ. რც საკვირველია ესა: საყოველდღეა ლოცვები და მთლად საღმრთო წერილი აქ არაბულ ენაზედ იკითხება, ჯამეებში მოლებისაგან არც ხალხს ესმის რამე და არც თვით მოლებს, თითო-ოროლა ლოცვა იციან ზეპირად, მაგრამ აზრი-კი არ

ესმით. ერთის ლოცვის შინაარსი ვიკითხე და ვერავინ ვერ ამიხსნა, რა ეწერა იმ ლოცვაში.

თუ თითო-ოროლამ იცის კარგად ოსმალური, ეს იმითი აიხსნება, რომ აქედამ ჯარი გაიყვანა ოდესმე მთავრობას და ოსმალეთში დააყენა. სხვა-და-სხვა ადგილას. აი ამ უკან დაბრუნებულ ჯარის-კაცთ შეირჩინეს ცოდნა ოსმალური ენისა დღემდე, ამისთანებმა მცირედ წერა-კითხვაც იციან ოსმალური.

ასე არავის ეჯავრება აქეთ ქართველობა, როგორც მოლებსა და მოლიებსა. ისინი უქადაგებენ ხალხს რომ გძულდეთ ქართველებიო, იმათ მოიყვანეს აქ რუსნიო. იმათთვის სამოთხეც-კი არ არსებობსო ჯეენეთში (სამოთხეა) მარტო ჩვენებური კაცი შევა, იმის კარი ქართველებისთვის დახშულია და არც რელიგია იქ მათთვის მომზადებულიო. ჩვენ რომ ვიხოცებით, ჩვენი ხორცი კვდება მარტოდ, სული-კი ჯეენეთში მიდის. ქართველი-კი რომ კვდება, სულ იღუპება და ჰქრება სულით ხორცითაო. იმათთვის სააქაოა დაწესებული, ქეიფი, დროს გატარება და კარგი სმა-ჭამა, საიქიო არა აქეთო.

აქაურ დედაკაცობაში ოსმალური ენა სრულიად არ იციან. ასში რომ ერთმა იცოდეს, დიდი ამბავია. ჩვეულება და ადათი ამათში სულ ისევ ქართულია დარჩენილი; ნანას ქართულად ეუბნებიან ყმაწვილებს, სხვა-და-სხვა ქართული სიმღერებიც იციან. ქართული შელოცვებიც ძალიან გავრცელებულია. ძველი დრო და მამა-პაპის ამბებიც ამათ უფრო ახსოვთ, ვიდრე მამა-კაცებს.

აჭარაში ისევ დედაკაცობის იმედი უნდა გვქონდეს. დედაკაცობა უფრო ძველის მიმდევარია, ამათ უფრო ახსოვთ, რაც ყოფილა ამ ქვეყანაში ოდესმე. ოსმალობა, ენა ოსმალის, ამათ ზნე-ჩვეულება ძალიან ნაკლებად არის გავრცელებული მათ შორის. ან-კი საიდამ: უფრო სახლში არიან მომეტებულ

ნაწილად და ამის გამო თუ ესმით რამე, ისევ ქართული, თუ ჰხედავენ ვისმე, ისევ ახლო-მახლო მეზობლებს, ისევ უფრო დედაკაცობას, ვიდრე მამაკაცებს, რომელნიც ხშირად დადიან შორეულ სოფლებსა და დაბა-ქალაქებში, არიან გართულნი სხვა-და-სხვა საქმეებში და როცა შინა სხედან, მაშინაც სამლოცველოში, ან კიდევ მოლებთან და ხოჯებთან ატარებენ დროს მუსაიფით. ხოჯა-მოლებისაგან-კი სულ ერთთავად ის ესმით, რომ მოსლიმანობა კარგი სარწმუნოებაა, გიაურები უნდა გეჯავრებოდესთ და სხვ. ერთს დედაკაცს გაეგო, რომ მე მივედი მათს სოფელში, ქრისტიანი კაცი. გაჰხარებოდა ძალიან და ეთქვა, მადლობა ღმერთს, ამ დროსაც მოვესწარითო. ასე გამიგონია მამა-პაპათაგან, რომ დრო მოვა და მოვლენ ქართველები, ქრისტიანები და აბა უნდა ეცადოს ჩვენი სოფელი კარგა დაუხვდეს. ისინი-ღა თუ ილოცავენ ჩვენთვის, თორემ ჩვენის მომავლის იმედი აღარა გვაქვსო.

ქობულეთის შემდეგ აჭარაში უფროა გავრცელებული ქართული ენა. ქართული, რასაკვირველია, უფრო დედაკაცობამ იცის კარგად. წერა-კითხვის ცოდნა-კი იშვიათია, თუმცა აქეთ მაინც უფრო ბევრმა იცის, ვიდრე სხვაგან სადმე მაჰმადიან ქართველებში, ქობულეთის გარდა. აჭარაში სცხოვრობენ ბეგინ **ბეჟანიძენი.** ერთს **ბეჟანიძეთაგანს** შვილები სტამბოლში გაუგზავნია სასწავლებლად, 1879 წლიდამ იქ თურმე არიან ყმაწვილები. მატს დიდი დედას ძლიერ მოუნდომნია მათი ნახვა და წასულა სტამბოლს. თან ეშინოდა თურმე, ვაი თუ ჩემმა შვილის-შვილებმა ქართული აღარც-კი იციან, მე ოსმალური არ მესმის და როგორ-ღა უნდა ველაპარაკოვო. ძალიან გახარებოდა, როცა ენახა შვილი-შვილები და დარწმუნებულიყო, რომ ქართული არ დაჰვიწყებოდათ. შვილებო, ეს ოსმალური კარგად გისწავლიათ ლაპარაკიც, წერა-კითხვაც, ჩვენებურს რაღას ეუბნებითო. როგორაო,

გაჰკვირებიათ ყმაწვილებს, განა ჩვენებური ანბანიც არისო. როგორ არ არის, მე თითონ ვიციო, ქართული ანბანი ჰქვიან. მოუწერია დიდი დედას სახლში წერილი შვილთან, მიშოვეთ ანბანი და გამომიგზავნეთ, უნდა ქართული ვასწავლო ჩემს შვილის შვილებსაო.

შვილი ამდგარა და გაუგზავნია 4 ცალი „დედა-ენა“ და რამდენიმე წვრილი ქართული წიგნები.

მთელს აჭარაში დღეს არ მოიძებნება ერთი სასწავლებელი, ერთი გაგებული ხოჯა, ერთი რიგიანად შესმენილი კაცი. **ექიმის ხსენება ხომ აქ არ არის, აგრედვე ფერშლისაც.** ზოგს-კი შეუგნია ბევრი რამ, მაგრამ ესენიც შეშინებულები არიან და ხალხში ვერაფერს ამბობენ. ქედის მოლა **დიასამიძემ** ქართული წიგნები უბეში დამალა, ხოჯამ არ დამინახოსო, ძრიელ ეჯავრებაო. აჭარელთ ცხოვრებაც მეტად ჩუმია, წყნარი და შეუმჩნევი.

თოფისა, დამბაჩისა და ხანჯლის ხმარება-კი მარჯვედ იციან; თოფის და დამბაჩის სროლას ბავშვები 7 წლიდამვე იწყობენ.

გაცარცვაც მოხდება ხოლმე აქეთ. ყაჩაღად გავარდნა ხომ საქებურ საქმედ მიაჩნია ბევრს. ბევრი ახალგაზრდა მოსხეპილი ბიჭი ნატრობს ყაჩაღად გავარდნას, თუმცა შეძლებულნიც არიან და არაფერი გაჭირვება არ ადგიათ. სნორედ ასეთი იყო **სელიმ ფაშის** დროს ყაჩაღი **ჩახალ-ოღლი თურმანიძე** და ჭანეთიდამ გადმოსული ყაჩაღი **ურდან-ოღლი,** ნამყოფი აფიცრად ოსმალეთში, ქალების მოტაცებაც აქ სულ უბრალო საქმეა და ძრიელ ხშირი.

სახელმწიფო ხარჯის გადახდა ძნელი არ არის. კომლს წელიწადში ზოგს 2 მან. შეხვდება და ზოგს 3 მან. ზოგს მეტი და იშვიათად აიწევს 10 მანეთამდე, უფრო 5-6-მდეა, მაგრამ ხშირად ამის წინააღმდეგნიც არიან, არ შეგვიძლიან ამ ხარჯის მიცემა, ფუხარა ვართო. ოსმალეთში მაგრე არ არის,

მაგრამ იქიდამ უარესი ამბები მოსდით. ვინც წავიდა იქ, თითქმის ყველა დაიღუპაო.

ამის წინად ერთი მაჰმადიანი ოსმალეთში წასულა მუჰაჯირად და მერე ისევე დაბრუნებულა. იქ დარჩა მხოლოდ ამის დედა და ცოლიანი ძმები. დედა თურმე უკან მოსტირის აჭარას და თავის შვილს უთვლის, ნეტავ ერთხელ კიდევ დამანახვა ჩვენი აჭარა, მანდაური ღრუბელი და მერე გინდა მომკლა და ერთ დღესაც ცრემლები მოსდით და მწარედ სტირიან თავიანთ ქვეყნისათვის.

აჭარელთ ტანთ საცმელი ისეთივე აცვიათ, როგორც სხვა ქართველ მაჰმადიანებს, ვიწრო შარვალი, მოკლე ჯონიოს და ზოგს იტალიური პალტო. თავზე ყაბალახი, ფეხზე ზოგს ჩუსტები და ზოგს ევროპიული ჩექმები. ევროპიულს ტანთ-საცმელს ესენი არ ერიდებიან, გარდა ქუდისა; ამათში კაცმა რომ „ფურაშკა“ ან სხვა რამ ქუდი დაიხუროს, სჯულიდამ გადამდგარი იქნება და გაგიავურებული. ნაბდისა და ბუხრის ქუდზე-კი არას ამბობენ, ნაბდის ქუდს ადვილად დავიხურავთო; ჰნატრობენ კიდევ კახურ ნაბდის ქუდს. აწინდელ ტანთ-საცმლის ტარება აქეთ ამ 150 წლის წინედ შემოუღიათ, თორემ, როგორც ამბობენ აჭარელთ ღრმა მოხუცებულები, ქრისტიანობის დროს და მაჰმადიანობის პირველს წლებში აჭარელთ ჯავახურად სცმიათ. მაშინ თავზე ბუხრის ქუდები თურმე ეხურათ, ტანზე ჩოხა-ჩერქესკები, ზოგს გძელ სახელებიანი კაბა (სპარსულ-ქართული კაბა,) ისეთი წაღები ეცვათო, რომ წაღების წვერებს ტყავის გრძელი წვერები ჰქონდაო, როგორც თფილისშიაც იცოდნენ 1870 წლამდის.

ქალებსაც ისეთივე ტანთსაცმელი ჰქონიათ, როგორც საქართველოს სხვა ქალებსაო, გლეხის ქალებს ჩადრები და შალები ეხურათო და დიდის კაცის ცოლებს რიზაიშალები, ქათიბი და სხვანი; მაჰმადის სარწმუნოების მიღების შემდეგ

ყველგან საერთოდ ჩადრი იქმნა მიღებული, რადგან ჩადრ ქვეშ მყოფი დედა-კაცი უფრო ადვილად დაიფარავდა სახესაო. ქართული კაბებიც მოსპესო და მიიღეს წითელ-ყვითელი ჩითის კაბები, ოსმალურებრ. ლეჩაქის მაგიერ შემოიღეს ფესის ტარება, ნიშნად მაჰმადიანობისა, მაგრამ ეს ყველგან ვერ იქმნა მალე მიღებული; ქალებმა ძლიერ იუარეს თურმე. ნამეტურ აჭარელთ ქალებმა: ჩვენ ქუდებს ვერ დავიხურავთო, ზეგნელთ-კი ადვილად მიიღეს, მაგრამ არა დიდის ხნით; მალე მისცეს დავიწყებას და ამ 30 წლის წინად სულ მიატოვეს ქალებმა ჩადრ-ქვეშ ფესის ტარება.

აჭარელნი ძველადგანვე მუშაობას და ვაჭრობას იყვნენ შეჩვეულნი, ვაჭრობაში ზღვის ნაპირები და ლაზისტანი უწყობდა ხელს. აჭარელნი იყვნენ ძველად მხნე მუშა-კაცნი, მხნელ-მთესველნი, სახლების მკეთებელნი, ეკლესიის მაშენებელნი. **ვახუშტი** ამბობს, რომ სამცხეში „არ მოიპოვება სოფელი, დაბა, აგარაკი, რომელსა შინა არ იდგეს საყდარი, ანუ ეკკლესია თლილის ქვით ნაშენნი, ორი ან სამი, დიდი და მცირენი“. სამწუხაროდ დღეს ასე აღარ არის და აჭარის სოფლებში თითო ნაშთსაც იშვიათად შეხვდება კაცი, ისიც დანგრეულ-დაქცეულს. მხატვრობაც ყოფილა ამათში წინად. ჩვენის მატიანის თქმით, შესანიშნავი ხელოვან მხატვარნი ძველად უმეტეს სამცხელნი იყვნენო. **საერო მკურნალობის** ხელობაც ყოფილა ძველად აქეთ გავრცელებული. იშვიათად შეხვდება კაცი ეხლა ძველებურს კარაბადინებს. სოფელი არ იყო ისეთი, რომ ერთს ან ორს არ სცოდნოდა ხალხური, შინაური ექიმობა. ერთი ძველებური კარაბადინი, როგორც „ივერია“-შიაც იყო მოხსენებული, აღმოჩნდა მხოლოდ აჭარის სოფელს საღორეთში.

აქაური ქალები ხელოვნების მიმდევარნიც ყოფილან. მთელ დასავლეთ საქართველოს სამღვდელო სამოსელი სულ აქეთ იკერებოდა. აქამდე იგზავნებოდა აღმოსავლეთ საქარ-

თველოში ნაქსოვ-ნაკერ საეკკლესიო სამკაული: დაფარნები ოქრო მკედისა, აღსავლის კარების ფარდები, ოლარები, ხატების ფარდები და მღვდელ-მთავართა შესამოსლები. ამის ნიშნები დღევანდლამდეა აქეთ დაშთენილი, ნამეტურ იმ ოჯახებში, სადაც ძველად რომელიმე წევრი ოჯახის სასულიერო წოდების ყოფილა. ასეთ ოჯახებში დღესაც მოკრძალებით ინახავენ ქალები ძველს საეკკლესიო ნივთებს. როგორც ძველად, ისე დღეს აქაურ ქალები ამზადებენ: ძაფს, შალს, ჩაფარიშებს, არშიებს და სხვა-და-სხვა ქსოვილებს; ტანისამოსს და ყაბალახებსაც ესენი ჰკერავენ, თავიანთს ლურჯს და თეთრს ჩადრებსაც ესენი ამზადებენ; პირ-ბადეების ქსოვაც კარგად იციან.

აქაურ მოხუცებულთა თქმით, ძველად აჭარაში ქალების მოტაცება ის ეარ სცოდნიათ, როგორც ეს დღეს არის. ქალის გულისთვის გადამტერება, სისხლის აღებას საქართველოს ზოგიერთ მთიულნი ძველადგანვე მისდევდნენ. ქრისტიანობის დროს წელიწადში ერთი მაგალითიც არ იქნებოდა, რომ ვისმეს გაებედნა კაცის კვლა, ან ქალის მოტაცებაო. ქალების გათხოვება ძველად აქეთ უმზითვოდ სცოდნიათ და არცა-რა ხარჯი სასიძოებს ჰქონიათ დავალებული.

მაჰმადის სარწმუნოების მიღების შემდეგ-კი სხვაფერ შეიცვალა საქმე. მუდმივმა ომებმა აჭარელნი დააჩვია უბრალოდ ხალხის ცარცვას და კაცის კვლას; ამ საქმეში ოსმალნიც უწყობდნენ ხელს, თუ ახლად გამაჰმადიანებულ ქართველი ქრისტიანს მოჰკლავდა და გასცარცვავდა, ასე აქეზებდნენ: შენ უეჭველად ცხონდები, პირდაპირ ჯეენეთში (სამოთხეში) შეხვალ, რა-კი კერპი, გიაური მოჰკალიო".

მაჰმადიანები ქართველებს სხვათა შორის კერპებსაც ეძახიან, კერპების სურათებს ემთხვევიან ხოლმეო. ერთმა მეტად ნიჭიერმა ქართველ ხოჯამ ასე მითხრა: — „თქვენი ყველაფერი კარგია, ყველაფერი მომწონს, მაგრამ ერთი ისაა

ცუდი, რომ სურათებს ჰკოცნით და მეორე კიდევ ქელეხებით ხალხს ჰლუპავთო".

მაჰმადიანობის გამო, ქალების ყოფა-ცხოვრება მათდა საზარალოდ შეცვლილა: წინად ხატობა ჰსცოდნიათ, ჭირსა და ლხინში სიარული ქალიან-კაციანად. რაკი ეს ჩვეულება გადავარდნილა, რაკი ქალი ჩაკეტილა სახლში და პირბადე შემოღებულა, ქალის გათხოვებაც დაბრკოლებულა. ქალის გათხოვება ახლა აქეთ სრული უფლებაა დედ-მამისა. თვით ქალს არა ეკითხვის-რა. ვინც უკეთესს პირობას მისცემს სასიმამროს, ქალსაც ის წაიყვანს, აი ამას მოჰყვა ქალების ვაჭრობა, მოტაცება დას ხვ.

დღეს სოფელი აღარ არის, რომ არავინ ჩიოდეს, ქალი მომტაცესო. აქაური ციხეები სავსეა ქალების მომტაცებელებით და სამმართველოებიც თითქმის ამ საქმეებით არის დატვირთული. ბევრს ალაგას ამის გამო დიდი დავიდარაბა და შეძულებაა ატეხილი, სისხლის ღვრაა ჩამოვარდნილი, ერთმანეთის აკლებაა გავრცელებული. მას წინად სოფ. დერე-ხოხნელს ხოჯასაც კი მოსტაცეს ქალი, 13 წლისა. იდი ალიაქოთი გამოიწვია ამ საქმემ. მის გამო ხოჯებმა ქადაგებაც-კი დაიწყეს ჯამეებში. მე მქონდა შემთხვევა მენახა ზოგიერთი ასეთი სასიძო პატიმრები და მეკითხა მათთვის ქალის მოტაცვის მიზეზი. მათ ასე მიპასუხეს: ჩემმა სასიმამრომ ფულის თხოვნა დამიწყო, მე იმდენი ფული არ მქონდა, ღარიბი კაცი ვარ და გოგო მოვიტაცე, ახლა, რაც, რაც უნდათ, ის ქნან, თუნდ ციმბირში გამგზავნონ.

ბევრგან მშვიდობით ათავებენ საქმეს და ახტს (შერთვას) ახერხებენ, მაგრამ ზოგჯერ-კი ასეთი მორიგება ვერ ხერხდება და დამნაშავეს აქა-იქ ჰგზავნიან რუსეთის გუბერნიებში. ვინც მოასწრებს და თავს უშველის, ფირალათ მიდის და შემდეგ ოსმალეთში გადადის. ციმბირის და რუსეთში გაგზავნის აქეთ ძლიერ ეშინიანთ.

განვაგრძოთ იმის ამბავი, თუ რას ამბობს ხალხი თავის **მაჰმადიანობის გამო.** რაკი ძალ-მომრეობითა და სასტიკობით საიმისოდ ვერსა გახდნენ და ქვეყნის გამაჰმადიანების საქმე ძალიან ჭოჭმანით მიდიოდა, ოსმალეთის მთავრობამ ახლა სხვა ღონისძიებას მიჰმართა. ეს ღონისძიება იყო ტკბილი მოქცევა და დაყვავება ერისა, აღთქმა მრავალ-გვარის წყალობისა, დიდის საჩუქრის მიცემა საიქიოს მუჰამედისაგან. შეუსრულდათ გულის წადილი. აჭარაშიაც შესწყდა სჯულის გამო გამუდმებული ბრძოლა და სისხლის ღვრა. როგორც ამბობენ, იმოდენი სისხლი სამცხის არც ერთ მხრის ქართველობას არა აქვს დაღვრილი, რამდენიც აჭარელებს დაუღვრიათ ქვეყნისა და სჯულისათვის. ეს ყოველ აჭარელმა ბეგმა და აღამ იცის და ყოველ ამას ისინი თამამად ლაპარაკობენ.

ბევრის მეცადინეობით ოსმალებმა აჭარელნი გაათათრეს; რასაც დაჰპირდნენ ყველაფერი აღუსრულეს; ეკკლესიებში მღვდელს ყადობას აძლევდნენ; ნელ-ნელა ლაზისტანიდამ იწყეს ხოჯებმა შემოსვლა, როგორც ქართული ენის მცოდნენი, ხალხში მეცადინეობდნენ მაჰმადის სარწმუნოების განმტკიცებას და მკვიდრს საფუძველზედ დამყარებას. ირველ ხანებში თათრულს სჯულს ეკკლესიაში ასწავლიდნენ და ალოცებდნენ არაბულად. ხალხს ეუბნებოდნენ: ჯამეებად ისევ ეკკლესიები გვექმნებაო, რადგანაც ესეც მღვთის სახლიაო; ამითი უფრო იბირებდნენ და იმადლიერებდნენ ახალ გამაჰმადიანებულ ქართველთ. სხალთის ეკკლესიაში, ტბეთში, ოპიზას, ხახულს, იშხანს, ანჩას და პარხალში თითქმის ამ დროდამ იწყება მაჰმადის წესით ლოცვების აღსრულება. პარხალი, ანჩა, იშხნის დიდი ტაძარი, ხახულისა და სხვა ტაძრების თითო ნაწილი დღევანდლამდე ჯამეებად არის დაშთენილი. ხახულის ხეობა დღესაც ოსმალეთის სამფლობელოშია.

ნელ-ნელა გაავრცელეს ოსმალთ თავისებური ზნე-ჩვეულება და შემოიღეს წეს-წყობილებაცა, დაამკვიდრეს თავიანთი კანონ-მდებლობა და მერე დაიწყეს მეცადინეობა, რომ აჭარელთათვის შეეჯავრებინათ ქართველნი და საქართველოს ხსენება. ოსტატურის მეცადინეობით მალე შეაჯავრეს აჭარელებს ქართველები და მცირე ხნის შემდეგ აჭარელ ქართველნი თავიანთ მოძმე ქართველთ სისხლის მსმელებად გარდააქციეს. საქმემ იქამდის მიაღწია, რომ აჭარელთ იწყეს საქართველოდამ ყმაწვილების მოტაცება და ოსმალეთში კარგ ფასად გასყიდვა. გაიმართა „გოთაულობა", ე. ი. ტყვისა და ყმების ყიდვა-გაყიდვა. აჭარელნი თავისუფლად გადმოდიოდნენ გურიაში, იმერეთში, ქართლში და სხვა ადგილებში ყიდულობდნენ და იტაცებდნენ გოგო-ბიჭებს, გადაჰყვანდათ ოსმალეთის საქართველოში და მერე აქედამ მიერეკებოდნენ შავი ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებში და ჰყიდნენ. ყოვლად დამღუპველისა და სამწუხარო ჩვეულების ამბავი აჭარაში დღესაც ბევრს ახსოვს; ბევრნი დღესაც ცოცხალნი არიან მათ შორის, რომელნიც ამ სამარცხვინო საქმეს მისდევდნენ.

რაკი ოსმალნი დარწმუნდნენ რომ აჭარელნი ახლა-კი ნამდვილს გათათრდნენ და ერთგულნიც გახდნენ ჩვენიო, რაკი ოსმალთ აშკარად შენიშნეს, რომ ეს ერთის სისხლის ხალხი, ერთი ენისა, ერთის ქვეყნის ერი, ერთი ზნე-ჩვეულების და სარწმუნოებისა ორად გავყავით, ერთმანერთი შევაჯავრედ და ერთმანერთის სისხლის მსმელად ვაქციეთო. იფიქრეს, რომ ახლა-კი ადვილი იქნება აჭარელთა დახმარებით და წინამძღოლობით გავითარეშოთ საქართველოს დანარჩენ ადგილებშიაცა, ძმას ძმისთვის ხანჯალი გავალესინოთ, ერთის ენის ხალხი ერთმანეთს ვაჟლეტინოთ და მერე მთელი საქართველოც დავიმორჩი-ლოთო. არც შესცდათ ანგარიში: აჭარელთა დახმარებით დაიჭირეს ჩაქვი, ქობულე-

თი, კინტრიშის ხეობა 1771-1795 წლებში და ამიტიეს მეოხებითვე მოახერხეს მათი გათათრება. მაგრამ ამბობენ, რომ ახალი გათათრებულ ქართველებიც ხშირად ღალატობდნენ ოსმალთაო, გაცხარებულ ომის დროს თავიანთ მოძმე ქართველთ ბანაკში გადადიოდნენ და ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდნენ მწარეთაო. ასე მიამბო ეს გარემობა სოფელ აჭყველ 120 წლის მოხუც **ქამჯარაძემ.**

ოსმალებმა მალე უპოვეს წამალი ამასაც და საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ „ჯაშუშობაც"-კი გააჩინეს და აჭარელი ხშირად, თავისუფლად აბეზღებდა იმ მოძმეს, რომელიც-კი ოსმალთა წინააღმდეგ გაივლებდა რასმე გულში და ან წინააღმდეგობას გაჰბედავდა სადმე და გამოაცხადებდა. უფრო ბეგიებმა და აღიებმა დაუწყეს ერთგულობა მთავრობას; ამიტომ ოსმალებმა მალე აჭარის გამგეობას თავი გაანებეს და მთელი ეს მხარე ბეგებსა და აღიებს ჩააბარეს, ამათ მიანდეს და ყოველის თემისა და ხეობის გამგეთ თითო ბეგი და აღია განაწესეს. ყოველივე ამათ ნებაზე იყო ახლა. ოსმალი აღარაფერს საქმეში აღარ ერეოდა. ქვეყნის მართვა, წეს-წყობილება, კანონმდებლობა, ხარჯის გადახდა, განაწილება, გზებისა და ხიდების კეთება, სულ ამათზედ იყო დამოკიდებული. ყოველს ბეგს თუ აღას ხელში შერჩა თავის საბეგიოს და სააღიოს გამგეობის უფლება მკვიდრეობით, ციხე-კოშკების პატრონობაც, რასაკვირველია, იმათ ებარათ და 1850 წ. მთლად ჩამოერთვათ ეს უფლება და ყოველივე მათი საკუთრება სახელმწიფო საკუთრებად შეირიცხა.

იმავე თავითვე ოსმალებმა დააწესეს ყადებისაგან შედგარი „მეჯლიში" ე. ი. სასამართლო, რომელშიაც „ყურანის" თანახმად არჩევდნენ ყოველს საქმესა და საჩივარს, ნამეტურ ცოლ-ქმრობისა, ნათესავობისა და სასულიერო უწყების შესახებს. უმეტეს ნაწილს საერთო საქმეებისასაც „მეჯლიში" არჩევდა. ვინც მეჯლიშის გარდაწყვეტილებას არ დას-

ჯერდებოდა, შეეძლო, საჩივარი ბათუმის მუფთან გადაეტანა; თუ იმის განაჩენსაც არ დაჰყაბულდებოდა, მერე შეიხულ ისლამთან უნდა ეჩივლა. „მეჯლიში“ შესდგებოდა ოთხის კაცისაგან, უმეტესად სასულიერო წოდებისას ირჩევდნენ ხოჯებს, და ამ არჩეულთ სახელად „ყადი“ ეწოდებოდა. წინად „მეჯლიში“ ქრთამების აღებას ძრიელ მისდევდაო; ქრთამს იყოფდნენ ყადები და ბეგები, ამის გამო დიდი უსამართლობაც იყოვო, სოფ. დერე ხოხნელ ხოჯა **მახაცკაძემ** გვიამბო:

აჭარის ბეგებმა რაკი პატარა ძალ-ღონე ჩაიგდეს ხელში, მალე ისე გათამამდნენ, რომ ერთმანეთსაც დაუწყეს დევნა, ხოცვა და ჟლეტა. ერთის ხეობის ბეგი ებრძოდა მეორეს, აღა ედავებოდა და ეჩხუბებოდა აღას და იყო მათ შორის განუწყვეტელი შური და მტრობა, ასეთის სადავიდარაბო საქმეების გადაწყვეტა და მერე მორიგება მოჩხუბარ-მაშფოთართა პირველად ადგილობრივ ხერხდებოდა, მაგრამ გავიდა ხანი და ასეთი სასტიკი ზნე ისე გახშირდა და ისე გამწვავდა შური და მტრობა, რომ მალე ოსმალებიც ჩაერივნენ. მაინც ხმას არ სცემდნენ, უყვავებდნენ და კიდევაც აქეზებდნენ, საჩუქრებსაც კი უგზავნიდნენ მთავრობის წარმომადგენელნი. ოსმალეთს აჭარაზედ ხარჯი უფრო მეტი ჰქონდა და აღებით-კი ვერაფერს იღებდა. შემდეგ და შემდეგ აჭარელთა ერთმანეთის ჟლეტა-წყვეტამ ოსმალნი ერთობ დააფიქრა; საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ოსმალეთის მთავრობამ აჭარა დამნაშავეთა ბუდეთ გადააქცია, და ვინც-კი ოსმალეთში დააშავებდა რასმე, აქეთკენ უკრავდნენ თავს. რამდენისამე ხნის განმავლობაში, ოსმალთა მეოხებით ეს მხარე გაივსო იქიდამ დასასჯელად გამოგზავნილ ყაჩაღებით. ახლა ამათ იწყეს ხალხის ძარცვა, ხოცვა და ჟლეტა. დაემხო ყოველივე წესი და რიგი, წახდა ძველებური ზნე და პატიოსნება.

ოსმალთ ქართულ წიგნებსა და ენასაც თავის დროსვე მიაპყრეს ყურადღება. ქართულის ენის და მწიგნობრობის

წინააღმდეგ მოლებმა და ხოჯებმა დაიწყეს ბრძოლა. ტრაპიზონსა და სტამბოლში ნასწავლი მოლა-ხოჯები ხაფიზნიც და ყურანის ზეპირად მცოდნენი სასტიკად სდევნიდნენ ენასა და წიგნებსაც. ჩვენ თათრები ვართ და არა ქართველებიო. სჯულიც თათრული გვაქვს და ენა და წიგნიც თათრული უნდა გვქონდესო, ამბობდნენ ისინი. ეცადეთ, რომ ქართული დაივიწყოთ და ის ენა ისწავლოთ, რომელიც ღვთის ენაა და რომლითაც ლაპარაკობდა ჩვენი მუჰამედიო. ქართული წიგნებიც ან დასწვით, ან წყალში გადაყარეთ, რადგანაც უწმინდურიაო. ნელ-ნელა ამ საშინელმა ქადაგებამ თავისი მწარე ნაყოფი მოიტანა: ბევრმა ქართული დაივიწყა, თავისი დედა-ენა უგულებელ-ჰყო და წიგნებიც დასწვა. ეს არის მზეზი, რომ ქართულის წიგნის და ხელთ-ნაწერის ხსენება თითქმის აღარ არის აჭარაში. მოხუცებულნი აჭარელნი ამბობენ, რომ ბევრი ძველებური წიგნი დასწვა ხალხმა, ძველებური ნივთი გააქრო და გადააშენაო. ძველ ნივთებს, დამწვარ წიგნების ფერფლს და სხვა ამისთანებს დღესაც ჰპოულობენ ნაეკლესიარების ახლო. ლივანში ამას წინად იპოვნეს ერთი ზარი მიწის თხრის დროს.

ამბობენ და ერთმა მწიგნობარმა ბეგმაც გადმომცა, რომ სუნის სარწმუნოების ოსმალებში ოთხი მწვალებობა არსებობს, ერთი მეორეზედ უარესიო. ერთი მწვალებლობა ყველაზედ უსასტიკესია, ამ მწვალებლობას თავის სახელ-წოდებაც აქვსო, ყოველთვის ოსმალები, სადაც-კი ქრისტიანებს იჭერნენ და ათათრებდნენ, იქ მერე ამ მწვალებელთა მოძღვრება შეჰქონდათ თურმე; ქართველთ მაჰმადიანებისთვისაც ასევე უქნიათ და ქართველებშიც ამ მწვალებლობის მოძღვრების ზოგიერთი თვისება გაუვრცელებიათ, რის მეოხებითაც ქართველებშიაც დამკვიდრე-ბულა სასტიკი ფანატიზმი ქართველ მაჰმადიანები ფანატიზმით თვით ძირეულს ნამდვილს ოსმალებსაც-კი სჭარბობენ. ეს გარემოება თვით

ოსმალთაც უკვირთ. ოსმალთა ხოჯები ახლად გათათრებულ ქვეშევრდომთა შორის იმიტომ ჰქადაგებდნენ ამ მწვალებლობას, რომ ამის მეოხებით სამუდამოდ მაჰმადიან ქართველთ კავშირი დამონათესავობა ქრისტიან ქართველებთან, ანუ ერთის გვარის და შთამომავლობის ქრისტიანთ და მაჰმადიანთ შორის სრული განსხვავება და სიძულვილიდა მტრობა დაეთესათ. ამათ მიაღწიეს თავიანთ აზრს და ქართველ მაჰმადიანი ისე გადაამტერეს ქართველ ქრისტიანს, რომ ამ მტრობას ჯერ-ჯეროზით ვერაფერი მოსპობს გარდა ქართული წიგნის სწავლისა.

ამ მწვალებლობის გავრცელება 1630 წლიდგან დაუწყიათ, ათაბაგობის შემდეგ. 1745 წლებში ხოჯები ოსმალოს მთავრობას უმტკიცებდნენ, რომ დღეის შემდეგ ქართველ მაჰმადიანთშიში ნულარა გაქვთო, ისინი ნამდვილი მუსულმანები არიანო, აღარ აჯანყდებიანო. სჯულის მხრივ განდგომის ფიქრი ნუ გაქვთ, იქნება სოფლის საქმეზედ, ან ხარჯის გამო სთქვან რამეო. დაიმედებულთ ოსმალთ 1750 წ. განიზრახეს ჯარის-კაცთა (ნიზამი) გაყვანა და ეს მალეც გამოეცხადათ ქართველთ, მაგრამ ამათ არა ჰქმნეს, პირველს ხანებში დიდად იუარეს, მერე-კი დასთანხმდნენ, რადგანაც კინაღამ ოსმალთა და ამათ შორის ომი ასტყდა. ჯარის კაცნი ოსმალეთში მიჰყავდათ და იქ იმსახურებდნენ 7 წელიწდს. სამსახურის შემდეგ ყველა შინ ბრუნდებოდა, იქ იშვიათად ჰრჩებოდნენ; თუ ვინმე რჩებოდა იქ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ კარგს საქმეს რასმე იშოვნიდა, მაშინ თურმე სულთნის სასახლის იანიჩარებად ქართველნი იყვნენ, როგორც უფრო ფანატიკნი და ერთგულნი სულთანისა. სულთანმაც იცოდა და ამიტომ უფრო სცემდა ქართველს პატივსაო.

ამ ჯარის-კაცთა მეოხებით შემოვიდა და მოიფინა აქაიქ თათრული ენაო, თორემ 1820 წლებამდის აჭარაში ასში ხუთ კაცმაც არ იცოდა თათრული ენა. ამათ უფრო წაახდი-

ნეს აჭარელნი, ბევრი-რამ ცუდი საქმე შემოიტანეს და განავრცლეს აჭარაში, ნამეტნავად გააორკეცეს თოფისა და დამბაჩის ხმარება, ქართველთა მტრობა, საქართველოს საზღვრებზედ ქურდულად გათარეშება და ტაციობა. აიყოლიეს მთელი ხალხი და უკანასკნელ ომის დროს აჭარელნი დიდ იმედებს აძლევდნენ ოსმალებს, რომ ბათომისაკენ რუსებს და ქართველებს ჩვენ ვეყოფითო. ოსმალებიც დარწმუნდნენ და ამიტომ აჭარლებს და სხვებსაც დაურიგეს დიდ-ძალი თოფის წაალი.

ჟამთა ვითარების მეოხებით აჭარელნი ქართველებისათვის ისეთ მტრად და სისხლის მსმელად გარდიქცნენ, რომ 1770 წ. აქ ოსმალებს დიდის ერთგულებით დაუხვდნენ და აღთქმა მისცეს, რომ თუ საქმე იქნება, თქვენ არ გიღალატებთ და ჩვენ ჩვენს ქვეყანაში მტერს არ შემოუშვებთო. ამას გარდა, ქართველებს სადაც მოვასწრებთ, იქვე დავრით თავებს და ვეცდებით, რომ მთელი საქართველო დაგიმორჩილოთ და გავათათროთო. ამ დრომდის-კი ოსმალებსა და აჭარლებში არაფერი განწყობილება არ რსებობდა. მეცხრამეტე საუკუნეში აჭარელები ოთხჯერ აჯანყდნენ ოსმალთა წინააღმდეგ, 1815, 1830, 1845 და 1852 წლებში.

ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთს შემთხვას. 1845 წ. აჭარელთ ამოირჩიეს რამდენიმე თავი კაცი, აქ იქ გაამაგრეს ზოგიერთი ციხე-კოშკები და აუჯანყდნენ ოსმალეთის მთავრობას. მალე აჭარაში ოცია-თასი ოსმალოს ჯარის-კაცი მოვიდა, თოფ-ზარბაზნებით დაიარაღებულნი; ესენი ოთხსავ კუთხივ მოედვნენ აჭარას და იწყეს ზარბაზნების სროლა და ომი, მაგრამ აჭარელებს ვერაფერს აკლებდნენ, ესენი ისეთ ადგილებში იყვნენ ჩასაფრებულები, რომ ოსმალებს სჯობნიდნენ და ამარცხებდნენ. ამ ომში აჭარელებმა დიდ-ძალი ხალხი გაუწყვიტეს ოსმალთ. აჭარელებს წინამძღოლობდნენ **ჰაჯი ასან-ბეგი ბეჟანიძე,** სოფ. ზენდიდელი, სოფ. აგარიდ-

გან **დევაძეები,** სოფ. ორცოდგან **ალიქ-ოღლი შარვაშიძე** და მრავალნიც სხვანი, იმ დროის აჭარელნი, გამოცდილ ვაჟკაცნი.

ამ ომში აჭარელებს უღალატა ისევ და ისევ საქართველოს ძველის მოღალატეების გვარის წევრთაგანმა, სოფ. **ძენწმანელმა ხეირულა-ბეგ ჯაყელმა.** ამან გასცა აჭარელთ ყოველი საიდუმლო და ოსმალთ მიემხრო. ამ ღალატის მეოხებით ოსმალთ გაიმარჯვეს და ყოველი ციხე და სიმაგრეები აჭარისა დაიჭირეს. გამცემი **ჯაყელი** ხალხს აშოშმინებდა: დაწყნარდით, დაშოშმინდით, ოსმალნი არეფრს გიზმენო; ხალხი დაწყნარდა, ამის შემდეგ მოთავენი პატიმარ ჰყვეს და სტამბოლს გაგზავნეს. ხალხს დიდი ხარჯი დაადვეს, კომლზედ 25 მან. ამას შეაკეცეს ის ხარჯიც, რაც ამათთან ბრძოლაში დაიხარჯა. ხალხი ძალიან შეწუხდა, მაგრამ რას იზამდნენ, ოსმალთ ოთხსავ-კუთხივ აუარებელი ჯარის-კაცები დაუყნეს. აჭარელთ ღალატს სწამებდნენ, ქართველებისაკენ აქვსთ თვალი და გული, იმათთან მიწერ-მოწერაც აქვთ და აჯანყებას იმიტომ სჩადიანო.

ახალი ხოჯებიც მალე გამოუგზავნეს, რომელთაც მორთეს ოსტატური ქადაგება. ამ დრომდის აჭარელ ქალებში თითო-ოროლა ხსოვნა კიდევ არსებობდა ძველ ქართველთ ჩვეულებისა, მაგალითად შელოცვები, ტირილი, ძველის ეკკლესიების დასუფთავება, წმიდა სანთელზედ ფულის მიკვრა და ეკკლესიაში შეწირვა, წმინდა სანთლის ჩამოსხმა, „იავნანა" წითელის კვერცხების შეღებვა და სხვაც ბევრი რამ, მაგრამ ახალ მოსულ ხოჯებმა ესენიც მოსპეს, თუ სადმე ეკკლესიის ნანგრევები იყო დაშთენილი, ისიც დააქცევინეს მთლად?

რამდენიმე ხნის შემდეგ აჭარელთაგან **ხეირულ-ბეგ ჯაყელი** ღალატის გამო სიკვდილით იქმნა დასჯილი. ერთს ღამეს დაეცნენ ჯაყელის ოჯახს და სამი კომლი ხალხი მთლად ამოსწყვიტეს, ერთი პატარა ყმაწვილი გადარჩენო-

დათ შემთხვევით, რომელიც დღეც სცხოვრობს ქედაში და აქაურ „მეჯლიშის“ ყადია. დღესაც ამას აქ ქვეყნის მოღალატე „ჯაშუშის“ შვილს უწოდებენ.

ოსმალებს სრული იმედი ჰქონდათ, რომ საქართველოს დავიჭერთ, ტფილისში **ალი-ფაშა თავდგირიძეს** დავსვამთ ფაშადაო. ამისათვის დიდი სამზადისი ჰქონდათ. ციხის ძირთან ამათ დიდი ძალი კახელობაც გასწყვიტეს, რუსის ჯარსაც ბევრი ავნეს, მაგრამ ბოლოს საქმე მაინც გაუჭირდათ. რუსებმა არზრუმი აიღეს, აქედგან სხვაგანაც წავიდოდნენ, მაგრამ ოსმალთ მორიგება სთხოვეს და არზრუმში გასცვალეს ბათუმი, ქობულეთი, აჭარა, ლივანა, შავშეთი, არდანუჯი, ართვინი, ოლთისი, არტაანი (არდაგანი) და ზოგიც სხვა ადგილები. ადგილების გასცვლის ამბავი რომ შეიტყეს აჭარელებმა დიდათ ეჯავრათ, ეწყინათ, აღარ იცოდნენ რა ექნათ და მალე ოსმალების წინააღმდეგ დაიწყეს მეცადინეობა.

ვიდრე მორიგეობა მოხდებოდა, მინამდის აჭარელთ რამდენიმე მოწინავე კაცი ამოურჩევით და ბათუმის ინგლისელ ელჩის დახმარებით ესენი ბერლინის კონგრესზე გაუგზავნიათ და შეუთვლიათ რომ ჩვენ ოსმალეთს ფულით არ უყიდნივართ და ნურც გვყიდისო, თუ არ უნდივართ, დაგვანებოს თავი და ჩვენვე უპატრონებთ ჩვენს თავსაო. ბერლინიდგან წამოსულმა კაცებმა სტამბოლზედ გამოიარეს და აქ ოსმალოს მთავრობას განუცხადეს, რომ ჩვენ რუსეთს არ ჩავბარდებითო. სულთანის ბრძანებით ესენი მაშინვე დააპატიმრეს და აქეთ აღარ გამოუშვეს.

შეერთების დროც მოვიდა, აჭარელნი დაირაზმნენ საომრად. ამათ ხელს უწყობდნენ ფანატიკი ხოჯა-მოლები. ამ დროს აქ გაჩდნენ ზოგიერთი ბეგისა და აღების შვილები და ამათ დაუწყეს ლაპარაკი, რომ ხალხო, გაჩერდით, თორემ ვერაფერს გააწყობთ, თავს გაიფუჭებთო. რუსეთს ოსმალეთმა ვერა დააკლო-რა და აბა თქვენ რას იზამთ ასეთი ბრძნული

საუბარი აჭარელთ არ შეისმინეს. გარდა ამისა, ეს რჩევა ღალატად მიიჩნიეს, და მთქმელნი — მოღალატედ, ამის გამო ერთს დღეს მოჰკლეს ოსმალოს ასის თავი, ქართველ მაჰმადიანი, **გულო-აღა აჭარელი.** ამას გარდა უპირებდნენ ამოწყვეტას სხვათაც, მაგრამ ამათ ჰმფარველობდა ოსმალის ჯარი და სამხედრო მინისტრი **დერვიშ-ფაშა.**

მალე აჭარლებმა დერვიშ ფაშას გამოუცხადეს, რომ ჩვენ რუსეთს არ ჩავბარდებითო. მინისტრმა მოწინავე კაცები დაიბარა ბათუმში და აი რა უთხრა. ეს ნათქვამი სიტყვა-სიტყვით გადმომცა ერთმა მაჰმადიანმა, რომელიც მაშინ იქ ყოფილიყო! ხელმწიფის ერთგულება კარგია, მაგრამ მისის სიტყვის წინააღმდეგ დადგომაკი არაფერია. რასაც თქვენ ფადიშაჰი გიბრძანებთ, ის უნდა აღასრულოთ, ჩვენთვის არ-ზრუმი უფრო ძვირფასია... ის რომ რუსებს დაჰრჩეთ, მერე იქიდგან სტამბოლისაკენ უფრო ადვილად წავლენ და მაშინ ჩვენ ხომ მთლად დავიღუპებით. ეს ადგილები-კი ჩვენთვის უსარგებლოა, აქ ჩვენ არაფერი ანგარიში არა გვაქვს, რასაც აქა ვხარჯავთ, იმის ნახევარს ვერ ვიღებთ. ეს წავიდეს, ისევ საქართველოს შეუერთდეს, ამით ჩვენ ზარალი არა მოგვეცემა-რა. ამ ადგილების დაჭერის გამო ჩვენნი წინაპარნიც შემცდარან, მაგრამ, მგონი იმათ ისა ჰქონდათ ფიქრად, რომ მთელს საქართველოსაც დავიჭერთ, დაღისტანს შევუერთებთ და გამოგვადგებაო. ეხლა-კი ეს ჩვენთვის უქმია, ჩვენ აქ გზა არა გვაქვს, ზღვით არაფერი გაგვაქვს, შემოსავალს არას გვაძლევს, ამიტომ მე გირჩევთ, რომ ფადი-შაჰის ბრძანებას დაემორჩილოთ და მშვიდობიანად ჩაჰბარდეთ რუსეთსაო. შემდეგ თუ აქ დოგმას არ ისურვებთ, ჩვენსკენ წამოდით და იქ ოსმალოს მთავრობისაგან ყველაფერს მოწყალებას მიიღებთ, ნურასი ფიქრი ნუ გაქვთო.

მოწინავე კაცებმა ყოველივე მოისმინეს, წავიდნენ და ხალხს აუწყეს. ხალხმა არ ქნა თურმე, ჩვენ უჩხუბრად ვერ

ჩავბარდებით რუსებსაო. ეს ამბავი მინისტრს აცნობეს. ამან კიდევ შეუთვალა დარიგება, მაგრამ არ ქნეს. ბოლოს შეუთვალა მინისტრმა, რომ რაკი არა სწყნარდებით თქვენა, ახლა მე მოვალ ოსმალოს ჯარით თქვენთან საომრადაო და ვნახავთ რას იზამთო, მე დაგიმორჩილებთ თქვენა და მევე ჩაგაბარებთ რუსებსაო. საქმე როგორც იქნა დაშოშმინდა და რუსებმა ჩაიბარეს ხსენებული მხარე. ამ დროს აჭარის ფანატი ხოჯა-მოლებმა გამოჰფინეს ფანატიკობის მწვანე დროშა და დაიწყეს ხალხში ქადაგება, რომ აქ ჩვენი დგომა აღარ იქნება, მიტომ რომ სადაც ჩვენი ადგილები არ არის, იქ ჩვენი ლოცვა არ შეიძლება. ეგენი ასეთები არიან, ისეთები არიან და სხვანიო. ამათის მეოხებით დიდი ძალი ქართველობა გადასახლდა ოსმალეთში და უკანონოდ მოწყდნენ თავიანთ მამა-პაპეულს მიწა-მამულს. საქმემ იქამდის მიაღწია, რომ მოლებმა და ხოჯებმა აჭარაში კინაღამ საერთო გადასახლება მოახდინეს. ამისთვის ერთს დღეს ოცდა-ხუთი-ათას სულამდის შეიკრიბა და ერთს სოფელში რჩევა ჰქმნეს გადასახლების შესახებ, ზოგმა თანხმობა აღიარა და ზოგმა არა. ზოგმა სთქვა, რომ წავიდეთ და ქედის მუფთს ვკითხოთ და რასაც ის გვეტყვის, რა გვარს რჩევასაც ის მოგვცემს. ჩვენც ისე მოვიქცევითო. ხალხმა იგრიალა ქედის მუფთისაკენ; ამ დროს აქ მუფთად იყო სოფ. მერისელი, **ხალიფაშვილი,** ღრმად მოხუცი, სტამბოლში ნასწავლი. ეს მალე გამოვიდა ხალხის წინ, ხალხმა კითხვები მისცა. ამან მოისმინა და პასუხი ასე ქართულად, რომელიც სიტყვა-სიტყვით მომყავს აქ და, რომლის სიტყვაც დღესაც ბევრს ახსოვს კარგად.

„ხალხნო, გაჩერდით, დადექით, თქვენ რასაც ამბობთ და რასაც სხვა-და-სხვა ხოჯები და მოლები გეუბნებიან, ის სულ ტყუილია, აქ მართალი არაფერია. თქვენ ამბობთ, რუსები უსჯულოები არიან და ამიტომ ვერ დავდგებით იქაო. ჩვენს სჯულის წიგნებში სწერია, რომ მათ სჯული უკავიათ

მხოლოდ თავიანთებური, სუფთა და არა ისეთი, როგორსაც თქვენ ჰფიქრობთ, სჯული ვისაც არა აქვს, ის ან ქვაზედ ლოცულობს და ან ცეცხლზედ, მაგრამ მაგათ-კი ესენი არა სწამთ. თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ გაგვაქრისტიანებენო არც ე სარის მართალი; რუსებს თათრები ბევრი ჰყავთ, თვით ჩვენის სჯულის, მაგრამ მათ არც არავინ გაუქრისტიანებიათ და არც არავისთვის ქალბაღანა წაურთმევიათ. ამაებს რომ ლაპარაკობთ, ეს ვინ ნახა თქვენთაგანმა, ჩვენ მათ ვიცნობთ, ისინი ჩვენ არ გვიცნობენ და ჩვენ-კი რაღაც ჭორებს ვლაპარაკობთ. მოიცადეთ პატარა, ვნახოთ, მოვიდნენ, გავიცნათ და თუ მართლა გაქრისტიანებას დაგვიწყებენ, ქალ-ბაღანას მოგვტაცვენ და სხვა რამეებს გვიზამენ, მაშინ მე თვით გამოვალ თქვენ წინ, ხელში თოფს ავიღებ, თქვენც გამომყევით თანა და ვიდრე უკანასკნელი დარჩება ჩვენთაგანი, მინამდის ვიბრძოლოთ და ნურაფერს დავუთმობთ. ვინც დავიხოცებით ხომ მოვრჩებით და ვინც დარჩება, იმათ როგორც ერჩიოთ ისე ქმნან და დაშთნენ.

თუ არა-და რომ მიდიხართ აქედგან, სად მიხვალთ, რათა, რისთვის და საიდამ სად? აქ თქვენი ძველების ყანა-ბაღ-სახლებზედ სცხოვრებთ და ვერ გიცხოვრიათ აქ მზათ სახლი გაქვთ გაკეთებული, ეზო, ბაღი, ყანა და იქ რომ წახვალთ, უნდა იცოდეთ, იქ ესენი არ დაგხვდებათ; იქ ყველა ამაების კეთება დაგჭირდებათ და გაკეთებისათვის ფული, ჯანი და მასალას და ყველა ამაებს, იქ როგორ იშოვნით, რაფერ იცხოვრებთ! რასაც აქედგან ფულს წაიღებთ, ისიც გზაში შემოგეხარჯებათ და დარჩებით ცარიელი. „ყურანში" და ჩვენს სჯულის წიგნებში სწერია, რომ კაცმა ქალ-ბაღანა ისე უნდა წაიყვანოსო, რომ ქალებს პირი არავინ დაუნახოსო, ქალ-ბაღანა ისე უნდა აცხოვროს, რომ არ მოშივდეთო, თორემ თუ ესენი ვერ აღასრულა, ეს დიდი ცოდვა იქნებაო, თქვენ რაფერ წაიყვანთ გზაში თქვენს ქალ-ბაღანას, რომ მათ პირი

არავინ დაუნახოს; უცხო ალაგას მისულნი ისე რაფერ იცხოვრებთ და ან რითი, რომ ერთხელაც არ მოშივდეთ. იქ დიდს გაჭირვებას ჰნახავთ, ცოლ-შვილი შიმშილისაგან აგიტირდებათ და ეს უფრო დიდი ცოდვა იქმნება. აქ გაჩერდით, თუ-კი მე ვჩერდები, მე მუფთი, თქვენ რაღა გემართებათ! გირჩევთ, დაწყნარდეთ და თქვენთვის იქმნეთ! ხალხი დაწყნარდა, მალე ბრბო დაიშალა და ყველა თავ-თავის სახლისაკენ წავიდენ. აჭარიდგან რომ ისე ცოტა ხალხი გადასახლდა მაშინ ოსმალეთში, ეს სულ ამ მუფტის საქმე იყო და ამის ოსტატური ქადაგებისა"*.

ეს მუფთი ქედაში დიდხანს ჰმსახურებდა, აქ ამას ქონდა მოლების სკოლა და ჯამეში ხშირად ქართულადაც ჰქადაგებდა, რის გამო ხალხი დიდს პატივს სცემდა, ყველა ემადლიერებოდა მუფთს, რომ ჩვენს გასგებს ენაზედ გვიქადაგებს ხოლმე ჯამეშიო. ხალხი აღტაცებული იყო ქართულს ენაზედ ქადაგებით.

ახლა შევუდგები შეძლებით სოფლების აღწერას. ჭარის სოფლები იწყება აღმოსავლეთით შუა-ხევს ქვემოდგან და მიემართება კახაბრამდე. ჩვენ დავიწყებთ აჭარ-წყლის მარჯვენა მხრის სოფლებს აღწერით და მერე მარცხენა მხარეს მივუბრუნდებით.

დანდალო, 50 კომლი, ძველად გამოჩენილი სოფელი, ჩვენს ისტორიაში ცნობილი. **ვახუშტის** ქმით, დამდალომდის **ტბეთის ეპისკოპოსეის** სამწყსოდ ითვლებოდა და დანდალოს ქვემოდ **ქუთათელისა.** დანდალოს ერთობ დიდი ადგილები და მთები ეკუთვნის, ამ სოფლის წინ, აჭარ წყალზედ, ძველი ხიდია დღევანდლამდე დაშთენილი. აქ ამბობენ, რომ ეს ხიდი **თამარ მეფის** ნაშენიაო. ამ ხიდის გვერდით დღეს სხვა ახალი ხიდი გაუკეთებიათ. ხიდს ახლოს ძველად ეკკლე-

---

* ამ ქადაგების მეორე ვარიანტიც არის დაბეჭდილი

სიაც ყოფილა, დღეს ეკკლესიისა მარტო საძირკველი-ღა სჩანს. აქა-იქ ცარიელი ქვევრები, საფლავები და საფლავის ქვები მოსჩანს. ამ სოფელში სცხოვრობენ ძველი აზნაურის გვარები: მოწინავედ **ავალიანნი** ითვლებიან. პირველად აქ **თევდორე ავალიანი** გათათებულა და ამიტომ ამ გათათრებულ შთამომავალთათვის გვარად თევდორ-ოღლები **უწოდებიათ, დღეს ავალიანადაც იხსენებიან.**

ჯალაბაშვილები. ძველად პატარა სოფელი იყო, მთლად ჯალაბაშვილებით დასახლებული. ესენი იყვნენ თევდორე ავალიანთ ყმები, გათათრებულ იქმნენ თევდორე ავალიანის ცდით. დღეს აქ სხვა გვარის ხალხნიც სცხოვრობენ, 35 კომლია; ჯალაბაშვილები-კი არა და **ჯავჯაბალაშვილები** ქართლშიაც სცხოვრობენ.

გოგიაური. აქ სცხოვრობდენ ძველად **გოგიაშვილები,** ავალიანთ ყმანი, ესენიც იმათის რჩევით გათათრდნენ. დღეს ცხოვრობს აქ 25 კომლი.

ზაქარიაძეები, 40 კომლი. **ზაქარიაძეები** მაჭახლის პირშიაც ცხოვრობენ, ესენი ძველად აზნაურები ყოფილან, ამათ აქ თავიანთ საგვარეულო კოშკიც ჰქონიათ. **დღეს აღიები არიან, ზოგნი ბეგები,** ზემოხსენებულ სოფელ ზაქარიაძეების მცხოვრებნი –კი გლეხნი არიან, ძველად ზოგი ზაქარიაძეთაგანი გაფრანგებულა; გაფრანგებულთაგანი ზოგნი ართვინში ცხოვრობენ, ზოგნი სხვაგან. რუსების შესვლის დროს, ართვინის კათოლიკეთ ეპისკოპოსათ **ზაქარიანი** იყო, რომელმაც თავისთავი ქართულ შთამომავლად აღიარა. როს მეოხებით ამ ფრანგთ დაჰკარგეს თავიანთ დედა-ენა და გამოსხდნენ, ზაქარიაძეებიც - **ზაქარიანცებად** გადააკეთეს, ზაქარიაძეებიც ავალიშვილებთან ერთადაც გათათრებულან.

არსანაული, 25 კომლი. წინათ აქ სცხოვრობდნენ მხოლოდ **არზანაძეები, ავალიანთ** ყმანი, ამათის რჩევითვე გათათრებულნი, დღეს **არზანოღლებად** იწოდებიან, სოფლის

სახელი არსანაულიც აქედგან წარმოსდგაო. მ სოფელში სხვა-დასხვა გვარის ხალხნიც სცხოვრობენ.

გორგისეული, 50 კომლი. ძველად აქ ცხოვრობდნენ **გიორგაძეები,** მხნე ვაჟკაცნი, **ავალიანთ** ყმანი, უკანასკნელ დროს ავალიანთ ცდით გათათრებულნი.

კოკიტაური, 45 კომლი. ამბობენ, ვითომც ძველად აქ **კოკიტაშვილები** ყოფილან, ყმანი **ავალიანთა,** ამათის დარიგებითვე გათათრებულან. აქ სხვაგვარის ხალხნიც სცხოვრობენ.

გელიაშვილები, პატარა სოფელია. წინათ აქა სცხოვრობდნენ **გელიაშვილები, ავალიანთ** ყმანი, ამათგანვე გათათრებულნი. დღეს **გელიოღლებად** იწოდებიან. ქ სხვა გვარის ხალხიც სცხოვრობს.

აბუჩაშვილები, პატარა სოფელია. ძველად **ბაბუჩაშვილებად** იწოდებოდნენ. მავე სახელწოდებით მეორე დიდი, სოფელიც არის, ამას ქვეით ნახავთ. ესენი იყვნენ **ავალიან** ყმანი და ამათგანვე გათატრებულან.

კიკაშვილები, პატარა სოფელია, **ავალიანთ** დარიგებით გათათრებულნი. **კიკაშვილები** ქართლშიაც არიან.

ძანაძეები, პატარა სოფელია. **ავალიანთ** ყმანი, ამათგანვე გათათრებულნი.

ბალაძე, პატარა სოფელია. **ავალიანთ** ყმანი და ამატგანვე გათათრებულნი. თქმულება არის აქ დაშთენილი, რომ **ავალიშვილებს,** თავიანთ ყმებს გარდა, ქართლიდან სხვათა ყმა გლეხნიც ხლებულან, ამათაც თავიანთ თავი ავალიშვილების ყმაბთან უღიარებიათ, ქართლშიც კი ესენი სხვათა ყმანი ყოფილან.ბ

ცხმორისი, 72 კომლი. ძველად აქ ყოფილა დიდი ეკლესია, დაუქცევიათ 1730 წლებში. აქვთ ჯამე, ჰყავთ ხოჯა, ხოჯას სასწავლებელი აქ გახსნილი, ქართველს ბავშვებს მხო-

ლოდ თათრულს ასწავლის; აქ თათრული ლაპარაკი არავინ იცის.

აბულეთა, 20 კომლი. ეკლესიის ადგილი და ძველი ქვები და ღვინის ქვევრები. კლესიის ადგილის ახლოს ბებერი კაკლის ხეები, აქ ობლად დაშთენილი ვაზის ხეებიც არის. ყურძენი აქ ერთობ ადრე მოდის. აქაურს ყურძენს ,,ლივანურს'' უწოდებნენ. აქვთ ჯამე, ჰყავთ ხოჯა და ხოჯა თათრულს ანბანს ავრცელებს ქართველებში, მაგრამ დღესაც აქა არავინ არაფერის იცის თათრულისა.

კანტაური, 32 კომლი. ძველად აქ ეკლესიაც ყოფილა, ამის დღეს აღარ სჩანს, დაუქცევით. მარნები და ღვინის ქვევრები მრავალ ალაგას არის. აქ სცხოვრობდნენ ძველად აზნაურად ყოფილ გვარის **ჩხეიძეები,** თათრობაში აღარაფრად ცნობილნი, რადგანაც ესენი დაბეზღებულ იქმნენ, როგორც მომხრენი ქართველთაბა მამა-პაპის ხსოვნის და ორგულნი ოსმალთა და ახალ მიღებულ წესების. აქვთ ჯამე, ჰყავთ ხოჯა. ჟამეს გვერდით სასწავლებელი. აქაც თათრული არავინ იცის.

ტბეთა, 2 კომლი. ეს სოფელი ის არ გეგონოთ, სადაც ძველი ისტორიული ტბეთის ტაძარი სდგას. ეს სოფელი ახალს დროში გაშენებულა. აქ წინედ მოსახლეთა რიცხვი დიდი ყოფილა. ამათ თავიანთი ჯამეც ჰქონიათ. დღეს არაფერი სჩანს. აქედგან დიდძალი ქართველობა გადასახლა ოსმალეთში და სოფელი მთლად გაოხრდა. ამ სოფელს პაწა ტბეთ უწოდებენ.

ავანები, 65 კომლი. ქ ცხოვრობდა ერთი ფანატიკი ხოჯა, რომლის ქათაგებეთ მეოხებით მთელი ოსფელი ოსმალეთში გადასახლდა. ნაეკლესიარი ადგილი და ქვებიც სჩანს. აქვთ ჯამე, ჰყავთ ხოჯა, ხოჯა ბავშვებსაც ასწავლის მაგრამ თათრული არავინ იცის.

კვაშტა, 45 კომლი. ძელად აქ ყოფილა ფართო ეკლესია, ეკლესია ჯამმედ გადაუკეთებიათ, ზოგი ქვები აქედიქით წაულიათ. აქ სცხოვრობენ საქართველოს ისტორიაში ცნობილის **ბექა ჯაყელის საფარ-ფაშის** შთამომავალი, აწ ბეგებად ხმობილნი, მოძულენი ქართველთა, ხოლო ქართული ენის მეტის სხვა არაფრის მცოდნენი და გაუნათლებენი, აჭარულად დაშთენილნი. აქვთ ჯამე, ჰყავთ ხოჯა და სასწავლებელი. ამათ წინათ საშინელი ფანატიკი ხოჯები ჰყოლიათ, მტერი ქართველთა და მოძულე ქართული ენისა, მაგრამ თათრული მაინც არ გავრცელებულა აქაც.

ვაიო, მშვენიერი სოფელია, აჭარაში იშვიათია ასეთი სოფელი. ძველად ამ სოფელს თავისი დიდი ეკლესია ჰონდა, მაგრამ ეს ეკლესია ადრიდგანვე დააქციეს მის საძირკველზე კაი ჯამე გააკეთეს. ჯამეს ხის მინარაც აქვს. ამ სოფლში სცხოვრობდა ქართველ მაჰმადიანთ სახალხო მელექსე **ბუჰან ბაირახტარ შავიშვილი,** რომლის ზოგიერთი ლექსები დასწერა **პ. უმიკაშვილმა** 1879 წ.ზოგი ამისი ლექსები მე დავბეჭდე 1891-1893წწ. ქაურს ხალხში ამის ლექსებისა ზოგი ზეპირად იციან. უწყიან, რომ ამ სოფელს ძველად სხვა სახელი ჰრქმევია და „ვაიო" გათათრების შემდაგ დარქმევიაო, რადგანაც ამ სოფლის წისქვილში ერთ ქართველ ქრისტიან ქალისთვის მოუსწრიათ ახალ-გათათრებულ ქართველს ვაჟებს, ეს ქალი მოუტაცნიათ და წაუყვანიათ ერთს სდომნია მისი შერთვა და გათათრება ,ქალს უყვირია „ვაიო, ვაიო"! ამიტომ დაერქვა ამ სოფელს ვაიო, თორემ ამას სახვა სახელს უწოდებდნენ ძველად, ეს ძველი სახელი არავის ახსოვს; ამბობენ, რომ გამოჩენილი მოჭიდავე **სოლოღაც** აქაური იყოო. სოლოღა ახალციხის მაზრის ერთს სოფელშია დამარხული და ზე სამ-არშინიანი ქვა ადევსო. ისიც უწყიან რომ ძველად აქაურებმაც ჩონგურის დაკვრაც იციდნენ და ამით განთქმულნი იყვნენ აჭარაშიო, დღეს ამ სოფელში რამდენიმე

ჩასუქებული ხოჯები სცხოვრობენ ამ სოფლის მახლობლად ერთი პატარა ეკლესიაც არის დღევანდლამდე დაშთენილი. ამ რამდენიმე წლის წინად აქ სპილენძის მადანიც გამოჩნდა. მადანი ბერძნებმა შეისყიდეს. ერთი ჯამის გვერდით ხოჯებს სკოლა აქავთ და 100-მდე ყმაწვილს არაბულ ანბანს ასწავლიან. აქ ქართული კითხვა გავრცელდება, ამაში ერთი მაჰმადიანი მეხმარება, ზოგმა უკვე უკვე ისწავლა, ნამეტურს კითხულობენ **ბუჰანა შავიშვილის** ლექსებს.

აქუცა, 77 კომლია. ძველის-ძველი ნასაყდრალის ალაგას ქვები და ქვევრები სჩანს. აქ სცხოვრობენ მაჰმადიანთ **ერისთავები.** ამ გვარისა ერთი კაცი-ღაა დარჩენილი, დანარჩენნი სულ ოსმალეთში წავიდნენ, ერთი მათგანი, **ხოსროვფაშა ერისთავი,** ოსმალოს დიდი მინისტრი, 1840 წლებში ინგლისში კონსულად იყო, როგორც ევროპიულის ენების მცოდნე და საპოლიტიკო საქმეებში გაწვრთნილი აქ დარჩენილი ამბობდა თურმე: ოსმალეთში მე არ წავალ, აღიობას დავთმობ და გავყიდი, რადგანაც ეს ჩვენ შეგვიძენია ოსმალთაგან, მაგრამ ერისთაობას არაფერზედ გავცლიო. ამ სოფლისა და **ხულოს** შუა მუავე წყაროებიც მოდის. აქვთ ჯამე, ხოჯა ჰყავთ, ხოჯას სასწავლებელი აქვს და ქართველს ბავშვებს მხოლოდ თათრულს ასწავლის, სწავლით-კი ვერავის რა შეუსწავლია.

ღოლაძე, 32 კომლი. ნასაყდრალზე ჯამე დგას. უმეტესი ნაწილი ამ სოფლის მცხოვრებლებისა ძველად თათრობის გამო ქართლსა და იმერეთში გადმოცვინულან. აქ მცირე ნაწილი დარჩენილია ქრისტაინ ქართველებისა, ამათში უმეტესი **ღოლაძეს** გვარისანი ყოფილან; პირველად ესენი გათათრებულან აქ, ამათთვის აღიობა მიუციათ. 1825 წლბში ესენი დაცემულან. უწყიან, რომ ესენი ოსმალოს წინააღმდეგ იბრძოდნენ იმ ხანობაში. უკანასკნელს დროს ამათგან ბევრი გადასახლდა ოსმალეთში.

შოთიძე, 40 კომლია. ამ სოფლის მებატონენი ძველად
შოთიძეები ყოფილან, მაჭახწლიდამ გადმოსულნი. ესენი პირველად ბზუ-ბზუში მოსულან და დასახლებულან. ამათთვის ოსმალთ ის ადგილები უჩუქებიათ თათრობის გამო, სადაც დღეს სოფ. შოთიძეა. შოთიძეებს ამ ადგილებისთვის თავიანთი გვარი უწოდებიათ. ამათ სხვა გვარის ხალხნიც მოუყვანიათ აქ და დაუსახლებიათ. შემდეგ ეს ადგილი სოფლად გამხდარა და ცხოვრებმაც უმართნიათ. უკანასკნელს ხანებში შოთიძეები გაფანატიკებულან, ამათ სასტიკად სძულდათ სიტყვა ქართველი. უკანასკნელ ომის შემდეგაც არ დაივიწყეს ამათ ეს სიმძლავრე და მრავალი ამათგანი ოსმალეთში გადასახლდნენ. ამ სოფლის ქვემოდ შესართავამდის, სადაც ჭოროხი აჭარის-წყალს უერთდება, რაც სოფლები სძევს ყველა ესენი მაჭახლის ნაწილს ეკუთვნის და ამიტომ ამათ ჩვენ აქ არ მოვიყვანთ. აქედამ ჩვენ მიუბრუნდებით ისევ აჭარის დასაწყისს, დანდალოს ახლო, მხოლოდ აღმოსავლეთის მარცხენა მხრის ნაწილს, აჭარ-წყლის გაღმით და ჩავალთ შესართავამდის.

ახო, 35 კომლი. თათრობის გამო ეს სოფელი ძველად მთლად გამწყდარა. ვინც დარჩნენ, ისინიც ოსმალოში გარეკეს. აქ არ დასტოვეს თურმე და ამათ ალაგას დაასახლეს საქართველოდგან. გამოქცეულნი და აქ ახლად გათათრებულნი ქართველნი. აქ არის ნაეკლესიარი. ეს დაუქცევიათ 1780 წ. ამ ეკლესიის ერთი ქვა ჯამის კარებ ქვეშ არის დატანებული, ზედ ჯვარი სჩანს და ქართულის ნაწერების სახეც ატყვია, მაგრამ ეს მთლად გადარეცხილია.

გობურნეთი, 30 კომლი. აქ იყო პატარა კარგი ეკლესია. ახსოვთ, რომ 1830 წლენში, ამ ეკლესია ერთი მოხუცი დედაკაცი ჰპატრონობდა და ჰგვიდა ხოლმეო. ერთხელ ეკლესიის დაგვის დროს ხოჯამ მიასწრო და ძლიერ გაუჯავრდა დასწყევლა თურმე, უთხრა, თუ კიდევ გნახე მე შენ აქა, მაშინ

მე ფაშას შევატყობინებ და თავს მოგჭრიანო. მოხუცი თურმე გაშორდა მწარედ სტიროდა. რად დამიშავა ეკლესიის გასუფთავება, ჩვენი ძველები შიგ მარხიაო. ეს ეკლესია მალე მთლად მოწმინდეს აქვს კარგი ჯამე.

ვარჯანისი, 20 კომლი. ამ სახელის მექონი სოფელი კინტრიშისკენაც არის, ხინოს ქვემოდ, ერთ უდაბურს ტყეში. ამბობენ, რომ ხინოს ვარჯანისი, ანუ ვარჯენული აქედამ მისულებიდაგან გაშენდაო 1790 წებშიო.

კენივრი, 25 კომლი.

წონიარისი, 40 კომლი. ქართველ მაჰმადიანთ შორის, რამდენიმე კაცს ძველი მცნება დიდხანს შეუნახავთ.

სვანივრი, 25 კომლი.

ქინძაკარა, 10 კომლი. აქ წინად ეკლესია ყოფილა, აქვთ საკუთარი კარგი ჯამე.

ქედა, 50 კომლი, **ვახუშტი** შეჰნიშნავს, რომ ძველად აქ სავაჭრო დაბა თუ ქალაქი იყოვო. ეს დღესაც ასეა, მხოლოდ ძლიერ მცირე დუქნებია. სულ იქნება 15 დუქანი, ესენიც პარასკევობით იღება ხოლმე, როცა ამათი ჯუმა დღეა და ბაზრობა იცის, სოფლებიდგან ხალხი იკრიბება. ვაჭრებშიაც ნახევარზედ მეტი ართვინის კათოლიკენი არიან, აჭარელნი ვაჭრობას აქ ერთობ იშვიათად ეკიდებიან. ძველად აქ ყოფილა დიდი საყდარი; ეს საყდარი დაუქცევიათ, ზედ კაი ჯამე გაუკეთებიათ, მერე აქაც მოუშლიათ ჯამე და სხვაგან გადაუტანიათ. დღევანდლამდე აქ სჩანს ქვევრები, ღვინის საწურავები. აქ გათათრების შემდეგ ფეხი გაიმაგრეს ქართველთ მაჰმადიანთ ბეგთ **თავდგირიძეებმა.** თავდგირიძეებთ გათათრება დიდი ხანია არის, ქობულეთის დაჭერის და გათათრების დროს ოსმალებმა თავდგირიძეებს ბეგობა მისცეს და აჭარაში გააძალოვანეს, აქამდის აჭარაში მძლავრობდნენ **ბეჟანიძეები,** ანუ ძველად **პირს მსახურის ძენი.** ბეჟანიძეებს და თავდგირიძეებს შორის ერთს დროს ომი და

ოდიგარიც ასტყდა, ბეჟანიძეები თავდგირიძეებს აჭარაში უფლების ნებას არ აძლევდნენ. აჭარა ბათუმის კაიმაკამს დაუმორჩილეს 1820 წ.

ქედის ჯამეს გვერდით ხოჯა **სურმანიძეს** ქართველ მოლების აღსაზრდელად სკოლები აქვს და 15-მდე ქართველ მოლებს ზრდის. ზოგ მოლამ ქართული წერა კითხვა მალე დაისწავლა, სამწუხაროდ თვითონ სურმანიძემ-კი არ იცის ქართული წერა-კითხვა, თუმცა თავის სამშობლო ენად ქართულს ენას აღიარებს, მაგრამ ქართველები-კი მაინც სძულს. 1893 წ. ამან ქედის სამმართველოში ერთს კაცს უჩივლა, რომ მე ამა და ამ კაცმა ქართველი მიწოდა და ვითხოვ იმის დასჯასო. რაღა ფიქრი უნდა მას, თუ ეს თავის მოწაფე მოლებში რა აზრებს განავრცელებს და რაფერ აღზრდის ამათ. ამ ხოჯამ თავიანთ გვართ შთამომავლების ცნობაც იცის. **სურმანიძეები საბერძნეთის სურმანიდამ მოსულა საქართველოშიო, ჯერ გაქართველებულანო და სურმანიძეები უწოდებიათ ქართველთ და მერე გათათრებულანო.** ქედაში ცხოვრობს პატივცემული **თუფან ბეგ შარვაშიძე,** ეს პირი მთელს ქართველს მაჰმადიანებში პირველ კაცად უნდა ჩაითვალოს, როგორც უფროსი, გამგე აჭარისა და მასთანავე ბუნებით ჭკვიანი, შორს მხედველი, სიმართლის მოყვარე და განათლების პატივისმცემელი, ესა და ამისი ძმბი თავიანთ შვილებს განათლებას აძლევენ და იმედია, რომ ესენი სამაგალითოდ გახდებიან მთელს აჭარაში, ამ პირს გარდა აქვე სცხოვრობს ბ-ნი **სვიმონ იოსელიანი,** რომელსაც დიდი შრომა და ამაგი მიუძღვის ამ მხრის ხალხზედ და ნამეტურ ქართული წიგნების გავრცელების თანაგრძნობისთვის, რომელიც მან აღმომიჩინა მე.

ქედის გვერდით აღმოსავლეთით, მხარ-მარჯვნივ შეჰყვება ერთი დიდი ხეობა, რომელსაც მერისის ხეობა ეწოდება. ამ ხეობის ერთი მხარე მაჭახლისკენ გადადის და მეორე

— შავშეთისაკენ მიემართება. მერისის ხეობა ბევრად უმჯობესია თვით აჭარაზედ. ორსავე მხარეს მაღალი ტყიანი მთები აქვს, ზოგ ალაგას ვაკენი, მაგრამ ყოველთვის მწვანით მოსილნი, ყველაფრის ხეები მრავალი, ჰავა კერგი, წყაროები ბევრი და შუაზედ კიდევ ერთი სწრაფად მომდინარე მერისის ღელე. სწორედ მშვენივრობა არის ეს ხეობა, კაცი ვერ გაძღება მისის მაღალთა მთათა მზერით და ჰაერის სისუფთავით. ორსავ კუთხივ ამ ხეობაზედ გაფენილია ქართველ-მაჰმადიანთ სოფლები, ენა ქართულია, ზნე-ჩვეულება, ცხოვრების წესები ქართული, ტირილი, სიმღერა, ხმაურობა და სხვებიც ქართული, ერთადერთი სარწმუნოება აქვთ მაჰმადიანისა და ჯამეები და ხოჯები ჰყავთ. ქალებმა ხომ სულ არ იციან თათრული ლაპარაკი. აქეთ ბევრი რამ ამბები იციან აჭარის და მერისის ხალხის გათათრების შესახებ.

მერისი. მეტად მშვენიერი სოფელია, ამ ხეობის ყველა სოფლებზედ გამოჩენილი. 100 კომლია. მეტიც იქნება. ნასაყდრალზეც ჯამე დგას. აქაურნი მებატონენი ძველად **გოგორისშვილის და ჭინკაძენი** ყოფილან. ძველად გლეხნი მაგრამ ოსმალთაგან აღიობა მიუღიათ, რადგანაც ესენი ერთობ ადვილად გათათრებულან და ოსმალთათვისაც დიდი ერთგულება და დახმარება აღმოუჩენიათ. მერისის გათათრების შესახებ აჭარელნი ამბობენ, რომ მერისელნი ერთობ გვიან გათათრდენენო. აქ გათათრების წინად 700 კომლი ყოფილა, გათათრების დროს ამათ სასტიკად უბრძოლიათ და ბრძოლაში 700 კომლი მთლად გამწყდარა. გადარჩენილან მხოლოდ ექვსი ძმანი **ცეცხლაძეები**, რომლებიც გაჭირების მეოხებით გათათრებულან. აქ რამდენიმე პირთ ქართული კითხვაც შეისწავლეს, თათრულიც იციან, ხის ჯამე აქვთ. ხოჯა ჰყავთ და ხოჯას სკოლაც აქვს.

კუჭური, 30 კომლი. აქ სცხოვრობენ ზეგნიდან მოსული გამოჩენილ ბოლქვაძეების გვარის წევრნი. აქ ამათ შეუწყეს

ხელი თათრობის გავრცელებას, რის გამო ოსმალთაგან პატივიც მიიღეს. შემდეგ დროებში ესენი აქ ჩუმ ქრისტიანებსაც აბეზღებდნენ ოსმალებთან.

კაპარტყე, 14 კომლი. აქ სჩანს ქვევრები და ღვინის საწური. სოფელი მშვენიერია. შდგას ძველი ჯამე. თათრული არავინ იცის, თუმცა ერთს დროს ხოჯაც ბეჯითად ასწავლიდა.

სიხალაძე, 10 კომლი. ქ მოსახლობენ **სიხლიძენი,** ადრე ჯავახეთიდგან გადმოსულნი და დასახლებულნი, არ ვუწყით რა მიზეზების გამო. თათრობას მომხდარა ამათი აქ მოსვლა.

ქეშიშ-ოღლები, ესე იგი მღვდლის, ანუ ხუცის შვილები. 20 კომლი. წყიან, რომ აქ ქრისტიანობა დიდხანს ჰქონდათ ფარულად შენახულიო. აქ ერთი მღვდელი სცხოვრობდა, რომელიც არც გათათრდა და არც აქაურობას მოჰშორდაო. როცა დაბერდა, მაშინ-კი საღაცა ქრისტიან ქართველებში წავიდა, თავის ნებით და იქ გარდაიცვალაო. მის შვილები რომ გაუთათრებიათ, ამათთვის ქეშიშ-ოღლები უწოდებიათ გვარათაო. ამ სოფელს ძველად ეკკლესიაც ჰქონდაო.

ალიოღლები, 30 კომლი. ეკლესიაზედ ჯამე სდგას. წინად ამ სოფელს წინათ ქართული ჰრქმევია. ალიოღლები გათათრების შემდეგ უწოდებიათ, რადგანაც პირველად **ალიაშვილები** გათათრებულან.

ალიქოღლი, 60 კომლი. ახალციხი ომის დროს, 1829 წ. აქ მოვიდა ჯავახეთის ქართველთ მაჰმადიანები და დასახლდნენ. ამ სოფლეს წინათ ქართული სახელი რქმევია. გათათრების შემდეგ ალიქოღლი დარქმევია. ვინც აქ პირველად გათათრდა, იმას ოსმალებმა **ალიქა** უწოდესო და ეს სოფლელიც მას აჩუქესო, ამიტომ დაერქვა ამას ალიქ-ოღლიო. **შარვაშიძეები,** აფხაზეთიდამ პირველად აქ მოსულან და დასახლებულან. აქ არის ნასაყდრალი, ღვინის ქვევრები, ლელვის და კაკლის ხეები. სადაც-კი ეს ხეები სდგას, იქ არ

შეიძლება, რომ ეკლესიის ალაგი არ აღმოსჩნდეს. აქვთ ჯამე, ხოჯა ჰყავთ და სასწავლებელი აქვთ, ხოჯა ბავშვებს თათრულს ასწავლის, მაგრამ ბავშვებში ვერავის რა დაუსწავლია.

გოგნიძე, 17 კომლი. მცხოვრებთ შორის რამდენიმე კაცს ქრისტიანობა 1810 წლამდე შეუნახავთ საიდუმლოდ. მერე-კი ესენიც დაუკავშირდენ ისლამს.

მეძიბნა, 17 კომლი. აქ ძველად მცხოვრებთ ქართველთა უმეტესი ნაწილი აქეთ-იქით გაქცეულან ოსმალოს ზიზღის გამო, სოფელი დიდი ყოფილა. შახლები ბევრია, მაგრამ ოხრად შთენილი, ამიტომ აქ მოსულან არდანუჯისა და ართვინის მხრის ქართველთ მაჰმადიანები და დასახლებულან. ჯამე აქვთ, ხოჯა ჰყავთ, ხოჯას სასწავლებელიც აქვს.

შავაბურა, 21 კომლი. მეტად მშვენიერი სოფელი და ხშირად შავად იბურება, რადგანაც აქედ-იქიდგან ტყიანი მთები აკრავს გარს. ჩრდილი უხვად იცის, წყლები ცივი და არა ნოტიო. ძველად აქ იყო საყდარიო. დღეს ჯამე აქვთ და ხოჯაც ჰყავთ. ხოჯებს და მოლებს ერთობ იაფად იჭერენ, წელიწადში 100-150 მ.

აგოთა, რამდენიმე კომლია, პატარა სოფელია.

სილიბაური, 50 კომლი, მოუსავლიანი ალაგია, წითელს მიწაზედ სძევს. ჯამე ეკკლესიაზედ გაუკეთებიათ. რაც ესენი გათათრდენ, მას შემდეგ 125 წელია გასულიო.

გარეტყე, 30 კომლი. 1850 წ. ამათგან ბევრნი გამწყდარნან ოსმალთა წინააღმდეგ ომში. ამაების შესახებ ამბებიც ბევრია დაშთენილი.

სამზიარი, 80 კომლი. მშვენიერი სოფელია და მშვენიერ სამზერალს ალაგას მდებარეობს. აქ სცხოვრობენ ძველ აზნაურის გვარის წევრნი **აბულაძეები,** აბულაძეები არტაანში (არდაგანი) სცხოვრობდნენ ძველად და აზნაურის შვილებად ირიცხებოდნენ. არტაანის გათათრების დროს ესენი არ დადგნენ იქ და გამოიქცნენ აჭარაში და სამზიარში დასახ-

ლდნენ, სადაც ქრისტიანობა აქა-იქ კიდევ ბრწყინავდა. მაგრამ სამზიარსაც მალე ეწვია სჯულისთვის ბრძოლა, ოსმალთ გათათრება დაუწყეს, მაგრამ სამზიარელთ არ ქმნეს. ბრძოლა ასტეხეს, ოსმალთ ბრძოლას თავი დაანებეს. მთელს ხეობას აზნაური **აბულაძეები** ამაგრებდნენ, რომ სჯული არ გამოიცვალოთო. უკანასკნელად ესენიც დამორჩილდნენ, მერე ისლამის სასარგებლოდ ომობდნენ, ამათის ცდით გათათრებულან სამზიარელნი, სადაც მაინც სჯულის გულისთვის 50 კაცზედ მეტი მომკვდარა ბრძოლაში. აბულაძეები დაუწყნარებიათ გათათრებულთ თავდგირიძეებთ ასე 1750 წლებში.

ამავე ქართველთაგან პირველად ხალიფაშვილებს მიუციათ თავიანთი სოფელში ძველად და დღესაც სცხოვრობენ **ხალიფაშვილები**. სამზიარის გათათრებული შვილი ოსმალთა სასულიერო სასწავლებელში შეგირდათ და პირველად ამ გვარისაგან გამოსულა ხოჯა. შემდეგ ეს ხოჯა აჭარის მუფთად დაუდგენიათ, პირველი მაგალითი ყოფილა აჭარაში მუფთის დანიშვნა. ეს მომხდარა 1790 წლებში. ამ საუკუნის 1830-50 წლებში ამ გვარიდამ სახელი გაითქვეს ორმა სასულიერო პირმა, რომელმაც სტამბოლის სასულიერო სასწავლებელში ჰქონდათ თათრული სწავლა მიღებული, სახელდობრ: გურჯი **ისმაილ-ეფენდი ხოჯა ხალიფაშვილი** სამზიარელი, რომელსაც ოსმალნი **სამზიაროღლის** უწოდებდნენ და ჩვენგან ზემოდ მოხსენებული ქედის მუფთი **ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი.** ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა 1891 წ. ქედაში. ეს ხოჯა სტამბოლიდგან საქართველოში 1840 წლებში დაბრუნებულა და ისმაილ- ხოჯა-კი სტამბოლში დარჩენილა, რადგანაც ისმაილ ხოჯა **სულთან მამუდს** მიუღია თავისს ხოჯად. სულთან მამუდს ეს გურჯი ისმაილი ალოცებდა თურმე. ხოჯა მეტად მშვენიერი კაცი ყოფილა და მასთანავე ძლიერ კარგი ხმაც ჰქონია. მის აზანს განცვიფრებაში მოჰყავდა სულთანიო.

ისმაილ ხოჯამ სულთან მამუდს აუწყა, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ენა ქართული ენა არის, ჩვენმა ხალხმა თათრული და ნამეტურ არაბული არ იცის. ნება მოგვეცით, რომ ჩვენს ჯამეებში ქართულად იქმნეს ქადაქგება, რომ ხალხმა გაიგოს რამე. სულთანმა ნება დართო და **შეიხ ისლამისაგან** ამის ნებაც მიეცათ ქართველ ხოჯა-მოლებს ქართულად ქადაგებისა. „ყურანის" სწავლის თანხმად ქადაგების წიგნი ქართულს ენაზედ შეედგინა ისმაილ ხოჯას, მხოლოდ მთელი წიგნი არაბულის ანბანით დაეწერა, რადგანაც ამ მახვილ გონიერ ხოჯასა, ჟამთა გარემოების წყალობით და ოსმალთა მძლავრებისაგან ქართული კითხვა არ სცოდნია, თუმცა ქართული ლაპარაკი ჩინებულად შესძლებია. ამისაგნ შედგენილი წიგნი გამოუგზავნიათ აჭარაში და ხოჯებისათვის შემოუთვლიათ, რომ ამ წიგნიდგან დაისწავლეთ ქადაგებანი და ჯამეებში ისე იქადაგეთ ქართულად, როგორც აქა სწერიაო. აჭარაში ქართულად დაიწყეს ქადაგება. ამ საქმეს დიდად ხელს უწყობდა აჭარის მუფთი, ჰასან ეფენდი ხალიფაშვილი, გურჯი ისმაილ ეფენდის ბიძაშვილი. აჭარაში ქართულ ენაზედ ქადაგებამ 1855 წლამდე გასტანა, ხოლო ამ დროს-კი აღკრძალულ იქნეს ეს, რადგანაც რუსებისა ეშინოდათ. რუსებმა, რომ აიღონ ეს მხარე და ჩვენ გვნახონ, რომ ჯამეებში ქართულად ვქადაგებთ, რას იტყვიანო, სუყველას გაგვაქრისტიანებენო, ქართველები თუ არა ხართ ქართულად რაიზა ლაპარაკობთ და ქადაგებთო. ასეთს აზრებს ავრცელებდნენ ხოჯები და ამათ მალეც მოსპეს ქართულს ენაზედ ქადაგება, მაგრამ ქედის მუფთმა ხალიფაშვილმა-კი მაინც თავი არ დაანება და ხშირად ქართულს ენაზედ ქადაგებდა. ამას სხვა-და სხვა ხოჯებმა რამდენჯერმე ოსმალოს შეიხ ისლამთანაც უჩივლეს, რომ ჯამეში ქართულად ქადაგებსო. მაგრამ ვერავინ რა დააკლოო. ამან შეიხ ისლამს წერილი მისწერა, ასე: „ჩვენ გურჯები ვართ, ჩვენი ენა

გურჯულია (ქართული), ჩევნს ხალხს სხვა ენა არ ესმით და მაშ მე რა ენაზედ ვიქადაგო ,,ყურანის'' სწავლა, თუ არ ქართულს ენაზედო''. მე მითხრეს, რომ მაშინდელის ქადაგების წიგნის ხელთ-ნაწერი აჭარაში აქა იქ მოიძებნებაო. ქადაგება ქართულის სიტყვებით არის დაწერილი, მხოლოდ ასოებია არაბულიო. ცნობილი **სული ბეგი ბეჟანიძე** დამპირდა, რომ ერთს ხელთ-ნაწერს გიშოვნით და ქართულად გადაგაწერიბენთო. ვნახოთ, მეტად საინტერესო-კი უნდა იყოს მისი მოპოვება, გავიცნოთ, თუ ქართულ ხოჯა-მოლები როგორის ქართულის ენით ქადაგაბდნენ.

ნამონასტრევი, პატარა სოფელია. აქ იყო ძველი ჩაქცეული ეკლესია, რომლის ქვებიც სოფლელებმა გაზიდეს. დღეს აღარაფერი სჩანს. ცხადი საქმეა და ამას ამ სოფლის სახელიც აჩანს, რომ ძველად აქ მონასტერი უნდა ყოფილიყოს. ამ სოფლებით სრულდება მერისის ხეობა. აქ ბერი კაცები ამბობენ, რომ მერისის ხეობა ერთობ გვიან გათათრდაო. ბევრი უჯათობა გაუვლიათ, ოსმალთათვისაც დიდი ზარალი მიუციათ. ოსმალნი ამათზედ ძლიერ გაჯავრებულნი ყოფილან და როცა მერისელნი გაუთათრებიათ, ამის შემდეგ, რაც, რამ ეკკლესიები ყოფილა აქეთ, დაუქცევ-დაუნგრევიათ და მოუწმენდიაო წმინდად, ასე, რომ დღეს მთელს ამ დიდს ხეობაში ერთი ნაშთიც აღარ მოიპოვება გარდა სოფლების ნასაყდრალის ადგილებისა. ახლა აქედგან აჭარის მარჯვენა მხრის სოფლებს გავყვებით.

ორცვა, 70 კომლი. აქ არის პატარა ნაეკკლესიარი. საყდრის გვერდით ერთ დროს საეკკლესიო ნივთებიც უპოვნიათ, მაგრამ ყვლა ესენი ერთს ბნელს ომოში ჩაუყრიათ და დაუმალავთ. მასში ბევრი ვერცხლის ნივთებიც ერიაო! ლამაზი სოფელია. ამის შესახებ ამბობენ: ,,ორცვა'' იმიტომ დარქმევია, რადგანაც აქ დიდი სიცივეები იცის, სხვა სოფლებზედ ბევრად ცივიაო და ამიტომ დარქმევია, რომ ,,ცივა'' და აქე-

დამ გადაკეთებულია ეს სახელიცაო. აქ სცხოვრობენ ამ მხრის ბეგნი **შარვაშიძეები, თურმანიძეები,** ძველი აზნაურის გვარი, თათრების გამო შავშეთიდამ მოსულნი აქ და დასახლებულნი, მაგრამ ბოლოს აქაც გათათრდნენ. **ნაკაშიძეები** ქრისტიანობის დროს გურიიდამ მოსულნი აქ და გათათრებულნი. აქ ხსენებულ გვარის ოჯახებში ქართული კითხვა კაცებმაც იციან და ქალებმაც. ამ 3 წელიწადში აქ ქართულმა წიგნებმა ცოტათი მოიკიდა ფეხი, დღეს მთელი სოფელი კითხულობს. ნაკაშიძეებს ბათუმში შეეძინათ ,,ვეფხვის-ტყაოსანი'' და რამდენიმეც სხვა ქართული წიგმები. ამ კეთილ საქმეში წილი **აბდულ ეფენდი მიქელაძესაც** უძევს ,,ივერიის ამებს მომწერს. იმედია, რომ ეს სოფელი მაგალითად გახდება სხვა სოფლებისათვის. ამათში ქართულს წიგნებს კაცი ყოველს დროს ნახავს. ყველა სიამოვნებით ეგებება წიგნის კითხვის საქმეს. შემდეგ, ვნახოთ, როგორ წავა საქმე.

კაკაოღლი, 30 კომლი. ძველად კაკაშვილები, უმეტესი ნაწილი ამ გვარის ხალხნი ყოფილან აქ მცხოვრებლად. აქედგან რამდენიმე კაცი წავიდა მუჰაჯირად. **კაკაშვილები** აქ საქართველოდგან მოსულან.

ძენწმანი, 40 კომლი. აქ ამასწინად ბ-ნმა აბდულ ეფენდი მიქელაძემ ერთი სპილენძის გულ-საკიდი იპოვა, რომელიც წერა-კითხვის სამმართველოს შესწირა. აქ ძველი ნაეკლესიარიც არის, აქა სცხოვრობს ბ-ნი აბ. მიქელაძე, რომელიც ქართულია ანბანის გავრცელებისათვის ჯეროვნად მეცადინეობს. ამ სოფელშიაც გავრცელდა ქართული წერა-კითხვა. იმედია, უფრო გავრცელდება აქ მცხოვრებ საპატიო ქართველ მაჰმადიანთ მეოხებით, რომელთაც ხალხისათვის გული შესტკივათ.

კორომხეთი, 40 კომლი. არის ძველი ჯამე.

ორთა-ხოხნა, 41 კომლი. ეს ორი სოფლის ხალხი გადასახლებისთვის შეაგულიანა ოსმან-ფაშა თავდგირიძემ, ფაშა

ამ სოფლების ახლოს იდგა და იმიტომ დიდი გავლენა ჰქონდა მათზედ. ორივ ამ სოფლებში ძველად ეკკლესიებიც მდგარა, მაგრამ 1850 წლებში დაუქცევიათ. აქაური ქართულ მაჰმადიანის **ლეზგა მახაცკაძის** სიტყვით აქ დიდხანს იმაგრა ხალხმა თავი ქრისტიანობისთვისაო. მახაცკაძეს ახსოვს, რომ აქ ხალხნი ჩუმად ქრისტიანობდნენო. აქვთ კარგი ჯამე.

დერე-ხოხნა, 76 კომლი. ამ სოფლის მთაზედ დღევანდლამდე სდგას მოზრდილი ეკკლესიის ნანგრევი. ამ ეკკლესიის ახლოს ახლა ხან ამ სოფლის კარგი ჯამე გააკეთეს. ჯამეს გვერდით ხოჯას სასწავლებელი აქვს. 60 მეტი ქართველი ბავშვები სწავლობენ. აქ ასწავლიან მარტო არაბულს. ბავშვებს ძლიერ უჭირდებათ სწავლა უცხო ენაზედ. მასწავლებლად სტამბოლში ნასწავლი ხოჯა **ალი ეფენდი მახაცკაძეა** (მახაჭაძე). საკვირველი ოხუნჯი, არც ფანატიკი, არც ქართველთ მოძულე და არც ქართულის წერა-კითხვის მცოდნე. ეს ამბობს: „ჩვენ გურჯები ვართ, ქართული წერა-კითხვაც უნდა ვისწავლოთ“. ამ სოფელში სცხოვრობენ მიქელაძეები, ძველად გურიიდან მოსულნი. მერე **თევდორ-ოღლად** წოდებულნი, რადგანაც პირველად **თევდორ მიქელაძე** გათათრებულა; მაგრამ დღეს ესენი ისევ თავიანთ გვარით იწერებიან, არ უნდათ ძველის გვარის დაკარგვა.

ბზუბზო, 70 კომლია. ძველად გამოჩენილი სოფელი იყო. აქ არის ვრცელი ეკლესიის ნანგრევი. საძირკველის ახლოს ერთის გვირაბის ჩასავალია, რამდენისმე ნაბიჯს შემდეგ გვირაბს სხვა გზებიც უჩანს. აქ, ამბობენ, რომ ბზუბზო მალე გათათრდაო. პირველად ამ სოფლის მებატონე **ბოლქვაძეები** გათათრდნენ და **ყარაღ-აღის** შვილებიაო. აქ ამათი ქორწილი ვნახე, სიმღერა, თოფის სროლა და სხვანი, სულ ქართულებრ, ამ ქორწილში თათრული სიტყვა არ გამიგონია.

ზვარე, 40 კომლი. არის ნასაყდრალი. აქ სცხოვრობდა უმეტეს ნაწილად ყაჩაღი **ჩახალ-ოღლი ზვარელი,** ეს ყაჩაღი

სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის დროს სცხოვრებდა. ამ გამოჩენილ ყაჩაღმა კინაღამ სელიმ ფაშას უფლება წაართვა ხელიდგან და თვითონ დაიჭირა. ამ ყაჩაღის შესახებ მაშინ აქ ლექსებიც გამოუთქვა ქართველ მაჰმადიანთ სახალხო მელექსე **ბუჰანა შავიშვილმა,** რომელიც ს. ვაიოში ცხოვრობდა.

ლექსი ასე იწყება:

„ჰეი გიდი ჩახალ-ოღლი, ერთხანად გიქროდა ქარი,
შემოიდევი ოლქაობა, ხომ არ ქენი კაი ქარი,
ფაშას ყულე დაუნგრიე, სასახლეს გაუღე მხარი,
სელიმ-ფაშამ რომ შეიტყო, ხომ შეიქმნა ჰერსით მთვრალი.“

და სხ. **ჩახალ-ოლი** სელიმ-ფაშას გარდა სხვა-და-სხვა აღიებსა და ბეგიებსაც ებრძოდა თურმე. გარდა ყაჩაღობისა ეს იტაცებდა, ყიდულობდა გურიიდგან გოგო-ბიჭებს და ამათ ტრაპზონს და სტამბოლში ჰყიდდა კარგ ფასად. აჭარაში დიდად აქებენ ჩახალ-ოღლი ზვარელს. აქვთ ჯამე და ჯამეს გვერდით სასწავლებელი. ხოჯა ქართველ ბავშვებს მხოლოდ თათრულს ასწავლის.

ზეზოფელი, 40 კომლი. ამ სოფელს ეკლესია მეტად მაღალს მთაზედ ყოფილა. ქელას ყურის მთის წვეროების გასწვრივ. ახლა აღარაფერია, თავის დროს დაუქცევიათ და მასალა ჯამესთვის უხმარებიათ. აქ ქართულს კითხვას შეეჩვივნენ. ძველად დანდალოდგან მოყოლებული აქამდის მაჰმადიანთ **ავალიანთ** საბრძანებელს შეადგენდა. ჯამეს გვერდით სასწავლებელია და ხოჯა ბავშვებს მხოლოდ თათრულს ასწავლის.

გულები, 50 კომლია. მშვენიერი სოფელია და ისეთს ალაგას სძევს, რომ მინამ კაცი შიგ სოფელში არ მივა, მინამ ვერას დაინახავს. ეს სახელი „გულები“ მასზედ კანონიერია. ამ სოფლის ზემოდ ქელასყურის მთის ახლოს ძველად ეკლე-

სია ყოფილა, სადაც იქაურები დადიოდნენ სალოცავად. ამ ეკლესიის ნანგრევი დღესაც სჩანს. ერთის მხრიდგან ჩასასვლელიცა აქვს. 15 წლის წინად იმ ჩასავალში ერთი ქართველ მაჰმადიანთ ქალი ჩასულა, იქ გზა შეშლია და შიშით ჭკუაზედ შემცდარა, შემცდარი ქალი მალე მომკვდარა, მას შემდეგ ამ ეკლესიის მაღაროებს ქართველ მაჰმადიანები აღარ ეკარებიან, ეშინიანთ. ზოგნი ამბობენ, რომ იქ დიდი მაღაროები არის და შიგ ფირალები სცხოვრობენო. აქ მოსახლობენ **დიასამიძენი.** ამათგანი ერთი მოლად არის, ახალგაზრდა კაცი, ქართული კითხვა ისწავლა. ერთმა მოხუცმა დიასამიძემ შემდეგი მიამბო: „ჩვენში ძველად ქართული გრძელ სახელოებიანი ჩოხები ეცვათ კაცებს, თავზედ მაღალი ბუხრის ქუდი ეხურათ, განიერი შარვლები ეცვათ, ფეხზედ თეთრი ტყავის წაღები, წაღებს წინ გრძელი წვერები ჰქონდათ. წაღებს თითბრის ღილებით შეიკვრავდნენ გვერდებზე. ახლანდური ტანთ საცმელი ლივანაში და გურიაში იცოდნენ, ჩაბალახები იქიდამ შემოვიდა ჩვენშიო. ქართლში და თბილისშიაც ხომ ასე იცომდნენ მოქალაქენი."

ასე 1810-20 წლებში ოსმალებს ჰსურდათ, რომ ქალებშიაც შემოეტანათ სხვა-და-სხვა ნაირი ტანთსაცმელი, მაგრამ ეს მალე ვერ მოუხდათო. ერთხნობით ქალები ფესის ტარებისაც-კი შეაჩვიესო, მაგრამ ეს მალე გადავარდაო. თუთუნის თესვა აჭარაში მაჭახელადან შემოვიდაო. ნარდის თამაში ჩვენში ძლიერ იშვიათი იყო, ქაღალდის თამაში-კი იცოდნენო. ჩვენში ყუმარი იცოდნენ, ჭიდილი, ცეკვა და სიმღერებიო. ამ სოფელში წერა-კითხვა რამდენიმემ ისწავლა, ამით პირველია ეს აქაურ სოფლებში. ჯამეს გვერდით ხოჯას სასწავლებელი აქვს, ქართველს ბავშვებს მხოლოდ თათრულს ასწავლის.

საღორეთი, 41 კომლი. 1873 წ. აქ ყოფილა **დ. ბაქრაძე;** ბაქრაძე წერს, რომ საღორეთში 100 კომლიაო. დღეს-კი 41

კომლია, მაშ სჩანს 60 კომლზედ მეთი წასულა ოსმალეთში. დ. ბაქრაძის აქ მოსვლა დღესაც ბევრს ახსოვს. აქ ლაპარაკობენ, რომ ყველაზედ გვიან საღორეთი გათათრდაო. ამ სოფლის ახლო-მახლო სოფლები გათათრდნენ, მაგრამ საღორეთი-კი არაო. მაშინ ახალ გათათრებულებმა თავიანთს სოფლებში რაც ღორები იყვნენ, სულ შეაგროვეს ერთად და მიურეკეს საღორეთლებს და უთხრეს:

ძმებო! ჩვენ გავთათრდით, ეს ღორები თქვენ გებარებოდეთ. ჩვენ თათრობას ვცდით, თუ არ მოგვეწონა, მაშინ ისევ გავქრისტიანდებით და ამ ღორებსაც გამოგართმევთ და თუ მოგვეწონა, მაშინ ჩვენ თათრად დავშთებით და ეს ღორებიც ღმერთმა თქვენ შეგარგოთო. ახალ გათათრებულთ თათრობა მოეწონათო, ესენი ძველ სჯულზედ აღარ გადავიდნენ და ღორები სულ მათ დარჩათო. რადგანაც ამ სოფელში ღორები ბევრი იყო, ამიტომ დაერქვა სახელად საღორეთი, თორემ წინად სხვა სახელი ერქვაო. სოფელს ძველად ეკლესია ჰქონდა, ეკლესიაზედ ჯამე დაუდგამთ. ჯამეს გვერდით ხოჯას სასწავლებელი აქვს და ამ სოფლის ქართველს ბავშვებს მხოლოდ თათრულად ასწავლის. უწყიან, რომ ვიდრე საღორეთი გათათრდებოდა, დიდი ბრძოლა და გაჭირვება გამოიარესო; ყველაზედ ცხარე ბრძოლა სჯულის გამო აქ საღორეთლებმა გამოსცადესო. ამ სოფელსა და აგარის გადაღმა, ჩრილოთ, სძევს ერთი დიდი შეუვალი ტყე, რომრლსაც სახელად **ბეთლემის ტყეს** უწოდებენ.

ბეთლემის ტყეს მეტად დიდი ადგილი უკავია, ყველა ეს ადგილები ვაკე არს და ალგ-ალაგ მთა-გორებიც არის ხშირის ტყეებით დაფარული. ბეთლემის ტყეს გარშემო მეტად დიდი და მაღალი მთიანი ტყეები ახვევია, ეს მთები და ტყეები ისეა ერთმანეთზედ მიბმული და მიკრული, რომ კაცმა თუ გზა არ იცის ბეთლემის ტყისა და ხეობისა, უამისოდ ძნელად რომ აქ ვინმემ მიაღწიოს და გზა გაიგნოს, ბეთლემის ტყე ამ მთებს

შუა ქვაბივით სჩანს. მთელი ბეთლემი სავსეა გაუჩეხავის ხეებით და საცა არ არის, იქ ეწერი და წყავია ბევრი. აქ ნადირიც მეტად ბევრია: თეთრი ღორი, რაც სხვაგან იშვიათია, დათვი, ირემი, კანჯარი, თხა. თითქმის ყველანაირი პირუტყვი, ფრინველიც მრავალია და სხვა-და-სხვა ნარები. ყვავილებიც ძლიერ ბევრნაირი სცოდნია აქ. ეს ადგილები ისე დამდაბლებულია, რომ ზაფხულში ხშირად ბნელი ბურუსიც იცის აქ, ისეთი რომ კაცი გზას ვერ გაარკვევს.

ბეთლემის ტყის შუაზედ ერთს მთაზედ არის პატარა ეკლესია. გათათრების დროს, დევნულ ქრისტიანები აქ იფარავდნენ თავსო. ბოლოს ოსმალთა შეუტყეს და წავიდნენ იქ დასამორჩილებლადო, მაგრამ როგორც მოვიდნენ აქ, მაშინათვე ქარი ამოვარდა, დიდი წვიმა მოვიდა და ოსმალთ გზა და კვალი დაეკარგათო. შემდეგ ბევრის წვალებით დაიჭირეს ეს ადგილები და ხალხიც დაიმორჩილეს, მაგრამ თვითაც ბევრი იზარალესო. ბევრჯერ შეეშალათ გზა და კვალი და ვერაფერი გააწყვესო. მაშინ ამათ აღთქმა დაუდვიათ, რომ ამ ადგილებს ჩვენი კაცი არავინ მიეკაროს და მას შემდეგ აღარავინ ეკარებაო. ამ ადგილის ამბები **ოსმალურ ენეზედ აწერილია და ქარტაც გადაღებული აქთო.** ამ ტყის ერთს მხარეს არის ერთი ტყიანი მთა, რომელსაც აქ „ბერთას" უწოდებდნენ, ამ მთის გვერდით, მეორე დიდს მთას „გემის საბამი" ეწოდება. მითხრეს, რომ ძველს დროში ბეთლემში ზღვა ყოფილაო და გემებს თურმე ხსენებულს მთაზედ აბამდნენ, დასაბმელი ჯაჭვის გამოსაბამი ხვრელი დღესაც სჩანსო. ამ შეუვალ მთებისა და ტყეების შესავალთან არის ერთი ძველი კოშკი, რომელსაც „ცივა სროლას" კოშკს უხმობენ.

ამბობენ, რომ ეს კოშკი **თამარ მეფეს** გაუკეთებიაო. ბეთლემში ქართველ მაჰმადიანები სრულებით არ დაიარებიან, აქ ხალხი არ სცხოვრობს, მთელი მხარე გავერანებულია და ნადირთა თავ-შესაფრად გადაქცეული. ერთი და ორი კა-

ცი აქ წასვლას ვერ ჰბედავს, ნადირობისა ეშინიათ, რამდენიმე კაცი დაიარაღებულნი ერთად წავლენ ხოლმე. აქაური სოფლის ყანები ამოგდებულია ღორის და დათვისაგან. ამბობენ, რომ უმეტესი ნაწილი ღორი და დათვი ბეთლემის ტყიდგან გამოდის და აქა-იქ სხვა-და-სხვა სოფლის ტყეებში ეხეტებიან და ყანას სჭამენო. საღორეთი რომ გათათრდა, მაშინ ამათ თავინთი ღორები სულ ბეთლემის ტყეში გარეკეს. ამ ტყეში ჯერ რუსის კაცს ფეხი არ შემოუდგამსო.

ზედა-მახუნცეთი, 47 კომლი. ამ სოფელსა და საღორეთს შუა ერთი ძველი კოშკი სჩანს ერთს მაღალს მთაზედ, თამარ მეფის ნაშენიაო. აქ ძველად ეკლესიაც ყოფილა. 1873 წ. **დ. ბაქრაძემ** ამ სოფლისაგან ვერ გაბედა კოშკის გასინჯვა და ეკლესიის ადგილის ნახვა. მაშინ დიდი შიში იყო აქ. დღესაც მეტად საშიშარი ტყეები და ადგილებია.

ზენდიდი, 50 კომლი. ეს სოფელი ქედას გაღმით სძევს, ქულას ყურის მთის ძირს, სოფ. გულების მახლობლად. შორიდან პატარა სჩანს და როცა კაცი ზევით, სოფელში ავა და ერთ გორაკს გადაივლის, იქ დაინახავს ვეება ვაკეს, სადაც სოფლელებიც სცხოვრობენ, სწორედ ამის მიზეზით უნდა დარქმეოდა ამ სოფელს ზენ-დიდი. აქ არის ძველი პატარა ეკკლესია დაქცეული. ამ სოფლის გვერდით არის ერთი ხევი, სადაც **ქორიძეები და ბერიძეები** სცხოვრობენ, ამ ხევში მოდის ერთნაირი წყარო, რომელსაც ქართველ ქალები აბანოს ეძახიან, აქ საბანაოდაც მოდიან ხოლმე, აქვე სცხოვრობენ ძველ თავადიშვილთ შთამომავალნი **პირმსახურნი,** ესენი ამბობენ, რომ ჩვენ **თამარ მეფის** დროს თავადის შვილები ვყოფილვართ და პირველნი ვაჟკაცნიო, ამათ აქ ოთხი სასახლე აქვთ, ამათ საგვარეულო დიდი ციხის გალავანიც არის აქ, ძველ დროს ნაშენი, კედლების სისქე ორი არშინი იქნება, ოსმალთა მოსვლის დროს ამ ციხიდან პირმსახურეებს დიდხანს უბრძოლიათ ოსმალთ წინააღმდეგ. მაგრამ ბოლოს ესენიც

შესუსტებულან, ოსმალთ დამორჩილებიან, ოსმალთ ამათთვის თავადობის მაგიერ ბეგიობა მიუციათ, ეს ძველი საგვარეულო ციხეც მთლად დაუქცევიათ, ერთ ალაგას ციხეს თლილი ქვაც ჰქონია ქართულ წარწერებიანი, ეს ქვა 1889 წ. დაკარგულა, საღაცა არს ჩატანებულიო, პოვნას დამპირდნენ, გადმომცეს რომ ძველად პირმსახურიძენი ოსმალებს სასტიკად ეკამათებოდნენ და არ უშვებდნენ, რომ მათ აჭარაში ოსმალური ზნე და ჩვეულება შემოუტანიათო. ესენი თურმე **თავდგირიძეებს** და **ათაბეგებსაც**-კი აყვედრიდნენ ხოლმე, რომ ოსმალთ ნუ ემხრობითო. 1850 წლებში პირმსახურაძეებმა დიდი გმირობა გამოიჩინეს. ამათთვის გათათრების შემდეგ **ბეჟანიძე** უწოდებიათ, რადგანაც ვინც პირველად გათათრებულა ამათ ოჯახიდგან იმას **ბეჟანა** რქმევია სახელად. ამაში თითიქმის ყველამ დაისწავლა ქართულ-რუსული წერა-კითხვა: **აბდულ-ბეგ ბეჟანიძეს** დღეს თავისს სახლში ქართველი მასწავლებელი ჰყავს დაჭერილი, მასწავლებელი მათ გვარის ყმაწვილებს წერა-კითხვას ასწავლის. აქა არი ჯამე, ჯამეს გვერდით სასწავლებელი, ხოჯა ქართველ ბავშვებს მხოლოდ თათრულს ასწავლის.

ზუნდაგა, 66 კომლია. არის ნაეკლესიარი და აქა-იქა დიდრონი ჭურები. აწინდელი ბათუმის მუფთი **გვერდაძე** აქუარია, ქართველთ მოყვარე, სიტყვა-პასუხიანი კაცი, ზრდილობის მქონი, ამათ გვარში ბევრმა დაისწავლეს ქართული წერა-კითხვა, ამათ გვარში ბევრმა დაისწავლეს ქართული წერა-კითხვა, ამ მუფთმა აღიარა: - „ბედმა გაგვაცალკევა, ბედმავე შეგვერთა, მაგრამ ჩვენ არც თათრები ვართ და არც ქართველები. ჩვენ ისეთ ძლიერ მეფეს ჩაუვარდით ხელში რომ ჩვენი ქართველებისგან შორს წასვლა ძნელი საქმე იქნება, ნეტა მალე მოხდეს რომ ისევ ისე ძველებურად ერთი ვიქმნეთ.“ ამ სოფლისაგან მუაჯირად 3-4 კომლი წავიდა.

აქვთ ჯამე და სასწავლებელი, ქართველ ბავშვებს ხოჯა თათრულს ასწავლის.

ცხემლანა, 21 კომლი. აქ მოსახლენი შემცირებულ იქმნენ 1850 წლებში, რადგანაც ესენი შენიშნულ იქმნენ ოსმალთაგან მოღალატედ და ამის გამო მთელი სოფელი გადასწვეს და ხალხიც ოსმალში ტყვედ წაიყვანეს. აქ არის ნასაყდრალი, აქა-იქ ღვინის ქვევრებიც სჩანს. ეს 21 კომლიც მას შემდეგ მოშენებულან აქ.

აგარა, 60 კომლი. აგარა სამცხე-სათაბაგოში რამდენსამე ალაგას ეწოდა: ერთი აგარა ზეგანშია, მეორე ქობულეთის ნაწილში მესამე არსიანის მთისკენ, მეოთხე ოლთისის ქვემოთ, ოსმალთა საბრძანებელში, მეხუთე ახალ ციხისკენ და მეექვსეც აჭარაში, აქა სცხოვრობენ ძველი აზნაურის გვარი **დევაძეები** ესენი წარსულს საუკუნეში გურიიდგან მოსულან აქა, ექვსი ძმანი ყოფილან: ორნი მომკვდარან და ოთხი-კი აქ გათათრებულან. ამ გვარის ხალხმა ბევრი რამ ძელებური ამბები იციან აჭარის შესახებ, თვით აგარა მშვენიერს ხეობიან ალაგას სძევს, შემოსილია დიდის ტყეებითა, წყაროები ცივი, ტყის ნადირი ბლომად, ზაფხულში გრილია, ზამთარში ცივი, აქვთ ჯამე, ჯამეს გვერდით სასწავლებელი, ხოჯა ქართველ ბავშვებს მარტო თათრულს ასწავლის. ამ ბოლო დროს ქართული კითხვა სამს დავასწავლე, ახლა ამათგან სხვებს დაუსწავლიათ, აქ მცხოვრებთ ერთს ოჯახში ძველი პატარა **ქართული კარაბადინი** აღმოჩნდა, **აბდულ ეფენდიმ** წერა-კითხვის სამმართველოს გამოუგზავნა, ეს პატარა კარაბადინი დიდი რამ განძი არ არის, მაგრამ ჩვენთვის ის არის დიდი რომ ეს ხელთნაწერი აქაურს მაჰმადიანთ ქართველს ოჯახში აქამდის შენახულა და მის პატრონს დედაბერს ქართული კითხვაც სცოდნია.

ორპირი, 50 კომლი.

ქვედა-მახუნცეთი, 60 კომლი. ამ სოფლის წინ აჭარის წყალზედ არის ერთი ძველი ხიდი, რომელსაც აქაურნი **თამარ მეფის** ნაკეთებად აღიარებენ. როცა აჭარაში **თავდგირიძეები** გაძლიერებულან, მაშინ ესენი ამ სოფელში დასახლებულან. ამ სოფლის სასაფლაოზედ ერთი საფლავის ქვა აჩენს, რომ თავდგირიძეები ქობულეთიდგან გამოსულნი, აქ მოსულან 1760 წ. გათათრებულნი. ამ გვარის წევრთა ბრძოლაც თითქმის ამ დროდგან იწყება აჭარის სხვა ბეგებთან. ამბობენ, რომ ვითომც **ალი-ფაშა** და **ოსმან-ფაშა** აქაურები იყვნენო. უკანასკნელი ომის შემდეგ, როგორც ფანატიკები, მთლად ოსმალში გადასახლდნენ. აქ ამათის გვარისა ერთი კაცი დაჩენილა. აქვთ ჯამე და სასწავლებელი, ხოჯა ბავშვებს თათრულს ასწავლის.

კვირიტაული, 25 კომლი აქვთ.

ბაბუჩაშვილები, 60 კომლი. მშვენიერი სოფელია. აქვთ ჯამე, ჯამეს გვერდით სასწავლებელი, ხოჯა ქართველ ბავშვებს მხოლოდ არაბულს ასწავლის; ძველად ამ სოფლის წინამძღოლნი **ბაბუჩაშვილები** ყოფილან, ამათ თავიანთი ციხე და ეკლესიაც ჰქონიათ, ყველა ესენი ოსმალებს გათათრების შემდეგ მოუსპიათ, რადგანაც ბაბუჩაშვილებს ოსმალთ წინააღმდეგ კარგა ხანს უბრძოლიათ თავიანთის კოშკიდგან.

ბელტური, 25 კომლი. ეს სოფელი გაყიდულ იქმნა 1830 წლებში **ლალა ფაშას** ჯამეს სასრგებლოდ. ძველად ეკლესია მთლად დაუქცევიათ. სოფელი ბოლოს შემცირებულა.

დოლოგანი, 70 კომლი. მცირე რიცხვი გადასახლდა ოსმალეთში. აქ, ამბობენ, რომ ამ სოფელს ძველად ბოლოგანი ერქვაო, აქედან გადაკეთდა დოლოგანიო. თვით სოფლის ადგილმდებარეობაც ისეთია, რომ ყველას, ბოლოს აქვს განი, თავში და შუაში-კი ვიწრო. ძველად აქაურ სოფლის აზნაურებად **საფარაშვილები** ყოფილან. ქრიასტიანობის დევნის

დროს მაჭახლიდან ესენი აქ გადმოსულან. ბოლოს აქაც გასჭირვებიათ საქმე და გათათრებულან. ბევრნი ამათგანი სტამბოლისკენ გაქცეულან და იქ გაფრანგებულან. დოლოგანში ძველად ეკკლესიაც და კოშკიც ჰქონიათ საფარაშვილებს, თუ საფარაძეებს, მარამ ყველა ეს მოსპობიათ გათათრების შემდეგ. 1830 წ. ერთს ვიღაც ქართველ მდიდარ ბეგის ცოლს ეს სოფელი ოსმალოს მთავრობისაგან შეუსყიდია და **ლალა ფაშის** ჯამესთვის შეუწირავს. გასყიდვის დროს მცხოვრებნი მწარედ ტიროდნენ თურმე, ეგონათ, რომ ხანუმამ ვაი თუ იქეთ გადაგვასახლოსო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ამათ მხოლოდ წლიური ხარჯი დაადვეს და ესენი ამ ხარჯს ყოველ წელს ხსენებულს ჯამეს უგზავნიდნენ არზრუმში. 1850 წლებში დოლოგნელებმა ოსმალებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს; ესენი არავის ემორჩილებოდნენ, არც ხარჯის მიცემა უნდოდათ, არც ჯარის გაყვანა. პირველად ამათ ასტეხეს ბრძოლა და ოსმალებს დიდი ძალი ჯარიც გაუწყვიტეს, ესენი ვიწრო გზებში ესაფრებოდნენ და იქიდგან უხოცდნენ ხალხს. ბევრის მეცადინეობით ოსმალთ ხალხი დაიმორჩილეს; დამორჩილების შემდეგ ესენი პირველად ეცნენ დოლოგანს და გადასწვეს 75 კომლი. მაშინ აქ 80 კომლი იყო და მხოლოდ 5 კომლი გადარჩაო. დღევანდელი 60 კომლი 1850 წლების შემდეგ მოშენდაო.

საფარა, 20 კომლი. დოლოგანში, რომ საფარაძეები გამრავლდნენ, მაშინ, ზოგი ამათგანი აქ გადმოსახლდნენ. ამ დროს ესენი ქრისტიანები ყოფილან და აქ პატარა საყდარიც გაუკეთებიათ. საყდარი 1850 წლებში დაუქცევიათ. საფარიძენი – საფაროლლად იწოდებიან.

ჭინკაძე, 50 კომლი. დოლოგანსა და ამ სოფელს შუა ერთი ეკლესიის ნანგრევია დაშთენილი. ძველად ამ სოფლის მებატონენი **ჭინკაძენი** მაჭახლიდგან გამოქცეულად და აქ მოსულან ჯერ დოლოგანში დასახლებულან და მერე აქედგან

გადმოსულან ამ ალაგას და სოფელი გაუშენებიათ. გათათრების შემდეგ ოსმალთ ამათთვის აღიობა მიუციათ. იმიტომაც დარქმევია ამ სოფელს სახელად მათი გვარი. აქვთ ჯამე, ჰყავთ ხოჯა. ხოჯა თათრულს ასწავლის ბავშვებს, მაგრამ მაინც ვერავის რა უსწავლია.

კაპნის-თავი, 50 კომლი. რამდენიმე კომლი წავიდა ოსმალეთში. ძველად ამ სოფელს **ბერიძე** ერქვაო. მშვენიერი სოფელია, მაღლობზედ დგას, ჰავა მშრალი, წყარო ცივი. აქ არის ძველის ეკკლესიის კედლები. ამ 15 წლის წინად, ამ სოფლში ერთს ოჯახში ქართული ძეველი წიგნები ჰქონიათ, მაგრამ მოლა-ხოჯების სიტყვით, ყველა ეს წიგნები დაუწვავთ. პატრონი შეუშინებიათ, ეგ წიგნები, რომ გიპოვონ სახლში, შენ და ჩვენც მაშინვე გაგვაქრისტიანებენო, თათრად არ დაგვტოვებენო. ამ სოფლის მებატონენი ძველად **კიკინაძენი** ყოფლან. ერთმა ამ გვარის მოხუცთაგანმა მიამბო, რომ მე მოვესწარი, როცა ჩვენი სოფლის დედაბრები ამ დაქცეულს ეკლესიაში დადიოდნენ და ლოცულობდნენ ხოლმე. ჯამე აქვთ, ხოჯა ჰყავთ, ბავშვებს თათრულს ასწავლის.

კიბე, 60 კომლი. არის ძველი ნასაყდრალი. აქა სცხოვრობს მეტად ფანატიკი ხოჯა. ერთი **დელი მაჰმედ ეფენდი,** ტომით ქართველი, მოძულე ქართველთა, სისხლის მსმელი ქართველთა, ამის მეოხებით დაიღუპა და გადასახლდა მარადიდი. მაშინ ეს მარადდის ჯამეში იყო ხოჯად. ამ მტერ ხოჯას ძმა არის **იბრაიმ ხოჯა** ძმაზედ ბევრად ზრდილობიანი, მაგრამ მეტად ფანატიკი და თავისი სიმდაბლით სახელოვანი. მთელი აჭარა პატივს სცემს ამას, როგორც უფრო ფანატიკს. ეს უნდოდათ ბათუმის მუფთის მოადგილეთ. მაგრამ ვერა გაასწყეს-რა. ამათ მესამე ძმა ჰყავთ და ესეც ხოჯა არის, ყველანი ერთის თვისების, მაგრამ ერთმანეთს სჭამენ. პირველი 1880 წლებში სასტიკად იქმნა შეშინებული, თორემ ეს თავისს საქმეებს არც შემდეგ დაივიწყებდა. ეს მცირე ხნით

მათავრობისაგან დაპატიმრებულიც იყო. ქართველი ისე სძულს, რომ ლაპარაკიც-კი ეჯავრება ქართველთა. საკვირველია, რომ ამათ სოფლიდგან არავინ წავიდა ოსმალეთშო. სოფელს აქვს თავისი ჯამე, ჯამეს გვერდით სასწავლებელი, ხოჯა ბავშვებს თათრულად ასწავლის. ცნობილი ხოჯები აქ ძლიერ მაგრა სდგანან. მაგრამ ქართულმა წიგნებმა მაინც მიაღწიეს ამ სოფელში და ორმა კაცმა ისწავლა.

ხერთვისი, იმყოფება მარჯვენა მხრით; 15 კომლი. აჭარ-წყლის ზემოთ. აქ არის პატარა ნასაყდრალი. აქ ახსოვთ, როცა ამ პარატა ეკლესიაში დედაბრები დადიოდნენ და ლოცულობდნენო. ხერთვისელებმა 1850 წლებში, ოსმალთა წინააღმდეგ ისე სასტიკად და გმირულად იომეს, რომ ყველანი გააკვირვესო. დამორჩილების შემდეგ ოსმალთ მთლად გადუწვავთ ეს სოფელი. ამ 15 წლის წინად აქ ერთ ოჯახში ძველი ქართული წიგნები ჰქონიათ დარჩენილი მაგრამ ხოჯების სიტყვით დაუწვავთ, თორემ რუსები მაგ წიგნებს გიპოვნიან და მერე გაგაქრისტიანებენო, ვისაც დაეწვა წიგნები, ეს კაცი თვით მე ვნახე.

მაღლაკონი, 15 კომლი. 1850 წლებში ამათაც დიდის გმირობის შემდეგ ეს სოფელი მთლად დაუწვეს ოსმალებმა. ამ სოფელში სცხოვრობს დიდად პატივსაცემი **ლუკა ანდღულაძე,** რომელიც ქართულის წიგნების გავრცელების საქმეს დიდად უწყობს ხელს და მან მრავალთ ქართველთ მაჰმადიანებს დაასწავლა ქართული წერა-კითხვა. ამისაგან დასწავლილი მაჰმადიანები დღეს თავისუფლად კითხულობენ და სწერენ ქართულად.

ჭალახმელა, 20 კომლი ეს სოფელიც ოსმალთ გადასწვეს მთლად 1850 წ. რადგანაც სოფლელნი მაღლაკონელებთან შეერთებულნი გმირულად იბრძოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ.

უჩხითი 15 კომლი. 1950 წ. აქ იყო 40 კომლი, მაგრამ ყველა ესენი დასწვეს ოსმალთ, რადგანაც ესენიც მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ სხვებთან შეერთებულნი. აქ გათათრების გამოც ბევრი მოსპობილა ძველად.

კირნათი 25 კომლი. 1850 წ. ეს სოფელიც დამწვარ იქნა ოსმალთაგან. მაშინ ამ სოფელში სამოცი კომლი ყოფილა. კირნათელები ოსმალთაგან ბევრჯერ ყოფილან ღალატში შემჩნეულნი და ამიტომ ამათაგან ბევრი ოსმალეთში გადაუსახლებიათ.

მილისი. 30 კომლი. ეს სოფელიც დამწვარი იქნა ოსმალთაგან 1850 წ. მეტად უწყალოდ სხვა სოფლებზედ ბევრად უარესად, შიგ ხალხიც ამომწვარან. ზემოხსენებულ სოფლებს მაშინ დიდი უბედურება სწვევია. აქ აღწერილს ხუთს სოფელს ზოგნი მაჭახელას აკუთვნებენ, მაგრამ ეს არ არის, სწორე, ეს სოფლები მაჭახელს მხოლოდ 1878 წ. შემდეგ მიაწერეს, რადგანაც მაჭახლის საზღვრებზე მდებარე აჭარის მთებში არის გაშენებულნი, თორემ ეს სოფლები აჭარას ეკუთვნოდა და აჭარადვე ირიცხებოდა. ეს ჩვენც ასევე მოვიყვანეთ აქ. ზემოხსენებულ სოფლებს და დოლოგნელებს უსახელებიათ თავი უფრო ომში. ამათ შესძრეს ოსმალთა ჯარიო და ომში თუ მოკვდა ვინმე, ისევ ამათგანიო. დამორჩილების შემდეგ ამათ სოფლები გადუწვეს, ჯერ თითო ომს 25 მან. დაადეს ხარჯადო და ხარჯის გადახდის შემდეგ აღარც ხალხი დააყენეს აქ და ოსმალში გარეკესო. წაყვანის დროს ამათ დედაკაცებთა ტირილი გულს უკლავდა კაცსა. გემში ჩაყრის დროს სულ მიწას ჰკოცნიდნენ და ცხარე ცრემლებს ჰღვრიდნენო. სოფლებში თითო-ოროლა კაცი დარჩენილა აქა-იქ საიდუმლოდ ეს მოსახლენი მერე მოშენდნენ აქაო.

აქაურ წყლისა და ჭოროხის შესართავს ქვეით, კახაბრამდე დაჰყვება შემდეგი სოფლები მარჯვნივ და მარცხნივ:

ერგე, 40 კომლი. ოსმალებს პირველად ერგეს ხალხისთვის დაუტანებიათ ძალა სჯულის გამოცვლისათვის. ერგეში ბევრი ქართველი გამწყდარა სჯულისათვის, მაგრამ საქმე გასჭირებიათ და ბოლოს გათათრებულან. ოსმალებს პირველად თათრული ჯამე აქ გაუკეთებიათ, ასე, რომ მთელს აჭარაში ყველაზე ძველს ჯამედ ერგეს ჯამე ითვლება. უწყიან რომ ვითომც ერგეს კარგ ეკკლესიაზე გათათრების შემდეგ ზედ ჯამე დაადგესო.

მიკიტაური, 15 კომლი.

ხელვაჩაური. სამამასახლისო, დღევანდლამდე ამ სოფლის ახლოს, ოსანაურის ტყეში, პატარა ეკლესია დგას. ამის ახლოს მეორე მთელი ეკკლესიაც არის. ორივ, დღეს თუ ხვალ დაიქცევა.

შარაბიძე, 15 კომლი. ძველად მებატონენი ამ სოფლისა და ადგილებისა **შარაბიძენი** ყოფილან. თათრობის გამო ბევრი ამათგანი გურია-იმერეთში გაქცეულან და თავი გადურჩენიათ გათათრებისაგან.

თოფალაშვილები, 30 კომლი. ამ სოფელში სცხოვრობენ **თოფალაშვილები,** ძველი მებატონენი ამ სოფლისა. აქ ამათ შესახებ ლაპარაკობენ, რომ თოფალაშვილები ძველად მეტად მხნე გულოვანი ვაჟკაცნი ყოფილანო და ამათ ოსმალოთა წინააღნდეგაც დიდად უბრძოლიათო.

ურეყი, ახლა ამ სოფელს **ფერიას** უწოდებენ. ეს სახელი ამ სოფელს მას შემდეგ დაერქვა, რაც აქ აფხაზეთიდგან აფხაზები გადმოსახლდნენ. აფხაზებისგან წინად აქაური ქართველთ მაჰმადიანები ძლიერ შეწუხებულნი იყვნენ. აფხაზებს აქ ქართული ენა კარგად შეუსწავლიათ, რადგანაც ამათ გარშემო სულ ქართულს ენაზედ მოლაპარაკე ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ.

დედა-ბერა, აქაც სახლობენ აფხაზნი. ამ სოფელს დღეს სახელი გამოუცვალეს და **სტეფანოვკა** ჰქვიან, ადრინდელი ბათუმის ოკრუგის უფროსის გვარია.

გონიო, სძევს ზღვის ნაპირას. გონიო საზღვარია კახაბრის, ჭანეთისა და აჭარის. **ვახუშტის** დროს გონიოში აქაიქ თითო-ოროლა ქრისტიანებიც ყოფილან, ჭანებს ქრისტიანობა მაქრიალში და გონიოში შეუნახავთ კარგა ხანს.

სიმონეთი. მშვენიერი სოფელია, მშვენიერს ადგილას სძევს, ჰაერიც კარგია და წყლებიც. 15 კომლი სცხოვრობს. ზოგი ოსმალში გადასახლებულა, ძველად ამათ ეკკლესიაც ჰქონიათ, ეკკლესიის საძირკველზედ ჯამე დაუდგამთ, ასეთი ლამაზი სოფელი კახაბრის მიდამოებისაკენ არსად არის.

მახო, რამდენიმე კომლი. ამ სოფლის მახლობლივ თავდება აჭარის მაღალ-მთიანი ტყეები და შემდეგ ამათ პატარა გორაკი მთები იწყება.

თხილნარი, 25 კომლი. ძველად კარგი პატარა ეკკლესია ჰქონიათ, დღეს აღარაფერი სჩანს, ოსმალთა ბრძანებით დაუქცევიათ ძველადვე.

ყარა-შარვალი. აფხაზები სცხოვრობენ, წინად აქ ქართველნი სახლობდნენ. სოფელსაც ქართული სახელი ეწოდებოდა. აფხაზეთს ქართული ენა შეუთავსებიათ ქართველ მაჰმადიანთ მეოხებით.

ყომბალო, 15 კომლი. 1830 წლწბში ამ სოფლის მცხოვრებნი ქართველნი აუჯანყდნენ ოსმალოს, სხვებთან ერთად შეერთებულნი სასტიკადაც იბრძოლეს. დამშვიდების შემდეგ ყველა ესენი აფრიკისაკენ გადაასახლეს. ეს შავი ხალხი დღევანდლამდის აქ დაშთენს, ესენი კახაბერშიაც დაბინავდნენ და დროს განმავლობის მეოხებით ამათ თავიანთ სახის პირვანდებული შავი ფერი შესცვლიათ და ცოტად სითეთრე შეჰპარვიათ. რაც ხანი გადის, მით თურმე საქართველოს ტურფა ბუნება მათზედ დიდს ზედგავლენას ახდენს თურმე. თავისს

დროს სულაც შეიცვლებიან; ამათაც შეუსწავლიათ ქართული ენა.

წითელი მინა. ამ სოფლის მისახლენიც ძველადვე იქმნენ ოსმალთაგან გადასახლებული ოსმალში, რადგანაც ამათ სჯულის გამო დიდხანს სწამებდნენ ღალატს. ამ სოფელში ოსმალიდგან მოყვანილ თათრები დაუსახლებიათ და სოფლისთვისაც ქართული სახელი შეუცვლიათ და თათრულად უწოდებიათ „ყაზილ თოფრან“. აქ ოსმალოს თათრობის დროისა არაფერია დაშთენილი, მთლად ქართველ მაჰმადიანები არიან, ქართულს ენაზედ მოსაუბრენი.

ამ სოფლის ქვემოდ, შავის ზღვისკენ, დაიწყება კახაბერი და კახაბერის ადგილები. კახაბერი მისდევს აჭარის საზღვრამდე.

აქ ჩვენ ბევრი რამ წვრილი სოფლები, მთები, ხეობები და ტყეები ვერ მოვიხსენიეთ. ვიტყვი, რომ ყველა ჩვენ მიერ აღწერილს ადგილებში სცხოვრობენ მხოლოდ ქართველი მაჰმადიანები, ქართველი ტომის ერი, ქართულს ენაზედ მოსაუბრენი. სამშობლო ენათ ამათში ქართული ენა არსებობს, ქართული სიმღერები, ტირილი, ქართული ხმაურობა და ქართული სახე.

სამცხე-სათაბაგოს დაპყრობის ზეპირ ამბები ქართველ მაჰმადიანებში. დაწერილი 1892 წ.

აჭარის და სამცხე სათაბაგოს დაპყრობის და გათათრების ამბავს აქ ასე მოგვითხრობენ მოსწრებულნი და დროულნი კაცნი: როცა ოსმალონი გაძლიერდნენ და დაიპყრეს საბერძნეთი, შემდეგ საქართველოსაც მოადგნენ, მაგრამ საქართველო ადვილად ვერ აიღეს. ქართველთა სძლიეს ოსმალნი, ჯარი გაუწყვიტეს. დანარჩენი ჯარიც ტრაპზონს

იქით გადარეკეს. ოსმალთ გაუძნელდათ საქართველოს დაჭერა და ასე მოახერხეს: წამოვიდნენ საომრად და წინ გამოიმძღვარეს ოცდაათიათასი ახლად გათათრებული ბერძნები, რადგან ქრისტიანებად დასახეს, მეგობრობით მიეგებნენ. გათათრებულ ბერძენთაც ეს უნდოდათ, შემოვიდნენ საქართველოში და მათ შემოჰყვნენ ოსმალნიც. მალე ოსმალოს სხვა ჯარიც მოეშველა. გაიმართა ომი და რამდენისამე დღის შემდეგ აჭარა დამორჩილებული იქმნა.

ქართველთა ყოველივე შეიტყვეს ბერძენთა ეშმაკობის, მაგრამ რაღა დროს, ერთობ გვიანღა იყო. ოსმალთ აჭარაქობულეთი დაიმორჩილეს და ფეხი გაიმაგრეს. შემდეგაც ქართველთ ბევრჯერ სცადეს და აჯანყდნენ, მაგრამ სამუდამოდ-კი ვეღარ გარეკეს ოსმალნი, ოსმალნი თანდათან გაძლიერდნენ, ხოლო ქართველნი უკან-უკან წავიდნენ. ქართველთ დავრდომილებას ოსმალნიც უწყობდნენ ხელს. შესყიდვით შოულობდნენ ქართველთ მოღალატეებს. პირველს ხანში აჭარის თავადნი გულ-ამღრევით ეკიდებოდნენ ასეთ საქმეს და გადაბირებულს ქართველს ერთ დღესაც არ აყენებდნენ აჭარაში. მაგრამ გავიდა ხანი და მათი ძალაც დაეცა; ხალხს მფარველ-პატრონობა მოაკლდა, დაიწყო აჭარიდამ ქართლ-იმერეთში გადასახლება. სახლებს, ყანებს, ვენახებს და მარნებს სტოვებდნენ ოხრად და რა-კი ოსმალთ მთავრობას ვერ იშვნევდნენ, მირბოდნენ საქართველოში, სადაც ქართველთ მეფე, ან მთავარი იჯდა.

აჭარაში სოფელი არ არის, რომ რაიმე ძველი ამბავი არ იცოდნენ და თავიანთ მონათესავების შესახებ არ ამბობდნენ, რომ ძველად ჩვენი ნათესავები აჭარიდამ ქართლს და იმერეთში გადასახლებულანო, ამ გადასვლა-გადმოსვლისაგან ოსმალოს მთავრობა ყოველთვის შეწუხებაში ყოფილა, რადგან ქვეყანა თითქმის ასის წლის განმავლობაში აღარ დამშვიდებულა, ასე რომ არ ყოფილიყო, ოსმალები ადვილად

აიღებდნენ საქართველოს დანარჩენ ნაწილებსაც და ბოლოს დაღისტნამდე ჩავიდოდნენო. **გათათრების საწინააღმდეგოდ აჭარლებმა დიდი სისხლი დაჰღვარეს, ერთ აღდგომის მეორე დღეს მარადიდიდამ ასორმოცი კაცი ჩასცვივდა ჭოროხში და დაიღუპა სამუდამოდ. ვინც გათათრდა, სახელმწიფო ხარჯისაგან გაანთავისუფლეს, ხოლო ვინც არა იმას ერთი ორად შეაწერეს, მალე თავად-აზნაურნიც შეისყიდეს და თავადობაც და აზნაურობაც მოსპეს. თავადებს ბეგობა მისცეს აზნაურებს — აღიობა.**

სხვა-და-სხვა საჩუქრებით მოინადირეს და აღუთქვეს რამდენს კაცსაც გაათათრებთ იმდენს ალთუნს მიიღებთო (10მ.). თავად-აზნაურობის გათათრების შემდეგ სამღვდელოებას მიჰყვეს ხელი და დაუწყეს გათათრება, მაგრამ სამღვდელოებამ დიდხანს იმაგრა თავი, ბოლოს-კი იმათაც მოაკლდათ ძალა და ზოგი გათათრდა და ზოგნი ქართლ-იმერეთში გადაიხვეწნენ, ხალხი თათრობის დრისაც არ სტოვებდა დიდხანს ეკლესიების პატივის ცემას და სწორედ ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ ოსმალებმა აჭარაში ისე დააქციეს და დაარღვიეს ძველი ნაშთები, რომ ერთი ეკლესიაც აღარ გაუშვეს დაუქცეველ-დაუნგრეველი. ვინ იცის, იქნება ეს გარდმოცემა ხალხისა ნამდვილად მართალი ამბავია და სწორედ ამიტომაც არის ისე მცირედ აჭარაში ძველ-ძველ ნაშთების რიცხვი.

ვიდრე ქართველთ გაათათრებდნენ ასე: მინამ ბევრნი სთხოვდნენ დაგვტოვეთ ჩვენს სჯულზედ და გვიმსახურეთ ისე, როგორც თქვენ გენებოსთო, მაგრამ ოსმალთ არ იყაბულეს, ქართველს ჩვენს სამეფოში ვერ შევინახავთ, განგვიდგებიან, გვიღალატებენ, ომში თავიანთ მეფეს მიემხრობიანო. სარწმუნოების დაძალების გამო ზოგს ახრჩობდნენ, ზოგს თავსა ჰკვეთდნენ და ზოგსაც ჯაჭვითა და თოკებით აბამდნენ და სცემდნენ, ბოლოს საქმე იქამდე მისულა, რომ ოს-

მალთ გამოუცხადებიათ ოღონდ თქვენ-კი გათათრდით და არც ხარჯს გამოგართმევთ, არც ჯარის კაცებსა და სხვაფრივაც დახმარებას აღმოგიჩენთო, ისე მოგივლით და გიპატრონებთო, როგორც ჩვენ ნამდვილ შვილებს, ოღონდ შეისმინეთ ჩვენი თხოვნა და მაჰმადიანობა მიიღეთო. ხალხმაც შეისმინა, იყაბულა და კაი ქმნეს, რომ ეს წმინდა თათრობა მიიღეს და სისხლის ღვრა თავიდან აიცილესო.

აჭარული ამბები 1892 წ.

დაბა **ქედა** მდებარეობს ქვედა და ზედა აჭარის შუა. ბათუმიდგან 40 ვერსის სიშორეზედ. ბათუმიდამ ზედა აჭარის და ხულამდის 85 ვერსია. ზედა აჭარის იქით მიემართება სხვა-და-სხვა მხრის გზები, სადაც სულ ქართველ მაჰმადიანები სცხოვრობენ, ქართულს ენაზედ მოლაპარაკენი. ქვედა აჭარის ნაწილში არის 72 სოფელი, ზედა აჭარაშიაც 82 სოფელი, ორივედგან 154 სოფელი. აქაურები ამბობენ, რომ ზედ მიწევნით ამ ორს ნაწილში, ე. ი. 154 სოფელში ათი-ათასი კომლი მცხოვრები უნდა იყოსო. ამათში ოჯახთა წევრთ რიცხვი ძლიერ დიდია, ზოგში 10 და ზოგში 15 მეტია. აქეთ რამდენიმე ძმა ერთად სცხოვრობს, გაყრილი ოჯახები მცირეა. რაც უნდა მცირე რიცხვი იყოს ოჯახში, მაინც 5 სულზედ ნაკლები არ იქნება. ამდენივე უნდა ვიანგარიშოთ კინტრიშის, მაჭახლის და მარადიდის ნაწილებში, ერთი ამდენივე იმერხევის, ართვინის, არტაანის და სხვა ადგილებში, სადაც ქართველ მაჰმადიანები ქართულს ენაზედ ლაპარაკობენ. რაც უნდა ცოტა ვიანგარიშოთ, ქართველ მაჰმადიანთ რიცხვი 150 ათასზე მეტი გამოვა. ამბობენ არტაანას მთელს ოლქში-კი დაკარგულა ქართული ენაო. კინტრიშის ხეობაში 66, მურღულს 25-მდე სოფელი, იმერხევს 20-მდე, მაჭახელს

25-მდე, დევესქელს 15-მდე, ლივანას 50-მდე. მთელს ბათუმის ოლქის სოფელებში ქართული ენა ისე არსებობს, როგორც იმერეთს, ქართლსა და კახეთს. ქალაქ ართვინს მაჰმადიანის ბევრი არავინ სცხოვრობს. აქ სცხოვრობენ სომხის კათოლიკები, რომელნიც ძველად ქართველნი იყვნენ და ჟამთა ვითარების მეოხებით ენით სრულიად გასომხდნენ, თავიანთ დედა ენა დაჰკარგეს. სულ ქართველთ მაჰმადიანთ სოფლების რიცხვი 450-500-მდეა, იქნება მეტიც.

ქართული ენა შეურყეველადა ჰსუფევს კინტრიშის მხარეზე, ჩაქვს, აჭარას, ლივანას, იმერ-ხევში და ზოგიერთ ნაწილში, სადაც ქურთი და სხვები არიან, ესენი-კი ოსმალურს ენაზედ საუბრობენ. აქაც მაინც ქართულს ენას დაუძლევია ოსმალური, ბევრს ამათგანს შეუსწავლია ქართული, ბევრმა ამათგანმა ოსმალური არც-კი იცის ისე, როგორც ქართული. მარადიდის ნაწილის ერთს კუთხის სახელდობრ კახაბერში, ოსმალეთს, რამდენიმე კომლი არაბისტნელ არაბნი გადმოუსახლებია. დღეს ესენი ქართულს ენაზედ ისე ლაპარაკობენ, როგორც ქართველ მაჰმადიანები. კაცი გაჰკვირდება ამათის ქართულის ენით, როცა-კი მივა ძველად გამოჩენილს კახაბრის საყანურ ადგილებში და ამ ხალხსა ნახავს.

ეს ამდენი ქართველ ხალხი, ეს ამდენი სოფლები ჩვენგან სრულიად უყურადღებოდ არის დატოვებული და ამათთვის ცისა და დედამიწის მეტი პატრონი არავინ არის. სადაც მიველ აჭარაში და მნახეს, ყველგან დიდის სიამოვნებით შეხედეს ქარუთლ წიგნებს, დიდი აღტაცება, დიდი სიხარული გამოსთქვეს. ბევრს გაახსენდა განსვენებული **დ. ბაქრაძე,** ბევრმა მოიკითხა ბ-ნი **პეტრე უმიკაშვილი,** ბევრმა მოიგონა პეტრეს აქ ყოფნა, წიგნების თავაზი. მისის დარიგებულის წიგნებით სოფელს გულებში მთლად დაისწავლეს ქართული ანბანი. პეტრეს სახელს ჩვენ არ დავივიწყებთო. მის სახელს ამბად გარდავცემთ სხვათაო. განსვენებულს **გრიგოლ გუ-**

რიელსაც იგონებენ. გურიელი რომ არ ყოფილიყო, მაშინ არ-ზრუმის ფაშა ბაქრაძეს შეიპყრობდაო. ასევე დაემართებოდა **გ. ყაზბეგსაო,** რომელიც გ. გურიელს მოსამსახურის ტანსაცმლით მოჰყვა აჭარაში და ღამე სწერდა ხოლმე გზებსა და სოფლებსაო.

ბევრი რამ არის ამ მხარეში დარჩენილი და ხელ-შეუხებელი; ქვაბლიანს ზარზმის ტაძარი ისევ სდგას, ერთის პატარა კედლიდამ-კი ერთი წარწერიანი ქვა ჩამოუგდია ვიღაცას და დაკარგულა. აჭარისკენაც შეხვდებით აქა-იქ ქართველობის გულშემატკივრებს. მაგალითად დაბა ქედაში სცხოვრობენ **თუჰამბეგნი, ძველად-ძველი შარუაშიძეები,** ამათ გარდა ძველის თავადიშვილის შთამომავალნი **ბეჟანიძეები,** თამარ მეფის დროს **პირ-ფარეშის ძეთ** ხმობილნი და ბევრნი სხვანი. შარუაშიძეები ცხრა ძმანი არიან, ასევე პირფარეშის ძენი, ყველა ესენი ქართველები არიან, ამათ უფრო ესმით რომ ჩვენ შთამომავლობით ქართველები ვართ და არა მაჰმადიანნიო; ჩვენში რომ სკოლები დაიხსნას, მაშინ ყველა კარგად გაიგებს თავის ვინაობასაო. ქედაში ბევრმა დიდის თხოვნით და მუდარით ინატრა სკოლის დაარსება, მაგრამ რითი და რა ვქნათო. ჩვენ მუდმივ ომებმა დაგვცა, გაგვაღატაკა და დღესაც ვერ მოვღონიერებულვართო. 100 წელიწადი ოსმალეთს ვებრძოლეთ ქრისტიანობის გულისთვის, საქმე რომ გაჭირდა ბოლოს დავთმეთ სჯულიო, იმის შემდეგაც არ მოგვისვენია და მრავალჯერ ცეცხლსა და მტერს მისცემია ჩვენი ქონება და სარჩო-საბადებელი, თორემ ჩვენ რომ შეძლება გვქონოდა, მაშინ რად დავრჩებოდით ასეო!

დაბა ქედა საკმარისად კარგს ალაგას მდებარეობს. მას გარშემო აკრავს 400 კომლი ქართველ მაჰმადიანებისა. პარასკეობით აქ პატარა იარმუკობა იცის და 500 მეტი სოფლის კაცი შემოდის, ყველა ქართულად მოლაპარაკე. პარასკევს დღეს ჯამესთან მივედი, წიგნები მივიტანე, ხალხს ძრიელ გა-

ეხარდა, ნამეტნავად ყმაწვილებს, ხალხში ბევრი აღმოჩნდა ქართულის წიგნის მცოდნე. მარტოდ ამ დღეს ქედის ჯამედამ თვრამეტ სოფელში წაიღეს 1700 ცალი სხვა-და-სხვა ანბანიანი წიგნები, სახელდობრ: ზვარს, ორცვას, მერის, ზუზნაფელს, დოლოგანს, კაკაძეს, მახუნცეთს, ბზუ–ბზუს, გულებს, ქვემო მახუნცეთს და რამდენსამე სხვა სოფელში, წიგნების წამღებნი უმეტესად მამასახლისები იყვნენ და ყველამ იცოდა ქართული კითხვა. მაგალითად: ქედას ბეგის შარუაშიძეების ცხრა ძმათ ყველამ იციან ქართულ კითხვა, ასევე ამათ შვილებმა და ესენი სხვებსაც ასწავლიან; ასევე იციან ბეგებმა ბეჟანოღლებ–პირფარეშის ძეთა და მრავალთაც სხვებმა, ამათ სთქვეს: თქვენ შემდეგ ჰნახავთ აქ ქართულ ანბანის მოფენასო. პირფარეშის ძეებს ძველად აქ თავიანთ საკუთარი ძველი ციხეც ჰქონიათ ერთს მაღალს მთაზედ, ციხე ოსმლეთის მთავრობას დაუნგრევია. დღევანდლამდე შიგ დარჩენილა ერთი ჭა, საიდამ დღესაც იღებენ წყალს. აქ ერთს მთაზედ ეკკლესიაც არის აწ დანგრეული, გარშემო მარნები აქვს ჩამწკრივებული. ხალხი ბევრს ძველებურს ამბებს ამბობს ეკკლესიაბისა და თავიანთ გამაჰმადიანებისას.

ქედაში ქართულის წიგნის მცოდნენი თვით მოლებ შორისაც აღმოჩდნენ. ამათ ძრიელ გაეხარდათ ქართული წიგნების ნახვა, ნამეტნავად მუჰამედის ცხოვრება და ლოცვები. დღეის შემდეგ კარგად ვისწავლითო, რადგანაც წიგნები ვიშოვეთო. ეს მოლები არიან: მოლა სულეიმან ბერიძე, მოლა ჰუსეი ჩიკოიძე, მოლა ალი დიასამიძე, მოლა აბდულ დიასამიძე, მოლა ჰასან ჩიპურტანიძე. აქ არის 50-მდე მოლა. ამათ უფროსი მასწავლებელი, ქართველთ მუფთი და ქედის ნაწილის სამმართველოს ყადი, გვარად ხალიფაშვილი, მარტში გარდაიცვალა. ახლა ეს სოფლები უპატრონოდ არის. ქედას თავის საკუთარი ხოჯაც-კი არა ჰყავს. ჯერჯერობით ვიღაც თათრის ხოჯები არიან, ქართველ მოლებს ამის გამო გული ძალიან ეთანაღრებათ. ყვე-

ლა კარგადა ჰგრძნობს, რომ ისინი უკან დარჩენილნი არიან და ეს უკან დარჩენა მათ სასტიკადა ვნებს. ამ დღეებში ქედაში ლაპარაკი იყო და ყველამ დიდად ინატრა სასწავლებელი. თვით ბეგებმაც ინატრეს: ჩვენ ქართველების დიდი იმედი გვქონდაო და იმედია, რომ ეს ფუჭად არ ჩაივლის, ჩვენს მდგომარეობას ყურადღებას მოაქცევთ და ქედაში სკოლას დაგვიარსებთო. ქედა ძრიელ მოხდენილს ალაგას არის, აქ თუ სკოლა დაარსდა, დიდს სარგებლობას მოუტანს.

ქედის ქართველებთან მთელის აჭარის 72 სოფელი იხვეწება, რომ გვიპატრონეთ და სკოლა გაგვიმართეთო. სკოლას შეშას ჩვენ მივცემთო. ქედაში სკოლის გამართვას ქრისტიან ქართველებს ეხვეწებიან ის მაჰმადიანთ ქართველები, რომელთაც 100 წელიწადი ოსმალებს ებრძოლეს, ვიდრე დამონდნენ მათ ძალას, 260 წლის განმავლობაშიაც დიდის წვითა და დაგვით შეინახეს თავიანთ სამშობლო ქართული ენა და მცირედ თვით ცნებიერებაც-კი.

აჭარის განახლება

რაც ხანი გადის, მით აჭარა ცოტ-ცოტა წარმატებას ეძლევა. ადრე აქეთ ხუთ კაცზედ ნაკლები ვერ წავიდოდა გზათ, ყველგან შიში იყო ოსმალოდამ გადმოსულ ყაჩაღებისა, დღეს-კი ბათუმიდამ ახალციხემდე გზატკეცილია გაკეთებული 150 ვერსზედ, მგზავრს ბუზსაც ვერავინ აუფრენს. მესხეთ-ჯავახეთი და მთელი სამცხე ამ გზამ კარგად დაუახლოვა ბათუმს.

აჭარაში დღემდე ერთი სკოლა არსებოს, ზედა აჭარას, სოფ. ხულოს. მეორე სკოლის შენობას ახლა აკეთებენ ქვედა აჭარის დაბა ქედას. სკოლის შენობა საკმარისად ფართო შენობა არის და მის აშენებას 9 000 მანეთამდე დასჭირდება.

სკოლას სხვათა შორის, სხვა-და-სხვა სახელოსნო განყოფილებაც ექმნება, ნამეტურ ბაღოსნობისა. სკოლის შენობა კეთდება ქედის მაზრის უფროსის შრომით და ცდით და ხალხისაგან შეწირულობით და მოგროვილის ფულით. შენობა მალე დამთავრდება.

აჭარაში სხვა სასიხარულო წესებიც შემოაქვს ადგილობრივ გამგეობას. მაგალითებრ: მთელს აჭარაში იხსნება ფოსტები. უნდა მოგახსენოთ, რომ ადგილობრივ წერილებს გარდა, აქ საზღვარ გარეთიდგანაც მოდის წერილები, რადგანაც დიდი ძალი ქართველობა არის ოსმალეთში გადასახლებული და მათ თავიანთ მონათესავეებთან მიწერ-მოწერა არ შეუწყვეტიათ.

სკოლის შენობის ადგილობრივ მცხოვრებთ ზოგნი დიდი წინააღმდეგი იყვნენ. ხოჯების და მოლებისაგან გაბრიყვებულნი უფრო სასტიკ წინააღმდეგობას აცხადებდნენ, სკოლა არ გვინდა, არც რამე მასალას მოვიტანთ, ხელსაც არ ვახლებთ, რადგანაც ასეთი სკოლა ჩვენ შვილებს გადააკეთებს, გამოიცვლებიანო. ამათი ფანატიკოსობით აღბორგებულთ წინააღმდეგობა ქედის უფროსმა ჯერეთ დარიგებით აქარწყლა და, ამით რომ ვერას გახდა, უკანასკნელ მახვილი და შიშიც იხმარა და მხოლოდ ამით დააწყნარა ფანატიკოს მოლებისა და ხოჯების წინააღმდეგობა.

ქედა აჭარის შუაგულად ითვლება. მას გარშემო დიდძალი სოფლები აკრავს. ამავ დაბაში **არსებობს ქსენონი,** არის **ექიმი, დოსტაქარი და ბებია. ექიმად იმყოფება ბ-ნი შენგელია,** რომელმაც თავისი ენერგიული შრომით და ცდით ქართველ მუსულმანებს წამლობა და მისი მიღება საკმარისად შეაყვარა. აქამდე აჭარელები ქართვლის კაცისაგან არამც თუ წამალს, არამედ სასმელად წყალსაც-კი არ იღებდნენ, რადგანაც ქრისტიანისაგან ამის მიღება მათ უსჯულოობის ნიშნად მიაჩნდათ, დღეს-კი ეს ასე აღარ არის და მთელს

ოჯახობაში ექიმსა და დოსტაქარს ქა-იქ ავადმყოფებთან სიამოვნებით იხმობენ და წამალსაც იღებენ.

თუმცა აქეთ ბევრს რამეს ემჩნევა წარმატების ნიშნები, მაგრამ ქართველთ მტრების მოლებისა და ხოჯების ფანატიკოსობას მაინც კიდევ იჯერებენ.

ოსმალეთში გადასახების პროპაგანდა თავისებურად სწარმოებს და დღესაც კიდევ მიდიან ოსმალეთში დასასახლებლად. ამას წინედ აქ მოხდა შემდეგი შემთხვევა: ოსმალეთში ამ რამდენიმე წლის წინედ გადასახლდა 100 მოსახლე, ქვაბლიანის მცხოვრებნი; ესენი ოსმალეთში ისე გაქეციანდნენ და გაღატაკდნენ, რომ უკანასკნელ კინაღამ შიმშილით დაიხოცნენ და ამიტომ აირჩიეს ისევ საქართველოში, ქვაბლიანში დაბრუნება.

როცა ესენი საქართველოში მოდიოდნენ, მათ გზაში შეხვდნენ 50 კომლი ქართველ მაჰმადიანებისა, რომელნიც აჭარიდგან ოსმალეთში მიდიოდნენ გასასახლებლად. მგზავრებს ერთმანეთში ლაპარაკი მოუხდათ. ქვაბლიანელებმა აჭარელთ უამბეს თავ-გადასავალი, სიღარიბე, შიმშილი, მწუხარება და წარმოუდგენელი, აუტანელი ბავშვების ტანჯვა და გაჭირება, მაგრამ აჭარლებმა არ ირწმუნეს, სიტყვა არ დაუჯერეს, ქვაბლიანელთ უთხრეს შემდეგი:

— ღმერთი, რჯული, ნუ მიხვალთ ოსმალში, თორემ იქ მშივრები დაიხოცებით, ჩვენსავებ ბევრს ინანებთ და ბოლოს შინ დასაბრუნებელი ფულიც არ გექნებათო.

აჭარელთ არ შეისმინეს და მოლებისა და ხოჯების ამყონი თავიანთ დასაღუპს გზას გაუდგნენ. ასე და ამ გვარად ვნახეთ ერთი წყობა ოსმალში გარდასულებისა, რომელნიც თავიანთ ქვეყანაში ცრემლით ბრუნდებოდნენ და თან თავიანთ გამბრიყვებლებს სწყევლიდნენ და ამავ დროს ვნახეთ ისიც, თუ მეორე წყობა ასევე გაუბედურებულებისა როგორ მიდიოდა თავის დასაღუპ ადგილისაკენ.

— არა, ჩვენ ასე არ მოგვივა, ამბობდნენ იგინი ჩვენი საქმე სხვაფერ წავაო.

დღემდე ოსმალეთის მთავრობა გარდასახლებულთ ცოტა პატივისცემით ექცეოთა, დღეს-კი ბევრს ადგილებს უფასოთ აღარ აძლევს. ვისაც საქართველოში თავის მამული ფასით გაუყიდნია, ის ოსმალეთში მამულს მხოლოდ შესყიდვით მიიღებს, უფასოდ არას აძლევენ, ცოტა ეს-კი აბრკოლებს მათ გარდასახლებას.

ხანი გადის, მაგრამ ქართველ მაჰმადიანთა შორის სისხლის აღების ჩვეულება არ ვარდება. აჭარელნი დღეს უცხოელებს აღარ მტრობენ, მხოლოდ ერთმანერთს ხოცვენ, სჩეხენ და სჭრიან. დღე არ გავა, რომ სადმე სისხლის აღება და მტრობა არ მოხდეს. ასეთ შემთხვევაში სისხლის ამღები ყოველთვის სარგებლობს და იგი ერთობ მალე გადადის ოსმალეთში. დღეს ოსმალეთი და ნამეტურ ხოფა, რიზე, ტრაპიზონი და სხვა ქალაქები სავსეა კაცის მკვლელებით. რამდენიმე კაცის მკვლელნი აჭარელნი ამ მოკლე დროს ტრაპიზონში იქმნენ დაჭერილნი.

დღეს ყველა იგინი ტრაპიზონის ფაშის განკარგულების ქვეშ არიან. აჭარიდამ კაცებიც იქმნენ გაგზავნილნი, რომ იგინი ჩამოიყვანონ. ცოტა არ იყოს, ოსმალეთის მთავრობა ზოგიერთ ყაჩაღებს ჰფარავს.

ერთი სიტყვით, მოკლეთ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ „სისხლის აღებისაგან" მეტად დიდი უბედურება ხდება აქაიქ დამ ის მეოხებით ტყეში გავარდნა და ყაჩაღობაც იმართება. ციმბირშიაც იგზავნება.

ამ ბოლოს დროს, აჭარელთ შორის, ზოგიერთ ძველმა წესებმაც იწყეს ამოვარდნა, მაგალითებრ: აქამდე ქალების გათხოვებაში მისი პატრონები ფულს იღებდნენ საქმროსგან. ვისაც ბევრი ქალი ჰყვანდა, ის სთვლიდა თავის თავს ბედნიე-

რად. დღეს-კი ეს ასე აღარ არის და ბევრს ალაგას ქალის პატრონები აძლევენ ფულს, ოღონდ კარგი სიძე შეხვდეთ.

უკანასკნელ დღეებში, მთავრობისაგან ადგილობრივ ქართველ მაჰმადიანებს გამოეცხადათ, რომ ყველა თქვენი ტყეები სახელმწიფოდ არის შერაცხილი და თქვენ თუოდ სარგებლობის უფლება არ გესპობათ, ხოლო თუ გასაყიდად წაიღებთ სადმე შეშას, იმაში-კი ხარჯიუნდა გადაიხადოთო.

ლივანის ქართველ მაჰმადიანები და მათი სოფლები

ძველადვე ამ მხარეს **ლივანა** რქმევია. ლივანა იწყება მარადიდის ხეობიდამ და თავდება კლარჯეთის მიჯნაზე. სხვა გზებს შორის ლივანაში ერთი პატარა ბილიკი გადადის მაჭახლიდამ, შავშეთის მხრივ, სოფ. ევფრაზე, კარჩხალის მთის ძირობაზე. ზოგს ძველს ისტორიულს წიგნებში ლივანას ლიგანის ხევიც ეწოდება. ამ სახელის მექონი ლივანა შუაგულ ოსმალეთშიაც არის.

ლივანის დასაწყისში, ჭოროხის ხეობის ჩრდილოდ, სძევს ერთი დიდი ხეობა, რომელსაც „დევე სქელის ხეობას“ უწოდებენ ქართველ მაჰმადიანები. ამ ხეობის სიგრძე ექმნება 40 ვერსი. ბოლო თავდება კარჩხალის მთების ჩრდილოდ მდებარე ერთ მეტად მაღალ მთის ძირობაზე; ეს მთა კარჩხალზე ცოტა პატარაა. ამ მთას „პაწა-მთას“ უწოდებენ. ამ მთიდამ მთელი სამცხე-საათააგოს მთები სჩანს, შავი ზღვის ნაპირები და ლაზისტანის უმეტესი ნაწილიც. კარჩხალის მთიდამ-კი კარგად მოსჩანს მყინვარის მთა, მთელი ლაზისტან, ტრაპიზონი და ბევრი კიდევ სხვა ადგილები. „მყინვარ მთის“ შესახებ აქ დიდის ცნობის მოყვარეობით მკითხავენ ხოლმე, — თუ ის რა მ თა არისო!

„დევეს სქელის“ ხეობაც ისევე მდიდარი მხარეა, როგორც მაჭახელი; აქ ტყეებია ნაძვისა, მსხლისა, ვაშლისა და ვაზით სავსე. არის კატარის ტყეც, რომელიც ზამთარ-ზაფხულს ნაძვის მსგავსად მწვანით არის მოსილი. კატარის ხეების გვერდთ ყოველთვის ვარდის მსგავსი სუნი ტრიალებს. ამას გარდა აქა-იქ მოიპოვება რწყავის ხეებიც, რომელნიც აგრეთვე ზამთარ-ზაფხულს მწვანედ შეფოთლილნი არიან და მარიამობისთვეში მშვენიერ ხილსაც ისხამენ. ხილს მაჰმადიანები ჰკრეფენ და სიამოვნებით სჭმენ. ეს ხილი შინდის ფერისაა და შინდის მარცვალზე ორჯერ მეტი. შიგ კურკა აქვს. ამბობენ, ამ ხილის ხეები გურიაშიც მოიპოვება ყველგანო. კაკალიც ბევრია. ჰავა მშვენიერი და მასთან მშრალი. სიცხეებიც საკმარისი იცის. კარჩხალის „პაწა-მთის“ ახლოს **სოფ. ოთინგოში თბილი წყლის აბანოებიც არის.** ქართველ მაჰმადიანები აქ ხშირად მოდიან საბანაოდ; ავადმყოფებიც მოჰყავთ. ქალებიც ხშირად დაიარებიან. აბანოს გარშემო ტყეა ნაძვისა, კატარისა და რწყავისა. აბანოზე მოსული ავადმყოფები მალე იკურნებინო.

აქაური გლეხ-კაცობა, როგორც სხვა მაჰმადიანები, უფრო მუშა ხალხია. ესენი სიმინდის თესვის გარდა მისდევენ პურის თესვას, პირუტყვის მოშენებას, ყველისა და ერბოს კეთებას, ფუტკრის მოშენებას დას ხვ. თამბაქოს თესვას ისე არ ეწყობიან აქ, როგორც სხვაგან. პურის მოსაყვანად ამათ ჩვენებური წესები აქვთ მიღებული. ხვნა, თესვა, მკა, ლეწვა, გაანიავება, საბძელი, კალო, პურის მოსაყვანი იარაღები და სხ. ჩვენებურად იციან. სოფლებიც უფრო ჯავახეთის სოფლებს წააგავს. სახლები ნაშენია და ერთ რიგობაზე სდგანან. ამათი ასეთი ცხოვრება და ცხოვრების წესები ჩვენთვის ერთობ გასაკვირველია, რადგანაც ამ მხრის ხალხს სულ სხვა ნაირად აქვს ყოფა-ცხოვრება მოწყობილი, უფრო იმერულად, ანუ როგორც ქობულეთში, აჭარაში, მაჭახელში, ლივა-

ნაში, შავშეთში და ჭანეთში აქვთ. ესენი უმეტეს ნაწილს პურს აცხობენ კეცებით და ამას უფრო სჭამენ, ვიდრე სიმინდს.

მე გამოვიკითხე ამათის ცხოვრების ასეთი გასხვავების მიზეზები და მოხუცებულებმა მიამბეს: ჩვენში ასეთი განსხვავება მიტომ არის, რადგანაც ჩვენ აქ დიდის ხნის მოსულები არა ვართ, ჩვენ გურჯისტანითგან მოვსლვართო, ახალციხიდამ. აქ ძველად ვინც მდგარან, ოსმალეთში გაურეკიათ, რადგანაც ქრისტიანობაზე მაგრა მდგარან და სჯულის გამოცვლა არა სდომიათო. ჩვენებიც აქ მიტომ მოურეკავთ, რადგანაც ჩვენი ძველები გურჯისტანთან ახლოს ყოფილან და სჯულის გამოცვლისთვის ოსმალთან ბევრი ჩხუბი ჰქონიათ გამართულიო. აქ მოსვლის შემდეგ კი მალე გათათრებულანო, მაგრამ თათრობაშიაც დიდ-ხანს შეუნახავთ ქრისტიანობაო. ამის გულისთვის ნახევარზე მეტი გამწყდარა ჩვენის ძველებისაო; ამის ბრალი და მიზეზი ერთი კაცი ყოფილა, რომელსაც შემდეგ „მამაწმინდელი ღორი" დაარქვესო.

ეს ცნობები ჭეშმარიტად ახლოს უნდა იყოს, რადგანაც ამ მხრის ხალხი მეტად მძიმედ და უფრო ჯავახურის კილოთი ლაპარაკობს ქართულად. ენაში თათრული სიტყვებიც შეჰპარვიათ, თითქმის იგივე ოსმალური სიტყვები, რაც სხვა მხრის მაჰმადიანებში არის შერეული. ქალებმა ოსმალური ლაპარაკი სრულიად არ იციან, ესენი ლოცვის დროს „ალას" მაგიერ ხშირად „ღმერთს" ახსენებენ: „ღმერთო, გვიშველეო" და სხვ. იციან აგრეთვე ქართული შელოცვა. ბევრი კიდევ სხვა რამ არის აქ შენახული მამა-პაპური, ნამეტურ სიწყნარე და ქართლელ გლეხების სიმძიმე და სიდინჯე. სიმღერებიც ძველებური იციან. ხანდისხან ოსმალურსაც აყოლებენ, როცა ერთი კაცი მგზავრად მიდის სადმე და მღერას დაიწყებს, თორემ ყანაში და საერთო ყრილობაზე-კი მხოლოდ ქართულის სოფლურის ხმებით მღერიან.

ქალებმა აქ მუშაობა უფრო კარგად იციან, ვდრე სხვაგან. ორის ცოლის შერთვა აქ იშვიათია. მთელს „დევე სქელის“ ხეობაში სამ-ოთხ კაცს ეყოლება ორი ცოლი და ისიც ისეთ კაცს, რომლის პირველ ცოლს შვილი არ მისცემია. ამათში უშვილოდ დარჩენა დიდი ცოდვაა. მეორე ცოლის შერთვას აქ კაცი თავის ნებით ვერ გაჰბედავს, ვიდრე იგი ცოლს და ცოლის დედ-მამას არ დაეკითხება და მათგან ნებართვას არ აიღებს. მეორე ცოლის შერთვა აქ იციან კიდევ იმ შემთხვევაში, თუკაცს პირველი ცოლი დაუსნეულდა და დიდი ხანი დარჩა მწოლიარედ. აქაურები ყაჩაღობას არც ისე მისდევენ, როგორც სხვა მხრის მაჰმადანთ ქართველები. ესენი არც ისე ფანატიკობენ, როგორც ამათ ახლოს მდებარე მაჭახლის ხალხი და სხვანი.

„დევე სქელის“ ხეობას შუაში ჩამოუდის ერთი ღელე, რომლის სათავეც კარჩხაის მთის ძირს არის.აქეთ ყოველს სოფელში ნახავს კაცი **ეკკლესიის ნანგრევს. სოფ. პეტრულში**-კი მთლად შენახულა ერთი პატარა გუმბათინი თლილის ქვით ნაშენი ეკკლესია. ეს **პატარა ეკკლესია სოფ. მამაწმინდის** წინ სდგას. ერთს მშვენიერს ალაგას, საცა საყანური ადგილებია. ეკკლესიას გარშემო მეტად ბებრი ვაზის და კაკლის ხეები ახვევია და მთელს ამ ხეობას ობლად გადმომზერია. ეკკლესიის სიგრძე იქნება ხუთი საჟენი და სიგანე ორ საჟენზე მეტი.

გუმბათში მხატვრობა შეუშლელია, ასევე ძირის კედლებზე. ერთ ალაგას დახატულია რამდენიმე კაცი ბერძნულის ტანთ-საცმლით. ზოგიერთ სურათს ბერძნული წარწერა აქვს და ზოგს-კი ქართული. ეკკლესიის კედლები მთლად არის დაშთენილი. ორი კარი აქვს და ორივე დამტვრევია.

ამ რამდენსამე წლის წინად ეს ეკკლესია მარადიდის უფროსს უნახავს, **ახმედ-ეფენდი ხალვაშს,** რომელსაც ეკკლესიის ასეთი მდგომარეობა ძლიერ სამწუხაროდ მიუჩნე-

ვია და ამიტომ ეკკლესიისათვის ორი კარები გაუკეთებინებია და ორივე მხრივ შეუბამს, რომ ეკკლესია სუფთად დაშთესო. ამ ეკკლესიის მახლობლად მდგომ სოფ. პეტრულის და მამაწმიდის გლეხებისთვის დაუვალებია და უთხოვნია ეკლესიას უპატრონეთ,შიგ პირუტყვს ნუ შეუშვებთო. ეს ეკლესია ჩვენის მამა-პაპის გაკეთებულია და ცოდვა არის, რომ დაიქც-დაინგრესო. გლეხებს ეკკლესიისთვის რამდენიმე მიწაც მიუზომავთ ირგვლივ და დღეს ამ მიზომილს ალაგას არავინ აღარ ეკარება, აქ არაფერს თესვენ, ამ ადგილს ეკკლესიის ადგილად სთვლიან. ახმედ-ეფენდი ხალვაში მეტად მოყვარული იყო ძველის დროის ნაშთების დაფარვის.

მე მინამ ეკკლესიას გავშინჯავდი და კარში გამოვიდოდი, მინამ ეკკლესიის გარშემო ქართველ მაჰმადიანთ რამდენიმე მოხუცებული და ახალგაზრდები მოგროვილიყვნენ, ჩემს თანამგზავრს ქართველ მაჰმადიანს ჰკითხავდნენ, თუ გ კაცი აქ რად მოვიდაო. ამან პასუხი მისცა. მალე ჩვენ საუბარი დავიწყეთ, მოხუცებულებს ძლიერ ესიამოვნათ, ამბების გამოკითხვა დამიწყეს. მერე მე გამოსაცდელად ვკითხე:

— ეს ეკკლესია მშვენიერს საყანურს ადგილზე სდგას, კარგა ფართო ადგილიც უჭირავს, ეს ადგილი თქვენ კარგად გამოგადგებოდათ, რომ ეს ძველი ეკკლესია დაგექციათ დამ ის ალაგას პური, ან სიმიდი დაგეთესათ-მეთქი. მიკვირს, რომ ამ მხარეებზე სხვა ეკკლესიები სულ დაგიქცევიათ და ეს-კი ასე დაგიტოვებიათ. რატომ არ აქცევთ, ან ჯამედ რატომ არ გადააკეთებთ?

ერთმა მოხუცმა სთქვა:

— ვერა, ეფენდუმ, ეგ საქმე არც ჩვენს ძველებს უქმნიათ და ვერც ჩვენ ვიზამთ, რომ დასაქცევი ყოფილიყო, მაგას ადრე დააქცევდნენ. ჩვენში ამბათ არის დაშთენილი, რომ ვინც მაგ ეკკლესიის დაქცევას გაჰბედავს, ის ავად გახება და მოკვდება, ვეღარ მორჩებაო. ასეთი საქმე ძველად მომხდარა

კიდეცაო. ჩვენის ძველებიისაგან გავიგეთ, რომ ეს ეკკლესია ერთხელ ბათუმის ფაშის ბრძანებით უნდა დაექციათ, რადგანაც ერთს ხოჯას ეჩივლა, რომ დევეს, ქელის ხეობის გურჯები ჯერაც კიდევ დადიან „ქლესიაში„ (ეკკლესია) და ჩუმად ლოცულობენო, სანთლებს ანთებენ და ფულს სწირვენო. დაქცევისთვის რამდენიმე სოფლის ხალხი გაურეკიათ. დაქცევა-კი ვერავის გაუბედნია. მაშინ ჯაშუკი (ჯაშუში) ხოჯ ასულა მაღლა, თან წერაქვი აუტანია და, როგორც დაურტყამს წერაქვი გუმბათისთვის, ხოჯა მაშინვე გადმოვარდნილა ძირს და ისე დამტვრეულა რომ მალე მომკვდარაო.

ამის შემდეგ დაქცევისთვის თავი დაუნებებიათ და ამას აღარავინ ეკარებოდა, არც ხოჯა, არც მოლა და არც მემელექეთიო (სოფლელნი). ერთ ჩვენს კაცს ამ ეკკლესიიდამ ერთი ნაჭერი რკინა და მძივები წამოეღოვო, ისიც იმ დღესვე ავად გამხდარა, ღამე სიზმარი ენახა და ასე ეთქვათ მისთვის: —ჩვენი ძველების აშენებული ვარ, თქვენ რად მიქცევთ, ან რად მქუცავთ (მძარცვავთ), ჩემი რამეები ისევ ჩემთან მოიტანეო. მეორე დღეს ავადმყოფმა ყველაფერი ეკკლესიაშივე მიატანინა, სადაც ეწყო, იქვე დააწყობინა დამ ას შემდეგ თვითონაც მალე კარგად გახდაო. ამას შემდეგ ჩვენს ძველებს უთქვამთ, რომ ვინც ამ ეკკლესიას ხელს ახლებს და დაქცევს, იმას კაი დღე არ დაადგება, ან ავად გახდება და ან მოკვდებაო. აი, ჩვენც ამიტომ არ ვეკარებოდით ამას და არ ვაქცევდით, თორემ ამის შიში რომ არ გვქონოდა, მაშინ ჩვენ ამას დაუქცევს არ გაუშვებდით, ან ჯამეთ (სალოცავი) გადავაკეთებდითო. დღეის შემდეგ ხომ სულ ხელსაც აღარ ვახლებთო.

ამ ეკკლესიის პატრონობა **ახმედ-ეფენდი ხალვაშს** ერთის ოჯახისთვის ჩაუბარებია, რომელ ოჯახის უფროსიც სოფ. პეტრულის მამასახლისია, ამის ერთი შვილი ზავთიად არის და მცირედ ქართული კითხვაც შეუსწავლია.

მთელს დევე-სქელის ხეობაზე ყოველს სოფელს თავისი ჯამე აქვს; სადაც ათი კომლია იქაც-კი კერძო ჯამე არსებობს და ჯამეს გვერდით — პატარა სასწავლო ოთახი. მხოლოდ ყველა სოფელს-კი არა ჰყავს თავ-თავ საკუთარი ხოჯა, მთელს ხეობაზე სულ ოთხ-ხუთ ჯამეზე იქმნება ხოჯა და მოლები; დანარჩენნი ისე არიან დატოვებულნი. **სადაც მოლა და ხოჯები არ არიან, იქ სოფლის ჯამეს კარები ღია არის, შიგ თხები და ხბორები შედიან და აუწმინდურებენ ყველაფერს.** მე ასსეთ მდგომარეობაში მყოფი ჯამეები რამდენსამე სოფელში ვნახე და ძლიერ გამიკვირდა, რომ სარწმუნოებით თითქო ფანატიც ხალხი არაფერს ყურადღებას აქცევს ამას. ჩვენ რომ რიგიანი მქადაგებლები გვყავდნენ, მაშინ ამ ხეობაში ყველაზე ადრე მოჰფენენ სწავლას აქაურნი დღეს რასაც-კი ნახავენ, იმას მალე დაუახლოვდებიან. ამაზე დარწმუნებული ვარ, რომ ეს უპატრონო ხალხი პატიოსნურს მოძღვრებას ძლიერ ადვილად აჰყვება და შეითავსებს. ამისათვის პეტრულის ეკკლესიის ჯამეთ გადაკეთებაც კმარა.

მთელს ამ ხეობაში წერა-კითხვის მცოდნეს კაცი სრულიად არ შეგვხვდება. ამათში მოლებისა და ხოჯების გარდა წერა-კითხვა არავინ იცის, არც ოსმალური და არც ქართული. ამათი სამშობლო ენა ქართული ენა არის. ბავშვები ძლიერ ცქვიტნი და მალხაზნი არიან. ამათ რომ პატრონი ჰყვანდეთ, მაშინ ერთ თვის განმავლობაში ესენი ქართულს ანბანს კარგად დაისწავლიან. სოფლებში იხვეწებიან, რომ ეგები მოხვიდეთ და გვასწავლოთო.

ამ ხეობის ყოველს სოფლში კაცი უეჭველად ნახავს ძველ ნაშთების ნანგრევებს, ზოგს ნახევრად დაქცეულებს, რომელთაც წარწერა, ან სხვა რამ ნიშნების აღარაფერი შერჩენიათ. ზოგში ორის ეკკლესიის ნანგრევიც არის და ქვებიც იქვე ჰყრია.

ზოგი ნანგრევი-კი ტყით შებურულა და დამალულა.

აი აქეთ რა სოფლებია პაწა მთიდგან ჭოროხამდე:

ბაგინი, 60 კომლი. აქაური ეკკლესია ბათუმის ფაშის ბრძანებით 1840 წლებში დაუქცევიათ. ლაპარაკობენ ქართულად. ეკკლესიიდამ გვირაბია ჩაყვანილი დევე-სქელის წყლამდის.

დევე-სქელი, 100 კომლი. სჩანს ეკკლესიის ნანგრევი.

ცანათისი, 15 კომლი.

ოხორჯინი, 15 კომლი. აქ სჩანს ეკკლესიი ნანგრევი.

ვალაშია, 15 კომლი. ამ სოფლის მთას დათვის საწოლს უწოდებენ. აქვე არის ეკკლესიის ნანგრევი.

შუა-ხევი, 25 კომლი.

ბანაკა, 10 კომლი, სძევს წაბლნარა მთის ძირს.

სამახრეო, 10 კომლი.

არვეთი, 18 კომლი.

ნიგია, 15 კომლი, ნიგიის მთაზე ეკკლესიის ნანგრევი სჩანს.

ებრიკა, 20 კომლი. ნიგიის მთაზე ეკკლესიის ნანგრევის ქვებია დაშთენიი.

მამა-წმიდა, 20 კომლი. ეს კარგად აღარავის ახსოვს, რადგანაც ამათი გადასახლება ამათისავე სიტყვით 1880 წ. მომხდარა. ამავე სოფლის მთის ძირს არის პატარა ეკკლესიის ნანგრევი.

იღნია, 11 კომლი.

ადაგული, 50 კომლი.

პეტრული, 20 კომლი. ამ სოფელში სდგას ზემოდ აჭნერილი ეკკლესია.

კვარცხანა, 25 კომლი.

სინქოთი, 30 კომლი.

დევე სქელის ხეობის ჩრდილოთ ჩამოდის ჭოროხი. ჭოროხის ნაპირს გაპნეულია შემდეგი სოფლები ქართველ მაჰმადიანებისა, სადაც ქართული ენა სუფევს.

არხვა, მურღულის წყლის გვერდით, 27 კომლი. ჯამე აქვთ.

დამპალა, 18 კომლი.

ორჯი, 50 კომლი.

ავანა, 18 კომლი.

თხილაძვა, 17 კომლი. აქ არის პატარა ეკკლესიის ნანგრევი.

კასტლა, 30 კომლი. ამ სოფლის მთიდამ სჭრიან წისქვილის ქვებს.

წითურეთი მთლად გადასახლდა. ეს სოფელი ბორჩხის ახლოს სძევს. სოფლის წინ, ჭოროხის ნაპირას, ერთ პატარა კლდეზე დიდი კოშკი სდევს. ამ კოშკს **თამარ მეფის** კოშკს უხმობენ.

ბორჩხა, დაბა წითურეთს აქედ, ძველ ფორჩხად წოდებული. 60 კომლი. ორი ჯამე აქვთ. აქ არის რამდენიმე სავაჭრო დუქანი. ჭოროხიდან ჭანეთისგან, ერთს კლდეზე სდგას ერთის ციხის ნანგრევი. აქვე სცხოვრობს **თ. ივ. ჯაიანი,** რომელმაც აქაურს ქართველთ მაჰმადიანთა ბავშვებს წერაკითხვა დააწყებინა. სამს ბავშვს „დედა ენიდამ" რამდენიმე ფურცელიც შეუსწავლია. ზოგი მათგანი მშვენივრად კითხულობს და სწერს ქართულს; ესენი ბორხის ხოჯასთანაც დაიარებიან სასწავლოდ და მასთან თათრულს ანბანს და ლოცვებსაცა სწავლობენ „დედა ენას" ერთთავად თან ატარებენ. ამათ ძრიელ მოეწონათ **ლ. აღნიაშვილის** ანბანები, აღტაცებაში მოვიდნენ, დიდად მოეწონათ „მოლა მისრედ ხოჯას"ზღაპრები და ზოგიერთი ქართული წიგნები. ამ ბავშვებმა „ბუნების კარი" ოთხოვეს. ამათ გარდა პატივცემულ **თ. ივ. ჯაიანთან** ხუთს კიდევ სხვა ბავშვებს დაუწყვია ეხლახან სიარული და ანბანის სწავლა. დღითი-დღე უფრო მატულობს კითხვის მსურველთა რიცხვი.

თელას-ყური. ეს სოფელი სძევს ბორჩხას აღმოსავლეთით, თელას-ყურის ხეობის ნაპირს. 60 კომლია. მთელს ამ სოფლის ხობიდამ, ე. ი. თელას-ყურის ხეობიდამ, 1 000 კომლზე მეტი გადასახლებულა. ამ სოფლის ხეობის ბოლოს, ჭოროხის ნაპირს, ერთ პატარა მთაზე, პატარა ეკკლესია სდგას; ამ ეკკლესიის წინ ძველი ხიდია, რომელსაც **თამარ მეფის** ხიდს უწოდებენ.

არჩუეთი, 40 კომლია, აქვთ ჯამე. ერთ მთაზე პატარა დაქცეული ეკკლესიის ნანგრევები სჩანს.

ჯაკადუეთი, 24 კომლი.

კინწყურეთი, 50 კომლი.

ცოცხება, 40 კომლი, სძევს მეტად მაღალ ალაგას.

ზედ-უბანი, 12 კომლი.

მურკეთი, 25 კომლი.

შუბაანი, 30 კომლი.

ნადარბაზევი, 45 კომლი. ნადარბაზევის ახლო-მახლო მთებზე სამი პატარა ეკკლესიის ნგრევია. აქვთ ჯამე.

ბურდუხეთი, 23 კომლი.

საბაური, 30 კომლი.

გორგაული, 20 კომლი.

ქესტაში, 15 კომლი.

ხინწკარა, 30 კომლი.

ოლდაური, 50 კომლი.

ჯონკურეთი, 35 კომლი. ამ სოფელთან თავდება ლივანის დასაწყისი, რომელიც მარადიდს ზეით სძევს, აღმოსავლეთით.

ართვინის ახლოს სამ-ოთხ სოფლის ქართველ მაჰმადიანებს ქართული ენა დავიწყებიათ. ამ სოფლებს ჩვენ აქ არა ვწერთ. სახელებიც გადაუმახინჯ-გადაუთათრებიათ. ლივანის ყურძენი აქეთ ძრიელ გათქმულია, მაგრამ დღეს ეს აქეთ მარტო ართვინის ახლო-მახლო-ღა მრავლობს და მოდის ისე,

როგორც ძველად ყოფილა. ღვინოსაც აყენებენ. აქ მევენახეობას მხოლოდ ართვინის გასომხებულ ქართველ-კათოლიკენი მისდევენ, რომელნიც დროთა-ბუნვის მეოხებით ენითა და გვარ-ტომობითაც სრულიად გასომხდნენ, თორემ ამ 200 წლის წინედ ესენიც ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც ტფილისის და გორის ქართველ-კათოლიკენი. ეკლესიაში სომხური ენის ხმარებამ ეს ასე მოახდინა დად ღეს აქაურს ქართველ-კათოლიკეებს თავიანთ სამშობლო ენისა მხოლოდ 1-2 თვლა-ღა იციან და ნათესავების სახელ-წოდება, მაგალითად: ძია, სიძე, მამიდა და სხვანი.

ლივანას დასავლით **ჭანეთი** უძევს, ანუ **ლაზისტანი.** ლაზისტანის რამდენიმე სოფელიც ეკუთვნის ლივანის ნაწილს, რომლებიც აქ არ არის მოხსენებული. აქ არის მხოლოდ მოყვანილი ის სოფლები, სადაც ქართული ენა შეურყვნელად სუფევს, სადაც სამშობლო ენად ქართული ენა არის მიღებული, სადაც იმედია, რომ დღითი-დღე ქართული წერა-კითხვის მცოდნენიც გამრავლდებიან. თუ სასწავლებლები დაარსდა მაშინ ხომ ფიქრი აღარ უნდა, რომ 10 წლის განმავლობაში აქ ქართული ანბანი საკმარისად წინ წავა.

ბორჩხაში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანმა ბ-მა **გელაძემ** წარმოსთქვა, რომ ერთი ჩვენი უბედურება ის არის, რომ რჯული და გვარ-ტომობა ვერ გაგვირჩევია. ჩვენმა კაცმა არ იცის, რომ ის ტომით, ენით ქართველია და რჯულით მუსლიმანიაო. ეს ჩვენი ქვეყანა არის, საქართველოა, ჩვენც ქართველები ვართ, მაგრამ რა ვქნათ რა ვყოთ, ჩვენმა მოლებმა და ხოჯებმა ვინ არ გადარიეს და ვის არ შეუშალეს ცხოვრებაო. ეს კაცი ოსმალოს დროს სამსახურშიაც ყოფილა და ჩვენის ქვეყნის ბევრი ძველი ამბებიც კარგად იცის. ეს ამბობს, მე არავის ვეტყვი, რომ თათარი ვარრრ, არამედ ქართველ მაჰმადიანიო. ჩვენ სწავლა-განათლებაის მეტი სხვა ველარა გვიშველის. ჩვენში ძველად ბევრნი იტყოდენ, რომ ეს ქვეყანა

ოსმალოს სამუდამოდ არ დარჩება, ისევ ძველებურად საქართველოს შეუერთდებაო. ამის ეშინოდათ ჩვენს ხოჯებს და მოლებს, ძველი თქმულება-კი მაინც შესრულდა, ღვთის განგებითაო.

ლივანის მარადიდის სკოლის ამბავი 1893 წ.

მარადიდში ამ ოთხის წლის წინად ქართველ მაჰმადიანთ შორის, **ახმედ-ეფენდი ხალვაშმა,** რომელიც იმ დროს მარადიდის ნაწილის უფროსად იმყოფებოდა, მთავრობის დახმარებით სახალხო სკოლა გამართა. ამ საქმისთვის მან დიდი შრომა მიიღო, რადგანაც იმ დროს და დღესაც ქართველლ მაჰმადიანები ასეთ საქმეს მეტად საეჭვო თვალით უყურებენ, მით უფრო, რომ იმ დროს მარადიდისკენ სცხოვრებდა ერთი ხნიერი დამსახურებული ქართველი ხოჯა, რომელიც დღე და ღამე ხალხს მხოლოდ გადასახლებაზე ელაპარაკებოდა, ოსმალეთში წასვლას ურჩევდა. ეს თავის ქადაგებით უკანასკნელს დროს ვეღარას აწყობდა, ეს მხოლოდ ვნებას აძლევდა ახმედ-ეფენდი ხალვაშისაგან გამართულს სკოლის საქმეს.

რაც შეეხება ხალხის გადასახლებას ოსმალეთში, ამ ხოჯამ მხოლოდ 1880 წლებამდე ინავარდა და რაც უნდოდა, ის მოახდინა: მთელი მარადიდის სამი ნაწილი ოსმალში წავიდა და ამ კაცის მეოხებით დაიღუპა. ეს კაცი დღესაც აქედ სცხოვრობს, მხოლოდ სხვა სოფელში და არა ძველს ადგილას, დღესაც კიდევ ჩუმად დაძვრება აქა-იქ და ხალხში „მუჰაჯირად“ წასვლას ლაპარაკობს. ხალხს თამამად ეუბნება, რომ ჩვენის სჯულის წინააღმდეგია, რომ მართლ-მორწმუნე

მუსულმანი ქრისტიან მეფის ხელში დარჩესო, მართალია, რუსები ჩვენ არ გვაქრისტიანებენ, ისიც ცხადია, რომ მათ გზები გააკეთეს, ფირალობა მოსპეს, ბათუმი კარგ სავაჭრო ქალაქად აქციეს და ჩვენში ახლა ბევრი ფული ტრიალებს, მაგრამ ჩვენც გეტყვით მართლ-მორწმუნენო, რომ ჩვენი ბინა იქ არის, სადაც ჩვენი ფადიშაჰი ზის, იქ არის ჩვენი ბინა. ვისაც ცხონება უნდა, იქ წავიდეს, თორემ აქ დარჩენილი კაცი არ ცხონდება, მის სიკვდილის შემდეგ მუსულმანის წესით მისთვის ჯენეთის კარი დაკეტილია.

ერთმა ქართველ მაჰმადიანმა მწუხარებით მკითხა:

— შენი ჭირიმე, ერთი სწორედ მითხარი, გეთაყვა, ის ამბავი მართალია, რომ ვითომც ჩვენი თათარი კაცი აქ, რომ დაიხარჯოს (გარდაიცვალოს), ის ჯენეეთში არ შევა, მისთვის ჯენეთის კარი (სამოთხის) დაკეტილი იქნება და მას ისე მიიღებენ, როგორც ქართველსო? ჩვენი ხოჯები ასე გვეუბნებიანო. ხოჯები იქამდის გათამამებულნი არიან, რომ ესენი შეაჩვენებენ იმ ქართველს მაჰმადიანს, რომელიც თავის მეფედ ფადიშახს (სულთანი) არ აღიარებს; ვინც თავის მეფედ ქრისტიან მეფეს ახსენებს, ის არ ჩაითვლება წმინდა მუსულმანათაო. ამიტომაც დღეს მთელს ქართველ მაჰმადიანებს თავიანთ მეფედ ფადიშაჰი მიაჩნიათ. მოლების სიტყვით ამ მხარეს ისევ ოსმალეთი აიღებსო. დღეს აქ თუ ვინმე იცდის, მხოლოდ იმის იმედით, რომ ოსმალი ისევ დაიბრუნებს ამ მხარეს. სადაც-კი მივა კაცი სოფელში და მოლას, ან ხოჯას ნახავს, ხოჯასთან ხალხს და ამათ ლაპარაკს, იქ უეჭველად „მუჰაჯირათ“ წასვლაზე ლაპარაკს შეიტყობს, დღესაც კიდევ ხოჯების მეოხებით ყველა იმას ცდილობს, რომ რამდენიმე ასი მანეთი იშოვნოს, შემდეგ გაყიდოს ყველაფერი და „მუჰაჯირად“ წავიდეს!

არ გავიდა დიდი ხანი, რომ ხალვაში გარდაიცვალა და სკოლაში ბავშვებმა სიარულს თავი გაანებეს, რადგანაც მას-

წავლებელი რუსი იყო და ბავშვებს იმისი არაფერი ესმოდათ. საქმე ჩაიშალა და **ახმედ-ეფენდის** შრომაც ფუჭად იქცა.

ახმედ ეფენდის შემდეგ ამის შვილი **არუნ-ეფენდი ხალვაშიც** მეცადინეობდა სკოლის არსებობისათვის. თავის ხარჯით ერთი ქართველი მასწავლებელიც მიიწვია და სკოლაში ყმაწვილების სწავლის დაწყება სურდა, მაგრამ ხალვაშენების გვარის ყმაწვილებს გარდა, სხვებმა არავინ მიიყვანეს, რადგანაც წინანდელ რუს მასწავლებელის მეოხებით ყმაწვილებს ხალისი დაჰკარგოდათ სკოლაზე და პატრონებს კიდევ ნდობა და პატივის ცემა. აქ ყველაზე საწინააღმდეგოდ ხალხის წინაშე უფრო ის გამხდარა, რომ მასწავლებელმა ქართული არ იცოდა და ამას გარდა ღვინითა და არყით ითვრებოდა, ქართველ მაჰმადიანთ ბავშვებს მისი არაფერი ესმოდათ და ამიტომ ხშირად გაჯავრებული მთვრალი მასწავლებელი ბავშვებს სცემდა ხოლმეო. ხეირო მასწავლებელის ყოფა-ქცევამ, ლოთობამ და ბავშვების ცემა-ტყეპამ უფრო ხელი შეუწყო ფანატიც ხოჯების მტერობას, რომლებიც ახმედ-ხალვაშის და სკოლის დაარსების წინააღმდეგ იღწვოდნენ.

ახმედ-ეფენდი ხალვაში მარტო ამ საქმით არ არის ცნობილი, იგი ერთ დროს კინტრიშისკენ ხოჯად იყო, თათრული და არაბული ენა კარგად იცოდა, აგრედვე ქართული წერა-კითხვაც. ოსმალოს დროს ქართულ წიგნებსაც კითხულობდა, საქართველოსთან შემოერთების შემდეგ რუსის სამსახურში შევიდა, მალე თავის ნიჭით და გამჭრიახობით დიდი ნდობა მოიპოვა მთავრობის წინაშე და მაჰმადიანთ ქართველების ოსმალეთში გადასახლების დროს, დიდი შრომაც მიიღო. ძალიან მეცადინეობდა, რომ აქაური ქართველები მოლების და ხოჯების სიტყვით ოსმალეთში არ წასულიყვნენ. ამათ და რამდენმამე აქაურ მაჰმადიან ქართველთ საპატიო პირებმა დიდი შრომა დასდეს ასეთ საქმეებს და ხალხის სა-

ქართველოში დაკავებაზე, ეს კაცი რომ არ ყოფილიყო და რამდენიმე კიდევ სხვა ასეთი პირები, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, რომ **ალი-ფაშა თავდგირიძეს** და სხვა ასეთ კაცების მეოხებით მთელი მარადიდი დაიცლებოდა.

ახმედ-ეფენდი ხალვაშმა თავის მეცადინეობით მალე მარადიდის უფროსობა მიიღო. ამ პირმა თავის გამგეობის დროს მარადიდიდამ მთლად გარეკა საზღვარ გარედ ის მოლა და ხოჯები, რომლებიც ოსმალეთიდამ ან ლაზისტანიდამ იყვნენ საქართველოში მოსულნი, და აქ ხალხს გადასახლებას ურჩევდნენ. ვინც დარჩნენ ხოჯა-მოლებისა აქ, ამათაც გამოუცხადა, რომ დღეის შემდეგ თქვენ კრინტი, ხმა აღარ გაბედოთ და ხალხს არაფერი უქადაგოთ აქედამ წასვლაზე, თორემ მე თუ შევიტყე, იცოდეთ, რომ არ შეგარჩენთ და თვენ უფრო უარეს დღეს დაგაყენებთო.

ეს კაცი ასე წინააღმდეგ იმიტომ მოქმედობდა ამათ წინაშე, რადგანაც მან მამაშვილურის დარიგებით ვერაფერი გააწყო და ბოლოს საქმე ძალაზე და შიშზე მივიდა. არდა ამისა დიდად შესტკივოდა გული ქართველ მაჰმადიანების დაღუპვაზე, ნამეტურ საქართველოს ამ ძველად დაკარგულს ნაწილზე, რომ ეს მშვენიერი კუთხე საქართველოსი ოსმალოსაგან ასე უწყალოდ დაცემულა და დაღუპულაო. მას თავის თავი ქართველად მიაჩნდა, თავის სამშობლო ენად ქართული ენა, თავის სამშობლოდ საქართველო. ამ კაცის მეოხებით დღეს მარადიდის ხეობაში მათ გვარის ოჯახებში დიდმა და პატარებმა ყველამ იციან ქართული წერა-კითხვა. თავის შვილი **არუნ-ეფენდი ხალვაშზედაც** საკმარისი გავლენა მოუხდენია და დღეს თავის თავს ქართველად აღიარებს და მთელს მარადიდსას ქართველებად, მხოლოდ სარწმუნოებით მაჰმადიანებს და ჯერ-ჯეროზით ველურად დაშთენილებს. ჩვენ ხალხს ცოტა პატრონობა უნდაო, პატარა სწავლა გაიგონ და დაგარწმუნებთ, რომ მაშინ მოლები და ხოჯები ვერაფერს

გააწყობენო. ჩვენს დაბაში რომ სკოლა განახლდეს და ვინმემ ხელი მოჰკიდოს ბავშვების სწავლებას, მაშინ მე ჩემის შეძლების და გვარად წელიწადში 100 მ. დახმარებას მივცემო. მე ძლიერ მესიამოვნება, რომ კიდევ ის მასწავლებელი მოვიდესაქ, რომელმაც ჩვენს ნათესავებს ასწავლა წერა-კითხვაო. მცირედ მაინც გაიგონ ამ უბედურებმა, თუ სწავლა რა ძვირფასი რამ არისო, რომ სწავლა სჯულის საქმეს არ ჰკბენს, არც ვნებს და უშლის რამესო. სანატრელია და ადვილადაც შეიძლება აქ ეს საქმე მოხერხდეს, რადგანაც ჩვენი სკოლის შენობა დღევანდლამდე მთლადა სდგასო.

დღევანდელი მარადიდის სკოლის მშვენიერი შენობა სდგას უქმად, ოთახები ცარიელია, კარებები და ფანჯრები დაკეტილი, ერთ ოთახში სკოლის ნივთები აწყვია, ყველა ესენი მთლად არის შენახული, პატრონობას და ზედამხედველობას უწევს მარადიდის უფროსი **თ. დ. ლეონიძე,** რომელიც დიდად მონატრულია აქ სკოლის გამართვას, ქართველი მაჰმადიანების კეთილად ქცევას და ნამდვილ და პატიოსან მშრომელების აღზრდას. ამ პირმა აღიარა, რომ აქ დღითი დღე სკოლის მსურველთ რიცხვი მატულობსო და მომავლისთვის უფრო იმატებს კიდეცაო. ამ საქმეს პატრონობა და დახმარება უნდაო, თვით ხალხს ამის პატრონობა-კი არ სწადიან, რადგანაც მოლები და ხოჯები აშინებენ მათაო. რიგია, რომ ამ საყურადღებო კითხვას ქართველობამ ყურადღება მიაქცია და ახმედ-ხალვაშისაგან გაკეთებულ სკოლა და ნივთები ქარსა და წვიმას არ დაანგრევინონ. ასეთ შენობას მერე 600-700-მ. ვეღარ გააკეთებ. აქ საჭიროა მხოლოდ ერთი რიგიანი მასწავლებელი და სკოლისთვის სახმარებელი წიგნები. ასწავლებლის ოთახიც არის ცალკე. ძემოხსენებულ პირებს გარდა კაცი აქ სხვა პირებშიაც შეხვდება ისეთებს, რომლებიც სკოლას და მასწავლებელს ნატრობენ.

ქართველ მაჰმადიანებში თუ გაკეთდება რამე, ეგენი ფიქრით, ყველაზე უმჯობესი იქმნება და უკეთესი რამე აქ, მარადიდში, გაკეთდეს რამე, ვფიქრობთ, გაკეთდეს მით უფრო რადგანაც აქ სკოლის შენობა მზად არის. გარდა ამისა აქედ სკოლა მით უფრო არის საჭირო, რადგანაც მარადიდელნი ფანატიკობით მაჭახელს, მურღულს და ლივანის ქართველობას არაფრით ჩამოუვარდებიან, ქართულად ლაპარაკობენ, ქართული გვარები აქვთ, მთებს ქართული სახელები ჰქვიან, სოფლებს, ხეებს, მდინარეებს და ამათ რომ ჰკითხო, თუ თქვენ ვინა ხართ? სენი მაშინადვე იტყვიან: თათარი ვარო. ამათ ოსმალები-კი გურჯებს უწოდებენ, ესენიც ასე ამბობენ, რომ ჩვენ გურჯები ვართ და არა ქართველებიო. ამ უბედურებს ვერ გაურჩევიათ ის, რომ გურჯი ქართულ ენაზე ქართველს ნიშნავს. ამათში რომ ასე ჰკითხო ვისმეს:

— ვინა ხარ შენ, გურჯი თუ ოსმალი. იგი მოგიგებს:

— გურჯიო. ე. ი. ქართველი. რომ ჰკითხო:

— გურჯი ხარ, თუ ქართველი, იგი მაინც გეტყვის, რომ გურჯიო. თუ ჰკითხე:

— თათარი ხარ თუ ქართველიო, მაშინ კი ეს თამამად იტყვის:

— თათარი ვარ, თათარი. ქართველი არა ვარ.

ქართველი ამათ გინებად მიაჩნიად, შეურაცხყოფად, რადგანაც ქართველნი ქრისტიანები არიანო. ფანატიკობით ესენი ძალიან ჰგვანან ქვაბლიანის, ფოცხოვის და შავშეთის ერთის ნაწილის ფანატიც-ქართველებს. აქედ კაცი ხშირად ვერ შეხვდება ისეთ ადამიანს, რომ თავიანთი თავი ქართველად აღიაროს. აჭარაში-კი ეს უფრო ხშირია, იქ უფრო ადვილად ნახავს კაცი ისეთ პირებს, რომლებიც თავიანთ თავებს ქართველად აღიარებენ.

ქართველ მაჰმადიანთ უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საჭიროება ბათუმში

ამ ხუთის თვის წინად მარადიდის უფროსისათვის გამოუცხადებიათ ოფიციალურად, რომ დღეის შემდეგ თქვენს საუფროსოში საზღვარ-გარეთელი ხოჯა და მოლები აღარ შემოუშვათ და ეცადეთ, ყველგან და ყოველთვის ადგილობრივ მცხოვრებთაგანი იქმნენ დადგენილნიო. უმაღლესი ბრძანება, რასაკვირველია, რომ სისრულეში უნდა მოვიდეს, რადგანაც ამ ბრძანებას ბევრი სასიკეთო და საკეთილო მხარეებიცა აქვს საგნად, მაგრამ ვიტყვით იმასაც, ასეთ ბრძანებისთვის ცოტაოდენი ოსტატობაც არის საჭირო, რომ ამ ოსტატობის მეოხებით საზღვარ-გარეთიდამ შემოსულ მოლა-ხოჯების საქციელი აილაგმოს და აქედამ, დღეს თუ არა, შემდეგ მაინც იქმნენ ფეხ-ამოკვეთილნი.

ამისთვის საჭიროა, რომ ბათუმში, ან ტფილისში დაარსდეს ამათთვის სასულიერო სასწავლებელი. ამ სასწავლებელს მიეცეს რიგიანი წესდება და წესები ქართველ მაჰმადიანებსაც გამოეცხადოთ, რომ ვინც ამ სასწავლებელში არ მიიღებს სწავლას, იმას ნება არ მიეცემა ხოჯობისა. ასეთის სასწავლებლის გამართვა მთავრობისთვის ძვირად არ დაჯდება და გარდა ამისა, ესმთავრობისთვისაც ძალიან სასარგებლო იქმნება, რადგანაც ამ სკოლის არსებობით შესაძლებელი იქმნება ნამდვილი და რიგიანი ხოჯები გამოიზარდონ, რომელთაც ქართული ენა და საქართველოს ისტორიაც ეცოდინებათ, რუსული ენა და სახელმწიფო წესები და ესენი ხალხისათვის დიდად სასარგებლო იქმნება. არდა ამისა, უეჭველია, ესენი ჯამეებში საწერ დავთრებსაც გაიჩენენ დად ღეის შემდეგ ყმაწვილების რიცხვსაც რიგიანად ჩასწერენ, თორემ ამათში ეს დღევანდლამდისაც-კი არ იციან და ვისმე

მრევლთაგან თავის შვილის წლოვანობის გაგება რომ უნდოდეს და მოწმობას აიღებს ისე, როგორც რიგი და წესია და როგორსაც რუსეთის სახელმწიფო კანონ-მდებლობაც თხოულობს.

უასეთ სკოლად-კი მავნე ხოჯების და მოლების რიცხვი მაინც არ მოიპოვება, გინდ რომ ყველგან და ყოველთვის სულ ქართველებს ნიშნავდნენ. არ მოიშლება იმიტომ, რადგანაც დღევანდელ ქართველთ მოლების უმეტესნი ნაწილნი ტრაპიზონის და სტამბოლის ოსმალების საულიერო სასწავლებელში იზრდებიან. თრაპიზონის და სტამბოლის მექვთეები (სასულიეო სასწავლებელი) სავსეა ქართველ ახალგაზრდა ყმაწვილებით, რომელთაც პირველ დასაწყისი სწავლა აქ მიუღიათ და შემდეგ ოსმალეთში წასულან, რომ სწავლა იქ დაამთავრონ, მოლებისა და ხოჯების მოწმობები მიიღონ და მერე დაბრუნდნენ საქართველოში. ოსმალეთიდამ მოსულ ქართველთ ხოჯების უმეტესი ნაწილი ისე ფანატიკობენ, რომ ბევრად აჭარბებენ თვით ნამდვილს ოსმალოს ხოჯა-მოლებს, რომლებიც ტომით და შთამომავლობითაც თათრები არიან. სმალოდამ მოსული ნამდვილ თათარი მოლა-ხოჯები ისე გამბედაობით ვერ ჰქადაგობენ ხალხში ქართულ ენის სიძულვილს, საქართველოში დარჩენას და მთავრობის ზიზღს, როგორც ოსმალოში ნასწავლი და საქართველოში დაბრუნებული მოლა და ხოჯები.

მაშასადამე, საქართველოში, ქართველ მაჰმადიანებს გინდა ოსმალოს ნამდვილ თათარ მოლა-ხოჯები ჰყოლიათ და გინდ ქართველნი, აქ საქმე უმთავრესად სკოლისა და მოლების აღზრდა-განვითარებას შეეხება. ერთის სიტყვით, ამათი სასწავლებელიც ისევე უნდა იქმნას დაარსებული, როგორც რუსეთში ყაზანის თათრებისთვის არის.

ასეთი სკოლის დაარსება მით უფრო დიდს საჭიროებას შეადგენს, რადგანაც დღეს, ამოდოლა მხარეში ბათუმის ოლ-

ქი, ართვინის ოლქი, არტაანის ოლქი, არდანუჯში დაყ არსის საგუბერნატოროში ერთი სასწავლებელიც არ არის. ერთი სასწავლებელი დღეს მხოლოდ აჭარაშია, სახლდობრ, დაბა ქედაში, სადაც 25 ყმაწვილი სწავლობს, მასწავლებლად ქართველი ხოჯა ჰყავთ, **გვარად სურმანიძე,** სტამბოლში გაზრდილი, რომელიც თავის ფანატიკობით ბევრად აჭარბებს თვით თათრის მოლა-ხოჯებს. მას წინად ამ ხოჯამ ქედის სამმართველოს უფროსთან ასე იჩივლა:

— ამა და ამ კაცმა ძლიერ გამკიცხა, მაგინა, შეურაცხყოფა მომაყენა და გთხოვთ, რომ მოიყვანოთ და დასაჯოთ.

ქედის უფროსი ჰკითხავს:

— რა გითხრათ, ხოჯა, როგორი სიტყვებით გაგინათ, სთქვით, რომ ჩვენც გავიგოთ ის სიტყვები და ის კაციც დავიბაროთ. ხოჯამ მიუგო:

— ხალხში დამიყვირა: შე ქართველოვო!

ერთი ამისთანავე შემთხვევა მომხდარა ამას წინად ხულაში. ხულის უფროს პატივცემულ **გ. ბერიძესთან** მისულა ამავე დაბის ხოჯა და შეუჩივლია:

— ამა და ამ კაცმა ქართველი მიწოდა და ეს წოდება მე იქამდის სალანძღავად და სამარცხვინოდ მიმაჩნია, რომ ვითხოვ იმ კაცის დაბარებას და დასჯას.

პატივცემულმა უფროსმა ამის შესახებ ახსნა დაუწყო, თუ რას ნიშნავს სიტყვა ქართველი, ძლივს ჩააგონა ხოჯას, რომ ის ქართველია ენით, გვარტომობით და რომ სიტყვა ართველს არავითარი ცუდი კავშირი არა აქვს მათ სჯულთან.

ხოჯა როგორც იქნა მიხვდა სიტყვა ქართველის მნიშვნელობას. ჩოტა შერცხვა კიდეცა და ბოლოს უთხრა უფროსს:

— თქვენ სწორედ ბრძანებთ, ეგ სიტყვა მაგრე უნდა იხმარებოდეს, მაგრამ იმან-კი ეგ სიტყვა იმ აზრით მითხრა, რომ ჩემთვის ურჯულო ეწოდებინა. — ამისთანა ამბებს კაცი

აქ ხშირად შეხვდება და ასეთი სიტყვის გამო, ე. ი. ქართველს ისე არავის სწყინს, როგორც სტამბოლში და ტრაპიზონში გაზრდილ ქართველ ხოჯებს. ტომით ოსმალოს ხოჯას ზოგ სიტყვა ქართველი არც-კი ესმით, მათ რა იციან ქართული სიტყვა, რომ ქართველი ქართველს ნიშნავს და თუ ვინმემ მათ ენაზე დაუყვირა: აი შე გურჯო შენაო, ამას ის შეურაცხყოფად არ მიიღებს, რადგანაც მათ გურჯობა ენატრებათ კიდეც. გურჯი მოლა და ხოჯები სტამბოლში დიდს პატივში არიან. სმალურად საქართველოს „მშვენიერი ბაღი" ეწოდება.

ლიგანის ხევის მოლეგის და ხოჯეგის ამგეგი

ახლანდელ მოლებზე და ხოჯებზე დიდ გავლენას ვერ ახდენენ როგორც ამათა სურთ. აგრამ მაინც სასტიკად აშინებენ და უქადაგებენ ახალ მოლებს, რომ ქართულს ან რუსულს წერა-კითხვას ნუ დაისწავლით, თორემ მაშინადვე გაქართველდებით ან გარუსდებითო. ერთი ახალგაზრდა მოლა **დურსუნ ქარცივაძე** გურიაში წასულა და ერთ ქართველ მღვდელთან ქართული და რუსული წერა-კითხვა უსწავლია. დღეს ეს მოლა დაბა ჭვანაშია. მას ამ სოფლის ყმაწვილებისთვის წერა-კითხვა დაუწყებინებია და ბავშვებსაც ძლიერ გაჰხარებიათ, მაგრამ საუბედუროდ ამ ახალგაზრდა მოლას გადაჰკიდებიან სტამბოლიდამ მოსული ქართველ ხოჯები და აუკრძალავთ, რომ დღეის შემდეგ შენ ქართულის სწავლება აღარ გაბედოო. მაწვილების პატრონებიც დაურიგებიათ, თქვენი შვილები დაისწავლიან თუ არა ქართულ-რუსულს, ისინი მაშინადვე გაქრისტიანდებიანო. დღეს ამ ახალგაზრდა მოლასა და ფანატიკოს ქართველ მოლებში დიდი განხეთქი-

ლება ჩამოვარდნილა. ფნატიკოსი ხოჯები ძლიერ ემტერებიან და თან უყვირიან, რომ შენ სტამბოლში არ წასულხარ, სტამბოლის მექთე თვალით არ გინახავს, ჩვენ როგორ გვეტოლებ-გვედარებიო. ეს კიდევ მათ სხვა რამეებს ეუბნებოდა. ბევრს უწესოებას და უხეირობას ამჩნევდა მათ, მაგრამ რასა იქმს ახალგაზრდა ხოჯა. ეს პირი მშვენივრად კითხულობს ქართულს წიგნებს, სხვა და სხვა ქართული წიგნებიც უკითხავს, კარგათა სწერს. აქა-იქ ქართულ გაზეთების ნომრებიც უკითხავს.

საქართველოში მოსული ქართველი ფანატიკოსი ხოჯები ყველა მოლებს ურჩევენ, რომ აქაურ სწავლას გათავების შემდეგ ესენი უეჭველად ოსმალეთში წავიდნენ, მერე ფიქრი აღარ არის, ესენი იქიდამ აწინდელ წეს-წყობილებას და მტრებად დაბრუნდებიან. სანატრელია, რომ თვით ხოჯებსაც აღეკრძალოთ ესენი და აქ ყმაწვილებს ცუდს არაფერს ასწავლიდნენ. ასეთ პირებისთვის მარტო ბრძანება არა კმარა, უნდა მიენდოთ ადგილობრივ მთავრობას, რომ ამათ თვალ-ყური ადევნონ, რომ მოლებმა ქრისტიანების და ქრისტიანობის საწინააღმდეგოდ ყმაწვილებს არაფერი უჩიჩინონ.

ერთის ასეთის ხოჯის მეოხებით დაიღუპნენ მარადიდის ქართველნი და გადასახლდნენ ოსმალეთში. ერთის ასეთისავე ფანატიკოსის ხოჯის მეოხებით დაიღუპა მაჭახელი, მურღული და სხვანი. მარადიდის დამღუპავ ხოჯათაგანი დღესაც აქედ ბრძანდებოდა. ის დღესაც არ იშლის თავის გველაძუობას, დღესაც დაძვრება ხალხში და აქა-იქ ჩუმად ქადაგებს ქრისტიანობის ზიზღს და მტრობას, ნამეტურ ქართველობის, მაგრამ ძლიერ საიდუმლოდ და ფრთხილად. ერთი ასეთივე პირი გახლავსთ ხოჯა **იბრაიმ-ეფენდი კიბისთაველი,** უფროსი ხოჯა, დიდი ფანატიკოსი, მოძულე ქართველთა, მოძულე ქრისტიანთა. ვემო აჭარიდამ და მარადიდიდამ თუ ვინმე გადასახლდა 1881 მდე, ვიტყვით, რომ სულ

ამის ბრალი იყო, 1882 წ. ეს მცირე დღეს გამგეა ბათუმის ძველის ჯამესი, რომელიც სულტან აზიზის დედისაგან არის გაკეთებული. ჟამეს გამგეთ თვით სულთნის დედას დაუნიშნავს ეს ფანატიკოსი ხოჯა.

ასეთ ფანატიკ ხოჯებს თუ რა გავლენა აქვსთ, ეს გამოჩნდება შემდეგის მაგალითიდამ:

ბათუმში ამ ჟამად უფროს მუფთად იმყოფება **ახმედ-ეფენდი გვერდაძე,** ხნიერი კაცია აჭარის სოფ. ზუნდაკელი. საკმარისი შეძლების პატრონი, მასთანავე ქართულ წერა-კითხვის მცოდნე, სიტყვა-პასუხიანი, თავაზიანი, აწინდელ მთავრობის წესების კარგად მცოდნე დაა თავის \ტანამდებობისთვის საკმარისად გამოსადეგი. ამ პირს აუჯანყდნენ რამდენიმე ფანატიკოსი ქართველი მოლა-ხოჯები. **იბრაიმ კიბისთაველის** წინამძღოლობით ესენი მუფთს ეუბნებოდნენ, რომ შენ სტამბოლში არ გისწავლია, ჩვენ შენზე უფრო ნასწავლები ვართ, მუფთობა ჩვენ გვეკუთვნის დაარა შენაო.

— შენ ნამდვილი მაჰმადიანი არა ხარ, შენ არღვევ მუსლიმანობას, არღვევ მით უფრო, რადგანაც, როცა თქვენს მეჯლიში თქვენი ქრისტიანი უფროსი შემოდის, შენ მაშინადვე ფეხზე დგები, ხელს ართმევ და ესაუბრები! ეს ჩვენის შარიათით რიგი არ არის, შენ მუფთი ხაარ და თავს ისე როგორ იმდაბლებ, გიაურს ხელს ართმევ. მუფთიმ მიუგო:

— ჩვენ არც ერთს ჩინოვიკს ფეხზე არ აუდგებით და ხელს არ მივსცემთ. მუფთმა ამათი წინადადება ბოვშურად დაინახა და ყურადღება არ მიაქცია. გაჯავრებულ ფანატიც მოლა-ხოჯებმა ხალხში დაიწყეს მუფთზე ლაპარაკი და ქადაგება, რომ მუფთი ქართველობს, მუფთი რუსების მომხრეა, იგი ნმდვილი მუსლიმანი არ არის, იგი გამოიცვალოს და მის ალაგას **იბრაიმ ხოჯა** დავაყენოთო. ამით ხოჯებმა ხალხი აალელვეს, ხალხმა საერთო თხოვნა დასწერა და სთხოვეს იქ, სადაც საჭირო იყო, მუფთი გამოგვიცვალეთო, მაგრამ

თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული. ფანატიკოს მოლა-ხოჯებისაგან ისე აიწეწ-დაიწეწა ამათი საქმე და აირივნენ, რომ მუფთისავე თხოვნით რამდენიმე დღეს დაკეტილ იქმნა ბათუმის დიდი ჯამე და ერთი ხოჯაც რამდენსამე დღით დაპატიმრებული.

ურიგო არ იქმნება, რომ ასეთ ფანატიკოს ხოჯა და მოლების დასასურათებლად რამდენიმე სიტყვა მოვიყვანო მათის ქადაგებიდამ, რომელიც 1879 წლებში შეუდგენიათ. ეს ქადაგება ხოჯებმა ზეპირად იციან და ჯამეში პარასკეობით ქადაგებენ. ორი ქადაგება თვით მე მოვისმინე. ერთი ფანატიკოსი მოლა წელიწადში ერთხელ, რამაზანის მარხვაში, როცა ქალები დადიან ჯამეში, უქადაგებს „თათრის ქალმა რომ ქართველ კაცს პირისახე დაანახოს, მაშინვე დაიღუპება. მისთვის ჯენეთის კარები დაკეტილი იქმნებაო".

ერთი ქართველ მაჰმადიანთ დედაკაცი ერთ ქართველ ოჯახში მოსამსახურედ დამდგარიყო, ამ დედაკაცისთვის მოლას უთქვამს „აი შენ დაწყევლილო და დაღუპულო, შენ განა ქართველ კაცის ოჯახში უნდა იყო მოსამსახურედ, ქართველი განა ღირსია, რომ წმინდა სჯულის მუსლიმანის დედაკაცი შინ მოსამსახურედ ჰყავდესო. დაანებე თავი, თორემ შეგაჩვენებო". დედაკაცი შეშინდა მოლას მუქარით და დიდის მწუხარებით გამოეთხოვა ქართველს ოჯახს.

ხშირად იციან ხოლმე ეს ქადაგებაც „რაც ხანი გადის, ჩვენ წმინდა მუსლიმის ხალხი ერთობ ვფუჭდებით და ვეცემით. ბევრნი სიხარულით ამბობენ და იმედოვნებენ, რომ ჩვენს წმიდა სჯულს ჩვენი მორწმუნენი ოსმალეთში ძლიერ წმინდად ინახავენო. ამაზე მე მოგახსენებთ, საქმე ის-კი არ არის, რომ კაცმა იქ შეინახოს ჩვენი სჯული წმინდად, საცა ჩვენი ფადიშახი ზის საქმე აი აქ არის, მარადიდში, აჭარაში და ნამეტურ ქობულეთში, აქ შევინახოთ ჩვენი სჯული".

ამისთანა ქადაგებას ესენი ხშირად ქრისტიანებშიაც წარმოსთქმენ ხოლმე. ამას წინედ **იბრაიმ ხოჯა სოფ. კიბისთაველმა** წარმოსთქვა, რომ ეხლახან ბათუმში ჩვენ ორი ქართველი გავათათრეთო. ერთიც კარგი ქალი გათათრებულა, ეს ქალი ბათუმიდამ ერთ ქართველ თათარს ტრაპიზონში გაჰყოლია ცოლად. ასეთსავე სურვილით და ჩაგონებით გურიიდამ გადმოსულა ერთი გურული კაცი, გვარად **გირკალიძე,** სოფ გურიანთიდამ, ერთ სოფელში ადგილები მიუციათ და ეს კაციც გაუთათრებიათ. მერე ეს კაცი წასულა შინ, მოკლე დროში გადმოუყვანია ცოლი, სამი შვილი და ერთის წლის განმავლობაში ესენიც გათათრებულან. დღეს ამ კაცს ცოლი და ხუთი შვილი ჰყავს, ყველანი მაჰმადიანები არიან, ცოლს ჩადრი ხურავს, პირს იფარავს და თავის თავს თათარს უწოდებს. ყველანი კარგიად და ბედნიერად ცხოვრობენო. ცოლქმარნი მადლობას უძღვნიან გამთათრებლებს, რომ თქვენ ასეთ წმიდა სჯულზე დაგვაყენეთო.

ამ ერთის წლის წინედ ბორჩხაში, ერთი ხოჯა ხშირად ამბობდა შემდეგს: თქვენთვის ძლიერ ცოდვაა, რომ თქვენი ნამდვილი ძმები ოსმალეთში შიმშილით იხოცებიან და თქვენ-კი ამ დროს აქა სჭამთ, რადგანაც თქვენი ძმები იქით შიმშილით იხოცებიან. თუ წმინდა მუსლიმანები ხართ, მიბრძანდით თქვენი ძმებისაკენ, იმათ გვერდით იცხოვრეთ, იმათთან ერთად, იმათ ჭირში და მწუხარებაში მონაწილეობა მიიღეთ და, აი, მაშინ იქნებით მუსლიმანები.

ყოველ პარასკევ დღეს ხოჯები ხალხს პირდაპირ ეუბნებიან: აქ ჩვენი ბინა არ არის, ჩვენი ბინა იქით არის, ჩვენი ფადიშაჰიც იქ არის, აქ დარჩენა ჩვენი წაწყმედა იქნება, იქ წასვლა-კი ცხონება. გირრჩევთ გაუფრთხილდეთ თავებს, თქვენს წმინდა სჯულს, საუკუნო ცხოვრებას და წახვიდეთ იქით, სადაც თქვენი ძმები სცხოვრობენ.

ორი წლის წინად ოსმალეთიდამ დაბა არდანუჯში მოსულა ერთი მეტად სწავლული ხოჯა; ამ ხოჯას არდანუჯის ჯამეში ერთ დღეს ქადაგება წარმოუთქვამს აქაურ ხოჯების ქადაგების წინააღმდეგ, ხალხისთვის უთქვამს, რომ თქვენ, ხოჯებს ყურს ნუ უგდებთ, ოსმალში ნუ მიდიხართ. თქვენ გურჯები ხაართ, ეს მხარეც გურჯისტანია, იცხოვრეთ აქა, იყავით მშვიდობით და ცხონების ფიქრი ნუ გაქვთ, ეს ყველგან არის სადაც-კი კაი საქმეები არსებობსო. ეს ხოჯა ქადაგების შემდეგ კინაღამ მოუკლავთ. ჯამეში დაუჭერიათ, შეუკრავთ და სამართალში მიუციათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველი გვიწოდა და გადასახლება არ გვირჩიაო.

ნაცემი ხოჯა თურმე დიდის მწუხარებით მოშორებია არდანუჯს. ზემოხსენებულ მავნე მტერ ხოჯების ქადაგებათა წინააღმდეგ **აჭარის მუფთი ხილიფაშვილიც** ქადაგებდა ხშირად კარგა და ეს გავლენიანი მუფთი რომ თავის ქადაგებით არ აღმოჩენილიყო აჭარაში, შესაძლებელი იქმნებოდა, რომ ზოგიერთ მავნე ხოჯების ქადაგების მეოხებით მთელი აჭარაც მუჰაჯირად წავიდოდა ოსმალეთში.

ზეგანი ანუ ზედა-აჭარა, გათუმის ოლქი

ზეგანს აღმოსავლით უძევს ქვაბლიანის და ახალციხის მიდამოები, დასავლით შავი ზღვა, ჩრდილოდ გურიის და აჭარის შუა მდებარე მთები და სამხრეთ შავშეთი, ანუ ოსმალეთის საქართველო.

ზეგნის ხეობასვე ეკუთვნიან შემდეგნი დიდნი ხეობანი: ხიხაძირისა, სხალტისა, ტბეთისა, ღორჯომისა, ხულისა, ჭვანისა, ბელღეთისა, ნენია-ფურტიოსი, ალმისა, ფუშრუკაულისა და შუა ხევისა, სადაც თავდება ზეგანის ადგილები და მე-

რე აჭარა იწყება. ზეგანი კარგა დიდი მხარეა: სიგძით 100 ვერსზე მეტი იქნება და სიგანითაც ამდენივე. ძველად ამ ადგილებს ზეგანი ეწოდებოდა, თუმცა ვახუშტს ამის შესახებ ძლიერ ცოტა ცნობები აქვს და ზეგანის სახელს მხოლოდ ერთხელ ახსენებს. დღეს ზოგიერთნი ამ ადგილებს ზედა-აჭარას უწოდებენ. თვით აქ მოსახლენი-კი—ზეგანს. აქაურ კაცს რომ ჰკითხოთ: სადაური ხარ, ძმობილო? ის მაშინათვე მოგიგებს: ზეგნელიო. შენ რომ უთხრა, მაგ ადგილებს აჭარას ეძახიან და შენ ზეგანს რად ამბობ? იგი იტყვის: არა, ბატონო, ჩვენ ზეგნელი გახლავართ; ზეგანი სხვა არის და აჭარა სხვა; ზეგნელი კაცი აჭარელი როგორ იქნებაო. ეს ზედა და ქვედა აჭარის ხმარება თათრობის დროს შემოსულა.

მთელს სამცხე–საათაბაგოში ყველაზეს უკეთესი ჰავა, ტყეები, წყალი და სხვა არა მგონია, რომ ზეგანს, მურღულის გარდა, სხვა რომელიმე ადგილი შეედაროს.

ზეგანი იწყება ხიხაძირის და სხალთის ხეობით, რომლებიც სავსეა გაუჩეხავის ტყეებით. სხვათა შორის ბზაც მრავალია. აქეთ ნაძვის ხეები სულ გაფისულია. ნავენახარი ადგილები ძლიერ ბევრია და ყველა ესენი დღეს ტყით არიან შებურულნი. ეს ადგილები მთელის ზაფხულობით ქურთებს აქვთ დაჭერილი და აქ საქონელს აძოვებენ. ამ ბოლოს დროს აქეთ **თუშ-ფშავ-ხევსურებმაც** დაიწყეს მოგზაურობა, ესენიც მოერეკებიან დიდძალ ცხვარსა და ძროხას. ესენი პატარა კვალში ჩაუდგნენ ქურთებს, თორემ თქვენი მტერი, რაც აქ ქურთებისაგან იყო აქაურობა გამხდარი. აქ ქურთები ნამდვილი ქურდები იყვნენ და არიან კიდევაც. პირველ ხანებში ამასთან მოსვენება არ ჰქონდა ზეგნელ ხალხს, ეხლა-კი, რაც თუშ-ფშავ-ხევსურებმა იწყეს აქეთ სიარული, ყველა ამაებმა იკლეს. სანატრელი იქნება და მასთანავე ყველასათვის სასარგებლოც, რომ თუშების ერთი ნაწილი ბარემ აქეთვე გადმოსახლებულიყო და აქ დაბინავებულიყო. ამ ადგილებში

ნაძოვარ საქონლის ნახვა კაცს დიდ სიამოვნებას მოჰგვრის. ბალახი ორ არშინზე მეტი იცის, ნამეტურ არტაანის მაღალს ტიტველა მთებზე. რძე, ერბო, ყველი, კარაქი და სხვანი შესანიშნავია აქ. ზეგნელნი ამაში ძლიერ დახელოვნებულნი არიან. იქ ისეთს „სმეტანს“ აკეთებენ, რომ ტილისის ნემცების გაკეთებული ამათთან ვერაფრად გამოჩნდება. ძველად ესენი ძალიან მისდევდნენ პირუტყვის მოშენებას; დღეს-კი იმდენი ჰყავთ, რაც ამათ ოჯახისთვის არის საჭირო, რისა გამო ამოდენა მშვენიერი ადგილები ყოველთვის ცარიელი რჩებოდა და ქურთების სამსხვერპლოდ. სიმინდის თესვა და მოყვანა აქ ისე იციან, როგორც სხვა აქაურს ადგილებში. პურის მოყვანა ძველებურად აქვთ, უფრო ჯავახურად. სიმინდს მაღალ ადგილებზე სთესვენ და პურს უფრო დაბლობ ადგილებში. აქეთ სიმინდის ტაროები პატარა იცის, მაგრამ ტკბილი; პური მამხობლიანია. ძველებურად პურის ცხობა და თონეები დაჰვიწყებიათ. პურს კეცით აცხობენ. კალო, საბძელი, განიავება, ლეწვა და სხვანიც ისე იციან, როგორც ჯავახეთში. სახლები აქეთ ზოგს ქვითკირისა აქვს და ზოგს ხისა, ყველას ორი ან სამი პატარა ოთახი; უამისობა არ შეიძლება. ამას ამათი სჯულიც თხოულობს: რაც გინდ ღარიბი კაცი იყოს, მას ქალების ოთახი მაინც ცალკე უნდა ჰქონდეს, სასტუმრო ცალკე და შინაურ მამაკაცებისთვის ცალკე. სახლი და ეზოები საყოველთაოდ სუფთად აქვთ შენახული. სახლებს ზოგს კრამიტი ხურავს, ზოგს ყავარი და ზოგს ფიცარი. ბევრ ალაგას ორსართულიანი სახლებიც არის. კრამიტის გარდა თიხის ჭურჭელსაც აკეთებენ.

ქალებიც მისდევენ მუშაობას, ცოტა უფრო მეტად, ვინემ სხვა მაჰმადიანთ ქართველებში. ყანაში და კალოზე მუშაობას გარდა, ესენი ქსოვენ საჩოხე შალებს, ყაითნებს, ხელთათმანებს; აკეთებენ ფერად ძაფებს, თოკებს და ხვ. ქალებმა სხვა-და-სხვა ხილის გახმობაც იციან: მაგალითად

აკეთებენ ვაშლის და მსხლის ჩირს, კერკს, ტყლაპს. მართალია ამაების კეთება დიდს შნოსა და ოსტატობას არა თხოულობს, მაგრამ ჩვენ ეს აქ მიტომ აღვნიშნეთ, რადგანაც ამაების კეთება სხვა აქაურ ქართველ მაჰმადიანთ სულ არ იციან და არცა აქვთ გაგონილი, რომ ხილის გაშრობ-გახმობა შესაძლებელია. რამდენ ალაგას მთელი ტყეებია ხილისა და ეს ხილი ტყეში უბრალოდ ფუჭდება.

რაც ამ ხილის მეოხებით აქეთ ღორი და დათვი მრავლობს, არა მგონია, საქართველოს სხვა რომელსამე კუთხეში იყოს. ამას წინად ერთ დიდს ტყეში ხუთი ღორი მოჰკლეს ქართველ მაჰმადიაანებმა, ოთხი ჭოროხში ჩააგდეს და ერთი აჭარის წყალში. ყველა ესენი, რასაკვირველია, შავი ზღვის ზვირთებს მიეცემოდა. ქართველ მაჰმადიანებს ღორები საშინლად სძულთ ასეთი სიმძულვარე ღორისა თვით ნამდვილს თათრებსაც არ ემჩნევად. ჯაგარს მაინც აცლიდნენ! მერე ისეთი ჯაგარი აქვს აქაურ ღორს, რომ ერთი-ორად მეტ ფასად გაიყიდება, ვინემ სხვა და-სხვა მხრის ღორის ჯაგრები. ამის შესახებ მე აქეთ ბევრს ველაპარაკე, გავაგებინე, თუ ჯაგარი რისთვის არის საჭირო და ან რა ფასს აძლევენ, მაგრამ მათ უარი სთქვეს.

— ღორის ჯაგარს რას ახმარებენ, ეგ ჩვენ არ ვიცით. ჩვენში აქა-იქ ღორები დახოცეს, ჯაგარს გლეჯა დაუწყეს; ეს ამბები ჩვენმა მოლებმა შეიტანეს, ისინი მივიდნენ, ჯაგარი გადააყრევინეს და ხალხს გამოუცხადეს, რომ ვინც ღორს ხელს დაადებს, ის თავის წმიდა სჯულსა და ტანს წაამურტლებს; იმან რაც უნდა დაიბანოს ხელი და ტანი, მაინც ღორის სიმურტლე არ მოშორდებაო. ღორის ნაწოლ ალაგზე ამათ რომ რამე ნახონ, მაგალითად, შიმშილის დროს პურის, ან სხვა რამე, ამის აღებაც ცოდვად მიაჩნიათ. ამბობენ, რომ კინტრიშის მაჰმადიანები-კი შესჩივიან არამც თუ ჯაგარის გლეჯას, არამედ თვით ღორების გაყიდვასაც, მოკლავენ თუ

არა, მაშინადვე ბათუმისკენ მიაქვთ და იქ ჰყიდიან. ხოჯებს ისიც ეჯავრებათ, რომ დახოცილ ღორებს მაჰმადიანები ჰყიდიან და ქრისტიანები ყიდულობენ, ხოჯები ამბობენ: — მურტალ რამეში აღებული ფული ისევ მურტალი იქნებაო.

აქედ ძველად სცოდნიათ თოფის, დამბაჩის, წისქვილის ქვების, დანებისა და სამართებლის კეთება, მაგრამ ყელა ესენი ამ ბოლოს დროს დავიწყებიათ. ერთი აქაური ძველი კარგი ოსტატი, თოფისა და დამბაჩების მკეთებელი ზეგანში ამას წინად მომკვდარა დამ ის შემდეგ მოსპობილა ეს ხელობაც.

თვით ხალხი უფრო შავგვრემანია, მესხებს ჰგვანან, დაბალ ტანისა, თუმ ტანოვან კაცთა და ქალთაც ხშირად შეხვდება კაცი. ამათი სამშობლო ქართული ენა მცირედ განირჩევა ქვედა აჭარის, კინტრიშის, მაჭახლის, ლივანის და სხვების ქართულ ენისაგან, უფრო ჯავახეთის ქართულ ენის კილო შერჩენიათ და შიგა და შიგ ზოგიერთს სიტყვების დაბოლოება გურულს წააგავს. ოსმალური სიტყვები აქ მცირედ არის შემოტანილი, სულ რამდენიმე სიტყვა იქნება, რომ დაითვალოს. აქაურების სამშობლო ენა ქართული ენა არის. მე ჩემის თვალით ვნახე ისეთ ქართველ მაჰმადიანები, რომელთაც თათრულის ათი სიტყვაც არ იციან, ქალებმა ხომ სულ არ იციან თათრული. ერთ სხალტელს ვინაობა ვკითხე. მენ მითხრა, თათარი ვარო.

— ბიჭო, თათარი თუ ხარ, ქართულად რად ლაპარაკობ?

— თათრული არ ვიცი, ბატონო, ჩვენს ძველებსაც ამ ენით ულაპარაკნიათ და ჩვენც ამ ენით ვლაპარაკობთ. ჩვენი ენა ეგ გახლავთ. თათრულს რაზე ვილაპარაკებთ. ჩვენ გურჯები გახლავართ.

— მერე ხომ ცოდო არის, რომ თათარი ქართულად ლაპარაკობდეს; ამას თქვენი მოლები ხომ სასტიკად გიშლიან?

— კი ბატონო, ისინი ამაზე ბევრჯერ ჩხუბობდნენ, სხვებისაგან გამიგონია, მე-კი არ მინახავს; მაგრამ ახლა ისინი ამბობენ, ეს ენა ქართული კი არ არის, არამედ „გურჯიჯა“ არისო.

ართული ენის გარდა ამ ადგილებში ქართული სიმღერებიც შერჩენიათ, მაგრამ ძლიერ მცირედ, სულ რამოდენიმე ხმა იციან, ისიც რაც ამათთვის საჭიროა, თორემ სიმღერები და ხმები აქამდეც ხოჯების ძალაობით ისე ამოვარდნილა, როგორც სხვაგან. ახლა დიდი ნატვრა ისმის ქართულ სიმღერების და ხმების ცოდნისა. აქა-იქ მომაბეზრეს, თქვენებური სოფლური ხმები გვასწავლეთ. წინად ესენი ჩვენში ხმაებაში არ იყო, მოლები გვიკრძალავდენო, მაგრამ ახლა-კი ხმას არავინა გვცემსო. აქეთკენ ყანაში 20-მდე კაცი მუშაობდა, სამიოდ სიმღერა სთქვეს ქართული, ხანდისხან შიგა და შიგ თათრულსაც ურევდნენ, მაგრამ ძრიელ მცირედ. ამას წინად ერთ ალაგას ამათ „კურდღელი ჩამოცანცალდა“ მოისმინეს და სიამოვნებით აღარ იცოდნენ, რა ექმნათ, შესწავლა დაიწყეს. საკრავები აქედ, ჩონგურს გარდა, სხვა არაფერი იციან, ამათი ჩონგურები ოსურ ჩონგურებს ჰგავს და ხმას კი იმერულ-მთიულურად აყოლებენ.

რამდენიმე ხეობა გავიარე, აქ ბევრ ალაგას ვნახე ხალხი და მათ ლაპარაკებიც დავესწარ, მაგრამ „მუჰაჯირად“ ნასვლაზე სიტყვაც არ გამიგონია! ამის შესახებ თითქოს ლაპარაკიც არ უნდათ. ესენი უფრო ხშირად იმაზე ლაპარაკობენ, რომ გამრავლდით, მიწები არ გვყოფნის და არც ვიცით, რა ვქნათ. თუმცა ერთი ხოჯა აქაც ჰქადაგებს გადასახლებას და აწინდელ წესების მტრობას, მაგრამ ხალხს ამის ქადაგებისა არაფერი ესმის, რადგანაც ეს თათრულს ენაზე ჰქადაგებს და ხალხმა კი თათრული ენა არ იცის. ოსმალეთში აქედგან ბევრი არავინ წასულა, ამ მხრიდან სულ 500 კომლი გადასახლებულა. მაჭახლიდან და მარადიდიდან-კი 8 000 მეტი

კომლი წავიდა. კომლში რომ ვიანგარიშოთ ექვსი სული მაინც, ეს გამოვა 50 ათას სულზედ მეტი. მერე ისიც უნდა ითქვას, რომ აქეთ ოჯახები გაუყრელები არის და მასთან რიცხვითა მრავალნი.

როგორც შევნიშნე და ააურებიც ამბობენ, აქეთ ხალხი ძლიერ მრავლობს, 70-80 წლის მოხუცებულებმა სთქვეს: ჩვენ გვახსოვს, რომ აქეთ თითო სოფელში 5 კომლი იყოვო და ახლა –კი 30-40 კომლიაო. ხულის საზოგადოება 30 კომლი იყო და ახლა-კი 300 კომლიაო. ავადმყოფობა აქედ მცირედ იცის, ისიც ზაფხულობით და მხოლოდ ციება. ციების მიზეზი ხილია; ხილს ბევრსა სჭამენ, ზედ ცივს წყაროს წყალს აყოლებენ და მერე ციება ემართებათ.

აქაურ ხალხის გვარებში კაცი ნამდვილ ჯავახურს გვარებსაც შეხვდება, ქართულს და იმერულსაც. ამბობენ, 1829 წ. რუსმა რომ ახალციხე აიღო, მაშინ იქ ბევრნი არ დარჩნენ და აქ გადმოსახლდნენო. ზოგი იმ დროის გადმოსული კაცი მე თვითონ ვნახე. მათთან ლაპარაკი მქონდა და მათ აღიარეს, რომ ჩვენ მაშინ ძრიელ შევცდით, რომ ჩვენი ადგილები დავკარგეთ და აქეთ წამოვედითო. თუმცა ეს უფრო მშვენიერი ადგილებია, მაგრამ მაინც უბრალოდ, ბედი-ავად ჩვენი სახლები და ადგილები არ უნდა დაგვეკარგაო. უბრალოდ დავკარგეთ ყოველივე. ჩვენ არა გვიშავს-რა და ვინც ქვეით (ოსმალეთი) წავიდნენ, ისინი ხომ სულ დაიღუპნენ, ჩვენ იმათ არაფერი ვიცით და იმათ ჩვენიო.

ვაჭრობა ზეგანში არც ძველად სცოდნიათ და არც ახლა. ვაჭრობა ართვინისა და არდანუჯის კათოლიკეთა ხელშია. აქაური ხალხი ჰყიდის სიმინდს, პურს, ერბოს დ ახილს. ახლა კაკლის ხეების გაყიდვაც დაიწყეს. ძველ ნაეკკლესიარს ადგილებზედ, ბევრი ბებერი კაკლის ხეებია. ამ კაკლის ხეებს ქართველ მაჰადიანები სრულიად იცილებენ თავიდგან. თითო დიდს მაღალ ხეს 5-6 მან. ჰყიდიან. ამ 25 წლის განმავლო-

ბაში დიდი ძალი ხე მოუჭრიათ, ამ 20 წლის განმავლობაში სულაც მოსპობენ. მერე კაკალი თვით ამათ გაუხდებათ სასყიდელი ზოგიერთ ადგილებში კაკლის საჭიროება შეუგნიათ დ ამიტომ სოფლებში აჩენენ კაკლის ხეებს.

აქაური ხალხის ტანსაცმელიც ისეთივეა, როგორც სხვა მაჰმადიანებისა, მხოლოდ აქ უფრო უბრალო შალისას აკეთებენ. აქ კაცი ხშირად შეხვდება თუშ-ფშავ-ხევსურულის მინაგვარ ყაითნით მოვლებულს მოკლე ჩოხებს და შარვალებს. ქალამნების ტარებაც სცოდნიათ; ზოგიერთ მოლებსაც-კი ქალამანი აცვიათ.

ესენი ყაჩაღობას ისე არ მისდევენ, როგორც მაჭახლელნი, კინტრიშელნი, ზედა-აჭარელნი და სხვანი. ესენ უფრო წყნარი უეშმაკო ხალხია და უფრო დინჯ ცხოვრებას მისდევენ.

ქრისტიანობის შესახებ ამათ ბევრი სხვა და-სხვანაირი ცნობანი დარჩენიათ, ზოგან ხანდისხან ლაპარაკობენ, ოსმალთ როგორ გაუთათრებიათ ამათი მამანი. ქალების ზოგთ ახსოვთ ქართული ლოცვები და ბევრს ალაგას ქართული ქრისტიანული შელოცვებიც იციან; ზოგს სოფლებში, აღდგომისთვის წითელ კვერცხსაც ჰღებვენ. ეკკლესიის ნანგრევები, ნასოფლარები და ნასაყდრალები მრავალია. ნასოფლარ ადგილებთან და ნამეტურ ეკკლესიების ნანგრევებთან მრავლად არის ქვევრები. ღვინის დასაწურ დიდრონ ქვებსაც ხშირად ჰნახავთ.

ამათში ქართული ანბანი სრულიად დავიწყებულია და ნაცვლად არც თათრული გავრცელებულა. მთელს ამ მხარეში, ხოჯებს და მოლებს გარდა, 20 კაცს ვერ ნახავთ რომ თათრული კითხვა ან წერა იცოდნენ. ქართული კითხვის მცოდნე ხომ იშვიათად შეგხვდებათ. ბევრგან ისმის ნატვრა ქართულ წერა-კითხვის შესწავლის.

მშვენიერს ხიხაძირის და სხალტის ხეობაში სოფ. ბახმაროს წინ დღევანდლამდის სდგას ობლად ერთი დიდი ტაძარი, რომელიც მთლად თლილის ქვით არის ნაშენი. ამ ეკლესიას ეწოდება სხალტის ეკკლესია. ეს ეკლესია შემოკლებით აღწერა განსვენებულმა **დ. ბაქრაძემ** თავის არხეოლოგიურს მოგზაურობაში. 1874 წ. აღწერა კიდევ **გ. ყაზბეგმა.** 1889 წ. **უვაროვის** მეუღლე მოვიდა აქ და ამ ტაძრის სურათები გადააღებინა, როგორც გარეგან შენობის, ისე შინაგან ხელოვნურის მხატვრობის, რომელიც ძლიერ წამხდარა.

სხალტის ეკკლესიას გარედამ სიგძე ექმნება 10 და სიგანე კი 6 საჟენი. აშენებულია უგუმბათოდ, აი იმ გეგმით, როგორც პარხალის ეკკლესია არის (პარხალი ოსმალშია დარჩენილი) და დღეს ამ ეკკლესიის ნახევარი ქართველ მაჰმადიანებს ჯამედ აქვთ გადაკეთებული, სხალტის ეკკლესია ცოტად ტფილისის ანჩხატის ეკკლესიასაც ჩამოჰგავს. კედლებზე სანათურებთან ლამაზი ჩუქურთმებია გამოყვანილი. უმეტესი ნაწილი ჩუქურთმისა დაქცეულია. ეკკლესია მთლად სდგას, მხოლოდ გარედგან აქა-იქ თლილი ქვები ჩამოსცვივნია და ეს თლილი ქვებიც იქვე ჩამონაქცევ კედლების წინ ჰყრია.

ქვებში შესაძლებელია რომ ჩუქურთმები და ზედწარწერაც აღმოჩნდეს, ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ეკკესიის გარედამ არსად წარწერა არა სჩანს და ძნელია კაცმა იფიქროს, რომ ჩვენში ძველად ასეთი ეკკლესია გაეკეთებინათ და მასზედ არავითარი ცნობა არ დაეწეროთ. აქაური მოხუცებულებიც ამბობენ და თვით ერთ აქაურ ცნობილ ბეგმაც დამარწმუნა, რომ ამ ორმოცის წლის წინად ერთ ქვაზე ქართული ნაწერიც იყოვო, ხოლო რა იქნა ის ქვა, ეს ჩვენ აღარ ვიცითო.

ეკკლესიას სამი შესავალი კარი ჰქონია და სამივე კარებისწინ მიდგმულები აქვს მცხეთის ტაძრის მსგავსად პატარ-

პატარა შესავალი. ყოველ შესავალს თავის შესაფერი გუმბათი და ზევიდგან. უმეტეს ნაწილ დაზიანებულ ეკკლესიას შიგ სვეტები არა აქვს, კანკელის ადგილასაც აღარაფერი ეტყობა, კანკელის ნაპირას, ორსავ მხარე კედლებში პატარა საჯდომი ოთახები ჰქონია გაკეთებული, სადაც ორი კაცი ჩამოჯდება. იქნება ლოცვის დროს აქ ისვენებდნენ ამ ეკლლესიის მამანი.

ეკკლესია მთლად დახატულია შესანიშნავის მხატვრობით. უმეტესი ნაწილი მხატვრობისა დავარაყებულია ოქროს ფერად. მხატვრობის ხელოვნებას განცვიფრებში მოჰყავს კაცი. ასეთი მშვენირი მხატვრობა ბევრი არ მინახავს. ტფილისის სიონის მხატვრობის შედარება ამასთან არ შეიძლება. ეს ძვირფასი განძი ჩვენის წარსულისა, ძვირფასი საკუთრება ჩვენის მამა-პაპის ხელოვნურის მხატვრობისა დღესაც-კი ცხადად მოწმობს და ნათლად ამტკიცებს ქართველთა ჩინებულს და დიდებულს წარსულს. მაგრამ რა ჰქნას ქართველმა ერმა და მისმა მდგომარეობამ, რომ ყველა მის გამადიდებელ ძეგლნი ოსმალთ მეოხებით ფერფლად იქცა! სხალტის შესანიშნავ მხატვრობა მთლად დაძველებული და დახავსებულია. რაც დრო და ჟამთა ბრუნვას დაუკლია, ის ოსმალებს შეუსრულებით. მაღლა, მეტად ხელოვნურად დახატულს მაცხოვარს თვალები აქვს დახვრეტილი ტყვიით. ასევე აქვს ყველა შესანიშნავს დიდრნ ნახატებს. გაფუჭებულია მთელი საკურთხევლის ზედა მხარის მხატვრობა. მაგრამ რაც არის დარჩენილი ხელოვნურად დარჩენილი არშიები და სურათები თავიანთის წარწერებით, ესეც ძვირფასი ნაშთია. ზეითა პირის ყოველს ნახატს შერჩენია თავისი სახელი ხუცურის ასოებით. მთელი ზეითა ნაწილი ეკკლესიისა სავსეა ხუცურის ასომთავრულის ასოებით. ალაგ-ალაგ მკაფიოდ, ნათლად სჩანს როგორც ნახატი, ისე ხუცური ასოები. ნამეტურ წამხდარია ეკკლესიის ძირის კედლების ნახატები.

ერთხელ, როგორც ამბობენ, 1830 წ., როცა ხოჯა „ელაუ ექბერს" ლოცულობდა, ეკკლესიის ჭერიდამ ერთი ქვა ამოვარდნილა, ხოჯას თავში დასცემია და თავი გაუხეთქია. ქვის ალაგი გამოუგლესიათ და ზოგიერთ ხოჯებს უთქვამთ, რომ მაჰმადი არა ყაბულობს, რომ მან ჯამე არის და ჯამეში კიდევ სხვა-და-სხვა სურათები მოიპოვებაო. მაშინათვე დაუცალიერებიათ ეკკლესია, შეუტნიათ ფიჩხი და მიუციათ ცეცხლი. ძირის კედლების ნახატობა გაფუჭებულა, ხოლო ზევითა კედლების სურათებს ალი ვერ ასწვდენია და კედლები ბოლისაგან-კი შებურულა. გადაწვის შემდეგ ჯამე განუახლებიათ. ერთის წლის შემდეგ კიდევ ჩამოვარდნილა ერთი ქვა და ხოჯას დასცემია თავში ლოცვის დროს. ამ შემთხვევის შემდეგ-კი აქ ჯამე მოუშლიათ და ეკკლესიის დაქცევაც სდომიათ, მაგრამ სხვა და ხვა მიზეზის გამო საქმე შეჩერებულა.

ეკკლესიის იატაკიდან და ჭერიდან აუყრიათ თლილ ქვა და ამ ქვებით ეკკლესიის გალავანში, ეკკლესიის აღმოსავლის კარის წინ გვარიანი ჯამე გაუკეთებიათ; ეკკლესია-კი პირუტყვებისთვის თავ-შესაფრად გადაუქცევიათ! მაგრამ აქაც ერთი შემთხვევა მომხდარა: ერთ მეცხვარეს ერთ დღეს ცხვარი მთლად გაუწყდა ეკკლესიაში და თვით მეცხვარეც ავად გახდა. ამის მეოხებით ის ახალი ჯამეც მოშალეს იქ და სხვაგან გადაიტანეს. ეკკლესიის შესახებ წყევლა დასდეს: დღეის შემდეგ ემ ეკკლესიას არავინ მიეკაროსო. ზოგი ამბობდა, შიგ შითანია და ზოგი-ანგელოზიო. ეკკლესიას ხალხი დიდხანს არ ეკარებოდა თურმე. დღს-კი თითო-ოროლა კაცი შედის. ადრე ამ ეკკლესიის ქვებს სოფლის ხალხი იპარავდა, მაგრამ ვინც რამე წაიღო, იმან თავის ოჯახში სიკეთე ვერ ჰნახა და ბოლოს ის ქვებიც უკანვე მიიტანაო.

ამ ეკკლესიის შესახებ აი რა **ძველებურ ამბავს** ლაპარაკობენ: „ჩვენ ქრისტიანები ვყოფილვართ, მაშინ ჩვენ

გვყოლია ერთი მეფე, რომელსაც სახელად **თამარ-მეფე** ერქვა. ეს მეფე ამ ხეობაში ხშირად სცხოვრობდა, რადგანაც ეს ადგილები ზრიელ უყვარდა. ერთხელ როცა აქ მობრძანდა, ერთი დიდი მსხლის ხე ნახა, სწორე დიმ ალაგას, სადაცდღეს ეკკლესია სდგს. ის მსხლის ხე ისეთი დიდი და ტოტგაშლილი იყო, რომ მთელს იმ ხეობას ჰფარავდა. ერთ ღამეს თამარ-დედოალმა ისურვა იმ ხის ქვეშ ღამის გათევა და გაათია კიდეც. სიზმარში ის ხე ნახა და მისი სიძლიერე. მეორე დღეს თამარ მეფემ იმ მხლის ალაგს ეკკლესიის აშენება ბრძანა. მაშინვე დაიწყეს იმ დიდი მსხლის მოჭრა და ვერ მოსჭრეს; მეშვიდე დღეს როგორც იქმნა გადააწვინეს. მეორე დღეს რომ მივიდნენ ნახეს, რომ მოჭრილი ხე ისევ გამთელებულიყო. შეწუხდნენ ძრიელ. დაუწყეს ხელ ახლავ ჭრა და, როგორც იქმნა, მოსჭრეს. დაღალული მუშები საღამოზე შინ წავიდნენ. მეორე დღეს მოვიდნენ დ ახე კიდევ ხელახლავ გამთელებული დახვდათ.

დიდად დაღონდნენ ამაზე. ეს ამბავი თამარ მეფეს აცნობეს. დედოფალმა ილოცა და უბრძანა მუშებს: დღეს რომ ხე მოსჭრათ, ცულები შიგ ჩაურჭვეთ და ამაღამ ისე დასტოვეთ; ხვალ მიხვალთ და იქვე დაგხვდებათო. მუშები ასე მოიქცნენ, ცულები შიგ დასტოვეს, მეორე დღეს ხე ვეღარ გამთელებულიყო. მაშინათვე ეკკლესიის კეთება დაიწყეს დ ახე აღმოსავლეთის კარებში მოაყოეს. დღეს რომ ბოძებია დარჩენილი ეკკლესიის კარებში, ეს ბოძები სწორედ იმ ხის ბოძებია. ეს ეკკლესია დაუხატავს იმ ოსტატს, ვისაც სტამბოლის ჯამე დაუხატავსო".

აქ ქართველ მაჰმადიანებს მე ლაპარაკი დაუწყე და საყვედური ვუთხარი მასზედ, რომ ეკკლესია არ უნდა დაგეტოვებინათ ასე, დაქცეულ ალაგას გამოლესავდით, კირით გაამაგრებდით, იქიდამ აღარაფერი ჩამოვარდებოდა. არც ხოჯა დაზიანდებოდა და უფრო უკეთესი ჯამე იქნებოდა. აბა

ლორფინი და იატაკი აგიყრიათ, ამით ეს დაზიანებულა და ამ ქვებით ვერც კაი ჯამე გაგიკეთებიათ, ესეთი შენიშვნა ყველას ესიამოვნა. ერთმა სთქვა, ბატონო ეგრე კარგი იქნებოდა, მაგრამ რაკი ხოჯაებმა ასე გვირჩიეს, რომ მოვშორდეთ ამასო, ჩვენც მიტომ მოვშორდითო.

ქართველ მაჰმადიანებში დაკარგულა ქართული ჯვარის სახელი. აქაც ჯვარს სომხურად ხაჩს ეძახიან. ეს უნდა მომხდარიყოს შემდეგის გარემოებისაგან, რაკი ქართველნი ისლამს დაუკავშირდნენ. მის გამო მათ დაავიწყდათ ქათულის საეკკლესიო ნივთების სახელები, ასე დაივიწყეს ჯვრის სახელიც. ხოლო ძველ ეკკლესიის კედლებზედ რადგანაც ხშირად ხვდებოდათ ჩუქურთმით ამოჭრილი ჯვრები, ასეთებს გარდა მათხშირად ხვდებოდათ ფერადის წამლით ნახატი ჯვრებიც, რაც აკვირვებდათ მათ, ამისთანა ჯვრების სახელებს ესენი ჰკითხავდნენ აქეთ მცხოვრებ ქრისტიან სომეხ-კათოლიკებს, თუ ამას რა ჰქვიან თქვენებურათო? იგინი სომხურად ეტყოდენ, რომ „ხაჩი“ ეწოდებაო, ამიტომაც საერთოდ აქ ქართველმაჰმადიანები ჯვარს —ხაჩს უწოდებენ. ასეა ამის ისტორია ქობულეთში-კი ზოგ ალაგას ჯვარს იცნობენ, ასევე უწოდებენ.

როგორც ვსთქვით ზეგნელნი საკმარისად ჰგვანან აჭარლებს, მაინც ესეც აჭარა არის. ზეგნელნი უფრო მუშაკნი არიან, შესანიშნავია ამ კუთხის ქართველ მაჰმადიანები მითაც, რომ ამათ დღემდე თავიანთ დედა-ენა — ქართული კარგად აქვსთ დაცული. ეს საკვირველია მით უფრო, რადგანაც ზეგანს საზღვრავს ქვაბლიანი და ფოცხოვი, რომელ კუთხენიც ზეგანს, მესხეთსა და ჯავახეთს შუა სძევს და ამ კუთხის ქართველ მაჰმადიანებში-კი ქართული ენა დამხობილი, დავიწყებული აქვსთ. ეს-კი საფიქრებელი არის, ხოლო ამასაც აქვს თავის მიზეზები, თავის ისტორია. ამ გარემოებას თავის ალაგას აუწერთ მკითხველს. აქ-კი ეხლა მიუბრუნ-

დებით ზეგანს და ავნუსხავთ მის სოფლებს, ამის ანუსხვისთვის დიდს ხელმძღვანელობას მიწევდა **ნური ეფენდი ბერიძე,** პატივცემული ხოჯა მთელ ზეგანში, მასთან დაბა ხულოს მეჯლისის ყადი და ყველა ამაებთან დიდათ გონიერი და პატივცემული პირი, რომელიც თანაც-კი დამდევდა.

მთელ ზეგანში აი რა სოფლებია, ქართველთა-მიერ დასახლებულნი:

ბაკო, 8 კომლი. ამ სოფლის გვერდით წიფნარის მთა სდევს, მერე ურეყის მთა მისდევს და იმას იქით ფოცხოვი დაიწყება, ყარსის საგუბერნატორო ადგილები არტაანისა.

თხილვანა, 30 კომლი. ამას ზევით არის ხირხათის ციხე, ხირხათის ციხე დღევანდლამდე მთლადა სდგას, 1888 წ. აქ მოსკოვის არხეოლოგიურის საზოგადოების ბრძანებით, ადგილები დასთხარეს და შიგ ძველ ნივთებს ეძებდნენ, მაგრმ ვერაფერი ჰპოვეს. სურათები-კი გადაიღეს. აქ იწყება სხალტის მდინარის სათავე.

სკვანა, 15 კომლი.

ხიხაძირი, 10 კომლ. აქ არის ნაეკკლესიარი. ამას წინად ორი ქვის ჯვარი იპოვნეს.

ორთახევი, 5 კომლი. ზოგნი ამბობენ, რომ ეს სახელი უშნო ხევისაგან გადაკეთდაო.

ეს დაწერილ არს 1892 წ. ეხლა სოფ. სამჯერ მეტია ხალხით.

კალოთა, 20 კომლი. ამ სოფლის მთაზე პატარა ეკკლესიის ნანგრევია.ჭერი ჩაქცეულია.

ფუშრუკაული, 15 კომლი.

რაქვთა, 10 კომლი. აქ ყოფილა ძველად ფართო ეკკლესია.

ვერნები, 15 კომლი. აქ ორის ეკკლესიის ნანგრევია, რომელზედაც ერთ გლეხ-კაცს საბძელი გაუკეთებია; ამ ერთის თვის წინად ამ სოფელში ქვედა აჭარის უფროსმა პატივ-

ცემულმა **გიორგი ალექსანდრეს ძე ბერიძემ** ერთი დიდი თლილი ქვა იპოვა ხუცურის წარწერით. წარწერები გადაღებულ არს და ქვა შენახულ.

მაღლაკური, 5 კომლი. ამ სოფლიდგან, გათათრების დროს, იმერეთში გაქცეულან **მაღლაკიძენი,** მღვდლის შვილნი.

კვატია, 20 კომლი. აქაურებს ძველად თოფის და დამბაჩის კეთება სცოდნიათ, ით განთქმულნი ყოფილან; ეხლა კი ეს ხელობა დაცემულა. ამ ხელობის გამოჩენილი უკანასკნელი ოსტატი შარშან მომკვდარა. ამ სოფლების შემდეგ მიჰყვება სხალტის ხეობა, მაჭახელის მთებით, ჩირუღის, კორეიზის და ფორჩხის მთა.

წაბლანა, 30 კომლი. წაბლის ხეებისაგან დაერქვა ეს სახელი. პატარა ეკკლესიის ნანგრევი ქვები ჰყრია. ფორჩხას **ვახუშტიც** ასახელებს, მაგრამ ის ფორჩხა ლივანაში სძევს, ეს სხვა არის.

გორხანაული, 10 კომლი. ამ სოფლის ახლო სხალტის ხეობის წყალზე ხიდი ყოფილა, რომელსაც **თამარ-მეფის** ხიდს უწოდებენ.

ჭერი, 15 კომლი. ამის ახლოს სდგას სხალტის ტაძარი.

ყინჩაური, 12 კომლი. აქ ქართველთ დიდხანს უბრძოლიად ოსმალთ წინააღმდეგ.

ძმა-გულა, 10 კომლი. სჩანს ეკკლესიის ნანგრევი.

ბახმარო, 5 კომლი. ეს სოფელი, ახლად გაშენებულა. დასავლეთით ნენია ფურტიოს ხეობა მოსდევს შემდეგის სოფლებით:

ფურტიო, 40 კომლი. სჩანს ნაეკლესიარი. ესენი დიდხანს დარჩენილან ქრისტიანებად, ამ სოფელში არის ერთი ძველი ქვევრი, რომელშიაც 300 ჩაფი ღვინო ჩადის თურმე!

მჭედრული, 8 კომლი. ძველათაც პატარა სოფელი ყოფილა და შეუნიშნავი. ნასაყდრალი აქაც არის.

თათერული, 10 კომლი.

ბუთურაული, 20 კომლი. ამ ორს სოფელ შუა ნასაყდრალია. ნენია, 40 კომლი. ეკკლესიის ნანგრევები დღევანდლამდის სჩანს.

გუნდარა, 30 კომლი. არის ნასაყდრალი.

ორთა მეჰელე, 15 კომლი.

ოქროპარულა, 10 კომლი. ამ ორ სოფელს შუა არის ერთი ძვლი ციხე, რომელსაც აქაურნი „ყალე ბოინს“ უხმობენ. ეს ციხე **თამარ დედოფალს** გაუკეთებიაო.

დაბა ძველი, 10 კომლი.

ბერსენაული, 15 კომლი.

ყაიბაში, 20 კომლი. ამ სოფელს ძველად სხვა სახელი ჰქონია, რასაკვირველია, ქართული, ყაიბაში ოსმალურია. ეკკლესია ჯამმედ გადაუკეთებიათ.

კოლოჩნარი, 10 კომლი. ამ სოფლის ახლოს არის კავიანის ციხე, **თამარ მეფის** ნაშენი. მთლად სდგას.

გორხანაული, 15 კომლი. ამ სოფელს ახლო, კავიან ციხის ცოტა ზევით, აჭარწყლის ნაპირას, **თბილი გოგირდის წყარო არის.** აქ ბანაობენ ქარებიანი ავადმყოფნი და მალე იკურნებიანო. სვამენ კიდეც, მაგრამ წყარო ოხრად არის დატოვებული.

ვებული, ამ სოფლის ცოტა ზემოდ გადმოვლენ და ერთად იყრება ზეგანის ყველა ადგილების ხევები და წყლები. აჭარის წყალს აქ უერთდება ტბეთის და მირატის ხეობა თავის წყლებით. მირატისა და ტბეთის ხევი სხალტის გვერდით სძევს, აღმოსავლეთით, მარჯვნივ.

გოგაძე, 30 კომლი. ძველად დიდი სოფელი ყოფილა. ისლამის მიღების გამო **გოგაძენი** აქ ძლიერ ეურჩებოდნენ ოსმალოს მთავრობას. ბევრნი ამათგანი მიშთობილ იქმნენ და ბევრნი გურიაში გაქცეულნი. დღესაც არიან აქ ამ გვარის ხალხნი, მაჰმადიანები, თავიანთის გვარებით დაშთენილი.

ლომსაძენი, 15 კომლი. ამ სოფლის მაღლა, ერთს ტყიანს მთაში, სდგას პატარა ეკკლესია. ამ სოფელში ძველად **ლომსაძენი** მდგარან, ბევრნი ამათგანი იმერეთში გაქცეულან

ვახტანგის-ძენი, 10 კომლი.

ტბეთი, 30 კომლი. ტბეთის ისტორიული ტაძარი აქ არა სდგას, ეს ტაძარი ამ ხეობის გაღმაა. ტბეთი კარგა დიდს ადგილებს, დიდს ხეობას ეწოდება. ამ სოფლის ეკკლესია მთლად დაქცეულა, აქა-იქ ქვები-ღა ჰყრია.

სამოლეთი, 15 კომლი.

მოფრინიძე, 20 კომლი. ამ სოფლის შესახებ მაჰმადიანები ამბობენ: **თამარ-მეფის** დროს ერთი კაცი ყოფილა, რომელიც აქეთ-იქით თამარ-მეფის წერილებს ატარებდა. ეს კაცი მეტად ჩქარი მოსიარულე იყო, ფრინველივით ფრინავდა. ამიტომ **თამარ-მეფემ** ამ კაცს „**მოფრინიძე**" დაარქვა, ეს ადგილი საცხოვრებლად აჩუქა. ამ სოფელსაც მოფრინიძე ენოდა.

დაკლაკიძე, 20 კომლი.

ცინარიძე, 25 კომლი. აქ არის დარჩენილი ფართო ეკკლესიის და ციხის ნანგრევი.

ჯაბანიძე, 20 კოლი. აქ არის დაშთენილი ეკკლესიის ნანგრევი, ქვები-ღა სჩანს.

ქიძინიძე, 20 კოლი.

ტბეთის გვერდით **მირატის ხეობაა**, ეს ისე ხევ-მთა-ტყიანი ადგილებია. აქეთ არის შემდეგი სოფლები:

ღვანი, 40 კომლი. ამ სოფლის ეკკლესიის ადგილას სდგას კაი ჯამე. ძველად აქ კარგი ეკკლესია ჰქონიათ.

ლომინაური, 20 კომლი. აქ ყოფილან ძველად ლომინაძეები, თათრობის გამო ზოგი ამათგანი იმერეთში გაქცეულან.

გოგინაური, 25 კომლი. ძველად ეკკლესია ყოფილა, მაგრამ მთლად დაუქცევიათ, ერთ ქვასაც ვერ იპოვით.

კვირიხიძე, 30 კომლი. ეკკლესიის ალაგას ჯამე სდგას.

კარაპეტ (!), 25 კომლი. ამბობენ, რომ ძველად აქ სომხები იდგნენო. ამათ თავიანთი ეკკლესიაც ჰქონდათო. ზოგი ამათგანი გათათებულან და ზოგი აქედამ სხვაგან გაქცეულან. აქ სომხური ენისა და ტიპის არაფერი ნიშნებია დაშთენილი. სოფელი ნამდვილ მთიულ სოფელს მოგაგონებთ, მივარდნილ მიყრუებულს, სადაც ქართულის ენის მეტი სხვა არაფეი ისმის.

მაწყვალთა, 40 კომლი. ეკკლესიაზე ჯამე სდგას.

ჯუმუშაური, 10 კომლი. 1855 წ. აქედამ რამდენიმე კომლი ოსმალმა გადაასახლა წინააღმდეგობის გამო.

ოლადაური. 15 კომლი. აქ ცხოვრობს მოხუცი ჰაჯი **ლომან-ეფენდი ქარცივაძე.** ეს გაიზარდა სტამბოლში, იქ დიდი ადგილი ეკავა, ხონთქრის კარის ჯამეში ხოჯად იყო და უფროს მასწავლებლად სულთან მამუდის სასულიერო სასწავლებელში 18 წელიწადს. ხანში შესვლის შემდეგ ეს თავის სამშობლოში დაბრუნდა და ხულაში სასულიერო სკოლა გამართა, სადაც 100-მდე ქართველ მოლებს ასწავლიდა. სულთნისაგან ამას თვეშიათი ოქრო პენსია ჰქონია. ეს რუსის მთავრობამაც პატივით მიიღო. ბევრი ძველებური ამბები იცის ამ პირმა, ნამეტურ გათათრების შესახებ.

პაპაშვილები, 15 კომლი.მაღლაკიძე, 20 კომლი. ამ სოფლის ახლოს სდგას ძველი ციხე; ციხესთან ახლოს ნაეკკლესიარიც არის.

კობალთა, 10 კომლი. აქ ყოფილან ძველად **კობალაძეები,** აზნაურები. თათრობის დროს ზოგი ამათგან გურია-იმერეთისკენ გაქცეულა და ზოგი ქართლში. ამათ საგვარეულო ეკკლესია და ციხე ჰქონიათ. აქ დღეს აღარაფერი სჩანს.

ქუთაური, 7 კომლი. ეს სოფელი ქოჩახთან სძევს.

დარჩიძეები, 40 კომლი. ძველს ეკკლესიაზე ჯამე დაუდგამთ. აქ დიდი ციხეა. სოფელს ზევით არის მთა, ყავახლუღად წოდეული, სადაც ქრისტიანობის დროს დიდი ტაძარი ყოფილა, მაგრამ შემდეგ დაუქცევიათ. ეკკლესიის ქვები დღესაც ჰყრია აქა-იქ.

წყაროთა, 5 კომლი. ამას იქით ყალანის მთები იწყება.

შუბანი, 20 კომლი.

ტომაშეთი, 15 კომლი. ამ სოფელს ძველად ეკკლესია ჰქონია. ეკლესია თათრობის დროს დაქცეულა. ეს სოფელი სძევს ქოჩახს ახლო, ფოცხოვის მთებთან, სადაც იწყება ყარსის საოლქო ადგილები. აქ ზოგმა ქართული წერა-კითხვა იცის. ეხლა აღვწერთ იმ ხეობათა ადგილებს, რაც სხალტის მარცხნივ სდევს, აღმოსავლით და რაც ზეგანის ნაწილს შეადგენს. დაიწყებთ ხულიდგან:

ხულის ხეობა, ბევრად მშვენიერია ვინემც ზემოხსენებული ადგილები. აქ სულ ნაძვისა და კატარის ტყეებია, წყაროები მეტად ცივი, ხილი ბევრი, ჰაერი კარგი, პურისა და სიმინდის უხვი მოსავალი იცის, **ავად-მყოფობა იშვიათია,** გარეული ნადირი და ფრინველიც ბევრია. ხულის ხეობას აღმოსავლეთით ქვაბლიანი უძევს, ქვაბლიანის გვერდით ფოცხოვი; დასავლით —აჭარა; ჩრდილოეთით — ქობულეთი, სამხრეთით — ტბეთის და მირატის ხეობა შავშეთ-იმერხევის მთებითურთ. აქეთ აი რა სოფლებია:

აგარა, 50 კომლი. აქ არის ეკკლესიის ნანგრევი. ეს სოფელი მეტად მშვენიერი სოფელია. მთელი ეს ხეობა და ნამეტურ აგარა ერთი დიდი წალკოტია.

საციხური, 11 კომლი აქ ძველად დიდი ციხე ყოფილა, სადაც აქაურნი შეფარებდნენ ხოლმე თავს. ახლა აღარაფერი სჩანს.

სამახარო, 15 კომლი. ამ სოფელში ძველად **მახარაძენი** მდგარან. ბევრნი ამათგანი ქრისტიანობისთვის დახოცილან. ზოგი გურია-იმერეთისაკენ გაგცეულან.

ვანაძეები, 10 კომლი. ძველად აქ ყოფილა დიდი და მშვენიერი თლილის ქვით ნაშენი ეკკლესია. ეს ეკკლესია ბძანებით პირველ გათათრების დროსვე დაუქცევიათ ოსმალებს. დაქცევის შემდეგ გამაჰმადიანებული ქართველები თლილ ქვებს მიეზიდებოდნენ სახლების ასაშენებლად. მაინც ნაეკკლესიარის ადგილს დიდძალი ნანგრევი ქვები დარჩენილა. 1889 წ. აქ იყო **უვაროვისა** და ამან გადაათხრევინა ეკკლესიის ნანგრევები, რაც 3 000 მან. დაუჯდაო. მიამბეს: ეკკლესიის იატაკი თლილის ქვით ნაგები აღმოჩნდა. მთელი იატაკი ააყრევინა, საფლავები გაათხრევინა, შიგ ერთი ლურჯი მარმარილოს ქვის ფიცარი იპოვნეს, რომელზედაც დახატული ყოფილა მღვთის მშობელი, გარშემო ფეხზედ მდგარნი ქართველთ მეფეები და მხედრული წარწერა ჰქონია. იპოვნეს კიდევ ერთი ძველი პატარა ვერცხლის ხატი და სხვა ნივთები, რაც შესანიშნავი ქვები მოგროვდა, რომელზედაც-კი ჩუქურთმა და მხატვრობა აღმოჩნდა, ყველა ესენი ერთად შეკრიბეს და რუსეთს წაიღეს. სულ 100 ფუთამდე იყოვო. დღეს ამ ეკკლესიის ალაგას აღარაფერია და მთლათ მიწით არის დაფარული. სოფლელებს მიწა მოუფენიათ და ჰხნავენ, დანარჩენი ქვებიც სულ აქეთ-იქით გადუყრიათ. ამ ეკკლესიას **ვახუშტიც** მოიხსენებს. აქებს, დიდს, მშვენიერსა და კეთილ-ნაგებს ეკკლესიას. სჩანს ეს ეკკლესია შემდეგ დაქცეულა. ასე და ამ გვარად დაამხო ოსმალეთმა საქართველო, ქართველების ყოველივე შეჭამა და დავიწყებას მისცა, ამიტომაც ზეგნელების ყოველივე დიდება მარტოდ მიწაშიღა ინახება და სხვაგან არსად.

მეკეიძე, 7 კომლი.

ვაშაყა, 8 კომლი.

მიმითა, 20 კომლი. მესხნი დასახლებულან 1829 წ.

დავლა, 6 კომლი.

ზემოხსენებულ სოფლებს თავიანთი ეკკლესიებიც ჰქონიათ, დღეს აღარაფერი სჩანს.

ალმე, 20 კომლი. აქ არის ნასაყდაი, ნანგრევის ქვები ბევრია. აქა-იქ სოფლის სახლის ბუხრებშიაც ნახავს კაცი ისეთს ქვებს, რომლებსაც ხუცური წარწერა აქვს.

მერგაძე, 20 კომლი. ნასაყდრალი არის.

წინწკარა, 25 კომლი. ნასაყდრალზე ჯამე გაუკეთებიათ. აქ ყოფილან აზნაური **წინწკარაშვილები.** აღობა მიუღიათ და თათრულად იწოდებიან.

სტეფანეშვილები, 30 კომლი. ამბობენ, რომ ეს სოფელი ერთობ გვიან გათათრდა. სხალტზე, ფურტიოსა და ფორჩხაზე ბევრად გვიან. აქ ეკკლესიის ქვებიც არის.

ტუნაძე, 15 კომლი. აქ გადმსახლებულან 1829 წ. მესხეთიდამ.

ირემაძე, 20 კომლი. აქ ამ სოფლებთან ღორჯომის წყალზე არის ერთი პატარა ქვის ძველი ხიდ, რომელსაც **თამარ მეფის** ხიდს უწოდებენ. ამ სოფელში **ირემაძეების** ცხოვრობენ, ესენი ამბობენ, რომ ჩვენი ძველები თამარ-მეფის დროს ირმის ჯოგი მომვლელნი ყოფილან. აზნაურობა იმათ გათათრების დროს ქრისტიანობის გამო დაუკარგავთ.

ამ სოფლი ზემოდ დიდი აჭარის ხეობაა, ტყით, ხილით შემკობილი, მოსავლიანი, წყლით უხვი.

შავაძე, 20 კომლი. კოშკი ჰქონიათ ამათ ძველად. ნაკოშკარიც არის.

ხოსიაშვილები, 13 კომლი.

გებაძე, 15 კომლი. ამ სოფლებს შუა ერთი კარგი ეკკლესია მდგარა ძველად, ახლა აღარაფერი სჩანს.

ამ სოფლებს აღმოსავლეთით მოჰყვება არგინეთის მთები დამ ის წინ ხულის ხეობა.

ყადიოღლები, 13 კომლი. სოფლის გვერდით ნაეკკლესიარია და ციხეც არის, ციხის გვერდზედ ერთ ციცაბ კლდეზე, ერთი დიდი ქვა ძევს, ეს ქვა ძველად ამ სოფლის შვიდ ძმას დაუდვიათ ნიშნათ თავიანთის ვაჟკაცობისა. ამ ციცაბო კლდეზე ორსავ მხარეს კიბეა გაკეთებული წყლისაკენ. კიბის გვერდით ერთ ალაგას თონეცა სდგას. აქ **უვაროვისამ** საცეცხლურის ეჟვნები იპოვნა მიწაში.

ელელიძე, 7 კომლი.

დიაკვნიძე, 10 კომლი. აქ ყადიოღლებს აქვთ ეკკლესიის აღსავლის კარის ფარად. ეს ფარად მოქსოვილ-მოქარგულია ძველებურის ხელოვნურის ნაკეთობით. ამ ფარადს ესენი ხმარობენ რამაზანის ნაკერობით. ამ ფარადს ესენი ხმარობენ რამაზანის დროს. ამაებს გარდა ქალებს ბევრი კიდევ სხვა ძველი ნივთები აქვთ თურმე შენახული, მაგრამ ამ ძვირფასს ნივთებზედ ცნობების შეკრება ძნელია; ამათი ქალები უცხო კაცს-კი არა და თავიანთ ნათესავებსაც არ ეკარებიან ახლოს, ეს ძველი ნივთბიც რჩება მათში საიდუმლოდ.

დუაძე, 15 კომლი.

ჯირკვა, 30 კომლი. აქ ნასაყდრალი არის.

უჩხო, 15 კომლი. ამ სოფლიდგან ერთი გზა ჭვანის ხხეობაზედდ გადადის მთა-მთა. ტყეები სულ ნაძვით არის სავსე, ერთს ალაგას პატარა **რკინის წყაროც** არის. ამავე სოფლის ზემოდ უდაბურს ტყეში სდგას პატარა მთელი ეკკლესია.

გადასახვევი, 10 კომლი.

ოქროაშვილები, 20 კომლი.

ხულა, ძველადგანვე 25 კომლი. აქ ძველათ მშვენიერი ეკკლესია იყო; დღეს ამ ეკკლესიის საძირკველზე, სწორეთ ეკკლესიის ზომაზე ლამაზი ჯამე დაუდგამთ. ხულის ეკკლესიის ჩუქურთმიანს ქვებს კაცი აქა-იქ შეხვდება. ჯამეს ქვეშ ორის არშინის ტოლა ეკკლესიის კედლებია დატოვებული. ამ

ეკკლესიის გვერდით არის სასაფლაო **ხიმშიაშვილებისა,** რომელ სასაფლაოს გალავანიც შემოკრულია ნაეკკლესიარის ქვებით; წინა კედელი ნაეკკლესიარისა თლილის ქვით არის გაკეთებული. ხულაშივე არის ძველის-ძველი ციხე მეფეების დროს გაკეთებული. **შემდეგ ეს ციხე ახმედ ფაშამ** დააქცევინა და სასახლედ გააკეთებინა. ეს სახლი დაქცეულ-დანგრეულია. ამ სახლის აბანოში ერთი მეტად ძველი ზორბა ზარბაზანიც გდია. ხალხმა ამ ზარბაზანის არაფერი იცის, თუ როდის და ვის მოუტანია. ხოჯა **ნური ეფენდი ბერიძემ** შემდეგი მიამბო ამ ციხეზე: **ახმედ ფაშის ძმა ქორ უსეინ-ბეგ ხიმშიაშვილი** ძრიელ წინააღმდეგი იყო ოსმალოს მთავრობისა. იმასა სურდა, რომ ეს მხარე ოსმალებისა არა ყოფილიყო. 3 000 აჭარელით ოსმალთ ომი აუტეხა. ოსმალომ ჯარი გაგზავნა, ათი ათასი კაცი. **ქორ-უსეინი** ამ ციხეში იყო და აქედამ შეება მათ. საქმე გაუჭირდათ ოსმალთ, მაგრამ ბოლოს სძლიეს და ქორ-უსეინ ბეგიც დაიჭირეს და სტამბოლს წაიყვანეს, სადაც მოსჭრეს თავი. ეს ციხე და სასახლეც მის შემდეგ დაანგრიეს.

ქედლები, 30 კომლი.

ამ სოფელს მოსდევს ჩახატურის მთა, ბოდიშისა და უჩხითის მთა, ხულის პირდაპირ კატრინის მთა, შუაში გზა გადადის ჭვანისკენ, მერე მისდევს ბეღლეთის მთა. გორჯი-ყალეს ტყეში სდგას ერთი პატარა ეკკლესია. ეს მთები გადადის შუახევამდის. ამის პირდაპირ, ხულის ხევით აღმოსავლეთის მხარეს არის ბეღლეთის ხეობა, რომელზედაც გაივლის ქვაბლიანის სახელმწიფო გზა. ხეობა მეტად მშვენიერი, ჰავით, წყლით, ხილით, მოსავლით და საქონლით. ამ ხეობის ახლოს დაიწყება აჭარ-წყლის სათავე. ეს წყალი ერთვის ხულოს და სხალტის წყლებს. აქეთ არის შემდეგი სოფლები:

მელაძე, 10 კომლი. თათრობის დროს აქედამ ბევრი წასულან საქართველოშიო.

იაკობაძე, 15 კომლი. ნაეკკლესიარიც არის. აქეთ ყველგან ნაეკკლესიარ ნასაყდრალს ეძახიან.

ღორჯომი, 8 კომლი. ძველად აქ დიდი ციხე ყოფილა. 1830 წელში დაუქცევიათ ოსმალთ.

ღურტა, 30 კომლი. ეკკლესიაზე ჯამე დაუდგამთ. საკვირველი აქ ის არის, რომ ხალხის გადმოცემით, ყველა დაქცეულს ეკკლესიებზე ჯამეები სდგასო.

პაქსაძე, 15 კომლი.

კორტოხი, 10 კომლი. ამ სოფლის ზემოდ, დიდ გორის ტყეში, საციხურისაკენ, **ნური ეფენდიმ** მითხრა, რომ ერთ თლილი ქვის დიდი ეკკლესიის ნანგრევი სდგასო.

მანიაკეთი, 300 კომლი. მშვენიერი სოფელია.

დიოკნისი, 15 კომლი. ძველად აქ ყოფილა კარგი ეკკლესია. სოფლელებს დაუქცევიათ და ხოჯისთვის სახლი გაუკეთებიათ.

ტაბახმელა, 8 კომლი.

ბოლაური, 20 კომლი.

ბეღლეთი, 30 კომლი. ამ სოფლის ტყეში პატარა ეკკლესიის ნანგრევი არის.

მაჭახელი, ბათუმის ოლქი

ბათუმიდამ მაჭახალის უკანასკნელ სოფელს ეფრატამდე სამოც-და-ათი ვერსი ითვლება, ოც-და-ათი ვერსი ცხენით სავალი და დანარჩენი ფეხით. რადგანაც გზა ძრიელ ვიწრო კლდიანს ალაგას გადადის, ამიტომ ერთ კაცსაც უჭირს გავლა. ასეთი ვიწრო გზებია, საშინელი ადგილები, საშიშარი ტყეები და გადასავარდნ დასაღუპი ხევები. აქეთ გზები არც ოსმალოს დროს ყოფილა გაკეთებული და, მგონი, რომ არც ეხლა გაკეთდეს, რადგანაც მაჭახლის მდგომარეო-

ბა ისეთ ნაირად იფარგლ-ისაზღვრება, რომ კაცი იქ თუ განგებ არ წავიდა, უიმისოდ აქ არავინ მოხვდება. თუმცა მოკლე გზა გადადის შავშეთზე, მაგრამ ვიწრო გზისა და შიშიანობის გამო აქეთ არავინ დაიარება. აქ დღეს დიდი შიშიანობა არის, მარტოდ უცხო მგზავრი ვერსად ივლის.

მაჭახელს აღმოსავლეთით უძევს აჭარა, დასავლეთით — ლივანა, სამხრეთით — არტანუჯი და დიდებული კარჩხალის მთები და ჩრდილოეთით — ჭანეთი. მაჭახლის შუა ჩამოდის ერთი მშვენიერი დიდი მდინარე, რომელსაც მაჭახლის წყალი ეწოდება. ეს წყალი გამოდის არსიანის მთების დასავლეთ კალთებიდგან და აქედან ჩამოუდისკარჩხალს, მერე მიემართება მთელს მაჭახელს და ბოლოს ერთვის ჭოროხს, მარადიდის მახლობლად, სოფ. აგარის მთის ძირს, რომელ მთაზე დღევანდლამდე სდგას ს. აგარის მთის კისერა ციხე.

აქაური ხლხი ძველადგანვე, როგორც მეომარი ხალხი, უმეტესად თოფ-იარაღის კეთებას მისდევდა. მაჭახლის თოფი და დამბაჩა შედარებულ და შეწონებული იყო სტამბოლის თოფსა და დამბაჩებთან, აქეთ თოფის წამლის გაკეთება შემოსულა თითქმის იმ დროს, როცა იგი ევროპაში გავრცელდა. ასე რომ მაჭახლელებმა ამის კეთება ოსმალთა დამორჩილების წინედ იცოდნენ. აქეთ, ძველად, მაჭახლელნი პირუტყვის მოშენებასაც კარგად მისდევდნენ, ნამეტურ ძროხისა და ცხვრის გამრავლებას. ამას გარდა აკეთებდნენ კარგს მოყვითალო ყველს, ერბოს და კარაქს. ამათი ყველის კვერეული 3-5 გირვანქამდე კეთდება. ეს არა დროს არ დალპება, არც დაობდება; თუ ძალიან გახმა, ერბოში მოსწვამენ და საჭმელად ფრიად გემრიელი და შემრგოა. აქეთ ძველად სთესდნენ სიმინდს, პურს, ბრინჯს, ფეტვს და მისდევდნენ მევენახეობას. მაგრამ ყველა ესენი დავარდა მას შემდეგ, რაც სამცხე-საათაბაგო ოსმალმა დაიჭირა და ქართველობაში ოსმალური წესები შემოიტანა. ამის მეოხებით დღეს აქ

ყველაფერი დაცემულია და ამოვარდნილი, ვაზიც ძირიანად ამოუგდიათ, პირუტყვის მოშენებაც შემცირებულა, დარჩენილა მხოლოდ სიმინდის მოყვანა.

აქაური ტყეები სავსეა ვაზით, კაკლის, ბზის, მსხლისა და ნამეტურ თუთის ხეებით. თუთის მარცვალი ჩვენებურ თუთის მარცვალზე ოთხჯერ დიდია. აქ ამით თაფლსაც აკეთებენ. ამას ქართველი მაჰმადიანები „ბჟოლის ბადაგს" უწოდებენ. კაკლის ტყესა და ხეებს ნახავს კაცი ნამეტურ იქ, სადაც-კი ძველად ქართველთ ეკკლესიები და მონასტრები ყოფილა. დღეს ეს მონასტერ-ეკკლესიები მთლათ დაქცეულ-დანგრეულებია და არსად აღარაფერი სჩანს, გარდა დაქცეულის კედლების და ნანგრევებისა. ხიდები და ციხეები-კი ოსმალოთ დაუქცევიათ. მაჭახლის წყალზე ერთ ალაგას არის ძველი ხიდი, სიგძით 9 საჟენი და სიგანით ორი, ამ ხიდს ქართველ მაჰმადიანები **თამარ მეფის** ხიდს უწოდებენ. აქ, ამ მიყრუებულს მხარეში თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ მოხუცს თუ ახალგაზრდა კაცს თუ ქალს, რომ ამათ **თამარ მეფის** სახელი არ იცოდნენ.

ესენი ხშირად ლაპარაკობენ თამარ მეფეზე და ამბობენ, რომ ეს დიდი ფადიშაჰი ჩვენს კარჩხალის მთაზე სცხოვრობდა და აქედან ბრძანებლობდაო. ამათი ზოგიერთი მოლები და ხოჯები ვნახე, თამარ მეფეზე ლაპარაკი ჩამოაგდეს და სთქვეს, რომ თამარ მეფე მაჰმადის სჯულისა გახდა და აქაც იმიტომ შემოვიდა ეს სჯულიო. მე უთხარ, ეგ ტყუილია. მათ ეწყინათ და ფანატიკურის მღელვარებით წარმოსთქვეს.

ჩვენს ქითაბში ეგრე სწერია, ჩვენი ძველებიც ეგრე იტყოდნენო, მაჭახლის დასასრულს, კარჩხალის ახლოს, სძევს სოფ. ევფრატი, სადაც აქა-იქ მთებზე ბევრი ძველი ნაშენებია დაშთენილი, ეკკლესიის ნანგრევები, ციხეები, კოშკები სხვა და სხვა შენობები და ჰაუზები. ყველა ამაებს მაჰადიანები თამარ-მეფის ნაკეთებს ამბობენ, ძველად აქ ქალაქი იყოვო

და ოსმალთა დროს მაჭახელი შეადგენდა ერთ სამუდერისოს, რომელსაც საერისთაოზე მეტი უფლება ჰქონდა მინიჭებული. აქ იჯდა მაშინ ოსმალის მუდერისი. ამას გარდა აქა-იქ სცხოვრებდნენ გამაჰმადიანებული ქართველ ბეგებიც, მაგალითად: **გვარილოღლები, ქავთაროღლები, ზაქარიაძეები** და სხვანი, რომელთაც ხალხის საქმეების გამგეობის დროს ერთმანერთში ხშირად ბრძოლა და ვაი-ვაგლახიც ჰქონდათ.

ოსმალოს დროს მაჰმადიანთ სასულიერო წოდებას მაჭახელზე ერთობ დიდი ყურადღება ჰქონდა თურმე მიპყრობილი, რადგანაც ესენი დიდხანს ეწინააღმდეგებოდნენ მაჰმადის სჯულის შემოღებას. აქ ერთ ალაგას სცხოვრობენ **ძნელაძეები** და ამათ სოფელსაც ძნელეთი ჰქვიან, ძნელაძეები დიდი წინააღმდეგნი ყოფილან გათათრებისა, ამის გამო დაუკარგავთ თავიანთი შეძლება და ბოლოს დაღარიბებულან, რის გამო მათი შთამომავალნი ძლიერ ემუდარებიან და საყვედურით იხსენიებენ მამა-პაპას, რომ ქრისტიანობის გულისთვის იმოდენა მამულები დაკარგეს და ჩვენ ამ ყოფაში ჩაგვყარესო.

ოსმალოს სასულიერო წოდებამ თავის ოსტატურის მოქმედებით მაჭახლის ერში სასტიკის წესებით განავრცელა ფანატიკოსობა. მოსპეს ყველაფერი; ქართული წიგნები, ეკკლესიები, მონასტრები და თვით სიტყვა „ქართველი“ და ქართველობა დიდათ შეაძულეს. არტანუჯს, არტაანს და ერუშეთის ქართველ მაჰმადიანებთ შემდეგ პირველ ფანატიკოსებათ მაჭახლელები ირიცხებოდნენ და ირიცხებიან დღესაც.

ოსმალოს დროს ამათი რიცხვი აქ 30 000 სულამდე იყო, მაგრამ უკანასკნელს ომში გაწყდა რამდენიმე ათასი. ესენი თავიანთის ნებით მირბოდნენ საბრძოლველად, ომის შემდეგ ამათი რიცხვი 25 000-მდე იყო. რუსეთთან შემოერთების შემდეგ ესენი აჯანყდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამათ მხა-

რეში ოსმალოს მთავრობის მაგიერ რუსის მთავრობა დაარსდა. აქ განაგებდა „უჩასტკის“ უფროსი. ეს საკმარისად კარგათაც ეპყრობოდა ხალხს, მაგრამ ფანატიც მოლების მეოხებით საქმე ისე მოიმართა, რომ მაჭახლელებმა 1879 წ. მოაწყეს გადასახლება ოსმალეთში, ანუ როგორც ისინი ამბობენ „მუჰაჯირათ“ წასვლა და ორი წლის განმავლობაში საქართველოდამ ოსმალეთში გადასახლდა ჩვიდმეტი ათასი სული. მთელი მაჭახელი ისე დაცარიედა ხალხით რომ რუსის მთავრობამ აქ უფროსის სამმართველო გააუქმა, მაჭახელი ზედა აჭარას შეუერთა. დღეს მაჭახელში მხოლოდ 700 კომლი-ღა ითვლება*.

ამოდენა მხრის მშვენიერ სოფლების სახელები სულ ვერანად გადაქცეულა. მარჯვნივ და მარცხნივ, მაღალი ნაძვის ტყეები სავსეა ოროლ-სართულიანის სახლებით, რომელნიც საბრალოდ გაოხრებულან და მინგრეულ-მიქცეულან, მნახველს გულს ცეცხლი მოედება, როცა-კი დაინახავს ამოდენა მხარეში ასე გაოხრებულ და ვერანად ქცეულს ქართველთ ძველსსოფლებს და მასში აგებულს მშვენიერს სახლებს. ამ მშვენიერ ხეობის მზერით კაცის თვალი ვერ გაძღება. ნამეტურ კარჩხალისწინ მდებარე ნაძვიანის ადგილებით ხერთვისის ახლო-მახლო.

მთელი მაჭახელი გავიარე. 1892 წ. 16 ივლისს ხერთვისის ჯამეზე დავესწარი, ქართველ მაჰმადიანების ჯუმა დღე იყო, ე. ი. პარასკევი და აქ ერთობ დიდი ხალხი იყო მოსული, რადგანაც იქვე ასაფლავებდნენ ერთ ქართველ მაჰმადიანს. მიცვალებულის დასაფლავებაზე ამათ არც ტირილი სცოდნიათ და არც ქელეხი. დასაფლავების შემდეგ შუადღის ლოცვა დაიწყეს. ლოცვის შემდეგ მე ძლიერ ბევრნი გავიცანი,

---

* ეს აღწერა **დაიწერა და დაიბეჭდა 1892 წ.** ეხლა მაჭახელი გამრავლებულ არს.

რადგანაც აქაურს ერთ ბეგთან **ქავის-ოღლთან** აჭარის **ბეგ ბეჟანიძემ** წერილი გამატანა. გარდა ამისა მე საკმარისი დახმარება აღმომიჩინა მაჭახელში მგზავრობის დროს მაჭახელის მკვიდრ მცხოვრებმა **ახმედ აღა მისილ ოღლიმ (კახიძე).** ხალხი გაოცებით მიმზერდა. ფეს-დახურული ქართველ მაჰმადიანი და პატარა ბავშვები ერთად უკან დამდევდნენ და საშინელის გაკვირვებით მიცქეროდნენ და ერთმანერთს რაღასაც უჩურჩულებდნენ. ეს არც არის ამათგან გასაკვირველი, რადგანაც მთელს დასავლეთ საქართველოს ნაწილში ყველაზე ველურს ტყის ნადირ ხალხად დღეს მაჭახელელები ირიცხებიან და ყველაზე მიგდებულს და ყრუ მიუვალ ადგილად მაჭახელს სთვლიან.

ჩვენდა საუბედუროდ, მთელს მაჭახელში და აქაც ამ კრების დროს, მე ერთი კაციც ვერ ვნახე ისეთი, რომ მას ქართული კითხვა სცოდნოდა. მე ხალხს მათებური ლექსები წავუკითხე და „მოლა მასრადინას“ ზღაპრები. ხალხს ძლიერ ესიამოვნა. მერე მათებური ლოცვები წავიკითხე და ამან ხომ უფრო გააკვირვა. ზოგიერთებს ანბანის კითხვა დავაწყებინე. ორმა ბავშვმა გვარად **დოღლიშვილებმა** მტაცეს ხელი და მთხოვეს: ჩვენ შენ აღარ გაგიშვებთ. ჩვენსა უნდა წამოხვიდე, რომ კითხვა გვასწავლოო.

ეს ყმაწვილები დიდს აღტაცებაში მოიყვანა „დედაენამ“ და ნამეტურ **ვ. აღნიაშვილის** ანბანმა. სურათებმა და ანდაზებმა ერთობ გააოცეს ესენი. ერთმა მაჰადიანთ ბავშვმა დაუწყო თავის ამხანაგებს ყვირილი:

— უსუფა, მამედა, ერთი შეხედეთ რა ლამაზი ქითაბია, გურჯიჯა (ქართული) წიგნებში. ბავშვებმა ჩახედეს და თვალებიდამ კინაამ ცრემლები წამოსცვივდათ. ყვირიან:

— შენი ჭირიმე, გვიჩვენე ეგ ქითაბები, გვასწავლე ალიფ ბეგი და სხვანი.

ამ დროს ჩემთან მოვიდა სოფელ ევფრატის მამასახლისი **ოსმან-აღა ტყიბორიძე,** კაცი მოყვარე ქართველთა და მითხრა:

— შარშან თქვენ აჭარაში წიგნები ამოგეტანად და ხალხისთვის დაგერიგეინათ და ანბანის კითხვა გესწავლებინათ ჩვენ რომ შევიტყეთ ეს ამბავი, ძრიელ გვეწყინა და გული გვეტკინა, რომ ჩვენს დაღუპულს და კაცისაგან მოულებულს მაჭახელში არ მოხვედით. ეხლა ძრიელ გამეხარდა ეს და დიდი მადლობელი ვარ, რომ თქვენ აქაც ამოხველით. იმედია, რომ დღეის შემდეგ ხშირად გვნახავთ და ქართულსწერა კითხვასაც გვასწავლით, ეს ჩვენთვის უფრო საჭიროა, ვიდრე თათრული.

ამან ბევრჯელ მთხოვა, რომ მე მას მშვენიერს სოფელში ევფრატში გავყოლოდი ყმაწვილების სასწავლოდ, მაგრამ მე **მისილ-ოღლებმა (კახიძეებმა)** და **გვარელოღლებმა** არ გამიშვეს. გარდა ამისა, მითხრეს, რომ კარხალის წინ, ევფრატისკენ შიშიც არისო, რადგანაც აქ ყაჩაღობა ხშირიაო. ამან უფრო დამაბრკოლა. მე პირობა მივე, რომ ერთის თვის შემდეგ გნახავთ-მეთქი.

აქვე გამაცნეს რამდენიმე ხოჯა და მოლები, ყველანი ფანატიკები არიან, ტომით ქართველნი და ქართულის ენის, საქართველოს და ნამეტურ აწინდელის მდგომარეობის მძულვარენი და წინააღმდეგნი. ერთი ამათგანი სოფ. ჩხუტუნეთში ქართველ მაჰმადიანებს ასე უქადაგებს:

— თქვენ ცეცხლად უნდა შეგერგოთ ამ მურტალ ქვეყნის პური, რომ ამ პურს თქვენ აქ სჭამთდა ამავე დროს თქვენი ძმები-კი, მუჰაჯირათ წასულები ოსმალში მშივრები იხოცებიან, თუ კაცები ხართ, წადით თქვენც მათკენ და იქ იმ საბრალოებთან დაიხოცენით და იქ ცხონდითო. ასეთის მქადაგებელ მოლებით სავსეა აქაურობა. ამათ აქ თათრული ლაპარაკი საკმარისად მოუფენიათ, ისე რომ მაჭახელში ყო-

ველმა ქართველ მაჰმადიანმა იცის თათრული ლაპარაკი ოსმალური, ანუ არაბული წერა-კითხვა-კი ბევრმა არ იცის, თითქმის არავინ, თითო სოფელში შეიძლება თითო კაცი ნახოთ, რომელმაც იცოდეს თათრული წერა-კითხვა, ისიც სოფლის მამასახლისთან, ესეც მწერალი (ქათიბი) იქნება, რადგანაც აქაურს მუხთრებს (მამასახლისი) სულ თათრული მიწერ-მოწერა აქვსთ. ქართულს ენაში ბევრი თათრული სიტყვებიც შემოსულა. პატარა ბავშვებში-კი დღეს თურმე შემცირებულა თათრულის ენის გავრცელება. ქალებმა ხომ სულ არ იციან თათრული. აქ ესენი ყოველთვის, ქართულად ლაპარაკობენ და უფრო იმერულის კილოთი. სიმღერებიც იმერული იციან, ყველგან „ოდელიასა“ და სხვა სოფლურს ხმებს გაიგონებთ. სხვა რამ ხმები და ოსმალური სიმღერები ამათში ვერ შემოსულა.

ხოჯებთა შორის მე გავიცანი ერთი ახალგაზრდა ხოჯა **ლომან ეფენდი შოთიძე,** სოფელ აკრიელი. ეს სოფელი მაჭახელშია, ევფრატის ახლოს. ეს ხოჯა 12 წელიწადია სტამბოლის მაჰმადიანთა სასულიერო სასწავლებელში სწავლობს; მერმის სწავლას ათავებს, წელს იმიტომ ჩამოსულა აქ, რომ ამას თავიანთ სოფელში დედ-მამა დახოცია. თვითონ თავაზიანი კაცია, ხოლო კაი ფანატიკი, მე ვკითხე:

— რატომქართულს წერა-კითხვას არა სწავლობთ?

— ჩვენ სტამბოლში ყველა ენებს გვასწავლიან, ფრანსუჯა, ალემანჯა, არიბი, მაგრამ ქართულს-კი არა, რადგანაც ქართველი ჩვენგან შორს არის. ან რა საჭიროა.

— როგორ, განა შენ მაჭახლელი არ ხარ, **შოთიძე** გვარად, ქართულის ენით მოლაპარაკე! ეს როგორ იქნება, რომ შენ სამამულო ენა არ იცოდე, შენის ქვეყნის ძველსა და ახალს ამბებს არა სწავლობდე?

— მე აქ არ დავრჩები, ქვეით უნდა წავიდე, თორემ აქ რომ ვრჩებოდე, მაშინ-კი უსათუოდ ვისწავიდი ქართულს წერა-კითხვას.

ამ ხოჯამ მითხრა, რომ სტამბოლში ძლიერ ბევრნი სწავლობენ ჩვენთაგანაო, მაგრამ ქართულს არავინ სწავლობსო. მე სინამდვილით და ჭეშმარიტებით შევიტყვე რომ ასეთ ახალგაზრდა პირებს სტამბოლიდამ საქართველოში უფრო იმ განზრახვით გზავნიან, რომ ამათ აქ ხალხს გადასახლებაზე უქადაგონ, სჯულის გულისთვის ურჩიონ ოსმალში წასვლა. მიტომაც აფანატიკებენ თურმე ამათ.

ამის მქადაგებელნი თავიანთ ბუდეთისეთ მიყრუებულს ადგილებს იკეთებენ, სადაც აწინდელის მთავრობის კაცი ერთობ იშვიათად ხვდება. ერთ ამისთანა ბუდეთ მაჭახელი ითვლება და მათის მეოხებით აქ დღესაც ჰნახავს კაცი ისეთ მაჰმადიანებს, რომლებიც მუჰაჯირად წასვლაზე ლაპარაკობენ. თუ ამათ არ მოესპოთ აქ შემოსავლის უფლება და მასთანვე თუ აქაურებსაც არ აღეკრძალათ თავიანთ შვილების სტამბოლში გზავნა, მაშინ აქ ბევრი უბედურება დატრიალდება და ძლიერ ბევრი ოჯახი მოსწყდება თავის სამშობლოს.

მავნე ხოჯა-მოლების მეოხებით, აქეთა მხრის ქართველებში ორის ცოლის შერთვა გახშირებულა. მაჭახლის ქართველი ქალები ისე არა სწუხან ამაზე, როგორც აჭარისა და სხვაგან. ამას გარდა, აქ მოხდა შემდეგი: ერთი ქვრივი ქალი ქვრივმა კაცმა შეირთო და ამ კაცმა თავისი გერი — ქალი თავის პირველ ცოლის შვილს მიცა ცოლად. ამას აჭარელნი ადვილად ვერ გაბედვენ, ქალები არ იზმენ. აქედამ მექქაშიაც ხშირად მიდიან. რაც შეეხება მუშაობას, აქაც ისევე მცირედ მუშაობენ, როგორც სხვა მაჰმადიან ქართველნი. ესენი უფრო ღარიბები არიან, რადგანაც ამათი მხარე უფრო მივარდნილი მხარეა და ყველაფერი ძნელი გასასაღებელი.

მაჭახელში ძველ გვარებად იცნობიან: **ქავთარაძეები, ძნელაძეები, კახიძეები, ჩომახიძე, ყიფიანი, კეჟერაშვილი, ზაქარიაძეები, თურმანიძეები** და სხვანი. ამათ გარდა კაცი კიდევ სხვა ძველ გვარებს შეხვდება აქეთ. ყველა ესენი ფანატიკები არიან და ამ მხრივ თვით ნამდვილს თათრებსაც-კი გადააჭარბებენ. ქართველობა მოხუცებულებს ჭირივითა სძულთ. ახალგაზდებშიაც სთესვენ ამ სიძულვილს, მაგრამ ძველებურად-კი ვეღარ. თუმცა ბევრს ამ გვარ მოხუცებულთ და ხოჯა-მოლებს ძლიერ ეწყინათ მაჭახელში ქართულ წიგნების მიტანა, მაგრამ მაინც ამ ხნიერ პირთ წინაშე მოურიდებლად გამოჩდნენ ბევრნი ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც დიდის ხვეწნით მემუდარებოდნენ მათ სოფლებში სწავლას და ანბანის სწავლებას. მე ბევრს ვერ შევუსრულე თხოვნა,ადგანაც გარემოება ნებას არ მაძლევდა. ამათ დამავალეს, რომ ეგები მერმის მაინც ამოგვიგზავნოთ ისეთი ვინმე, რომ ჩვენც წერა-კთხვა გვასწავლოსო. მე პირობა მივეცი. სხვათა შორის ხერთვისის მამაახლისმა მე დიდის ხვეწნით მთხოვა ანბანის სწავლება. ამასაც ძლიერ გაეხარდა ის ამბავი, რომ აქ ზაფხულში ამოვლენ იმათი ყმაწვილები, ომლებიც ხალხს წერა-კითხვას ასწავლიან. სახლსა და ხარჯს ჩვენ მივსცემთო.

ევფრატი, მშვენიერი სოფელია, ამ სოფ. თავდება მაჭახელი. აქ ამბობენ, რომ სოფელი ევფრატი გადაკეთდა სიტყვა „იმფრათიდამო". მაგალითებრ, ძველად, როცა აქ საყდარი უკეთებიათ, მაშინ უთქვამთ რომ ის საყდარი ისე, იმ ფრატ უნდა გაკეთდეს, როგორც ამა და ამ ალაგას არის გაკეთებულიო. ამიდამ გმოსულა სიტყვა „ევფრატიო".

ქედ-ქედი, პატარა სოფელი არის, გადასახლდენ ბევნი.

გვარა, ამ სახელის მექონი სოფლები სხვა კუთხეებსაც არის. გარდა ამის, ზოგს მაჰმადიანს გვარად ამ სოფლის სახელი აქვს. ეხლა-კი ერთობ ცოტა-ღა არის. ეს სახელი ზოგთ

ქართველ მაჰმადიანთ გვარათაც აქვთ დარქმეული, როგორც **გვარიშვილი-გვარელოღლი** იქვე.

ცხემლანი, წინედ მცხოვრებთ რიცხვით დიდი, დღეს მცირე.

ხერთვისი, ამ სახელის მექონი სოფლები აქეთ ბევრია, ოსმალთა დროს ხერთვისი **დაბა** იყო, დღეს-კი მცირე სოფელი არის. აქვს დიდი ჯამე, ჯუმა დღეს აქ ხალხი მრალად იყრის თავს სხვა და სხვა სოფლებიდამ.

ჩხუტუნეთი, პატარა სოფელი, წინეთ-კი ფართო.

ჩიქუნეთი, პატარა სოფელი, წასუან ბევრნი.

პატარა ხერთვისი, დღეს მცხოვრებლებითაც პატარა არის. წინეთ-კი ფართო ყოფილა.

მინდიეთი, მშვენიერი სოფელი არის, აქვს გაუჩეხავი ბნელი ტყეები. მეტად ბევრი ფუტკარი არის აქაურ ბნელ ტყეებში. **ბინდიაშვილები** აქედამ წასულან გათათრების დროს ქართლში.

ქვაბის თავი, მაინც სოფელი შეიძლება ქვაბის თავად დაისახოს.

ზედა ვაკე, სწორეთ ასეც არის და ზედა ვაკე არის.

საფუტკრეთი, ცხადია, რომ ეს სახელი მას ფუთკრის სიმრავლისაგან ეწოდა, მაინც აქ ერთობ ბევრია ფუტკარი. სინდიეთი, წინედ მცხოვრებლებით სავსე, ეხლა-კი ცარიელი, ცოტანი არიან.

მაჭახლის პირი, პაარა სოფელი.

ძნელიეთი, აქ სცხოვრობენ ძნელაძეები. იმერეთის **ძნელაძეები** აქედამ არიან გასულნი, ამ სოფლის ამბები ცალკე არის გათათრების წიგნში აწერილი.

ბაზარეთი, ეს სიტყვა ბაზარეთი რა მიზეზით დაერქვა ამ სოფეს, არავინ იცის. წინედ აქ ბევრი სცხოვრებდა ხალხი.

კახიეთი, აქ **კახიძეები** ყოფილან გვარად, იმერეთის კახიძეებიც აქედამ არიან წასულნი.

ნაქალაქევი, ნაქალაქევის აქ აღარა ეტყობა რა. ამბობენ ძველად-კი ბევრნი იყვნენ აქ მცხოვრებლებიო.

სალიბაური, პატარა სოფლი არის.

აკრიელი, პატარა სოფელი არის.

გოშპარეთი, ძალიან შემცირებული სოფელი მცხოვრებლებით.

კეჟერეთი, უეჭველია **კეჟერაშვილებიც** აქედამ იქნებიან წამოსულნი გარეთ კახეთს.

ხინკალეთი, მცხოვრებთ გარდა ცარიელი, გაოხრებული სახლებიც ბევრიაის მუჰაჯირისაგან დატოვებულნი.

კირკიტეთი, პატარა სოფელი.

საყანური, აგრეთვე მცირედ დარჩენილი.

გვიანეთი, მცირე სოფ. მცხოვრებლებით.

ამ სოფლებს გარდა, მაჭახელში სხვა სოფლებიც ბევი არის. მთელს მაჭახელში ადრე რამდენიმე ასი სოფელი იყო დადღეს-კი 30 აღარ არის. ათიოდე სოფელიც ხან აჭარაზედ იყო მიწერილი და ხან მაჭახელზედ. ასეთი სოფელი არის მმილისი, უჩხითი, ჭალხმელა, მაღლაკონი, კირნათი და სხვანი. ძველის სოფლების სახელებიც აქ ისევე დაკარგულა, როგორც თვით აქ მცხოვებთა რიცხვი მოსპობილი.

მაჭახელში და ასე ცოტა სოფლები გარემოებას რა გაეწყობა, აქეთ რა არ მოისპო აწინდელი სოფლების.

მაჭახელში დღეს ირიცხება 35 სოფელზედ მეტი. ზოგი სულ ცარიელია, გაოხრებული. თითო სოფელში 5-10 მოსახლეა; რაც უნდა ბევრი იქმნეს სოფელში მოსახლე, მაინც 30 კომლზე ზევით არ ავა. 1855 წ. სოფ. ძნელიეთის ახლოს ერთი დიდი უზარმაზარი „კლდე კვირკვინა„ მოხეთქილა და 30 კომლი დაუღუპავს და დაუნთქავს. ამათშივე დაქცეულა ის დიდი ჯამე, რომლის მასალისთვის ხერთვისისკენ ერთი დიდი ძველი ეკკლესია დააქციეს და ამ ეკკესიის მასალით ეს ჯამე გაუკეთებიათ. ზოგიერთი მაჰმადიანები ამბობენ, რომ

ამ კლდის მოხეთქა სულ იმ ეკკლესიის დაქცევის ცოდვით გვეწიაო. 10 სოფელი დავეხვიეთ დად ღე და ღამე ვაქცევდით ჩვენის ფადიშახის ბრძაებითაო. აბა ძველს ეკკლესიასთან ჩვენ რა საქმე გვქონდაო.

ეკკლესიების ჯამეთ გადაკეთება აქ ერტობ გვიან დაუწყვიათ, მიტომაც დანგრეულან ძველი ნაშთები. აქ რომ ეს ძველი საყდრები მოეწყოთ და ჯამეთ გადაეკეთებინათ, მაშინ უკეთესი იქნებოდა, ამით ძველი ნაშთები შეინახებოდა და მეორე სოფელს ფოლიც ცოტა დაეხარჯებოდა.

მაჭახელში ეკკლესიების ნგრევა-ქცევა შემცირებულა, მაგრამ რაღა დროს, როცა ყველაფეი პირქვე დაქცეული იყო და დამხობილი. აქეთ ვერ ნახავთ ვერც ერთ პატარა სოფელს, გინდ 5-7 კომლი ოს, რომ მას თავისი ჯამე არა ჰქონდეს და ხოჯა არა ჰყავდესთ. ჯამეებს გვერდით ხოჯებს უბრალო სასწავლებლები აქვსთ და პატარა ქართველ მაჰმადიანთ ბვშვებს არაბულს ასნავლიან. ხოჯები თურმე ბავშვებს არაბულს ასწავლიან. ხოჯები თურმე ბავშვებს ფანატიკობას პატარაობიდანვე უნერგავენ, თითქმის სკოლაში მისვლის პირველ დღიდამვე.

ხერთვისის სკოლაში ნამყოფმა ერთმა 17 წლის მაჰმადიანმა გვარად **იაკობიძემ** ქართულ ანბანს თათრული ანბანი მოუწერა და ამ სახით ქართული კითხვა სამ დღეში ისწავლა, ამათებური ბავშვები ძრიელ ცქვიტი და მარდნი არიან. ორ-სამ წაკითხვით ესენი ესენი ანბანის კითხვას იხსომებენ ამათ ზოგიერთ ალაგას ხოჯა-მოლები და მოხუცებულებიც უშლიდნენ და აფრთხილებდნენ, ერიდეთ ქართულის კითხვასაო. მაგრამ ესენი მაინ ცარ იშლდნენ, არ ერიდებდნენ. მაჭახელში რომ ერთ ზაფხულს ორი მცოდნე კაცი ამოვიდეს და ბავშვებს კითხვა დააწყებინონ, მაშინ იმედია, რომ მთელს მაჭახელის ბავშვებში ქართული კითხვა მალე მოიფიმნება.

ხერთვისის ჯამეზე მოხუცებულებმა და მოლამ ყმაწვილებს დაუყვირეს: ქართულს ნუ კითხულობთ, თორემ რჯულიდამ გახვალთ, გაქრისტიანდებთო. ყმაწვილებმა ზდაც არ შეხედეს იმათ. ოთხმა-ხუთმა ყმაწვილმა მითხრეს. ჩვენები ასე გვეუბნებიან: როგორც ქართულ წიგნის კითხვას დაისწავლით და კითხვას დაიწყებთ, მაშინვე გაქართველ-გაქრისტიანდებითო.

ერთ სოფლის ჯამეზე ერთმა მოხუცმა მაჰმადიანმა დაიჭირა რამდენიმე პატარა ბავშვი და ასე უთხრა:

— აი ეს ქითაბები და, თუ თქვენ კითხვა არ დაგისწავლიათ, მაშინ თავებს დაგაჭრითო. ისწავლეთ, ისწავლეთ.

მთელს მაჭახელში მხოლოდ ორი ხანში შესული კაცი ვნახე თანამგრძნობი ქართულის წერა-კითხვისა — ერთი ევფრატის მამასახლისი და მეორეც ზემოხსენებული მოხუცი. დანარჩენი სულ ახალგაზრდებში მოიპოვებიან. აქ ერთმა ახალგაზრდათაგანმა სთქვა: — ვიდრე ეს ბრი-კაცები არ დაიხოცებიან, მანამდის ჩვენ ვერსა გავაწყობთო.

მაჭახლის გათათრების შესახებ ბევრი ცნობებია დარჩომილი მოხუცებულთ შორის, მაგრამ ყველას ძლიერ აშინიან ეს აბები სხვებს უანბოს, ვაი თუ ამას ცუდი რამ შედეგი მოჰყვეს და ბოლოს გავქრისტიანდეთო. მაინც ერთ მოხუცებულ **ძნელაძეთაგანმა** ბევრი საინტერესო ცნობები მითხრა მათ გვარეულობის გათათრების შესახებ.

აქეთ ყველამ იცის კარგად, რომ ისინი წინად ქრისტიანები ყოფილან, რომ ყველა ისინი ენითა და შთამომავლობით ქრთველები არიან, მაგრამ დღეს თათრები ქართულად ლაპარაკობენ, ქართულად მღერიან, სტირიან და ხმაურობენ და, როცა ქართულ ენასა ა წერა-კითხვის შესახებ საუბარი იქმნება, მაშინ-კი ამათი მოხუცებულნი მოურიდებლივ ამბობენ, ქართული წიგნი და ენა და რაჭიროა ჩვენთვისო, ჩვენ გვეშინიან ამით არ გავქრისტიანდეთო. თუ არ გადავდგებით

სჯულიდამ, მაშინ-კი კაი იქმნება, რადგანაც ჩვენის ძვლების ენა ქართული ენა არის და ჩვენც ქართულად ვლაპარაკობთო.

მაჭხლის შემოერთების შემდეგ, 1878 წელს დანიშნულ იქმნა მაჭახლის ნაწილის გამგეობა, უჩასტკნოი უპრავლენია დამ ის **გამგეთ ერთი ქართველი თავადი.** მაშინ ეს ატონი გაზ. „დროება"-ში სწერდა, რომ მაჭახელში სულ 2 500 კომლი იქნებაო. იგივე სწერდა, რომ მაჭახლელები სცხოვრებენ მტაცებლობითო, ესენი ხალხს სცარცვამენ, მარადიდელებს ჭოროხში სამგზავრო ნავებსაც-კი აჩერებინებენ, თორემ თოფს გესვრითო და ამათაც სცარცვამენო.

იგივ სწერს, რომ „მაჭახელი არის ბუდე ავაზაკებისაო, აქ ისეთი ბეგი არ იქნება, რომ მას გამოქცეული რუსის სალდათების, ქართველების და გურულების შეფარებულები არა ჰყვანდესო. აქ ას კაცში ერთი კაცი არ კვდება თავის ნებითო, აქ კაცის მოკვლა ქება არისო, ძაღლის სიკვდილი-კი ცოდვაო. სწერს კიდევ რომ აქ 5 წლის ბავშვმა სროლა ისე იცის, რომ მას კაი ნასწავლი სალდათიც ვერ აჯობებსო. მაჭახელში რამდენიმე ასი კაცი არის იარაღის მკეთებელიო. საომარ ასპარეზზედ ამათგან 3 000 კაცი ადვილად გამოვაო. იგივ სწერს, რომ ერთის ხოჯის სახლში, ოსმალურ ენაზედ, **თამარ მეფის** ისტორია ვნახეო, მაგრამ თხოვნით არ მომცერო. ესევ პირი ამბობს, რომ მაჭახლელებზე ყურბან ბაირამის დროს, ქართული ლხინი იციანო. ზოგი ამის ცნობები რომ უცხო კაცმა წაიკითხოს, იგი მაჭახლელებზედ ერთობ ცუდ, აზრს შეადგენს. მის წინ ეს ხალხი ტყის ნადირათ დაიხატება, ქურდებათ, მცარცვავებათ, კაცის მკვლელად და სხვაც ათას ამ გვარნი. ხოლო ეს-კი არ ეკადრებოდა ამ თავადს ასე, მას არ უნდა ეწერა ასეთი ცრუ ბრალდებანი.

ჩვენ მის ბოროტებას არ გამოვეკიდებით და იმას-კი ვიტყვით, რომ ამ ბოროტის თავადის გამგეობის დროს დაიწ-

ყო მაჭახლელების ოსმალეთში გადასახლება და რაც 1878 წლამდის დარჩნენ მაჭახელში და არ გადასახლდნენ, იმათაც ამ ბატონის (**აკაკის ძმა**) გამგეობის დროს იწყეს გადასახლება... მაჭახლელების შესახებ აი კიდევ ცნობა: ნაამბობი ართვინის სომეხ-კათოლიკ-ეპისკოპოს-**ზაქარიანისაგან.** გაზ. „დროება“ 1880 წ. 78 -ში.

ძველად მაჭახელი, ერთობ მრავლად იყო დასახლებულიო, მთელი ხეობა სავეს იყო სოფლებითა, გათათრების დროს ბევრნი აქეთ იქით გადასახლებულან, ბევრნიც გაფრანგებულან, მაგალითებრ ჩვენ, ართვინის სომეხ კათოლიკეთ წოდებულნი გვაროვნობით ქართველები ვართო, მაჭახელნი და იქვე გაფრანგებულნიო. რაც-კი სომხები, ან თათრები **ზაქარიანები და საფაროვები** არიან, სულ მაჭახლიდამ არიან გასულნიო, ზოგი გაფრანგებულა და ზოგი გათათრდაო, მართლაც მაჭახელაში რამდენსამე სოფელში გათათრებულ ზაქარიანები და საფაროვები ასობით სცხოვრობენ.

მურღულის ქართველ მაჰმადიანთ ზოგთ სოფლები (ართვინის ოლქი)

მურღული სძევს ლივანის ჩრდილო დ. წინ ჭოროხი ჩამოუდის. მურღული იწყება ბორჩხის ზემოდ, სოფ. წითურეთის ახლოს, სადაც მურღულის ღელე ჭოროხს ერთვის. აქ ქართველ მაჰმადიანების სოფლებია და შემდეგ ოსმალოს საზღვარს ახლო ლაზების სოფლები იწყება, რომელთა უმეტეს ნაწილს ქართული სახელები ჰქვიან. მურღული მაღლა სდგას დანარჩენს ადგილებზე ჰაერით, წყლით, მთებით, ხელუხლებელ ტყეებით დას ზ. მურღულის დაბურული ტყები სავსეა ბროწეულით, ლელვით, წაბლით, კაკლით, ბზის ხეებიც მრავლად არის და ამაებს გარდა აქ ისეთი მცენარეებიცა

ვნახე, რომლებიც სხვაგან არსად შემხვედრია. მცოდნე კაცისათვის მეტად საინტერესო უნდა იყოს. მადნებიც ბევრი ყოფილა **სპილენძისა, რკინისა** დას ხ. მადნებს ინჟინრები სინჯავენ ეხლა.

მურღულის ხალხი, როგორც სხვა ქართველ მაჰმადიანები, ძველთაგანვე მხოლოდ მეურნეობას და მევენახობას მისდევენ. ამათში ვაჭრობა და სხვა რამ წარმოება სულ არ იცოდნენ, მაგალითად, როგორც ამთ მოსაზღვრეთ მდებარე ლაზებს შენიშვნენ ჩვენი მემატიანენი, რომ ლაზები აღებმიცემობასაც მისდევენო. ძველად ვიდრე საქართველო ფეხზედ იდგა და ეს ნაწილიც საქართველოს სამცხე-სათაბაგოს ეკუთვნოდა, მინამდის ამ ერში, როგორც ვიცით ჩვენ ეს ზედმიწევნით და რასაც სხვებიც მოწმობენ, იყვნენ გამოჩენილნი გმირნი, ომში მხნე, ერთგულნი დაყ ველა საქმეში თავდადებულნი.

ამბად არის დარჩენილი, რომ მურღულში ქრისტიანობა ადვილად არ დაუთმეს ოსმალსო. ეს ერთი ოსმალოს მთავრობას დიდხანს ეურჩა და მკაცრ წინააღმდეგობას უწევდა სჯულის გამოცვლაზეო.

ამბობენ, რომ სწორედ ეს ურჩობა გახდა იმის მიზეზად რომ ოსმალოს მთავრობამ ამათ ძველთაგან შეუკრა აქეთიქით გასავალი გზები, დაკეტა შიგ ესენი და ისე მოამწყვდია როგორც ციხეში ტყვენი-პატიმარნი. ოსმალთ არც ეს გაუძნელდებოდათ, რადგანაც მურღულის სურათი სვანეთის მსგავს სურათს წარმოადგენს. ერთი შესავალი ჭოროხის ნაპირს, მურღულის ღელესთან იწყება და მეორეც ლაზისტანისკენ გადის. ოსმალეთმა ნელ-ნელა შეაპარა თავისი ბრჭყალები მურღულის ქართვალთა და მოსპო მათი ყოველივე ზნე-ჩვეულება.

ამას შემდეგ მიჰყო ხელი და საცა რამ ნაშთები იყვნენ, ან სიმაგრენი, სულ დაანგრევინა თურმე. ამით ყრილობდნენ

იმათ ჯავრს, ვინც თავის სარწმუნოებას მტკიცედ ემსახურებოდა და ოსმალთაც ეურჩებოდა. ამის მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ აქ ძველის შესანიშნავ ნაშთების რიცხვი ერთობ მცირეა. მურღულიანი უფრო ჩვენს მთიულებსა ჰგვანან.

ამბობენ, რომ ვიდრე მურღულის ერი სჯულს გამოიცვლიდა, მინამდის მათგან ბევრი მოკვდა თავსაკვეთ კოშკშიაო. ეს თავსაკვეთი კოშკი დღესაც უნდა იდგას მურღულის სადმე შეუვალს ბნელს ტყეში. ეს ამბავი გარდმოცემით იციან, მაგრამ თვით კოშკი-კი არავის უნახავს, თუმცა ერთმა სთქვა: მე ვიცი ისეთი კოშკი, რომელსაც ერთ ალაგას თავსაკვეთი ქვა აქვს გაკეთებულიო. სად არის ეს კოშკი?- როდის სთქვა. ამბათ არის დაშთენილი, ვითომც მეორე კოშკი უნდა იყოს ისე მაღალი კოშკი, რომელიც მურღულის წყალს აქეთ სოფ.წითურეთის წინ, ერთ კლდეზედ დგას და რომელ კოშკსაც აქაურნი თამარ მეფის კოშკს უწოდებენ. ოსმალთ ამ კოშკშიაც უჭრიათ თურმე ქართველებისათვის თავი და აქედან მერე თავი და ტანი ჭოროხში უყრიათ, მე დარწმუნებული ვარ, მურღულში რომ რიგიანად მოიძებნოს, მერე თავისაკვეთ კოშკს ჩვენ ადვილად ვიპოვნით, თუ არ დაუქცევიათ ამ ბოლოს დროს.

ასე და ამისთანა წვალებით, ხოცვით და ჟლეტა-წყვეტით, დასთმეს სჯული. ჩუმად დაიარებოდნენ აქა-იქ ძველს ეკლესიისნანგრევებში და საიდუმლოდ ლოცულობდნენ.

ოსმალი გაუტეხელ მურღულებში მალე ვერს გააწყობდა, რომ ლაზები არ მიემხრო. ლაზისტანიდამ ოსმალი პირდაპირ მურღულში შემოსულა და ამათ მაშინათვე მურღულის შესავალი კარი დაუკეტიათ. მურღულიდამ ლივანში-კი მალე ვერ შემოუდგამთ ფეხი. ერთის ლაზელის ხოჯის სიტყვით, ოსმალნი ლივანში მაქრიალის გზით შევიდნენ და შეიტანეს მაჰმადის სჯულიო.

ლივანის დაჭერის შემდეგ კი მურლულის ხალხიც გამტყდარა, დაღალულ-მოქანცულა ბევრის ბრძოლით და მერე, როგორც ესენი ამბობენ, „შესრულებულა გამჩენელის ღმერთის ბრძანება“ და მურლულელნი ისე წმინდად გათათრებულან, რომ ბოლოს ყველაზე მეტად შესჯავრებიათ არამც თუ ძველი სჯული და საქართველო. არმედ სიტყვა „ქართველი“ ც-კი. ამათში პირველად ლაზისტანიდამ მოსული ხოჯები და მოლებიც ჰყოლიათ, მერე თითონაც ნელ-ნელა უსწავლიათ და ამათშიაც გამოჩენილან მოლები და ხოჯები. ამ დროდამ მათში იწყო ქართულ ცხოვრების და ზნე-ჩვეულების ამოვარდნამ: მოისპო მევენახობა, ხვნა და თესვა, პირუტყვების მოშენება და სხვ. თათრობაში ესენი სიმინდის და სხვა რამის კეთების ძლიერ მცირედ მისდევდნენ, იმდენს, რაც მათთვის იყო საჭირო. მუსლიმანისთვის ლოცვა არის საჭირო და არა ჭამა-სმაო.

პირველ ხანებში ლაზელი ხოჯები მურლულლეებს ასწავლიდნენ, რომ, ოღონდ დღეში ხუთჯერ-კი ილოცეთ და მუშაობა თქვენთვის საჭირო არ არისო; სამუშაოდ აგერ, აი ისგურჯები არიან დანიშნული, რომელნიც არ თათრდებიანო, იმათ უნდა იმუშაონ და თავიანთი ნამუშავარი თქვენ გაძლიონ, ამით თქვენ უნდა აირჩიოთ თქვენი წმინდა თავიო და შრომის მაგიერ დღეში ხუთჯერ უნდა ილოცოთო. ასეთმა დარიგებამ ეს ხალხი მეტად გაათამამა, ისლამის სწავლას კარგად არ უხსნიდნენ და ასწავლიდნენ.

ოსმალმა მურლულელთ დიდი ერთგულება შეამჩნია და ამიტომ თავიანთ ხეობის გამგეობათვით მურლულელთ ჩააბარა. მათ დაუნიშნეს მხოლოდ მეტად გამჭრიახე ფანატიკოსი სასულიერნო კაცთა მეოხებით მურლულში სრულიად ამოვარდნილა ქართული ჩვეულებანი და ქართული სიმღერებიც-კი გამქრალა, თუმცა მურლულელი, ძველად ძლიერ განთქმული ყოფილა სიმღერით, ამათი ჰანგი ყველასათვის მო-

საწონი ყოფილა, ხოჯებს ამაზედ ჯავრი მოსვლიათ და ხალხი დაურწმუნებიათ, რომ ვინც ქართულად იმღერის, ის სჯულის მცნებას დაარღვევს და მას მაჰმედი სამოთხეში აღარ შეუშვებსო. ქართული სიმღერები პირველად აქ ამოვარდნილა, სხვა მხარეებში კი ეს ის ვერ მოხდა, მაგალითად, თუნდ აჭარაში, თუმცა მოლები დახოჯები აქაც ჰქადაგებდნენ ამის წინააღმდეგ. ამათის ფიქრით, მაჰმადს მარტო ქართული ხმები ეჯავრება, მაგრამ სიმღერის მოსპობაარც ეგრე ადვილია, არ შეიძლება ცოტა რამ მაინც არ დარჩეს ხალხში ამ დღეებში ერთ ხოჯას ყანაში ნადი ჰყოლია, მუშებს თავიანთებურის ქართულის ხმებით დაუწყვიათ ყანურის მღერა, ამ სიმღერაში ხოჯაც აჰყოლია. ამაზე ხალხი ძლიერ გაკვირვებულა და ერთს უთქვამს, ხოჯა! აკი თქვენ ამბობდით, რომ გურჯულის მღერა ცოდვა არისო? ტქვენც კარგად იმღერეთ ჩვენთანო!?

— ყანაში მუშაობის დროს არა უშავს-რა ქართულს, მიტომ რომ ჩვენები თათრულს ასე ვერ აწყობენო,--- მიუგო ხოჯამ. ეს ხოჯა მეტად ფანატოკოსია თურმე, სტამბოლში გაზრდილი, ტომით ქართველი, მოძულე ქართველთა, მუშებმა სთქვეს:

— ასე ყოფილაო, როცა მაგათთვის ვმუშაობთ, მაშინ თუ ვიმღერებთ, ცოდვა არ ყოფილაო და როცა ჩვენთვის, მაშინ-კი დიდი ცოდვა არისო.

მურლულის ერის ასეთმა მოწყვეტამ და განკერძოებულმა მდგომარეობამ ერთობ ცუდად იმოქმედა მათზედ და ბოლოს ესენი ისე განადირდნენ, ისე გაველურდნენ, რომ თვით ოსმალოს მთავრობაც-კი მივიწყდათ და მარტოდ შეიხისლამიღა აგონდებოდათ.

ძველად ჩვენთვის მეფეების დროს, მურღულში ქიზიყელებივით გამგე ჰყოლიათ. თავად-აზნაურობაც ყოფილა აქ, მაგრამ ბატონ-ყმობისაგან მეფეების დროსვე განთავისუფ-

ლებულა გლეხობა. ისე რომ თავად-აზნაურობას არავითარი ძალა არა ჰქონიათ აქვთ.

მურღულენი წინად თვით აკეტებდნენ თავიანთ ტანსაცმელს და ფეხსაცმელს. თამბაქოც მოჰყვანდათ, ამათის თამბაქოს ფოთოლი ძლიერ განთქმულია. ეს ხალხი ოსმალს პირველად არაფერს ხარჯს აძლევდა, ბოლოს და ბოლოს-კი შემოიღეს გარდასახადი სიმინდითა და თამბაქოთი. 1840 წ. ეს მხარე ცოტად ცნობილი გახდა ოსმალოს მთავრობისთვის, რადგანაც ამ დროებში ოსმალმა მათ ნიზამი მოსთხოვა. პირველ ხანებში ესენი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და არ ემორჩილებოდნენ, მაგრამ ორის წლის შემდეგ დაემორჩილნენ ხონთქრის ბრძანებას, რადგანაც ხოჯა, მოლებმა იწყეს ქადაგება, რომ ფადიშის ურჩობა არ შეიძლებოდა. ესენი დაემორჩილნენ, მაგრამ თავინთ ჩვეულებას მაინც არა სტოვებდნენ.

სჯულის დათმობის შემდეგ მურღულში მოისპო ქართული წერა-კითხვა და ქართული წიგნებიც. ამის მაგიერ თათრულს უნდა ეწყო გავრცელება, მაგრამ ვერც ეს მოიფინა. აქ ენას გარდა ყველაფერი მოისპო, ქართული მხოლოდ ენა დაშთა ისე სუფთად, რომ მურღულის ხეობის ქართველ მაჰმადიანები ყველა ქართველ მაჰმადიანზე უფრო კარგად ლაპარაკობენ ქართულს, წმინდა ქართულის დარბაისლურს ენით და ამათ საუბარში კაცი ისე ხშირად ვერ გაიგონებდა ოსმალურს სიტყვებს, როგორც სხვა მხრის მაჰმადიანებში.ამით ქართული ენის ასე შენახვის გამო აღტაცებული იყო განსვენებული **დ. ბაქრაძე,** მოგზაური **გ. ყაზიბეგი** და ნამეტურ **გრ. გურიელი,** რომელმაც მურღულების შესახებ ძლიერ ბევრი ძვირფასი აბები იცის.

მურღულებმა საქართველოსთან შემოერთებამდე, ფულის ხსენება არც-კი იცოდნენ თურმე. ფული თვალით არა ენახათ. ამათ როცა რუსი ფული ნახეს, მაშინ დიდათ გაჰკვირდნენ და არ იცოდნენ, როგორ მოეხმარათ. ამას გარდა

ბევრი კიდევ სხვა რამეები არ სცოდნიათ. **ექიმობა და წამალი** აქ თითქმის არც-კი სცოდნიათ. ამათი მოხუცებული დედაკაცები სწამლობდნენ ხალხსა და ხშირად ქართულ შელოცვას მიჰმართავდნენ.აქეთ თითქმის ყველას სცოდნია,რომ ისინი წინად ქართველები, ქრისტიქნები ყოფილან და მერე გაუთეთრებიათ. ამით და საერთოდ ლივანა-აჭარის გათათრება ბევრად უგვიანეს მომხდარა ვიდრე ახალციხისა და ჯავახეთის გათათრება. ჩვენის ისტორიით ყველასთვის ცხადია, რომ 1626 წ. **ბექა ათაბაგ (ჯაყელი)** მიიღო სტამბოლში მაჰმადის სჯული. 1629 წ. მან მაჰმადის სჯულის გავრცელება სამცხეში დაიწყო და ეს მხარე მალეც გაათათრა. აქეთ-კი მის წინააღმდეგ დარაზმულან, წინააღმდეგობით კარგა ხანს დაშთენილან და ბოლოს მაინც გათათრებულან. აქეთ ყველა უარს ამბობს, რომ არა ჩვენ ათაბეგის ხელით და მის დროს არა ვართ გათათრებული, უფრო აქეთ დროშიო. **ბექა ათაბაგის** შთამომავალნი დღეს შავშეთში ცხოვრობენო.

ოსმალოს მფარველობის დროს მურღულში რამდენიმე ათასი კომლი ცხოვრიბდა. მაშინდელი ამათი ოჯახები მეტად დიდი ოჯახები ყოფილა, ასე რომ ზოგი 30-40 სული სცხოვრობდა და ზოგში მეტ-ნაკლებიო. მაშინ ძმები განუყრელად სცხოვრობდნენ ერთად, მათში უშვილო არავინ რჩებოდაო: კაცს რომ ერთი ცოლისაგან არ მისცემოდა შვილი, მაშინ ის მეორესაც ადვილად ირთავდა და გარდა ამისა მოლა-ხოჯები ორი ცოლის შერთვას იმიტომ ქადაგებდნენ, რომ მუსლიმანის ერი გამრავლდესო. ამათ გამრავლებას ერთი ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ მურღულში მეტად **მშვენიერი ჰაერია,** წყაროებიც ცივი. აქეთ **რამე ჭირის** გაჩენა არ იცის და ხალხი დიდხანს ცოცხლობს. ერთმა ხოჯამ სთქვა, ერთს სოფელში 10 წელიწადი ვიყავი ხოჯად და ჩემს ყოფნის დროს

მხოლოდ ერთი მოხუცებული დავასაფლავეო.—ახალგაზრდა ხალხი იქ არ იხოცებაო.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ეს ხალხი მოლებისა და ხოჯების მეოხებით დაიხოცა მაშინ, როცა ეს მხარე რუსეთმა აიღო, ზოგიერთ მავნე კაცებმა ამათ ბევრი ცუდი რამეები შეასმინეს რუსებზე და მისი მეოხებით მთელი მურღული თითქმის სულ გადასახლდა და მუჰაჯირად წავიდა წლინახევრის განმავლობაში. ასე რომ მთელს მურღულში მხოლოდ შვიდი მოსახლეღა დაშთაო, ერთი მოსახლე ძველ-აზნაურის გვარისა **ბოლქვაძე,** სოფ. **ტრაპენში** მცხოვრებელიო. აი წინედ რა სოფლები ყოფილა მურღულში, სადაც თითო სოფელში, რაც უნდა პატარა ყოფილიყო, 50 მოსახლეზე ნაკლები მაინც არ იქნებოდა:

1, **ტრაპენი,** ჭოროხისა და მურღულის წყლის შესართავს ზემო, მთლად გადასახლდნენ. 2, **არხვა,** აქ დარჩა ერთი კომლი ბოლქვაძის გვარისა, რომელ გვარის ზოგიერთ პირთ ქართული წერა-კითხვაც სცოდნია. 3, **ჟვანა.** 4, **ქამალეთი,** 5, **პუჭგრეთი. 6, ერგვანა, 7, კორიდეთი, 8, ოსმალა.** წინეთ ამ სოფელს სხვა სახელი რქმევია. აქ სცხოვრობს ერთი ქრისტიანი ქართველი, **ომანიძე,** რომელიც მევანახეობას მისდევს, ღვინოსა და არაყს აკეთებს, თამბაქოს სთესავს და მით ვაჭრობა აქვს გამართული. 8, დუჩა, 9, მეზრე, 10, ადუჩა, 11, ძანცულა, 12, ერგვანა, 13, ისკევი, 14, კაპარჭეთი, 15, გურბინი, 16, ბაგა, 17, ქურა, 18, ჩხალეთი, 19, გოგილეთი, 20, ბაშქორი, 21, ფორთესი, 22, ჭალავი, 23, გომჩირეთი, 24, ურძუმა, 25, ავანა, 26, ნაღვარეთი, 27, კევლი, 28, ზედა-იქურა და სხვა წვრილმანი სოფლები. ეს სოფლები რუსეთის ნაწილშია. რუსის საზღვართან ახლოს მდებარე ესენია:

1, პოტოჭური, სადაც სადაც ქართულ ენაზე მოსაუბრე მაჰმადიანები სცხოვრობენ.

2, ორჯი, ისევ ქართულს ენაზე მოსაუბრენი არიან.

3, სიდირეთი და

4, დილარგეთი. ყველა ამ სოფელში და სხვაგანაც მაჰმადიანები თავიანთ სამშობლო (ქართულს) ენაზედ ლაპარაკობენ. აქეთ, თუ სადმე ძველი ხიდებია ან კოშკები და ეკლესიის ნანგრევებია, ყველა ამას მურღულელები **თამარ მეფის** დროს აწერენ. მურღულის წყალზე გაკეთებულია ერთი მაღალი ქვის ხიდი, სიგრძით 30 საჟენზე მეტი. ამ ხიდის კეთება ოსმალოს დროს ერთ ქართველ მაჰმადიანს დაუწყვია, მაგრამ ომის გამო ვეღარ დაუმთავრებია და თვითონაჩ ოსმალში წასულა მოჰაჯირად.

ნაშრომში წარმოდგენილი მურღულის სოფელთა სახელები და და კ

დაბრუნებული მურღულელნი ბევრს სწყევლიდნენ თავიანთ წამქეზებელ მოლა-ხოჯებსა და სწყევლის დღესაც კიდევ. პირველ გადმოსახლების შემდეგ სხვებიც მოდიოდნენ ნელ-ნელა, მაგრამ მურღული მაინც ცარიელი იყო. ამ დროს აჭარიდამ იწყეს იქ გადასახლება და მზა სახლებში დასახლება. რამდენსამე ალაგას ამათ მთელი სოფლები და სოფლის მამულები დაიკავეს თურმე. ამის გამო მურღულელთა და აჭარელლთ დიდი ჩხუბიცა ჰქონიათ. მურღულელნი ეუბნებოდნენ, რომ აქ ნუ სახლდებით, ოსმალიდან ჩვენები უნდა დაბრუნდნენო. აჭარელნი ეუბნებოდნენ:

--- ბიჭო! რო მიდიოდით, ხომ ხედავდით, რომ ეს მშვენიერი ტყეები და ადგილები თან არ მოგდევდათ, არა, რისთვის მიდიოდით ოსმალში და თუ წახველით, აქ რაღას მოდიხართ, სირცხვილი არ არის, თქვე ბლაყვებო თქვენა!

ასე და ამგვარად ეკამათებოდნენ ერთმანეთსა და ბოლოს მურღულელებმა აჭარლებს დაუწყეს ყვედრება, რომ ჩვენის გადასახლების მიზეზი სულ თქვენა ხართო. სულ თქვენ შემოგვიჩინეთ ჩვენი ხოჯა-მოლები და სულ თქვენის შესყიდვით გვეუბნებოდნენ იგინი, რომ ჩვენ აქედამ გადავ-

სახლებულიყავით ოსმალეთში და ჩვენი ადგილები თქვენ დაგეჭირათო. თუმცა მურღულში აქა-იქ აჭარლებიც დასხლდნენ, მაგრამ მაინც დიდი ადგილები დარჩა ცარიელი და დღეს ამ ადგილებზე მთავრობას განზრახვა აქვს, რომ მალაკნები დაასახლოს. ერთს ალაგას, ადგილობრივი მცხოვრებნი ცოტათი შეფიქრიანებულან ამის შესახებ, ორმა-სამმა შეგნებულმა კაცმა სთქვა, ნეტა ისეთი ხალხი დაასახლონ, რომ ჩვენი ენისა მათ ესმოდეთ რამე, ან ჩვენ მათი ენისაო, ჩვენ მარტო უენობას შეუშინდებითო. ამბობენ, რომ ვითომც რაჭაში დიდი სივიწროვე არის ადგილებისაო. რატომ რაჭველები არა სთხოვენ ამ ადგილებს და რატომ იგინი არ დასახლდებიან აქეთ, ჩვენთვისაც კარგი იქნება ეს, რადგანაც მათ ენაზედ ვლაპარაკობთ და ორივე ერთმანეთს მაინც გავაგებინებთ რამესო.

უნდა ითქვას პატიოსნური სისწორით, რომ აქ მალაკნელებს უგზო-უკვლობის და გაუჩეხავი ტყეების გამო საკმარისად გაუჭირდებათ ცხოვრება. გარდა ამისა ოსმალოს საზღვარი ძლიერ ახლოს არის და ამაზე დაცემა-გაძარცვას ყოველთვის ადვილად გაჰბედავენ ოსმალოს ქართველი მაჰმადიანები, რადგანაც მათ ჩვენი ხალხი და ნამეტური რუსები ძლიერ ეჯავრებიან. ამათებური ქუდებიც-კი სძულთ. ეს რასაკვირველია, სულ მოლების ჩაგონებით. ყაჩაღობის მოსპობა აქეთ შეუძლებელია, რადგანაც ოსმალოს საქართველოს მთებში, მთა ბარში და ტყეებში, ჭიანჭველასავით ირევა ხალხი. უმეტესი ნიწილნი გადასულნი არიან და სამშობლოსაგან შორს რომ ვეღარ წასულან, აქვე საზღვართან დასახლებულან, სამშობლოსთან ახლოს.

ვინც-კი ავა ჩვენის საზღვრების მთებს და იქიდამ გადახედავს ოსმალოს საქართველოს, ის იქ მეტად სამწუხარო სურათებს დაინახავს: ახლად გაშენებულს პატარა სოფლებს, ღარიბ ხალხს, ტიტველა ქალებს და ყმაწვილებს. ოსმალოს

მთავრობა ამათ დახმარებას არ აძლებს. მაშასადამე, ფიქრი აღარ უნდა, რომ ესენი აქეთ მოსულ უცხო ხალხს ხშირად დაეცემიან, უწყალოდ აიკლებენ და აკლების უმალ ოსმალეთს გადავლენ. რაჭველებს, ანუ ქართველებს-კი ესენი ისე არ მოექცევიან, რადგანაც ესენი მათი ენის ხალხია.

ქართულ ენას გახმაურება მიეცა, ეღირსა ამ ენას აქ გაფართოების დასაწყისი. ამას აქ მგზავრი ცხადათ შენიშნავს.

როცა რუსეთმა ოსმალოს საქართველო დაიჭირა და აქ რუსის ჯარი შემოვიდა, მაშინ მურღულის შესახებ საუბარი ატყდა და რუსის ჯარმა და ჩვენმა მილიციამ მხოლოდ ერთის წლის შემდეგ გაბედეს მურღულში ფეხის შედგმა და ისიც დიდის სიფრთხილით, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. გაიარეს რამდენიმე სოფელი და მურღულელთა ჩვენს ჯარს გზა-შიმოციქულად სასულიერო კაცები მიუგზავნეს და შეუთვალეს, გაჩერდით, ჩვენში ნუ მოდიხართ, ჩვენ მინამ ფადიშახისაგნ ნება-რთვა და ამბავი არ მოგვივა, მინამდის არ ჩაგბარდებითო, სისხლს ტყულად დაღვრითო. ამათი ამაღელვებელი უფროსი სასულიერო კაცი ყოფილიყო, მთელის მურღულის გამგე. ეს კაცი ბათუმში მიიხმეს და პატიმარ ჰყვეს. ჯარმა თავისუფალათ გაიარა მურღულში და მივიდა რუსეთის საზღვარზე და გაჩერდა. ამ დროს საჩქაროდ გაჩნდნენ ზოგიერთი ფანატიკი მოლები და ამათ დაიწყეს მურღულში გადასახლების შესახებ ქადაგებდა. ამ მავნე პირების მეოხებით საქმე ისე მოიმართა, რომ მთელი მუჰაჯირად წავიდა.

უცხო ალაგას მისულ ხალხს ძლიერ გაუჭირდა თავის რჩენა და ცხოვრება,ამით მდგომარეობა განწირულებად მივიდა, ბევრნი შიმშილით დაიხოცა, რადგანაც მათ ოსმალოს მთავრობა დახმარებას არ აძლევდა. იმათ პირველ ხანებში ავეჯეულობის გაყიდვა დაიწყეს და მით თავის რჩენა, მაგრამ გაჭირებას მაინც ბოლო არა ჰქონდა. შემდეგ ამათ დაიწყეს შვილებით ვაჭრობა და ვისაც-კი მშვენიერი ქალ-ვაჟი ჰყავდა

ოსმალებზე ჰყიდდა და შვილებში აღებული ფულით სცხოვრებდა. საქმე ისე გაუმწვავდათ ამ უბედურებს, რომ ისინი ოსმალეთში ან შიმშილით უნდა გამწყდარიყვნენ და ან თავინანთ სამშობლოში წასულიყვნენ, მაგრამ რით რა შეძლებით.

გაჭირვებულთა გადასახლების მესამე წლის ბოლოს გადსწყვიტეს სამშობლოში წასვლა და როგორც იქნა ამათ მოაღწიეს კიდეც მურღულს. მთელი მურღულის სოფლები ამ დროს ცარიელად იყო დატოვებული და მცხოვრებთა სასახლეებიც ძაღლ და ტყის ნადირისთავ-შესაფრად გადაქცეულიყო. მცხოვრებნი თავ-თავინთ სოფლებში მივიდნენ, ზოგი თავის სახლში შევიდა და ზოგი სხვაგან, მაგრამ მურღული მაინც ცარიელი იყო, რადგანაც რაც აქედამ მუჰაჯირათ წავიდა, იმის მეათედიც არ გადმოსახლდა, უმეტესი ნაწილი გაწყდა თურმე სიმშიშილისა და ავადმყოფობისაგან, ზოგიც აქა-იქ დაყიდულ იქმნა და ზოგნიც ოსმალეთში დარჩნენ.

29 ივლისი 1892 წელი

მურღულის ხეობა ცნობილია არა მარტო ქართულს ისტორიულს წიგნებში; არამედ მის შესახებ ბიზანტიის და რომაელთ ძველი მწერლებიც მოგვითხრობენ ახვა-და-ახვა ცნობებს. ამის მიზეზად გახლავს ის გარემოება, რომ მურღულის ხეობაში, ქრისტეს წინად. ქართველთ და ელლინთა სამადნო ქარხნები ჰქონდათ დახსნილი და რკინა, თითბერი და სპილენძი გამოჰქონდათ. ასსეტ ქარხნების ნიშნები დღესაც სჩანს მურღულის ხეობაშ.

მურღულის ხეობა მთელს ოსმალეთის საქართველოში ერთ საუკეთესო მდიდარ კუთხედ ითვლება. იგი **ძევს ლივანის ანუ ჭოროხის ხეობის მახლობლად, დასავლეთით,** რომლის კიდეებიც აწინდელა ოსმალეთის ლიზისტანს აკრავს და შავის ზღვის ნაპირებსაც უახლოვდაბა. მურღულის ხეობა სავსეა სხვა-და-სხვა მადნებით. აქ ხარობს ზეთისხილი, ფორთოხალი, ვაზიც მქყავი და სხ.

მთელი ხეობა წარმოადგენს სამოთხის მსგავს სახილველს. ამ ხეობის მშვენებით აღტაცებულნი არიან ყველა ჩვენი ძველი და ახალი მოგზაურნი და მათ შორის **დიმ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი** და ზოგნიც სხვანი.

მურღულიდგან ერთი გზა პარხლის ხეობაშიაც გადადის, სადაც დღემდე დაცემულია საქართველოს ისტორიაშიც ცნობილი პარხლის ტაძარი, რომელიც დღეს ჯამეთ აქვთ გადაკეთებული ქათველ მაჰმადიანებს. ეს კუთხე დღესაც ოსმალეთის სამფლობელოს შეადგენს, იგი ლაზისტანზეა მიკრული და მცხოვრებ ქართველ მაჰმადინთ შორის ქართული ენა არისშენახული.

ამ კუთხის ისტორიულის აღწერით თავს არ შეგაწყენთ.

მურღული ხეობა ბათუმიდგან 60 ვერსის მანძილზედ სძევს. ბათუმიდგან ბორჩხამდე ეტლებიც დადის, თითო კაცის წაყვანა 1 მ. 20 კაპ. ღირს. გზა ჭოროხის ხეობით, ლივანის ხევს, ანუ მთელს ლივანას უვლის, ბორჩხა ზედ მურღულზეა მიკრული. ერთი გზა ბორჩხიდგან მურღულს მიდის და მეორე გზა ლაზისტანს, ჩხალის ხეობაზედ. ლაზსტანი ბორჩხიდგან 10 ვერსის სიშორიდგან იწყება. ბორჩხა დაბა არის, აქ არის დუქნები, ვაჭრობა ჩაღდება, მუშების დიდი მოძრაობაა.

მურღულის ხეობის მთა-მადნების მნიშვნელობა ადგოლობრივ მეზობლად მცხოვრებ ბერძნებმა კარგათ იცოდნენ და ამიტომ ქართველთ გადასახლების დროს, აქაურ ადგილების უმეტესი მადნის მთები მათ იყიდეს. ბევრი გამოძიების შემდეგ ყველა ეს ადგილი ინგლისის მდიდარ სამადნო საქარხნო წრეებს მიჰყოდეს. დღეს ნახევარ მურღული მდიდარ ინგლისელების საკუთრებას შეადგენს.

ერთმა ინგლისის კომპანიამ მთა-მადნის სპილენძის გამოსაყვანად 7 მილიონი ფული გამოიღო და აგერ ეს მეორე წელიწადია, რაც მურღულის ხეობა ინგლისელებით აივსო და

დღეს დიდი გაცხარებული მუშაობაც არის გამართული სამადნო ქარხნების ასაგებად, ჯერ ერთის კამპანის ქარხანაში დღეს 2000 კაცი მუშაობს და შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ეს რიცხვი იმატებს. ინგლისელებმა ბორჩხიდამ მურღულის სოფ. ძანცულამდე ელექტრონული სინათლე გაიყვანეს, ტელეფონი, ტელეგრაფი და მშვენიერ გზა. იქ, სადაც ამ 15 წლის წინეთ ოსმალთა ყაჩაღების შიშით კაცი ვერ გაივლიდა და მთელი და მთელი მურღულის ხეობა ერთს შიშის გვირაბს წარმოადგენდა, დღეს იქ ვინ იცის ინგლისელთა მეოხებით და ან რა არ გაკეთდება კიდევ მომავალში. ინგლისელთა კომპანიის უფროს გამგეებად არიან დირექტორები და ინჟინერები. მუშებსაც კაი ფასს აძლევენ, მხოლოდ მუშა ხალხს მათი ენის უცოდინარობა უჭირებს საქმეს, ინგლისელთ პირველ ხანს სახლების კეთება ძლიერ გაუჭირდათ, ამიტომ მათ ხის სახელით ინგლისიდამ დაიბარეს, 15 დღის განმავლობაში, ლონდომიდამ ბათუმში ეს სახლები უკვე მოვიდა, იგი მალე აიტანეს და მურღულში გამართეს.

მურღულში ინგლისელთ აქვთ მუშათათვის მაღაზიებიც, სადაც ვაჭრობენ მუშები. აქ ყოველივე მოწყობილია ინგლისურად, ვაჭრობა, ლაპარაკი და წესები სულ ინგლისური არის, ჩვენს მუშებს ინგლისელები საკმარისს პატივს სცემენ, სამუშაოსაც აძლევენ. უმეტესად-კი მურღულის ხეობაში სამუშაოდ ოსმალოს სამფლობელოს მცხოვრები ლაზები, ბერძნები, სომხები და თათრები არიან.

მესხეთის ქართველ მაჰმადიანები

მესხეთის ქართული ენის კერა იყო, აქ ამ ენის ლაპარაკი ენთო. **„მესხის სწავლითა ქებულიო“** მთელ საქართვე-

ლოს ერის კუთხეში მცხოვრებთ ქართველთ ენას მესხეთის ქართველთ სუფთა ენა აჩირაღდნებდა. დღეს კი ეს ასე არა არის, მესხეთი ქართული ენით ნატამალობს. ქართული ენის ვრდომა აქ იწყება იმ დღიდამ, რაც ეს კუთხე ოსმალეთის სამფლობელოდ გახდა. ამ ვრდომას დაეხმარა შედეგი გარემოება:

ქართველნი დაუკავშირდნენ ისლამს, ამიტომ ამათ სჯულის ენად გახდა არაბული ენით დაწერილი ლოცვები. არაბული ენის სახელმძღვანოდ მიღებულ იქმნა ოსმალური ენაც.

ხოჯები და მოლები არაბულად ალოცებდნენ და ქადაგებას-კი ოსმალურ ენაზედ ამბობდნენ, რაც მათში საჭიროდ ხდიდა ოსმალურ ენის ცოდნას.

რადგანაც ოსმალოს მთავრობას საქართველოს სამეფო სძულდა, ამიტომ ქართველ მაჰმადიანებში ქართულ ენას სპობდა, ამის გარდა სდევნიდა კიდეც და სწორედ ეს დევნა იყო მის მიზეზად გამხდარი, რომ ზოგ ალაგას ეს დევნილი ენა მაინც შეინახეს ქართველ მაჰმადიანებმა.

მესხეთი იყო მჭიდროდ დასახლებული, აქ ქართველთ რიცხვი ნახევარი მილიონი იყო. სოფელი იქმნებოდა რამდენიმე ასი, დღეს-კი აქ ქართველობის ყოველივე ნატამალობს. **მთელს მაზრაში დღეს ითვლება 300 დიდი და პატარა სოფელი. ნახევარზედ მეტი აქ მცხოვრებნი არიან ქართველთ მაჰმადიანები, ყველგან ამათ ქართული ენა დატოვებული აქვსთ.** ზოგს ალაგას ეს ენა მათ იციან, მაგრამ იქაც იდევნება ეს ენა, მოლები და ხოჯები სცდილობენ, რომ მათ მალე დაავიწყონ ქართული ენა. ქართულად მოლაპარაკე ქრისტიან ქართველები სცხოვრობენ შემდეგ სოფლებსა და ქალაქებში:

დიდი აგარა, 25 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.

ანდრია წმინდა, 100 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.

ახაშეთი, 4 კომ. ქართულად მოლაპარაკენი.
აწყური, 14 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
კობიეთი, 1 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
დადეში, 43 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
დღვარი, 20 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
დვილი, 45 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
ზედა თმოგვი, 40 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
ქვაბის ხევი, 29 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
კუცნა, 15 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
მიქელ წმინდა, 2 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
სოკეთი, 16 კომ. ქართ. მოლაპარაკენი
საკირეთი, 50 კომ. ქართ. მოლაპარაკენი
ტაესის, 30 კომ. ქართ. მოლაპარაკენი
ტატანისი, 11 კომ. ქართ. მოლაპარაკენი
ტყემალანა, 5 კომ. ქართ. მოლაპარაკენი
ტობა, 9 კომ. ქართ. მოლაპარაკენი
ტოლეში, 24 კომ. ქართ. მოლაპარაკენი
წნისი, 2 კომ. ქართ. მოლაპარაკენი
ქობარეთი, 36 კომ. ქართ. მოლაპარაკენი
ერკოტა, 4 კომ. ქართ. მოლაპარაკენი
რაბათი, 65 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.

ქართველთ მაჰმადიანთ რიცხვის, რომელთაც იციან ქართული ენა სცხოვრობენ 10-მდე სოფლებში, დანარჩენ სოფლებში სცხოვრობენ ისეთ ქართულ მაჰმადიანები, რომელთაც ქართული ენა დაკარგული აქვსთ, დღემდე ამ ენას აქეთ განსაცდელი ადგა, დღეიდამ-კი ეს განსაცდელი მას მოსცილდა, ვინაიდან ოსმალოს სასულიერო წოდების გავლენაც საკმარისად დასუსტდა, დღეის შემდეგ უეჭველია ქართველ მაჰმადიანთ შორის, ქართული ენა კვალად აღსდგება. ამ აღდგენას სხვათა შორის ხელს უწყობს ახალციხის ქართველ ურიების ქართული ენის ხმარება, ასევე ქარ-

თველ კათოლიკების და სხვათა, რომელნიც მკვიდრად ფლობენ ქართული ენის და რომელნიც ქართველ მაჰმადიანებს ამ ენით ელაპარაკებიან და არა ისე, როგორც ადრე შიშიანობის გამო მათ წინაშე ქართულად ხმას ვერავინ გასცემდა, ამის ყველას ეშინოდა, ნამეტურ ოსმალოს დროს. დღეს-კი ეს ისე აღარ არის. აქ ამ ენის ხმარების არავის ეშინიან. ეს ენა გავრცელდა თვით არზრუმიდან გადმოსახლებულ სომხებში. 1870 წლამდე, მესხეთსა და ჯავახეთში ქართულ ენას სომხურ ენამ კინაღამ დასძლია, რადგანაც ამ ორ კუთხეში სომეხთა რიცხვი 60 ათასამდე არის, სადღეისოდ-კი ამ კუთხეებში ქართული ხმაურობა დაწინაურდა, ასე რომ აქეთ ქართულ ენის გარეშე კაცი ვერ იცხოვრებს და უსომხუროდ-კი შეიძლება, ასევე უთათრულოდ. უქართულოდ-კი არა იქნებარა. წინათ-კი აქ სომხური ძლიერება ისე წავიდა წინ, რომ მოსულ სომხებმა განიძრახეს, რომ ახალციხის და ახალქალაქისათვის სახელები უნდა შაეცვალად, სომხურად უნდა დაერქმიათ, ამაზედ მთავრობასაც მისცეს თხოვნა, მაგრამ აქედამ ნება არ მიეცათ, თორემ დღეს ახალციხეს ახალი **არზრუმი** ერქმეოდა და ახალ ქალაქს ახალი **ბაიაზეთი.** დღეიდამ ამ კუთხეებს თავის კანონიერ ხმაურობა ეძლევა, რაც ნელ-ნელა ქართველ მაჰმადიანებიც თვალს გაახელენ, მით ეს ქართული ხმაურობა აქეთ უფრო გაფართოვდება. საქმე მხოლოდ ამათ განათლებასა და თვალის გახილებაზედ არის დამოკიდებული.

ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანები

ეს ვრცელი კუთხე—ჯავახეთი ოსმალეთის სახელმწიფომ ჩაყლაპა XVII საუკ. ნახევრიდამ. ამ ჩაყლაპვის ტრფიალების მიზეზად გონი ის უნდა ყოფილიყოს, რომ 1628 წ. შემ-

დეგ, ახალციხე გახდა ოსმალოს საფაშალიკოთ, აქ გამაგრდა ოსმალოს სამხედრო წესები, გამგე ფაშები, აქ აღორძინდა ისლამი, ერთი სიტყვით ახალციხე გახდა ოსმალოს მთავრობის და მუსლიმანობის ცენტრად მესხეთ-ჯავახეთში.

აქ საქმე ცხადი არის, რომ ოსმალეთის მთავრობა იმეცადინებდა და ასეთ შუაგულ ქალაქის და სიმაგრის გარშემოც თავის ერთგულ მცხოვრებთ გააჩენდა, ხოლო ეს აქ როგორ მოხდებოდა, აქ ოსმალოს ტომის ხალხს საიდან გააჩენდა, ისევ ადგილობრივ უნდა ეძებნა-მოენახა და გაეჩინა. ამისთვის მათ ბევრი ძებნა არ მოუნდათ, მათ მალე იპოვნეს ადგილობრივ მცხოვრებ მკვიდრ ქართველნი. ამათ დაუწყეს დამონება, სულიერად დამორჩილება, რამდენიმე ხნის განმავლობაში, მათ ნახევარზედ მეტი დაიმორჩილეს, ჯერ ისლამი მიაღებინეს და მის მერე მკაცრ მონებათაც გახადეს.

საქმე მარტო აქ არ იყო, ამით არ გათავდა ეს-ჯავახელთ სთქვეს:

რა უჭირს ბატონო, ისლამს, ერთი ძმა მუსლიმანი იყოს, მეორე ძმა ქრისტიანი, სჯული თავიანთი აქვნდეთ, ხოლო ძმობას ნუ მოშლიან ერთმანეთში.

რასაკვირველია ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ოსმალოს მთავრობამ ეს არ ინდომა, ჯავახელ და მესხელ ისლამს გარდა მოსთხოვა ისიც, რომ მათ შეეჯავრებიანთ თავისი მეთვისტომე ქრისტიან ქართველნი. დაევიწყათ მათი, ანუ თავისი მამაპაპეული ენა, მის მაგიერ გაეკვეთათ ოსმალური ენა. საქმე არც ამით გათავდა და შეჯავრების გარეშე მარტოობა და სისხლის დაღვრასაც ასწავლიდნენ, ამისთვის დიდათ იმეცადინეს, ამის საწადელსაც მიაღწია ოსმალოს მთავრობამ.

მოკლე დროის განმავლობაში, მათ მთელი ჯავახეთის მცხოვრებთა ოთხი ნაწილი, ქართველ მაჰმადიანების, ქართულ ენით მოლაპარაკენი, ქართული ოჯახის შვილნი, გახა-

დეს თავის ერთგულ მონად და ქართველ ქრისტიან სისხლის მსმელად. ეს არ იყო კაი საქმე. მუჰამედი სიყვარულს ასწავლის ხალხს და ოსმალოს მთავრობა კი ქართველ მაჰმადიანებს მტრობას ასწავლიდა, მათ დაისწავლეს ესეც. მთელი ჯავახეთი გახდა ოსმალოს მონად, თავის ქვეყნის და ენის მტრად. **XVII საუკ. ანუ 1635 წლებში მესხეთ-ჯავახეთში. ერთი მილიონი ქართველი ესახლა, ჯავახეთის ნახევარი მილიონი იქნებოდა, ყველა ეს ქართველი ტომის ერი იყო, ქართულად მოლაპარაკენი.**

დღეს რაღა არის ჯავახეთი?---აღარაფერი, ძლიერ ცოტა აღარც მეათედი მის რაც 1635 წ. იყო. მა შრა იქმნა ეს ამდენა ქართველი ერი? იკითხავს მკითხველი: ოსმალეთის მთავრობამ და მათმა მახვილმა შეჭამა იგინი. დღეს ჯავახეთის ერი არც ოსმალოსთვის არსებობს, არც თავის თავისთვის, გურჯისტანისთვის, იგინი გაქრნენ უმეცრების და ფანატიკობის წყალობით, ამას მათი მთავრობაც ნატრობდა. ამ გაქრობის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ 1828 წ. ჯარებმა ჯავახეთი და მესხეთი აიღეს, ეს აღება ქართველ მაჰმადიანებს ისე ეჯავრებოდა, რომ მათ ვერ მოითმინეს, როგორც ველურებმა და ველურობაშიმყოფთ, ოსმალოს მთავრობას გაჰყვნენ უკან, ესენი გადაასახლეს შუაგულს ოსმალოს ადგილებში, სადაც შემდეგ ესენი სულ გაწყდნენ შიმშილის და უცხო ჰაერის აუტანლობისაგან.

ამათ ალაგას არზრუმელი სომეხნი მოვიდნენ და დასახლდნენ.

დღეს მთელ ჯავახეთის სოფლებთ შორის: ქართველ მაჰმადიანები ერთობ ცოტაღა სცხოვრობენ, მათი რიცხვი სულ რამდენსამე სოფელში იქნება, სოფელში ქართული ენა იციან, მაგრამ ამ ენას ისე უყურებენ, როგორც ძაღლის ენას, თვით არიან უმეცარნი, უსწანლელნი, ნამდვილი უმეცრული ტეტიები არიან, არც ოსმალური იციან და არც ქართული,

მდაბიო ერს გარდა თვით აქაური ბეგებიც მეტის-მეტი შეუგნებელი და უსწავლელნი არიან, ამათ დღემდისაც-კი ვერ შეიგნეს, რომ იგინი ტომით ქართველნი არიან, თვით საშუალო სკოლებში მოსწავლე ქართველ ბეგის შვილებიც-კი ვერ გამოტყდნენ აქამდის დათავიანთ ვინაობა ვერ შეიგნენ, თავი თურქად მიაჩნიად.სხვა აბა რა უნდა ითქვა ამით ცხოვრებაზედ, კარგი არაფერი.

მთელ ჯავახეთში 250 სოფელი იქნება დიდი და პატარა, ზოგი სოფელი მიწერილი არის დიდ სოფელზედ, ამიტომ მისი სახელი არა სჩანს. მთელს **ჯავახეთში არის 80 ათასი მცხოვრებნი. 30** ათასი სომეხი იქნება, 20 ათასი ქართველ მაჰმადიანები, რომლებშიაც ზოგმა იცის ქართული ენა, ზოგმა აღარ, დანარჩენი სხვა ტომისანი არიან, ამ კუთხეში ქართულად მოლაპარაკენი სცხოვრობენ შემდეგ სოფლებში:

სარო, 70 კომლი, ქართულ მოლაპარაკე ქრისტიანები.
ხიზაბარავა, 200კომლი, ქართველ კათოლიკენი.
გარგავი, 25 კომ. ქართ. კათოლიკენი.
თოკი, 21 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
ვარევანი, 20 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
კოთელია, 90 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
ბარალეთი, 80 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
აზავრეთი, 10 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
ბალანთა, 5 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
ქირსაულა, 5 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
ხუმრისი, 5 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
გურჯახეთი, 15 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
ახალქალაქი, 30 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
ბრტენა, 50 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
ჩუნჩხა, 50 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
ქილდა, 70 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.
გოგაშენი, 80 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.

აფნია, 30 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.

მისხი, 100 კომ. ქართ. მოლაპარაკენი.

ამ სოფლის მცხოვრეთაგან განისმის ქართული ენა მთელს ჯავახეთში. ამათ გარდა, ქართული ენა დევნილი არის ყველგან, ქართველ მაჰმადიანები, რომელთაც ცოტა კიდევ იციან ამ ენის, იგინიც ცდილობენ ამის დავიწყებას. ასევე დაკარგეს ქართული ენა ქართველ კათოლიკებმა შემდეგ სოფლებში, დღეს ესენი სომხურად ლაპარაკობენ:

კარტიკამი, 150 კომ. ქართ. კათოლოკენი, ქართული ენა დაკარგეს.

ხულგუმო, 70 კომ. ქართ. კათოლოკენი, ქართული ენა დაკარგეს.

ბაგვა, 30 კომ. ქართ. კათოლოკენი, ქართული ენა დაკარგეს.

ეშტია, 200 კომ. ქართ. კათოლოკენი, ქართული ენა დაკარგეს.

ტურცხა, 40 კომ. ქართ. კათოლოკენი, ქართული ენა დაკარგეს.

ქართველ კათოლიკების ენის დაკარგვას ხელი შეუქყო იმ გარემოებამაც, რადგანაც სამცხე ოსმალთ ეკავათ, მათგან ქართველ მაჰმადიანთ წინაშე ქართული ენა გმობილი იყო და ამის გარდა ქართველ კათოლიკეთა სჯულის ენაც სომხური ითვლებოდა, ამიტომ მოხდა ამათი გადაგვარებაც.

თუმცა ჯავახეთში ქართული ენა დევნილი არის, მაგრამ მაინც ეს ენა მთელს მხარეში მაინც არსებობს და ნელნელა ქართველ მაჰმადიანებშიც-კი იდგამს ფეხს, თუმც მდევნელიც ჰყავს, მაინც ქართველ კათოლიკენიც მოდიან ცნებიერებაზედ.

ქართული ენის დაკარგა ქვაბლიანის ქართველ მაჰმადიანებში

ქვაბლიანთან – ქობულეთს მსგავსება აქვს, ქვაბლიანს გარს აკრავს ფოცხოვი. ზედა აჭარა, მესხეთი და იმერეთის მთები. აქ სცხოვრობენ სულ ქართველთ მაჰმადიანები, ყველა ესენი არიან ერთობ უკან ჩამორჩენილნი, ფანატიკები და ძალიან დაცემულ გაველურებულნი. ამათში ქართული ენა დაკარგული არის. აქ ქართულს ლაპარაკობენ მხოლოდ ქრისტიანები შემდეგ სოფლებში:

უდე, 250 კომ. ქართ. კათოლოკენი, ქართული ენა დაკარგეს.

ვალე, 200კომ. ქართ. კათ. 40 მართ. მად. ქართულად მოლაპარაკენი.

არალი, 70 კომ. ქართ. კათოლოკენი, ქართულად მოლაპარაკენი.

ბალაჟორი, 10 კომ. ქართ. კათოლოკენი, ქართულად მოლაპარაკენი.

აბასთუმანი, 40 კომ. ქართ. კათ და მართ. ქართულად მოლაპარაკენი.

მთელს ქვაბლიანსა და ადიგენის ნაწილში იქნება 150 სოფ. ყველა ამ სოფლის ქართ. მაჰმადიანები არიან,ზოგან სომხებიც სახლობენ, ამათში ქართული ენა დაკარგული არის. ამათ ენის დაკარგვას საოცარი ისტორია აქვს, ეს ბედშავი სივერაგე ოსმალოს მთავრობის ჩვენ ბევრჯერ ავნუსხეთ, ამიტომ აქ აღარ ვიტყვით მასზედ.

მხოლოდ აქ ერთი ის არის საკვირველი, რომ ქვაბალიანის მოსაზღვრე ზედა აჭარაში ქართული ენა არსებობს, ასევე მეორე კუთხეს, ანუ მესხეთს და ზემო ხსენებულ ქრისტიანთ სოფლებში, საკვირვრლი ის არის, რომ მიუხედავად ამ სოფლებში ქართული ენის ხმაურობის. მაინც ქართულ მაჰ-

მადიანთ შორის ქართული ენა ამოვარდნილა. ეს გარემოება ცნობას იძლევა მის შესახებ, რომ აქ ოსმალოს სასულიერო წოდებას ისლამის ძალით, ქართული ენა აკრძალული ჰქონია, მეორე ქრისტიან ქართველებსაც დაშლილი აქვნდათ თურმე, რომ გათათრებულ ქართველებთან რამე საქმე ჰქონიყო, მაშინ მას უსათუოდ ოსმალურად უნდა ელაპარაკნა და არა ქართულად, წინააღმდეგ დასჯიდნენ ორივეს და ნამეტურ გათათრებულს, ამიტომ თურმე ქვაბალიანის ქართველებს პირზედ ქართული ენის კლიტე ედოთო.

ერთად ერთი თურმე ახალციხის ქართველ ურიებს აქვნდათ ქართული ენის ხმარების უფლება, ესეც იქნება მოტომ, რადგანაც ოსმალონი მათ იცნობდნენ ურიებით და ვინ იცის იქნება მათ ისკი არ იცოდნენ, თუ იგინი ქართულად ლაპარაკობდნენ, თორემე მაშინ მათაც აუკრძალავდნენ ქართული ენის ხმარებას. ურიები მოგზაურობდნენ ვირებით, ცხენებით სოფლებში და წვრილმან საქონელს ატარებდნენ, ამ დროს, იგინი ქართველ მაჰმადიანთ ქართულ ენას ახმარებდნენ, თუ სადმე აქვთ ქართული ენის რამე არსებობს, ეს არის ამაგი ქართველ ებრაელთა არსებისა საქართველოში. ერთმა მოხუც ქართველ ახალციხელ ებრაელმა ამის შესახებ ბევრი რამ მიამბო, სთქვა მან:

ჩვენ, ბატონო, ქართულ მიტომ ვხმარობდით, რომ ვაჭრობაში არ მოვტყუებულიყავით, მეორე თათრებს ჩვენზედ უკეთ ესმოდათ ქართული და აბა ჩვენ რა ძალა გვადგა, რომ თათრული გველაპარაკა, ჩვენ ქართულად ვუფასებდით. ვევაჭრებოდით და იგინი თათრულად გვაძლევდნენ პასუხს.

ესეც იყო თურმე, რომ ფოცხოვს, ჩილდირს, ქვაბილანს და ადიგენსაც, ვინც ქართველ თათარმა თათრული არ იცოდა, მაშინ იგი თავის მერჯულესთან-კი ქართულ ენას ხმარობდა თურმე ისიც ჩუმად და ურიასკი მაინც ქართულად არ მისცემდა პასუხს, თავის მერჯულე მეორე თათარს, რომელ-

მაც იცოდა ლაპარაკი, იმას მიაცემინებდა თათრულად პასუხს, ერთმანეთში კი ურიის ცოტა მოშორებით, ქართულად ილაპარაკებდნენ თურმე, ამავე კუთხის სოფლების შესახებ ვინმე მესხმა ერთის „მისიონერულის“ დღიურიდამ შემდეგ სოფლის სახელები გადმომცა, რომელნიც XVIII საუკ ბოლოს ერთ კათალიკოს მღვდელს აუწერია.

სოფელი წყარო, წახნისა, სარჯინი, შოყა, ენთელი, ფეხრო, მიქელ წმინდა, წყურთა, ხევაშენი, უნცა, ვარსინა ფერხა, ბენარა, ოში, თხაკი, საკლი, ჯვარის ციხე, პამაჯი,სხვილისი, უდე, ნიოცხრები, წინაუბანი, აბატ ხევი, უდელა, წყალ-თბილა, ჭაიხელი, ჩუჩუტო, ქიქინეთი, საღრიძე, ნაქურდევი, ფარეხა, უნწო,წარო, წიხნის ბ, ხარჯამი, წირე, ხევაშენი, ბოლაჟური, არძნე, ღაღვი, გომარო, ქაცარული, ზონავი, აფიეთი, **გოდერძი,** კეხოვანი, კიკიბო, ფლოტე, დესესვლი, შოყო, საირმე, მოსე, მლაშე, ზარზმა, უტყის უბანი, ქექელა, ციხის უბანი, ღორთ უბანი, გუგუნაური,ნამიაური, ნაქურდოვანი, ოჩიეთი, წირკა, სამოდა, ჩორჩონი, აროლა, გორგული, ყართ უბანი, ლელოვანი, ავხერი, კოსარეთი, სამურ, ღორძე, ხურო, ორჯიშინა, წარბასტ უბანი, ხონა, მარელი, ზაზალო და სხვანი.

ახალციხიდამ ქვაბლიანზე გზატკეცილი არის გაკეთებული ბათუმამდის, ეს გზა აერთებს მთელს ზედა და ქვედა აჭარას, ამიტომ აჭარელთაც ხშირი მისვლს-მოსვლა აქვსთ ამ გზით ქვაბლიანზედ, მგზავრობაში აჭარლები ყოველთვის ქართულ ენას ხმარობენ, ამიტომაც ამ კუთხეში ქართულ ენამ გახმაურება დაიწყო. საერთოდ მთელს კუთხეში, იმედი არის, რომ ასეთის პირობებისაგან აქ ქართული ენა კვალად აღსდგება ქართველ მაჰმადიანთ შორის, ამას ფიქრი არ უნდა, ამის მაგალითიც გვაქვს, შავშეთში ქართული ენა დაიკარგა, დღეს იქ ეს ენა გახმაურებას და აღორძინებას მიეცა ლივანელ ქართველ მაჰმადიან მენავეებისგან, რომელნიც

ყოველთვის ქართულ ენას ხმარობენ მოგზაურობის დროს, აქაც ქვაბლიანში ასე მოხდება აჭარლებთაგან.

ქართული ენის დაკარგვა ჩილდირის ქართველ მაჰმადიანებში

ჩილდირის ხეობა ჯავახეთს აკრავს, იგი არტაანის და ახალქალაქის მიზრის შუა სძევს, ამ ხეობაზე, XVII საუკ. ქართველთ რიცხვი დიდი იყო. დღეს კი ჩილდირი აღარაფერი არის ჩვენთვის, აქაური მცხოვრებნი მთლად ქართველთ ტომისანი არიან, მაგრამ მათ ტომობას რას ვიქნევთ, არაფერს, იგინიც უმაქნისნი არიან, როგორც ფოცხოველნი, დღეს ესენი არც თათრები არიან და არც ქართველნი, ორივეში გამოწყვეტილნი გახლავან. მთელი ხეობა სავსე არის ქართლის ძველის ნაშთებით, ამათაც დაკარგეს ეს ენა და ისეთივე ბაიყუში და კერპნი, როგორც მთელი არტაანის ოლქის, მასთან ჯავახეთის და მესხეთის ქართველ მაჰმადიანები.

ფოცხოველნი არიან ნამდვილი ტეტიები, როგორც ქართველის აჯამი ტეტია გლეხები არიან, ესენიც ისე გახლავან. ამათ თათრობის მიღების უმალვე შეითვისეს განუსაზღვრელი ბოროტება საქართველოსადმი, ამ ბოროტებას ყოველთვის ახალციხის ფაშები და ყადებიც ერთი ოცად ამრავლებდნენ. ამიტომაც ფოცხოვის ქართველ მაჰმადიანებმა სიამოვნებით დაკარგეს თავიანთ დედა ენა, იგინი დღესოსმალურად ლაპარაკობენ, თუმცა კითხვა რომ იქმნეს, მაშინ ხან იტყვიან მუსლუმანი ვარო, ხან თათარი და ხან გურჯიც გამოვა მათი პირიდამ, მაგრამ ეს გურჯი არის ცარიელი ჩონჩხი, ცარიელი სიტყვა, სხვა მის მეტი შიგ არაფერი ჰყრია. ამიტომაც ასეთ ქართველთ მაჰმადიანთ შესახებ რა უნდა ითქვას, არაფერი, იგინი ქართველებისთვისაც გაწყვეტილნი

არიან, დაკარგულნი და იმავე დროს არც ოსმალები გახლავან. ესენი აქეთაც დაკარგულნი არიან და იქითაც, არც ერთნი და არც მეორენი არიან. ხოლო რა იქნებიან შემდეგში, ამისაც ჯერ არა ითქმის-რა.

მთელი ფოცხოვი-კი არის ქართველი ტომის საბინადრო, ქართველ ერის შთამომავლობითვე დასახლებული, ხოლო ენითდაკარგულნი, ზოგ ალაგას ქართული ენა იციან, ხოლო მცირედ. ფოცხოვი მიწერილი არის ყარსის ნაწილზედ და ამიტომ იგი მოწყვეტილი გახლავსთ მესხეთისაგან. ფოცხოვში XIX საუკუნის დამდეგს 100 სოფლისამდის იყო, დღეს ამაზედ მცირე არის, შემცირდნენ გადასახლებით ოსმალეთში 1854 წლიდამ. ქართული ენა ზეგნელებისაგან ახლა აქ ხმარებაში არის, ნელ-ნელა ვრცელდება. იმედია შემდეგში უფრო მოიფინება.

ქართველ მაჰმადიანთა გადაგვარება არტაანის (არდაგანი) ოლქს, კოლას, კარს და სხვა კუთხეებში

გულ-ცეცხლ საწვავ სიტყვებს ჩვენ ბევრს არას ვიტყვით არტაანის შესახებ, რა უნდა დავსწეროთ ამ ჩვენი ტომის შესახებ, როცა ამ კუთხეში დიდი ხანია რაც ქართველნი მოისპნენ და აღიგავებენ დედამიწის პირიდამ. აქ თუ რამეს ვიტყვით და მოვიყვანთ, ეს იქნება მხოლოდ თხრობა ჩვენის ტომის განვლილ ცხოვრების ვითარების დამ ის ავ-კარგიანობის. სხვა არაფერი, რადგანაც ყოველივე გარდაიქმნა, გარდაშენდა, გადასხვაფერდა, ძველ ქართველთ კვალი წაიშალა, მოისპო. ერი არა კვდებაო, არამედ გარდიქმნებაო.

არა მგონია, რომ სადმე, ასე უჩუმრად და შეუმჩნევლად გადაგვარდეს რომელიმე ერი და აიგავოს თავისი სამშობლო

ქვეყნის ასპარეზად, ეს როგორც მოუხდათ არტაანის ქართველთ, ოლთის, კარის და სხვათა. მთელი ამ კუთხეების დაბა, სოფლები და ქალაქები ქართველი ხალხით იყო დასხლებული. ყოველ ქალაქში სცხოვრებდა ქართველი ერი. გამგეობა იყო მათი ქართული, წინეთ საქართველოს მეფეს ემორჩილებოდნენ, საქართველოს სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ გაყოფის შემდეგ **სამცხის ათაბეგს** ექვემდებარებოდნენ, ასევე ქალაქის მსგავსად დაბასა და სოფლებშიც მთლად ქართველი ტომის ერი სცხოვრობდა, მათში მცირედ ერივნენ სომეხნი, ბერძენი, ოსმალ-სპარსნი და ქურთებიც, ხოლო ძლიერ მცირედ. მათი რიცხვი შეუმჩნევი იყო. ყველა ამ ადგილებს ქართველთაგან ეწოდებოდა **ზემო ქართლი** და არტაანის ნაწილს „ერუშე-თი“.

რადგანაც სამცხე-საათაბეგოს შესახებ, ჩვენ მოკლე ისტორია ცალკე გვაქვს დაბეჭდილი, ამიტომ აქ ჩვენ მარტოდ მოკლედ უნდა ავნუსხოდ ის გარემოება, თუ ხსენებულს კეთხეში როგორ მოისპო ქართველი ტომის ერი. **ოსმალთა რაკი სტამბოლში გაიმაგრეს ფეხი და ტრაპზონიც დაიჭირეს, მერე საქართველოსაც დაუწყეს ბრძოლა, პირველად გზაში მათ საქართველოზედ სამცხე-სათაბაგო დახვდათ, დაიწყეს ბრძოლა 1520 წლებიდამ. 1550 წ. სამცხე-საათაბაგოს ზოგი ადგილები დაიპყრეს, მაგრამ მფლობელობის განმტკიცების კი დიდათ ეშინოდათ 1580 წ. კი მოხვიეს ხელი და დაიჭირეს არტანუჯი და არტაანი არსიანის მთამდე**. ეს იყო პირველი ნაბიჯი ოსმალთა, ამ ნაბიჯით იწყება მათი გაძლიერება სამცხე-საათაბაგოდამ საქართველოზედ და ქართველთ დაცემა უწყალოდ. ასე და ამგვარად, **სამცხე-საათაბაგოს ნახევარზედ მეტი ადგილი ოსმალთაგან დამორჩილებულ იქმნა მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოს**. აქედამ იწყება ქართველთ დაცემა საქართველოში და ოსმალთ ამაღლება, დაწინაურება.

არტაანელნი და მთლად მესხ-კლარჯნი ისე ცხარედ ომობდნენ ოსმალებთან, რაისა გამო ოსმალთა დიდი შიში აქვნდათ ხსენებულ ადგილებში ფეხის გამაგრებისა. ამიტომ ოსმალნი სამცხელთ ავალებდნენ მხოლოდ მორჩილებას, თავის დაკვრას და დანარჩენს სამცხე-საათაბეგოს წესების ხელშეუხებლად დატოვებას, **ათაბეგთა** და მათის უფლების დატოვებას და სხვანიც მრავალნი ამგვარნი. მრავალჯერ ომებში ყოფილან და მობეზრებულ ქართველთ მეტი გზა არ აქვნდათ, მთლად სამცხეში გაწყვეტას ისევ დამორჩილება არჩიეს და დამორჩილდნენ ოსმალთ, ხოლო შემდეგის პირობით. რის შედგენაც ეკუთვნის **1565** წ. აი თვით პირობაც:

აი სამცხე-საათაბაგო მორჩილება ოსმალეთის სულთან სელიმს და ამიერიდამ ათაბაგენი და ხალხი თავიანთ ქვეყანას და ხალხს სულთანის მფარველობის ქვეშ აღიარებენ და მისი ერთგულნიც იქნებიან ყოველთვის. სახელმწიფო ხარჯი და ხონთქრის ბრძანება ყოველთვის უნდა ერთგულად აღასრულონ.

ოსმალეთს არა აქვს უფლება რომ მოსპოს **ათაბეგთა** ტახტი, ათაბაგნი და მათ მაგიერ განაწესოს ოსმალოს მოხელები. სამცხე-საათაბაგოს განაგებს **ათაბეგი.** ფული მუშაობს ოსმალის. ხალხის სჯული ხელშეუხებელია, ძალით გათათრება არავის შეუძლიან. ხარჯს იხდიან ათაბაგთა, ანუ ქართულის კანონებით, ტყვის დაცვა, წაყვანა და გაყიდვა არ უნდა იქმნეს, ჩუმად გათათრებაც არ შეიძლება, როცა ერთი ათაბეგი კვდება, მის მერე ტახტს იკავებს მისი უფროსი ვაჟი, თუ ვაჟს არა ჰყავს, მაშინ ძმა ან ძმის წული და ასე და ამ გვარად გვარის ერთი უფროსთაგან.

პირობას ბევრნაირი სხვა მუხლებიც აქვნდა, ჩვენ აქ უმთავრესი კითხვები ავნუსხეთ ორ მუხლში.

ასეთის ოსტატობით უახლოვდებოდა ოსმალეთი ქართველ ტომის ერს, მათ მიწა-მამულს და დიდის მოხერხები-

თაც ემზადებოდა რომ ეს ერი ოდესმე დაემხო, მოესპო მათი ყოველივე და მის ნაცვლად თავისი დაემყარებინა. **ამისთვის მათგან გამოწვეული მახვილი ოლთის ხვდა, კარს და არტაანს.** პირველად ამ კუთხის ქართველთ დიდებულებს უწყეს შესყიდვა და ქვეყნის ღალატის ჩანერგვა. ნელ-ნელა გათათრებასაც აჩვევდნენ. გათათრების აუცილებლობას ითხოვდა ოსმალთა იმ დროის პოლიტიკის ის გარემოება, რო ვიდრე სამცხის ქართველებს არ გავათათრებთ და სჯულს არ დავიახლოვებთ, მანამდის, ეს ხალხი ჩვენი ერთგული არ იქმნება, ყოველთვის თავიანთ თანარჯულე იმერთ და ქართველებზედ ექმნებათ გული და თვალი მიპყრობილიო. ამას ფიქრობდნენ და საქმეც აისრულეს.

1627 წლამდე, საქმე ისე მოაწყეს, რომ **ბექა ჯაყელის** გათათრების საშუალებით მოსპეს ათაბეგობა და მის მაგიერ განაწესეს ახალციხის ფაშად თვით გათათრებული ბექა ათაბეგი, შემდეგ **საფარ ფაშა ახალციხისა.** პირველ დროს, ახალციხის ფაშას ემორჩილებოდნენ მთელის სამცხე-საათაბაგოს ფაშები. ახალციხის ფაშა იყო მათი მთავარ სარდალი. ამის საზღვრები იყო არზრუმით-ტრაპზონამდე. შემდეგ დროს-კი ახალციხის ფაშა დაუკავშირეს არზრუმის სერასკერს. ასე რომ მთელი სამცხე-საათაბაგოს ქართველნი და მისი გამგენი არზრუმის სერასკერს დაემორჩილნენ. ამ დღიდამ შემოვიდა მათში ოსმალურ მოხელეთა სახელწოდებანი. რაკი ოსმალეთმა მოახერხა და თავისი ძლიერების ძალა მტკიცედ დაამყარა სამცხე სათაბაგოში. მერე მიჰყვა და ხალხს დაუწყო გადაგვარება. პირველი მახვილი გადაგვარებას ხვდა ოლთისს, კარს და არტაანს. მიცრე ხნის შემდეგ ეს მახვილი მძლავრად დატრიალდა ახალციხეს და მის თემთა სოფლებში, არტაანელთ ქართველ გათათრება იწყება 1640 წლებიდამ და 1670 წლიდამ სასტიკათ ძლიერდება. 1680 წლი-

დამ იწყება არტაანის ქართველთ შლილობა, ასევე ოლთის, კარის და სხვათა.

საქმე ასე მოეწყო, ასე დაბოლავდა ქართველ ტომის დასაღუპათ ხსენებულს კუთხეებში. ყველა ამ კუთხის მთასა და ბარში ქართველი ხალხი სცხოვრობდა, მათი ხმაურობის მეტი იქ სხვა არა გაისმოდა-რა. გარდა ამისა მთელი ქართველობის საუკეთესო ძალაც იქით იშლებოდა. **საქართველოს შესამჩნევი კუთხე ძველადგანვე არტაანი გახლდათ. იქაურნი ქართველნი იყვნენ ქართველთა გასაღები სიბრძნის წყაროსი. ასეთ სიდიადეს ერუშნელთ ენიჭებოდათ საბერძნეთის სიახლოვის გამო.** ერუშნელთ შორის საბერძნეთის მსწავლულთა და ფილოსოფთა ცოდნას ადრევე მიეცა აღორძინება და დასაწყისი. სამწუხაროდ, მე ვერ მიმოვლე დაწვრილებით და ვერ ავნუსხე თუნდ სოფლების სახელები, მაინც დაწვრილებით ეს შეუძლებელი არის ჩვენთვის, რადგანაც ერუშეთის მთათა და ბართა. ანუ ხეობათა ვინ მოსთვლის, ვინ აღწერს, ჩვენ მათი არსებობის აღარა ვიცით-რა. იქ მცხოვრებთ რიცხვიც ხომ აღარ არსებობს ჩვენის ტომის ხსენებისათვის. ჩვენის ტომის სამახსოვროდ მხოლოდ ზოგიერთ კუთხის ქართველთ მაჰმადიანთ შერჩათ ქართული ტიპი, სახე და ნიშანწყალი, ამის მაგალითია ჩილდირის ხეობის ქართველ მაჰმადიანთ საქმე და სხვანი, სადაც კარგად ემჩნევათ ქართველ მაჰმადინთ ქართველთ ტომის მოდგმის ნიშანწყალი, დანარჩენი გაქრა ყოველივე. ჩვენი სიდიადე ერუშეთის განვლილ დროის ქართველთა სჩანს შემდეგის გარემოებებიდანაც.

ერუშეთის და ერუშნელთა სამწყსოს შეადგენდა ბანის, ანუ ბანელთ მღვდელ-მთავრის სამწყსო. ბანის საეპისკოპოსო კათედრა თავის დროს იყო ერთი უშესანიშნავესი ძეგლთაგანი მთელ საქართველოში, ამის მსგავსი შენობა ცოტა არის.

1840 წ. მოგზაურ ნემეცს ბოტანიკს კოხს უნახავს ეს ტაძარი, იგი გაკვირვებით სწერს, რომ მთელს აღმოსავლეთში ჩემს თვალებს ასეთი არაფერი უნახავსო. ბანის ტაძარი მსგავსია მხოლოდ სტამბოლში, სოფიოს ტაძარი. ამ დროს, ბანის ტაძრის გუმბათიც-კი მთელი ყოფილა და საყდრის კედლებზედ მდგარა. დღესკი, როგორც სწერდა **ე. თაყაიშვილი,** ამ შესანიშნავ ძეგლს გუმბათიც დაჰქცევია და თვით საყდარის შენობაც მთლად ქცევა, ნგრევას მისცემია, სადღეისოდ დაშთენილა მხოლოდ საკურთხეველი, რომელიც მოქარგულია სოფლის კენჭებით. ყოველივე ეს დღეს დახმობას და მუსვრას არის მიცემული, დღეს მხოლოდ ცდილობენ რომ ამ ძველი დიდებულ ნაშთის გაღმა აღადგინონ და მით დაიცვან მისი განვლილ დროის ბწყინვალე სახის მოყვანილობა და მის ნიშანწყალი. ამ კუთხეში ასე დაეცა არა მარტო ერთი ეს შთენი და ძეგლი, არამედ რამდენიმე და მრავალი. ამ კუთხეში დაშთენილ შთენთა და ძეგლთა რიცხვი ერთობ დიდია და მრავალი, მარტოდ რასაკვირველია, ეს მეათეა იმ ნაშთების და ძეგლების, რაც-კი ოდესმე ერუშეთში აღორძინებულა და მოფენილა.

ამ კუთხის შესახებ ქართველ მაჰმადიანთ შორის დაშთა მხოლოდ ის ცნობა გარდმოცემით, რომ ერუშეთს, ანუ ზარუშეთს, ძველად ქართველები მდგარან და ქრისტიანები ყოფილანო, ჩვენები ძველები ისინი არიან თურმე და ადრე ჩვენც ქართველები ვყოფილვართო. ხოლო მერე მღვთის ბძანებით გავთათრებულვართ.

ამ ქვეყანასაც არდაგანიკი არ რქმევია, არამედ ზარუშეთი-ერუშეთი. ყველა ციხე, ყველა საყდარი და ხიდები აქეთ სულ ნაკეთებია **თამარ მეფის,** თამარ მეფეც ჩვენი ძველების მეფე ყოფილა.

აი ეს არის, ეს გარდმოცემა არის დაშთენილი არტაანის ქართველ მაჰმადიანებში. სხვა ყოველივე გამქრალია და

მოსპობილი. აქ ჩვენ ერუშეთის წარსულ დროის დიდებაზედ აღარას ვიტყვით, აქ ეს მეტი იქნება, უნდა ავღნიშნოდ მხოლოდ ის, თუ ამ ვრცელს კუთხეში როგორ მოისპო ქართული ტომი და როგორ გაქრა მისი კვალი სამერმისოდ. ესეც მხოლოდ აღსანიშნავად მის, თუ რაგვარ მოეღო აქ ამ ტომის ერს ბოლო.

II

ერეშეთს, ანუ არტაანს, იყო სამი კათედრა, ბანელისა. უმთავრესი, კარელისა და ანელისა. საზღვრები ამით მისწვდებოდა არმენიის და საბერძნეთის საზღვრებამდე. კუთხე იყო ვრცელი და მასში მრავლად მოსახლეობდნენ ქართველნი, ისინი იყვნენ მხნენი, ერთგულნი ქვეყნისა და მხნე მხედარნი მტერთა წინაშე ბრძოლაში. მთლად ამ კუთხის ქართველ სოფლებთა რიცხვი იყო 1000 სოფლამდე, დიდი და პატარა, მათ აქვნდათ მრავლად ციხეები, კოშკები, ძველი ტაძრები, წყლებზედ გადასასვლელი ხიდები და სხვანი. მათი უმთავრესი ქალაქი იყო **არტაანი,** შემდეგ არდაგანი, ქართველი ხალხი აქ მისდევდა ხნა, თესვას, ერბოყველის კეთებას, ბამბის მოყვანას, მრავლად მატყლის წარმოებას, საქონლის მომრავლებას, რადგანაც აქვნდათ კარგი საბალახენი. ეს გარემოება ერუშელთ დიდათ უწყობდა ხელს საქონლის გამრავლებაში. სამეურნეო ნაწილს გარდა ვაჭრობასაც მისდევდნენ, ვაჭრობა აქვნდათ ძველადანვე ბერძნებთან და ოსმალ-სპარსებთან გამართული. სტამბოლშიც ადვილად მგზავრობდნენ ერუშელნი ვაჭრობის მიზნით.

ერუშეთი ოსმალთა მკაცრად **დამუხლეს 1625 წლის შემდეგიდამ,** მათში მოსპეს ყოველივე თვითცნობიერება ქართველობისა, დაახსეს ყოველივე ქართველობის, გაანადგურეს, თუ ვინმე არ დაემორჩილა მათს მახვილს და არ გათათრდა, იმას კიდევ ან გაქცევა ელოდა და ან სიკვდილი. საზოგადოდ ცნობილია, რომ ერუშეთში, ქართველთ შორის

ქრისტიანობა სრულიად, ანუ ძირიან ფესვიანად ამოვარდა 1700 წლის შემდეგ, სულ 60 წლის განმავლობაში აქ ეს ისე დაამხეს, ისე მოსპეს რომ XVIII საუკუნის დამდეგამდე, იქ ქართველ მაჰმადიანთ შორის ქრისტიანობა აღარსად იყო. ენა კი იხმარებოდა ზოგიერთ ადგილებში და გლეხთ შორის კვალად მოისმოდა ქართული ენა აქა იქ, ხოლო მცირედ, იცოდენ მცირედ, რომ ამ სიმცირეს თვით **ვახუშტიც** ანუსხავს 1735 წლებში. ამ დროს, ქართველ ბეგებთ შორის ქართველი ენა დიდათ ყოფილა შერყეული, იგინი სახლში ოსმალურის ენით ლაპარაკობდნენ თურმე. მათ ერთობ მალე დასთმეს ეს ენა ოსმალთა ბრძანებით.

თუ ყოველივე ეს როგორ მოხდა და როგორ ამოვარდა, ამას გვაჩვენებს შემდეგი მაგალითები:

ერუშეთის მკაცრად დამორჩილებას მოჰყვა ქართველთ გათათრება მკაცრის კილოთი. ყველა სოფელს გამოეცხადა დამონება, ვინც თათრობა იყაბულა, ის იქ დარჩა, ვინც არა და უსათუოდ უნდა აყრილიყო და ქართლსა და იმერეთში წამოსულიყო, ან იქ მოკვდებოდა ბრძოლაში. ქართველს იქ არავის დასტოვებდნენ. ქართველი თუ სომხის, ანუ კათოლიკის სჯულს მიიღებდა და ამით აცნობებდა თავის ვინაობას, მის მერე-კი ეძლეოდა მას იქ ცხოვრების უფლება, ასე და ამ გვარად, ძრიელ ბევრ ქართველთაგანი, რომელნიც თათრობას ადვილად ვერ უერთდებოდნენ, იგინი თავს სომხად, ანუ კათოლიკად აღიარებდნენ და ამიტომ თავსაც გადირჩენდნენ, ამ გვარის ქართველთ რიცხვი ერუშეთში ძველიდგანვე დიდი იყო. მომავლისთვის მათ დაკარგეს ქართული ენა. მის მაგალითია არტაანის ნაწილის ჩილდირის ხეობის სოფელ ვეილს მცხოვრებთ ქართველთა ვითარება, რომელთაც კათოლიკობა მიიღეს და შემდეგ დროს მათ ქართული ენაც დაკარგეს. დღეს იგინი ოსმალურად ლაპარაკობენ, სჯულით ქრისტიანები არიან და სომხის კათოლიკედ

ირიცხებიან, თუმცა გვარ-ტომობით კი ქართველები არიან. ამათში ქართული ენა ძირიანად ამოვარდა XIX საუკუნის დამდეგიდამ. ერთი ნაწილი ამ სოფლის 1863 წ. ახალციხისკენ გადასახლდნენ და სხვა და სხვა სოფლებში დასახლდნენ, დღემდე აქ არიან ესენი. ქართული ენა დაკარგული აქვსთ. ლოცვა სომხურად აქვსთ საყდარში და ირიცხებიან სომხის გვარის კათოლიკეთ, თუმც მათ კარგათ იციან რომ ქართველთ შთამომავალნი არიან. მაგრამ სომხად კათოლიკობენ.

ასე და ამგვარად, მთელს ერუშეთში, ქართული ენა დაჰკარგეს იმ ქართველთაც რომელთაც ისლამის იწამეს და დაჰკარგეს იმ ქართველთაც, რომელთაც კათოლიკობა და გრიგორიანობა აღიარეს, ქართულ გვარს და ენას ერთმაც მოუსო ცელი და მეორემაც. ყველა ეს სასიხარულო მოვლენა იყო ოსმალოს მთავრობისთვის, რადგანაც მათ დიდი შიში აქვნდათ მისი, რომ ვაი თუ, ქართველთ ხალხი ვერც მაგრა გავათათროდ, ვერც გავიერთგულოდ და ვერც ვიყმოთო. მიტომაც იყო რომ იგი მძლავრის მახვილით სპობდნენ ქართველთ რიცხვს არტაანის მხარეს, ანუ მთელს ერუშეთში.

გათათრებულ სოფლებს სათითაოდ ყველას დაუდგინეს ხოჯა, მოლა და სხვა. გაუკეთეს ჯამე, მოუხერხეს სოფლის მედრესე. ხოჯა ხალხს უქადაგებდა ისლამის სწავლას, ქრისტიანობის ცნების დავიწყებას, ქართული ენის დათმობას, ოსმალურის შესწავლას, ხოჯა, თუ მოლა ასე და ამ საგანზედ ქადაგებდა მუდამ დღე ჯამეში, ასევე ქადაგებდა ბავშვების წინაშე მედრესეში. ერთსა და მეორეშიაც ქართველობის ყოველივე იგმობოდა. სასულიერო წოდებამ იმეცადინა და ქართული ენის და თვითცნობიერების შესახებ სრული ზიზღი და მტრობა ისე მძლავრად დანერგვა, რომ თვით ქართველ მაჰმადიანებივე მოიძულებდნენ დედაენას და ყოველივე გვაროვნობის თვითცნებიერებას. ყველა ამის კვალად

ხელს უწყობდა ოსმალეთის მთავრობისაგან გაბატონებულ ოსმალური ენის ხმარება, რაც ყოველ ერუშენელს უნდა სცოდნიყო, თორემ ის უამისოდ ოსმალთა სამართველოში ფეხს ვერსად წარსდგავდა, მას ქართულის ენით არავინ ალაპარაკებდა, მისთვის მთარგმნელი იქმნებოდა საჭირო. მიტომ ყოველი ქართველ მაჰმადიანი სცდილობდა ოსმალური ენის შესწავლას, ქართულის დავიწყების. ამ გარემოებამ შეუწყო ხელი არტაანის ოლქში ქართული ენის ამოგდების საქმეს. ქართულ გვარსა და ენას ძირიან-ფესვიანად მოთხრას მტრობაც მოევლინა ოსმალთაგან.

მთავრობის ბრძანებით სოფლებში აკრძალული იქმნა ქართული ენა სალაპარაკოდ. კარში საქვეყნოთ კი არა და თვით ქალებს სახლში ჩუმათაც-კი ეშინოდათ შვილებთან ქართულს ენაზედ ლაპარაკის. ქალებს ასმენდნენ ისეც, **თქვენ რადგანაც მუსულმანები ხართ, ამიტომ უნდა ეცადოთ რომ მუსულმანის ენა დაისწავლოდ და ამ ენით ილაპარაკოდ, თორემ წინააღმდეგ იქმნება ქართული ენის ხმარება — ამით წაწყმდებით** თქვენ. ამ გარემოებით მათ დაიმორჩილეს თვით ქართველ მაჰმადიანთ დედაკაცობა და მათაც შეაძულეს ქართული ენა 1670 წლიდამ. მაგრამ ვერც ამით ხდებოდნენ რამეს, ქართველ მაჰმადიანთ ქალებში ქართული ენა მაინც არსებობდა, ყმაწვილებს არ ავიწყდებოდათ ეს ენა, რადგანაც დედას მათთან ქართული ენით აქვნდა ლაპარაკი. ეს გარემოება-კი წინააღმდეგი იყო ოსმალოს პოლიტიკისათვის. მერე სხვა ხერხი მონახეს.

1690 წლიდამ მთელს არდაგანის კუთხის სოფლებისაკენ მძლავრის რიცხვით იწყეს ქურთების გადმოსახლება, ოსმალების და სხვათა. ამათ რიცხვის ზოგს აქა იქ სოფლებში ასახლებდნენ, ზოგთაგანაც ცალკე სოფლებს აფუძნებდნენ. ამათის რიცხვით არიეს ქართველი მაჰმადიანები და მალე ისიც მოახერხეს რომ სჯულის საშუალებით ყველა

ესენი ერთმანეთს დაუახლოვდნენ, დანათესავებაც იწყეს. ერთმანერთში ქალების გათხოვებაც მოაწყეს თურქის და ოსმალოს ქალს ირთავდა არტაანელი ქართველი მაჰმადიანი, ამ გზით ქურთის ქალს მის სახლში შეჰქონდა ოსმალური ენა, ქართველ მაჰმადიანთ ქალს თხოულობდა ოსმალი, ან ქურთი და სხვანი. ოჯახში რასაკვირველია ქართველ მაჰმადიანთ ქალიც ოჯახის წევრთა შორის გამეფებულს ოსმალურს ეთვისებოდა ასე და ამ გზით, ქართველ მაჰმადიანთ კაცთა გარდა, თვით ქართველ მაჰმადიანთ დედაკაობის ცხოვრების წესებიც ევლინებოდა ქართულ ენას არტაანის ოლქში დავიწყების დასაწყისად. უნდა მოგახსენოდ რომ ამ გარემოებამ ისე იმოქმედა, **ისე მედგრად დევნა ქართული ენა, რომ XVII საუკ. ნახევარს, არტაანის მხარეში ქართული ენა თითქმის ძირიანად იქმნა ამოგდებული, ქართველთ შორის მოსპობილი და დავიწყებული.**

ქურთებსა და თურქის ტომის ხალხთა გამრავლების გარეშე, ოსმალური ენა გამეფებული იყო ხსენებულ კუთხეში მცხოვრებთ ბერძენთა, სომეხთა და სპარსთა და სხვათა შორისაც და ეს გარემოებაც მკაცრად უწყობდა ხელს, რომ ქართველთ შორის გავრცელებულიყოს ოსმალური ენა. მას გარდა, რომ მთელს ერუშეთს შესცვლოდა თავის ძირეული სახე და გადაქმნილიყო სხვათ, მიტომ დაიწყეს ასეთი საქმენიც.

არტაანს უწოდეს ოსმალურად არდაჰან — არდაგან, ერუშეთ — ზარუშეთ. არტაანი აღშენებულია **ვახუშტით ჯავახოს ძემან მცხეთოსანმან** ქრისტეს წინედ შემდეგ დროს, აქ იჯდა **ერისთავი** არტაანისა და კოლისა. აქვე იყო ქართველთ დიდი ტაძარი. ასეთი მკვიდრი ნათესავობა იყო არტაანის ქართველ ერის ტომისა მის წარსულთან, დღეს კი აღარაფერია იგი. მას გარსა მოსია ოსმალური სულიერების გარესახიერება, ქართული მთლად მკვდარია. როგორც გა-

მოუცვალეს არტაანს სახელი და უწოდეს ოსმალური, ისევე გამოუცვალეს სხვათა ქალაქებსაც.

ერუშეთის სოფლებსაც ასევე შეუცვალეს ქართული სახელები და მათ ნაცვლად უწოდეს ოსმალური, თურქული და ქურთული სახელები, თითო ოროლა სოფელს კი შერჩათ აქა იქ ქართული სახელები, მაგრამ ერთობ მცირედ. სადღეისოდ ამ აუარებელ ქართველ სოფლებთ შორის ნატამალობს ქართული სახელწოდებანი. ყოველივე ისე გარდაიქმნა და გარდაკეთდა, რასაც მნახველი თუ არა ისე ვერავინ წარმოიდგენს.

წყლებსა და მდინარეებს უწოდეს ოსმალური სახელები და მოსპეს მათი ის ძველი სახელები, რაც მათ წინეთ ერქვათ. მაგალითებრ: **მტკვარს უწოდეს ქურამსუ**, არდაგან სუ, ფოცხოვ სუ და სხვანიც ამ გვარად, ზედ დართვით ოსმალურ სუ როგორც აჭარას, აჭარ სუ, კინტრიშ სუ, ზარუშეთ სუ და სხვათაც ასევე.

დგილებს, მთებს, ხეობათა, ველებს და კლდეებსაც გამოუცვალეს სახელები და ქართულის მაგიერ უწოდეს ოსმალური სახელები. თვით გზებსაც შეუცვალეს ქართულ წოდებანი, ხიდებს და სხვათაც.

სახელწოდებათა ცვლილება ისე წავიდა წინ, რომ ძრიელ ადვილად და მარტივად სახელებს და გვარებს უცვლიდნენ. თვით ქართველ მაჰმადიანებსაც და რაც უნდა რთული ქართული გვარი ჰქონიყო ვისმეს წოდებული, იმას უსათუოდ ოსმალურად შეუცვლიდნენ და შვილის მაგიერ ოღლოს უწოდებდნენ. ასე რომ სადღეისოდ, მთელს ერუშეთის მცხოვრებთ ქართველთ მაჰმადიანთ შორის, თქვენ ვეღარ ნახავთ ვერც ერთს კაცს რომ იმას ქართველი კაცის გვარის რამე ნიშანწყალიღა ეცხოს. ყოველივე შეცვლილი აქვსთ მკაცრის ოსმალურ ენის წესზედ და იწოდებიან თათრად. მოკლედ უნდა ითქვას, რომ ერუშეთში არ დარჩა არც ერთი კუთხე, მთა, ბა-

რი, ქვა, მიწა, ქალი, კაცი და სხვანი რომ ქართულს მაგიერ ოსმალური სახელები არ სწოდებოდათ.

ყველა ამან-კი, სულ ორი საუკუნის განმავლობაში ქართველის ხსენება სრულიად გააქრო, გარდაქმნა ოსმალურად, შეიტანა მათში ქართულის მაგიერ ოსმალური ენა, სჯული და ყოველივე აქ ისე მოისპო, ისე ამოვარდა ქართველთა რიცხვი, რაც შეგნებულის მამულიშვილისათვის გულს საწვავი უნდა იქმნეს, დღეს არტაანის, ანუ ერუშეთის ისტორიულ ცნობირება მარტოდ ქართულს ძველს წიგნებშიღა მდუმარებს, ახალ დროში, არტაანის, ანუ ერუშეთის ხსენება ერთმა ქართველმაც აღარ იცის, არ იცის, თუ ძველად, ეს კუთხე ვისი ტომის ხალხით იყო დასახლებული, ვის საკუთრებას შეადგენდა და ან რა დევნა და მახვილის ხმარებით ამოვარდა აქ ქართველობა, ან ქართველ ტომს ამ გადაგვარებით რა ზარალი მოუვიდა და როგორ დაიჩაგრა და დაიქსაქსა მისი სხეულებრივი არსებობის ძალა, მისი ტანი, ჯანი და როგორის გადამახინჯებით გადაკეთდა და გარდაიქმნა, ან ამისთვის რამდენს ეღებოდა მათში უადვილესად და უბრალოდ ბოლო.

ვიტყვით იმასაც-კი, რომ ერუშეთს, ანუ არტაანს, თუ არდაგანის ოლქის ხეობათა ზოგ სოფლის მცხოვრებთ კი შერჩათ ქართველი ერის ტიპის სახე და იგინი არა ჰგვანან იმ მცხოვრებთა ქართველ მაჰმადიანებს, რომელთაც ნათესავობა ჰქონიათ ოსმალ, ქურთებს და სპარსთა ტომის ერთან. ქართულ ტიპს გარდა ზოგიერთ სოფლებში, ქართველ გადაგვარებულ მაჰმადიანთ დედაკაცებთ შორის, დღესაც კიდევ არის ზოგი რამ ქრისტიანული წესების დარჩენილი მაგალითებრ ჩილდირის ხეობის ქართველ მაჰმადიანთ დედაკაცები ძველს ნასაყდრალებს გარშემო ნართს ახვევენ, გარს უვლიან და ლოცულობენ, რაც ეს მათ დედეულთაგან აქვსთ მცნებათ გარდმოცემული. ამაებს გარეშე, სხვა ყოველივე არდაგანის ოლქში ქართველების მკვდარია და გამქრალი.

ასეთ გამქრალ და მოსპობილი კუთხე ჩვენგან არც ისე შორს არის. მას აი საქართველოს რა კუთხეები ჰფლობენ, ანუ საზღვრავენ. აღმოსავლეთით მიდამოები, დასავლეთით შავშეთ კლარჯეთი, სამხრეთით არზრუმის კუთხე და ჩრდილოდ თრიალეთი ჩილდირის ხეობითურთ, რომელიც ჯავახეთზეა მიკრული. არტაანი, ერუშეთი, კოლის და კარის მდინარენი ერთვიან მტკვარს და ყოველივე ეს მოდის აღმოსავლეთით. ამ კუთხეთა დასავლეთ მხრიდამ იწყება კლარჯეთი, რომელ კუთხის წყლები მიერთვიან ჭოროხს და ჭოროხი ერთვის შავ ზღვას და მტკვარი კასპის ზღვას.

ასე და ამ გვარად: ოსმალეთის საქართველო იყოფა ორს ნაწილდ, ორს კუთხედ, ორს მხარედ. ერთი შეადგენს აღმოსავლეთ სამხრეთ ჩრდილოეთის ნაწილს საქართველოისას, სადაც არის მთელი კუთხე ბერდუჯისა, თრილეთი, ჯავახეთი, მესხეთი, ფოცხოვი, ჩილდირი, არტაანი, ერუშეთი, კოლა, ყარს, ფანასკერტი, დასავლეთით სამხრეთ ჩრდილოთ გახლავსთ შავშეთი, კლარჯეთი, ოლთისი, ლააზისტანი, ლივანა, აჭარა, ზეგანი და მრავალიც სხვა კუთხენი საქართველოსი, სადაც დღემდე ზოგს ალაგას კიდევ არის ქართული ენა ქართველ მაჰმადიანთ შორის დაცული. ასეთ კუთხეებათ ითვლებიან 40 სოფ. კინტრიშის ნაწილში, ანუ ქობულეთის ნაწილს, 92 სოფელი აჭარას, 120 სოფ. ზეგანს, 42 სოფ. ლივანას, 35 სოფ. მაჭახელს, 32 მურღულის ხეობას, 50 მესხეთსა და ჯავახეთს, 20 სოფ. ართვინის ახლო-მახლო, 20 არჟევაძიანთ ხეობის შეყოლება ოსმალეთის სამფლობელო საქართველოში, 20 სოფ. (თაოსკარი) პარხალს, 10 სოფ. ოლთისაკენ. ზოგში მკვიდრად არის დაცული, ზოგში შერყევას არის მიცემული და ზოგში-კი ოსმალური ენა გაბატონებულა. თუ გარემოებამ მოსპობა არ ააცდინა, მაშინ აქაც, ისევე მოისპობა ქართული ენა ქართველ მაჰმადიანთ შორის, ეს როგორც მო-

ისპო ოსმალოს დესპოტიზმის წყალობით არტაანს, ერუშეთს, შავშეთს და ვინ იცის კიდევ რამდენ სხვა ადგილებში.

აქ საყურადღებო ჩვენთვის კვალად ისიც უნდა იყოს ერთის მხრით, რომ ასსეტ კუთხის მითვისების და ხალხის გადაგვარების და შეჭმის შესახებ არც თვით ოსმალეთის მთავრობა და სასულიერო წოდება ფიქრობს რამეს. ვგონებთ დიდი სამარცხვინო უნდა იყოს და არა საპატიებელი რომ ოსმალეთის მთავრობა ასე უწყალოდ აქრობს და სჭამს სხვა და სხვა ტომთა შვილებს. ასეთი საქციელი არ შეფერის არც ერთს რიგიანს და კაცთ მოყვარე სახელმწიფოს, რომ თავის მართვა-გამგეობის დროსა და ძალას სხვა და სხვა ტომთა დამორჩილებას და შეჭმის შრომას ანდომებდეს, ეს იქმნება მეტად სამარცხვინო და არ საკადნიერებელი ღირსება შესმენილი სახელმწიფოსთვის. ოსმალეთის სახელმწიფოს ჩვენს ტომის წინაშე დიდი ცოდვები და დანაშაულობა მიუძღვის. მან დაიმორჩილა მთელი სამცხე-საათაბაგოს ქართველნი და უკანასკნელ ამის ძალით მოსპო მთელი ქართველობა თავის სამშობლოს მიწა წყალზედ. დღევანდელი ჩვენი ტომის განსაცდელი პირდაპირ ამათ ედებად ბრალად. სამწუხაროდ ოსმალეთის მთავრობა სხვა და სხვა ტომთა განადგურებას ადრევე დაადგნენ და ქართველთ გარდა მათ მრვლად გაათათრეს ბერძნები, ბოლგარელნი, სერბიელნი, ჩერნოგორელნი და სხვანიც მრავალნი ქრისტიანები სლავიანთ ტომისა. ზოგს ამათ თავიანთ დედა ენაც მოსპეს და გააქრეს თავიანთ სამშობლო ქვეყნის ადგილებით და ის საკუთარის ასპარეზით. ყველა ასეთ გათათრებულებში ჩვენ პირველ უბედურად აღმოვსჩნდით და დავკარგეთ ყოველივე, დავივიწყეთ ენა, ქვეყანა, ისტორი და ჩვენი თავის და ვინაობის ხსოვნა. ეს სწადდა ოსმალოს მთავრობასაც და მან მცირე აზიაში ოსმალთა ტომი სწორედ ასეთის გადაგვარებულთა რიცხვიდამაც შეადგინა და მით დაარსა აქეთ ოსმალთა ტომი. თურმე აქეთ

ოსმალთა არც სამშობლო იყო და არც ოსმალოს ტომის ხალხი სხოვრებდა. ყოველივე ბერძნების, სომხების და საქართველოს საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ მათ დაიკავეს ყველა ესენი, გაათათრეს ხალხი, ოსმალური ენა შეასწავლეს და მით აღადგინეს ოსმალთა ტომის რიცხვი საბერძნეთს, სომხეთს, საქართველოს და სხვა ტომთა ადგილებზედაც.

ასეთი საქციელი ოსმალეთის მთავრობისა ჩვენს ისტორიაში ყოველთვის მწარე მოსაგონარი იქმნება და თან მეტად საწუხიც. ამას ეჭვი არ უნდა. ჩვენი ისტორიისთვის ამ კუთხის და ხალხის დაკარგვა საქართველოს მიწა-მამულის რიცხვიდამ არის გულ-ცეცხლ საწვავი საქმე და მოგონება. რასაც შეგნებული ქართველი ადვილად ვერ დასთმობს, ჩვენის ტომის და ტერიტორიის დასაღუპს მახვილს ქართველი ადვილად ვერ დაივიწყებს.

ოლთისი (ზემო ქართლი)

ოლთისი საქართველოს ისეთივე ნაწილი იყო და კუთხე, როგორც არტაანის, ყარსის, შავშეთის, ლივანის, ლაზისტანის და სხვანი.

ამ კუთხეშიაც ისევე იყო ქართველი ერი დასახლებული, როგორც ქართლ-კახეთ-იმერეთის მჭიდროს დასახლებულ კუთხეებში. მთელი ოლთისის კუთხე სავსე იყო ქართულის სოფლებით, სოფლებს ერქვათ ქართული სახელები, ასევე მთებს, ტყეებს, გორებს, წყლებს და სხვანი. ამას გარდა აქეთკენვე იყო დიდძალი ძველი ნაშთები, ციხეები, კოშკები, ტაძრები, საყდრები და მრავალიც სხვანი, რომელთა ნაშთნი დღემდეც არის ოლთისისკენ აქეთ იქით დაშთენილნი.

იმავ დროის დასაწყისიდამ ოლთისი იყო პირველი კუთხე ზემო ქართლის, იგი შეადგენდა სამცხე-საათაბაგოს ნა-

წილს და მის საზღვრებს მიჯნავდა დასავლეთით ლაზისტანჭანეთი, სამხრეთ ბიზანტია — მერე ოსმალეთი, აღმოსავლეთით არტაანის და ყარსის მიდამოები და სამხრეთით ძველი ბიზანტიის ადგილები. ოლთისის ქართველობა გამოჩენილი იყო მთელს საქართელოს ერის წინაშე ბიზანტიის სიახლოვის გამო, იგი ბევრად იყვნენ დაწინაურებულნი. სწავლა-განათლება ამათში ისე იყო აღორძინებული, ოგორც სამცხე-საათაბაგოს სხვა კუთხეებში. ოლთისელნი მრავლად და უხვად მისდევდნენ განათლების საქმეს და მათ დროის კვალად თითქმის ყველა ოლთისელმა იცოდა წერა-კითხვა, ქართული მწიგნობრობა, ვინაიდგან ყველა სოფლის ეკკლესიის გვერდით იყო სასწალებელი, სადაც ასწავლიდნენ როგორც შეძლებულთ შვილებს, ისევე შეუძლოთა და ასეთებს. ამიტომ ოლთისელთ შორის ქართული წერა კითხვა ყოველთვის არსებობდა. იგინი გამოჩენილ და ქებულ იყვნენ ამით, მათში თვით დედაკაცობაც-კი მისდევდა უხვად ქართულ მწიგნობრობას, მათში ძნელად რომ ქართველ ქალს წერა-კითხვა არ სცოდნოდა, ქართულს გარდა უნდა ვსთქვათ. რომ ბერძნულსაც ადვილად სწავლობდნენ, რადგანაც ბერძნებთან ახლოს იყვნენ და მისვლა-მოსვლა, აღებ-მიცემა, საქმიანობა, ხელოსნობა და საქვეყნო საქმეთა შესახებ საუბარიც ხშირად აქვნდათ.

ვიტყვით, რომ მწიგნობრობის მხრით ქებულნი იყვნენ ძველად ოლთისელნი, ვის არ უნდა ახსოვდეს **გიორგი ოლთისელი** და ვინ იცის რამდენი კიდევ სხვანი, ესენი დაუთვლელნი, მწიგნობარნი, სამღრთო მეტყველნი, მღვთის მეტყველნი, მთარგმნელნი, მწერალნი და სხვანი, ასეთ მწიგნობარ პირთაგან მრავლად არის ქართული წიგნების ნაწერი, ნათარგმნი და გადმოკეთებულნი. ოლთისის კუთხის ტაძრების სენაკებში ქართული წიგნები დაწერილა, იმედოლა რიცხვის, რომ თვით დღესაც-კი მრავლად ვნახავთ ხსენებულ

კუთხის სხვა და სხვა ადგილებში ძველად ნათარგმს და პერგამენტზედ ნაწერ წიგნებს, რომელთაც ბევრნაირი მნიშვნელობა აქვსთ ჩვენის ისტორიისთვის.

მწიგნობრობის გარეშე, **ოლთისელნი** იყვნენ კარგი ხელოვანი ოსტატებიც, ქვის მჭრელნი, მექანდაკენი, მთლელნი, კალატოზნი, მაშენებელნი და სხვანი. ამათ გარდა თავიანთ დროის კვალად ყველა სახელოსნო საქმეთა ხელოსნობასაც კარგად მისდევდნენ. მათში გაჩაღებული იყო თვით მეზღვაურობა, მეთევზობა და სხვანი. მეურნეობასაც უხვად მისდევდენ, მათში მეურნობა აღორძინებული იყო. ღებ-მიცემა და ვაჭრობაც იცოდნენ, რადგანაც ხშირი გასვლა-გამოსვლა აქვნდათ ბიზანტიის ქალაქებს და სოფლებში. მოკლედ რომ ითქვას, ოლთისის ხალხი დაჯილდოვებული იყო ყველა საქმის სიყვარულით და წარმატებით.

ასეთი კუთხის ერი სრული სახე იყო ბიზანტიის ძლიერებისა და განათლების, მათის კულტურის და შემძლებლობის, სამწუხაროდ ასეთ ღირსეულ კუთხეს სადღეისოდ არ შერჩა თავის ბრწყინვალე წარსულის ცნობები, ასეთი მაღალი ღირსების კუთხე და ერი გაუქმებულ იქმნა ოსმალთა მახვილისაგან, ოლთისელ ქართველთ ძლიერება ჩაყლაპა ოსმალოს ველურობამ, აქ გაქრა ყოველივე ქართველთ. დღეს ოლთისი მარტოდ ისტორიის ფურცლებით შეიძლება ვიცოდეთ, ისიც მცირედ: ყოველივე ამოვარდა და მოისპო როგორც აქეთ ქართული ენაც.

დღევნდელ ოლთისელ ქართველთ შესახებ ჩვენ ბევრი რამ აღარა ვიცით რა, იგინი მოწყვეტილნი არიან ჩვენგან და ჩვენ მათთვის, ერთმანერთის ცნობა კი არა და არსებობაც კი დაგვავიწყდა. დღეს ოლთისში ქართული ენის ყოველივე ნატამალობს, ამ ნატამალობის უმთავრეს საფუძველი ისლამი გახდა და ოსმალოს სასულიერო წოდება. მიუხედავად ამათის ძლიერის ბოროტების, მაინც ამ თემის ქართველ მაჰმა-

დიანთ შორის დღემდე ქართული ენა და დაცულ, ანუ შენახულ არს, მაგალითებრ სოფელ მორტალს სალაჩურს, თაოსკარს, ნარიიანს, ფენიაკს, ოლთის, კოსორს, ყარაფაფახს, შარდუს, აგუნდარას და სხვაგანაც დღემდე თურმე ქართველ მაჰმადიანები ქართულად ლაპარაკობენ. ყმაწვილები 15 წლიდამ იწყებენ თურმე ოსმალური ენის შესწავლას ქალებს თურმე სუფთათ აქვსთ დაცული ენა დად ღეის შმედეგაც ესენი კარგა ხანს შეინახამენ ამ ენასო.

ლაზისტან-ჭანეთი*

I

ლაზისტანი ხშირად ექვემდებარებოდა უცხო სახლმწიფოებს. მაგალითებრ იგი რამდენჯერმე ეკავათ რომაელებს, ბიზანტიელთ, არაბებს და სხვათაც. რომაელთა მფლობელობა იწყება ძველის დროიდამ. ამათ ფლობის შესახებ სხვა და სხვა ისტორიული ცნობებიც არის დაშთენილი. მათი გავლენა ლაზებზედ მძლავრად ყოფილა განფენილი და ამ სიმძლავრის დროს, არც თვით ლაზები ყოფილან მჩატენი. ლაზებს ისეთი ძლიერება ჰქონდათ შინაურის ცხოვრების, რაისა გამო მათ თვით უცხოელთა გავლენის დროსაც კი, დაუცავთ თავიანთ სულის ძლიერე და ნაციონალური თვით ძალმომრეობა სხვათა წინაშე.

რომაელთა მფლობელობის გარეშე ხშირად ამათ ბიზანტიის ფლობაც ევლინებოდა. უძველეს დროიდამ, ამ კუთხის და ერის საქმე ისე იყო მოწყობილი, რომ იგი ხან ერთს ემორჩილებოდა და ხან მეორეს, მაგრამ ყოველთვის კი იგი რჩებოდა მძლავრად და ნაციონალურ მხარეებთა სიმაგრის

* ლაზისტანის ვრცელი აღწერა დაუბეჭდავი არის.

ხელ-შეუხებლად, მას ვერც ერთის მძლავრის სამეფოს მონობა ამცირებდა. ვერ არყევდა. რომი და ბიზანტია, ორი ძველი კერა განათლებისა, ძველი აკვანი ცივილიზაციის და კულტურის ლაზების წინაშე რჩებოდა მხოლოდ ისტორიულს მაგალითად, თორემ მას რამე სამასწავლებლო გავლენა და მნიშვნელობა სულ არ აქვნდა. რადგანაც ლაზებს თუმც საქართველოსთან ერთად არ აქვნდათ დიდი საომრო და მის იარაღთა შემძლებლობა, მიტომ მის უქონლობის და სიმცირის გამო უცხოელთაც ემორჩილებოდნენ რადგანაც უცხონი სიმრავლით სჯაბნიდნენ. ასეთი დაჯაბნა იყო მხოლოდ მძლავრებით, რაც შეეხება სხვაფრივ გავლენას ესკი მცირედ იყო, რადგანაც თვით ლაზები და მასთან მთელი ქართველის ერიც დიდის კულტურით და ძველის განვითარებით იყო დაჯილდოებული, ამას ასაბუთებს ცხადათ ის გარემოებაც, რომ ლაზებმა, მეგრელებმა და სხვათა ძველადგანვე დღემდე მკვიდრად შეინარჩუნეს თავიანთი სულის ძლიერება და თვით მცნობელობა, იგი ვერავინ შეარყია თვინიერ ოსმალთა დესპოტიურის მახვილის და ფანატიზმის.

ლაზისტანში მრავლად არის დაშთენილი როგორც რომაელთა კვალი, ისევე ბიზანტიელთ და ებრაელთაც კი. ამ კუთხის მთა ბარში კაცი ხშირად შეხვდება სხვა და სხვა ღირს შესანიშნს ნაშთებს, სამახსოვრო ნივთებს და მიწაში დამარხულს ღირს სახსოვარ ფულებს. ლაზებმა V საუკუნის შემდეგიდამ მიიღეს მჭიდრო კავშირი საქართველოს საქმეებში, **ვახტანგ გორგასლანის** ძალით დაიმკვიდრეს ერთი და განუყოფელი არსება ქართველებთან ყოველნაირის მხრით.

ლაზისტანს მეტად ძველი და მასთა მდიდარი ისტორია აქვს. მისი არსებობის დასაწყისი უხსოვარის დროიდამ იწყება, მისი საისტორიო ცნობები მრავლად მოიპოვება ბიზანტიელთ და რომაელთ მწერლების ძველს წიგნებში. ძველს ისტორიულს წიგნებში ისე შესანიშნავად მთელი საქართველოს

ერი არ არის მოხსენებული, როგორც ლაზისტანი და ჭანეთი. საფიქრებელია ისიც რომ ხშირად უძველესის დროიდამ ლაზისტანის სახელწოდებით იგულისხმებოდა მთელი საქართველო და ქართველ ერიკაცი.

ვიტყვით, რომ ძველად ლაზიკა და სამეგრელო კერა იყო ქართველის ტომის განვითარების და განთლების. დღეს კი ვართ ერთმანეთისგან დაკარგულნი, თორემ უხსოვარის დროიდამ ლაზისტანი და ჭანეთი გადაბმულ-გადაქსოვილი იყო ქართლზედ. ქრისტეზედ ბევრად უწინარეს, ქართლის მეფენი და ლაზისტან-ჭანეთის ერთად და ერთნაირად იწოდებოდენ. ჭანეთ-ლაზისტან მეგრელი და ქართველი ერთი და იგივე იყო და ყველა ქართველს წარმოადგენდა.

მთელი შავი ზრვის ნაპირები იწოდებოდა ჭანელთ-ლაზისტან-სამეგრელოდ, გურია შემდეგ დროს არის გაჩენილი და შუაგულს დსახლებულნი. როგორც ქვემოთაც ნახავთ აქ დაუსახლებიათ ქართულად მოლაპარაკე ურიები, რათა ამათის საშუალებით სამეგრელოსა და ლაზისტანში საერთო ბარის ქართულიენა გავრცელებულიყოს. აქეთ ძველი ქართული ენა მიტომ დარჩენილა შეურყეველი, რადგანაც აზიიდან გამავალ ერს მათთან დაახლოვების შემთხვევა არა ჰქონიათ, ხმელეთს იქით შავი ზღვა იყო და ეს გარემოებაც უშლიდა უცხო ტომთ მათთან დაახლოვებას, ამიტომაც აქ ქართულ-ლაზური დაშთა თავის სიტყვებით. ბარს ადგილებში კი მაგალითებრ კახეთს, ქართლს და იმერეთს უცხო ტომის ერნი ხშირად ხვდებოდნენ, აქ მათი ძველი ქართული მეგრული და ლაზური ენა ყოფილა. მიზეზი ეს ყოფილა და მიტომ მოუხდენიათ ასეთი განყოფა და დასახლება მოქალაქური ქართულით მოლაპარაკეთ.

მოგზაური **პროსკურიაკოვს** შეუდგენია ლაზური ენის ლექსიკონი. ეს სხვათა შორის ამბობს, რომ ლაზები ტრაპიზონულადაც ლაპარაკობენო. ეს პირი სწერს, რომ ლაზური

და მეგრული ენა ერთი ენა არისო. იგინი განსხვავდებიან მხოლოდ ადგილმდებარეობის ზოგი რამ განმასხვავებულის სიტყვებითო. ოსმალური სიტყვებიც მრავლად მოისმის ამ ენის ხალხშიო. ამ პირს ბევრი შეცდომებიც აქვს.

ლაზური ენის ნათესავობა ქართულ ენასთან ჭეშმარიტი საგანია, — ეს ჭეშმარიტება არის, ლაზურ-მეგრული და ორივე ენაკი ძირი, ანუ ფესვი ქართული ენისა. სხვათა შორის **ბარონ როზენმა** შადგინა ლაზური ენის გრამატიკული გარჩევა და ამით მან დაასაბუთა ლაზური ენის მჭიდრო ნათესავობა ქართულ ენასთან. თუმცა აა გარკვევით, მაგრამ ბოტანიკი **კოხიც** ამავე აზრის არის, რომ ლაზური ენა არის კილოკავი ქართულის, ამათ გარდა უსლარი სწერს, რომ კოლხები მეგრელები არიან — იგივე ლაზი და ყველა ესენი-კი ქართველნიო. ყველა ამათ დედაენა არის ქართულიო.

გამოჩენილი ელიზე **რეკლუ** სწერს ასე: ლაზები ქართველის ტომისანი არიან, ამათი ენა არის ქართული, ზოგან ნამდვილ მეგრული ენით ლაპარაკობენ, ზოგან შერეულით. ზნეც ისეთი აქვსთ, როგორც იმერლებს, კარგად ჩაცმას და სიმდიდრეს ეტრფიან და სულაც არ არიან ზარმაცნი, როგორც საზოგადოდ ამბობენ მათზედ. სამი საუკუნის წინედ ისინი ქისტიანები იყვნენ, ეხლა მაჰმადიანები არიან. ასევე მოიხსენებს აჭარლებსაც. ასეთი აზრები მოყვანილი აქვსთ ქართველ მსწავლულთაც, ისტორიკოს **დიმ. ბაქრაძეს, ბარათაშვილს,** ტოპოგრაფ **ყაზიბეგს** და ბევრსაც სხვათა, სომეხთ შორის მოგზაურ **სარქისიანიც** ასე ამბობდა 1850 წლებში.

ამ ბოლოს დროს, პროფესორის **ნ. მარის** მიერ დაბეჭდილის წიგნიდამ სჩანს, რომ იგიც ამავე აზრის უნდა გახლდესთ. ვინაიდგან მან ლაზური სიტყვების დასაწერად ქართული ასოები იხმარა, თვით ლაზური ლექსებიც-კი ქართულის ასოებით დასტამბა.

ბოტანიკმა კოხმა თვით მცენარეთა და ხეებთანისეთი სახელებიც-კი უჩვენა, რომელნიც ორივ ამ ენის ხალხში ერთნაირად იხმარებიან. ესეც ცხადი საბუთი არის ამ ენების ურთიერთ შორის ნათესავობის. ზოგთა თქმით, ლაზისტანში სომხებიც სცხოვრობენ, იგინი დღეს თურმე გადაგვარებულან ასეთ სომხებს **ად. ლოზენი** ჰემმშილებს უწოდებს. ართვინის სომეხ კათოლიკეთ ეპისკოპოს **ზაქარიანს** მეისტორიე **დიმ. ბაქრაძისთვის** ეთქვა, რომ ლაები XVII საუკუნეში, მრავლად გაფრანგდნენ ლაზისტანშიო. ამ ლაზებს შემდეგ ლაზური დავიწყებიათ და სომხურად დაუწყვიათ საუბარი, დღეს ასეთ გასომხებულ ლაზთა რიცხვი საკმარისი არის. თვით ართვინელ მემადნე კათოლიკე **აშტრაკიანმაც**-კი მიამბო, რომ დიახ ესე იყოვო.

მთელი ლაზისტანი შესდგება ცხრა სანჯაყისაგან. 1854 წლამდე ლივანა გონიოს ფაშები ლაზისტანის ფაშათაც ირიცხებოდნენ, მაგალითებრ 1830 წლებს, **მუსა ფაშა ჭყონია,** რომელმაც ქართული წერა-კითხვაც იცოდა, იგი თავის წერილებში ასე აწერს ქართულად ხელს: — „გონიო ლივანა ლაზისტანის სანჯაყის მფლობელი მუსა ფაშა ჭყონია“.

აქედამ უნდა ვიფიქროდ, რომ მთელი ლაზისტანი ორ საფაშალიკოთ უნდა ყოფილიყოს გაყოფილი, ერთი ეს და მეორე ტრაპიზონისა, მთაარი ქალაქი ლაზების, სადაც იჯდა ვალი ფაშა.

ლაზებს აქვსო 250 ვერსის სივრცეზედ ბათუმიდამ სხვა და სხვა ქალაქები და დაბები, მათში ზოგი ნავთსაყუდარის არის, აქ ევროპიელთ ხომალდებიც ჩერდებიან, ყველა ქალაქებში ლაზებს აქვს ხელში დაჭერილი ვაჭრობა და ხელოსნობა-ოსტატურად, ხელოსნობას გარეშე მეზღვეურობასაც კარგად იციან, ოსმალთ ესენი საკმარისად აღემატებიან სავაჭრო დასახელოსნო შნოთი. ოსმალთა შურთ ლაზების ასეთი უპირატესობა და ამოტომ იგინი მათ სდევნიან კიდეც.

ბათუმი და ლაზისტანი დ. ბაქრაძის რუსულის ცნობებით

ბათუმი შავი ზღვის ნაპირასა სძევს, ხმელეთით ერთის მხრით იმის საზღვარს შეადგენს ტყიანი პერანგის მთების შტოები და მეორეს მხრით ლაზისტანისა, ანუ პონტიის მთები. რომელნიც მდ. ჭოროხიდამ (ბათუმიდამ 13 ვერსი) არიან გავრცელებული.

ბათუმს აქვს ჩინებული ნავთსადგური, რომელსაც შეადგენს აღმოსავლეთის მხრით გრძლად ზღვაში შესული მიწა და დასავლეთის მხრით მდინარე წყლისაგან მაღლად მოსული მიწა. მთელი ამ ნავთსადგურის სიგრძე თითქმის 5 ვერსამდინ იქნება. იმის უმთავრესი ღირსება ის არის რომ აქ ზღვა თვით ნაპირამდინ საშინლად ღრმაა: არა ნაკლებ 10 საჟენის და ამას გარდა ისიც რომ აქ ხომალდებს თითქმის არასოდეს არ უნდა ეშინოდეს ქარისა.

ბათუმი დიდი ხნის ქალაქია. რომაელებისაგან მე-II საუკუნეში ის სამხედრო სტანციად ყოფილა, აქ მდგარან რომის ჯარები. შემდეგ ბათუმი გურიის მთავრობის სამფლობელოს შეადგენდა. მემატიანები ამბობენ, რომ ეს ქალაქი 1564 წელა, წაართვეს ოსმალებმა გურიის მთავარს **როსტომ გურიელსაო.** ამჟამად 1874 წ. ბათუმი ლაზისტანის ფაშალიკის უმთავრესი ქალაქია: აქ არის მუტასერიფი, ანუ ღუბერნატორია რომელსაც პირდაპირ ტრაპზონის ღენერა-გუბერნატორს ექვემდებარებოდა.

ლაზისტანის ფაშალიყი 11 ყაზისაგან შესდგება: ბათუმი, ჩურუქსუ, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლივანი, გონიე, ხოფი, არხავე, ხემშინა და ათინე, თვითეულ ყაზახში

არისკაიმაკამი, ანუ მაზრის უფროსი,რომელსაც ექვემდებარება 2 ანუ 3 მუდირი ე. ი. უჩასტკის უფროსი.

ფაშის გარდა ბათუმში იმყოფება „მეჯლისი“ ე. ი. დუბერნიის რჩევა, კაიმაკამი, სასამართლო, დამოჟნა და ბატალიონის შტაბ-კვარტირა. რომელიც დაჭერილია, სხვათა შორის სიმაგრით. აქ ორი შკოლაა თათრისა და ბერძნებისი, სამი მეჩეთია და წმ. ნიკოლოზის სახელზედ აგებული მართმადიდებელთ ეკლესია. ქალაქის უმჯობესი ნაწილს წარმოადგენს ნავთსადგური რომელზედაც ჩამწკრივებულია ბერძნებისა და სომხების მაღაზიები და რამდენიმე გვარიანი შენობები. ამათში უმთავრესია ყურადღებას მიიქცევს ჩვენი **ვიცე კონსულის** ორ ეტაჟიანი სახლი, ბაღით ევროპულ გემოზედ და ლამაზი **მაჰმადის** სასტუმრო თათრულ ევროპულ მანერებით; აბანოი, ყავახანით და ბილიარდხანით. ქალქაის ამ ნაწილთან არის ბაზარი, ვრცელი, რომელიც შესდგება უმეტეს 800 დუქნისაგან, ამის იქით დაიწყება გაფანტული უბანი.

ბათუმს შედარებით აქვს ადვილად ასატანი ჰავა: იმრგლივ არ არის ჭაობები და ამისათვის **ციებ-ცხელების** უშიშრად შეიძლება ცხოვრება, ქალქას აქვს არა მაწყინარი ჭის წყალი, ის არის უჩასტკებად დაყოფილი: გაყიდვა და ყიდვა ამ ადგილებისა მინიჭებული აქვს ყველას, თუნდ უცხო ქვეყნელიც იყვე მაგრამ ამბობენ თავისუფალი უჩასტკები ცოტა დარჩა და მათ ფასმა აიწია ამ უკანასკნელ დროსაო. იმათი უმეტესი ნაწილი შეიძინეს ლაზებმა, რომლებმაც გამართეს აქ დუქნები და სახლები. ბათუმში ბევრნი სცხოვრობენ ქობულეთლები, აჭარლები და ლაზები, ამათ სუყველას ერთნაირად აცვიათ. თათრული თავზედ მოსახვევი, ჩალმა, მოკლე კურტკა, ვიწრო მოუდის შარვლები და ფართე სარტყელი წელზედ შემოხვევული იმათ ტანისამოსზე, ისინი ყველა შეარაღებულნი არიან ხოლმე ადგილობრივის ხელობის თოფებით, წელში გარჭმული მოკლი ხანჯლებით ანუ რო-

გორც აქ ეზახიან ფიშტოები, ალმები არა აქვსთ. ბათუმში გაიგონებთ ბერძნულს, თათრულს და ქართულს. უმთავრესი სახმარი ენა არის ქართული. რომელზედაც ბევრი ლაზეთაგანიც ლაპარაკობს.

ბათუმს ვრცელი ვაჭრობა არა აქვს,იქ შემოდის ინგლისიდამ და შვეიცარიიდამ ბამბის საქონელი, ალლეპოდამ და დამსკოდამ აბრეშუმის მატერიები, რუსეთიდამ რკინეულობა, ყირიმიდამ და საქართველოდამ მატყლი, ამას გარდა სახვა მხრიდამ შემოდის შაქარი, ყავა და სხ. ნაწარმიები, ფოლადი, კალა და სხვა გვარი სასმელები. თვითონ ხალხში გარეშე ქვეყნებიდამ შემოტანილი საქონელი ნაკლებად ვრცელდება. რაც შეეხება აქედამ გატანილს საქონელს და ნაწარმოებს, ყოველ წელიწადში შეიძლება გაიტანოს ხალხმა შემდეგი მომეტებული ნაწარმოები 300 კილოგრამი სიმინდი, 18000 ოყა ბრინჯი, 300 ოყა ყვითელი ნმინდა სანთელი, 10,000ოყა თაფლი, 12,000 თაზის ზეთი და საშენი ხე-ტყე და შეშა ბლომად. ლაზისტანის ფაშალიკიდამ მუდამ წლიური შემოსავალი არის 1,900,000 პიასტრი, ე. ი. 168,571 მ. რომლიდამ 1,200,000 თვითონ ადგილობრივ გამგეობისთვის იხარჯება. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ. რომ ამ მცენარეობით მდიდარ ქვეყანას შეეძლო ამაზედ ბევრად მომეტებულის შემოსავლის მოტანა ხაზინისათვის თუ რომ იმას კარგი გამგებლობები ჰყოლოდა და თუ რომ ხალხი რიგიან შრომას ყოფილიყო მიჩვეული.

აქ ძვირფასი ნაწარმოები მოდის: ზღვის ნაპირა ლაზიდამ ლიმონის ხე — გარედ მოუვლელად, ხარობს ბრინჯი და ბამბა არ ავადმყოფობს, აქ ის ღირს 6მ. და 50 კაპ. ხან 7 მ. ფუთი ლივანის სელი 1 მ. ისყიდება ბათუმის, ქობულეთის და ართვინის აბრეშუმი ფუთი 100 მანათად ფასობს. აქაური თაფლის სანთელი სტამბოლში და ოდესაში მიაქვსთ და ადგილობრივ ფუთი 18 მან. იყიდება. ლივანის ზეთის ხილი, რო-

მელსაც სხვათა შორის ახალციხის მაზრასა და თბილისშიც კი ასაღებენ 3 მან, გადის. კის ფაშალიყში ბევრი ბევრი ჩინებული, ძვირფასი საშენი ტყეებია. ქობულეთის მაზრაში კარგი მუხა არის, რომელიც ბევრი მიაქვსთ რკინის გზის ტრავერსბისათვის სტამბოლიში; ჭოროხის ხეობაში და აჭარაში მოიპოვება მშვენიერი ჯიშის ბზის ხე, რომელსაც ადგილობრივ ოყას თითო ყურუშად ჰყიდიან; მდ. ჭოროხით მიაქვთ ნავებით დიდძალი ფიცრები: წიფლისა, ფიჭვისა, კაკლისა და წაბლისა; თითო ფიცარი ადგილობრივ 30-50 კაპიკად ისყიდება.

ლაზისტანი

II

ბერძენთა და რომაელთა მწერლები ძველ ლაზისტანის შესახებ ბევრს ცნობებს მოგვითხრობენ, სამაგიეროდ თითქმის არაფერი ვიცით დღევანდელ ლაზისტანის მდგომარეობის შესახებ და არცა ვცდილობთ ამ არ ცონის თავიდან აცილებას. გვსურს ამიტომ მოკლედ ავწეროთ ლაზისტანი და იქ მცხოვრებთა მდგომარეობა, რაიცა, ვგონებ, ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს.

ლაზისტანი იწყება მაქრიალიდამ და მიაღწევს თითქმის ტრაპიზონამდე. მაქრიალი მდებარეობს ზღვისპირად, ბათუმიდან 26 ვერსის მანძილზედ.

ლაზისტანი ოსმალეთმა სრულიად დაიმორჩილა 1629 წელს. ამ დროდან შეუდგა იგი ისლამის გავრცელებასაც. ლაზები სცხოვრობენ 200 ვერსის მანძილზე, შავი ზღვის პირად მდებარე დაბებსა, სოფლებსა და ქალაქებში. უმთავრესად ლაზები მისდევენ სასოფლო მეურნეობას, ვაჭრობას და ხე-

ლოსნობას. განსაკუთრებით განთქმულნი არიან სახლების შენებით, დურგლობითა და კალატოზობით. ნავოსნობაც კარგად იციან. საქართველოს მეფეების დროს შავ ზღვაზე ნაოსნობას მისდევდნენ; გემებსაც კი ისინი აკეთებდნენ.

ლაზისტანის მცხოვრები ქრისტიანობა მე-18 საუკუნის ნახევრამდე მთლად დაჰკარგეს და ისლამი იწამეს. ქრისტიანობის დაცემასთან ერთად ლაზისტანში დაეცა და განადგურდა ძვლი ქრისტიანული ნაშთები და ტაძრები. დღეს კაცი მთელს ლაზისტანში იშვიათად შეჰხვდება ქართველთ მფლობელობის დროის ნაშთს, იმ თითო-ოროლა ნაშთს, რაც დროთა ბრუნვას გადარჩენია, მცხოვრებნი **თამარ მეეფის** ნაშენად აღიარებენ. ნახევარ ლაზისტანში თამარ მეფის სახელი დღესაც კარგადაა ცნობილი. დაავიწყდათ ჩვენი სახელოვანი მეფე უფრო ტრაპიზონისაკენ მცხოვრებ ლაზებს.

ლაზისტანი ემორჩილება ტრაპიზონის ფაშას (გუბერნატორ). ტრაპიზონი საგუბერნიო ქალაქია.

ლაზთა ყოველივე საყურადღებო და თვალსაჩინო საქმე ტრაპიზონში ირჩევა. ამასთან იქვე თავდება, ასე რომ იშვიათია, რომელსამე საქმემ სტამბოლამდე მიაღწიოს. ორისავე სქესის ლაზთა რიცხვი 350 ათას სულამდე ადის. ისინი თვალსაჩინოდ მრავლდებიან. სამწუხაროდ, ოსმალეთის მთავრობა ხელს უწყობს იმათ რიცხვის შემცირებას, რადგანაც ჯარისკაცებს ხშირად ისეთ ქვეყნებში ჰგზავნიან, საიდანაც ლაზები სამშობლოში ვეღარ ბრუნდებიან. ამას გარდა ლაზთა შვილების სყიდვა და მოტაცებაც ხშირია, რადგანაც ლაზებს ლამაზის ხალხის სახელი აქვთ გავარდნილი.

ლაზური ენა მტკიცედაა დაცული ლაზისტანში. ყველა ლაზი სახლობაში ლაზურად ლაპარაკობს; განსაკუთრებით ქალებმა იციან კარგად და სუფთად ლაზური ენა. ოსმალრი ენაც მიღებულია, თუმცა ხშირად შიგ მეჯლისში ქალებიც კი ლაზურად ლაპარაკობენ. თვით „ყურანის“ ძალით სხვა და

სხვა საქმეთა გარჩევა ხშირად ლაზურად სწარმოებს, „მეჯლისი“ და ყადი თითქმის ყველა სოფელშია. ემორჩილებიან ისინი ქალ. რიზეს მუთესერიფს და იმასთან მყოფს მუფთს და მის გამგეობას. მთელის ლაზისტანის უფროსი მუფთი ტრაპიზონში სცხოვრობს.

ლაზთა სასულიერო წოდებას თვით ლაზების შთამომავალნი შეადგენენ. მოლებად და ხოჯებადაც ბევრი ლაზია. უმეტეს ნაწილად სასულიერო სწავლა-განათლება მოლებსა და ხოჯებს სტამბოლში აქვთ მიღებული, ზოგს მოპოებულიც აქვს ღვთისმეტყველის ანუ ხაფიზის სახელიც. ფანატიკოსობას ძლიერ აქვს ლაზისტანში ფესვი გადგმული. ხშირად ფანატიკოსობაში ლაზები ნამდვილ თათრის მოლებსა და ხოჯებსაც აჭარბობენ. ბევრგან არსებობს სამრევლო სკოლები, სადაც მასწავლებლობას ეწევიან მოლები და ხოჯები. სწავლა სწარმოებს არაბულს ენაზე; უმთავრესად ასწავლიან ზეპირად ლოცვებსა და „ურანს“. აღზრდის წესი ოსმალურია, ხშირად წკეპლასა და ეკლიან ჯოხებსაც ხმარობენ. ლაზთა ბავშვებს ძალიან უჭირდებათ ამნაირ „სისტემაზედ“ სავლა და ხშირად ისინი 5 წლის განმავლობაში მარტო არაბულს ანბანს ძლივს ითვისებენ. ამ სკოლაში მოლები ფანატიკობას ბავშვებს პატარაობითვე უნერგავენ.

ლაზური ენა ძალიან წააგავს ქართულს, ერთ ალაგს ვნახე ლაზელი დურგლები. სახლის შენების დროს, როდესაც კოჭეი ჰქონდათ, ეს ლაზები მთელ ქართულ წინადადებას ხმარობენ და ხშირად იძახდნენ, მაგალითად „ცოტა კიდევ“, „ცოტა კიდევ“ და სხვას. ნახევარი სიტყვები ლაპარაკისა ქართულია. ლაზებმა კარგად იციან, რომ ქართველები და მეგრელები იმათი მონათესავენი არიან.

რუსეთის ხელში ლაზისტანისა დღეს მხოლოდ ერთი სამამასახლისოა, სახელდობრ, ჩხალის ხეობა. მხოლოდ ამ ხეობის ლაზები ეკუთვნიან რუსეთის იმპერიას, დანარჩენ

ლაზისტანის მცხოვრებნი ოსმალეთის ქვეშევრდომნი არიან, ზემოხსენებულ ჩხალის ხეობაში ლაზთა სოფლები ერთ სამამასახლისოს შეადგენენ. ეს სამასახლისო მიწერილია ლივანის ანუ მარადიდის საბოქაულოდ.

აი იმ სოფლის სახეები, სადაც ლაზები სცხოვრობენ:

1) **დაკვარა**, 5 კომლი; წინად მეტი იყვნენ, მაგრამ რუსთაგან დაკავშირების დროს ბევრნი ოსმალეთის ლაზისტანში გადასახლდნენ.
2) **ოხორდია**, 10 კომლი, ზოგი წავიდა.
3) **კორტანეთი**. 15 კომლი, ზოგი წავიდა.
4) **ბელლევანი**, 20 კომლი, ზოგი წავიდა.
5) **პანჩერეთი**, 15 კომლი, ზოგი წავიდა.
6) **სუჯუნა**, 5 კომლი, 55 კომლი გადასახლდა.
7) **მამანათი**, 30 კომლი.
8) **სკურჩე**, 5 კომლი, ზოგი წავიდა.
9) **მაკრეთი**, 10 კომლი, ზოგი წავიდა.
10) **გაბრიელა**, 5 კომლი.
11) **უსკოი**, 60 კომლი.
12) **სარფი**, 40 კომლი. ზღვის პირად მდებარეობს.
13) **ლიმანი**, 20 კომლი.
14) **სარფი**, 40 კომლი. ზღვის პირად მდებარეობს.
15) **ლიმან**, 20 კომლი.
16) **მაქრიალი**, 20 კომლი.

არის სხვა პატარა სოფლებიც, რომელთაც არ ვასახელებთ, რადგან იქ მცხოვრებთა რიცხვი ორ-სამ კომლს არ აღემატება. ჩხალის ხეობიდამ ოსმალოს ლაზისტანში მშვენიერი გზები გადის. ლაზებს გადააქვთ და გადმოაქვთ ლიმონი, ფორთოხალი, ზეთის ხილი, ლეღვი და სხვა ხილი.

როგორც ჩამოთვლილ, ისე სხვა სოფლების სახელები ლაზისტანში ქართულია. ამ გვარ სახელის სოფლებს კაცი თვით ტრაპიზონამდე შეჰხვდება. თითო-ოროლა სოფელს

გადაუსხვაფერებია ქართული სახელი და ოსმალური დაურქმევია. მთების, ღელეების, მდინარეები და სხვათა სახელებიც ზოგგან ძველია დარჩენილი, ზოგგან-კი გადასხვაფერებულია.

ცვლილებას არც თვით ხალხი ასცდენია. ლაზურ ანუ ქართულ სახელს თიქმის აღარც ერთი ლაზი აღარ ატარებს დღეს. ძველი ქართული გვარიც ზოგს შეუნარჩუნებია, ზოგს კი ოსმალურად გადაუკეთებია. მაგალითად, **ქურდიანი.** დღეს **ქურდოღლად** იხსენიება, **მარგიანი — მარაგოღლად, მარიამიძე — მაიროღლად** და სხვ.

როგორცა ვთქვით, ლაზებმა კარგად იციან, რომ მეგრელები და ქართველები იმათი მონათესავენი არიან, ამიტომ ოსმალელი ლაზები ხშირად გადმოდიან ჩვენსკენ და აქასცხოვრობენ. ლაზების შესახებ შემდეგი თქმულებაა დარჩენილი ძველად, სოხუმიდამ მოყოლებული ტრაპიზონამდე, ზღვის პირად, სულ მეგრელები და ლაზები სცხოვრობდნენ. მხოლოდ შემდეგ ხანებში ქართველ მეფეთა ბრძანებით აჰყარეს ბათუმიდან ფოთამდის მცხოვრები ლაზები და საქართველოს სხვა კუთხეებში გადაასახლეს, ხოლო იმათ მაგიერ ზღვის პირად დაასახლეს ქართულად მოლაპარაკენი, რომელთაგანაც გურულები წარმოსდგნენო. ლაზები თვიანთ ვინაობის შესახებ სხვა ძველ ამბებსაც გადმოგვცემენ, თუმცა ისლამის ზეგავლენით და ხოჯებისა და მოლების წყალობით ძველი თქმულებანი დამახინჯებული და შეცვლილია, ლაზებს საკუთარი სიმღერები აქვთ, ზღაპრები, ზეპირ-გადმოცემანი, ლეგენდები, არაკები და სხვანი.

ლაზს ძლიერ უხარიან, როდესაც ლაზურის ენის მცოდნე შეხვდება. იგი ადვილად უმეგობდება და უკავშირდება იმ პირს, ვინც კი მისი ენა იცის. კარგად ესმის, რომ თუმცა სჯულით ოსმალია, მაგრამ ტომით ლაზია. ქართველის მონათესავე. მე დარმუნებული ვარ, რომ ლაზი თავის ენას დიდ ხანს

არ დაჰკარგავს. თუმცა ყველგან გარშემო ოსმალური ენაა გამეფებული.

ლაზთა ცხოვრების შესახებ ბევრი რამ უნდა გვეთქვა, მაგრამ გარემება ნებას არ გვაძლევს. ლაზისტანის ანუ ჭანეთის ვრცელი აღწერა უკვე მომზადებული გვაქვს. დაგინდა ცალკე წიგნად გამოვცეთ.

დასასრულ, ორიოდე სიტყვას ლაზებსა და ჩვენს ურთიერთობაზე მოგახსენებთ. ლაზებთან ჩვენი დაახლოება მეტად ძნლია, რადგანაც ისინი ოსმალოს სამფლობელოში არიან, ხოლო ოსმალნი მაგრე რიგად არ შეგვიშვებენ; ლაზისტანი სავსეა ფანატი მოლებით, ხოჯებით და ხაფიზებით. ყოველ შემთხვევაში ამ ჟამად უმთავრესი ყურადღება ლაზურის კილოს შესწავლას უნდა მივაქციოთ. ენის შესწავლისა და ლაზთა გაცნობის შემდეგ აქედანაც შეგვიძლიან ვიქონიოთ მცირეოდენი გავლენა, შეგვიძლიან მოვიპოოთ იმათი ნდობა და ნელ-ნელა ქართული ენაც აღვადგინოთ.

ვიმეორებ, საუკეთესო სახსრად და ლაზთა დასაახლოებლად მათის ენის შესწავლა უნდა ჩაითვალოს და ამ ენით იმათთან საუბარი, საქმის დაჭერა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ექმნება, თუ ლაზთა სიტყვიერების მასალებს შევკრებთ და ქართულის ასოებით დავსტამბავთ არაბული ანბანი იმათ ხმათა მრავალ გარბას ვერ აკმაყოფილებს, ქართული-კი ზედ გამოჭრილია. ლაზს ძრიელ წაახალისებს და გაახარებს, როდესაც თავის გარდმოცემებს და სხვა ცნობებს ქართულის ასოებით დასტამბულსა ჰნახავს. უკვე ვსცადე ესა და უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი გავლენა იქონია ლაზებზედ.

ჩემის აზრით, ზეპირ-სიტყვიერების შესაკრება ლაზისტანში მეგრულის ენის მცოდნენი უნდა ვიყოლიოთ.

ლივანიდამ ერთი გზა ხეობით ლაზისტანში გადადის: აქეთ ოსმალეთის სამზღვარი ძრიელ ახლოა. ლაზისტანიდამ

აჭარასა და ლივანში ხშირად შემოდიან ლაზელი ხელოსნები: დურგლები, კალატოზები და სხვანი. აგრეთვე სხვა-და-სხვა ვაჭრები და სასულიერონიც.

მათში მრავლად არიან ქართულს ენაზედ დაუბრკოლებლივ და თავისუფლად მოლაპარაკენი. ბევრი მათგანი ლაზისტანის შესახებ საინტერესო ცნობებს მოგვითხრობს, ამ მოკლე დროის განმავლობაში მე გავიცანი რამდენიმე ლაზი, შუა საუკუნიდამ მოსულნი, და მათ ჩემს კითხვებზე შემდეგი პასუხი მომცეს.

მთელს ლაზისტანში ლაზური ენა დღეს დიდს დევნაშია. საქმე თუ ასე წავიდა, მაშინ ლაზური ენა მალე დაიკარგება, რადგანაც მთელს ლაზისტანში დღეს სწავლა და წერა-კითხვა სულ არაბულად და ოსმალურად სწარმოებს. სამართალი, მეჯლისი მიწერ-მოწერა, ლოცვა და ქადაგება სულ ოსმალურად არის. ადრე მოლები და ხოჯები ჯამეში, ქადაგების დოს, ხშირად ლაზურ ენას ხმარობდნენ, ამ ენათ. ქადაგებდნენ, რადგანაც ხალხს ოსმალური კარგად არ ესმოდა; ეხლა კი ესეც მოისპო. ყოველი ლაზელი ხოჯა ოსმალურად ქადაგებს და ცდილობს, რომ ლაზური ყველა ლაზის ოჯახში მოისპოს. მათ თავიანთ წადილს მიაღწის კიდევაც: დღეს მთელს ლაზისტანში აღარ არის ისეთი ოჯახი რომ მათ ქალებმა ომალური ენა არ იცოდნენ. ამიტომ ქალები ლაზურის ენის შესწავლას პატარაობიდან დაივიწყებენ და მალე ლაზური ენა მთლად ამოვარდება. დღეს ტრაპიზონისკენ იმშვიათად შეხვდებით ლაზს, რომ ლაზურ ენაზე ლაპარაკობდეს, დარჩა მხოლოდ აქეთა მხარე. რომელსაც საზღვრად აკრავს ააჭარა და ლივანა, სადაც ქართველი მაჰმადიანები მთლად ქართულად ლაპარაკობენ.

კარგად სჩანს და ეს ყოველმა ლაზმა კარგად იცის, რომ დღეს მთელს ლაზისტანში ლაზური ენა მთავრობის წინაშე არამც თუ უმნიშვნელო ენად არის მიღებული, არამედ აღ-

კრძალულიც კია, რათა მალე ამ ენის ალაგასოსმალური ენა გამეფთეს. ამ გაემოებას თვით ლაზებიც არ ეწინააღმდეგებიან.

ყოველი ლაზი ფანატიკია და მუყაითი მფარველია ოსმალურის ენსა და ძლიერებისა. იგინი ფანატიკობით ბევრად აღემატებიან ქართველ მაჰმადიანებს, საქმე თუ ასე წავიდა ლაზისტანში, უნდა ვიცოდეთ, რომ ლაზურ-ქართული იქაც ისე ამოვარდება, როგორც ეს მოხდა ქრთველ მაჰმადიანთა შორის შავშეთს, ერუშეთს, არდიჰანს, თორთომს, კორსა და მთელს დასავლეთსამხრეთ საქართველოს ძველის ბიზანტიისა და სომხეთის საზღვრებამდე.

შავშეთის ქართველ მაჰმადიანები

საგეოგრაფიო მეცნიერება უნდგამოტყდეს, რომ ოსმალეთის საქართველოს ზოგიერთ ნაწილს, როგორც, მაგალითად, შავშეთის და მთიან ლაზისტანს იცნობს, ვინმე შიდა აფრიკას

სამი თვე ოსმალეთის საქართ. **გ. ყ.**

I.

ისტორიიდან ვიცით, რომ ძველათ შავშთი შეადგენდა კლარჯეთის ნაწილს; კლარჯეთად იწოდებოდა მთელი დასავლეთ საქართველო სამხრეთ-აღმოსავლეთ არმანიის და დასავლეთ-საბერძნეთის საზღვრამდე. დასავლეთ-საქართველოს ნაწილი ცხადათ არის აღნიშნული **ლენორმანის** მეთერთმეტე რუქაზედ. შავშეთს ძველს ქარტებშიაც საკმარისი ადგილი უკავია და, თუ სადმე დასავლეთ საქარველოს ადგილები-კი არის მოქცეული[40], იქ თქვენ შავშეთის მდებარეო-

[40] საქართველოს ისტორია დ ბაქრაძისა, გამოცემა 1890 წ.

ბას თვალ და თვალ შენიშნავთ, რადგანაც შავშეთი დასავლეთ საქართველოში ერთ უმთავრეს შესანიშნავ კუთხეთ ითვლება[41].

შავშეთი შესანშნავია ყველაფრით: ბუნების, არქეოლოგიის, გეოლოგიის, მინერალოგიის, ბოტანიკის და ზოოლოგიის მხრით; მწერების, დედამიწისგულში ჩარჩენილ. ისტორიის წინა დროების ნიშნების

მხრით ღა ათასი კიდევ სხვა ამ გვარ საგნებით. ყოველივე ეს მკვლევარს თვალ-წინ გადაეშლება და დიდ ცნობის მოყვარეობას აღუძრავს რომ ეს შესანიშნავი მხარე შეისწავლოს და გაიცნოს ისე, როგორც აწინდელი ახალი მეცნიერება თხოულობს, როგორც საჭიროა ჩვენთვის და გამოსადეგი.

შავშეთ და მისი მკვიდრნი ძველის-ძველად ემორჩილებოდნენ დასავლეთ-საქართველოს მამასახლისს, ესკი მცხეთის მამასახლისის ხელ-ქვეითად ითვლებოდა[42]. შავშეთი ძველათ მარტო ადგილ-მდებარეობის მხრით არ იყო შესანიშნავი, ის შესანიშნავი იყო თვით მცხოვრებთა ზნით, ხასიათით, ჩვეულებით და ლაპარაკით. დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი თითქმის სულ ერთი ზნისა და ხასიათის იყვნენ და ერთი ენის კილოთი ლაპარაკობდნენ. მათი ცხოვრება ერთი საზოგადო ხასიათის

სურათს წარმოადგენდა. მათში მხოლოდ შავშელნი გაირჩეოდნენ; ესენი არ ჰგვანდნენ დანარჩენ ქართველებს.

სწორედ შავშეთის ასეთი ღირსება იყო იმის მიზეზათ, რომ ქრისტეს შობის ბევრად უწინარეს, ყველა გამოჩენილ გმირები შავშეთში ისადგურებდნენ და ცხოვრობდნენ. ამასვე ვხედავთ ჩვენ იმ დროს, როდესაც საქართველოში ქრისტიანობის ნიშნების შემოტანა იწყეს და როცა უკვე მოციქუ-

[41] ქართლის ცხოვრება, ნაწილი პირველი.
[42] საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა. 1848 წ.

ლებმაც ისურვეს ამ კუთხის გაცნობა. ყველა მქადაგებელს, ქრისტიანობის მღაღადებელს და მოღვაწეს პირველათ აქ შემთხვევია დროებით მაინც ცხოვრება და მერე აქედან სხვა მხარეს გამგზავრება. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც ამასვე ვხედავთ შავშეთში, თვით იმ დროსაც, როცა ქართველებმა იწყეს ძლიერების მხრით გამოჩენა, შავშელებმა პირველი ალაგი დაიკავესამ აღორძინებაში. ხშირად მომხდარა რომ საქართველოზე მოსული მტრები მარტო შავშელებს გაუდევნიათ და მით გადაურჩენიათ დანარჩენი საქართველოს ადგილები მტრის შელახვისაგან.

განათლების და მწერლობის აღორძინების დროსაც შავშელებს თითქმის უპირველესი ადგილი ეჭირათ, უმეტეს ნაწილი ჩვენის სასულიერო მწერლების შავშელები იყვენ: თვით **ექვთიმე, იოანე** და გამოჩენილი **გიორგი მთაწმინდელიცა**. ასეთ მოღვაწე პირთ სახელების მოხსენებას რომ გავჰყვეთ, მაშინ ეს ერთობ შორს წავა, რადგანაც შავშეთი თავის წარსულის ისტორიულის ცხოვრებით და მსწავლულ პირთა რიცხვით სავსეა. როგორც უწყიან, თვით გმოჩენილი **შოთა რუსთაველიც** აქ აღზრდილა, ტბეთის ტაძრის მახლობლად დაარსებულ სასწავლებელში, **იოანე შავთელიც,** რომელიც თავის თავს შავთელად უწოდბს, აქაური ყოფილა. იმერ-ხევს და შვშეთს შუა სძევს სოფელი შავმთა, სადაც დაბადებულა თვით იოანე შავთელი. დღეს ეს სოფელი წარმოადგენს ნატამალს, აქ აღააფერია დაშთენილი, დროსა და ჟამს აღუგვია.

სასულიერო და სამოქალაქო მოღვაწეებს გარდა, შავშეთში სასულიერო პირთ რიცხვიც ძველთაგანვე დიდი მწიგნობრობისაგან შესდგებოდა. ჩვენს მეტად ძველს ისტორიულ მწერლობაში, რომელიც-კი გადარჩა ყოველნაირს ცეცხლს და უბედურბას, შესანიშნავი ადგილი უკავია **ტბეთის ტაძრის ეპისკოპოსის სტეფანე მტბევარის აღწერას,** რომელ

ეპისკოპოსიც მეათე საუკუნის დასასრულს სცხოვრობდა და რომელმაც **მიხეილ ახალციხელის ცხოვრება, აშოტ ერისთავთ-ერისთავის** ბრძანებით აღწერა, ასეთ მწიგნობარ მღვდელ-მთავრებით სავსე იყო შავშეთი.

უნდა შევნიშნოთ და ვაღიაროთ, რომ ბუნებას თავის ძალოვნება დასავლეთ საქართველოს ადგილ-მდებარეობაზე ძალუმ უმოქმედებია, იქ ეს ათასნაირათ გადუსხვაფერებია ადგილ-მდებარეობათა სურათები სხვა დგილების სურათებთან. ასევე უმოქმედნია ერზე და იქაური ქართველობაც დანარჩენ ქართველებზე ბევრათ წინ დაუყენებია: იგინი შეუმკვია უპირატესობის ღირსებით, მათში ჩაუნერგავს უმაღლესი შნო, შემძლებლობა და მიხვედრა. ცხადი საქმეა, რომ უმწვერვალესთა მთა-ბართა და ბუნების შემკობილობას დიდი ზე გავლენა უნდა ჰქონდეს თვით სულიერს ცხოვრებაზედაც, ე. ი. კაცობრიობაზე და, ან კერძოთ რომ ვხთქვათ, შავშეთში შავშელ ქართველებზე.

როდესაც არდანუჯისკენ **ბაგრატიონები** გაძლიერდენ, ამათ პირველად იცნეს საქართველოს დაკნინებული მდგომარეობა, მათ თავს იდვეს საქართველოს გაძლიერების საქმე, განიძრაეს ქართველთ დანაწილებულ თემთა შეეთება და დაკავშირება. ასთ პირთ იმ დროს, მათ ერთგულნი და გამოჩენილნი შავშელნი რომ არა ჰყოლოდათ, მაშინ ეჭვი არ უნდა, ბაგრატიონები ვერც აფხაზეთს დაიჭერდენ და ვერც მთელს საქართველოს შეაერთებდნენ ერთ გვირგვინოსან პირის ქვეშ.., მარამ ყველა ეს მოხდა შავშელ გმირთა მეოხებით, რომელთა ღვაწლსა და ამაგსაც **„ქართლის ცხოვრება"** ცხადათ მოგვითხრობს. ამ შრომას და მეცადინეობასაც ერთობ დიდი ადგილი უკავია იმ ხანათა ისტორიაში, როდესაც იწყება საქართველოს აღორძინების ხანა, როცა დასავლეთ საქართველ აღმოსავლეთისას დაუახლოვდა და როცა ყოველი-

ვე ეს ადგილები ერთ გვირგვინოსან მეფის გამგეობის ქვეშ მოემწყვდა.

ასეთი იყო ისტორიული ღირსება და მნიშვნელობა შავშეთისა, ასეთი ადგილი ეკავა მას ძველათ საქართველოს ისტორიაში, ასეთ ღირსების მექონიშვილნი და გმირნი გამოდიოდნენ შავშეთიდან და ნათელს ჰფენდენ დანარჩენ ქართველთ სახეს და მხნეობას. ჩვენ არ ვიტყვით, რომ საქართველოში ასეთ ღირს-შესანიშნავ პირებათ მარტოთ შავშელნი ყოფილიყვენ; არა, ეს ასე არ არის, შავშელების ალაგას გინდ მოუხეშავი მოხისელნიც ყოფილიყვენ, რადგან შავშეთის ადგილ-მდებარეობას და სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა მეზობლურ პირობებს სხვაფერი ზეგავლენა ჰქონდა შავშელებზე. სხვაფერი წარმატებითი მხარეები და აღორძინება დაეტყო. ამის დასასაბუთებლად ჩვენ ცხადს საბუთს გვაძლევს ერთად-ერთი ბიზანტიის მეზობლური დამოკიდებულება საქართველოსთან და ნამეტურ დასავლეთ-საქართველოს და შავშეთთან. ესენი დიდის მხნეობით და მამულის სიყვარულით აღმოჩნდნენ და ამის მხრით ჩვენ უპირატესობას ვუთმობთ მათ.

ჩვენ ამის საბუთისთვის ძალიან შორს არ წავალთ. იმის დასამტკიცებლათ, რომ შავშელნი ჩვენი მამულის წინაშე დიდის დიდებით ბრწყინვენ, კმარა დავასახელოთ თუნდ შემდეგი თხზულება, რომელიც შეუდგენია, შეუმუშავებია და შემოუტანია ჩვენს მწერლობაში **იოანე შავთელს,** ეს შრომა არის **არითმეტიკული საპასექო** ცხრილი, ანუ, როგორც ჩვენი ძველი მწერლები უწოდებენ, ხუთასიანი ქრონიკონის სახელმძღვანელო. **დ. ბაქრაძის** სიტყვით, ეს შრომა შესანიშნავია არითმეტიკული და მატემატიკურის ტერმინებით, ამ შემანიშნავ შრომას **ბროსემაც** მიაქცია ყურადღება და მან ფრანგულ ენაზე გადასთარგმნა და ქართული ტექსტით და რუსული დამატებით ცალკე ტომათ დაბეჭდა, კომენტარი

რუსულ ენაზე აქვს. ბროსე ვრცლად საუბრობს იოანე შავთელის ბიოგრაფიაზე და იმის ნაშრომის ღირსებაზე, თუ ამ შრომას რა მნიშვნელობა უნდა მისცენ არამც თუ ქართველთ, არამედ თვით ევროპელთაც, რომელთათვისაც ამ შრომას, როგორც საშუალო საუკუნის ნაშთს, ერთობ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰონდეს მინიჭებულიო.

II.

შავშეთი მდებარეობს დასავლეთ-საქართველოში. სამხრეთის მხარეს; აღმოსავლით აკრავს არსიანის მთები, რომელთა სიმაღლე 10 000 ფუტამდი იქმნება. ეს მთები საქართველოს ისტორიაში ცნობილია, რადგანაც აქედან მრავალ მდინარეთა სათავეები იწყება; დასავლეთით საზღვრავს კარჩხალის დიდებული მთა, რომლის სიმაღლეც 12 ათას ფუტამდე ითვლება დასავლეთ-საქართველოში და მასთან მთელს ოსმალეთის საქართველოშიაც ეს ყველაზე მაღალი მთა არის. სამხრეთით ისაზღვრება ოლთისის მთებით და მიდამოებით და ჩრდილოეთით ჩირუხის მთებით დ აჭარა-საქართველო-ჯავახეთით.

მდებარეობა შავშეთისა არის მეტათ ლამაზი, ყოველი მხრით მთები აკრავს და თვითონ შავშეთი შუაშია მოთავსებული, თითქოს ბუნებას მისთვის ეს გარე მთები განგებ გარს გალავნათ შემოურტყამს; ამ მთებიდან თვალ-წინ გეშლებათ მთელი შავშეთი, მთების შტო გორაკები შუაგულ შავშეთშიაც შედის და ჰყოფს მას რამდენსამე ხეობათ და ვაკე-მინდვრებათ.

ხსენებულ მთების უმეტესი ნაწილი ტყით არის მოფენილი; ტყე თან-და-თან მცირდება, მთის სიმაღლის მიხედვით და მწვერვალზე-კი სულ ისპობა. ასეთი მაღალი მთები აქეთ ხშირია. ეს მთები ზაფხულობით მსუქან-ნოყიერი ბალახით

იმსება. აქ სხვა-და-სხვანაირი მთის სუნნოვანი ყვავილებიცაა. შავშეთს მაღალი ტიტლიკანა მთები აკრავს მთლათ არტაანის, ოლთისის, არსიანის და მირატის მხრიდან; ამ მთებიდან კვალდა-კვალ შეიძლეა, რომ კაცი გაემგზავროს მირატის ხეობის მთით კარჩხალის მთაზე. მირატის ხეობა და ამის მთები ჩვენს ისტორიაში არაა მოხსენებული. რიგიანათ ვერც ჩვენი დროის გეოგრაფიული რუქანი და აღწერანი აღნიშვნენ. ეს მთა ძევს სხალტის ხეობას და შავშეთს შუა.

ყველა ეს მშვენიერი მთები დიდათ შველის შავშეთის მკვიდრთ; ზაფხულობით ამ მთებზე დიდ-ძალი ხალხი დადის, საქონელი აჰყავთ, მთელი ზაფხულობით აქ რჩებიან და საქონელს აძოვებენ; აქ სადგომათ სახლებიც-კი აქვთ გაკეთებული. საქონელი აქ მშვენივრათ იკვებება. მთის ბალახს მათზე დიდი ზე-გავლენა აქვს: აქაური საქონლის რძე, ყველი და ერბო მეტათ მსუქანიც არის. აქ სძოვენ ძროხა, ხარი, კამეჩი, ცხვარი და ნამეტურ თხები. აქეთ თხების შენახვას ძრიელ მისდევენ. ყველაზე საუკეთესო ბალახის მექონ მთათ ჩირუღის მთა ითვლება, რომელიც დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთ-ჩრდილოთ ძევს და რომელსაც ზედ ეკვრება არსიანის მთები. დღეს ჩირუღის მთები შავშელებს, არდანუჯელებს, აჭარელებს და მირატის ხეველებს ეკუთვნის; შავშელნი ამის კმაყოფილნი არ არიან და ამბობენ, რომ ჩირუღის მთები ჩვენს საკუთრებას შეადგენსო: ძველათ **თამარ დედოფალს** ეს მთები ჩვენთვის დაუმტკიცებიაო. ჩვენს ძველებს ხელშეუშლელათ ეკავათ ეს მთები და ახლა-კი სხვები გვეცილებიანო. ადრე შავშელებს ამის დასამტკიცებელი ქაღალდები ჰქონიათ და დღეს-კი არაფერი გვაქვსო, იქნებ ძველ ქართულს წიგნებში ამის შესახებ რამე აღმოჩნდესო.

როგორც კარჩხალის მთიდან, ისე არსიანის მთიდან, ჩირუღის, მირატის, ევფრატის, არტაჰანის და ოლთისის მთებიდან მთლად ჩანს დასავლეთ საქართველო, მთლათ ჩანს ის

ნაწილი საქართველოსი, რაც დღეს ოსმალეთს უკავია, ე. ი. პარხალი, ლაზისტანი, თორთომი, ხახული, იშხანი, ვანის კუთხე და ბევრი კიდევ სხვა ადგილები. როცა კაცი კარჩხალის მთიდან შეხედავს მთელ დასავლეთ-საქართველოს და წარმოიდგენს მის სივრცეს, სილამაზეს მოხდენილობას და აგრეთვე იმას, თუ ამოდენა ადგილებში ამდენი ქართველობა უნდა ყოფილიყო ძველათ დასახლებული უნებლიეთ გული შეუწუხდება. **სწორეთ ასე მომივიდა მე, როცა მირატის ხეობიდან დასავლეთ საქართველო დავინახე, როცა ჩემ თვალწინ გადიშალა ჩვენი დიდებული სამშობლო — თვალუწვდენელი სივრცის მექონი საქართველო.** რომლის საზღვრები საბერძნეთს და არმენიამდის მიდის. ამოდენი ადგილების დაკარგვა, ამოდენ ქართველ ხალხთა მოცილება, ცხადი საქმეა, ჩვენი ძალოვნებისთვის დასაღუპი იყო. მე არ შემიძლია, მკითხველს გარდავცე ის მწუხარება, რა მწუხარებასაც ჩვენი მამულისშვილი იგრძნობს იმ დროს, როცა ის ზემოხსენებულს მაღალს მთებზე ავა და იქიდან სულ ძველათ ამაღლებულ და შემდეგ დაღუპულს და განადგურებულს საქართველს ადგილებს გადახედავს!..

ამ მშვენიერ მაღალ მთებზე მენახირეები თავისი ნახირით მარიამობისთვის ნახევრამდის რჩებიან, შემდეგ-კი აქ დგომა აღარ შეიძლება, რადგანაც მთებს ჩამოთოვს ხოლმე. აქ ორი-სამი საჟენის სიმაღლე თოვლი იცის და ამიტომ მწყემსები ნელ-ნელა მთების ძირ-ძირ იწევენ და რამდენათ თოვლი, ბურუსი და სიცივე უსწრობს, იმდენათ ისინი ძირს იცვლიან და ბოლოს შინ მიდიან, უნდა აღინიშნოს, რომ მწყემსებათ აქ უმეტეს ნაწილათ ქალები არიან, ნამეტურ ხნიერი დედაკაცები და პატარა გოგოები მთელ ზაფხულს ესენი ისე ატარებენ დროს, რომ მათ მამაკაცები ერთხელაც არ მოიკითხავენ, ერთხელაც არა ნახავენ ამ მხრით აქ ქალებს შიში არა აქვთ.

ამ მთებზე ერთი საოცარი ის არის, რომ აქა-იქ აუარებელი ქვის ნამტვრევები ჰყრია: კაცს გააკვირვებს ის, თუ ასე ოსტატურათ იმოდენა ქვები რამ დაამტვრია და ან საიდან გაჩნდა, როცა ხსენებული მთები სულ რბილი მინდვრებისაგან შედგება და არსად არაფერი კლდეები არა ჩანს. ამას, რასაკვირველია, გეოლოგიური გამოკვლევა უნდა, მისი გეოლოგიური საიდუმლოებაც აიხსნება.

აიქაური მკვიდრნი ამბობენ, რომ შავშეთს ოსმალურთ **ნისლათას** უწოდებენო, ე. ი. ნისლის ქვეყანასო, ოსმალთ წიგნებში ასე მოიხსენება ამ ადგილების სახელიო. **ვახუშტის** თქმით, შავშეთს სახელი მისგან დარქმევია, რომ შავშეთში ყოველთვის, ნაძვნარის მეოხებით, სიბნელეა, შავათ არის მოსილი და იმიტომ უთქვამთ, რომ „შავშიო". ამ ნაირად სიტყვა **შავშიდად** წარმომდგარა სიტყვა **შავშეთი.** ეს შესაძლებელია, რომ სწორეთ ასეც იყოს, რადგანაც მთელი შავშეთის მთები, პატარა გორაკები და ხეობანი სულ ნაძვის ტყით არის მოფენილი: დილით, როცა კაცი ადგება და გამოვა კარში, შეხედავს იგი მთელს შავშეთს, მეტათ შავით მოსილს, თითქის შავი ფერისას. ნისლი-კი ძალიან არ იცის აქ; ეს შავი სუდარა მას აკრავს იმ დრომდის, ვიდრე მზეს დაუპირისპირდება, მერე-კი ისე გაბრწყინდება და განათდება მთელი ეს კუთხე, რომ კაცი მასზე უკეთეს და ლამაზს სხვას ვერასა ჰპოვებს.

შავშეთს ოთხივ კუთხით მაღალი მთის ფერდობიდან პატარ-პატარა რუები ჩაუდის, ხოლო ტბეთის გვერდით-კი ღელე მომდინარეობს, რომლის სათავეები არსიანის მთაზე იწყება. ერთი ღელეც შავშეთის სათლეს გვერდზე ჩამოდის მაღალი ხეობიდან; ბოლოს ეს ღელეები წეფის ციხესთან ერთდებიან და მალ ჭოროხს ერთვიან.

შავშეთში წყაროები და მდინარეები მეტათ მარგებელი, წმინდა და ანკარაა. მაგრამ აქ წყაროები და ღელეები ისე უხვი არ არის, როგორც აჭარაში და იმერხევში, ბევრ სოფლებ-

ში ზაფხულობით წყლის კლება იცის. საცა-კი წყარო გამოდის, ყველგან მეტათ ცივი წყაროები იცის, ისე ცივი, რომ ხამ კაცს უცბათ დალევაც-კი გაუჭირდება. სხვა რამ მჟავე წყაროები, ან თბილი აბანოები აქეთ არ არის, გარდა სოფ. მიქელეთისა, რომელიც იმერხევში მდებარეობს. მოგზური ცხადათ შენიშნავს, რომ შავშეთის მცხოვრებლებს ხშირათ უნდა აკლდებოდეთ წყალი. აქ ყანები ხშირათ ირწყვება; გარდა ამისა აქეთ თითქმის ყოველ ხეობაში არხები აქვთ გაყვანილი. უცხო მნახველი გჰკვირდება, მათ ისეთ მაღალ ციცაბო კლდეებზე აქვთ გაყვანილი არხები და სხვა ადგილებშიაც-კი მოდის.

შავშეთში იზრდება მრავალ ნაირი ხე, ბალახი, ყვავილები და ხეხილი. აქ ხილი კარგი იცის, ნამეტურ ჟოლი (ბჟოლი) ჟოლს აქ ჩვენებურ თუთას უწოდებენ. ჟოლი ძრიელ მრავლობს, ისე რომ ოლის ბადაგსაც აკეთებენ და ზამთარში თაფლის ალაგას ხმარობენ. ჟოლიდან გამონაწური ძმარი აქ მე პირველათ ვნახე და ერთობ გავკვირდი. ზაფხულის სიცხიან დღეში მოითხოვეს ჟოლის ბადაგი და ძმარი, მერე ესენი ცივ წყალში გახსნეს, ერთმანერთში აურიეს და გულის გასაგრილებლათ დალიეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ იქაური ცივი წყაროები ამაებს არ საჭიროებენ, მაგრამ რაკი ჩვეულებათ ჰქონიათ მიღებული, ამიტომ ამით უცხო სტუმარს პატივს სცემენ ხოლმე. ხილის მოსავალ შავშეთში ხან უხვათ იცის და ხან ნაკლებათ. როცა უხვათ მოდის, მაშინ შავშელებს ხილი არდაჰანში და ყარსში გადააქვთ და იქა ჰყიდიან ან სხვა-და-სხვა რამეებზე სცვლიან.

შავშეთზე არდაჰანი, ყარსი, ართვინი და სხვა დასავლეთ საქართველოს დაბები თითქმის ერთნაირ სიშორეზე მდებარეობენ; მაგალითებრ, შავშელები არდაჰანში მეორე დღის შუა დღეს ჩადიან ქვეითად, ხოლო ყარსში მისვლას-კი ორ დღეს უნდებიან. საქონელს ცხენებს ჰკიდებენ, რაც-კი

ექნებათ გასაყიდი: მსხალი, ვაშლი ან სხვა რამ და თვით-კი ფეხით მისდევენ. თუ როგორ, რას ჰყიდიან იქ და რას იღებენ, ამის მე არა ვიცი რა და როგორც ეტყობა შავშელები, ისინი ამაში დახელოვნებული არ უნდა იყვენ.

შავშეთს ისეთი ალაგი უკავია, რომ მისი საზღვრების ბოლოზე იწყება ერთი მხრით ბათუმის ოლქის მიჯნა, მეორე მხრით ყარსის, მესამე მხრით ოლთისის და მეოთხე მხრით არდაჰანის მიჯნებ. ოთხივე მხრისკენ აქედან გზები მიდის; შავშეთში ერთი გზა აჭარიდან მერისის ხეობით გადადის. აქედან მინდიეთის ტყის მახლობლივ უნდა წახვიდეთ, გადაიაროთ კარჩხალის მთის წინ, გაიაროთ ფაფათის მთა, სადაც ფაფათის ციხეც დგას; ამ ციხის იქით სოფელი ბაძგიერეთია, სიდანაც იმერხევი დაიწყებ და რომელსაც მისდევს შავშეთი. აქ შევჩერდები და ფაფათის ციხის შესახებ სახალხო თქმულობას გადმოგცემთ.

ხალხი ამბობს, რომ ფაფათის მთის ციხე სამ დას გაუკეთებიაო. თითო ქვა დას აუტანია მთაზე; ერთს მეორე ქვაზე შეუდვია ქვები და ასე ამ გვარათ სხვა ქვები და უკანასკნელ დროში ეს ქალები თურმე დიდათ იქებოდენ და იდიდებოდენ, მთელს იქითა მხრის ხალხში მათი მხნეობის და გარემოების ცნობები ისმოდა. მათზე გამოუთქვამთ ძველათ:

სამმა დამა ფაფათელმა,
ფაფათს ფაფა ნაჭამებმა
მაღალ მთაზე სამი ქმითა
ჩვენ ვაკეთეთ ციხე ქვითა.
სამსა ძმასა ქადაგლებსა,
ქადაგს ქადა ნაჭამებსა,
ვეტყვით, თუ იმ ქვებს დასძრავენ
ჩვენ წავყვებით მაშინ ცოლათ.

ეს ლექსი ძველათ ვრცელი ყოფილა, მაგრამ ჟამთა მიმდინარეობას დაუკარგავს და ამოუკვეთია ხალხში სრული მი-

სი ხსოვნა, ეს იყო ისლამის ნაყოფი. ლექსში გამოყვანილი ყოფილა ის ცნობა, რომ ვაჟები ქალებს თხოულობდენ, მაგრამ ქალები არ მიჰყვებოდენ; ესენი იტყოდენ: — ჯერ თქვენი გმირობა გვაჩვენეთ და მერე წამოგყვებით ცოლათაო. ასეთი იყო ძველათ ზნე და ხასიათი ქართველი ქალებისა... ამას ხომ ცხადათ **„ვეფხის ტყაოსნის“** თინათინის საქციელიც ამტკიცებს ავთანდიის წინაშე.

მოსავლის მხრით შავშეთი შესანიშნავია. აქ მოდის ური, სიმინდი, ქერი, ღომი, ლობიო (მეტათ კარგი სცოდნია), კარტოფილი, ჭარხალი, მწვანეულობა, ერთი სიტყვით, აქეთ კაცი რასაც-კი დარგავს და დასთესავს, ყველაფერი ხეირობს; გარდა ბრინჯისა, აქ ყველაფერი უხვათ მრავლობს და მოდის. მოუსავლობა აქ იმ დროს იცის, როცა წელიწადი გვალვიანია, ანუ გადამეტებული წვიმიან. ისიც-კი უნდა ითქვას, რომ აქაურ მშვენიერ ადგილებს ბევრნაირი შრომა სჭირდება, რადგანაც შავშეთს გარშემო მეტათ შავი მრისხანე მაღალი მთები საზღვრავს, რომლებიც შავშეთს ხშირათ და ადვილად აჯილდოვებენ ხოლმე ქარით, სეტყვით, დიდი წვიმით, თოვლით და ვინ იცის რაებით არა. ასე რომ აქაურ მუშა ხელს ერთობ დი შრომა უნდება.

შავშელნი მაინც დიდი მხნეობით მუშაობენ; აქ კაცი, ქალი, მოხუცებული და ყმაწვილები ერთთავად მუშაობაზე არიან დაბადებული; ზაფხულში ამათ ყველას ყანებში, ვენახებში და მთა-ტყე-მინდვრებში დაინახავთ სამუშაოზე. დილიდან საღამომდის მოუსვენრათ და მხნეობით მუშაობენ ისე, როგორც ჩვენში ქართლის მხნე გლეხკაცობამ იცის. შავშელებს მუშაობა ისე უყვართ და მას ისე ეტრფიალებიან, როგორც აჭარლები, გულების მსგავსათ, კოპწიობას და ნავარდობას. ზაფხულში ერთი საქმის მუშაობას მეორე მოსდევს, მეორეს მესამე და შემდეგ შემოდგომა და ზამთარის მოდის. ზამთარი აქეთ დიდი იცის და ამიტომ შავშელი ზამ-

თრის სარჩოს ზაფხულში იმზადებს ზამთარში ესენი მარტო შინაური საქმეების კეთებას უნდებიან და საქონლის მოვლას. გარჯა-მუშაობის მხრივ შავშელები ბევრად მაღლა დგანან დასავლეთ-საქართველოს სხვა დანარჩენ მაჰმადიანებზე.

წყნარი მუშაობა და მშვიდობიანი მხარეები შავშელებს ძლიერ შეუთვისებიათ; ესენი დილა-ადრიან წამოხტებიან თუ არა, მაშინვე სამუშაო გზას გაუდგებიან და ამისთვის ისინი ხშირად დილის ლოცვასაც აკლდებიან. უამისოთაც-კი დღისით, როცა ამათ გაცხარებული მუშაობა აქვთ-დღეში ხუთჯერ არ ლოცულბენ ისე, როგორც სხვა მაჰმადიან ქართველებმა იციან და მეტურ აჭარულ-ქობულეთელ ქართველ ფანატიკოსმა მაჰმადიანებმა. მე დავესწარი შავშელებს მუშაობის დროს, თან მყავდენ აჭარელი კაცები. როგორც ლოცვის დრო მოვიდა, აჭარლებმა ლოცვა დაიწყეს და შავშელები-კი მე მესაუბრბოდნენ. საქმე ისე მოეწყო, რომ, ცოტა არ იყოს, აქა-იქ მუშაობის დროს შავშელებს აჭარლების შერცხვათ ლოცვის შეუსრულებლობის გამო და ამიტომ იმათაც ილოცეს, თუმცა, როგორც შევატყვე, არაფრათ-კი ეპიტნავათ აჭარლების საქციელი, მაგრამ რას იზამდენ. არ-მლოცველი მუსლიმანი-მუსლიმანი არ იქნებოდა. შავშელი კაცის დაკოჟიჟებული ხელები ცხადად ამტკიცებს მათს მაღალ მიმზიდველობას შრომა-მეცადინეობისადმი.

ცხადად ჩანს,რომ ისინი ისეთ ფანატიკოსებიც არ არიან, როგორც დანარჩენ საქართველოს მაჰმადიანები. მაგალითებრ, ამათთან რომ ვინმე ქრისტიანი მივა, ისინი მას სჯულის შესახებ-კი არ დაუწყებენ დავი დარაბას, კმათობას და ლაპარაკს, არამედ გამოჰკითხავენ ქვეყნის ამბებს, სადაურობას, მოსავლიანობას, მთავრობის ვითარებას და სხვა. ყველაფერს დიდი კმაყოფილებით და სიამოვნებით მოისმენენ და მიიღებენ. თქვენ მათ მცირე რამესაც ვერ შენიშნავთ,

რომ ისინი ქრისტიან კაცს ეჭვით უმზერენ. ისინი უმზერენ მას ისე, როგორც სტუმარს და არ იციან როგორ ასიამოვნონ, როგორ ემსახურონ, როგორ რა მიართვან, როგორ აამონ და სხვა; ყოველი მათი მიმოხვრა და საქციელი გარემოცულია მაღალი სტუმართ-მოყვარეობის თავაზითა და პატივისცემით. ერთ სიტყვას, ერთ კრინტს ვერ გაბედავენ თავისუფლად თქვან, რომ მასზე რჩევა არ მიიღონ და თქვენ თვალსა და სახესაც არ შეხედონ.

თუმცა შავშელი ფატალისტია, მაგრამ იმან ისიც კარგათ იცის, რომ კაცის ცხოვრებისთვის მხნეობა უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვინემ ლოცვები, ამიტომ ისინი მუდმივ მუშაობას უნდებიან. ეს მოლა-ხოჯებმაც კარგათ იციან, მაგრამ არ უშლიან და ნებას აძლევენ ლოცვის წესები შეასრულონ ისე, როგორც მათ სურთ, როგორც მათი ცხოვრების საჭიროება ნებას მისცემს. ხოჯა-მოლები მიტომ იქცევიან ასე, რადგან შავშელი თავის მუშაობის დროს მონა არის მათი, მაშენებელია ჯამეებისა და წმინდა მუსლიმანი, წმინდად აღმსრულებელი მაჰმადიანების წეს-რიგ-ჩვეულებისა. ერთმა ხოჯამ ასე მითხრა: შავშელები ყაჩაღ აჭარლებს არ გვანან. ესენი მუდამ მუშაობას ახმარებენ დროს; რომ არ იმუშაონ, უამისოდ ზამთარში ვერ იცხოვრებენ, ამიტომ ხშირად ესენი თვით პარასკევ დღესაც-კი მუშაობენ, მაგრამ, რა ვქნათ, ამით არა დაშავდება რა, ღმერთს მუშაობა არ ეწყინება და ავი კაცობა და კაცის კვლა-კი დიდათ შავშელები ყოველივე ამისაგან გაშორებულები არიან.

მართლაც და უნდა ვთქვა, რომ მთელი შავშეთი დავიარე და სოფლელები. წარმოიდგინეთ თი ხნე-ხასიათი და გარჩევა აჭარლებისაგან; რომ მე იქ ერთობ იშვიათად შემხვდენია თოფ-ხანჯალ-ხმალ-დამბაჩიანი სოფლები. წარმოიდგინეთ მათი ზნე-ხასიათი და გარჩევა აჭარლებისაგან; რომ დანასაც კი არ ატარებენ! მგზავრობის დროს, ბევრ ალაგას ყა-

ნაში მუშაობის დროს ვნახე ხალხი და მათაც ერთს არ ამოუჩნდა ხსენებული იარაღებისაგან ერთი მაინც. გამოვკითხე მიზეზი ასეთი უიარაღობისა და მათ მითხრეს, რომ ჩვენ იარაღს მიმყოლი ხალხი არა ვართო. ჩვენი იარაღი თოხი, ბარი, ნიჩაბი და გუთანიაო; რაში უნდა გამოვიყენოთ იარაღი — მუშაობის დროს არ გამოგვადგება და სხვაფრივ რის მაქნისია, რა უნდა გვიშველოს მანაო!.. ასეთი ჩვეულება შავშელებს მემკვიდრეობით ჰქონიათ, როგორც მითხრეს, მათი ძველებიც სწორეთ ამ ზნისა და ხასიათის ყოფილნ. ასეთ ზნე-ხასიათს მათში ერთობ მაღალი ადგილი უჭირავს. ეს, მე მგონია, მათში უნდა დამკვიდრებულიყო მას შემდეგ, რაც ისინი ოსმალოს ხელში ჩავარდენ და დაქვეითდენ, თვარა, როგორც ჩვენი მატიანე აღნიშნავს, შავშელები ძველათ მეტი მხნეობით, გმირობით და თავ-გადადებით იბრძოდენ საქართველოზე მოსულ მტრებთან. ეს ღირსება მათ თვით იმ წყვდიად ხანაშიაც-კი ემჩნევათ, როცა ისინი შვილდ-ისრით იყვენ შეიარაღებული..

მატს ასეთ საქციელს და მიდრეკილებას დიდათ შეუწყვია ხელი ყაჩაღობსადმი მიდრეკილობის თვით-მოსპობისათვის. **შავშელი კაცის ყაჩაღობა** არც ძველათ და არც შემდეგ არ გაგონილა. იქმნება აქა-იქ მომხდარა, მაგრამ ეს ყოფილა იშვიათად და კანტი-კუნტად. ყაჩაღობა ამათში არ ყოფილა და თუ ყოფილა ისიც ქურდობის მიზეზით-კი არ დაბადებულა, არამედ სხვა რამ საპოლიტიკო და მოქალაქური მხარეების მეოხებით; ისიც-კი უნდა შეინიშნოს, რომ შავშელებთაგანი თუ ვინმე ყაჩაღათ გავარდნილა, ის უნდა რამე განწირულებაში ყოფილიყო ჩავარდნილი და ან სხვა-და-სხვა თემთა მცხოვრებთაგან გამოსულ ყაჩაღებს უნდა მიეზიდოთ. მაგალითებრ, შავშელები აჭარლებს მთლათ ყაჩაღებათ სთვლიან, ასე ამბობენ, რომ აჭარლების ხელობა არისო, ნამეტურ მაჭახელეს ძველათ იმათი ყაჩაღობისაგან მოსვე-

ნება არა გქონდაო; ისინი არ მუშაობენ, მთელი წელიწადი ყაჩაღობდენ და მათი ცხოვრობდენ ესკი მეტი უნდა იყოს.

პირუტყვის მოშენებას და გამრავლებას შავშელები საკმარისად მისდევენ; ესენი ამრავლებენ ცხვარს, ძროხას, თხას, კამეჩს, ცხენს და სხვა პირუტყვებსაც. ცხვასა და თხას უფრო უხვათ ამრავლებენ. რაც შეეხება პირუტყვების მოვლას, ეს იმათ კარგათიციან; დდათ უფრთხილდებიან საქონელს და დიდსა და შეუსაბამო ტვირთს არ აჰკიდებენ, თუ დაუდებენ ხოლმე, ზაფხულში საქონლის უმეტესი ნაწილი მთებზე დაუდით და ზამთარში ბოსლებში ინახავენ. ბოსლები ამათ შვენიერათ აქვთ გაკეთბული: შვენიერი ხის ოდები, თბილი და ნათელი, ასეთ ბოსლებს საქართველოს სხვა კუთხეში სახლებათაც ვერ ვპოვებთ! შინაური ფრინველების მოშენებას-კი ის ევერ მისდევენ შავშელები, როგორც ქრისტიან ხალხში; ესენი ცოტა ერიდებიან ქათმის შენახვას მს გამო, რომ ქათამს საკენკი და მოვლა უნდა და ის იმის ფასად არ ღირსო; თითო ოროლა ქათამს ინახავენ კვერცხის დასადებათ. ეს ნაკლი ამ ახალ შემოერთებულ ქვეყნები ყველგან ემჩნევა; მაჭახელში ერთ ქათამში მგზავრმა 70 კაპ. მისცა და ისიც რის წვალებით იშოვნა, მთელს სოფელში ძლივს ერთ დედაკაცს აღმოუჩნდა ორი ქათამი. ესენი ქათმის უყოლობის მიზეზს მუშაობას აბრალებენ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს შესაწყნარებელი მიზეზი. მირატის ხევში, სოფ. ოლადაურში, **გურჯი ჰაჯი ლომან-ეფენდი ქარცივაძის** სახლში ყველა შინაური ფრინველი ვნახე და

მის მეზობელს-კი ერთიც არ მოეპოვებოდა!..

ფუტკრის მოშენებას და ყაჭის ჭიის მოყვანასაც მისდევენ შავშელები, მაგრამ ამათში ერთიცა და მეორეც სამწუხარო მდგომარეობაშია ჩავარდნილი; აქ არც ერთს ეტყობა წარმატება და არც მეორეს; საფუტკრე სკები მათ ტყეში აქვთ ხეებზე დატოვებული ისე, ღვთის ანაბარათ. რასაც

იშოვნიან თაფლ-სანთელს, მას ფუტკრებისაგან მოცემულ წყალობათ თლიან. **თაფლი-კი კაი სცოდნიათ! წმინდა სანთლის კეთებსაც მისდევენ და** გარდამეტებულს აქა-იქ დაბებში ჰყიდიან. აქ ყაჭის ჭიაც-კი კარგად იკეთებს, რომ ხელის შემწყობი ჰყვანდეს. აქ **თუთის ხეები (ბჟოლა)** მეტათ მრავლობს, მეტათ დიდრონი ფოთლები აქვს, დიდი მარცვალი იცის და მასთან შაქარივით ტკბილია. თამბაქოს (თუთუნის) მოყვანას შავშელები ისე არ მისდევენ, როგორც აჭარლები; ამას აქ ადგილ-მდებარეობა და ნიადაგი ისე არ უწყობს ხელს, როგორც დასავლეთ საქართველოში. თუთუნი უფრო დასავლეთ-საქართველოში, სამხრეთ და ჩრდილო ადგილებში მოდის. შავშელები თუთუნს სხვა ქართველ მაჰმადიანებისაგან ყიდულობენ. აქეთ ისე ბავრს არ სწევენ თუთუნს, როგორც სხვა ქართველ მაჰმადიანები.

შავშეთში ხილის დამწიფება ერთობ გვიან იცის, მაგილითებრ, თუთა აქ მწიფდება მარიამობის თვეშიაც-კი, თუმცა არის სხვა ისეთი ხეხილი, რომელიც ადრე შემოდის. აქ ყოველგვარ ხეებს თავისი განსაკუთრებული ნიადაგი და თვისება აქვს: ერთ ხეობაში რომ ხილი სისრულეში შედის, მეორეში მწიფდება, აქაური ხილი ძალიან გემრიელია და თვალისთვისაც კარგი.

შავშეთის ტყეები მდიდარია გარეული ნადირითაც. ამ ოთხი წლის წინედ მაჭახელში ვეფხვი მოუკლავთ, რომელიც თურმე არზრუმის გზით ჯერ შავშეთში შემოსულა, მერე აქედან კარლის მთისკენ გაუვლია და მაჭახელში ჩასულა. შავშეში იცის მგელი, თეთრი და შავი, ველური ღორი, ირემი, დათვი, შველი, თხა, კანჯარი და სხვა. დათვი და ღორი აქ ყანებს სასტიკად მტრობენ, ნამეტურ დათვი სიმინდს ემტერება.

როგორც შევიტყვე, შავშეთში ძველათ ფეიქარხანებიც (საფეიქროები) ყოფილა, მაგალითებრ, შავშელებისთვის ტანსაცმელის მასალა აქვე მზადდებოდა ძველათაო. მურ-

ღულში ნამეტურ ქალები ყოფილან განთქმული ამ ხეობით, ესენი **შავშეთში აკეთებენ ყველაფერს, ასე რომ უცხო ადგილებიდან რამე ნივთების ანუ ჩითეულობის შემოტანა სულ არ სჭირდებოდათ. ეს ხელობა და მასთან ერთად ადგილობრივი ტანსაცმლის მასალის ჭრა-კერვა აქ 1830 წლამდე დარჩენილა,** შემდეგ-კი შემცირებულა და დავიწყებას მისცემია. ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ოსმალოდან დაუწყიათ ხოლმე ქარხნების ნაწარმოების შემოტანა და გავრცელება. **ძველათ რომ შავშელები განთქმული იყვნენ ხელსაქმის ცოდნით, ამას ცხადათ ამტკიცებს ჩვენი ისტორია, რადგანაც შავშეთში შეკერილ და მოქარგულ საეკლესიო ნივთებმა ჩვენ დრომდისაც მოაღწიეს.**

შავშელებს ძველათ სხვა-და-სხვა ხელოსნობა სცოდნიათ, მაგალითად, ხუროობა, კალატოზობა და ნამეტურ ქვის მჭრელობა, მიწის მზომელობა და გამოქანდაკება. სცოდნით აგრეთვე ხმალ-ხანჯლების და თოფ-დამბაჩების კეთებაც. ეს უკანასკნელი უფრო ზედმიწევნით სცოდნიათ მაჭახელში. იარაღის სიყვარული ამათში უკანასკნელ საუკუნეში მეტათ დამდაბლებულა. აწინდელ შავშეთში ბევრი რამ ხელობათაგანი აღარაფერია დარჩენილი. აქ იციან ჩინებულათ ხის და ქვის სახლების კეთება და ესეც, როგორც შევიტყვე, უკანასკნელ საუკუნის ბოლოს მეტად დაცემული ყოფილა, მაგრამ ბოლოს ლაზების მეოხებით შემოსულა და ხელახლა სწრაფად გავრცელებულა.

როგორც ჩანს, შავშელებს საკმარისი სიყვარული უნდა ჰქონდეთ სუფთა ცხოვრებისა. შავშეთის სოფლის ნახვით კაცი ახლტაცებაში მოვა. ყოველი სოფელი სავსეა შვენიერის ხის და ქვის სახლებით. უმეტეს ნაწილათ აქ სახლებს აკეთებენ ორ-სართულიანს; ძირის სართული საქონლისათვის ბოსლათ აქვთ გაკეთებული და ზედა სართულში-კი თვითონ დგანან. სახლის იატაკები მშვენიერად არის გაკეთებული;

ყველა სახლს წინ გრძელი პარმაღი (აივანი) ამშვენებს. სახლი უმეტეს ნაწილად სამი ოთხი ოთახისაგან შედგება. ერთი ოთახი სასტუმროა, ერთი ქალებისთვის, ერთი მამაკაცებისთვის და პატარა ოთახიც, სამლოცველოთ. მაჰმადის სარწმუნოება ამას აუცილებლად ითხოვს, რადგანაც ქალები და კაცები საერთო ცხოვრებას მოკლებული არიან. ასეთი ჩვეულება მთელს ქართველ მაჰმადიანებს აქვთ მიღებული. უნდა შევნიშნოთ, რომ სახლების მხრით ქართველ-მაჰმადიანები ბევრად მაღლა დგანან თვით ნამდვილ ოსმალებზედაც-კი. ოსმალეთში კაცი ისეთ შვენიერს ხის ოდებს და ქვითკირის სახლებს ვერსად ნახავს, როგორც დასავლეთ საქართველოში ქართველ-მაჰმადიანებს აქვთ.

შავშელი გლეხების სახლის ახლოს დგას საბძელი. საბძელს ესენი აკეთებენ მთელ-მთელი რგვალი ნაძვის ხეებისაგან. აქაური საბძელი ჩვენს გლეხკაცობას სადგომ ბინათაცკი დაენატრება. მე, როცა შავშეთი ვნახე და მითხრეს, რომ სახლების ახლოს ისინი საბძელებიაო, ჭეშმარიტად გავკვირდი. საბძლის ახლოს შავშელის კარ-მიდამოს აშვენებს კალო. კალო აქ ისეთივე იციან, როგორც ჩვენში განიავება, გალეწვა, შენახვა და სხვა თითქმის იგივეა, განსხვავება არ არის რა, მხოლოდ არის ისეთი ადგილები, სადაც ხშირად ნიავი (ქარი) არ იცის ხოლმე და ამიტომ განიავება ცოტა უჭირდებათ.

აქეთ ყანების მორწყვა იციან. ხშირად ისეთი სიცხეები იცის, რომ არ მორწყან, მოსავალი თითქმის არ მოუვათ.

შავშელები, როგორც შენიშნულია, ძველად არ ყოფილან და არც ახლა არიან ვაჭრობას შეჩვეული, ესენი დღესაც მიდევენ წვრილმან რამეების ვაჭრობას. ამით არამც თუ მარტო შავშელები არიან შეშინებული, არამედ ეს ეტყობა მთელს მაჰმადიან-ქართველებსაც. ესენი ვაჭრობას სხვა თვალით უყურებენ. სწორეთ ამის მიზეზი უნდა იყოს, ჩემი ფიქრით,

ის, რომ წარსულ საუკუნეში შავშეთში გაჩნდენ სომხები და კათოლიკები, რომლებმაც ვაჭრობა იწყეს და ხელში ჩაიგდეს მთელი შავშეთის ერის აღებ-მიცემობის საქმე!.. მცირე ოდნათ შავშელებმა ამათი მეოხებით გაახილეს თვალები და ცოტ-ცოტათი თვითონაც იწყეს ვაჭრობა.

რადგანაც აქ სიტყვა სომხებზე ჩამოვარდა, ამიტომ იმათაც მოვიხსენებთ და გავაცნობთ მკითხველებს. შავშეთში ხუთი სოფელია სომხებით დასახლებული. სამში კათოლიკები ცხოვრობენ და ორში გრიგორიანები. მე მამათ შესახებ იმას ვიტყვი, რაც ჩემი თვალით ვნახე და რაც მათ მიამბეს. სომხები და კათოლიკე ძველათვე აქაურები არიან ქართველ გვარისანი, ამათში ზოგი ვაჭარია, მაგრამ ამათი ვაჭრობა ძალიან მცირეყოფილია, ესენი ყოველთვის შიშ-ქვეშ ყოფილან მომწყვდეული ხშირად ცარცვავდენ ხოლმე აქა-იქ, ნამეტურ მგზავრობის დროს; ისინი ისე შავშელებისაგან არ იცარცვებოდენ, როგორც სხვა თემის მუსლიმანთაგან. ამათ მდგომარეობა იქამდის სამწუხარო ყოფლა, რომ ესენი მაჰმადიანებისაგან ყოველ წუთს ელოდნენ აღგვას!.. ამათი ვაჭრობაც ისე წარმოებდა ყოველთვის, როგორც ერს სურდა.

აქაური სომხები და ფრანგები მეტად წყნარი და მშვიდობიანი ხასიათის მქონე არიან. მოგზაურ ქრისტიანების დიდი პატივის მცემელი; ესენი როცა-კი შავშეთში ვინმე ქრისტიან მოგზაურს ნახვენ, დიდათ ესიამოვნებათ, უხარიანთ. არ იციან როგორ ასიამოვნონ მას... ამ მხრით სანაქებოა მათი წყნარი, მშვიდობიანი საქციელი, პურ-მარილის სიყვარული და სხვა. ამათ მიამბეს შემდეგი:

ოსმალოს დროს ჩვენი საქმე ისე იყო წამხდარი, რომ როცა-კი მაჰმადიანები ისურვებდნენ, ჩვენ ჩვენი საკუთარი სახლიდან გამოგვრეკდენ, შიგ თვითონ მოთავსდებოდნენ და ცეკვა თამაშს დაიწყებდენო. უარის თქმას ვინ გაბედავდა, ყველას აგვიკლებდენო. გარდა ამისა, ვისმეს ქორწილს რომ

გადვიხდიდით და პატარძალს საქორწილო ტანთ-საცმელს ჩავაცმევდით, ეს ტანთსაცმელი რომ ჩვენს მოხელეებს ენახათ ისინი მეორე-მესამე დღეს კაცებს გამოგვიგზავნიდნენ და შემოგვითლიდნენ, რომ თქვენი პატაძლის ტანთ-საცმელი გამოგვიგზავნე ეხლავ, თვარა მოვალთ და აგიკლებთო... უნდა ავმდგარიყავით ჩვენცა, პატარძლისთვის ახალი ტანთსაცმელი უნდა გაგვეხადა, შეგვეხვია ბოხჩაი და გაგვეგზავნა დანიშნულისამებრ, ვინც ითხოვდა, და თუ არ აუსრულებდით სურვილს და სიტყვას, მაშინ შენი მტერი რაც ჩვენ დღე დაგვადგებოდა... ერთი რამ დღესასწაული დღე, ლხინი ან რამე ისე არ შგვეძლო გადაგვეხადა, რომ მათგან რამე დევნა და მუქარა არ მიგვეღოვო...

შავშეთსა და იმერ-ხევში სულ სომეხთა რიცხვით 450 კომლი იქნება. აქვთ ოთხი ეკლესია, სამი კათოლიკების და ერთი გრიგორიანების. აქვთ პატარ-პატარა სასწავლებელი და ასწავლიან წერა-კითხვას. ვაჭრობას გარდა, ესენი მეურნეობასაც მისდევენ და ზოგნი მათში გამდიდრებულან კიდეც. აწინდელ შავშეთის მაჰმადიანებთან მათ კარგი განწყობილება აქვთ. ესენი ცხოვრობენ **დაბა სათლეს, ოქრო-ბაგეთს, პხიკიურს მამ-ნელისს.** ოთხივე ამ სოფლის მცხოვრებთ კათოლიკებმა და გრიგორიანებმა **ქართული ლაპარაკი იციან** შეძლების და გვარად. ოსმალოს უფრო კარგათ ეწყობიან. აქ მცხოვრებ კათოლიკების შესახებ დიდი ხანია, რაც ჩვენს კათოლიკებში შემდეგი აზრი ტრიალებს და აქ არ შეიძლება, არ მოვიყვანოთ.

ამბობენ, ქართველთა დევნულობის დროს, ზოგიერთ ქართველებს, რომლებსაც სურდათ მაჰმადიანობისაგან თავი გადაერჩინათ, თავის-თავი კათოლიკეთ აღიარესო და კათოლიკე სარწმუნოებას შეუერთდნენო. შემდეგ ამ ქართველ კათოლიკებისათვის საეკლესიო ენათ სომხური ენა იქნა შემოღებულიო. რაკი საქმე ასე მოხერხდა და ქართველ კათო-

ლიკების საეკლესიო ენათ სომხური ენა გარდაიქცა, მას შემდეგ ქართველებმა იწყეს სომხურად ლაპარაკის მიჩვევა და ამ დროის განმავლობის მეოხები მათ სამშობლო ენათ სომხური ენა გარდაიქცაო. აი, ასეთ კათოლიკების რიცხვს ეკუთვნიან არდანუჯის, შავშეთის, ართვინის და ბევრი კიდევ სხვა ადგილების კათოლიკებიო, რომლებიც დღეს თავის ვინაობას სომხობით ხატავენო. ამ აზრის დასამტკიცებლად კმარა ისიც, რომ ჯერაც კიდევ მათში ქართული ენის სიტყვები არ აღმოფხვრილა და ლაპარაკის დროს ესენი ძალიან ბევრ ქართულ სიტყვებს ხმარობენ, ისეთ სიტყვებს, რომლებსაც არავთარი მსგავსება და ნათესავობა არ აქვთ სომხურთან. გრიგორიანებიც ასევე არიან, ქართველობიდამ გასულნი.

შავშელები არა მარტო ვაჭრობაში და სხვა-და-სხვა ხელსაქმეებში არიან უკან ჩამორჩენილი, განათლებითაც ერთობ დაბლა დგანან. დღევანდელი ამათი განვითარების ზონა XII საუკუნის განვითარებასთან შედარებით ერთობ დაბლა დგას?,. მთელ შავშეთში არ მოიპოვება ერთი კაცი, რაიმე შესაფერი ცოდნა ჰქონდეს, იცოდეს ევროპული ენები, მეცნიერება და სხვა. ევროპული ენების-კი არა და, რუსული ენის მცოე არავინ არის; ერთ კაცს ვერ ნახავთ, რომ მასთან შეიძლებოდეს განვითარებულ კილოთი ლაპარაკი. ამათი მდგომარეობა დღეს ისეთი პირობებით არის გარემოცული, რომ, მე მგონია, ჯერ დიდი ხანი გაივლის ისე, რომ ამათში ან განათლება შევიდეს და ან განათლების მნიშვნელობის მცოდნე პირები გაჩნდნენ. ამას თავისი მიზეზი აქვს და, რასაკვირველია, ეს მიზეზი მაჰმადიანობა და მისი ფანატიზმია. სამწუხაროდ, შავშელები და მთელი მაჰმადიენებიც სწავლა-განათლებას ისე უმზერენ, როგორც იარაღს, ცხოვრების და სიმდიდრის მოპოვებისთვის და არა ისე, როგორც ძალას და სახსარს კაცის გონების გასანათლავათ, გასასპეტაკებლათ

და გასამშვენებლათ. ასეთ იარაღათ ამათ უფრო ჩვენებურის სწავლა მიაჩნიათ, თვარა თათრულს სხვაფერ უმზერენ. თათრული სკოლები, მათი აზრით, ღვთისა და მაჰმადის სახლია.

ჩვენ აქ ლაპარაკი ჩამოვაგდეთ სკოლების უქონლობის გამო. დიახ, შავშეთში სკოლები არ არსებობს. თუმცა ხოჯებსა და მოლებს-კი ყოველ ჯამეს გვერდით აქვთ გამართული პატარა მედრესეები, მაგრამ იქ არა საპედაგოგიკო წესები არა არსებობს რა და მათი არსებობა უფრო საზარალოა, ვინმეს სასარგებლო. ხოჯა მთელის წლობით მარტო ან-ბანს და ლოცვებს ასწავლის ბავშვებს. ამ სკოლებში ოთხი-ხუთი წელიწადი სწავლობს ბავშვი, მერე სკოლიდან გამოდის დამ ას იმდენი ცოდნაც არა აქვს, რომ თავისი სახელი და გვარი მოაწეროს, ან ვისიმე წერილი წაიკითხოს, სწავლის დროს ცემატყეპასაც დიდი ადგილი უჭირავს. საკლასო ოთახები ერთი ბეწოა. ბავშვები შიგ უბრალოდ ჰყრიან იატაკზე, ძირს, წიგნები მუხლზე უწყვიათ და ისე სწავლობენ. ამათში სკოლის საქმე რომ აღიძრას და მოხერხდეს, ძლიერ კარგი იქნება, ნამეტურ იქ, სადაც სომხები და კათოლიკები ცხოვრობენ. ესენი ნატრულობენ სკოლებს, ამათ თათრებიც მიჰბაძავენ. შავშეთში ისეთი სოფლებიც არის, სადაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენებური სკოლის დაარსება.

სასულიეროს წოდებას ამათში დიდი ადგილი უკავია. ყოველ სოფელში ჯამე (და ზოგ ალაგას შვენიერი ჯამეშიც) აქვთ გაკეთებული. აქაური მოლა-ხოჯები უფრო მდიდრად ცხოვრობენ, ვინემ აჭარაში; აქაურებს ჯამაგირსაც მეტს აძლევენ, მიზეზი-კი არ ვიცი, თუ რისთვის არის ასე. მოლა-ხოჯები აქაც სტამბოლიდან, ტრაპიზონიდან და სხვა ასეთ ადგილებიდან მოდიან. სწავლას იქ იღებენ, თუმცა ამათ არაფერი სწავლა ეტყობათ. იციან მხოლოდ ლოცვები და „ყურანის“ კითხვა და სხვა. სასულიერო საქმეების გარეშე ამათ ხალხზე

არაფერი გავლენა აქვთ. თუმცა შავშთს თავისი მეჯლიშიც აქვს, ყადები ჰყავთ და ხშირად ბევრს სახალხო საქმეებს ესენი არჩევენ, მაგრამ ვაი იმისთანა გარჩევას! ამათში სამართალი ყადების მეოხებით ფულებზე იყიდება. ამაზე ანდაზებიც კი აქვთ შედგენილი. ყოველი ყადი მზათ არის, სამართლის გარჩევის დროს იმ პირს მიეხმაროს, რომელიც მეტ ფულს აძლევს. ხშირად მოხდება ისე, რომ ორივე მხარეს ართმევენ ქთამს, ხოლო რომლისაც უფრო მეტია, მას ემხრობიან. შავშეთის მეჯლიშში ყადთა შორის ერთი სომეხიც ურევია, რომელიც მონაწილეობას იღებს საქმეების გარჩევის დროს, მხოლოდ მაშინ, თუ თათარს და სომეხს მოუხდათ რამე საჩივრები. მეჯლისს შეუძლია მხოლოდ სამოქალაქო საჩივრების გარჩევა და დამნაშავის ხუთი წლით გაგზავნა, ციხეში დაპატიმრება და სხვა.

საუბედუროთ, შვენიერ და მეტათ მოხდენილ შვშეთში ჩვენი ძველი ცხოვრების ნიშნათ ბევრი არაფერი ნაშთები დარჩენილა. აქაც ჟამთა ვითარებამ და ბნელმა გარემოებამ ჩანთქა ყოველისფერი ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოში ზოგი ერთ მხარეებში... შავშეთი ისტორიული მხარეებით ძველათ მდიდარი იყო. ეს ჩვენს ისტორიაშიც ხომ ცხადი არის, მაგრამ ახლა-კი ტბეთის ტაძრის, დარღვეული ოპიზის და ორი-სამი კიდევ პატარა ეკლესიების და ციხეებს გარდა სხვა არაფერია დაშთენილი, ყველაფერი აღგვილია!

ტბეთის ტაძარი სდგას სოფ. ციხის-ძირს, ანუ როგორც ჩვენები ამბობენ, ტბეთში მონასტრის გამო სოფელს „ტბეთს“ უწოდებენო. იქაურები-კი — „ციხის-ძირს“. ეს სახელწოდება „ტბეთი“ **ვახუშტის** თქმით დრქმევია მრავალ ტბათა გამო, რადგანაც არსიანის მთების ძირს, შავშეთის მხრით, ბევრ ალაგას პატარ-პატარა გორაკებია და გორაკების შორის აქა-იქ კაცი ხშირათ ნახავს პატარ-პატარა ტბებს. დღესაც ასევეა. **მე პირველ ნახვისთანავე გავკვირდი ასე**

ხშირი წყლების გამო. გუბეები მეგონა, მაგრამ ამიხსნეს, რომ ტბებიაო. აქ ეს პატარა ტბები მალე დაშრება და აქა იქ გადიშვება, მაგრამ მათ გზა არ აქვთ, გორაკები კედლებივით არის გარშემოკრული და წყალს არ უშვებს, რომ საითმე გადვიდეს. ხალხმა რომ მოინდომოს, ძალიან მალე დააშრობენ ამ პატარ-პატარა გუბე-ტბებს.

ტბეთის ტაძრის აშენება ეკუთვნის მეათე საუკუნის დასაწყისს. ის აუშენებია **აშოთ კუხ, — კურაპალატ-ბაგრატოვანს.** ეს ეკლესია იმავ დროს დანიშნულ იქნა საკათედრო ტაძრათ და განაწესა ეპიზკოპოზი, რომელიც **ტბევართ** იქმნა წოდებული. **ბაგრატ მეოთხის** დროს ეს ტაძარი დიდათ გაბრწყინდა, აქ ვინცკი იყვენ ეპისკოპოზები, ყველანი მწიგნობარი კაცები და თავის დროის შესაფერათ განათლებულნი იყვნენ. ნამეტურ **იოანე ტბევარი** და **საბა** და ამათთან კიდევ სხვანი ჩვენს ისტორიაში მეტად მრავალ ღირსებით სჩანან. იმავე დროს ტბეთის ტაძრის გვერდით აშენებულ იქმნა ვრცელი სასწავლებელი, რომლის რექტორათ ტბევარები ითვლებოდენ. ამ სასწავლებელში სწავლობდა **შოთა რუსთაველი, იონა შავთელი** და სხვები. ამ სასწავლებლის მასწავლებელთაგან შემუშავდა ქართული გალობა, აქ შეიკრიბა მთელი დასი ქართველ მასწავლებლებისა, რომლებმაც შეადგინეს ქართული ალობის ნოტები. ამ ძვირფას ხელთნაწერებმა ჩვენს დრომდისაც მოაღწიეს. უნდა ითქვას, რომ ტბეთის ეკლესია საქართველოში ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც მცეთა, გელათი, ზარზმა, ბოლნისი და სხვანი. ტბეთის მონასტერი უფრო მეტი მნიშვნელოვანიც იყო სწავლა-განათლების მხრით, რადგანაც საბერძნეთში ნასწავლთ ქართველნი პირველათ შავშეთში მოდიოდენ და ტბეთის ტაძარში ისადგურებდნენ.

ტბეთის ეპისკოპოზები **მამფლებლათაც** იწოდებოდენ, ე. ი. **მამფალი**. ეს სიტყვა წარმომდგარა მისგან, რადგანაც

ბეტს ბევრი ყმა და მამულებიც ჰქონდა და საეკკლესიო ყმანი მღვდელ-მთავარს მამფლადაც უხმობდენ. ტბევარს მეფეების და მირონის კურთხევაში მეშვიდე ადგილი ეკავა ტბეთის ეკკლესიის სასწავლებელში ბევრი გონიერი ქართველი გამოზრდილა. ამ მწიგნობრებისაგან ბევრი წიგნებიც დაწერილა. ძველი ქართული მწიგნობრობა თითქმის ამ ტაძრის სასწავლებლიდან გაბრწყინდა და მოეფინა: აქ უცხოვრიათ თითქმის ყველა გამოჩენილ ქართველ მწიგნობრებს და მთარგმნელებს; აქ სცხოვრობდა დროებით თვით **გიორგი მთაქმინდელი, ექვთიმე, იოანე** და სხვებიც მრავალნი მამანი ქართველთ ეკკლესიისა და მწერლობისა. ასეთი დიდი იო მნიშვნელობა ტბეთის ტაძრისა ძველად, თვით-კი პატარა ტაძარია.

ტბეთის ტაძარი გაკეთებულია წითელი თლილი ქვით, ოთხ-კუთხედი ჯვარედინის მსგავსად. თფილისში ამას მცირეთ ქაშუეთის ეკკლესიის მოყვანილობა წააგავს, საკმარისად სქელი კედლები აქვს, ეკკლესიის სიგანე იქმნება 35 ნაბიჯი და სიგძე ამდენივე, ეკკლესიის შუა ალაგას ატანილია ოთხი დიდი თლილი ქვის სვეტი. ეს სვეტები აერთებს ამ ეკკლესიის კედლებს ერთმანეთთან. თვით ამ სვეტების თავზედ დგას ეკკლესიის გუმბათიცა. ასე რომ ეკკლესიის კედლები თუნდაც მთლათ დაიქცეს და ეს სვეტები დარჩეს ისე, როგორც სდგანან, მასზე მკვიდრათ დაშთება გუმბათი და არ დაიქცევა, ეკკლესიას აღმოსავლეთისკენ საკურთხევლის ადგილი ეტყობა. საკურთხეველის ვერდით პატარა ოთახია; ეს უთუოდ ეპისკოპოზის შესამოსლის და საეკკლესიო ნივთების საწყობი იქნებოდა. ეკკლესიაი მარჯვენა სვეტთან ახლოს არის ამ ტაძრის მღვდელ-მთავრის საჯდომი ადგილი; ეკკლესიის სამხრეთ გვერდით მაღლა არის აივანი, რომელსაც წინ თლილი ქვის მოაჯირები აქვს. ეკკლესიის შესავალში, კარების ზემოთ არის აგრეთვე პატარა თლილი ქვის აივა-

ნი, რომელსაც წინ ფრადი წამლებით ნახატები აქვს. სჩანს, ეს მგალობელთათვის უნდა ყოფილიყოს. ეკკლესიის ჩრდილო მხარეს , ორი საჟენის სიმაღლეზე, კედელი დაქცეულა. ქვები იქვე ჰყრია; ასევე ჩამოქცეულა სამხრეთ კედლის ერთი ალაგი; დანარჩენი მთლათ არის; საკურთხევლის კდლები გახეთქილა, მაგრამ მცირეთ მოშორებიან კედლები ერთმანეთს მათი დამაგრება დიდ ხარჯს არ მოითხოვს. ეკკლესიის ყოველ კედელზე თქვენ შენიშნავთ შვენიერს სურათებს საკურთხეველში დახატულია მთელი ტანით მაცხოვარი და მისი მოციქულები, აქვე, ამათ ახლოს დახატული არიან ვიღაც ქართველი ისტორიული პირები — ქალები და კაცები; ნახატების ტანთსაცმელი აჩენს, რომ ისინი ქართველები უნდა იყვნენ. ბევრ ალაგას ნაწერებიც ჩანს. მთელი ეკკლესია საფლავებით ყოფილა სავსე. ეკლესიის სამხრეთმხარეს, სვეტთან ძევს ერთი დიდი შავი ქვა, რომელსაც სიმაღლე ექნება ორი არშინი და სიგრძე საჟენის ტოლა; მეტათ შვი ქვა არის, მარმარილოს ჰგავს. აქ არ იციან, თუ რა ქვა არის ეს და საიდანაა მოტანილი. ეს ქვა ძევს ერთ საფლავზე, ამ ქვის მახლობლივ ეკკლესიის კედლის ერთ ქვაზე გამოჭრილია ჩუქურთმით მაშენებელი ამ ეკკლესიისა **აშოტ ბაგრატოვანი.** საგმირო ტანთსაცმელით და ხმლით. აქაური მაჰმადიანები ამბობენ, რომ ამ ქვის ქვეშ **თამარ მეფე** ასაფლავიაო, ორმოცმა კაცმა სწია ეს ქვა და ვერ მოაცილეს საფლავსაო.

ეკლესიას გარედან ბევრი ჩუქურთმები ეტყობა, სანათურების გერდით, ნამეტურ გუმბათში. გუმბათის მზერა კაცს განცვიფრებაში მოიყვანს, ის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. გუმბათში ერთ ალაგას დატანებულია ერთი თლილი ქვა. რომელზედაც ამოჭრილია შემდეგი ხუცური ასოები, რომელიც მომყავს მე აქ სწორეთ იმ სახით, როგორც ქვაზეა ამოჭრილი, მხოლოდ ხუცური ასოების უქონლობის მაგიერ ჩვენ აქ ვხმარობთ მხედრულ ასოებს:

ჲ, უ, ჲ, ნ, ს.

ეკკლესიის გარედან ბერ ალაგას აქვს წარწერები, ბევრ ალაგას ქვები მომტვრეულია და ზოგიერთი წარწერიანი ქვები ძირს ჰყრია. როგორც მითხრეს, ამ ეკკლესიის გვერდით ძრიელ ბევრი წარწერიანი ქვები ეყარაო. ყველა ის ქვები ყუთებში ჩააწყეს და მოსკოვს წაიღესო; ასევე დაუთხრიათ ეკკლესიის საფლავები, შიგ ბევრი ოქრო-ვერცხლის ნივთები აღმოჩენილა და ისიც თან წაუღიათ! გუმბათის ზემოთ, ჯვარს ამ სამი წლის წინეთ მეხი დასცემია და გუმბათისთვის ვერაფერი დაუკლია, მხოლოდ, სადაც დასცემია, იქ ერთი არშინის ტოლაზე ქვა ჩაუტეხია და ჩაუქცევია. ისე მაგრა შედუღებულა გუმბათის ქვა და კირი და ისე შეზავებულან ერთმანეთში, რომ ძნელათ იგი ქარმა, სეტყვამ და მეხმა დაანგრიოს. უბრალონაშთს კაცის ხელი და მტრობა არ ეყო და ბუნებამაც მასზე მოიცალა. მეხის დაცემამ აქაურს მაჰმადიანებზე ერთობ ცუდი გავლენა იქონია: ტბეთის ეკკლესია მათ ჯამეთ ჰქონდათ, მეხისა ძლიერ შეეშინდათ, მაშინათვე ჯამე მოშალეს და ხვაგან გადაიტანეს. ჯამეს გასაკეთებელ მასალათ მათ დაუქცევიათ ტბეთის ეკკლესიის სამრეკლო და მისი ქვები მოუხმარებიათ ჯამესთვის. ეკკლესიას გარშემო გალავანიც ჰონია, სადაც ერთი დიდი ყვითელი ქვა გდია: რგვალი, თლილი ქვა, სიგძე ექმნება ერთი საჟენი. ამბობენ, რომ ეს შვენიერი ქვა ადრე აქ ერთს საფლავზე მდგარა. არ ვიცით, თუ ეს საფლავს რისთვის მოაქციეს.

შავშელები ტბეთის ტაძრის შესახებ ბევრ ზეპირ ამბებს მოგვითხრობენ. ესენი ამბობენ, რომ ტბეთი **თამარ დედოფლის** გაკეთებულიაო. მაინც აქაც ისევე იციან **თამარ მეფის** სახელი, როგორც აჭარაში. აქაც ძველ ნაშთების კეთებას თამარ დედოფალს აწერენ; აქეთ არ მოიძებნება ერთი ქართველი მაჰმადიანი, რომ იმან თამარ მეფის სახელი არ იცოდეს.

ტბეთის ეკკლესიის სიმაღლე რვა საჟენიდან ათამდის ექნება, ერთ ქვაზე მინაწერია შემდეგი:

შ, ე, ყს, ჲ, შს, ი' ჲ,

ტბეთის ნაშთს გარდა, შავშეთშივე ძევს ოპიზის ტაძარი, სწორედ იმ მდგომარეობაში მყოფი, როგორც **დ. ბაქრაძეს** აქვს აღწერილი. ეს ტაძარი ტბეთიდან 30 ვერსის სიშორეზეა, ჭოროხის ნაპირას, წეფთის-ციხის მახლობლათ. ოპიზის ტაძარი ჩვენს ისტორიაში ნათლისმცემლის უდაბნოთ იწოდება და აქ ყოფილან მამანი **ოპიზარნი,** რომელთა ხსენება ვრცლათ არის ჩვენს ისტორიაში აღწერილი. ოპიზის აღშენება მიწერება მეცხრე საუკუნის დასასრულს, **გურგენ ბაგრატოვანს.** ეს ტაძარი მეტათ ძვირფასი განძეულობით იყო შემკობილი, თუ გარეგან და თუ შინაგან. ამ ნაშთებს გარდა, აქა-იქ თითო ოროლა ნაშთებიც არის, მაგრამ იგინი ისე დაკნინეული არიან, რომ მათი აღნუსხვა აქ არ ღირს.

ისტორიულ ნაშთებთან შავშეთში ერთათ ქართული ენაც მოსპობილაროგორც გადმოგვცეს აქაურმა მოხუცებულებმა, აქ ქართული ენა 60 წლის განმავლობაში მოსპობილა. აქაურების თქმით, შავშეთი ყველაზე ადრე გათათრებულა, ბევრათ უწინარეს აჭარელებზე, ამიტომ ამათში თათრული ენაც ერთობ ადრე შემოსულა ხმარებაში; მეთვრამეტე საუკუნეში შავშეთში თათრული ენა უკვე მოფენილი ყოფილა. ყველა ოჯახში სცოდნიათ თათრული ენა უკვე მოფენილი ყოფილა. ყველა ოჯახში სცოდნიათ თათრული ლაპარაკი და სწორეთ ამ ენის შესწავლა გამხდარა მის საფუძვლათ, რომ ამ 60 წლის წინეთ შავშეთში ქართული ენა სრულიად ამოვარდნას მისცემია. აქ მითხრეს მოხუცებულმა კაცებმა, რომ ჩვენ პატარაობის დროს აქ ქართულათ ვლაპარაკობდითო, ჩვენი ძველებიც ასევეო, მაგრა შემდეგ გადაგვავიწყდაო. დიდიხანი არ არის, რაც ქართული გადავარდაო, ყოველი შავშეი თავის თავს გურჯათ აღიარებს. ყველა ამბობს, რომ

ჩვენ ქართველები ვართ, რომ ქართველები არ ვყოფილიყავით, მაშინ აქ ტბეთის ეკკლესიას რათ გააკეთებდენო.

შავშეთშიქართული ენის ნიშნები აქა-იქ დარჩენილა, მაგალითებრ მთებს, ხეობებს და ნამეტურ სოფლებს შერჩენიათ ქართული სახელები, აქეთ ყოველ სოფელს ქართული სახელი ეწოდება და ქართული სახელის არა მქონე სოფლები იშვიათია. აი ამ სოფლების სახელები: სათლელი, საბუდარა, მურღენი, მამა-ნელისი, გურანთელი, მოროხოსი, ზენდობა, ცეცხლაური, ცორცვალი, მოქვთა, მუხნობანი, ვერხვნალი, ხანთუშეთი, ქვათეთრასი, ოქრო-ბაგეთი, სულობანი, ციხე, მერია, დაბა წვრილი, სულესი, შავქეთი, ბალავანი, რაბათი, კუჭენი, საფარა, სამჯელ, ქვათეთრისი. აქ არის პატარა ნაეკლესიარი, ჩიხტა, ციხისძირი, ტბეთი, ხოხლეური, გარყილუფი, ჯვარები და ახალდაბა და სხვა. ზოგიერთები ამ უკანასკნელ სამ სოფელში ქართულ ენაზე ლაპარაკობენ და ამიტომ აქ პატარა უნდა შევჩერდეთ და შევეხოთ ენის დაკარგვის საქმეს შავშეთში.

შავშეთში ქართული ენის დაკარგვის საქმე და მისი მიზეზების გამოკვლევა რთული გამოსაცნობია. მით უფრო საძნელოა, რომ მთლს შავშეთში ქართული ენა დაკარგულა და, გარდა სიტყვა „ბიჭო"-სი, არა დარჩენილა რა. დაძახების დროს ამ სიტყვით მიმართავენ ერთმანეთს. **ქართული ენა შავშეთში შენახულა მხოლოთ ერთ სოფელში, სახელდობრ: სოფელ ახალ-დაბას. ახალ-დაბა შუაგულ შავშეთში ძევს;** გარშემო სულ სოფლები აკრავს, სადაც თათრულ ენაზე მოსაუბრე ქართველ მაჰმადიანები ცხოვრობენ. როგორ მოხდა ეს, რომ მთელმა შავშეთის სოფლის ქართველობამ დაკარგა ქართული ენა და შიგ შუა გულ მდებარე სოფ. ახალდაბის ქართველებმა-კი შეინახეს თავიანთი დედა-ენა?! აქ რაღაც ცნობები უნდა არსებობდეს, რომლებიც ჟამთა მიმ-

დინარეობას ჩაუყლაპავს და გაუქრია ისევე, ოგორც ქართული ენა შავშეთში!..

სოფ. ახალ-დაბის მცხოვრებთ რიცხვი 100 კომლზე მეტია; აქ ყველამ ქართული ენა იცის და ქართულათ საუბრობენ. აქ ვიკიხე ამის მიზეზი და სხვა-და-სხვა ნაირი ცნობები მითხრეს; საზოგადოთ-კი შემდეგი დასკვნა გამოვიდა: ახალდაბელნი ერთობ გვიან გადუდგენ სჯულსო. მათ ჯერეთ სჯულის გამო ჰქონიათ ჩხუბი და დავიდარაბა ომები და მერე რის წვალებით გათათრდენ, მაგრამ არც გათათრების შემდეგ ჩადიოდენო, ორმც-და-ათ წელიწადზე მეტი ისინი თათრებიც იყვენ და ქრისტიანობდენ კიდეცაო. ამაზედ ბევრი დავიდარაბა გამოიარეს, მაგრამ არ გატყდენ, არ იქნაო! თავის სჯულზე და ლაპარაკზე მაგრათ იდგენო. ოსმალელებს მობეზრდათ მათთან ჩხუბი, დავიდარაბა და, რაკი გაათათრეს, ენის შესახებ თურმე ხმას აღარა სცემდენ. ახალდაბელებთან ვერც მოლა ხოჯები აწყობდენ თურმ რასმე; რამდენსაც ისინი მათ დარიგებას აძლევდენ, იმდენათ ახალდაბელები უფრო მაგრდებოდენ. საქმე იქამდის მიაღწია, რომ ახალ-დაბელებმა შავშეთის სხვა-დასხვა სოფლის ხალხთან ნათესავობა მოსპეს, არავის ეკარებოდენ ახლოს, ქალს არავის აძლევდენ ცოლათ, არც თვითონ თხოულობდენო; სხვა სოფლის ხალხი მათ სძულდათ და ერთმეთში არა ჰქონდათ მისვლა-მოსვლა და მეგობრობაო. პირდაპირი მიზეზები ეს არის, რომ შაშელებმა ქართული ენა დაკარგეს და ახალ-დაბელებმა-კი შეინახესო. დანარჩენ სოფლის ხალხსაც რომ ასეთი გმირობა გამოეჩინა, მაშინ ცხადი საქმეა, არც იგინი დაივიწყებდენ ქართულ ენას, მაგრამ ისინი ოსმალებს დაჰმორჩილდენო. უნდა ვთქვათ, რმ ამათი ესეთი მორჩილება სხვებისთვის საკიცხველათაც გახდა და აჭარლებს რომ შავშელები დღესაც ეჯავრებათ და მათ მხდალს ეძახიან: რა მათი საქმეა გმირობა, ფირალობა და თავის გამოჩენა, მაგენი

წისქვილში ვირებით სიმინდს უნდა ეზიდებოდენო. ეს ზიზღი და დაცინვა მათში ისე გამწვავებულა, რომ შავშეთი აჭარელ კაცს, თუ კარგა გულიანათ არ სთხოვა, სახლშიაც-კი არ აძინებენ; ეს მე თვით შემემთხვა. ჩემს სტუმრობას დანატროდენ, ეს კი ვერაფრათ მოწონდათ. ბევრ გზის მთხოვეს: ბატონო, ეგ აჭარელი კაცები მოიცილე თავიდან, აჭარაში წავიდენ და ჩვენ გიპატრონებთო.

უკანასკნელ რუს-ოსმალო ომის დროს, ზემოხსენებული ადგილები რუსეთის იმპერიას შემოუკავშირდა. მით აღსრულდა ნატვრა ჩვენთა მამა-პაპათა. როგორც სხვა ადგილები, ისე შავშეთიც ჩაბარდა რუსეთს, **ამ დროს ყველაზე დიდი ფანატიზმით გატაცებული მაჭახელი და ქობულეთი აღმოჩნდა. შავშელებს ხმა არ ამოუღიათ, მთელი მაჭახელი გადასახლდა ოსმალეთში; მურღული მთლად დაიცალა, ლივანა, ქობულეთი, აჭარიდანაც საკმარისი** რიცხვი წავიდა და შავშეთიდან-კი სულ რამდენიმე კომლი დაიძრა. ასე მთელი შავშეთიდან — ოცი კომლი; ისინიც სინანულში შევიდენ ბოლოს, სოფელი ახალ-დაბა-კი მთლად ამხედრდა, ქართულ ენაზე მოსაუბრე მაჰმადიანები მთლათ დაირაზმენ და ასტეხეს საუბარი, რომ არიქათ, თავს ვუშველოთ, თორემ ჩვენი საქმე ცუდათ იქნებაო, რუსები ჩვენ თათრად არ გაგვიშვებენ, გაგვაქრისტიანებენო. **შავშეთში ყველაზე დიდ ფანატიკოსებათ ქართულ ენაზე მოლაპარაკე მაჰმადიანები აღმოჩნდნენ**. ესენი დიდათ მეცადინეობდენ, რომ დანარჩენი მაჰმადიანებიც აეყოლებინათ, მაგრამ არავინ აჰყვა მათ. მათგან ბარე 100 კომლამდის შეგროვდა და გადასახლდა ოსმალეთში. ამათი წასვლა იყო და შავშეთის ხალხის ეჭვიანობით დარჩენა შავშეთში. ამათაც აუცრუვდათ გული და ესენიც აპირებდენ აყრას და წასვლას.

გავიდა რადენიმე ხანი და აკი, ერთ დღეს, ახალ-დაბელი ქართველ-მაჰმადიანები შავშეთს ისევ არ ეწვიენ, შავშე-

ლები სახტათ დარჩენ ამათი მოსვლით და ჰკითხეს, კაცო, რათ დაბრუნდით. ჩვენც იქით ვაპირებდით წამოსვლასაო, მათ მიუგეს: ღმერთმა ნუ ჰქმნას. ჩვენერთი წელიწადი ვიარეთ, ვეთრიეთ. მაგრამ შავშეთის მსგავსი იქ ჩვენ ვერაფერი ვიპოვეთ და ამიტომ ისევ აქეთ დავბრუნდით; ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენთაგანი იქით ვინმე წავიდეს; აქ დახოცვა უნდა ვირჩიოთ, იქ ცხოვრებას და სიხარულს, ამის ფასს ჩვენ იქ ვერაფერს ვპოვებთო!.. შავშელებმა ჩაკმინდეს ხმა, გულიდან მოიშორეს გადასახლების ოცნებები და დარჩენ თავის სოფლებში. ახალ-დაბელებიც დამკვიდრდენ ისევ ახალდაბაში დამ ას შემდეგ ცხოვრებენ ზემოხსენებულ სოფელში და ისევ ძველებურათ ქართულ ენაზე საუბრობენ. საქმე ისე იყო დაყენებული, რომ ახალ დაბელები იმ ხანებში არ მოსულიყვენ უკან, მაშინ დანარჩენი შავშელებიც აპირებდენ აყრას და ოსმალეთში გადასახლებას. მაგრამ საქმე ასე დატრიალა, უნდა ითქვას, რომ დღესაც შავშეთში უფრო მკაცრი ფანატიზმით ქართულ ენაზე მოსაუბრე ახალ-დაბელები არიან და არა თათრულათ მოსაუბრე ქართველ-მაჰმადიანები.

შავშეთის სოფელ ახალ-დაბას გარდა, ქართულ ენაზე ლაპარაკობენ სოფელ გარყილუფში; ამ სოფელზე ჩვენ არას ვიტყვით, რადგანაც ის შავშეთის განაპირა მდებარეობს, იმერხევისაკენ და იმერხევში ხომ ქართული ენა არსებობს. აქ მცხოვრებ ქართველ-მაჰმადიანთა რიცხვი 60 კომლზე მეტია, ამ სოფლის ახლოს, ერთ ალაგას დღევანდლამდის ჩანს პატარა ნასაყდრალი. ქართულად ლაპარაკობენ კიდევ შავშეთში სოფ. ჯვარებში; ეს სოფელი შავშეთის განაპირას ძევს. აქ მცხოვრებლები რიცხვით 60 კომლზე მეტია. ქართულათ ლაპარაკობენ. აგრეთვე სოფ. შავ-მთაში, **(იოანე შავთელის სოფელია)** და სოფ. წითურეთში; ეს სოფლებიც შავ-მთის განაპირას სძევს, იმერ ხევის გზაზე, იმერ ხევი და შავშეთი ისეა ერთმანეთზე დაკავშირებულ-გადაბმული, მათ შორის ისე

მცირე მანძილია, რომ ორი ეს კუთხე ადმინისტრაციულად, შეერთებულია და შეადგენს ერთ ნაწილს, რომელსაც განაგებს ნაწილის უფროსი და რომელიც ეკუთვნის ართვინის ოლქს. მთელი ეს მიდამო შეიცავს 100-მდე დიდს თუ პატარა სოფელს.

იმერხევის ქართულად მოლაპარაკე ქართველ მაჰმადიანები

შავშეთის დ აიმერხევის ხალხის ცხოვრება ერთმანეთისაგან ბევრით არაფრით განირჩევა; მათი საზოგადო ცხოვრება ერთი სახისა და ერთი ხასიათის არის. ხალხი მაჰმადიანები, აქაც ისევე მისდევენ ცხორებას, როგორც შავშეთში; მუშაობა და საქმიანობა აქაც ასევე იციან, ყაჩაღობა და ქურდობა აქაც სძულთ. ქალების გათხოვებაც აქაც ისეა, როგორც შავშეთში; ქალები აქაც მუშაობენ, ჩადრებით დადიან; პირს არავის უჩვენებენ. ოჯახში ძლიერ ბევრ საქმეს აკეთებენ, ნამეტურ ყანაში მუშაობის დროს და სხვაგან ტყეში. წისქვილში და აქა-იქ საზოგადოდ ქალები დადიან: აქ ქალებს დიდი საქმე და ჯაფა-შრომა აწევთ კისერზე.

როგორც შავშეთია ჩვენ ისტორიაში და გეოგრაფიულ მწერლობაში უცნობია, ასევეა თითქმის იმერხევიც. იმერხევის ხსენებას კაცი ჩვენს ძველ წიგნებში ვერსად შეხვდება. ამის შესახებ არც **ვახუშტის** აქვს რამე ნათქვამი. იმერხევს ისინი შავშეთის ნაწილში მოიხსენებენ და ეს სწორიც არის: მაგრამ რა-კი გარემოებას ასე დაუყენებია საქმე და ერთი კუთხე მეორისაგან გაურჩევ-გაუცალკევებია ამიტომ აქ მას კერძოთ შევეხებით.

იმერხევი ძევს შავშეთის დასავლეთის მხრით, კარჩხალის მთის გორამდის. აღმოსავლეთით არსიანი, შავშეთი და

არტაანის მთები უძევს, სამხრეთით — ართვინი და ჩრდილოეთით შვენიერი და სამოთხის მსგავსი მირატის ხევი. ეს დიდი და ვრცელი მირატის ხევიც მთლათ უცნობია ჩვენს რუქაზე. მირატის ხევი სხალტის ხეობის სამხრეთით რჩება. ეს ხეობა ბევრნაირი ღირსებით არის შემკობილი. მირატის მთების სიმაღლე 10 ათას ფუტამდე უწევს. იმერხევში ერთი გზა გადადის აჭარის სოფელ მერისის ხეობიდან, მეორე გზა მირატის ხეობიდან და მესამეც — ლიავანიდან, ჭოროხის ნაპირას, ოპიზაზე კარგა მოშორებით.

შავშეთი და იმერხევი ერთმანეთზე ისეა გადაბმული, რომ კაცი, თუ კარგა არ იცნობს ამ ადგილებს, ძნელათ გაარჩევს ერთს მეორისაგან. იმერხევი შავშეთის აღმოსავლეთის მხრიდან დაიწყება სოფ. გარყილუფის, ანუ შავ-მთის სიახლოვიდან. ამ სოფელსაც დასავლეთით წინ მიუდის ქალის საფინავის ხეობა, რომელიც საკმარისათ ვრცელია. ის მიემართება დასავლეთით მდინარე იმერამდის, სადაც მას უერთდება დიდი ხეობა, დასავლეთიდან მომავალი, რომელსაც ქვაბთა ჰქვიან, ეს ხევი მდ. იმერს ქვემოთ სამხრეთით მიემართებიან გრეხით და მდინარე ჭოროხს ერთვიან. აღმოსავლეთ-სამარეთით იმერხევს საზღვრავს წეფთის მთა. დასავლეთ-სამხრეთით ართვინი. მოგზაური იმერხევს კარგათ მაშინ შენიშნავს და წარმოიდგენს, როცა ის მირატის მთაზე ავა დამთელ დასავლეთ-საქართველოს გადახედავს. აქედან ნათლად ჩანს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მთებიც-კი. კაცი რომ ავა ამ მთაზე და იქიდან გადმოხედავს დიდი ხნის დაღუპულს საქართველოს ადგილებს, მე არა მგონია, რომ გული არ ამოუჯდეს და არ შეწუხდეს...

იმერხევი შავშეთისაგან მით განირჩევა, რომ შავშეთში უფრო ტყიანი ადგილებია, მასთან ვაკეებიც ხშირია, საყანე მინდვრებიც ა საბალახეებიც, იმერხევი-კი მოკლებულია ყოველივე ამას. ის შედგება **სულ შედუღებული ქვა-კირის**

მსგავს კლდეებისაგან; ყოველ კუთხეში ხედავთ მაღალ, ძალიან მაღალ კლდეებს, რომლებიც ერთი შეხედვით ლივანის ზოგი-ერთ კუთხეებს მოგაგონებენ. გაივლით ერთ დიდ მაღალ კლდეს და ახლა იქიდან უნდა დაეშვათ ძირს, ჩახვიდეთ რვა ათასი ფუტის სიმაღლიდან, გაიაროთ ხეობა და შემდეგ უნდა შეუდგეთ მაღალ კლდიან მთას. ამ გზებზე კაცი და ცხენი ის ევერ გაივლის, რომ ყოველ წუთში მას შიში არ მოელოდეს, ზამთარში ხომ ბევრს ალაგას გავლა სულ არ შეიძლება. ასეთი გზების და მდებარეობის მიზეზათ აიხსნა ის გარემოება, რომ იმერხეველები პირუტყვთა შორის ყველაზე უფრო ვირებს ამრავლებენ. ესენი არიან მათთვის ცხენის, ურმის და ყველაფრის სამაგიერო. ყოველ კაცს ხუთი, ექვსი და მეტი ვირი ჰყავს; ამით მიაქვთ ყველაფერი, რაც-კი არის მათთვის საჭირო. აქ ვირები შეჩვეული არიან მეტ ვიწრო გზებზე სიარულს და ძალიან ოსტატურათაც დადიან.

იმერხევის მაღალ კლდიან მთებზე ალაგ-ალაგ კაი ბალახი მოდის, მაგრამ ზაფხულში მეტი სიცხეები აფუჭებს და ცოტა არ იყოს, უწყლობაც აძნელებს საქმეს; ამიტომ იმერხეველ გლეხკაცობას ყველა ამ ციცაბო კლდეებზე წყალი გაუყვანია, ტივის ხეების მილებით, რაც რწყავს ხოლმე აქ საბალახო ადგილებს, ზოგიერთ ისეთ ადგილებზე აქვთ მილები გატარებული, რომ კაცი გაკვირდება, თუ იქ როგორ გაიარეს და როგორ გააწყეს ის სიმსხო ტივის ხის მილებიო; იქიდან კაცი რომ გადმოვარდეს, ძირს სული არ დაჰყვეა და ნაჭერ-ნაჭრებათ იქცევა!.. მეტი რა გზა აქვთ, რომ ასე არ იტანჯონ და არ იშრომონ იმერხეველი გლეხების სახლებიც ისევეა ნაშენი, როგორც შავშეთში; ყანა, საბძელი, ბოსელი და სხვანიც აქაც ისეთივეა მხოლოდ ცოტა გარჩევით; აქაურ ხალხს უფრო სიღატაკე ეტყობა; შავშელებთან შედარებით ესენი გაცილებით დაბლა დგანან ყველაფრით. ჭამა-სმა ამათშიაც ისე იციან, როგორც სხვა მხრის მაჰმადიანებმა. ლოცვას და მის

საქმეებსაც ისევე მისდევენ, როგორც შავშელნი. ჯამე ყველა სოფელში აქვთ; აქვთ მედრესეებიც; ბავშვებს ოსმალურს ასწავლიან. ქალები პირ-ბადით დაიარებიან; როგორც მითხრეს, ესენი ისეარ ფანატიკოსობენ, როგორც აჭარელი ქალები. მე შემხვდა ასეთი შემთხვევა: ტყეში მგზავრათ შევხვდით ერთ იმერხეველს ქალს, რომელმაც შორიდან ლაპარაკი დაგვიწყო: სადაურები ბრძანდებითო? ჩვენი ამბები იკითხა და მერე თავისაც გვითხრა; აჭარელ მგზავრს ეს გაუკვირდა, მაგრამ იმერხეველები მევირეები არიანო, თქვეს: არა დაეძრახებათ-რაო.

იმერხევის სოფლები მოთავსებულია ისეთ ადგილებში, ხეობებში ან მთებზე, სადაც ვაკე ადგილები და მასთან წყლიანი; სოფლებიც ისეთივე მშვენიერებია, როგორც შავშეთში. სახლების ახლოს ხილის ხეები აქვთ გაშენებული: ამრავლებენ ვაშლს, მსხალს და ნამეტურ თუთას. ამათში თუთა ისეთივე ტკბილია და დიდი მარცვალი იცის, როგორც შავშეთში; აქ თუთა მარიამობისთვეშიაც-კი მწიფდება. აქაურებს ხილი სხვა-და-სხვა ქალაქებში მიაქვთ გასასყიდათ და ადგილობრივაც იყიდება: არტაანიდან ვაჭრები და ქურთები მოდიან და ხილს ერბო-ყველზე და პურზე სცვლიან. ფუტკრის მოშენებასაც მისდევენ იმერხეველებიც; აბრეშუმის კეთებეაც სცოდნიათ; **წინეთ სამოსლის მასალას აქ ამზადებდნენ თურმე**. იმერხევში მოდის პური, ქერი, სიმინდი დ სხვა-და-სხვა გვარი ბოსტნეულობა.

მე ბევრი ვეცადე, მაგრამ მცირეთ, დაახლოვებითაც ვერ შევადგინე ცნობები, თუ მთლათ იმერხევიდან წელიწადში რამდენი ფასის რამეს გაიტანენ და გაჰყიდიან. საზოგადოთ-კი უნდა ითქვას, რომ იმერხევის ერი ბევრათ დაბლა უნდა იდგეს შავშეთის ერზე. იმერხეველები არა ნაკლებ მუშაობენ მათზე, მაგრამ, საუბედუროთ ამათი ადგილები-კი ისეთ ქვიან-ქვიშიანი აღმართ-დაღმართებია, რომ იქ ყანებს

ყოველთვის განსაცდელი მოელის და მტერი ადგას თავზე. ქარი მოვა, მიწას წაიღებს, დიდი წვიმა — მიწას ჩაიტანს და მთლათ ყანას გააფუჭებს ისე, რომ კაცი იქ ველარ ნახავს. შავშელ-იმერხეველნი მხოლოთ იმით არიან ბედნიერნი, რომ, როგორც საერთოთ მაჰმადიანებს. მათ სახლში ხარჯზე მცირე მოთხოვნილება აქვთ, ერთი მცირედ სჭამენ! აქ თვე ისე გავა, რომ სახლში ხორცი არ მოიხარშება... ერთი ცივი მჭადი მთელ ოჯახს ჰყოფნის ერთ დღეს. საჭმელების მოხარშვა ამათში სულ არ იციან!.. ეს მაჰმადიანებს აქვსთ შეჩნეული.

როგორც შავშეთში, იმერხევშიაც ისეთი დიდი თოვლი იცის, რომ იქაური კაცი ზამთარში კარში ფეხს ვერ გამოდგამს. მთელი ზამთარი შინ სხედან და მხოლოდ გაზაფხულზე იწყებენ სიარულს და მუშაობას, აქაური მხვნელი ზაფხულშივე იწყებს საზამთრო სარჩოს მოპოვების და შენახვის თადარიგს.

იმერხეველი გლეხი თითოოროლა მოხუცებულებმა რამე ძველებური ამბები მოიგონონ, ისიც ისევ და ისევ **თამარ დედოფლის** შესახებ. ძველი ნაშთების რიცხვიც ერთობ მცირეა აქ. ჟამთა ვითარებას ყველაფერი აღუგვია და მოუსპია!.. **იმერხევში შენახულა მხოლოდ ქართული ენა, აქ მთელი ხალხი ქართულათ ლაპარაკობს**, ან, როგორც თვით ამბობენ „ქართულათ იტყვიან“, იმერხევშიქართული ენის შენახვის საქმეს აქ უნდა რამდენიმე სტრიქონით შევეხოთ.

იმერხევში ქართული ენის შენახვის საქმე არის მეტათ საყურადღებო დდა მასთანავე საკვირველიც. დიდათ საკვირველია რომ შავშეთში დაიკარგა ქართული ენა და მის ახლო მდებარე იმერხევში-კი დარჩა მე ამის შესახებ ადგილობრივ გამოვიკითხე მიზეზები და სხვადასხვა ნაირი ამბები გარდმომცეს, ერთმა მოხუცმა შემდეგი მიამბო;

— შავშეთში მიტომ დაიკარგა ქართული ენა, რადგანაც ჩვენ ძველათ გავთათრებულვართ, იმერხეველნი-კი ჩვენზე

ასი წლის შემდეგ; ვითოც იმერხევი და მირატის ხევი ერთ დროს გათათრებულა, ამაზე აქვე მოვიყვანთ ცნობას!

მირატის ხევის ერთ სოფელში სცხოვრობენ **დარჩიძეები;** ამათ სოფელს და მთებსაც ეს სახელწოდება აქვს მითვისებული. ერთი **დარჩიძე** 1878 წ. გარდაიცვალა 65 წლისა. ამის მამა გარდაიცვალა 75 წლისა 1830 წლებში. ამ მოხუცის დედა ქრისტიანი ქალი ყოფილა, რომლის ქმარმა თურმე 1815 წ. წ. **სელიმ-ფაშას** ხირხატის ციხეში სიმინდი მიუტანა, რისთვისაც ორი ფული აჩუქა მას სელიმ-ფაშამაო. ასე რომ ჩვენ ზედ მიწევნით იმერხევი და მირატის გათათრება 1780 წლებს უნდა ვაკუთნოთ და შავშეთის გათათრება-კი 1680 წლებს. მეორე მოხუცის ნათქვამი:

— იმერხევში მიტომ დარჩა ქართული ენა, რადგანაც იმერხევის ადგილები ცუდი ადგიბია, გონჯი; აქ ოსმალები არ ეტანებოდენ, აქ მათ ცხოვრება უძნელდებოდათ. იმერხეველებიც ოსმალებს არას ერჩოდენ და ამიტომ იგინი დარჩენ. შავშეების საქმე-კი ასე არ იყოვო. შავშეთი ძველათვე გაივსო ოსმალებით, აქ ქურთებს და ოსმალებს ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ და ამიტომ ჩვენში ქართული დაივიწყა ხალხმა და ოსმალური შეისწავლაო. ამის შესახებ საუბარს რომ გავყვე ეს ერთობ შორს წავა, მე-კი ის მიმაჩნია ჭეშმარიტებათ, რომ იმერხეველნი ოსმალთა დასტოვეს უყურადდღებოთ, მათ დევნა არ დაუწყეს, რადგან შიში არ ჰქონდათ იმათი. იყვნენ აქ, იცხოვრონ და არა უშავს რა, როგორც უნდათ, ისე ისაუბრონ, ბოლოს მაინც გავათათრებთო — ჰფიქრობდენ თათრები. აი, ამ მიზეზების მეოხებით შენახულა იმერხევში ქართული ენა და დღემდის მოუღწევია, მაგრამ დღეს-კი სხვაფერ მიდის აქ საქმე, აქაც შეპარულა ოსმალური ენა და დღეს სოფელს წყალსიმერში ქართველ მაჰმადიანთ ბავშვები უკვე ოსმალურათ ეჩვევიან ლაპარაკს, მე თვით ვნახე **ლომინაძის** და სხვების ოჯახებში, რომ ბავშვები ოსმალურათ ლა-

პარაკობენ. სახლობაში თუმცა ქართული იციან და მე ქართულად მელაპარაკებოდენ, მაგრამ ოსმალური უფრო ეხერხებოდათ. ვნახე აგრეთვე რამდენიმე მენახირეები კარჩხალის მთაზე, რომელნიც იმერხევის სოფლებიდან იყვნენ და ერთმანეთში ოსმალურად ლაპარაკობდენ. ვინაობა გამოვიკითხე და აღმოჩნდა, რომ მათ ქართული გვარები ჰქონდათ.

იმერხევში თათრული ენა უფრო გზის პირაზე მდებარე სოფლებში შესულა და გავრცელებულა, თორემ სადაც მიყრუებული და მიუვალი სოფლებია, იქ ხალხი ქართულათ ლაპარაკობს. ერთმა ქართველმა მაჰმადიანმა, რომელიც სახლში სულ ოსმალურათ ლაპარაკობს და რომელიც ჩემი მოგზაურის იყო, იმერხევის შემოსვლის დროს მიჩვენა ზოგიერთი სოფლები და დამარწმუნა, რომ ამ სოფლებში ხალხმა ქართული ენის მეტი ენა არ იცისო. თვითონაც ქართულათ ელაპარაკებოდა ყველას. ეს მე ძალიან საკვირლათ დამირჩა. აქვე აღვნიშნავ იმ სოფლების სახელებს და მათ შესახებ ცნობებს, რომლებიც იმერხევს ეკუთვნის და სადაც ქართულათ ლაპარაკობენ.

შავშეთის დასავლეთით, ქალის საფინავის და ქვაბის თვთავის მთებისა და ხეობათა შეყოლებაზე სძევს შემდეგი სოფლები:

1) **ხოხლეური,** მთლად ქართულად ლაპარაკობენ.

2) **აგარა,** ქართულად ლაპარაკობენ. 20 კომლია.

3) **შოლტის ხევი.** მაღალ მთასაც შოლტის ხევი ეწოდება, ამ მთიდამ მირატის ხევზე გადმოდის გზა ჩრდილოთ, ქართულათ ლაპარაკობენ.

4) **წყალსიმერი,** ლამაზ სოფელია, 50 კომლია, თათრული ენა შესულა ხმარებაში. ეკლესიაზე ჯამე დგას მინარეთიანი. ამ სოფელში ბევრი ამბები იციან გათათრების შესახებ. თვით სოფელი მეტათ შვენიერია.

5) **წითლოეთი,** ქართულათ ლაპარაკობენ: 35 კომლია.

6) **დიობანი,** წყალსიმერს მაღლა, სამხრეთით, ქართულათ ლაპარაკობენ, ამის ახლოს ერთ მთაზე დგას ეკკლესია.

7) **იფრევი,** ქართულათ ლაპარაკობენ, აქაური ძველებური მებატონე **სავარსამიძე** ყოფილა. ეს გვარი ცნობილია „ქართლის ცხოვრება"-ში და „ამირან დარეჯანიანში" მოიხსენება.

8) **ივეთი,** ქართულათ ლაპარაკობენ.

9) **გზათა,** ქართულათ ლაპარაკობენ., თათრული აქ არავინ იცის. აქვე ცხოვრობენ **ზაქარიაძეები** დ ზოგნი ამ სოფელსაც **ზაქარიაძეს** უწოდებენ; 40 კომლია.

10) **სურევანი,** ქართულათ ლაპარაკობენ.. 40 კომლია.

11) **უბე,** ქართულათ ლაპარაკობენ..

12) **ძიოსი,** ქართულათ ლაპარაკობენ..

13) **ხემწვრილი,** ქართულათ ლაპარაკობენ..

14) **დაბა,** ქართულათ ლაპარაკობენ.. 25 კომლია.

15) **ბელტიეთი,** ქართულათ ლაპარაკობენ..

16) **ზაქიეთი,** ქართულათ ლაპარაკობენ.

17) **ბაძგირეთი,** ქართულათ ლაპარაკობენ.

18 **ლეონიძე,** ქართულათ ლაპარაკობენ. ამ სოფლის მებატონენი ძველათ ლეონიძეები ყოფილან. ამათი რიცხვი აქ 5 კომლი ყოფილა. ერთი **ლეონიძეთაგანი ჰასანეფენდი-ხოჯა** სულთანის შვილების ლოცვების მასწავლებლათ იყო, ამის ძმა **არიფ-აღა-ლეონიძეც** სახელოვანი პირია სტამბოლში. ამ სოფელს ძველათ „დასამობი" ეწოდებოდა.

სათლეს გასწვრივ, სამხრეთით მისდევს ხეობა, აქ აღმოსავლეთის მთები ირგვლივ უვლის, ჩრდილოეთით კარჩხა-

ლამდე და აქ წეფთის ციხისმახლობლათ არის შემდეგი სოფლები იმერხევისა. სადაც ქართულათ ლაპარაკობენ.

19 **ჩიხარი,** ქართულათ ლაპარაკობენ; 40 კომლია.

20 **ციხის ხევი,** ქართულათ ლაპარაკობენ.

21 **უსტამისი,** ქართულათ ლაპარაკობენ. 30 კომლია.

22 **გრილ აგარა,** ქართულათ ლაპარაკობენ, 35 კომლია.

23 **პხიკური,** აქ ცხოვრობენ გასმხებული ქართველები.

24 **ლივანის ძირი,** ქართულათ ლაპარაკობენ.

25 **ჩაქველთა,** ქართულათ ლაპარაკობენ, ამის ახლო ხეობაში დაშთენილა პატარა ეკკლესია.

26 **ვამთა,** ბინა-სადგური იოანე შაველისა. ამის ახლოს ერთ ალაგას ეკკლესია მდგარა, მაგრამ ეს ადგილები მორღვეულა, წყას გაუტანია ხევში და ეკკლესიაც დაქცეულა, ვეება დიდი ალაგია მორღვეულ-მოხეთქილი. კარჩხალის თის მხრით სძევს.

27 **ხარსანა,** ქართულათ ლაპარაკობენ.

28 **გორგოტიხანა,** ქართულათ ლაპარაკობენ.

29 **ოქროს წუა,** ქართულათ ლაპარაკობენ.

30 **ახალ-დაბა,** ქართულათ ლაპარაკობენ.

31 **გარიყლუფი,** ქართულათ ლაპარაკობენ.

32 **ჯვარები,** ქართულათ ლაპარაკობენ. ეს სამი უკანასკნელი სოფელი იმერხევისა და შავშეთს შუა ძევს.

33 **მიქელეთი,** აქ ლაპარაკობენ თათრულ-ქართულს, მიქელეთის ეობაში არის აბანო და ამიტომ ამ ხეობის აბანს ხევი ეწოდება. აქ ხალხი დადის საბანაოთ. წყალი თბილია.

34 **მანატბა,** 6 კომლია. ქართულათ ლაპარაკობენ.

35 **წეფთის ბარი,** 20 კომლია. ქართულათ ლაპარაკობენ.

36 **დევაგულა,** 10 კომლია. ქართულათ ლაპარაკობენ.

ზემოხსენებულ სოფლებს გარდა სხვა წვრილი სოფლებიც ბევრია, მაგრამ მე ისინი არ დავასახელე, რადგანაც რთი მეორეზეა მიწერილი. ყველა სოფელს თავისი საკუთარი სახე აქვსთ. იმერხევის და შავშეთის სოფლების განაპირათ მოჰყვება არდანუჯის და ართვინის სოლები.

შავშეთში და იმერხევში ძველათ გამოჩენილი გვარები ყოფილა, მაგალითად: **ათაბაგი ჯაყელი, ლასურიძე, თურმანიძე, ფანცაძე, ფულტარიძე, გორდაძე, ცეცხლაძე, ხიმშიაშვილი, კოკობაძე, ზაქარიძე, ლომინაძე, სავარსამიძე.** „ქართლის ცხოვრებაში" ცნობილი და „ამირან დარჯანიანშიც" მოხსენებული **ქადაგიძე, მიქელაძე** და **ლომსაძე.** ლომსაძის მამა ათი წლის წინეთ 80 წლისა გარდაცვლილა; ის ქრისტიანი ყოფილა. მაშინ იმერხევი ქრისტიანობდა თურმე. მიქელაძე ყოფილა სოფ. მიქელეთის მებატონე; პირველათ ის გათათრებულა და იმას მიუღია **არტაანის უფროსობა.**

ვახუშტის ჩვენებით იმერხევი უნდა იგულისხმებოდეს ანაკერტის აღწერაში. მაგალითებრ, მოყვანილია ეს: „ანაკერტი; ჭოროხის ხევს მოერთვის ანაკერტის ხევი, აჭარის მთიდამ, ამ ხევზედ არის, ჭოროხის აღმოსავლით. აჭარის მთის კალთისკენ, ანაკერტი, დაბა დიდი და კარგი! ამის ზევით მოერთვის ჭოროხი შავშეთის მდინარეთა შორის ამ შავშეთის და ანაკერტის შორის, ჭოროხის აღმოსავლეთით, აჭარის მთის კალთასვე, არის მონასტერი ნათლისმცემლისა. და იყო დიდ ხელოვნებით ქმნილი და შენებული. ამისნი შემდეგნი 12 მონასტერნი თავი იყო, სადა ესვენა კორხი, იდგენ მოწესენი მონაზონი", ეს ეკკლესია ოპიზა არის. აქ რომ **ვახუშტის** კარგათ არა აქვს აღწერილი, მე თავისუფლათ შევნიშ-

ნავ, ჩანს ვახუშტის ოსმალეთის საქართველო არც-კი შემოუვლია.იმერხევი თვალითაც არ უნახავს, თორე ანაკერტს იმერხევის საზღვრებში არ მოაქცევდა.

სხვა-და-სხვა მოგზაურთა ჩვენებით, იმერხევში ძევს ანჩის ტაძარი, ბერთა და გამოჩენილი ციხე წეფთისა. მე ვფიქრობ, რომ წეფთა სწორეთ ის ციხე უნდა იყოს, რომელსაც **ვახუშტი** თუხარიძის ციხეთ უწოდებს, რომელმაც სახელი მოიგო შემდეგი სიტყვით: „თუ ხარ შენ ციხე და არა სხვა". ეს ციხე სწორეთ იმ ალაგას არის ჩვენებული, სადაც დღეს წეფთა დგას და იმერხევის ნაწილს ეკუთვნის. მე ფვიქრობ, რომ იმერხევი იქნება ვახუშტის დროს აწინდელის სახელწოდებით არც-კი იყო, იქნება მას მაშინ სხვა სახელი ერქვა. ვახუშტის აზრით, იმერხევი ჭოროხის ხეობის და შავშეთის საზღვრებში იკარგება და არა ჩანს. ჩვენთა ძველთა მემატიანეთა თქმით, შავშეთსა და იმერხევში ბევრი რამ ნაშთები უნდა იყოს დარჩენილი, მაგრამ დღეს აქ ბევრი აღარაფერია, მძიმე ქარიშხალს ყველაფერი აღუგვია.

იმერხევი და შავშეთი დღეს რუსეთის მთავრობის წინაშე დიდ ხარჯს არ იხდის: სულზე, ანუ კომლზე 8 მანათიდამ 7 მანათამდის ადის. როგორც ამბობენ, ამ ხარჯის გადახდა ხალხს არ აწუხებსო და ამიტომ ისინი დიდათ კმაყოფილნი არიან რუსის მთავრობისაო, რომ მთავრობა მათ მიუვალს და ყრუ ადგილების ვითარებას ყურადღებას აქცევს და ხალხს დიდი ხარჯითარა ტვირთავსო. მხოლოდ აწინდელმა ტყეების საქმემ-კი დიდათ შეაშინა ისინი და არ იცოდენ, რა ექნათ, ზოგი ერთნი აუწყებენ მათ, დღეიდან-კი თქვენ თქვენი ტყეები ჩამოგერთვათო და ყველაფერი მთავრობის ხელში გადავაო. ამაზე დიდი აშლილობა მოხდა: ხალხმა მთავრობას თხოვნა მისცა. მთვრობამ ჩაიბარა მთელი შავშეტის ტყეები და ტყის მცველები დააყენა. ამ საქმის უმთავრეს საფუძვლათ გახდა ის გარემოება, რომ ოსმალეთში მიწები და ტყე-

ები მხოლოდ სახელმწიფოს კუთვნლებას შეადგენს. ასეთი პასუხი ოსმალებმა რუსეთის მთავრობის წარმომადგენელს **დ. ბაქრაძეს,** როცა ის სტამბოლში იყო გაგზავნილი აქაურს მაჰმადიანების მიწათ-მფლობელობის გამოსაკვლევათ.

შავშელები და იმერხეველები ტანათ დაბალი ხალხია, მოშავო პირის ფერის, როგორც კაცები, ისე ქალებიც. ტანთსაცმელი შეკერილობა ცოტათი თუშ-ფშავ-ხევსურებისას წააგავს: მოკლე ჩოხების ნაპირები ყაითნებით აქვთ შემოვლებული; კაცი ხამათ რომ შეხვდეს შავშელს, ან იმერხეველ კაცს, იმას **თუშ-ფშავ-ხევსურელი** ეგონება. ამათში თუშების ცნობაც ყოფილა გავრცელებული, რადგანაც ზაფხულში არტაანის მთებზე თუშებს კახეთიდან ცხვარი დაჰყავთ საძოვრათ; მთელი არტაანის მთები ამათი ცხოვრებით არის სავეს, არ უნდა დაივიწყოთ, რომ კახეთიდან შავშეთის მთებამდის 600 ვერსზე ნაკლები მაინც არ იქნება.

შავშეთი

სხვა-და-სხვა დროს ნაწერი გაზეთებში

შავშეთს აღმოსავლეთით არსიანის და არდაგანის (არტაანი) მთები უძევს, დასავლით კარჩხალის მთა, სამხრეთით არდანუჯის მიდამოები და ჩრდილოეთით აჭარა. ჩვენს ძველებს სამართლიანათ უწოდებიათ ამ ადგილებისთვის შავმთა. ეს მიყრუებული, მგზავრისაგან მივიწყებული მხარე ყოველთვის შავად არის მობურული, ნამეტურ დილით, რადგანაც ეს ოქროს კუთხე, ეს ძვირფასი მხარე საქართველოსი სულ ნაძვის ხის ტყეებით არის სავეს.

შავშეთი შესდგება შვიდ სამამასახლისოდამ. ოთხი სამამასახლისო შავშეთს ეკუთვნის და სამი სამამასახლისო შავშეთის ნაწილს იმერხევს. შავშეთში ქართული ენა აღარა-

ვინ იცის, სამს სოფელში ლაპარაკობენ მხოლოდ. ქ აქრთულის ენისა აღარავის არ ესმის: იმერხევში კი ყველგან იციან ქართული, ყველგან ქართულად ლაპარაკობენ, აქ არის ისეთი სოფლები, სადაც ქართველ მაჰმადიანთ ბავშვებმა და ქალებმა თათრული ენა სრულიად არ იციან. მხოლოდ ქალის საფინავას ხეობის ქვემოთ, სოფ. ქყალსინერში კი შეპარულა თათრული ენა და აქაური ქართველების უმეტესი ნაწილი თათრულად ლაპარაკობს.

ზოგიერთ სოფელებში ძალიან ცდილობენ, რომ ქართული დაივიწყონ. არსიანის მთის საძოვარზედ მე ვნახე რამდენიმე მწყემსი, იმერხევიდან მოსული, მამები მშვენივრად ლაპარაკობენ ქართულს და შვილებმა-კი, პატარა მწყემსებმა, ძლივს ამოსთქვეს თითო-ოროლა სიტყვა ქართულად. ამათში ყველამ კარგად იცის, რომ ისინი ქართველების შთამომავალნი არიან; ქართულის ენის არა მცოდნე თათრებიც-კი თავანთს თავს უწოდებენ. ამათ სიტყვა **ქართველი** არ სძულთ, როგორც აჭარლებს, ქობულეთლებს და მაჭახლელებს.

შავშეთში დღემდის დაშთენილია ორი ნაშთი ჩვენის ძველის დროებისა; ერთი ოპიზის შესანიშნავი ტაძარი, ნათლისმცემლის მონასტერი და მეორე ტბეთის საკათედრო ეკლესია. ტბეთის ეკლესია მთლად სდგას, მისი მშვენიერი გუმბათი დიდის დიდებით გადმომზერს შავშეთს, კაცს გული აუტირდება, როცა შავშეთს ნახავს, მისს ისტორიას გაიხსენებს და ამ ეკლესიას, ეკლესია მთლად თლილის ქვებით არის აშენებული მეათე საუკუნის დასაწყისს, **აშოტ კუხის** „კუროპალატისაგან".

ეკლესია 35 ლაჯი სიგძე აქვს და ცოტა ნაკლები სიგანე. ეს ეკლესია აქამდე ჯამედ ყოფილა. ამ სამის წლის წინად, ობლად შთენილს ტბეთის ტაძრის გუმბათს მეხი დასცემია

და მხოლოდ ერთს ალაგას არშინის სიგრძე ჩაუქცევია. სხვაფრივ ვერაფერი უვნია.

მაშველებს შეშინებით, ჯამე მოუშლიათ და სხვაგან გაუკეთებიათ, გასაკეთებლად ტბეთის ეკლესიის სამრეკლო დაუქცევიათ და მისი მასალა ჯამეს საკეთებლად უხმარიათ. ეკლესიას საკმარისად ჩამოქცევია ჩრდილოეთის მხრის კედელი. გარედან წარწერები აქვს. შიგ აქა-იქ მხატვრობაც შენახულა, ერთს კედლის ქვაზე გამოჭრილია სურათი ამ ეკლესიის მაშენებლის **აშოტ კურაპალატის** წარწერა-კი წაბღალულია.

ეკლესიის ოთხი თლილი ქვის სვეტი ატანილი და გუმბათი ამ სვეტებზე დგას. ერთის სვეტის წინ არის საფლავი თვით აშოტ კურაპალატისა, რომრლსაც საფლავზედ ერთი დიდი შავი ქვა აძევს, ამ ქვას სიგრძე-სიმაღლე ორი არშინი იქნება. მეტათ შესანიშნავი მძიმე ქვა არის, შავს მარმარილოს ჰგავს. ერთმა ბერძენმა თქვა, რომ ამ ქვამ ჩვენი იარაღი არ მიიკარა, მერე ინგლისური ფოლადის იარაღით ვსცადეთ, მაგრამ არც ის მიიკარა, ვერა გავიგეთ-რა, თუ ეს ქვა რა არისო.

ასე და ამგვარად, დღეს შავშეთში ქართული ენა ღარ არსებობს, ქართველების სამახსოვროდ აქ შენახულა თითოოროლა ძველი ნასტყ, რომელთა პატრონობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

შავშეთშივე სძევს ჩვენის გამოჩენილს მოლექსის **იონე შავთელის** სოფელი შავ-მთა, დღეს მთლად აოხრებული და ვერან დაბად არის ქცეული.

II.

ართვინი ბათუმიდამ 90 ვერსის მანძილზედა სძევს. ფოსტა კვირაში ერთხელ მოდის; ართვინის ხიდამდე ეტლით

მოაქვთ და მერე ცხენებით ააქვთ, რადგანაც გზები არ არის, აღმართებია. **გ. ყაზბეგის** ცნობით, ართვინი 10 ათასი ფუთის სიმაღლეზედ სძევს; მცხოვრებთა რიცხვი 2000 კომლამდეა, უმეტესად კათოლიკენი, გრიგორიანები და ქართველ მაჰმადიანები მცირეა. კათოლიკეებში დიდი ძალი ქართველი კათოლიკენი მოიპოვებიან, მაგრამ ამათში ქართული ენა დავიწყებულია ისრევე, როგორც ქართველს მაჰმადიანებში. დღეს ართვინში მცხოვრებმა ქართველმა კათოლიკებმა და ქართველმა მაჰმადიანებმა სიტყვა, კრინტი აღარ იციან თავიანთი დედა-ენისა.

მაგალითს მოგახსენებთ; ართვინში სხვათა შორის, არის ერთი ბაზაზის მაღაზია, რომელსაც გარედგან აწერია რუსულად **„მაღაზია ალ. ალანიძესი“**. მე ესენი ქართველები მეგონნენ: შეველ მაღაზაიში., ქართულად დავეკითხე და მათ-კი მომიგეს, ქართული არ ვიცით, რუსულად ან თათრულად გველაპარაკეთო. მაშინ მაღაზიის გარედ დაწერილი გვარის ამბავი ვკითხე და მითხრეს: დიხ, ადრე ქართველები ვყოფილვართ, მაგრამ ახლა თათრები ვართო. ასეთი მაგალითი-კი ბევრია.

ართვინი ქალაქად ირიცხება, არის ოლქის უფროსის და ნაწილის უფროსი. მომრიგებელ მოსამართლის გამგეობა აქ არ არსებობს, მუსლიმანთა საქმეებს „მეჯლიში“ არჩევს და ქრისტიანებისას ოლქის სამმართველო და ბოქაული.

ქალაქის მოხელე და მოსამსახურეთა შორის ქართველებიც არიან და ამიტომ ბევრს კათოლიკეს შეუსწავლია ქართული ლაპარაკი. ქართული ენის აღდგენის საქმეს აქეთ ძლიერ ხელს უწყობენ მარადიდელი მანავეები, რომლებიც ლივანიდგან ამოდიან აქ, თან კახაბერიდგან საქონლით დატვირთული ნავები ამოაქვთ და მერე ართვინიდგანაც ხალხითა და საქონლით დატვირთულები მიდიან ბათუმში. ნავები ბათუმის ახლოს კახიბერში ჩერდებიან, რადგანაც ზღვაში

ვერ შევლენ; ჭოროხს ნავები ადვილად დაიღუპოს. ლივანელნი და მარადიდელნი ნავოსნობასა და გემოსნობაში მეტად მოხერხებულნი არიან; ამათგან ართვინის ახლო-მახლო მთელს დღეს სულ ქართული ენა გაისმის. ართვინის ახლოს მდებარე სოფ. სინქოთიდგან-კი ქართული ენა იწყება ქართველ მაჰმადიანთა შორის და იგი დასავლეთამდე მიემართება.

ართვინში კათოლიკეთ აქვთ ოთხი ეკლესია. ამათგან კორძულის ეკლესია ყველაზედ ძველია. ამ ეკლესიას აქვს ქართველი გურჯებიც, რომლებიც 1501 წ, **პაპს სიქსტო** მესამესაც დაუმტკიცებია. გურჯები მამულების შენახვის საქმეს შეეხება, იმ დროის კათოლიკეთ კორძულის ეკლესიისათვის მამულები შეუწირავთ და შეწირვის გურჯებიც ქართულად უწერიათ.

აქ კათოლიკეთ ბევრმა იციან, რომ ისინი ქართველთა შთამომავალნი არიან. ასეთი მოხუცნი მეც ვნახე და აღიარეს, რომ ძველად „ქართველ კათოლიკენი ვიყავითო“. კორძული ამ ეკლესიას მიტომ დაერქვა, რადგანაც ეკლესიის განახლების დროს, კარის ალაგას ძველი კარები ჩაუტანებით და მისგან წარმომდგარა კორძულიო, ძველად-კი **„კარ-ძველი“** ერქვაო.

დანარჩენი ეკლესიებიც ძველია; მესამე ეკლესიას ეხლა. აშენებენ ძველის ეკლესიის ალაგას. სომხებს აქვთ ართვინში ერთი ეკლესია, ესეც ძველი ეკლესიაა. საყურადღებოა ის, რომ ამ ეკლესიაში ინახება ერთი ძვირფასი ქართველ ძველი სახარება, ხუცურად ნაწერი ძვირფასს პერგამენტზედ და ძვირფასადვე შემკული. იგი ძვირფასი განძია ისტორიისათვის, მწიგნობრობის და ნამეტური პალიგრაფის მხრივ როგორც სახარების ერთი წარწერა ჰმოწმობს, იგი გადაუწერია **იშხნელს** ეპისკოპოზს **მაკარის,** დაახლოებით XI საუკუნის ნახევარში. ამ სახარებამ ადრე მრავალთა ყურადღება

მიიპყრო, აქ გახლდათ ამისათვის განსვენებული **დ. ბაქრაძე, გრიგოლ გურიელმა** სყიდვა მოინდომა და 600 მან. აძლია, გასყიდვა არ შეიძლებოდაო.

იშხნის საეპისკოპოსო ტაძარი დღეს საქართელოს იმ კუთხეში სძევს, რომელიც ჯერედ კიდევ ოსმალეთს უჭირავს. დღეს იგი ოსმალეთის საკუთრებას შეადგენს და ჯამეთ არის გადაკეთებული, გათათრებულ ქართველები ლოცულიბენ.

იშხნის ხეობის ახლოს სძევს ხახულის ხეობა, სადაც დიდებული ტაძარია ხახულისა. რაც გელათში ნივთებია. ხახულის ხატი და სხვანი გათათრების დროს სულ აქედამ არის გადმოტანილი. ესეც ჯამმედ არის გადაკეთებული.

მესამე პარხლის ეკლესიაა უგუმბეთო, მშვენიერი; ესეც ჯამმედ არის გადაკეთებული. ამ სამ ეკლესიაზედ ძლიერ ბევრი ამბებია დარჩენილი აქურს მაჰმადიანებში. მართლაც შესანიშნავი ტაძრებია, დიდრონი, უზარ-მაზარი, თლილის ფერადი ქვებით, შიგნიდან კენჭებით მორთული, ნამეტურ შესანიშნავია ხახულის თარი და ხახულის ხეობა. ჩვენებური **ხახუტაშვილები** აქედა ყოფილან მანდეთ წარსულნი. ამ ეკლესიების მოხდენილობას კაცი ვერ აგიწერთ, განცვიფრდი. ამ ეკლესიებში რომ მუსლუმანებმა ლოცვა არ მოშალონ, კარგი იქნება, დიდხანს დარჩებიან უვნებლად. ძლიერ დაძველებულან-კი. გარდა ამისა, ბევრი სხვა ნაშთებიც არის. მაგრამ ყველას სად ავწერთ.

მუსლუმანებს ართვინში აქვს ერთი დიდი ჯამე. ჯამე სდგას სწორედ იმ ალაგას, სადაც ძველად ქართველების ართვინის ტაძარი იდგა; ზედ მისს საძირკველზედა სდგას ეს დიდი ჯამე კორძულში აქვთ; მუსლიმანების აქ სხვა არაფერია დაშთენილნი, მათი რიცხვი შემცირდა, რადგანაც 1879 წლის შემდეგ ოსმალეთში მრავალნი გარდასახლდნენ.

ვახუშტის გეოგრაფიულის ცნობით ართვინი ქრისტეს წინედ არის დაარსებული ქართველთა მეფეთაგან. ძველად ამ ქალაქს თურმე **„ართვინი"** ერქვა, რადგან ძლიერ მაღლა სძევს.

ქალაქში ვაჭრობა რიგზედ სწარმოებს, არის ორი სასტუმრო, ყავახანები, სხვა-დასხვა მაღაზიები და სახელოსნოები. აქაურ კათოლოკის, სომხის და ქართველ მაჰმადიანთა ქალები თათრულად იცმენ, შუბლზედ ოქროს ფულები აკრავთ და სიცხეებშიაც კი ხავერდისა და შალის ძვირფასს ტანისამოსში არიან გახვეულნი. ამას გარდა, ზაფხულის მშრალს დღეებშიც ფეხსაცმელზედ კალოშები აცვიათ! სანოვაგე ძვირად არ ფასოფს, ართვინში ოსმალოს ვაჭრები და მუშებიც მოდიან.

ოსმალოს საზღვარი სულ 10 ვერსზეა. ართვინგან ერთი გზა არდანუჯს მიდის; ამავე გზით მიდიან არტაანს (**არდაგანი**), ყარს, არზრუმსა და სპარსესტ. მეორე გზა შავშეთს, აჭარას და ბათუმს გადადის, მესამე ლაზისტანსა და მეოთხე ოსმალეთის სამფლობელო საქართველოს ადგილებში.

ერთი საკვირვრლება აქ ის გახლდათ, რომ ართვინს იქით, ოსმალეთის საქარეთველოში, ქართველ მაჰმადიანები-ქართულს ენაზედ ლაპარაკობენ და ართვინს აქეთ-კი, მარცხვნი და მარჯვნივ აღმოსავლეთიდგან დასავლეთამდე, ართვინამდე, მთლად თათრულ ენაზედ საუბრობენ აქაურ ქართველებზედ, ოსმალეთის მაჰმადიან ქართველები უფრო კარგა საუბრობენ ქართულს, ვიდრე აქეთ მხრისა, სადაც-კი ქართული ენა შენახულია. ქართული ენა მოსპობილია მთელის ქართლ-კახეთის ტოლა ადგილებში. ბევრს ადგილებს სრულიად არ ვასახელებთ. მთლად-კი ოსმალეთის წინადყოფილი და დღემდე დაშთენილთ ადგილების ზომა ნახევარ საქართველოზედ მეტს შეადგენს და ასევე მის კვალობაზედ

ქართველი ტომის ერიც იქმნებოდა. ქართული ენა ბურსამდე და თვით დიარბექირამდესაც ისმის.

ართვინის ოლქი წყლებითა, ხე-ტყითა და მეცნიერებითაც მდიდარია; ჰავაც კარგია, მოსავალიც კარგი იცის, ხილიც განთქმულია, ყურძენიც და ღვინოც კარგი იცის; უმეტესად პურს, სიმინდსა და ქერსა სთესენ. **მადნების მხრივაც ძლიერ მდიდარია ეს მხარე**. დღეს აქეთ რამდენიმე კამპანიაა, ევროპიდგანმოსული და სხვა-და-სხვა მადნის პატრონებთან მოლაპარაკება აქვთ, მადნის მთებს ყიდულობდენ. ერისთაგან კიდევაც იყიდეს მურღულის ხეობაში 700 ათას მანეთად, სოფ. ძანცულს. მურღულის ხეობას ამ მადნებისაგანდიდი მომავალიმოელის, მურღულს გარდა, ახვა ხეობაში თუთიის (ცინკი) ,მადნებიც ყოფილა მრავლად.

კლარჯრთის ქართველ მაჰმადიანები

კლარჯეთი უნდა იყოს ლივანის, შავშეთს და იმერხევს შუა. ესე იგი არდანუჯის გასწვრივ ართვინამდე, სადაც თავდება ლივანი, ანუ ლივანის ხევი, რადგანაც არდანუჯის გასწვრივ, ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებას ქართველი სახე წაშლილი აქვს დად დღეს მხოლოდ ორიოდ სოფელში-ღა ლაპარაკობენ ქართულს; ამიტომ მე მათ ანუსხავს გვერდს აუარე, აქ მომყანს შემოკლებით სოფლის სახელები. მთელი არდანუჯის მაზრა შესდგება 31 სოფლიდამ, ზოგი პატარა სოფლები აქ არ არის მოხსენებული, რადგანაც დიდ სოფელზეა მიწერილი, ზოგ სოფელს ქართული სახელები შესცვლიათ. აი სოფლის სახელები, სადაც მთლად ქართველ მაჰმადიანები აცხოვრობენ.

სუ-იოლი, იშგინარი, ახასი, სახრები, არვეთი, ჯარვარდ, ხელი, კლარჯეთი, მუქასი, ორთისი, სალოსა, გულიჯა, ტანზოთი, დია, კარმიჯუ, ქვაბთა ხორი, გუმიშხანი; ეს თათრულად ვერცხლის მადანი ყოფილა, მერე გაუუქმებიათ. ართვინისაკენ სძევს შემდეგი სოფლები: ულეფი, უხსხევი, სხვა, ხუბორღრეთი, ვართელა, მაცალ ხევი, ბოცო, ჟუგო, შუაგარა, ოში, ჭალა, აჩქარა, ანჩა, ანაკერთი, ბორია, აჩრდილი, სავლი, კაშხეხი, თათრულად კაშხეხი მეკოვზეს ნიშნავს, ხერთვისი, გველეშანი, ხევა, ნოსიგელდი, ფეთ-უბსნი, გულაშეთი, კარსნა, სამასხარი, უსტასკელი, ქონთრაბი, ზალიაანი, ბიჭა, ხახული და მეცაგილა.

ზოგი სოფლის სახელი ოსმალურია, ზოგის ქართული, ისიც ზოგი გადასხვაფერებულია. ზოგს სოფელში დრემდე ქართულ ენას ხმარობენ, ასეთი სოფელია აჩქარი, ანხა, ანაკერტი, ჩრდილი, კარსინა, სამესხო, უსტასკელი, ქონთობანი, ზალიაანთ და სხვა.

ამ კუთხის შესახებ ადრე გაზეთ„ივერია"-ში მშვენიერი აღწერა იყო მოთავსებული ცნობილის მოღვაწის **კოწია მაჭავარიანის,** იგი ლივანასა და შავშეთ შუა მდებარე სოფლების რიცხვს 84-ს ასახელებს სულ. იგი სწერს, რომ ამ სოფლებში ყველგან ქართული ენა არსებობსო.

ქართული ენის და საქართველოს მოყვარე ხოჯები

ქართველ (გურჯი) ისმაილ ხოჯა ხალაფაშვილი

გურჯი ისმაილ ხოჯა გვარად ხალიფაშვილია, მისი დაბადება ეკუთვნის XVIII საუკუნის ბოლოს. სოფ სამზიარს. აღიზარდა სტამბოლს, მიიღო ოსმალური და არაბული სწავ-

ლა. იყო მახვილგონიერი და ქართული ენის პატივისმცემელი. თუმცა მის დროს, ქართველ მაჰმადიანებს სასტიკად აქვნდათ ქართული ენა აკძალული და ნამეტურ წერა-კითხვა, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს ხოჯა მაინც ქართველობდა.

უმაღლეს შეიხულ ისლამს და თვით **სულტან მამუდსაც** აუწყა, რომ ჩვენ გურჯები ქართველები ვართ, ჩვენი ენაც ქართული არისო. ჩვენს ჯამეებში ჩვენს ენაზედ უნდა იყოს ქადაგება და არა ოსმალურს, ან არაბულს ენაზედო, რადგანაც ჩვენ გურჯებს არც ერთის გვესმის რამე და არც მეორისო. ამან იმეცადინა და ქართულს ენაზედ დასწერა მთელი ყურანის სწავლა (და რადგანაც მან ქართული წერა არ იცოდა, ამიტომ იგი არაბულის ასოებით დასწერა) და ბათუმის მუფთს გამოუგზავნა, თან შემოუთვალა, რომ ჩვენმა ხოჯამ და მოლებმა ამ წიგნიდამ გადსწერონ და ჯამეში ისე იქადაგონ, როგორც ამ წიგნში სწერიაო.

მუფთის ბრძანებით ასეც მოხდა, ხოჯები ამ წიგნიდამ იწერდნენ და ჯამეშიც ქართულად ქადაგებდნენ, როგორც აქ ეწერა. ქართული ენით ქადაგებამ 1850 წლამდე გასტანა, რაკი 1854 წ. ომი იწყებოდა, ამიტომ ხოჯებმა ლაპარაკი დაიწყეს, რომ ჩვენში თქმულება არის, რომ ეს კუთხე ისევ გურჯისტანზედ წავა, აქ რუსები მოვლენ, ჩვენ გვეტყვიან, რომ თქვენ ლაპარაკობთ ამ ენაზედო. თქვენ ქართველები ხართო. ამიტომ უნდა მოისპოს ამ ენაზედ ლაპარაკიო.

მართლაც მალე მოსპეს ქართულ ენაზედ ქადაგება ჯამეებში და მის მაგიერ ოსმალურად იწყეს. 1854 წ. ომიც გათავდა, რუსებმა მათ ვერაფერი წაართვეს, ხოლო მათ მაინც ქართული ენა აღარ განაახლეს ჯამეში ამ ას დღეს შემდეგ გმობაც დაიწყეს ამ ენის ცხარედ. **ისმაილ ხოჯის** წიგნებსაც დაუწყეს ხევა და მოსპობა. მაინც დიდათ საინტერესო არის ამ წიგნის ნახვა, გაცნობა. მისი თუ როგორ არის ნაწერი, მასთან საჭირო არის თვით ისმაილ ხოჯის ცხოვრების გაცნო-

ბაც. აქ ეს მოკლედ ავნუსხედ, რადგანაც სხვაგან ვრცლად გავქვს აწერილი.

ზად პირზედ მოთავსებულ **ისმაილ ხოჯის** სურათი 1892 წ. მაჩვენეს და მათხოვეს, სადაც მისსივე ამბებიც შევკრიბე, ამის ცნობა გაზ. „ივერია"-ში პირველად 1892 წ.დაიბეჭდა. ეს სურათიც იქიდამ გადავახატვინე მაშინ, იგი ხელით იყო ნახატი 1844 წლბში.

გურჯი ლომან ეფენდი ხოჯა ქარცივაძე. თუმცა ჟამთა ვითარების წყალობით, ქართველი მოლები და ხოჯები სულ გადაგვარებულნი იყვნენ და მასთანავე მოძულენი საქართველოსი, ქართველი ერისა და ქართული ენის, მაგრამ მაინც მიუხედავათ მის, მათში იყვნენ თითო-ოროლა ისეთნიც, რომელთაც შეგნება აქვნდათ მის, რომ თუმცა იგინი სჯულით მუსლიმანები არიან, არამედ ტომით და ენით იყვნენ გურჯები და გურჯისტნელნი. თავის დროს, ერთი ასეთი პირთგანი იყო ხოჯა **გურჯი ლომან ეფენდი ქარცივაძე** რომელიც მოკლედ მაინც გავიცნად.

ლომან ეფენდი ქარცივაძის დაბადება ეკუთვნის XIX საუკუნის 20წლებს, იგი რუსთაგან ბათუმის შეერთაებასაც მოესწრა, იგი პატივით იქმნა მიღებული და ულუფაც დაიუნიშნეს თვეში 100 მან. სხვათა შორის ეს პირი პეტერბურგშიც იყო, იქ დაესწრა **ალექსანდრე მესემის** დაგვირგვინებას. ამის გარდაცვალება ეკუთვნის 1889 წლებს, იგი ზეგნელი გახლდათ, გაზდილი საქართველოში, სწავლა მიიღო აჭარის მუფთის სკოლაში, მერე კონსტატინოპოლს იქმნა წასული, იქ მიიღო ამან სამღრთო სწავლა, კარგად შეისწავლა არაბული, ოსმალური ენები, ქართული ენაც კარგად იცოდა გარდა წერწ-კითხვისა. ესეც მიტომ ვინაიდგან მის დროს, ქართველ მაჰმადიანები მოიძულებდნენ ქრისტიან ქართულ ენას, როგორც არა მუსლუმან ქართულ ენას. ლომან ეფენდი ამის წინააღმდეგი იყო და იგი არ მოიძულებდა საქართველოს და

ქართულ ენას, არამედ თანამემამულე ხოჯებს და მოლებს აუწყებენ ასე:

ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი ნათესავები აგერ, იქით არიან. ჩვენი და იმათებური ენა და წიგნიც ერთი არის.

ასეთი აზროვნების იყო ლომან ეფენდი არამც თუ მარტოდ საქართველოში, არამედ თვით სტამბოლშიც, სადაც მის 18 წლის განმავლობაში მასწავლებლად იყო და მასთანავ სულთანის მლოცველათაც. სულთანისგან ამას ნიშნები და ულუფაც აქვნდა.

საქართველოში ყოფნის დროს, ხალხში ყოველთვის ქართულ ენას ხმარობდა, ამ ენითვე ქადაგებდა ჯამეში. ყველას ეუბნებოდა რომ ჩვენ გურჯები-ქართველები ვართ, ჩვენი სამშობლო ქვეყანაც ეს არის და ჩვენი ენის წიგნიც უნდა ვისწავლოთო. ამისთანა ქადაგებით მოხუცდა ეს პირი და მითვე გარდაიცვალა.

ეს ნეტარი პატიოსანი ქართველთ ეფენდი ხოჯა იქამდის მაღალ გონების კაცი იყო და მცოდნე საქართველოს საქმეების, რაის გამო იგი ისტუმრებდა ხოლმე ყველა მოგზაურებს ვისაც-კი ნახავდა თავის სამშობლოში, ყველასთვის სახლში იპატიუებდა და საქართველოს შესახებ ესაუბრებოდა. მგზავრობის დროს, ამასთან ისადგურეს **დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ყაზბეგმა, გრიგოლ გურიელმა** და სხვანი, ანუ დაივიწყებთ იმასაც რომ ეს იყო ოსმალთა მფლობელობის დროს, როცა ასეთ მგზავრების მიღების გამო ხალხსაც-კი სჯიდნენ.

მუფთი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი. გონიერი სასულიერო პირი და ქართული ენის მოყვარე. ჯამეში ეს ქართულ ენას ხმარობდა, ამან არ მოსპო ქართულ ენაზედ ქადაგება. 1860 წ. ფანატიც ხოჯებმა და მოლებმა უჩივლეს სტამბოლში, რომ ახმედ ეფენდი ჯამეში ქართულ ენა სხმარობსო. ამას პასუხი მოჰკითხეს. მან პასუხი აგო ასე:

ჩვენ გურჯრბი ვართ, ჩვენი ენა ქართული არის, ჩვენმა ხალხმა ეს ენა იცის, მათ არაბულის და ოსმალურის არაფერი ესმით, მე რომ მათ ჩვენს ენაზედ ვასწავლო „ყურანის“ სწავლა, ეს თქვენ რას გიშლით, რათ გეშინიათ ამისი, აქ რა არის საშიში. არაფერი ჩვენ ერთგულნი ვართ თქვენი და მასთან გვსურს ჩვენი ენით ლაპარაკი. ეს მუფთი რუსობასაც მოესწრა, იყო მოსარჩლე ქართველ მაჰმადიანების, ამის ქადაგება იყო, რომ აჭარა მთლად არ გადასახლდა ოსმალეთში. ამაზედ რადგანაც სხვაგან გვიწერია, ამიტომ აქ აღარას ვიტყვით.

ჰასან ეფენდი ლეონიძე ყოფილა მახვილ გონიერი კაცი, მცოდნე არბულისა და ოსმალური ენების, ამ ენებს გარდა ქართული ენაც კარგად სცოდნია, იმერხევში ეს თურმე წმინდა ქართული ენით ლაპარაკობდა. სცხოვრობდა 1858 წლებს სტამბოლში, იგი იქამდის დაწინაურებული ყოფილა, რომ სულთანის შვილებს ლოცვებს თურმე იგი ასწავლიდა.

ჰასან ეფენდი ვერძაძე. აჭარის სოფელ ზუნდაგელი. გონიერი მუფთი, სუფთა მოქმედი, კაცი სწორი შეხედულების საქმეზედ, მოყვარე საქართველოსი და ქართლი ენის, საყოველთაოდ ამ ქართული ენით მოლაპარაკე დ აიმ ჭეშმარიტების მთქმელიც, რომ ჩვენ ქართველები ვართ ჩვენი ენა ქართული არის, ჩვენი ენის წიგნიც ქართულია. აი ერთი მისი სიტყვა ბათუმში წარმოთქმული ჯამეში. 1889 წ. ჩვენ გურჯები ვართ, ჩვენი ენაც გურჯი არის, ამ ენით რომ ვილაპარაკოთ, ამას ზარალი არა აქვს,ჩვენი ძველების ენა ეს არის, იმათ ამ ენით ულაპარაკნიათ, ამიტომ ჩვენც უნდა ვიცოდეთ ეს ენა, ეხლა უამისოდ ჩვენ აღარ გამოვდგებით, რადგანაც რუს დიდს ხელმწიფის ხელში ვართ და ეს ენაც დავიხსომოთ. ხოჯები და მოლებიც ამ ენით ლაპარაკს ნუ ერიდებიან, ჩვენი ხელმწიფის ბრძანება ხალხს ამ ენით შეატყობინონ. მეც ასე, ამ ენით ვატყობინებ, ამით ზარალი არა არის რა. ჩვენ რუსები არ გაგვაქრისტიანებენ, მათ კაი კაცები უნდათ და არა

გაქრისტიანება, მათ ჩვენს გარდა თათრები სხვებიც ბევრი ჰყვანს, მაგრამ არავის აქრისტიანებენ, ამიტომ მე ვაცხადებ, რომ დღეის შემდეგ ხოჯებს და მოლებს ამ ქართული ენის შიში ნუ აქვსთ და ხელმწიფის და გუბერნატორის ბრძანება ხალხს ამ ენით გააგებინონ, თურმე ოსმალურად ჩვენი კაცი ვერსად გაიგებს.

ასეთი ქადაგებანი ამ მუფთს ხშირად წარმოუთქვამს, ყოველთვის ქართულად ლაპარაკობდა და ამ ენასაც აშკარად და სამართლიანად იცავდა. **იგი მოკლულ იქმნა ვერაგულად 1907 წ.** ამით სურდა ქართველ მაჰმადიანთ და ჩვენთ შორის რაღაც ბოროტების ატეხა, მაგრამ ეს ვერ მოუხდათ. მე ამ მუფთის კაი ცნობა მაქვნდა და მას ხშირად უთქვამს: დღეის შემდეგ, ჩვენმა ხალხმა თუ ქართული და რუსული არ ისწავლა, უამისოდ ისინი მთლა დაიღუპებიან და სხვა.

ქართველ მაჰმადიანთა გადაგვარების ამგები

ქართველ მაჰმადიანებს ეუბნებიან, რომ თქვენ ქართველები არ ხართო. თქვენ თათრები ხართო, ამით ირღვევა ნათელი მცნება იმ ქართველ მაჰმადიანების, რომელნიც ოსმალთა მონობის დროსაც-კი ჰქადაგებდნენ, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენი დედაენა ქართული არის, ჩვენი სამშობლოც საქართველოა, ჩვენი წიგნიც ქართული არის და არა არაბული და თათრულიო.

ქართველ მაჰმადიანებს სკოლები დაუხსნეს, ხოლო ამ სკოლებში ვერაფერი წესები დაამკვიდრეს, ქართველ მაჰმადიანთ ბავშვებმა ქართულ ენის გარდა სხვა ენა არ იციან, ამათ-კი ასწავლიან ოსმალურს და არაბულს, როგორც და

მათ ენას, ამ ენების კი მათ ბავშვებს არა ესმითს-რა. შრომა უნაყოფოდ იკარგები, ასევე ხარჯი.

ქართველ მაჰმადიანები რომ ტომით ქართველები არის ეს შეწყნარებელ იქმნა 1878 წ. როცა რუსეთის იმპერიასთან შემოუერთდნენ. თვით უმაღლესმა პირმა, დიდმა მთავარმა **მიხეილ ნიკოლოზის ძემ** პოეტის გენერალ **გრიგოლ ორბელიანის** პირით გადასცა, რომ თქვენ ყოველთვის გამგეთ თქვენი ენის მცოდნე კაცნი გეყოლებათო. ამას გარდა, ისიც კი ითქვა, რომ ძველ ქართველ მაჰმადიანებს, რომელთაც ოსმალოს ხელში თავად-აზნაურობა დაკარგეს, ჩვენის გამოძიებით, შრომით და ისტორიის მცოდნე პირთა ცდით იმათაც აღუდგენთ თავად-აზნაურობის წოდებასო. ასე კეთილ შობილურს დარიგებას აძლევდნენ მაშინ.

დრო შეიცვალა, მადლობა ღმერთს, მთავრობის ცდით, ქართველ მაჰმადიანებში, სასწავლო სასოფლო სკოლები იხსნება, ეხლა-კი ამ სკოლებში მოსწავლე ბავშვების დედ-მამას ეუბნებიან, რომ თქვენ თათრები ხართ, თქვენი ენაც თათრული არისო. ბავშვებს ასწავლიან თათრულს და რუსულს, ქართულს-კი არა, ამიტომ ბავშვები ვერც ერთს სწავლობენ და ვერც მეორეს, თათრული ენის არა და რუსული ენის შესწავლა ძალიან სურთ, ენატრებათ, რუსული ენის წიგნებსაც კი ითხოვენ, ხოლო ისე, რომ ქართული ენის დახმარებით, რომელ რუსული სიტყვაც არ ესმის ჩვენ ბავშვებს, ის მასწავლებელმა ქართული ენით აუხსნაო. ქართული ენა კი აქ დამხობილი აქვსთ, მასწავლებლებათ ნიშნავენ ისეთ ბერძნებს, თათრებს, ლეკებს და სხვებს, რომელთაც ქართული ენა არ იციან, ამიტომ სკოლებში არსებობს დიდი უწესობა, დიდი უდიერობა, როცა ამაზედ ვინმე რამეს ეტყვის, იმათ ეუბნებიან, თქვენ მაგ ენას თავი დაანებეთ, თორემ მერე რუსები გეტყვიან რომ გაქრისტიანდითო. ამას ჩვენ სულ წვრილმან ანგარიშებით, ამის უმაღლესმა მთავრობამ არა უნდა იცო-

დეს-რა, ამიტომ რომ მთავრობა სცნავს მათ ენათ ქართულ ენას. თვით **ვოსტორგოვმა** სთქვა აჭარლებზედ, რომ იქ ქართული ენა უნდა იქმნეს შეტანილიო. ასევე ამბობდნენ ბათუმის გუბერნატორები და თვით სწავლულ რუსის განერალი **ვეიდემბიუმიც** აი რას ამბობს ქართველ მაჰმადიანთ და მათ დედა-ენის შესახებ. ამას აქ მე რუსულად მოვიყვან, რომ ვინმემ ცილი არ დაგვწამოს აი თვით სიტყვები:

„Там где турецкого язика не понимають (такшя места еще есть), будеть, конечно, мь ходу груанискій языккь. Не и тамь, гдетурецкій языкь понятень народу, официальнымьязыкомь, по моему мненію, должень быть грузинскій. Этоть последный языкь началь забываться главнымь образомь вследствіе того, что при турецкомь правительстве все власти говорили сь народомь потурецки и отнтсились презрительно кь грузинскому языку, какь не мусульманскому, такь что даже названіе „грузинь" считалось постыднымь. Следоваельно, если ныне власти вновь заговорять погрузински, то и народь по-неволе вспомнить свой старый родной языкь и заговорить на немь. А это очень важно. Возстановленіе грузинскаго языка возобновить вь народе еше не вполне уснувшія воспоминанія племенной связи сь Грузіей и, следовательно, населеніе будеть нравственно яготеть кь ней какь геперь тяготеть кь одноязычной и одноверной сь нимь Турціи. Затемь надо иметь вь виду, что вь народноомь понятіи турецкій языкь соединяется сь поеятіемь христіанства. Следовательно, сь восстановленіемь грузинскаго языка сама собою порвется одна изь связей сь мусульманской идеей. Я не говорю о насильственномь введеніи грузинскаго языка. Я желаю только, чтобы власти, имея надобность письменно или устно обратиться кь народу, обрашались кь нему по-грузински. Этого будеть достаточно: если грузинскій языкь началь исчезать отчасти потому, что при туркахь вь немь не было надобности, то теперь онь можеть также вазстановиться, когда народь услишить грузински языкь изь

уста своихъ начальниковъ. Во всякомъ случае переходъ отъ грузинскаго къ русскому будетъ со временемъ легче, какъ отъ христіанскаго къ христіанскому, чемъ отъ турецкаго къ русскому, такъ как эти два языка олицетворяютъ собою въ глазахъ народа религіозную идею."

ეს აღწერა. ანუ ამის დასკვნა ის უნდა იყოს, რომ მთავრობას კარგი, ერთგული ქვეშევრდომი ჰყვანდეს, კაი მოქალაქენი. კარგი მშრომლები და ერთგულნი როგორც სახელმწიფოს, ისევე თავის ოჯახის და ცოლშვილის, თვით ქართველ მაჰმადიანებმა უნდა იცოდნენ, რომ თვით რუსეთის უმაღლესი მთავრობა სცნავს მათ ენათ ქართულ ენას, ამიტომ იგინი ადგილობრივ მოხელეებს არ უნდა შეუშინდნენ, მათ უნდა აუწყონ პირნათლათ, რომ მათი ენა ქართული ენა არის, რომ მათ ამ ენის დახმარებით სურთ რუსული ენის უფრო უკეთ შესწავლა. რუსული ენის შესწავლა ამათვის აუცილებელ საჭიროება არის, ხოლო მისი შესწავლა დედა-ენით უნდა იქმნეს, რომ ბავშვებმა ადვილად შეიგნონ რუსული სიტყვები. უკეთესად და უფრო მალე ისწავლონ რუსული ენა და წერა-კითხვა. მუნჯურის ოსტატობით-კი აქ ბავშვები რუსულს ვერ შეისწავლიან და ყოველთვის დარჩებიან უსწავლელად, როგორც დღემდე არ იციან კარგად რუსული ენა.

ამიტომ ქართველ მაჰმადიანებმა უნდა ეცადნონ, უმაღლეს მთავრობას თხოვნა მისცენდა ყოველივე აცნობონ და თან დაავალონ ისიც, რომ მათ დაენიშნოთ ქართული ენის მცოდნე მასწავლებლები, რომელნიც ქართული ენის და წიგნის დახმარებით რუსულ ენას და წერა-კითხვას უფრო ადვილათ და უკეტესად შეისწავლიან, ასეთის შესწავლით რუსულ ენას მერე მთელი ქართველ მაჰმადიანები შეიხრცებიან, თვით მთის ცდით ეს ენა ლაზისტანშიაც კი გადავიდა. ქართველ მაჰმადიანებმა ეს არ უნდა დაივიწყონ, ამიტომ თამამად უნდა მიმართონ კავკასიის უფროს გამგეებს და დაავა-

ლონ თავიანთ თხოვნა, თავიანთ საჭიროება და მოკლეთ ისიც თუ უამისოთ მათ სკოლებში რა დაბრკოლება იქნება.

იმედია მთავრობა მათ თხოვნას უყურადღებოდ არ დასტოვებს, ამის საშუალებით ქართველ მაჰმადიანთ ბავშვებიც ასცდებიან დიდს წვალებას და იმ უნაყოფობას, რასაც იგინი სკოლაში უდედაენოთ ყოველთვის ეწვალებიან და იტანჯებიან. იმედია ამათ თხოვნას შეიწყნარებენ.

ამ შეწყნარების საფუძვლათ უნდა იქონიოთ სახეში შემდეგი მაგალითებიც: ქართველ მაჰმადიანებმა ათასჯერ განაცხადეს ნატვრა მასზედ, რომ ნეტამც „ყურანი" ჩვენს დედა-ენაზედ გვექმნასო, თორემ ოსმალურს და არაბულს ენაზედ ხალხს-კი არა და თვით მოლებსა და ხოჯებსაც არ ესმითო. ეს ნატვრა შესრულებულ იქმნა ქრისტიან მოძმე ქართველთაგან. **პეტრე მირიანაშვილმა** ქართულს ენაზე „ყურანი" სთარგმნა და დღეს იგი დაბეჭდილიც არის. ეხლა ამ წიგნს ქართველ მაჰმადიანები თავიანთ ენაზედ კითხულობენ.

ამას გარდა არაბულს ენაზედ არის ისეთი ლოცვები, რომელთა თარგმნაც მათ არ სურთ, ხოლო მათი შესწავლა-კი უნდათ, მაგრამ სწავლა უძნელდებათ, რადგანაც ლოცვები არაბულის ანბანის ასოებით არის ნაბეჭდი. ეხლა ჩვენ ეს ლოცვებიც აი ასე ქართულის ასოებით დავბეჭდეთ, რასაც ქართველ მაჰმადიანები ადვილად სწავლობენ, რადგანაც ქართულ ანბანს იგინი ორი კვირის განმავლობაში სწავლობენ და არაბულ ანბანს-კი სამი-ოთხი წელიწადი ეწვალებიან და მაინც ვერ სწავლობენ ისე რომ მათ შეეძლოთ თავისუფლად წაკითხვა. ქართული ანბანით-კი აი როგორ იხატება მათი საჭირო ლოცვები.

საბახ ნამაზის ლოცვის დუსი

ა.

„სუბჰანე, ქელაჰუმე, ქელაჰუმე ვები-ე მედიქე. ვეთე ბარექეს მუქე, ვეთე ალაა ჯედუქე, ვველა, ილააჰე ღეირლუ, ეყზუ ბილა-ი მინეს შეიჰყანირ, რეჯიმ ბისმილა-ირ რახმანირ რახიმ".

ბ.

„ელჰემ დულილაი რობილ ალე მინეე იმინე ერა- მანით რა-იმ, მალიქ ევ მიდინი, იააქენე ბიდიუ, ვეიაქე ნესთეყინ იდინე სირატყელ მუსტეყიმე, სვირმტყელე ლედინე ენე ემთე ალეი-იმ ღერლი მეღდუბი ალეი-მ ველედ დუალინ ამინ".

დავარწმუნებთ ყველას, რომ ქართულ მაჰმადიანები სხვა ტომის იყვნენ, თურქები, ქურთები, ანუ ყაზანის თათრები, ესენი თავის დღეში ამ ანბანით დაწერილი არაბულ ლოცვებს არ წაიკითხავენ, მაგრამ კითხულობენ დღეს ამ ანბანით თავის სჯულის ლოცვებს მიტომ, რადგანაც მათ კარგად შეიგნეს, რომ მათი დედა-ენის ანბანის ასოები ეს არის და მიტომაც ეპატრონებიან და ეხვევიან გარს ამ ანბანს. ამაზედ უფრო უაღრესი, მარტივი მაგალითი გახლავსთ ახალგაზრდა **აიდარ ბეგ აბაშიძე**, ბათუმელი, კარგის ოჯახისშვილთაგანი; რომელმაც „ბათუმის ქართულ გაზეთში" წერილები და ქართველ მაჰმადიანთ შესახებ და ერთის წერილით ისიც-კი განაცხადა, რომ ჩვენ, ქართველ მაჰმადიანებს-კი ნუ გვიწოდებთ, რაც ჟამთა ვითარების და ოსმალოს მახვილის წყალობით გვეწოდაო, არამედ ჩვენც ისე გვიწოდეთ, როგორც თქვენ იწოდებითო, რომ **ქართველიო**. თუ-კი თქვენ არ იტყვით კითხვის დროს, თუ მე ქართველ ქრისტიანი ვარო, მაშასადამე ჩვენ რაღა ძალა გვადგა რომ ქართველ მაჰმადიანი ვიძახოთო. მოკლედ ვსთქვათ **ქართველი** და ესეც კმარაო. ეს ჩვენმა თანამემამულე მუსულუმან ქართველობამაც შეიგნოსო.

ეს განცხადება თუ რამდენად კეთილშობილური არის და ბუნებრივი, ამას განმარტება აღარ სჭირია, სხვაფრივ ვინატრებთ ამ ძვირფას მამულიშვილის დღითი დღე ზრდას, წარმატებას და დაწინაურებას მთელს ქართველ მუსლიმანებში. აქ, ასეთი სასიამოვნო მოვლენას გარდა არ შეიძლება არ დავასახელოდ კვალად შემდეგი:

მეორე ქართველი მაჰმადიანი, სახელდობრ **დურსუნ ქიქავა**, რომელმაც 1907 წ. აი რა შინაარსის წერილი მომწერა, მომყავს სიტყვა-სიტყვით:

ართვინი 5 დეკემბერი, 1907 წელს.
თბილისში

უღრმესად პატივცემულო ზ. ჭიჭინაძევ

პირველად ყოვლისა გიძღვნი სალამს დიდის პატივისცემით, გარდა ამისა ვიხდი თქვენ წინაშე ბოდიშს. რომ წერილის მოწერა. პატივცემული წერილი მივიღე, ძალიან მესიამოვნა, მაგრამ როგორც თქვენი წერილის შინაარსი გავიგე და კიდევ სხვა თქვენი გამოცემული წიგნები წავიკითხე დიდი ღვაწლი დაგიდვიათ ქართველ მაჰმადიანებზე, ჩვენ ქართველ მაჰმადიანებს ვერ დაგვიფასებია თქვენი შრომა, მხოლოდ იყავთ დარწმუნებული, რომ თქვენი დიდიებული შრომა ჩვენზე ამეოდ არ ჩაიარს, მაინც ადრე თუ გვიან ის თქვენი შრომა თავის კალაპოტში გაივლის, როგორც რომ თქვენ გსურთ, ჩვენ ჯგუფს გვჯერა. რომ ჩვენო მოძმე ქართველები ყოველ საშვალებას აღმოგვიჩენენ ყველაფერში და მათი ამოჩენილი საშუალება იქნება ჩვენთვის დიდი სასარგებლო, და დიდი იმედიც გვაქვს თქვენი, თუმც დღემდი თქვენი ნაშრომი გაქვთ მიღებული, მაგრამ იყავით დარწმუნებული, რომ აწინდელი თქვენ ნაშრომს ერთ-ორათ მიიღებთ. ძალიან დი-

დათ დამავალებთ, თუ „ქვათა ღაღადს“ **ილ. ჭავჭავაძისა** გამომიგზავნა ნალოჟნი პლატეჟით.

თქვენი კეთილის მსურველი **დურსუნი.**

ჩემ ადრესი თქვენ მოგეხსენებათ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს წერილი მოწერილი არის 1907 წ. ცხადი საქმე არის, რომ სადაც ასეთ გულშემატკივარ ქართველ მაჰმადიანები სცხოვრობენ, იქ ასეთების სცდით დღითი დღე ნათელი შეხედულება ფეხს აიდგავს, ქართველ მაჰმადიანები განვითარების და მოქალაქობის ასპარეზედ გამოვლენ. ამის ცხადი თავმდებია **აიდარ ბეგ აბაშიძის** გავლენა და მისი რეალური შეხედულება ჩვენს ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრებაზედ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღეს მათ შორის **აიდარ ბეგის** და **დურსუნ ქიქავას** გარდა სხვებიც იქმნებიან უკვე გამცნებულნი.

აქ ცდა და შრომა არის საჭირო, თორემ ქართველ მაჰმადიანები დროით გაახელენ თვალს, ისარგრბლებენ იმ უფლებით, რაც მათ მთავრობისაგან აქვსთ მინიჭებული და მითვისაც ერთი ათად დაწინაურდებიან, უამისოდ არ შეიძლება, რადგანაც თუმცა არა ხშირად მაგრამ ქართველ ქრისტიანებშიაც სჩდებიან ისეთ გულ შემატკივარნი პირნი. რომელნიც მათ ცხოვრებას ბეჯითის თვალით უმზერენ და ხშირად მათზედ სწერენ და ლაპარაკობენ კიდეც.

კოწია მაჭავარიანი, კაცი ცნობილი მოღვაწე ქართველი ერის წინაშე და დიდათ გულშემატკივარი პირი, რომელმაც ქართველ მაჰმადიანთ შესახებ ბევრი იშრომა, ამის ცდით ჩაინერგეს მათში სახალხო სკოლების დახსნის საძირკველი. ამავე ასწერა „ივერიაში“ ლივანის ხევი, სადაც ერთ ალაგას ასე საუბრობს:---**„უნდა რცხვენოდეს ცბიერ მამულიშვილს, რომ აქომდე არავის იმათგანს არ დაუთვალიერებია ართვანის მაზრა და არც უფიქრია, არის თუ არა სა-**

ჭირო გავრცელება წერა-კითხვის ქართველ მაჰმადიანთ შორის“. და სხვა მრავალ ამ გვარნი ამ მოღვაწე პირისა.

სიტყვა, ცნობილი მწერალი მოღვაწე ქართველობაში, რომელიც ყოველთვის მაღალ მამულიშვილურის მიმართვით იცავს ქართველ მაჰმადიანთ დაწინაურების ნატვრას, ამის წერლებიც ბრწყინვენ მაღალის მამულიშვილობით და ბრწყინვალეს ნატვრით, რათა დროით განსპეტაკდენ იგინი.

სხვებს ჩვენ არ ვასახელებთ. სადც აქ ეს ორი დავასახელეთ, იქ ამათ გარდა ოცი და ასიც გახლავსთ. ასეთივე გახლავსთ, ყველასგან პატივცემული და ცნობილი მღვდელთმთავარი **ლეონიდი.** თვით ამ პატივცემულ ყოვლად სამღვდელოს, რომლის ნაწილსაც შეადგენს ეს კუთხე, ენატრება უაღრესად მათი დაწინაურება, განათლება.

ბევრი ლაპარაკის შემდეგ დავაბოლავებთ ასე: ქართველ მაჰმადიანებს რაც გინდა ნაკლი აქვნდეს, იგინი სასწორით და პატიოსნესით ქრისტიან ქართველებზედ ბევრად მაღლა დგანან, ამის მხრით მათი შედარება არ შეიძლება. მათში ტყუილი, შარი და ყოველივე ის რაც ჩვენში არსებობს, შეუძლებელია და წარმოუდგენელი. ამით მისაბაძნი არიან იგინი. მთელი წლობით რომ იაროთ მათ შორის, თქვენ ვერ გაიგონებთ ერთ რამ სალანძღავ სიტყვას, ან სხვა რამ ამ გვარს რაც ჩვენ შორის ხშირია. ქართველ მაჰმადიანთ ზრდილობა არის სამაგალითო და მისაბაძი, ერთად ერთი მათი სწავლით არის დაწინაურება და სანატრი.

ქართველ მაჰმადიანთ ბეგები და აღიები თხოვნა მათ წოდების აღდგენის გამო

ის იყო 1878 წ. ომი გათავდა, ქართველ მაჰმადიანთ შორის ეს საქმე ბევრს ესიამოვნა, ნამეტურ მათ ვისაც აქ დარ-

ჩენა სურდა და ცხოვრება. ასეთ პირებში ზოგნი ბეგებიც ერივნენ, რომელთა შთამომავლობაც ძველად ქართველთ თავადის შვილების ოჯახებს ეკუთვნოდნენ. ამათ გაახსენდათ თავიანთი ძველი წარსული. მამაპაპათ წოდება: თავადობა და აზნაურობა. ამის გამო ლაპარაკიც მომართეს და თხოვნა უმაღლეს მთავრობასთან, რომ ჩვენ ძველად, ქართველ მეფეთა დროს, თავადნი და აზნაურნი ვიყავით, მერე ეს ღირსება ოსმალეთმა ჩამოგვართვა, მის მაგიერ ბეგობა მოგვეცაო. ეხლა რაკი ჩვენს მონათესავე ქართველებს შეუერთდით, ამიტომ გვსურს, რომ ჩვენ აღდგენილ გვექმნეს ჩვენი თავად-აზნაურობაო.

ქართველ მაჰმადიანთ ბეგიების და აღიების შესახებ მოვიყვანთ შემდეგს: ქართველ თავად-აზნაურები ამ წოდებას ჰკარგავდნენ მაშინ, როცა იგინი ისლამს უკავშირდებოდნენ. ასე რომ ზოგმა თავად-აზნაურმა ადრე დაკარგა თავისი წოდება, ზოგმა გვიან. ასეც იყო, რომ თავადი აზნაური ოსმალოს ქვეშევრდომად იყო, მაგრამ იგი ქრისტიანობის მეოხებით თავადად და აზნაურად ირიცხებოდა, თუმცა ოსმალეთის მთავრობა მის თავად-აზნაურობას არად სთვლიდა, ამ წოდებას მთავრობა მხოლოდ მაშინ იცავდა, როცა იგინი ისლამს დაუკავშირდებოდნენ. მაშინ ამის მაგიერ იგინი მიიღებენ ბეგობას, აღა ბეგობას, სანჯაყ ბეგობას და სხვანი. უისლამოდ კი ეს შეუძლებელი იყო. ამიტომ ზოგს თავად-აზნაურს ადრე დაუკარგეს თავისი წოდება, ზოგს გვიან, უმთავრესად კი ოსმალოს მთავრობისაგნ ამ წოდების გაუქმების ხანა უნდა მიეწეროს 1730 წლებს. ამ დროს მათ გამოაცხადეს სამუდამოდ, რომ თავად-აზნაურობის წოდების ტარება აღიკრძალაო. ამ დროს, აქაურ თავად-აზნაურებს ყველა საგვარეულო ცნობებიც ჩამოერთვეს და მის მაგიერ ოსმალური მოწმობანი მისცეს, ანუ თაფები.

ესეთი მოწმობანი მათ მიტომ მისცეს, რადგანაც ამ დღიდამ როცა ქართველთ მაჰმადიანთ თავად-აზნაურნი ჰკარგავდნენ თავიანთ წოდებას, იმ დღიდამ მათ ხელიდამ ეცლებოდათ თავისი საკუთარი მამულებიც. ძველ დროს, ქართველ მეფეთაგან ბოძებული სიგელ-გურჯები საკუთრების შესახებ და ამ დღიდამ ეს მამულებიც შერიცხული ხდებოდა ოსმალოს მთავრობის საკუთრებად, ხოლო მასზედ მცხოვრებ ბეგებს მფლობელად, ანუ გამგეთ, იმ უპირატესობით-კი რომ ამის ფლობის ძალა მათს ხელში უნდა ყოფილიყოს ყოველთვის და მემკვიდრეობიდამ მემკვიდრეობაზედ უნდა გადასულიყოს. აწინდელ ქართველ მაჰმადიანთ ბეგებმა ეს საგვარეულო საქმე და ადგილ მდებარეობის უფლება უკანონოდ იცნეს და ამიტომ ხმა აღიმაღლს, რომ ჩვენ ჩვენი უფლება და წოდება დაგვიბრუნდეს ისევე, როგორც ეს ჩვენ ძველად გვქონია ქართველ მეფეთაგან ბოძებულიო.

ამის შესახებ პირველათ მათ ხმა დასძრეს 1878 წლის გასულს და მის მერე მთავრობასაც მიმართეს შეერთებულის თხოვნით, რომელ თხოვნას დიდით მფარველობდა თავადი **გრიგოლ გურიელი** და იმ დროის მთავარმართებლის თანაშემწეითავ. **ლევან მელიქიშვილი,** რომელიც ქართველ მაჰმადიანთ საქმეებს დიდის გულის მტკივნელობით უმზერდა. თვით ამ პირის თანხმობით შეაგულიანა გრიგოლ გურიელმა ქართველ მაჰმადიანთ ბეგიები თავად-აზნაურობის თხოვნაზედ.

დღეს ამათი საქმე სახელმწიფოს სამინისტროს სათათბიროშია გადაცემული და იქ განიხილავენ და განჩინებას მისცემენ ამათ დავალებას. ცხადი საქმეა, რომ აქ უმთავრესად ისტორიულ გამოკვლევას უნდა მიექცეს ყურადღება.

ქ. 1888 წ.

ზაქარია ჭიჭინაძის ბიბლიოგრაფია

1 (540)* ქართული სახალხო სიმღერები, წ. I, ტფ. **ე. ხელაძის** სტ. 1877, 16 გვ.2 (583) საჩუქარი ქართველ ყმაწვილებს, თბ. **ე. ხელაძის** სტ. 1878, 48 გვ.3 (819) სახსოვარი **ბატონიშვილის ალექსანდრეს ძის ირაკლის** გარდაცვალებაზე, თბ. **ა. დრევიჩის და არ. კალანდაძის** სტ. 1882, 11 გვ.

4 (842) **მთაწმინდელი,** ზ. იოვანე შავთელი (აბდულმესია) XII საუკუნეში, თფ. ლ.გ. კამარენკოს სტ. 23 გვ.

5 (907) **მთაწმინდელი,** ზ. ქართული კალენდარი 1884 წ. ტფ. **ვართანიანცის** სტ. 1884, 50 გვ.

6 (908) **მთაწმინდელი** ზ. შოთა რუსთაველი 1172-1216. **ი. მესხიევის** გამოცემა. **არ. კალანდაძის** სტ. 1884, 698 გვ.

7 (964) **მთაწმინდელი** ზ. ნიკოლოზ ბარათაშვილი 1816-1845, თბ. **არსენ კალანდაძის** სტ. 1885, 40 გვ.

8 (987) ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდამ მეთექვსმეტე საუკუნემდე. თბ. **როტინიანცის** და C^0 სტ. 1885, 33 გვ.

9 (1026) **მთაწმინდელი** ზ. ბესიკი, თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე, თ. გრიგოლ ორბელიანი, თბ. **მელიქიშვილის** სტ. 1886, 64 გვ.

10 (1035) **სანდალა,** ხელოსნები. თფ. **ე. ხელაძის** სტ. 1886, 30 გვ.

11 (1089) **მთაწმინდელი** ზ. იოსებ დავითაშვილი 1850-1887, თბ. **ექ. ხელაძის** სტ. 1887, 50 გვ.

12 (1116) ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში. თბ. **როტინიანცის** სტ. 1887, 34 გვ.

---

* ფრჩხილებში მოთავსებულია ქართული ბიბლიოგრაფიის საერთო ნომერი.

13 (1165) **სანდალა.** წერილები ქართულს მწერლობაზე. ტფ. **ე. ხელაძის** სტ. 1888, 79 გვ.

14 (1186) ქართული მწერლობა და ქართველი მწერლები მე-17 და მე-18 საუკუნეებში, თბ. **ე. ხელაძის** სტ. 1888, 40 გვ.

15 (1220) რობერტ ო(უ)ენი კაცის ხასიათის გადამკეთებელი. თფ. გამომცემელი **ნიკო გიგაურისაგან, ე. ხელაძის** სტ. 1889, 52 გვ.

16 (1261) ვოლტერი. თფ. მ.დ. **როტინიანცის** სტ. 1889, 50 გვ.

17 (1329) უცხოეთის მწერლები, პრუდონი, თბ. გამომცემლობა **გიგო თოიძისგან. ე. ხელაძის** სტ. 1890, 90 გვ.

18 (1370) დიმიტრი ბაქრაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა. თფ. **ი.ა. მანსვეტაშვილის** სტ. 1891. 40 გვ.

19 (1371) ქართველი მაჰმადიანები კინტრიშის ხეობაზედ, თბ. **ა.ი. მანსვეტოვის** სტ. 1891, 48 გვ.

20 (1419) ქართველ მაჰმადიანთა სახალხო ლექსები, შეკრებილი ბათუმში, ქობულეთში, ჩურუქ-სუში, აჭარაში და სხვაგან წიგნი თბ. მანსვეტოვის სტ. 1891, 20 გვ.

21 (1473) დავით ერისთავი. ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ. ქართ. გამომც. ამხანაგ. სტ. 1892, 40 გვ.

22 (1474) დიმიტრი ყიფიანი. ცხოვრება და მოღვაწეობა. ტფ. წიგნის გამომცემელი ქართველთა ამხ. სტ. 1892, 52 გვ.

23 (1475) ვახტანგ ორბელიანი. ცხოვრება და მოღვაწეობა. ტფ. მ.დ. როტინოვის სტ. 1892. 40 გვ.

24 (1537) დაკარგული ბავშვი (ისტორიული ამბავი), ტფ. გამოცემული **ვახტანგ კილაძის** მიერ. წ.გ. ქართ. ამხ. სტ. 1892, 32 გვ.

25 (1577) გამოჩენილი კაცები. სენ-სიმონი, თფ. **ე. ხელაძის** სტ. 1893. 30 გვ.

26 (1578) პლატონ იოსელიანი, ცხოვრება და მოღვაწეობა. ტფ. **მ.დ. როტინიანცის** სტ. 1893, 36 გვ.

27 (1579) სოლომონ დოდაშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა. თფ. **ე. ხელაძის** სტ. 1893, 30 გვ.

28 (1695) **სა-ლა.** დაკარგული ბავშვი ანუ ჭონის შაგირდი სა-ლასი. გამოცემა II. ახალსენაკი, **კ. თავართქილაძის** წიგნის მაღაზიის გამოცემა, მისივე სტამბა, 1894, 31 გვ.

29 (1769) აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი. ტფ. **მ. შარაძის** და ამხ. სტ. 1895, 84 გვ.

30 (1770) მეფე ერეკლეს და აღა-მაჰმად ხანის ომი და ამ ომში იმერლების ღალატი მართალია თუ არა? ტფ. **ან. გოგიაშვილის** გამოცემა. **მ. შარაძის** და ამხ. სტ. 1895. 39 გვ.

31 (1771) საქართველოს მეფე და ორი გლახა, ანუ ბაგრატოვანთა გვირგვინი, II გამოცემა, ტფ. **ზ. გალუსტოვის** გამოცემა, **მ. ბარანიანცის** სტ. 1895, 35 გვ.

32 (1772) საქართველოს შესახებ ევროპელთა მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები. ვახტანგ მეფის წერილები საფრანგეთის მეფესთან, **გრ. ჩარკვიანის** სტ. 1895, 5 გვ.

33 (1773) ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი, თბ. **გ.ე. ხელაძის** გამოცემა და **ექვითმე ხელაძის** სტ. 1895, 55 გვ.

34 (1836) მეფის ირაკლის გმირები. ტფ. **ექ. ივ. ხელაძის** სტ. 1895, 60 გვ.

35 (1882) თავდგირიძინათა გვარის ღალატი და ალიფაშა თავდგირიძე. ახალ-სენაკი. **კ. თავართქილძის** წიგნის მაღაზიის გამოცემა 56 და მისივე სტ. 1896, 50 გვ.

36 (1883) პატრი ნიკოლა, როგორც ექიმი და მისი დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში. ტფ. **ე.ი. ხელაძის** სტ. 1896, 80 გვ.

37 (1996) აკაკი. ტფ. **ა. არაბიძის** წიგნის მაღაზიის გამოცემა 1, **ექ. ივ. ხელაძის** სტ. 1897, 77 გვ.

38 (1997) ნიკოლოზ ნიკოლაძე. ცხოვრება და მოღვაწეობა. ტფ. **ალ. არაბიძის** წიგნის მაღაზიის გამოცემა 11, **ექ. ივ. ხელაძის** სტ. 1897, 81 გვ.

39 (1998) ჭონის შაგირდი (ისტ. ამბავი). მესამე გამოცემა, თბ. **გ.ფ. წივწივაძის** გამოცემა, **ექ. ივ. ხელაძის** სტ. 1897, 32 გვ.

40 (2068) თ. ილია ჭავჭავაძე, როგორც ქართველთა ერთობის მღაღადებელი. ტფ. **მიხეილ გაჩეჩილაძის** გამოცემა, **მ. შარაძის** და ამხ. სტ. 1897. 77 გვ.

41 (2069) საქართველოს მეფე და ორი გლახა, ანუ ბაგრატოვანთა გვირგვინი. მესამე გამოცემა, ტფ. **მიხეილ კიკნაძის** გამოცემა, 1, წიგ. გამავ. ქართვ. ამხ. სტ. 1897, 31 გვ.

42 (2070) სახალხო ლეგენდები და ლექსები. ამირანის ამბები, ეთერიანი, აბრამი და ისაკის ლექსი. **მ. შარაძის** და ამხ. სტ. 1897, 82 გვ.

43 (2071) ქართული კალენდარი 1898, ტფ. წიგ. გამომც. ქართ. ამხ. სტ. 1897. 64 გვ.

44 (2102) ბენია. ქართველი მეფეების ხუმარა. ტფ. **ალ. ბარამიძის** გამოცემა, 1, **ექ. ხელაძის** სტ. 1848. 48 გვ.

45 (2103) უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა. ტფ. ექ. **ი. ხელაძის** სტ. 1898, 95 გვ.

46 (2173) ქართული კალენდარი 1898 წელიწადი მესამე, თბ. წიგ. გამომც. ქართ. ამხ. სტ. 1898, 128 გვ.

47 (2216) საქართველოს შესახებ ევროპელთა მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები., II გამოცემა, თბ. **ე.ი. ხელაძის** სტ. 1899, 64 გვ.

48 (2292) თამარ მეფე. II გამოცემა, შევსებული. თბ. **მაქ. შარაძის** და ამხ. სტ. 1899, 36 გვ.

49 (2327) ისტორია ქართულის სტამბის და წიგნების ბეჭდვისა. 1626-1900. ტფ. **ექ. ივ. ხელაძის** სტ. 1900. 55 გვ.

50 (2328) ქართველი ხელოსნები და ხელოსნობა საქართველოში (პასუხად საერთაშორისო უფლებათა პროფესორს ეგიაზაროვს) ტფ. **ი. ი. ხელაძის** სტ. 1900, 20 გვ.

51 (2391) იაკობ გოგებაშვილი. თბ. **მ. შარაძის** და ამხ. სტ. 1900, 32 გვ.

52 (2392) მათხოვრები ანუ სიღატაკე საქართველოში. თბ. 1900, 78 გვ. ტექსტის ბოლოს **ია მარუშიძე**.

53 (2430) აღა-მაჰმად ხანის თავის მკვეთელი მცხეთელი ანდრია (სადიხა) და მორჩილი რაჟდენ ბარამიძე. თბ. **იობ ისაკაძის** გამოცემა. **მ. შარაძის** და ამხ. სტ. 1901. 31 გვ.

54 (2486) სამხრეთი საქართველო. სომხითი. თბ. **მ. შარაძის** და ამხ. სტ. 1901. 31 გვ.

55 (2487) საქართველოს მეფე და ორი გლახა ანუ ბაგრატოვანთა გვირგვინი. ყვირილა. გამოცემა „გლეხისა", 12, **მიხეილ გაჩეჩილაძის** სტ. 1901, 39 გვ.

56 (2488) ქართველების გათათრება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართელოს ქართველებში (XVII-XVIII სს), ტფ. **ტ.მ. როტინიანცის** სტ. 1901, 117 გვ.

57 (2543) ბენია ქართველთ მეფეების ხუმარა, გამოცემა II, ფოთი, **ლ.მ. ტუღუშის** სტ. 1902, 48 გვ.

58 (2544) ივ. ივ. კერესელიძე. ცხოვრება და მოღვაწეობა. 1829-1893. თბ. სტ. გუტენბერგი, **გრ. დიასამიძისა**. 1902, 48 გვ.

სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები. ზ.ჭ.

59 (2622) **ექვითმე ივანეს ძე ხელაძის** სტამბის 30 წლის არსებობის დღესასწაულის გამო. გადმობეჭდილი ჟურნალ „მოგზაურობიდან". თბ. **ივ. ხელაძის** სტ. 1902, 16 გვ.

60 (2623) ისტორია ქართულის გაზეთების და ჟურნალებისა თბ. **ტ.მ. როტიანიანცის** სტ. 1902. 64 გვ. გადმობეჭდილი „კრებულიდამ".

61 (2624) მეფე ირაკლის გლეხი გმირები. ბათომი. **ძმები თავართქილაძეების** სტ. 1902. 47 გვ.

62 (2668) გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე. ტფ. **ა. ქუთათელაძის** სტ. 1903, 64 გვ. სიტყვები: **ნებოძირელი (ილია ფერაძე), შიო დავითაშვილი, ნ. ურბნელი, ი. ფარი, მ.ო., დ. გაბრუაშვილი, ნ. ნანობაშვილი, გ. მაჭარაშვილი, ექ. მიქაბერიძე, ილია ჭავჭავაძე.**

63 (2677) ჭონის შეგირდი (ისტ. ამბავი) მე-4 გამოცემა. თბ. **ძმები თავართქილაძეების** გამოცემა 96 და მათივე სტ. 1903, 32 გვ.

64 (2703) **მარუშიძე, ია** (ჭ.ზ.) ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები. თბ. სტ. **კონსტ. ზუბალაშვილის** გამოც. 22, **ე.ი. ხელაძის** სტ. 1903, 35 გვ.

65 (1774) კათოლიკეთა ეპისკოპოსის მობრძანება საქართველოში, ბთ. **ექვ. ივ. ხელაძის** სტ. 1903, 16 გვ.

66 (2775) კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, ტფ. **არ. ქუთათელაძის** სტ. 1903, 168 გვ.

67 (2776) მრეწველობის წარმომადგენნი და ზუბალაშვილების გვარის ისტორია. ტფ. **არ. ქუთათელაძის** სტ. 1903 (კანზე 1904), 224 გვ.

68 (2777) ღვთისმშობლის კათოლიკეთა ეკლესია ბათუმში, თბ. **არ. ქუთათელაძის** სტ. 1903. 23 გვ.

69 (2778) სიტყვები და წერილები ყოვლად სამღვდელო ალექსანრეზე. თფ. **„ნადეჟდას“** სტ. 1903, 119 გვ.

70 (2932) გორგი დავითის ძე ქართველიშვილი. თბ. **კ. თავართქილაძის** სტ. 1904. 40 გვ.

71 (2933) ისტორია ხურსიძის (ისრალოვი) გვარისა და შოთა (შიო) რუსთაველი. თფ. **არ. ქუთათელაძის** სტ. 1904, 108 გვ.

72 (2934) სამაგალითო ადამიანი. სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. მეორედ დაბეჭდილი, თბ. **გრ. ნ. დიასამიძის** სტ. 1904, 74 გვ.

73 (2935) ქართველ კათოლიკეთ არქიმანდიტი პავლე შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი). 1769-1855, თბ. **გრ. ნ. დიასამიძის** სტ. 1904, 72 გვ.

74 (2926) ქართველ კათოლიკეთ მოღვაწე ივანე გვარამაძე (ვინმე მესხი). თბ. გრ. **ნ. დიასამიძის** სტ. 1904, 40 გვ.

75 (2937) ქართველ კათოლიკეთა მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცნობები. თფ. **არ. ქუთათელაძის** სტ. 1904, (კანზე 1905). 100 გვ.

76 (2938) ქართველ კათოლიკეთა პატრი მიხეილ თამარაშვილი და მისი რომანი **ა. ქუთათელაძის** სტ. თბ. 1904, 32 გვ.

77 (2936) ქართველ ებრაელნი საქართველოში. თ. **გრ. დიასამიძის** სტ. 1904. 103 გვ.

78 (2940) ქართველ კათოლიკეთა და საქართველოს დაკარგული სოფლები, თბ. **გრ. ნ. დიასამიძის** სტ. 1904, 119 გვ.

79 (3025) **მარუშიძე, ია** (ჭ.ზ.) მათხოვრები ძველიდან, ანუ პაუპერიზმი და პროლეტარიატი. **ე. ხელაძის** სტ. 1905. 78 გვ.

80 (3083) სამცხე-საათაბაგოს. ტფ. **არ. ქუთათელაძის** სტ. 1905. 118 გვ.

81 (3084) საქართველოს ვაჭრობა და მრეწველობა ძველად და გრიგოლ ხურსიძე და სტეფანე ივანეს ძე ზუბალაშვილი ინდოეთში. თბ. **გრ. დიასამიძის** სტ. 1905. 47 გვ.

82 (3085) სახსოვრად მოგონება სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილისა. თავ. **გრ. დიასამიძის** სტ. 1905. 88 გვ.

83 (3086) ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა. თბ. **ე.ი. ხელაძის** სტ. 1905, 128 გვ.

84 (3087) ქართველ კათოლიკეთა ყველა ასპარესზედ და ზოგი რამ წერილები დასავლეთ საქართველოზე. თფ. **არ. ქუთათელაძის** სტ. 1905. 84 გვ. (სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილის ხსენებისა და სახელის სახსოვრად).

85 (3088) ქველმოქმედნი ლევან, პეტრე და იაკობ კონსტანტინე ზუბალაშვილები. ტფ. **ე. ხელაძის** სტ. 1905. 32 გვ.

86 (3205) **მარუშიძე, ია** (ჭიჭინაძე, ზაქარია). სენ-სიმონ. თბ. **მ.ე. ხელაძის** სტ. 1906. 33 გვ.

87 (3206) **მარუშიძე, ია** (ჭ.ზ.) უცხოელი მწერლები და ისტორიის ეკონომისტ-პუბლიცისტები, ლუიბლანი. ტფ. **ვ. ქუთათელაძის** სტ. 1906, 96 გვ.

88 (3207) **მარუშიძე, ია** (ჭ.ზ.) ფურიე და მისი ასოციაციური და კოოპერატიული სწავლა. თბ. **მ.ე. ხელაძის** სტ. 1906. 32 გვ.

89 (3301) თბილისის ამბოხება ანუ ბუნტი 1865 წ. პოეტი გრ. ორბელიანი და ნიკ. ჭავჭავაძე, თბ. **დავ. პიტნავას** გამოცემა. სტ. **„განათლება“**, 1906, 43 გვ.

90 (3302) მესხეთ-ჯავახეთის გათათრება. ტფ. სტ. **„იდეალი“**, 1906, 43 გვ.

91 (3303) მოკლე ისტორია ქართულის თეატრისა. 1791-1906. თფ. **კ. თავართქილაძის** სტ. 1906. 20 გვ.

92 (3304) მრეწველობის წარმომადგენნი და ისტორია ზუბალაშვილების გვარისა. თფ. **მ.ე. ხელაძის** სტ. 1906. 224 გვ.

93 (3305) ნიკოლოზ გიორგის ძე ზუბალაშვილი. თბ. სტ. **„სორაპანი“**, 1906, 32 გვ.

94 (3455) საქართველოს გაერთიანების აზრი XVIII საუკუნეში. თბ. **„სორაპანის“** სტ. 1907, 206 გვ. (გადმობეჭდილი 1903 წ. „მოგზაურობიდამ“).

95 (3456) ქართველების გამაჰმადიანება მეორედ დაბეჭდილი, თბ. სტ. **„სორაპანი“**, 1907, 112 გვ.

96 (3457) ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველები. მესამე გამოცემა, თბ. **„ძმობის“** სტ. 1907, 80 გვ.

97 (3517) დიდებული საქმე ქართველი ერისა. ტფ. **„ძმობას“** სტ. 1908, 62 გვ.

98 (3633) ისტორია ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვისა. 1709-1909, მეფე ვახტანგ მეექვსე, თფ. სტ. **„შრომა“**, 1909, 36 გვ.

99 (3700) მრეწველობა. ვაჭრობა. ხელოსნობა საქართველოში. I, დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, ტფ. **„შრომას“** სტ. 1909, 160 გვ.

100 (3701) მუსლიმან ქართველთ საქართველო. ტფ. სტ. **„გუტენბერგი“**, 1909, 32 გვ.

101 (3822) დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. სურათით (1633 წ.) თფ. **„ნადეჟდას“** სტ. 1910, 16 გვ.

102 (3823) სოლომონ ლეონიძე. ტფ. სტ. **„ნადეჟდა“**, 1910,34 გვ.

103 (3911) მრეწველობა, ვაჭრობა. ხელოსნობა საქართველოში. დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, (88 გვერდიდან). თბ.; სტ. **„შრომა“**, 1911, 160 გვ.

104 (4025) თამარ მეფე. ქართველ მაჰმადიანთ პირის ცნობებით. თფ. **„ნადეჟდა“**-ს სტ. 1911, 48 გვ.

105 (4026) ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსლიმან ქართველთ საქართველოსი. ბათუმი, **ვ. ი. ჩანტლაძის და ნ.ი. ხვინგიას** სტ. 1911. 267 გვ.

106 (4236) რუსეთის მამულიშვილების ომი 1812 წ. პეტრე ბაგრატიონი და სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი. თბ. სტ. **„სორაპანი“**, 1912, 36 გვ.

107 (4237) ქართველ კათოლიკეთ სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები: მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი. თფ. სტ. **„შრომა“**, 1912. 64 გვ. სურათით.

108 (4238) ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში მუჰაჯირი-ემიგრაცია. თფ. **ი.ა. მანსვეტაშვილის** გამოცემა. **არ. კერესელიძის** სტ. 1912. 113 გვ.

109 (4457) ისტორიული სურათები ვახუშტის ისტორიისა ტფ. წიგ. გამომცემლობა, **ქართ. ამხ. სტ.** 1913, 14 გვ. სურათი.

110 (4458) ისტორიული სურათები კავკასიის აქტებიდამ, ძველის ქართულის წიგნებიდამ, თამარაშვილის კოლექციიდამ, სიონის და გარეჯის სურათიანის წიგნებიდამ და სხვ. ზოგი სურათი გადმოხატა **ალექსანდრე ცოტაძემ**, ტფ. ქართ. ამხ. სტ. 1913, 32 გვ. სურათები.

111 (4459) მუსლმაინ ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფ. **იაკობ ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილის** საფასით. სტ. „შრომა“. 1913, 322 გვ.

112 (4460) ოსეთის ისტორია. ტფ. **„სორაპანი“**-ს სტ. 1913, 288 გვ.

113 (4461) ნიკოლოზ ბესარიონის ძე ღოღობერიძე და ქართული სტამბა 1672-1913, თბ. **„სორაპანის“** სტ. 1913, 320 გვ.

114 (4679) ანტონ ნიკლოზის ძე ფურცელაძე, 1837-1913 „გარდაცვალების გამო წარმოთქმული სიტყვები, სტატიები და სხვ.“ ტფ. **ა.მ. კერესელიძის** სტ. 1914, 64 გვ).

115 (4680) სამაგალითო ადამიანი სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი. ათი წლის გარდაცვალების შესრულების გამო 4/IX 1904-15/IX 1914), II გამოცემა, თბ. **„სორაპანი“**-ს სტ. 1914, 74 გვ.

116 (4867) ოსეთი ქართული წიგნებით. ტფ. **არ. კერესელიძის** სტ. 1915. 288 გვ.

117 (4868) ქართველების გამაჰმადიანება ანუ ქართველთ გათათრება თბ. **არ.მ. კერესელიძის** სტ. 1915. 226 გვ.

118 (4934) ვახტანგ მეექვსე და სხვათა შრომა ქართული სტამბის წინაშე. ტფ. **ვ. ტყეშელაშვილის** გამოცემა. **„განათლება“**-ს სტ. 1916, 55 გვ.

119 (4935) საქართველოს ერის მიმართვა საფრანგეთს და ინგლისთან. წ. III გამოცემა, ხელოსნის **ვარლამ ტყეშელაშვილის** მიერ. ტფ. **„განათლება“**-ს სტ. 1916, 62 გვ.

120 (4936) ქართულ გაზეთის ასი წლის ისტორია. გამოც. **ვარლამ ტყეშელაშვილის** მიერ. ტფ. **„ნადეჟდა“-ს** სტ. 1916. 64 გვ.

121 (5009) ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზე. ტფ. 1916. სახ. სტ. 14 გვ.

122 (5010) ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. თბ. **ვ. შალამბერიძის** გამოცემა, **ვ. რუხაძის** სტ. 1916. 32 გვ.

123 (5011) ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება და ალი ფაშა თავდგირიძე, თბ. ტ. **მ. როტინიანცის** სტ. 1916, 17 გვ.

124 (5161) ისტორია ქართული მკურნალობისა უძველესი დროიდან. თფ. **ვ. შალამბერიძის** გამოცემა. სტ. **„ქართლი“ (დ-დმ.ი. ციციშვილის)**. 1917, 18 გვ.

125 (5162) პაუპერიზმი და პროლეტარიატის ისტორიული მიმოხილვა აღმოსავლეთის ხალხში. ტფ. **ვიქტორ შალამბერიძის** გამოცემა, **ტ. როტინიანცის** სტ. 1917, 78 გვ.

126 (5163) სარგის თმოგველი და მისი დილარიანი. ტფ. **ვარლამ ტყეშელაშვილის** გამოცემა. სტ. **„ნადეჟდა“.** 1917, 31 გვ.

127 (5164) ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. თბ. **ვ. რუხაძის** სტ. 1917. 177 გვ.

128 (5165) ქართველ მეფეთ დროს ქართველი რესპუბლიკელები და მეფე ერეკლეს წერილები ვენეციის რეს-

პუბლიკური მთავრობის წინაშე. თბ. **ვარლამ ტყეშელაშვილის** გამოცემა, **ტ. როტინიანცის** სტ. 1917, 24 გვ.

129 (5166) წმ. თამარ მეფე. ქართველ მაჰმადიანებში შეკრებილის ცნობებით. მე-4 გამოცემა. ტფ. 1917. 49 გვ.

130 (5208) ლიუტერის სჯულის ქართველები საქართველოში. გადმობეჭდილი 1914 წ. გაზ. „სამშობლო"-დამ. ტფ. **ვლადიმერ შატბერაშვილის** გამოცემა. **საქ. მთავრობის სტ.** 1918. 16 გვ.

131 (5300) საქართველოს ისტორიული სურათები. **დ.ლ. პიტნავას** სტ. თბ. 1918, 32 გვ.

132 (5354) ბატონყმობის გადავარდნის სამზადისის ამბები. დიმიტრი ყიფიანი, კონსტ. მამაცაშვილი და დიდი რევაზ ვაჩნაძე. ტფ. **დ. პიტნავას** გამოცემა, სტ. **„განათლება"**, 1919, 15 გვ.

133 (5464) ისტორია „ფარული საზოგადოებისა". ფილადელფოს კიკნაძე. თბ. სტ. **„განათლება"**, 1919, 24 გვ.

134 (5465) საქართველოს მოსპობა, ქართველი ერის გარუსება და ისტორიკოს პლატონ იოსელიანის წინასწარმეტყველება. თბ. სტ. **„განათლება", დ.ლ. პიტნავასი,** 1919, 32 გვ.

135 (5466) სოლ. დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი „ფარული საზოგადოების" წინაშე. **სახ. სტ.** ტფ. 1919, 17 გვ.

136 (5467) ფარული საზოგადოების დაარსების მიზეზები, თბ. სტ. **„განათლება".** 1919, 16 გვ.

137 (5468) ქართული მწიგნობრობის ისტორიიდამ. ქართული წიგნის (გრ. ჩარკვიანის) მაღაზიის 140 წლის არსებობის გამო. თბ; **დ. პიტნავას** სტ. 1919, 16 გვ.

138 (5753) ასპინძის ომის ისტორიული სიყალბე და რუსის გენერალ ტოტლებენის ღალატის სინამდვილე. თბ. **ქალაქთა კავშირის სტ.** 1920. 16 გვ.

139 (5754) აღა-მაჰმად ხანის მეორეთ შემოსევა და მისი წამქეზებლები 1797 წ. ტფ. **ამხ. „შრომა“**-ს სტ. 1920, 30 გვ.

140 (5755) გერმანელი დოქტორ იაკობ რეინეგსი მეფე ერეკლეს კარზედ. ტფ. სტ. **„შრომა“**. 1920. 16 გვ.

141 (5756) მარიამ დედოფალმა რა მიზნით მოკლა გენერალი ლაზარევი და კრწანისის ომის ამბავი 1795 წ. თბ. სტ. **„განათლება“**, 1920, 18 გვ.

142 (5757) მისტერ ოლივერ უორდროპი და ინგლისის კავშირი საქართველოსთან. მეფე ერეკლეს მიმართვა ინგლისის მთავრობასთან 1780 წ. თბ. სტ. **„სორაპანი“**, 1920, 16 გვ.

143 (5758) პავლე იმპერატორმა როგორ ჩამოართვა გიორგი მეფეს საქართველო. თბ. **ბ. კილაძის** სტ. 1920, 20 გვ.

144 (5759) პეტრე დიდმა როგორ მოატყვილა ვახტანგ მეექვსე და 3000 ოჯახი ქართველთა. თბ. **„სორაპანი“**, 1920, 16 გვ.

145 (5760) რუსეთის გენერალ სუხოტინმა როგორ მოატყუა იმერეთის მეფე სოლომონ მეორე. თბ. **„განათლება“ პიტნავას** სტ. 1920, 18 გვ.

146 (5781) საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან. (XII ს.) ტფ. ალ. არაბიძეს გამოცემა, **ქალაქთა კავშირის** სტ. 1920, 16 გვ.

147 (5762) ქართველ კათოლიკეთ ქართული ტიბიკონის ამბავი. ტფ. **ამხ. „შრომა“-ს** სტ. 1920, 20 გვ.

148 (5309 ხ. ახვლ.)* საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები. თბ. 1924. 80 გვ.

149 (5304 ხ. ახვლ.) ოსმალეთის ყოფილი საქართელო და ქართველ მაჰმადიანთა ნაწილი. ლაზისტანი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხრით. თბ. 1927. 64 გვ.

---

* შეტანილია ხარიტონ ახვლედიანის „ბიბლიოგრაფიაში“.

150 (5306 ხ. ახვლ.) ოსმალთა ყოფილი საქართველო და ქართველ მაჰმადიანთა ისტორიის კონსპექტი 1452-1926 წლებში. თბ. 1927. 32 გვ.

151 ქართველები სპარსეთში. წიგნი ქართველები კონსტანტინეპოლსა და სპარსეთში. თბ. **„მერანი"**, 1990. 65 გვ.

152 ქართველთა გამუსლიმანება. გ-ბა **„არტანუჯი"**, თბ. 2004. 121 გვ.

ზაქარია ჭიჭინაძე — გამომცემელი (ბიბლიოგრაფია)

1 (529) სალამური, ანუ ლექსთა კრება ქართველ მწერალთა, ტფ. **ე. ხელაძის** სტ. 1877, 126 გვ.

2 (804) სალამური, ანუ ლექსთა კრება ქართველ მწერალთა, თბ. **მ.დ. როტინიანცის** და კომპ. სტ. 1882, 16 გვ.

3 (813) ჩახრუხაძე. თამარ მეფის და მეუღლის მისის დავით მეფის შესხმა. ძველი მწერლობა 1187 წლის. თბ. **ალ. დრევიჩის და არ. კალანდაძის** სტ. 1882. 21 გვ.

4 (852) საყმაწვილო ბაღი 1. ტფ. **ლ.გ. კარამარენკოს** სტ. 1883. 78 გვ.

5 (861) შავთელი იაონე. თამარ მეფისა და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა. თბ. 11. **ლ.მ. კარამარენკოს** სტ. 1883. 63 გვ.

6 (867) ჯიშინაშვილი ნიკო. ლანგ-თემურისა და ჯალალ-ედ-დინისაგან საქართველოს აოხრება. **ა. დრევიჩისა და ა. კალანდაძის** სტ. 1883. 16 გვ.

7 (958) იაკობიძე გრ.; ბედნიერება უბედურობისგან კომედია 4 მოქმედებად. თბ. **როტინიანცის** სტ.; 1885. 66 გვ.

8 (992) ალექსიანი. მეორე გამოცემა. ტფ. **მ.დ. როტინაინცის** სტ. 1886. 16 გვ.

9 (1014) თეიმურაზ I, მეფე. ლექსნი თქმულნი მეფის თეიმურაზ პირველისაგან (1591-1665). თფ. **მ.დ. როტინიანცის** სტ. 1886. 64 გვ.

10 (1019) ლექსები. კრებული. თბ. **ადამეცკის** სტ. 1886. 14 გვ.

11 (1105) ქალვაჟიანი. II (11) გამოცემა. თფ. **მ.დ. როტინიანცის** სტ. 1887. 15 გვ.

12 (1107) ქართული ანბანი. III გამოცემა. თბ. **ე. ხელაძის** სტ. 1887. 16 გვ.

13 (1192) ალექსიანი. მოთხრობა. I გამოცემა. ს.მ. მეორე გამოცემიდან. თფ. **ე. ხელაძის** სტ. 1889. 16 გვ.

14 (1317) ქართული ანბანი. IV გამოცემა, თბ. **მ.დ. როტინიანცის** სტ. 1890. 16 გვ.

15 (1342) არსენას ლექსი. მე-16 გამოცემა. თფ. **ი. მანსვეტოვის** სტ. 1891. 16 გვ.

16 (1777) იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. დიმიტრი ბაქრაძის წინასიტყვაობით. თფ. **ე. ხელაძის** სტ. 1895. 421. VIII გვ.

17 (1778) იოსელიანი პლატონ. ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა. II გამოცემა. თფ. **ექ. ი. ხელაძის** სტ. 1895. 8 გვ.

18 (1879) ისარლოვი ლუკა. ლექსნი. ავტორის ფოტო. ტფ. **მ. შარაძის და ამხ.** სტ. 1895. 153 გვ.

19 (1953) ხონელი მოსე. ამირანდარეჯიანიანი. ტფ. **მ. შარაძის** და ამხ. სტ. 1896. 408 გვ.

20 (2002) თმოგველი სარგის. დილარიანი. ტფ. **მ. შარაძისა** და ამხ. სტ. 48 გვ.

21 (2050) ქალვაჟიანი. ბერძნულიდან თარგმნილი 30-ე გამოცემა. ტფ. **მ. შარაძის** და ამხ. სტ. 1897. 16 გვ.

22 (2051) ქართლის ცხოვრება. ტ. I, ტფ. **მ. შარაძის** სტ. 1897. 210. II გვ.

23 (2052) ქართლის ცხოვრება. წ. II, ტ. I. II გამოცემა, **მ. შარაძის** სტ. 1897. 213-650 გვ.

24 (2147) ქალვაჟიანი (მოთხრობა) ბერძნულიდან ნათარგმნი მე-17 ს.-ში. 33-ე გამოცემა, ტფ. **მ. შარაძის** და ამხ. სტ. 1898. 16 გვ.

25 (2265) ქართლის ცხოვრება. წ. 3, ტ. I, თფ. **მ. შარაძის** და ამხ. სტ. 1899 (653-770) VIII გვ.

26 (2363) ქამჯარაძე ხუსეინ-ხაბაზ. ლექსები. თბ. **მ. შარაძის** და ამხ. სტ. 1900. 32 გვ.

27 (2383) ჩახრუხაძე. თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით მეფის ქება. III გამოცემა. ტფ. 1900. 8 გვ.

28 (2542) ვახუშტი ბატონიშვილი. იმერეთის ისტორია 687-1744. თბ. **არ. ქუთათელაძის** სტ. 1902. 82 გვ.

29 (2717) პარიჟის ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველოსი. გადმობეჭდილი მარი ბროსეს დედნიდან. ტფ. **არ. ქუთათელაძის** სტ. 1903. 77 გვ.

30 (3814) ცხოვრება საქართველოსი დიდი მოურავის ამბებით. **კასტელის** სურათით. თფ. 1910. 77 გვ.

31 (3857) არსენას ლექსი. თფ. სტ. **„სორაპანი“**. 1911. 32 გვ.

32 (4311) ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს ცხოვრება 1469-1800მ-დე. თბ. სტ. **„სორაპანი“**. 1913. II 402 გვ.

33 (4402) საქართველოს ცხოვრება. ახალი მოთხრობა 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე. ორ წიგნად. I **სეხნია ჩხეიძის** მიერ; II, **პაპუნა ორბელიანისა; III ომან ხერხეულიძისა;** IV შედეგი კახეთის ცხოვრებისა; V **ფარსადან გორგიჯანიძისა.** II გამოცემა. თბ. **ა. კერესელიძის** სტ. 1913. VIII, 375 გვ.

34 (4938) თმოგველი სარგის. დილარიანი. ტფ. 1916. 48 გვ.

35 (5063) იოსელიანი პლატონ. ტრაქტატი ანუ პირობა მის, თუ საქართველო რა დაპირებით შეუერთდა რუსეთის იმპერიას. თბ. ტ. **როტინიანცის** სტ. 1917. გვ. 32.

ზაქარია ჭიჭინაძე — სხვათა წიგნების წინასიტყვაობის ავტორი

1 (571) **რჩეულოვი გრიგოლ.** ანუკა ბატონიშვილი. (მოთხრობა). ტფ. **არაქელოვის** გამოცემა. **ლ. კრამარენკოს** სტ. 1878-74 გვ. „ავტორის ბიოგრაფია“. **ზ. ჭიჭინაძისა:** I-IV გვ.

2 (595) **ბაქრაძე დიმიტრი.** მირიან მეფე და მისი წმიდა ნინო. თბ. **ა. ხუციშვილის** გამოცემა. **ე. ხელაძის** სტ. 1879. 38 გვ. „შენიშვნა“ **ზაქარია ჭიჭინაძისა.** 3 გვ.

3 (655) თამარიანი. ტფ. **ივანე კალატოზიშვილის და პავლე ფერაძის** გამოცემა. **ე. ხელაძის** სტ. 1880. 70 გვ. წინასიტყვაობა **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

4 (657) **ბაქრაძე დიმიტრი.** საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072). თბ. **ე. ხელაძის** სტ. 1880. 58 გვ. წინასიტყვაობა **ზაქარია ჭიჭინაძისა.** გვ. 3.

5 (813) **ჩახრუხაძე.** თამარ მეფის და მეუღლის მისის დავით მეფის შესხმა. თბ. **ა. დრევიჩის და არ. კალანდაძის** სტ. 1882. 21 გვ. წინა და ბოლოსიტყვაობა **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

6 (837) **ლომოური ნიკო.** ალი. მოთხრობა. თბ. **ალ. დრევიჩის და არ. კალანდაძის** სტ. 1883. 97 გვ. წინასიტყვაობა **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

7 (914) **ორბელიანი გრიგოლ.** ლექსები. III გამოცემა. თბ. **ა. კალანდაძის** სტ. 1884. 93 გვ. „გამომცემლისგან“ **ზაქარია ჭიჭინაძისა.** I-II გვ.

8 (1014) **თეიმურაზ I მეფე** (1591-1665) ლექსნი. თფ. **მ.დ. როტინიანცის** სტ. 1886. 64 გვ. „შენიშვნა“ **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

9 (1590) მესტვირე და ქამანჩა. სახალხო ლექსები. თფ. **ე. ხელაძის** სტ. 1893. 16 გვ. წინასიტყვაობა **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

10 (1777) **იოანე ბატონიშვილი.** კალმასობა. II გამოცემა. ტფ. **ე. ხელაძის** სტ. 1895. ბოლოსიტყვაობა **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

11 (1778) **იოსელიანი პლატონ.** ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა. II გამოცემა. თფ. **ე.ი. ხელაძის** სტ. 1895. 336 გვ. ძველი წიგნების ბეჭდვის გამო, დანართი **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

12 (1779) **ისარლოვი ლუკა.** ლექსნი. თფ. **მ. შარაძის** სტ. 1895. 153 გვ. „ავტორის ბიოგრაფია“ **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

13 (1953) **თმოგველი სარგის.** დილარიანი. XII ს. ტფ. **მ. შარაძის** სტ. 1897. 48 გვ. შესავალი წერილი — **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

14 (2265) ქართლის ცხოვრება. ტ. I, წ. III. მეორე გამოცემა. „შესავალი წერილი“ **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

15 (2390) **ჭელიძე სიმონ.** ქადაგებანი. თბ. **მ. შარაძის** სტ. 1900. 32 გვ. წინასიტყვაობა **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

16 (2542) **ვახუშტი.** იმერეთის ისტორია. 687-1744. თბ. **არ. ქუთათელაძის** სტ. 1902. 84 გვ. წინასიტყვაობა **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

17 (3853) **არდაზიანი ლავრენტი.** სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. IV გამოცემა, თფ. **„ნადეჟდას“** სტ. 1918. 164 გვ. შესავალი, სტატია I **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

18 (4115) **ზალცმანი ხ.გ.** კონრად კიხერი (თარგმანი **ლ. ჯანდიერისა**). თბ. სტ. **„სორაპანი“.** 1912. 135 გვ. წინასიტყვაობა (I გამოცემა) **ილია ჭავჭავაძე,** II გამოცემა **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

19 (4311) **ვახუშტი.** საქართველოს ცხოვრება 1469-1800. II გამოცემა. თბ. **„სორაპანი“**-ს სტ. 1913. 402 გვ. „ვახუშტი ბატონიშვილი“ I-II გვ. **ზაქარია ჭიჭინაძისა.**

ზაქარია ჭიჭინაძის ფსევდონიმ-კრიპტონიმები

ზ.ჭ.
მარუშიძე, ია;
მთაწმინდელი, ზ;
ს-ლა;
სანდალა;
შავშელი;
ჭ.
ჭ.ზ.

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნების გამოცემის ადგილი

თბილისი — 1-27, 29-43, 36-69, 62-104, 106-152.
ბათუმი: 61, 105
ახალსენაკი 28, 35
ყვირილა 55

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნების გამომცემელნი

მესხიევი ი. 6

გიგაური ნიკო 15
თოიძე გიგო 17
კილაძე ვახტანგ 24
თავართქილაძე კ. 28, 35
გოგიაშვილი ან. 30
გალუსტოვი ზ. 31
ხელაძე მ.ე. 33
არაბიძე ა. 37, 38, 146
წივწივაძე მ.ფ. 39
გაჩეჩილაძე მიხეილ 40
კიკნაძე მიხეილ 41
ბარამიძე ალ. 44
ისაკაძე იობ 53
თავართქილაძეები (ძმები) 63
ზუბალაშვილი სტ. კონსტ. 64
პიტნავა დავით 89, 132
მანსვეტაშვილი ი.ა. 108, 111
ტყეშელაშვილი ვარლამ 118, 119, 120, 126, 128
შალამბერიძე ვიქტორ 122, 124, 125
შატბერაშვილი ვლადიმერ 130
„მერანი“ 151
„არტანუჯი“ 152

სტამბები და მათი მფლობელნი

ხელაძე ექვთიმე 1, 2, 10, 11, 13, 14, 17, 25, 27, 33, 34, 36, 37, 38, 39, 44, 45, 47, 49, 64, 79, 83, 85, 86, 88
ა. დრევიჩი 3
არსენ კალანდაძე ვ, 6, 7
კრამარენკო ლ.გ. 4

ვართანიანცი მ. 5, 31
როტინიანცი მ.დ. 8, 12, 16, 23, 26, 56, 69
მელიქიშვილი იოსებ 9
მანსვეტაშვილი ი.ა. 18, 19, 20
შარაძე მაქსიმე 29, 30, 40, 42, 48, 51, 53, 54
ჩარკვიანი გრიგოლ 32
თავართქილაძე კ. 35, 70, 91
ხელაძე ი.ი. 50, 59
გაჩეჩილაძე მიხეილ 55
ტუღუში ლ.მ. 57
დიასამიძე გრ. 58, 72, 73, 74, 77, 78, 81, 82
როტინიანცი ტ.მ. 69, 123, 125, 128
თავართქილაძეები (ძმები) 61, 63
ქუთათელაძე ა. 62, 66, 67, 68, 71, 75, 76, 80, 84
„ნადეჟდა“ 69, 101, 102, 104, 120, 126
ქუთათელაძე ვ. 87
„იდეალი“ 90
ხელაძე მ.ე. 92
„სორაპანი“ 93, 94, 95, 106, 112, 113, 115, 142, 144
„ძმობა“ 96, 97
„შრომა“ 98, 99, 103, 107, 111, 139, 140, 147
„გუტენბერგი“ გრ. დიასამიძისა 58, 100
ჩანტლაძე ვ.ი.; ხვინგია ნ.ი. 105
კერესელიძე არ. მ. 108, 114, 116, 117
„განათლება“ დ.ლ. პიტნავასი, 118, 119, 131, 134, 136, 137, 141, 145
რუხაძე ვ. 122, 127
ციციშვილი მ.ი. „ქართლი“ 124
კილაძე ბ. 143

საკუთარ სახელთა საძიებელი

ა
აბაშიძე-102
აბაშიძეიბრაიმ ბეგ- 65
აბაშიძე იბრაიმ ბეგისშვილი, სავარაუდოდ, მემედ აბაშიძე-69
აბაშიძე ხუსეინ ბეგ-65
აბაშიძე ჰაიდარ ბეგ-368
აბულაძეები-153
ავალიანნი-141
ავალიანი-120
ავალინი თევდორე-142
ავალიშვილი-120
ათაბეგები-163
აივაზიანი-109
აკაკი-107
აკაკის ძმა-246
ალიოღლები ალიაშვილები-151
ალანიძე-352
ალექსანდრე მესამე--360
ანდერსენი-109
ანთელიძე მაჰმედ ფაშა-81
არზანაძეები არზანოღლები-25,142
ასპატელოვი-109
აღნიაშვილი-237
აღმაშენებელი დავით-76
აშტრაკიანი-294
აჭარელი ხასან ბერი ფაშა-81
აჭარელი დედე ფაშა-81
აჭარელი გულო-აღა-137

ახალციხელი მიხეილ-308

ბ

ბაბუჩაშვილები-143,165
ბაგრატოვანი-120
ბაგრატიონები-308
ბაგრატმეოთხე-329
ბაგრატოვანი კუროპალატ აშოტ-კუხი-329,331,351
ბალაძე-143
ბარათაშვილი-113,120,293
ბარონროზენი-293
ბასილოღლი ნიჟარაძე დედი-აღა-59
ბაქრაძე დიმიტრი-
59,95,176,216,252,258,293,294,310,333,349,354,360
ბეჟანოღლიუსეინ ბეგ-76
ბეჟანიძე, ბეჟანიშვილი, ბეჟანოღლი-90,123,
148,163,177,178
ბეჟანიძე სულეიმან ბეგ თულუმ ბაზადე-70,71
ბეჟანიძესული ბეგ-155
ბეჟანიძე ჰაჯი ასან ბეგ-135
ბეჟანიძე აბდულა-ბეგ-163
ბეჟანოღლიუსეინ ბეგ-76
ბეჟანიძეები- 120
ბერიძეები-120,162
ბერიძე სულეიმან-178
ბერიძე გ.-- 202
ბერიძენური ეფფენდი-221,230,231
ბერიძე გიორგი ალექსანდრეს ძე-222,241
ბოლქვაძეები ბესიკი-113

ბინდიაშვილები-157
ბოლქვაძე-253
ბროსე-310

გ

გელიაშვილები გელიოღლები-143
გელაძე-193
გორგაძეები-25
გირკალიძე-207
გვარილოღლები-234
გვარიშვილი, გვარელოღლი-241
გვერდაძე-163
გვერდაძე ახმედ ეფფენდი-205
გოგიაშვილები-25,142
გორგაძეები-143
გოგორისშვილი-150
გოგაძენი-224
გორგასლანი ვახტანგ-291
გორდაძე-347
გურიელი გრიგოლ-55,53, 78, 79,177, 70,256, 354, 361, 373
გურიელი როსტომ-295
გუჯაბიძე მეჰმედ ფაშა-81

დ

დანიელ ფელამბერი-61
დარჩიძე-343
დევაძეები-135
დერვიშფაშა-79,138
დიასამიძე-110,124

დიასამიძეები-120,159
დიასამიძეალი-178
დიასამიძეაბდულ-178
დოღლიშვილები-236
დუმბაძე ვასილ ფაშა-81
დუმბაძე რამიზ ფაშა-80
დუმბაძეები, ძმები-81

ე

ერეკლე-76,81
ერისთავი-283
ერისთავი ხოსროვ ფაშა-146
ერისთავები-120
ერისთავიაშოტ308
ექვთიმე -307-330

ვ

ვახვახიშვილი მეჰმედ ფაშა-81
ვახუშტი-
126,141,148,171,227,279,282,313,329,339,347,348,355
ვერძაძე ჰასან ეფენდი-361
ვოსტორგოვი-364

ზ

ზარიძე-109
ზაქარიაძეები-109,142,234,240,345
ზაქროვი-109
ზაქარიანი-246,294

ზაქარიანები-246
ზაქარიძე-347

თ

თავართქილაძე კოწია-108,109,110
თავდგირიძე ალი ფაშა-60, 78, 79,.92,136,165,197
თავდგირიძე ჰასან ფაშა-80,165
თავდგირიძე ბერი ფაშა-82
თავდგირიძეები-148,120,163,165
თაყაიშვილი ე--277
თამარი
76,141,161,162,165,191,193,219,222,224,228,233,245,254,278,
299,311,332,333,342
თურმანიძეები-120,156,240
თურმანიძე ჩახალოღლი -124,157-158
თურმანიძე-347

ი

იაკობიძე-243
იმედაშვილი, იმამიშვილი-89
იოსელიანისვიმონ-149
იბრაიმხოჯა-167,206,
ირემაძეები-228
იოანე-307,33
იოანეტბევარი-329
ისმაილხოჯა-359
იშხნელი ეპისკოპოსი-354

კ

კავკასიძე ამბროსი-106,110
კაკაშვილები-156
კაკაცოლლი გულ-აღა კაიკაციშვილი გულო აღა-54,62,92,94,102,104
კალანდაძე ბესარიონ-107
კალანდაძეგერონტი-107
კალანდაძეები-108,109
კახიძეები-240,242
კეჟერაშვილი-225,242
კიბისთაველი იბრაიმ ეფენდი-205
კიკაშვილები-143
კიკინაძენი- 167
კობალაძე-51
კობალაძეემინ ეფფენდი--103
კობალაძეები-266
კოკიტაშვილები-25,143
კოხი-293
კოკობაძე-347
კურაპალატიაშოტ-კუხი-351

ლ

ლალაფაშა-166
ლასურიძე-347
ლეონიძეთ დ. -198
ლენორმანი--305
ლეონიძეჰასან ეფფენდი-346,361
ლეონიძე არიფაღა--346
ლეონიდი-371
ლომსაძენი-224

ლომსაძე-247
ლოზენი ად-294
ლომინაძე-344,347

მ

მაკარი-354
მამულაიშვილი ჰაჯი-უსუფ-90
მამფლები-330
მარი ნ.- 294
მარგიანი/მაიროღლი-302
მაჰმედ ეფენდი დელი-167
აჰმუდ სულთანი-358
მაღლაკიძენი-222
მაჭავარიანი ფერხად ფაშა-80
მაჭავარიანი კოწია-357,368
მახაცკა (მახაჭაძე)- 131
მახაცკაძე ალი ეფფენდი-157
მახაცკაძელეზგა-157
მგზავრი ბ-113,115
მელიქიშვილი ლევან-373
მესხი სერგეი-95
მთაწმიდელი გიორგი-47,307,330
მიხეილ ნიკოლოზის ძე-363
მისილოღლიახმედ-აღა (კახიძე)- 236
მიქელაძეები-120
მიქელაძეაბდულ ეფფენდი-156,164
მიქელაძეთევდორ-157
მიქელაძეები//თევდოროღლები-157
მიქელაძე-347
მოსე ფეღამბერი-61

მუავანაძე-73
მუავანაძე-90
მუავანაძე ჰუსეინ-112
მტბევარი სტეფანე-208

ნ

ნაკაშიძეები-120,156
ნასყიდოვი ათანასე --82
ნინოშვილი -110
ნიუარაძე დედი-აღა ბასილოღლი--59,65,92,94,102,120

ო

ოლთისელი გიორგი-288
ოლთისელნი-289
ომანიძე-253
ორბელიანი-113,120
ორბელიანი გრ.- 114,363
ოსმანფაშა-79
ოქროპირიძე ლეონიდე-63
პ
პეტრიძეიოვანე-47
პირფარეშისძენი, ბეჟანიძეები-120,148,162,177,178
პროსკურიაკოვი-299

რ

რამაზფაშა-81
რაშიდფაშა-81
რეკლუელიზე-293

რუსთაველი შოთა -47, 76, 307,329

ს

საბა-329
საათაბაგოელი დავით-47
სარქისიანი-293
საფარფაშა (ბექაჯაყელი)- 275
საფარიშვილები-165
საფაროვები-246
სელიმფაშა-124,158,343
სიხლიძენი-151
სიქსტო III პაპი--353
შოლომონ პირველი-105
შოლომონ მეორე-105
სოლოღა-145
სულთანმამუდი-153
სურმანიძე-149,202
სავარსამიძე-347

ტ

ტბეთისეპისკოპოსი-141
ტისანდიე-110
ტყიბორიძეოსმანაღა-237

უ

უვაროვა-216,227,229
უმიკაშვილიპეტრე-145,176
ურდანოღლი-126

ფ

ფანცაძე-347
ფამბაკელოვი-109
ფულტარიძე--347

ქ
ქადაგიძე-247
ქავთაროღლები-234
ქავისოღლი-236
ქავთარაძეები-240
ქამჯარაძე ხუსეინ ხაბაზ-112,113,115
ქამჯარაძე-120
ქათამაძე ალი-57
ქარცივაძე დურსუნ-203
ქარცივაძე ლომან-ეფენდი--225,321,359
ქიქავა დურსუნ-368
ქეშიშოღლები ხუციშვილები-150
ქორიძეები-162
ქუთათელი-141
ქურდიანი ქურდოღლი-302

ღ

ღოღაძე-146
ღლონტი ბენიამინ-106

ყ

ყაზბეგი გიორგი -49,177,216,256,258,293,305,352,361

ყაზბეგი-107
ყანთელიძე ჯემილ ფაშა-81
ყარაღაღა-157
ყიფიანი-240

შ

შავაძე მეჰმედ ფაშა- 80
შავთელი-47,307,309,329,338,352
შავიშვილი ბუჰანა ბაირახტარ-112,145,146
შალიკაშვილი-120
შარაბიძეუსეინ ეფფენდი-98,99
შარვაშიძეალიქ-ოღლი-135
შარვაშიძეთუფან ბეგ-149
შარვაშიძეები-151,156
შარუაშიძეები-120,177,178
შეიხულისლამი-154
შენგელია-180
შოთიძეები-146
შოთიძელომან ეფფენდი-238,239

ჩ

ჩახალოღლი თურმანიძე-124, 157-158
ჩიჯავაძე-89
ჩიკოიძე ჰუსეინ-178
ციპურტანიძე ჰასან-178
ჩომახიძე -240
ჩხეიძეები-144

ც

ცეცხლაძე სელიმ ფაშა-81
ცეცხლაძეები-150
ცეცხლაძე-347

ძ

ძანაძეები-143
ძნელაძეები-334,240,242,244

წ

წითლანაძე ჰუსეინ ეფენდი-61
წინწკარაშვილები-228

ჭ

ჭავჭავაძე ილია-107,113
ჭინკაძენი-150,166,369
ჭყონია მუსა – ფაშა-294

ხ

ხაბაზიხუსეინ-58
ხალვაშენები (ხალვაშები) -9
ხალიფაშვილია ხმედ ეფფენდი-139,153,179
ხალიფაშვილი ისმაილე ფენდი სამზიაროღლი-153,359
ხალვაშია ხმედ-ეფენდი-189,194,196,361
ხალვაში არუნ ეფფენდი-196,198
ხალიფაშვილი აჭარის მუფთი-208
ხამიდფაშა-81

ხაფიზ ეფენდი აჭარელი-95
ხახუტოღლიაჰმედ ეფენდი კომახიძე-58
ხახუტაშვილები-354
ხიმშიაშვილი შაქირ ფაშა-81
ხიმშიაშვილები-12,230
ხიმშიაშვილი ლექორ ხუსეინ-ბეგ-230
ხიმშიაშვილი ახმედ ფაშა-230
ხიმშიაშვილი-347
ხოსროვ ფაშა-81
ხუნდაძე მუსა ფაშა-81
ხუსკივაძე ფ-108

ჯ

ჯავახოსძე მცხეთომან-282
ჯალაბაშვილები--25,142
ჯაყელიბექა, გათათრებული საფარ ფაშა-145,252,,275,347
ჯაყელი ხეირულა-ბეგ-136
ჯაყელი-120

ა

აბასთუმანი 293
აბატ ხევი 295
აბულეთა 157
აბუჩაშვილები 156
აგარა 71,132,175,179,248,377
აგოთა 166
აგუნდარა 317
ადაგული 208
ადიგენი 293,295,
ადროინოპოლი 90
ადუჩა 277
ავანა 209,277,
ავანები 58
ავხერი 295
აზავრეთი 290
ათინე 323
აკრიელი 264
ალამბარი 64,100,
ალიოღლები 165
ალიქოღლი 165
ალლეპოდა 324
ალმე 249
ალმისა 228
ანაკერთი 391
ანაკერტის ხევი 380
ანდრია წმინდა 285

ანჩა 391
არალი 293
არგინეთის მთები 250
არდაგანი 150,167,309,382
არდაგანიკი 303
არდაგანის ოლქი 311
არდაგან სუ 39
არდიჰანი 333,344,
არდანუჯი 389,390
არდანუჯში დაყ არსი 220
არვეთი 208
არზრუმი 150,151,181,193,286,287,301,311,351,389,
ართვინი 104,132,150,156,162,166,192,210,211,220,235,269,
312,321,344,356,370,371,380,385,388,389,390
ართვინის ოლქი 269,369
არმენია 304,341,
აროლა 295
არსანაული 156
არსიანის მთა 254,339,340,341,343,370,382,
არტანუჯი 150,166,227,235,253,256,380,382,
არტაანი 122,150,167,192,220,242,256,296,298,299,300,301,
302,304,305,306,309,310,311,312,314,340,380,389
არტაანის მთა 229,340,370,382,382
არტაანის ოლქი 296,298,307,308,
არჟევაძიანთ ხეობა 312
არჩუეთი 210
არძნე 295
არხავე 323
არხვა 208,277
ასპინძა 53

აფიეთი 295
აფნია 291
აფრიკა 88,90,334,
აფხაზეთი 166,186,337
აქუცა 159
აჩრდილი 391
აჩქარა 391
აწყური 285
აჭარა 78,79,94,104,109,122,123,126,127,128,129,131,132,
133,134,135,136,138,139,141,142,143,144,145,147,148,
150,154,162,167,168,174,196,202,224,226,228,232,259,
293,312,326,333,339,343,368,,382,389,
აჭარ სუ 309
აჭარის ხეობა 250
აჭარის წყალი 129,130,131,154,155,161,180,183,244,252,
აჭარის მთები 185,
აჭყვა 143,
აჭყვის თაველი 123
აჭყვის-თავი 63,
ახალდაბა 365,366,369,379
ახალ-ქობულეთი 55,60,
ახალციხე 91,159,196,202,228,275,286,287,294,301,325
ახალშენი 71
ახალქალაქი 122,287,290,296,
ახაშეთი 285
ახო 161

ბ

ბაბუჩაშვილები 180
ბაგა 277
ბაგვა 291
ბაგინი 207
ბათუმი 55,56,57,65,66,69,72,74,74,76,80,81,87,94,95,101,103,
104,105,106,108,109,110,117,118,119,120,121,131,144,
147,150,151,162,170,1956,205,213,218,219,224,225,
226,228,231,280,322,323,330,389
ბათუმის ოლქი 253
ბაზარეთი 264
ბაიაზეთი 287
ბაკო 242
ბალავანი 365
ბალანთა 290
ბალაჟორი 293
ბალაძე 157
ბანაკა 208
ბარალეთი 290
ბაშქორი 277
ბაძგიერეთი 344,378
ბახმარო 236,243,
ბელტიეთი 378
ბელტური 181
ბენარა 295
ბერდუჯი 312
ბერთა 176
ბერიძე 182
ბერლინი 85,150
ბერსენაული 244

ბეთლემი 128,132,176,
ბეთლემის ტყე 175,176,177
ბეთლემის ხეობა 127
ბეღლევანი 329
ბეღლეთი 228,253
ბეღლეთის მთა 252
ბზუ-ბზუ 160,194
ბზუბზო 172
ბიზანტია 281,314,315,316,317,318,333,338,
ბიჭა 391
ბოლაური 253
ბოლაჟური 295
ბორია 391
ბორჩხა 209,210,211,226,282,283,
ბორჩხელი 90,
ბოცო 391
ბრტენა 290
ბუთურაული 244
ბურდუხეთი 210

გ

გაბრიელა 329
გადასახვევი 251
გარგავი 290
გარეტყე 166
გარყილუფი 365,369,371
გარიყლუფი 379
გებაძე 250
გელიაშვილები 156

გემის საბამი 176
გერმანიაში 106,107
გვარა 66,262,
გველეშანი 391
გვიანეთი 265
გზათა 377
გობურნეთი 161
გოგაშენი 291
გოგაძე 244
გოგილეთი 277
გოგინაური 246
გოგნიძე 166
გოდერძი 295
გომარო 295
გომჩირეთი 277
გონიო 99,186,321,322,323
გორგაული 210,295
გორგაძნეები 71
გორგისეული 156
გორგოტიხანა 379
გორი 211
გორხანაული 243,244
გორჯი-ყალეს ტყე 252
გოშპარეთი 264
გრილ აგარა 378
გუგუნაური 295
გულაშეთი 391
გულები 173,177,194
გუნდარა 244
გურანთელი 365

გურბინი 277
გურია 129,142,172,173,174,201,226,228,244,319,323
გურიანთა 226
გურჯახეთი 290
გურჯისტანი 202,227,289

დ

დაბა 378
დაბა ძველი 244
დაბა წვრილი 365
დაგვა 69
დადეში 285
დავლა 249
დაკვარა 329
დაკლაკიძე 245
დამასკო 324
დამპალა 209
დანდალო 154,155,161,173,
დარჩიძეები 247
დაღესტანი 151
დედა-ბერა 186
დევაგულა 379
დევე-სქელი 208
დევეს სქელის ხეობა 200,201,203,205,206,208
დერე-ხოხნელი 140,144,171
დესესვლი 295
დვილი 285
დიაკვნიძე 250
დიდი აგარა 285

დიდი ვაკე 70
დილარგეთი 277
დიობანი 377
დიოკნისი 253
დოლოგანი 181,182,194
დუაძე 251
დუჩა 277
დღვარი 285

ე

ებრიკა 208
ევფრატი 255,259,260,263,267,340
ელელიძე 250
ენთელი 295
ერგვანა 277
ერგე 185,186
ერკოტა 286
ერუშეთი 104,256,299,302,303,304,305,306,309,310,311,312,
333
ერუშეთის მთა 302
ეშტია 291

ვ

ვაიო 123,130,158
ვალაშია 208
ვალე 293

ვამთა 379
ვანაძეები 248
ვანი 341
ვარევანი 290
ვართელა 390
ვარსინა 295
ვარჯანული 70,96,97
ვარჯანისი 161
ვაშაყა 249
ვახტანგის-ძენი 245
ვებული 244
ვეილი 306
ვერნები 242
ვერხვნალი 365

ზ

ზაზალო 295
ზალიაანი 391
ზარა-ბოსელი 70
ზარზმა 295
ზარუშეთი 303,309,
ზაქარიაძე 377
ზაქიეთი 378
ზეგანი 130,132,179,228,229,232,241,242,247,312
ზეგნის ხეობა 228
ზედა- აჭარა 228,293,323
ზედა ვაკე 264
ზედა თმოგვი 285
ზედა-იქურა 277

ზედა-მახუნცეთი 177
ზედა- უბანი 210
ზეზოფელი 173
ზემო ხინო 71
ზემო ქართლი 299
ზენათი 64,92,99
ზენდიდი 177
ზენდობა 365
ზვარე 172,194
ზონავი 295
ზუზნაფელი 194
ზუნდაგა 178

თ

თათერული 244
თაოსკარი 317
თბილისი 77,84,89,94,103,104,119,120,121,137,149,211,219, 236, 237,325,361
თელას-ყური 210
თელას-ყურის ხეობა 210
თოკი 290
თორთომი 333,341,
თოფალაშვილები 186
თრიალეთი 311,312,
თუშ-ფშავ-ხევსურეთში 71
თხაკი 205
თხილაძვა 209
თხილვანა 242
თხილნარი 187

ი

იაკობაძე 252
ივეთი 377
იმერეთი 97,98,116,116,129,132,142,160,243,245,305
იმერეთის მთები 293
იმერი მდინარე 371
იმერხევი 192,336,343,344,355,369,370,371,373,375,376, 378, 379,380,381,383,390,395
იმერხევის მთა 372
ინგლისი 85,89,159,324,
ირემაძე 249
ისეკევი 277
იფრევი 377
იღნია 208
იშხანი 341
იშხნის ხეობა 387

კ

კაკაოღლი 171
კაკაძე 194
კალოთა 242
კანტაური 157
კაპარტყე 165
კაპარჭეთი 277
კაპნის-თავი 130,182
კარი 298,300,301,311,
კარლის მთა 351

კასპის ზღვა 311
კატრინის მთა 252
კახაბერი 127,192,193,130,154,386
კახეთი 382
კახიეთი 264
კარაპეტ 246
კარსნა 391
კარტიკამი 291
კარჩხალი 201,203,254,257,378,
კარჩხალის მთა 200,201,253,255,339,340,344,370,379
კარხალი 259
კასტლა 209
კაშხეხი 391
კევლი 277
კენივრი 162
კეჟერეთი 264
კეჭიეთი 70
კეხოვანი 295
კვარცხანა 208
კვატია 243
კვაშტა 158
კვირიკე 68,69,87,
კვირიტაული 180
კვირიხიძე 246
კიბე 129,130,183
კიკაშვილები 156
კიკიბო 295
კინტრიში 56,60,61,62,67,92,161,192,214,231,232,312
კინტრიშ სუ 309
კინტრიშის წყალი 96

კინტრიშის ხეობა 96,97,99,117,143,192
კინწყურეთი 210
კირკიტეთი 264
კირნათი 184,265
კლარჯეთი 104,200,311,312,334,390
კობალაური 70
კობალთა 247
კობიეთი 285
კოთელია 290
კოკიტაური 156
კოლა 298,312,
კოლი 311
კოლოჩნარი 244
კონდიდი 68
კორეიზის მთა 243
კორიდეთი 277
კორომხეთი 171
კორსა 333
კორტანეთი. 329
კორტოხი 252
კოსარეთი 295
კოსორი 317
კოხი 68
კუცნა 285
კუჭენი 365
კუჭური 164

ლ

ლაზიკა 319

ლაზისტანი 138,141,201,211,215,271,272,282,312,,314,317, 318,,319,321,322,323,325,326,327,328,329 330,331,332, 333,334,341,389
ლანჩხუთი 89
ლაღვი 295
ლელოვანი 295
ლეონიძე 378
ლეღვა 62,99,
ლიგანის ხევი 222
ლიავანი 371
ლივანი 104,127,131,146,150,174,192,200,202,210,211,212, 217,232,243,253,269,272,282,312,314,322,323,329,332, 333,368, 372,386,390
ლივანის ხევი 200,282,390
ლივანის ძირი 379
ლიმანი 329
ლომინაური 246
ლომსაძენი 245

მ

მაკედონია 90
მაკრეთი 329
მამანათი 329
მამა-ნელისი 365
მამაწმინდა 204,208
მანატბა 379
მანიაკეთი 253
მარადიდი 183, 192,203,210,212,215,216,223,224,234,254,329
მარადიდის ხეობა 200

მარელი 295
მაქრიალი 326,329
მაღლაკონი 184,265
მაღლაკური 243
მაცალხევი 390
მაწყვალთა 246
მაჭახელი 128,155,160,161,163,174,181,185,192,200,201, 202,203,217,223,232,234,253,257,258,259,260,261,262, 263, 265,266,267,268,269,323,350,351,352,368
მაჭახლის მთები 243
მაჭახლის პირი 264
მაჭახლის წყალი 254,255,
მახინჯაური 71,99,
მახო 187
მახუნცეთი 194
მეზრე 277
მეკეიძე 249
მელაძე 252
მერგაძე 249
მერია 365
მერისი 129,164,194
მერისის ხეობა 163,169,371
მერისის ღელე 164
მერმისი 115
მესხეთი 241,249,284,285,286,289,293,294,296,312
მესხეთ-ჯავახეთი 196
მეცაგილა 391
მეძიბნა 166
მიკიტაური 186
მილისი 184

მიმითა 249
მინდიეთი 263
მინდიეთის ტყე 344
მირატის მთა 341,371
მირატის ხეობა 244,245,248,340,341,350, 370,371,375,377
მისხი 291
მიქელეთი 379
მიქელ წმინდა 285
მლაშე 295
მმილისი 265
მოროხოსი 365
მორტალი 317
მოსე 295
მოფრინიძე 245
მოქვთა 365
მტკვარი 311
მურკეთი 210
მურღენი 365
მურღული 128,192,208,217,223,229,270,271,272,274,275, 276,277,280,281,284,368,389
მურღულის წყალი 271
მურღულის ხეობა 281,282,283,284,312
მუხნობანი 365
მჭედრული 243
მყინვარ მთა 201

ნ

ნადარბაზევი 210
ნამიაური 295

ნამონასტრევი 169
ნარიიანი 317
ნაქალაქევი 264
ნაქურდევი 295
ნაქურდოვანი 295
ნაღვარეთი 277
ნენია-ფურტიოსი 228
ნიგია 208
ნიგიას მთა 208
ნიოცხრები 295
ნისლათა 342
ნოსიგელდი 391

ო

ოდესა 325
ოთინგო 201
ოლდაური 210,246,350
ოლთა 98,300,312
ოლთისი 150,179,301,312,314,316,317,340,341,344
ოზურგეთი 88,89
ორდის 76
ორთა მეჰელე 244
ორთახევი 242
ორთა-ხოხნა 171
ორთო-ბათუმი 71
ორპირი 180
ოსანაურის ტყე 186
ოსმალეთი 61,62,66,67,71,72,74,74,76,77,82,83,85,85,86,
86,87,88,90,91,93,94,95,96,97,99,100,104,106,107,116,

122, 123, 125,127,133,136,141,142,145,146, 147, 148, 151,152,154,158,159,160,169,174,192,198,199,212,213, 215,220,228,257,260,269,270,274,278,284,297,314,341, 353,389
ორცვა 170,194
ორჯი 209,277
ორჯიშინა 295
ოსმალა 277
ოქროაშვილები 251
ოქრო-ბაგეთი 356,365
ოქროპარულა 244
ოქროს წუა 379
ოში 295,391
ოჩიეთი 295
ოხორდია 329
ოხორჯინი 208

პ

პამაჯი 295
პანჩერეთი 329
პაპაშვილები 247
პარხალი 312,341
პატარა ხერთვისი 263
პაქსაძე 252
პაწა მთა 201
პეტრული 204,206,207,208
პონტიის მთები 322
პოტოჭური 277
პუჭგრეთი 277

პხიკიური 356,378

ჟ

ჟვანა 277
ჟუგო 391

რ

რაბათი 286,365
რაქვთა 242
რაჭა 278
რიზე 199,328
რკინის წყარო 251
რუსეთი 116,126,140,141,150,151,220,277,280,324,329

ს

საბაური 210
საბუდარა 365
სავლი 391
სათათრეა 80
სათლე 356
სათლელი 365
საირმე 295
საკირეთი 285
საკლი 295
სალაჩური 317
სალიბაური 166,264
სამასხარი 391

სამახრეო 208
სამოდა 295
სამცხე 127,138,141,276,291,298,299,301
სამცხე-საათაბაგო 51,125,179,188,201, 229,254,270,299, 300, 301,313,314,315
სამჯელი 365
საბერძნეთი 52,302,304,313,341
სამახარო 248
სამება 69
სამეგრელო 319
სამზიარი 167
სამოლეთი 245
სამურ 295
სარო 290
სარფი 329
სარჯინი 295
საფარა 182,365
საფინავის ხეობა 371,383
საფრანგეთი 90
საფუტკრეთი 264
საქართველო 51,54,75,77,79,80,82,84,86,91, 96,119,125,138, 313, 337,338,339,341,344,389
საციხური 248
საღორეთი 132,138,174,175,177
საღრიძე 295
საყანური 265
სვანივრი 162
სიდირეთი 277
სიმონეთი 187
სინდიეთი 264
სინქოთი 208

სიხალაძე 165
სკვანა 242
სკურე 63
სკურჩე 329
სვანეთი 271
სოკეთი 285
სომხეთი 313,333
სპარსესტი 389
სტამბოლი 56,68,74,76,77,78,80,88,94,95,98,104,109,112, 135, 145,149,150,151,152,167,168,172,173,181,219,220,221, 222,223,224,240,246,252,260,261,274,275,299,304,325, 326,328,358,378,382,395
სტეფანეშვილები 249
სტეფანოვკა 186
სულობანი 365
სურევანი 378
სუფსა 87
სუჯუნა 329
სხალტა 128,228,238,249
სხალთის ხეობა 229,236,243,370
სხალტის წყალი 129,242,252
სხვა 390
სხვილისი 295

ტ

ტაბახმელა 253
ტაესის 286
ტატანისი 286
ტბეთი 129,154,158,228,244,245,248,343,359,365

ტობა 286
ტოლეში 286
ტომაშეთი 247
ტრაპენში 277
ტრაპიზონი 56,76,77,86,94,106,115,145,173,199,201, 219, 220, 221,226,299,301,322,323,326,327,328,330,333,358
ტუნაძე 249
ტურცხა 291
ტყე-მაკრავა 70
ტყემალანა 286
ტყის უბანი 295

უ

უბე 378
უდე 293,295
უდელა 295
ულეფი 390
უნცა 295
უნწო 294
ურეყი 186
ურძუმა 277
უსკოი 329
უსტამისი 378
უსტასკელი 391
უსხეფი 390
უჩხითი 184,265
უჩხო 251

ფ

ფანასკერტი 312
ფარეხა 295
ფაფათის მთა 344,345
ფეთ-უბნისი 391
ფენიაკი 317
ფერია 186
ფეხრო 295
ფეხრა 295
ფლოტე 295
ფოთი 330
ფორთესი 277
ფორჩხა 249
ფორჩხის მთა 243
ფოცხოვი 218,242,248,293,295,297,312
ფოცხოვ სუ 309
ფურტიო 243,249
ფურტიოს ხეობა 243
ფუშრუკაულისა 228,242

ქ

ქამალეთი 277
ქართლი 97,98,130,142,15,156,157,160,314,319
ქაქუთი 62,
ქაცარაული 295
ქედა 129,131,136,149,152,154,162,163,168,169,194,195, 196, 220,221
ქედელი 90,

ქედლები 252
ქედ-ქედი 263
ქელას-ყურის მთა 132,173,177
ქვაბლიანი 193,218,228,247,252,293,295,296
ქესტაში 210
ქექელა 295
ქვაბის თავი 264
ქვაბის ხევი 285
ქვაბთა ხევი 371
ქვაბლიანი 198
ქვაბლიან ფოცხი 132
ქვათეთრასი 365,365
ქვედა-მახუნცეთი 180
ქვემო აჭარა 323
ქვემო მახუნცეთი 194
ქილდა 290
ქინძაკარა 162
ქირსაულა 290
ქიქინეთი 295
ქიძინიძე 245
ქობარეთი 286
ქობულეთი 55,55,58,59,60, 61,65,67,78, 81,92,92, 101, 102, 103, 104, 111,113,115,116,122, 126,135,143,150, 162,179, 202,226,312, 368
ქობულეთის ხეობა 101,111,241
ქონთრაბი 391
ქოჩახი 247
ქოხათი 97
ქუთათელი 155
ქუთაისი 119,121

ქუთაური 247
ქურა 277
ქურამსუ 309
ქურთისტანი 123
ქყალსინერში 383

ღ

ღაღვი 295
ღვანი 245
ღორთ უბანი 295
ღორძე 295
ღორჯომი 228,252
ღორჯომის მთები 129
ღორჯომის წყალი 249
ღოღაძე 160
ღურტა 252

ყ

ყადიოღლები 250
ყავახლუღას მთა 247
ყაზანი 220
ყაიბაში 244
ყარაფაფახი 317
ყარა-შარვალი 187
ყართ უბანი 295
ყარსი 127,242,247,312,314,344,389
ყინჩაური 243
ყირიმი 325
ყომბალო 187

ყოროლის-თავი 71

შ

შავაბურა 166
შავაძე 250
შავი-ზღვა 62,96,142,188,201,228,231,282,311,319,326
შავმთა 336,369,371,385
შავქეთი 365
შავშეთი 104,130,132, 150,154,163,170,200, 202,218, 228, 253,
276,296,311,312,314,333,334,335,336,337,338,339,342,
343,344,346,348,351,352,353,354,355,356,357,358,359,
364,365,366,368,370,371,373,375,379,380,381,
382,383,389,390
შავშეთის მთა 370
შავშეტის ტყე 381
შავშეთ-იმერხევის მთები 248
შარაბიძე 186
შარდუ 317
შოთიძე 160,
შოლტის ხევი 377
შოყა,შოყო 295
შუაგარა 391
შუახევი 127,208,228
შუბაანი 210,247

ჩ

ჩაქვა 71
ჩაქველთა 379

ჩაქვი 98,99,143
ჩაქვის ხეობა 98
ჩაქვის თავი 71
ჩაქვის ხეობა 92,99
ჩახატურის მთა 252
ჩეხედენი 63
ჩილდირი 295,312
ჩილდირის ხეობა 296,302,305,311
ჩირუხის მთა 243,339,340,341
ჩიქუნეთი 263
ჩიხარი 378
ჩიხტა 365
ჩორჩონი 295
ჩუნჩხა 290
ჩურუქსუ 55,60,61,67,96,111,115,116,323
ჩუჩუტო 295
ჩხალეთი 277
ჩხალის ხეობა 282,329,330
ჩხუტუნეთში 259,263

ც

ცანათისი 208
ცეცხლაური 365
ციმბირი 76,140,141,199
ცინარიძე 245
ციხის უბანი 295
ციხის ძირი 150,359,365
ციხის ხევი 378
ციხე 365
ცორცვალი 365

ცოცხება 210
ცხემლანი 179,263
ცხემუანი 70
ცხმორისი 157

ძ

ძანაძეები 157
ძანცულა 277,389
ძენწმანი 171
ძიოსი 378
ძმა-გულა 243
ძნელიეთი 264

ჭ

ჭაიხელი 295
ჭალა 391
ჭალავი 277
ჭალახმელა 184,265
ჭანეთი 63,202,209,211,253,314,317,319,331
ჭახათი 70
ჭერი 243
ჭვანა 129,222,228,252
ჭვანის ხეობა 251
ჭინკაძე 182
ჭოროხი 129,130,131,161,185,207,208,209, 231,254, 268,269,271,277,311,322,326,343,364,371,380
ჭოროხის ხეობა 200,282,326,380,381

წ

წაბლანა 243
წაბლნარას მთა 208
წარბასთ უბანი 295
წარო 295
წახნისა 295
წეფთის მთა 371
წეფთის ბარი 379
წითელი მინა 188
წითლოეთი 377
წითურეთი 209,269,271
წინაუბანი 295
წინწკარა 249
წირე 295
წირკა 295
წიხნი 295
წნისი 286
წონიარისი 162
წყავრუკა 63,
წყურთა 295
წყალ-თბილა 295
წყალსიმერი 377
წყარო 295

ხ

ხალა 71
ხალვაშენეები 71,99
ხანთუშეთი 365

ხარსანა 379
ხარჯამი 295
ხახული 52,391
ხევა 391
ხევაშენი 295
ხელვაჩაური 186
ხემშინა 323
ხემწვრილი 378
ხერთვისი 183,262,263,265,266,391
ხიზაბარავა 290
ხინკალეთი 264
ხინწკარა 210
ხიხაძირი 228,229,236,242
ხონა 295
ხოსიაშვილები 250
ხოფა 199
ხოფი 323
ხოხლეური 365,377
ხუბორღრეთი 390
ხულა 252
ხულგუმო 291
ხულის ხევი 252
ხულის ხეობა 129,247,250
ხულო 104,129,160,196,221,228,234,246,247,252
ხუმრისი 290
ხურო 295
ხუც-უბანი 66,67

ჯ

ჯაბანიძე 245
ჯავახეთი 82,133,165,202,230,232,241,27 5,286,287288,289, 290, 2 91,296,311,312,339
ჯაკადუეთი 210
ჯვარის ციხე 295
ჯვარები 365,379
ჯირკვა 251
ჯონკურეთი 210
ჯუმუშაური 246

სარჩევი*

შესავალი 3
მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები
საქართველოში.....45
ქართველი მაჰმადიანები ქობულეთის ხეობაზედ 47
ქობულეთის და ჩაქვის ხეობის მოლები და ხოჯები 85
ქობულეთის და ბათუმის სკოლის ამბები 93
ქართველ მაჰმადიანებში პირველად ქართული წიგნების
შეტანის და მათგან მიღების ამბები 102
ქართული მწიგნობრობის საქმე ბათუმში.....108
ქართველ მაჰმადიანთა მელექსენი და მელექსეობა 112
აჭარის ქართველ მაჰმადიანთ სოფლები 117
სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის ზეპირ ამბები ქართველ
მაჰმადიანებში. დაწერილი 1892 წ. 173
აჭარული ამბები 1892 წ.....176
აჭარის განახლება.....180
ლივანის ქართველი მაჰმადიანები და მათი სოფლები 184
ლივანის მარადიდის სკოლის ამბავი 1893 წ. 195
ქართველ მაჰმადიანთ უმაღლესი სასწავლებლის გახსნის
საჭიროება ბათუმში 201
ლიგანის ხევის მოლების და ხოჯების ამბები.....204

*სარჩევი შედეგნილია ტექსტში მოცემული პარაგრაფების სათაურების მიხედვით, ვინაიდან ტექსტის ორიგინალში მოცემულ სარჩევსა და პარაგრაფების სახელწოდებებს შორის სხვაობაა.

ზეგანი, ანუ ზედა-აჭარა, ბათუმის ოლქი 209
მაჭახლი, ბათუმის ოლქი.....232
მურღულის ქართველ მაჰმადიანთა ზოგთ სოფლები 247
მესხეთის ქართველ მაჰმადიანები.....260
ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანები 263
ქართული ენის დაკარგვა ქვაბლიანის ქართველ მაჰმადიანებში 268
ქართული ენის დაკარგვა ჩილდირის ქართველ მაჰმადიანებში.....271
ქართველ მაჰმადიანთ გადაგვარება **არტაანის (არდაგანი) ოლქს, კოლას, კარს და სხვა კუთხეებში**.....272
ოლთისი, (ზემო ქართლი)..... 287
ლაზისტან-ჭანეთი*.....290
ბათუმი და ლაზისტანი დ. ბაქრაძის რუსულის ცნობებით..... 295
ლაზისტანი..... 298
შავშეთის ქართველ მაჰმადიანები..... 305
იმერხევის ქართულად მოლაპარაკე ქართველ მაჰმადიანთა 338
შავშეთი..... 349
კლარჯრთის ქართველ მაჰმადიანები..... 356
ქართული ენის და საქართველოს მოყვარე ხოჯები..... 357
ქართველ მაჰმადიანთა გადაგვარების

* ლაზისტანის ვრცელი აღწერა დაუბეჭდავი არის

ამბები.....
საბახ ნამაზის ლოცვის დუსი.....367
ქართველ მაჰმადიანთ ბეგები და აღიების თხოვნა მათ
წოდების აღდგენის გამო..... .370
ზაქარია ჭიჭინაძის ბიბლიოგრაფია 373
საკუთარ სახელთა საძიებელი.....494
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.....404

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge